

.517

1986<sub>g</sub>

ମୋହନ୍ କାନ୍ତେଶ୍ୱର

କାନ୍ତେଶ୍ୱରମୁଦ୍ରା

1985



საქართველოს  
კულტურის  
მუზეუმი  
517  
1986

თო/რი/თა/რყ/თას  
რც/ცი/ცი/ცი

მაცხოვენი

№ 9

83 (21) + 79-1

ଲ 455

ଶ୍ରୀଦ୍ଵାରାରାଜ

ଶବ୍ଦଗୁରୁଙ୍କ ବ୍ୟାକାଶବିଲୀ

ସାହୁରାଜପାତ୍ର କମଳ ପଦ୍ମନାଥ

ବ୍ୟାକାଶବିଲୀ ବ୍ୟାକାଶବିଲୀ

ପଦ୍ମନାଥ ପଦ୍ମନାଥବିଲୀ

ପାଲୁପାତ୍ରବିଲୀ ପାଲୁପାତ୍ରବିଲୀ

ଶବ୍ଦଗୁରୁ ଶବ୍ଦଗୁରୁ

(ପାଲୁପାତ୍ରବିଲୀ ପାଲୁପାତ୍ରବିଲୀ  
(ପଦ୍ମନାଥବିଲୀ ପଦ୍ମନାଥବିଲୀ)

ଗାନ୍ଧିଜୀ ସାହୁରାଜପାତ୍ର ଗ. ଲ୍ୟୋନିନ୍‌କିଂସ ସାହୁରାଜପାତ୍ର  
ଶବ୍ଦଗୁରୁ ଲ୍ୟୋନିନ୍‌କିଂସ ସାହୁରାଜପାତ୍ର ମୁଦ୍ରଣ ଶ୍ରୀଦ୍ଵାରାରାଜ

১৩ কানকাৰো

გამრიველ ჭაბუშანურისადმი 1963 წელს გაგზავნილ წერტილში მისი ახ-  
ლო მეცნიერებაში და თანამოყალმე გ. ნაროზაული სწერდა:

გ. გამოშენერის პოლიტიკი მოზა მთაში დაიბადა. პირველი ლექსიც  
ხომ თავის შემოლიტურ არხონტში გამოიქვე 1924 წ., როცა წერა-კონტაც  
არ იყოდა. მისი პირველი მასწავლებლები იყვნენ — მოები, არავი და  
ვადა-ტექნიკურა.

1933 წ. გაბრიელის ოფაზი ხევსურეობან კახეთს გაიასახდა. ბევრი ლამაზი ლექსი დაწერინა იქაუჩა ბუნებას. ბარიც ისეორვე ატლანტიკური განაკვეთის მისთვის, როგორც მთა. პოეტი უშლევრობა აღაშანს, ბარში მოსულ პირველ თოვლს, გზააფხულის ყვავილებს... და განსაკუთრებით „ბარის ჭიგეს“. მზისა და სინათლის სიყვარული მძლავრია იყო მის ლექსიდში გამოხატული.

ଶୋଭି ହାଲିନ୍ ସିଯୁଗାର୍ଥୁଲ୍ସାପ ମନୀଳ ସିଯୁଗାର୍ଥୁଲ୍ସ ପ୍ରତିଲେଖଦିଲା. ମନୀଳ ମନ୍ଦର୍ଗଭବାପ କେବଳ ମନୀଳମଣି ବାକ୍ଷେତ୍ରବି କ୍ଷେତ୍ରାତ୍ମକ ପିଲାଙ୍କାରି—ମନ୍ଦର୍ମଧ୍ୟ—ଏ, ଏ, ମନୀଳ ମନୀଳର୍ତ୍ତବ୍ୟା ଓ କାମିଦିଶିକ୍ଷାକିଳିର୍ଦ୍ଦିଲା.

„წიგნი წმინდა სიყვარულისა“, „წიგნი წმინდა მწვერალებისა“, „დიდი სიყვარულის წიგნი“, „ღლილოს ღმერები“, „წიგნიდან ვაკას ბილეტები“, „აზაგვიანი“, „წვრილმანთა წიგნი“, „ომი და მშეიღლობა“, „ღლელგმი“, „სამოცდაშეიღლი ორნამეტტი“, „ქმის წიგნი“, „ახალი ლექსიგი“, „უახ-

ପ୍ରଦ୍ୟ. ଶୁଣ ଯେ ବୋଲିଫୁଲୁ  
ଶୁଣ, ଶୁଣ. ନେଇପାଇୟା  
ଧରିବଲୁଗାଇପାଇବା

ლესი ლექსები“, „საბავშვო ლექსები“, „თარგმანების წიგნი“...—აი, მიუკრიცხულა  
სი ხელნაწერი ქრებულების სათაურები.  
გთავაზობთ გ ჯაბუშანურის რამდენიმე გმოუქვეყნებელ ლექსი, რო-  
მელიც ამ ქრებულებიდან ამოვარჩიეთ.

## რამ დამიბედა

რამ დამიბედა — ასულ მწყემსთა მწვავდეს სახმილი,  
ვნალვლობდე მათზე და უსრულო იყოს ნაღველი;  
ემლეროდე მათზე უძილო და თვალებდალლილი,  
ხოლო იმათ კი არ ესმოდეთ ჩემი ნამლერი...  
რამ დამიბედა — ასულ მწყემსთა მწვავდეს სახმილი,

### I

იყო ცისკარი, ჩარგალელი მწყემსი გოგონა,  
მე ის პოეტის ოცნებათა ხემსი შეგონა,  
შევკადრე სიტყვა უმაღლესი ეშხის მექონი,  
მან კი ვერ იგრძნო მგოსნის სიტყვა ოქროდ დალერილი...  
რამ დამიბედა — ასულ მწყემსთა მწვავდეს სახმილი,  
ვნალვლობდე მათზე და უსრულო იყოს ნაღველი;  
ემლეროდე მათზე უძილო და თვალებდალლილი,  
ხოლო იმათ კი არ ესმოდეთ ჩემი ნამლერი...

### II

შერე მარეხმა გამინათა წყვდიადი ლამის;  
კვალად გაისმა მგოსნის ჩანგის დიადი ჩქამი,  
მაგრამ ამ მწყემსმაც შემირია ჭმიაღში შხამი,  
ვერც მან გამიგო და გარეკა სხვაგან ნახირი...  
რამ დამიბედა — ასულ მწყემსთა მწვავდეს სახმილი,  
ვნალვლობდე მათზე და უსრულო იყოს ნაღველი;  
ემლეროდე მათზე უძილო და თვალებდალლილი,  
ხოლო იმათ კი, არ ესმოდეთ ჩემი ნამლერი...

### III

ახლა მხექალი მომევლინა ვით ბედისწერა  
და მგოსნის ჰანგი კვალად ისმის ვით გედის მღერა,

მაგრამ ვერც ამ მწყემსს შევასმინე სიტყვები ჯერა,  
 ნუთუ გაბრიელ, ახლაც წახვალ შინ თავდახრილი?!  
 რამ დამიბედა—ასულ მწყემსთა მწვავდეს სახმილი?!  
 ენაღულობდე მათზე და უსრულო იყოს ნაღველი;  
 ხოლო იმათ კი არ ესმოდეთ ჩემი ნამღერი...  
 რამ დამიბედა—ასულ მწყემსთა მწვავდეს სახმილი?!

### პოეტი და სიბრძე

მუდამ აშინებს პოეტს სიბერე,  
 ვით შთაგონების დაშრეტის ხანი:  
 „ვაჲ, თუ მოსნობა ვერ შევიფერე  
 და ქოშის ნაცვლად ჩამეცვას ჯლანი...“  
 მუდამ მისტირის პოეტი ყრმობას  
 და სიჭრაბუჯის სანუკვარ დილას;  
 „ვაჲ, თუ დამეწყოს გულის საპყრობა,  
 ან უამშა გრძნობა გამიბათილა...“  
 მაგრამ დრომ გული ვერ ასაპყაროს,  
 მოხუცი გულით ბავშვს ედარება,  
 პოეტიც ბავშვს ჰგავს — გულუანგარო  
 და გრძნობა წმიდა, ვით ნეტარება.  
 მიჰერიან წელნი... ნაოჭთა ქსელით  
 იქსელვის შუბლი... ურვა გროვდება,  
 მაგრამ მე გულით, გრძნობით და ლექსით,  
 ბავშვობას უფრო ვუახლოვდები!!!

### ლაშვ მიტოვებულ აულაში

ციხის ნაშალზე შემოჯდება ბუ-ღამეული  
 და მთვარის სხივებს ქონგურებზე უგულოდ კენკას;  
 ვარსკვლავებს კვნესით შეპლალადებს მულამს აული,  
 ბებერი ბურჯნი უჩივიან ულმობელ წელვავს.  
 ჩონჩხნი იხსნიან უძრაობის დღისეულ ნიღაბს,  
 აკლდამებიდან გამოდიან ბასით, ჩქარა;  
 „ — ეს მე მოვეალი!..“ — შემაზრჩენად ხითხითებს ვიღაც  
 და თან უთითებს გვერდზე მდგომის გახვრეტილ ქალას...

გაცრეცილ სახლებს დალეწილი სტკივათ ფერცხლები,  
 კვლავ ძველ პატრონებს მოელიან თვალებანთებით;

ციცინათლების გაფანტული გარს ნაკვერცხლები  
 მიმქრალი კერის აელვებად აელანდებათ...  
 „— ჰე, მასპინძელო!..“ — ყვირის მოქლულ აბრეკის სული,  
 თან მწირ აულში დაბარბაცებს ის მთვარეული;  
 ამოიგმინებს აქვე ახლოს აწვდილი სალი  
 და კვლავ სიჩუმე ისადგურებს სიზმარეული...  
 ჰეამს მოლას ლოცვა მიძინებულ თემს დარაჯობდეს,  
 მაგრამ განქარდნენ მოლაც, თემიც—მრუშე ძილივით;  
 ძველი შეჩერის მინარეთზე შემჯდარა ჭოტი  
 და ლანდებს ლოცვად მოუწოდებს მუეძინივით...

### სანამ თოვზის ხდა საჯიხვეს შესძრავს

(მონადირის თქმული)

აქე, თენდება... შურთხებმა  
 რიერაუის წირვა დარეკეს,  
 მნათობის მსხვერპლად წირავენ  
 თეთრი ნისლების ტარიგებს,  
 „— გულ გახსენ, მზეს რომ იხილავ!“ —  
 სიო შავ ქარაფს არიგებს,  
 დილის ცისკარი მიმქრალ შუქს  
 საჯიხვეებში არიგებს.

ჭაუხებისკენ მოჰყვება  
 ჭინვების ჭოვი ნაბიჭით,  
 ნაღირთა მწყემსო, ლამაზო,  
 მიბოძე ერთი ხარჯიხვი.  
 სხვას არას გნუკავ, ამის შეტს,  
 შენც ნუღარ დაიხარჯები,  
 ხირიმს დავმარხავ მიწაში  
 თუ დღესაც გამიმარჯვდება...

ჩაღმა ქრის დილის ნიავი,  
 გორი ნისლისგან განტვირთა,  
 სასხლი თუ იგრძნო წინდაწინ,  
 საჯიხვე უცებ გატვრინდა.

ყურს მშვედება ქუჩის ჩხრიალი,  
სადღაც ჩანჩქერიც ატირდა,  
მიშველე, ოჩოპინტრეო,  
გამოჩნდა არვე ნადირთა.

## ის დაშორება

ის დაშორება იყო რა ძნელი...  
მე თვითონ მიკვირს: მისი ატანა  
ვით მოვახერხე... როგორ შავძელი  
და უაში რარიგ მეთანდათანა...

პანაშეიდს ჰევდა ის დაცილება...  
და უფრო მეტიც — რის პანაშეიდი...  
იყო გულების მყის დაცილება,  
იმ დაცილებით, ილბალს დაცილდი...

გულში ნალველი იდგა ტბორებად,  
მხე გიგალობდა, როგორც შაეთელი;  
რა ძნელი იყო ის დაშორება...  
მე ახლაც მიკვირს: როგორ შავძელი...

## მსპიზი ჩმიდ ანდერძისათვის

მე რა ვქნა, თუ ასე რიგად დავიღალე,  
თუ წამწამებს დამძიმებულთ მოერიათ ძილი,  
დამძიმენეთ მზოლოდ ერთი შავი ღამე,  
კვლავ აღვსდგები და ვიბრძოლებ ხვალ ახალი ძალრთ.

და თუ ხვალაც ამგვარივე დაღლა ვიგრძენ,  
მაშინ ვიტყვი: შევპყრობილვარ სასიკედილო სენით;  
გთხოვთ: სანამდის წამილებდეთ საფლავისკენ —  
ქართულ ლექსის მხე მასხურეთ მოოქროვილ სინით!!!

ცეცხლი ცისფერი ენებით მოუხმობს ქარს,  
ის უძლიერეს თავის ძმობილს აძლევს ულუფად  
ფიჭვების გარს,  
და არყოთ ახალ რიგს ჰპირდება გულუხვად;  
ცეცხლი მოუხმობს ქარს...

ცეცხლი მოუხმობს ქარს...  
ხეთა რიგს მიპყვება ჭენებით,  
ის, ასწლოვან ფიჭვთა ქარვისფერ კვარს  
ლოკავს გველური ენებით...  
ხანძარი ეძახის ქარს.

ხანძარი ეძახის ქარს:

„—დაქროლე, დაქროლე, შევჭამოთ ფიჭვები!!!“  
უხუცეს გოლიათს ეხვევა გარს,  
დაღვენთილს ფისის თაფლისფერ ფიჭებით;  
ცეცხლი ცისფერი ენებით მოუხმობს ქარს...

შფოთავენ ხეები (დაფეთებული ჯოგი ჭიხვების),  
ადენენ ცრემლების თქორს,  
„— აქა ვარ... აქა ვარ!..“ — ქედიდან ჭიხვინებს  
ქარი და მოანგრევს ფიჭვიან გორს.  
ცეცხლი ცისფერი ციმციმით მოუხმობს ქარს...

ენარცხებიან მშობლის მკერდს მყარს  
ხეები მოხრილნი ხანძრის მახვილით,  
„— დედილო, დედილო, შენ საით წახვედი?..“ —  
ეძახის ყრმა ფიჭვი დედაფიჭვს მკვდარს...  
ხანძარი ხარხარით უხვდება ქარს.

პირველი სალამი: ლეკვებიც ქარისა აყეოდნენ!  
მხარეთა პირობა: ვიბრძოლოთ ერთობილ მთელი დღე!!!  
ბრძანება საერთო: ხანძარი განიერცის არყებზეც!  
ბრძანება მეორე: დაიწვას მთელი ტყე!!!

ლოცულობს ტყე: ზეციდან თხოულობს ცვარს,  
გლოვობენ გორები დარჩენას უჩიხოდ;  
ქარი კი მუქარით შეჭირვის ცას:  
„— სხვა მხარეს გაგოხე ღრუბელთა ოჯახი!!!“  
ცეცხლი ცისფერი ენებით აქეზებს ქარს!

## ღ ე ჭ ს ი პ ი

ლიტერატურის მუზეუმის ფონდებში ინახება მონიღილი საერთო რეკული, რომელსაც წარწერილი აქვს „ვასო აფეიაურის ნაწერი ლექსი-ბი“. ამ აეტორს ეკუთვნის ფართოდ გამაურებული ლექსი „ტყეებს ნუ სჩეხავ, ძმობილო“, მიუხედავის ამ ლექსის დიდი პოპულარობისა, ბიოგრაფიული ცნობები მის აეტორზე საქმიან ძუნწად არის წარმოდგენილი თვით სპეციალურ კრებულებშიც კი, რომელიც მიძღვნილია ხალხური პოეზიისადმი. ასე, მაგალითად, რუსთაველის სახ. ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის მიერ გამოცემულ ხალხური პოეზიის მე-თორმეტე ტომში აღნიშნულია: „შეიძლება ოქვას, ვ. აფეიაური ერთი პირველთაგანია, ვინც თანამედროვე ხალხურ პოეზიაში შემოიტანა ტყის დაცვის თემატიკა; საყურადღებოა, რომ აეტორმა თვით ტყე გამოიყენა ერთგვარ სააგრძაციო საშუალებად. ამას მოწმობს მისი ძმის გ. აფეიაურის მიერ გაღმოცემული ლექსი „ტყებად მიწერილი“, რომელიც მას 1925 წლის 12 მაისს, გუარების ეკლესიის მახლობლად ჩამოთლილ წიფლშე მიუწერია: „აკაცი, ტყეს რატომ მიუჰყებ, შენი თუ მართებს ვალია, რატომ სცრი დაუზიავეთ, ტყე საქართველოს თვალია“ და ა. შ.

ხალხური პოეზიის იმავე მეთორმეტე ტომში აღნიშნულია, რომ „ვა-სილი უნდა იყოს პირველი მსოფლიო ომის მონაწილე“, რომელიც თავის ლექსებში აღძრავს შევაეყ სოციალურ საყითხებს, პემობს თვით-მშენებლური ჩეტიმის მთელ სისტემას და მოითხოვს ქვეყნის რევოლუ-ციურ განახლებას; ვ. აფეიაურის ლექსების თემატიკა ძალზე უზუელია, ქრძოდ, სიანტერესო მისი ლექსები, რომლებიც მიძღვნილია დიდი ქართველი პოეტების—აკაცი წერვთლისა და ვაჟა-ფშაველას ხსოვნისადმი, რომელიც, როგორც ჩანს, დაწერილი უნდა იყოს ამ პოეტების გარდაცვა-ლებისა და სახალხო გლოვის დღეებში. ქვემოთ ვაქვეყნებთ ამ ლექსებს.

გორგი ნატროშვილი

## პარაგ ჯირეთლის სიტვდილზე

ტირის მტკვარი და ორავე,  
 მთანიც ირლვევა ქლდიანი,  
 ნუმც გაუგონავ ჩეენს ყურსა  
 ეგეთის მოყმის ზიანი.  
 დამგლოვიარდა მთა-ბარი,  
 ზარი გაისმის ხმიანი,  
 ქვითინებს ვაჟა-ფშაველა,

მთა შეძრა ყინულიანი;  
 მთიელ-ჭევსურნი-ფშაველნი  
 დავრჩით ოხერნი ტიალნი,  
 სანამდე გვჟავდა აკაკი,  
 ვიყვენით დავლათიანნი,  
 ეხლა დავჯაროთ კარები  
 და დავსხდეთ თვალცრემლიანნი.

### გოდება გაზა-ფულას სიკვდილზე

გიტირებ ვაჟა-ფშაველავ,  
 ცრემლსა ღვრის მთების თვალები,  
 ფშავ-ხევსურეთი ქვითინებს,  
 კლდენიც ბანს აძლევს სალები,  
 ერთობ მოგმართავთ მთიელნი,  
 ერთობ კაცი და ქალები  
 და ვერც მოგაყრით მიწასა,  
 კარგი ხარ, შაგვებრალები...  
 ირლვევა საჭიხვეები,  
 მთებს ჩამეებსნა კარები,  
 ტყუილათ ფიქრობთ, ორგულნო,  
 ვაჟა-ფშაველა მკვდარია,  
 იცოცხლებს ვაჟა-ფშაველა,  
 სანამდე მზე და მთვარია,  
 აყვავებული გაწირა  
 მთიელთა მთა და ბარია,  
 იმას ვერც ყინვა დააზროს,  
 ვერც მთების აეიდარია...  
 გლოვობენ საჭიხვეები,  
 ღამდამ დასტირის მთვარია,  
 ფშავ-ხევსურეთის ქვითინმა,  
 მთები ერთურთში არია,  
 სიკვდილს ხმლით ემუქარება  
 მთიელთა საუბარია.

## არაგვი

აღიდებული არაგვი,  
 ქვა-ქვიშას ამგრევს ძირითა,  
 გამოუთხარა ფესვები  
 ლიბოს, ნაშენებს კირითა.  
 მტკვარი იერთებს, ითვისებს  
 გიურ არაგვის ყვირილსა,  
 კალმახი, ორაგულები  
 ლოდების ჭექა-ჭუხილსა  
 თან აყოლებენ წყლის წმასა  
 თავის დარდსა და წუხილსა;  
 მაგრამ ეგ მტკვარი გულმძიმე,  
 მოწამე მრავალ უამისა,  
 არ უკვირს, არცა მღელვარებს  
 სიგრძე ერთისა წამისა,  
 არც ასდევს სხვების კიშინსა,  
 მნახველი ბევრის რამისა,  
 ცუდი წავა და კარგს ელის,  
 როგორც სიზმარი ღამისა.

## ათას ცხრაას ხუთში ნათჯამი

ვინც დეესწრობა, ის ნახავს  
 ჰყვაოდეს ჩეენი მთაბარი,  
 ია და ვარდით შეიმქოს  
 ნახნავ-ნათესი, ნაბარი,  
 ვაზსა რქა განედლებოდეს,  
 აივისოს ძველი ჭურები,  
 არი-არლალოს იძახდნენ,  
 ბიჭები ჩვენებურები.  
 გაგლეჭ-გაყვლეფის მოთავე,  
 სცხვენოდეს, იმალებოდეს,  
 კერპთმსახურობა მოისპოს,  
 მსხვერპლი არ იწირებოდეს...  
 მუშას თვის ოფლით ნაშრომი,  
 ისევ თითონა რჩებოდეს,  
 სიმართლის დროშა ამართონ,  
 მას შეხაროდეს ქვეყანა,  
 კაცთ სიყვარული გახშირდეს,  
 გაქრეს, გაწყალდეს სატანა.

## მთის ტირილი

მთაო, ნუ სტირი, ტიალო,  
 ცრემლებს ნუ აფქვევ ღვარათა,  
 მწე გაგანათებს, გაგათბობს  
 დადუმდი, იყავ წყნარადა!  
 იძევ მოგივა ირმის ხრო,  
 მთას მოეფინოს ფარადა,  
 დახედოს ლალმა არწივმა,  
 თვალი დაავლოს მგზავრადა.  
 მაგრამ მოებს შავი ნისლები,  
 დასტრიალებენ თავზედა,  
 უდროვოთ დაეცემიან,  
 მთას ცრემლს მოგვრიან თვალზედა...  
 ემუქრებიან მთაბარსა,  
 ძველებურ სესხ და ვალზედა,  
 მთას ჯერ არ გაღვიძებია,  
 მიძინებულსა მხარზედა  
 ცხრა თვის ძილ იცის, დევური,  
 ნაბადი ხურავ ტანზედა.

1892 წ.

## სიონ კურდელაშვილი

### მ ო ო ხ ო ო ბ ა

ნიკო კურდელაშვილი, მწერლობაში ნარქანის ფიცვდონიშით ცნობილი, შე-19 საუკუნის დასასრულისა და შე-20 საუკუნის პირველი ნახევრის მრავალმხრივი შოღგაწერა. მისი მხატვრული ნაწარმოებები, სტატიები, მოგონებები გამოიჩინება უშუალობით, მხატვრული სისაღაებით და უტრაკლობით. ნარქანი დროულად ეხმაურებოდა თავის დროის ისტორიულ მოვლენებს.

ნიკო კურდელაშვილი დაიბადა 1872 წლის 2 იანვარს, ქ. თელავში. მის შშობლებს იმ დროისთვის კრგი შინაური განთლება ჰქონით მიღებული. ნიკო კურდელაშვილი თავის აეტობითგრაფიაში წერს: „მამაჩემი რეჩიტატივით გვეკითხავთ ხოლმე „ვეფხისტყაოსანს“-ო.

ნიკო კურდელაშვილმა 1888 წელს დამთავრა თელავის სასულიერო სასწავლებელი და სწავლა თბილისის სასულიერო სემინარიაში განაგრძო, საიდანაც იგი 1892 წელს გაირიცხა სხვა რეკოლუციურად მოაზროვნე სემინარიელებთან ერთად.

ნიკო კურდელაშვილი სხვადასხვა დროს თანამშრომლობს ქართულ განეთებში, ეწევა პედაგოგურ მოღვაწეობას. მუშაობს სართისეულის, პანკისის, ხაშმის და კავკავის სკოლებში მასწავლებლად. ივი იქტიურად მონაწილეობს რეკოლუციურ მოძრაობაში, მათვე დროს არსებს და ხელმძღვანელობს. სახალხო ბიბლიოთეკებს, მომღერალთა გუნდებს და დრამატულ დასებს, მის მიერ დაგმულ პიესებში მთავარ როლებს თვითონვე ასრულებს.

1906 წელს ნარქანი სამუშაოდ მიემგზავრება ჭიათურაში, სადაც იგი ეპნობა მუშათა ცხოვრებას და განაგრძობს რეკოლუციურ საქმიანობას, იქ მიღებული შთაბეჭიდილებაზი ნარქანმა გამოიყენა თავის ნაწარმოებებში, რომელთაგან ერთ-ერთს ვთავაზობთ მკითხველს.

ლამარა ხელაძე

### პიათურის მაღაროში

ეს იმ დროს იყო, როდესაც პირველად ფეხადგმული ცხრას ხუთის რეკოლუცია, საბედისწეროდ დამარცხებული, შავრაზმელების ფეხით ითელებოდა და გააფრთხებული რეაქციის სუსს დაქსაქსული და დაჩიავებული ხალხი საკუთარ ნაჭუში ჩაეძრინა და იქიდან უგნიასოდ აცემისინებდა დამფრთხალის თვალებით.

ეს იმ დროს იყო, როდესაც საძალის ხევში ყაზახების ტყვებმა



გაპეტრეს რეაქციის ურჩი მებრძოლები — აფრასიონ შერკვილაშვილის

მისი ძმადნაფიცნი.

სოფლიად კი, გლეხის კაზმიდამო კვლავინდებურად ჩაპეტრიკიტებდა ყოველდღიურ სახრუნავს არსებობის შესანარჩუნებლად.

შავი რეაქციის წაბაძულობით თიქოს ბუნებაც გააჭნებულიყო და საშინელ გვალვას გადაეხრუყა მთელი ჭირნახული.

მოუსავლიანობის მომლოდინე გლეხეაცობა საგონებელს მისცემოდა და მუშახელი სოფლებიდან დაიძრა გარეშე საშოვარზე, რომ ოჯახი როგორმე დაეპურებინა.

სესიკას ღარიბ ოჯახში სულ სამი სული იყო, მაგრამ ამათაც კი სიმშილის აჩრდილი იეტუზათ კარწინ. სესიკამ და ტასიამ ამიტომაც გამოიმტეს თავის ერთადერთი შვილი, შელერებული ვაჟკაცი თედო, სამუშევარზე უცხო ადგილებისაკენ გასასტუმრებლად.

გული მით უფრო არ ეთანალრებოდათ, რომ ამ სოფლიდან ათიოდე ბიჭი ერთად მიემგზავრებოდა და ტოლ-ამხანაგები უცხოობაშიაც ერთმანეთს გაიტანდნენ, უპატრონებდნენ.

სისხამ დილით აიწა სესიკას ოჯახობამ.

ტასიას ღიმითვე დაემზადებინა თედოს საგზალი: დაერეცხა წინდა-პატიკები და ერთი ხელი საცვალი, დაეკლა ერთი ვარია, ბოსტანში მწვანილეულობა მოეკრიფა. მეზობელს ახლად ნამცხვარ პურებს და-ჰსესხებოდა, მოეჭრა გულის ყველი და ყველა ეს წითელ ხელსახოცში გამოეკრა.

საზაფხულო სამუშაოზე ისტუმრებდნენ თედოს.

თედოსაც მზისათვის აესწრო და ტოლ-ამხანაგებისაკენ გაეწია.

იმის დედა ტასია კი ხატის წინ შინ ჩამოქნილი თაფლის სანთლები დაენთო და დიდხანს ავედრებდა ღმერთს თავის ერთადერთ, კოუ-ანდარ შვილს, შესთხოვდა მის მშვიდობიან მგზავრობას და მშვიდობით დაბრუნებას.

თედოც მალე დაბრუნდა ტოლ-ამხანაგებიდან. ტასიამ ხელით ანიშნა და ოჯახს წევრები ყველანი დასხდნენ ტატეზე. ერთხანს სიჩუმე იყო. მერე ჯერ სესიკა წამოდგა, ქუდი მოიხადა, პირჯვარი გადაიწერა ხატის მხარეს და მიუბრუნდა შვილს გზის დასალოცად:

— ღმერთი გიძლოდეს, შვილო! — და აცახცახებული მკლავებით ჩიიკრა მოხუც გულში. ჩამოგრძელებულ წვერებზე უნებლიერ კურცხალი ჩამოუგორდა.

ტასიას ხომ მზათა ჭირნდა დედის ცურემლები.

— შენ თავს გაუფრთხილდი, აგრემც დაგენაცვლება დედის ძუძუები, — იცრემლებოდა ტასია და თედოს გულში ინუტებდა.

— აღუა! რა გატირებს, დედი?! კირკიტათ იყავ, კირკიტათ! — თედომ ხელში უიტაცა ტასია და ჰაერში შეათამაშა.

— როდის-ლა უნდა დაჭივანდე, ბიჭო?! დამსვი, ქა, დამსვი! —  
ფართხალებდა ტასია შვილის მკლავებში.

— ଲାଗୁପାଇଁ, ଆ ତିର୍କାଳାବା ମନ୍ଦିରପ୍ରେ, ଏହା ଅଳାର ବିଶିଷ୍ଟରେ! — ବେଳକାନ୍ତେବ୍ରାତା ଯେତାଙ୍କ ଦା ତୀରସାବା ବେଳଶି ଆମାରକେବଳା.

— თელო! აპარ, თელო! ბიჭოო! — მოისმა გარედან თელს  
აჩხანავ ბის ხმა.

— აბა, ახლა კი წაგალ. მშეიღობით და გამარჯვებით იყავით! —  
თუდომ კიდევ დაპკოცნა მშობლები და გზას გაუდგა.

— დედი, თინაზედაც თვალყური გქონდეთ, — მორცხვად ჩაუ-  
ლაპარაკა დედას ყურში და ორლობეში გამოვიდა.

— გოგიავ! ლექსო! თბლავე მოვალ, ახლავ! — გისძიხა მან ჯვარე-  
დინ გზაზე მომლოდინე ამხანაგებს და იქვე მეზობლად წამოხრილ  
ქოხში შეირბინა.

იქ იყო მისი საგულე, მისი სიცოცხლის ყვავილი, მისი გულის  
ჭრი.

• 6 •

— უი, ქა! — შეკველა თინამ თედოს დანახვაზე, სარეცხის ხოს თავი მიანება და ქოხის კუთხისაკენ გაექანა.

— ევის, რა ძაან გარშიხარ, რა?! პირი სანახავსა მოხოვ თუ? ჰაა,  
გიგინ?

თინამ მარდათ ჩამოიშალა აყალთავებული კაბა, შეკაპიშებული მა-  
ჯები ჩამოიშვა, კისერზე გადაგდებული, პრტყელყვავილებიანი ჩითის  
თავსახვევი თავზე მოიგდო და თელოს შემოეგდა.

— ଓ, ରା ପୁଣିକୁଟ ଫ୍ରାମିଲ୍ଡଗ୍ରାମିକାର, ରା ମିନଦ୍ରାତି? — ଏହା ଅଲ୍ପଂ  
ଲୋମ୍ବିଲୋଟ ଶ୍ରେଷ୍ଠରୀଳା ତ୍ୟାଗିବି.

მისი მელნის ტბა, კუპრივით შავი თვალები, მისი დაბრაშული, ფუნთუშა ლოები, რომლებიც გაღიმებისას ორ მაცდურ რჩმოდ ინასკვებოდა, მისი ვარდისფერი პატარა ტუჩები, ქარქარა სადაფის კბილები, მეცრივი ნიკაპი, რომელიც პურის ცომივით შუაში ჩაჩრიობილიყო, მისი ღაბათა ყელი და მაცდურად აბურთული მკერდი ისეთი სინორჩითა და სიცოცხლით კრთოდა, რომ კუპიდონის ჩაფერეფლილ სამსხვერპლოსაც არსებაში მოიყვანდა, უგრძნო ქვასაც აღუმრავდა ქვეყნიურ გულისთვისა. —

თეოდ დაიბნა. მაღალ-მაღალი, ჩასხმული, მხარბეჭიანი იდგა  
დაბნეულად და კროლა თვალებს ქერა წამწამებილან მოუსევნრად  
ყელვარებდა. მოკლე ტუჩები კუშტათ მოეკუმშა, ჩალისცერი ხუჭუჭი  
თბა წარბებამზღვე წამოპქოჩილდა, აზლადაშლილი, ქერა ულფაშები ტუ-  
ჩებს არ დასცილებოდა.



იგი იდგა გაშტერებულივით: თინას სიახლოვემ და მისმა ჟურნალური განცხადა მთლიად დაავიწყა, რისთვისაც მოვიდა.

ამ სიჩუმეში თინასაც გული გადაუქანდა, ვინ იცის, რა ფიქრმა არ გაურბინა სიყვარულით დამდნარ აჩქროლებულ გულზე.

— ქშა! აქშა! ქშა! — დაუტატანა თინამ კარგბში კაյანით შემოსულ დედალს და დერეფნამდე გააცილა, თან თავსახვევს ისწორებდა. შემობრუნდა, სარეცხის ხონი ტახტ ქვეშ შეაცურა, წყლის ლიტრა კედლისკენ მიღვა და ტახტის ბოლოში ჩამოჭექ!

— რატომ არ დაჯდები, თედო? ემაგერა ტახტზე ჩამოჭექ! — სიჩუმე დაარღვია თინამ.

— მეჩქარება. მელოდებიან, — უპასუხა თედომ და თუშურ ქუდს ხელში აწვალებდა.

— თინავ, დღეს სამუშაოზე მივდივართ და შეწს სანახავად შემოველ. იქიდან რო დავბრუნდები, მაშინ...

— სად მიდიხარ? მერე, როდიპლა დაბრუნდები, როდიპ?.. ნუ წახვალ, თედო, ნუ! ეხლა... წახვალ და ვინ იცის, — თინამ სიტყვა ვერ დაათავა, გული აუჩუყდა, პაწია ტუჩები გამოებერა, სახე მოელუშა, გიშრის თვალები მიებნიდა და უზომო სევდა ალიბეჭდა მის სახეზე.

— ჩემმა მზემ, პირვერიპ მადლმა, მალე დავბრუნდები და...

— შენ სუ ასე იცი!.. სუ მატუებ, ხვალე, ხვალეო და... როდიპლა, როდიპ? — სიყვარულის საყვედლურით უპასუხა თავდაღუნულმა თინამ, თავსახვევის ბოლოებს ხელით აცოდვილებდა და დანამული თვალები თედოს მიანათა.

— ნუ ჰტირი, ნუ! აბა, რა გატირებს? მალე ჩამოვალ! მაპ, საქორწილოთ სახარჯო არ გვინდა?! — ანუგეშებდა თედო და თან გვერდით მოვჭდა.

ამ ნუგეშმა უფრო გრძნობათ დაადნო თინა, ასლუეუნდა და ორი მარგალიტი ჩამოუგორდა ლაწვებზე.

აქ კი ჭაჭევი ასწყვიტა მალულაობამ და კრძალულების პირსაბური მოიგლიჭა.

ორი შეყვარებული გული გაერთიანდა. სიღარიბეში და სიდუჭეირეში გამოზღილი, ცხოვრების სათამაშოდ გამხდარი ორი ტანჯული არსება ლეთაებრივ ნეტარებას მისცემოდა, ტუჩი ტუჩის შესწებებოდა. ითრთოლებულ მკლავებში სწურავდნენ ერთმანეთს. სუნთქვა შეეკრათ, ნერწყვი გაუშრათ პირში.

იმ წუთას მათვის აღარაფერი არსებობდა ქვეყანაზე, მხოლოდ ოთხი ტუჩი ჩასწებებოდა ერთმანეთს, მხოლოდ ორი მკერდი ჩახუტებულიყო, მხოლოდ ორი არსება პფეფექვედა მთელის სიცოცხლით, მხოლოდ ორი ბედნიერი გაერთსულებულიყო.

ეს იყო პირველი ამბორი პირმშო სიყვარულისა.

ეს იყო ლვთაებრივი ნეტარი ქვეყნიური ნეტარებისა.

— კარგია, კარგი გეყოფა! — ტიტინებდა თედოს მკლავებში გრიგორიანული წურული, ათრთოლებული, დაბნედილი თინა.

— ერთიც! ერთიც, ჩემო! ერთიც! — ჩურჩულებდა გაოგნებული, ათახთახებული თედო და ტუჩებზე აკვდებოდა იმ ელემის ნეტარებას, ამ სიცოცხლის ნეტარს, თითქოს უნდა შეეხორცოს მის მეტრდს, შეისუნთქოს მისი სული, ისუნთქოს მისი სუნთქვით, დაღნეს, დაღნეს ნეტარებით, მოიქლას დაუშრეტელი წყურევილი და უინი დღემდე თავ-შეკავებული სიყვარულისა, თავდავიწყებას მიეცეს.

— აპაი, თედოოო! — მოისმა ძახილი ორლობიდან.

— აი, მოვდივარ, მოვდივარ! — გასძახა თედომ. — მშეიღობით, ჩემო კუკრუჭანავ, მშვიდობით! — ეთხოვებოდა თედო. ერთიც ემთხვია იმ ღაბოა ყელში და დარეტიანებულივით გამობარბაცდა ღანიშნულის სამყაროდან, ფეხები არ ემორჩილებოდა, მუხლები უკანკალებდა და და გული ისევ უჩქროლავდა, ხახა ამომშრალი ჰქონდა.

თედომ ამ ქოხის კერაზე დასტოვა თავისი გული, აქ იყო ეხლა მის-თვის მეორე, უფრო ძვირფასი, უფრო საყვარელი სულის . სამყარო, ვიდრე მშობლიური კერა.

\* \* \*

თედო და მისი ტოლ-ამხანავები ტფილისში ჩასვლის შემდეგ, რკინისგზით გაემართნენ ბეჭის საძიებლად ჭიათურის მაღაროებისაკენ.

მეორე დღეს, როდესაც მატარებელი ხვენეშითა და კორაანტელით სურამის გვირაბში გაძერა და შორაპნის სადგურზე გაქრდა, ჩენი მგზავრები გადაბარგდნენ ჭიათურისაკენ მიმავალ მატარებელში.

მდინარე ყვირილას ვიწრო და მიხვეულ-მოხვეულ ხეობაში სტვენა-კვილითა და ქშიტინით მიხრივინობდა პატარა ორთქლმავალი და წელ-მოწყვეტილი ინდაურივით აქეთ-იქით აქანქარებდა პატარა ვაგონების ქარავანს ვიწრო ლიანდაგზე, თითქო ესაა — ან ეხლა მოიქნევს ბოლოს ან ეხლა, და მგზავრებიანათ ყვირილაში გადაუძახებსო.

ყვირილას ტურფა, ჩირგვენარიანი ბორცვებით და ენენახებით და-ფენილი ხეობა მთების დაკლაკნილ მკლავებში ჩაჭედილიყო.

დაქანებული მთების ფხანწალა ფერდობებზე და კორდების ქინებზე ხნულები მოსჩანდა, სადაც აქა-იქ, ქაჩლად სიმინდს ამოეყო თავი და ცისნამდანატრებული, ნაღველმორეული აღამიანივით გაყ-ვითლებულიყო. აქაც, როგორც ყველგან ჩვენს ქვეყანაში, გვალვას მთლად მოეფშრუეა აჩახით ნაჩიჩენი თიხნარი ხნულები.

ძირს ხეობაში კი სჩქეფდა შავად შელებილი მდინარე კლდე-ლრიან კალაპოტში და არცთუ ისე ყვიროდა, რომ მყვირალას დამსგავსებოდა.



თუმცა იგი მართლაც ყვეირილა იყო, მაგრამ მისი ხშუილი არანებულება ებრა წეობას, პირიქით, თითქოს სადღეისო გულმკედარობა ჰქონავს  
დასტყობობდა, თითქოს ცხოვრების უკულმართი ჩარჩის უკულმართი  
ტრიალი იმასაც ჩაწერდენოდა გულის სიღრმეში, თითქოს საძალის  
ხევში \* დახოცილი ძველი და ახალი გმირების ხსოვნას მისთვისაც ჩა-  
ეკლა გული და მოთქმის ზარს დასძახისო, დაღესტნის ბეღშავი ხანის  
მიერ გადამწვარ და აწიოკებულ ქვეყანას \*\*.

გულმოკლულ ადამიანს ხომ ბურნებაც გულმოკლული ეჩვენება,  
ბეღნიერს ხომ ყველანი ბეღნიერი ჰგონია,— იქნებ აქაც ასე იყო ბუ-  
ნება!

\* \*

ნაშუადლევის სამ საათზე მივიღნენ ჭიათურაში და საღვურზე ჩამო-  
ბარგდნენ.

ჭიათურაში სამუშაოს ძებნა და შოენა არც ისე ადვილი საქმე იყო,  
როგორც ეგონათ ჩვენს გულლია და გულმართალ ბიჭებს.

ჩვენი ქვეყნის ყველა კუთხიდან ათასობით მოსწყობობდა, გვალ-  
ებისა და შიმშილის აჩრდილით საგონებელში ჩავარდნილი, სიღუცეი-  
რისაგან დევნილი სოფლის მუშა ხალხი და სამუშაოს მოლოდინში  
გულგალეულნი უკანასკნელ მოთმინებას ლევდნენ.

აქ ნახავდით ოსს, სომეხს, ბერძენს და სპარსელსაც კი.

იმ გაძლიერებულ რეაქციის ხანაში ხალხის კეთილდღეობაზე  
„მზრუნველი“ და მშეიძლიანობის „ფინიშელი დარაჯი“—ადმინისტრა-  
ცია კი სუნით დაეძებდა საეჭვო პირებს სამუშაოს მაძიებელთა შორის,  
ატუსაღებდა და გუდანაბაღაკიდებულს უკანვე ისტუმრებდა დამშეულ  
კერაზე და ხშირად უფრო შორსაც. ზოგს ტერორისტად ნათლავდა,  
ზოგს ნაცამბირლად, ზოგს აგიტატორ-პროპაგანდისტად და ბუნტის-  
თვადა. ზოგის ცხვირი არ მოეწონებოდათ, ზოგის დაგრძელებულა  
ომა, ზოგის „შოკე“, ან შავი ბლუზა, ზოგის სიარული...

ერთი სიტყვით, საქმარისი იყო ვისიმე „ფართხეთი“ არ მოსწონე-  
ბოდა „პეტრუშას“ \*\*\*, რომ ნიშალურამოსმული გაესტუმრებინა აქე-  
დან, თუ ციხეში არა, შიმშილის კერძად მაინც.

ერთი კეირის წანწალის შემდეგ, თედომ და მისმა ამხანაგებმა რო-  
გორლაც იყო იშოვეს სამუშაო ერთს მაღაროში.

\* საძალის ხევში დახოცეს აფრასიონ მერკევილაძე ამხანაგებით.

\*\* ნაგულისხმევა ალიხანოვ-ავარსკი.

\*\*\* ბოქაული კედია.

\* \*

დილის ექვსი საათი იქნებოდა, როდესაც გაისმა მაღაროს დანუ-  
 ლრეული ზარის ხმა და მაღაროს წინ მოზღვაუბული შრომის ლაშ-  
 კარი ააფორიაქა. ყველა დაფაცურდა. თავმდგომი (ზემდეგი) ხელსაწ-  
 ყო-იარალს ურიგებდა მუშებს:

წერაქვები, რკინის ნიჩები, რკინის სოლები, უროები თუ ჩაქუ-  
 ჩები, ურიკები თუ ვაგონები, ლიფლიფები თუ გამშვარტლული პა-  
 ტარა თუნუქის სანათები — ყველა ერთად ამოძრავდა.

აფორიაქებულ ჭიანჭველის ბუდესავით იირია შენიჩე, მეურმე,  
 თუ ჩალევადორი.

— აბა, ჰე! აბა, ყოჩალათ! აბა, მარჯვეთ! ჰე! — ქორივით დასტრი-  
 ალებდა მუშებს ასთვალა არგუსივით ფხიზელი ზემდეგი და ახალისებ-  
 და მაღაროს წინ, ფიცრული ჩარდახის ქვეშ, გორად იმართულ შავი  
 ქვის მუშებს...

მაღაროს კი შავად დაულრენია პირი და თავის უფსკრულში ჰყლა-  
 პავს და ჰყლაპავს მისი მკერდის მისანგრევათ გიმოსულ შრომის ლაშ-  
 კარს.

კუშტი და გოროზია მისი სახე. ხერელის პირი მოუქრუშია. კოპებ-  
 აწეული, მოჭმანული შუბლი მუქარით შეუკრავს და განრისხებული  
 გამეხებით იმრიზება:

აცა როდის, აცა ვის დავატყდე თავზე, ვის დავუბნელო მზე,  
 ვის აუტირო ქულფათი ცოლ-შვილი, ვინ დავანატრულო მშობლის  
 ალერსათ.

ვიწრო და თაღდაბალ მაღაროში წელში მოხრით მიბობდავნ მუ-  
 შები, ეს თავისი ნებით მოსული ნებაყოფლობითი კატორლელები, რომ  
 ძალონე შეანარცხონ შავს ტინის კლდეს, პირისპირ უცეირონ სიკვ-  
 დილს, ეგებ სიკვდილის განსაცდელით დათრგუნონ შიმშილის აჩრ-  
 დილი.

გრძელსა და მიხეულ-მოხეულ მაღაროს ხერელში, აქა-იქ მისახ-  
 ვეში ხრჩოლავს თუნუქის ლიფლიფა, ეს პირველყოფილი სანათური,  
 ეს დიოგნისებური კრაქი, რომლითაც არამც თუ კაცს ან გზას, თვი-  
 თონ სინათლის შუქსაც ვერ გააგნებს ადამიანი ამ ჩავბნელებულ ჭო-  
 ჭოხეთურ უკუნეთში.

მათი ნახრჩოლი მჭვარტლი სულის შემხუთავათ იშლება მაღაროს  
 დახშულსა და ნესტიან ჰაერში, სწამლავს ადამიანის ფილტვებს, კლან-  
 ძავს ამომშრალ ხახას, სუნთქვას ანელებს.

აქა შავი ქვის კლდე-მაღარი. ბაჯალლო ოქროთი არაა ეს კლდე  
 მოკირწყლული, მაგრამ ბაჯალლოდ კი გადიქცევა, რაჭამს მზის შუქს  
 აჩვენებენ.



ეს არის მხეთუნახავი, მსოფლიოს სათაყვანო ქმნილება. სისახლეობა

აյი ამისთვისაც გაისმის მაღაროს სხვადასხვა კუთხეში დაუსრულებელი ბრაგა-ბრუგი, რახა-რუხი, ხვეწა და კიდევ ხვეწა...

ადამიანის დაყორძებული მარჯვენა გულს უნგრევს და ჰელადრავს პიტალო კლდეს თუ ფენა და ფენად გაწყობილ შიგნარევ ზოლს, რომელიც ჩეც-ჩეცათ დაწყობია ერთიმეორეს: პიტალო კლდე, შავი ქვის ფენა, ყალო მიწა, წითელი ფენა, ქვიშნარი და სხვ. ასე დაუსრულებლად მისდევს ჭერქმა ჭერქმას, ფენა ფენას მთის ძირიდან მთის თავამდე და მუშებიც თანდათანობით ხვრეტენ ამ მთის გულს და უახლოვდებიან მის კულს.

— ვეპ! ვეპ! — გაისმის ყველა მხრიდან წერაქვის ხმა.

— ვეპ! ვეპ! — ისმის თედოს ფართო მკერდიდანაც და ლონივრად მოქნეული წერაქვი მარჯვეთ ესობა კლდეს.

— ვაპ! ვაპ! — ხმას ძლევს მკერდშენგრეული ტინი და მორჩილათ გამოუშვერია განშირული მკერდი.

თედოს გვერდით ლექსო მოსდგომია და გამონგრეულ შავქვის რკინის ნიჩიბით ჰქერეტს და გზისაკენ დაგროვილ ხროვას უმატებს.

იქიდან კი ამ ხროვას ურიკებით მისდგომიან და შავი ქვით დატვირთულებს მიაჭრიალებენ გარეთ, ჩარდახისაკენ.

მაღაროში სინესტე, ჭოჭი და ტალახია: გულგახვრეტილი მთა იცრემლება და ნაჭონ ადგილას ძუძუსავით გამობერვია თავი. მთელი მთის სიმძიმე დასწოლია დახრულ, დაფულრუებულ მატაროებს და ბუნებრივი, ორი-საში გოჯის სისქო სალი კლდის თაღები დაუშაშრია, დაუხეთქია და პირდალრენილი წუთი-წუთ ლამობს ჩამოწოლას.

გახურებულ მუშაობაში გართული ხალხი კი ვერ ამჩნევს ამ ყოველწუთიერ განსაცდელს, რომელიც აუცილებელ სიკვდილს უქადის ყველას, ვისაც კი თაღიდან გამოსხლეტილი პატარი ნატეხიც არის დაეცემა: ისეთი ძლიერებით მოექანება იგი ქვემოთ, თითქოს ნატყორცი ყუშმარის ნამტვრევიათ.

აღმართ დიდი და პატარი კრეზები აქაც პირნათლად ემსახურებიან თავის მოვალეობას, აქაც ერთგულად სდარაჯობენ თავის უძირო ჭიბეს, რომ ხელოვნური თაღებით ან ბოჭკინტებით არ შეუმაგრებიათ მაღაროს დაშაშრული თაღი.

გარეთ, მაღაროს წინ, ფიცრული ჩარდახების თუ ღია ცის ქვეშ, საა ურმე გზის პირად დაგროვილია გამზადებული მაღანი, რომელსაც ჩასხდომიან უფრო ახალგაზრდა მუშები, არჩევენ და ანაწილებენ ხარისხებად; იქვე ვერდით იცხრილება წვრილმალი შავიქვის ფხვერი.

აქაა განუწყვეტელი მოძრაობა მეურმეებისა და ჩალვადარებისა. რიგი მიდის, რიგი მოდის, ურმისა თუ ცხენების ქარავანი ქარავანს მოსდევს და მიეზიდება შავქვას ქვემოთ სადგურის ბაქნის მხარეს. ღრიკინებ-



ზე შეგდებული გრძელი მოწნული ჯინები, ფიცარაკრული ურმებულებულების ფურგუნები, გოდორაკიდებული ცხენები ერთმანეთში ირევა.

და სდგას ერთი ყაყანი, ერთამული, გაძახილ-გამოძახილი.

სიცხე-პაპანაქებაში და ყოველთვის, როდესაც კი ავდარი არ არის, ისეთი მღვარი და შავი კორიანტელი სდგას მაღაროების წინ, გზებზე, თუ თითონ სადგურის გარშემო ჭიათურის ჩავარდნილ ტაფობში, რომ თვალის გახელა ძნელდება. მოელი ეს ხალხი ტანისამოსიდან დაწყებული თვითონ ტანის კანიდე შავათა შემურული და გაშავებულ სახეზე შხოლოდ თვალის ბაიებილა გამოუკრთით თეთრად.

ამისთანა დროს, ჭიათურის მიღამო ზანგების სამეფოს ემსგავსება, მზეთუნახვი, ზღაპრული ქალი რომ გააჩეროთ აქ რამდენიმე წუთს, სასწაული მოხდება და უჩინმახინის ქულობას გაუწევს ეს შავიქვის მაღლიანი და სამაღლობელი მტკერი.

აქ კი, მაღაროებში, ამ დევნილ ქრისტიანეთა ქვესკნელის აკლდა-მებში, უძლეველი ყარამანიც კი დაძაბუნდებოდა, მისი მეხივით მცე-ქი ხმა საბრალო ქნავილით გადიქცეოდა.

აკი ამიტომაც, შიმშილის ანაწერად გამხდარი და ბედისწერით აქეთ გაღმოტყორუნილი დღევანდელი ცეროდონა მირანები ვერ უძლებენ მაღაროს შმორიან ხვრელების გესლიან ქშინვას და ზედიზედ, გამუდმებით ორ-სამ კვირასაც ვერ იტანენ ჯოჯოხეთურ კატორლაში მკლავის ქნევას, თუ ერთი კვირით მაინც არ შეისვენეს.

მაგრამ ჯანღონით სავსე თედო გამეტებით ენარცხება სალ კლდეს, გაშმაგებით ურტყამს წერაქვს, ფიქრებში კი თვალწინ უდგას თავისი თინა და მომავალი ბედნიერების მოლოდინით ხალისებს, აქეზებს.

ნაშუადღევის ოთხ საათზე გაისმა მაღაროს ზარის ქლრიალი და გა-მურული მუშები ხვრელებიდან გამობობდნენ, ხელსაწყო-იარაღები ზემდეგს ჩააბარეს და გასწიეს თავთავის ბინებისაკენ.

თედოც თავისი ამხანაგებით გაეშურა სერზე წამომდგარ ფიცრულისკენ.

\* \* \*

დასრულდა დაუსრულებელი მაისის დღეც, მაღაროები მიწყნარდა.

ურმებისა და ჩალვადრების ქარავანი მიიჩქმალა. საურმე გზებზე მისწყდა ფეხის ხმა, ხოლო საცალფეხო ბილიკებს კი დაეტყო სი-ცოცხლე: ძირიდან სერებისაკენ და სოფლებისაკენ შავად მიეშურებოლნენ ჭიანჭველასავით გაბმული მუშები.

შავი ქვის სამეფომ ჩვეულებრივი სოფლის სანახაობა მიიღო.

მაღლა, სერებზე გამწერივებულ ფიცრულებიდან, ამ მუშების ბი-



ნებიდან მოისმოდა ურიამული, ხმაურობა, სევდიანი დაქანცული ღი-ლინი, ხან კი ცეკიტი, ხალისიანი კრიმანცულიც, აქა-იქ, ეზოებში ბლლარძუნი, ჭიდაობა და ფერხულიც გაიმართა.

საკერველი ქმნილებაა ადამიანი: თვით ჯოჯოხეთშიაც კი იფოლა-დებს გულს!

ბოლოს ბუნებამ მაინც თავისი გაიტანა: დაქანცულ სხეულს საწო-ლი უყვარს, მოლლილ ჯანს დასვენება ესავიროება.

და მალე მიყურსდა ყველაფერი.

ძილს მიეცა შრომის ლაშქარიც, რომ ხვალინდელ დღეს ისევ შრო-მით შეგებებოდა.

ოჲ, რა ტკბილია დამაშვრალის დასვენება, რა ლვთაებრივია დაქან-ცულის ძილი!

დამის სიბნელე თავისებურ პირბადეში ჰქვევს არემარეს და აქაც ვარსკელავებით მოჰკედილი ზენასამყარო მომხიბლავ ელფერსა სდებს შავი ქვის სამეფო — ჭიათურის მთა-გორიან ვიწრო ხეობას.

სძინავს მთელს ხეობას.

არ იძინებს მხოლოდ ანცი ნიავი და ყრუ ხეობათა ჩურჩულს და-აქროლებს სერიდან სერიად.

არ იძინებს სადგურზე მოსრიალე ორთქმავალიც და ათასნაირ ჰანგ-ზე გაპკივის და ქ'შიტინებს. მის კივილს ხმას აძლევს ულრანი ღილე და წყვდიდი ხევ-ხევები.

არა სძინავს არც თელოსა და შამფურივით ტრიალებს გახროკილ ტაბტზე. შორს გაფრენილა მისი ფიქრები, ცხრა მთას იქით გადახვეწი-ლა მისი გულისთქმა, შშობელთა კერას რომ თვალი დაპრჩა, აბლა თი-ნას ქოხს დასტრიალებს მისი ოცნება — იქ არის მისი ღერძი ცხოვ-რებისა, მისი აზრი არსებობისა, მისი ნექტარი უკვდავებისა, მისი და-უშრეტელი სათავე გარჯილობისა, მუყაითობისა, შრომის სიყვარუ-ლისა.

— იი, შენ კი გუნაცვალე მა ღმერთში, მა სეფისკვერის ყელში! — უალერსებს თედო თავის გულის ხატს და ფაფუკ ღაბაბზე სათუთათ სჩქმეტავს, მაგრამ თინას ღაბაბის მაგიერ, ლექსოს ცხვირზე წაუვ-ლია ხელი და ნაზად ცცაცუნებს.

ლექსომ ბურანში წაიბურტყუნა, შეიშმუშნა და მხარი იცვალა.. თედო კი ისევ სიყვარულის ბურანშია.

მან დიდხანს იტრიალა გამხმარ ტაბტზე, მაგრამ ძილი მაინც არ მიეკარა მის თვალებს. წამოლგა, ფრთხილად გადააბიჯა ჭერახებივით შიყრილ ამხანაგებს და დერეფანში გამოვიდა.

საშავარდნოს კონტჩე მთვარე წამომდგარიყო და ჩრდილები წა-მოეწვინა ვიწრო ხეობაში.



მაღალი სერის კალთობზე, კლდეში შეჭედილ ჩარდახის ბანუფეხურით დასცერის თევზ ძირს, მის წინ გადაშლილ ჭიათურის ვიწრო ჯვარედინ ხეობას, რომელსაც ყვირილა ჩამოშხუის.

ირგვლივ, პირქვე დამხობილ ბუმბერაზ გემებივით წამოწოლილან ამოზილული, ხავსმოკიდებული დამორილი მთები.

სერის ფერდობზე მოსჩანს ფიცრული ჭიათურის ბინები მუშებისა, ძირს კი — ჭიათურის მოსახლეობა.

სერის ძირებს გასდევს მაღაროს ხერელები, მოსჩანს დაკლაკნილი საურმე გზები, საცალფეხო ბილიკები, რომლებიც ყველა მხრილან მოიზლაზნებიან ჭიათურის სადგურისაკენ.

ძირს კი — ყვირილის ნაპირად, სადგურის გადაღმა ამართულია უთვალავი ხელთქმნილი შავიქვის მთები და ისე შავად, პირქუშად გამოიყურებიან, როგორც ფისგადაკრული შავი ზღვის უძირო სიღრმე.

ესაა მუშის დაკორძებული მარჯვენით დანგრეული და კვლავ ამართული შავი ქვის მთები. ესაა სალარო და განძი სიმდიდრისა; ესაა საბაბი ეგოდენის ტანჯვა-ვეებისა, მშრომელი ხალხის სიდუხშირისა; ესაა მიზეზი ეგოდენის ქიშპობისა და ცბიერებისა. აქა წყარო სიმწარისა და ფუფუნებისა.

კინ მოსთვლის, რამდენ მანქანას ჩამოასხამენ მისი შემწეობით, რამდენ თოფ-ზარბაზანს გააფოლადებენ, გამოსცედენ და გამძლეობას შეათვისებენ ამ შავი ქვის წყალობით... რომ ამავე ხალხს გაუფათრონ მკერდი, თავისავე შემოქმედს გაუმწარონ სიცოცხლე, აწყვევლინონ შავედი!

შუქმინარი მაისის მთვარიანი ღამე კი — ეს ჯადოსნური ბუნების ჯადოსნური ღამე — ისეთის სინაზითა და იღუმალებით ფშინავს, ისეთი გრილი სიო მოპბერს, რომ გულგაჟსუბულ ადამიანსაც დაავიწყებს ქვეყნიურ ტანჯვას, გაუმრთელებს დაკოდილ იარას, მოაწყურებს სიცოცხლეს, მიაყუჩებს მის გონებაში მაღაროების ჯოჯოხეთობას, წამიერად მაინც დაავიწყებს ადამიანთა ცბიერებს და მუხანათობას, შეარიგებს ყოველდღიურ სიდუხშირესა და გულის კვნესთან...

თედოს უბირ გონებაშიაც იფურჩქნება, მისთვის გაურკვეველი, მიუწვდომელი ოცნებანი, მისი გულიც დაუმონებია დიადი ბუნების დიად ფეთქვას და გარინდებული გაჟყუჩებია იგი ღამის სიოს.

ძირს კი, სადგურზე, განუწყვეტლივ სრიალებენ ქშიტინა და მყვირალა ორთქლმავლები.

სადგურის მარცხნივ, მაღალი მთის დაშვებულ კალთებზე აქმრილ ბუჩქნარებში კი პატია უუკუშა ვარსკვლავებივით ციალობენ



მფრინავი ციცინათელები და გრძნობად დნებიან უკვდავი სკონაზე მოს გარდაუვალი მგოსანი — ბულბულები.

სამოთხის ნეტარება და მაღაროს ჯოჭოხეთური ცხოვრების კვნესა ერთად მოთავსებულია აქ, ბედნიერებასა და სიგულმქვდარეს ერთად ჩაუბამთ ფერხული, სიცოცხლე და სიყვარული გადაპენევია ერთმანეთს, გულშეა ბუნება და გრძნობის ტბა — ადამიანის გული — ერთმანეთში იხლართება.

და თედოს გაუწვრთნელ გონებაში ბურუსიანი სიშმარივით ისახება აზრის ნატამალი.

— ეპ! რათ არი ის, რაც არი. რატო არ არი ისე, როგორც უნდა იყოს!

მაგრამ მისი გონება ვერ ერკვევა ცხოვრების ჩახლართულ სათავეში, მხოლოდ მძმე ლოდივით გულზე აწება სევდა და მწარე ოხვრა ამოსკედება გულიდან.

— ვაპ! ვუაპ! ვაპ-ვაპ-ვუაპ! — გაისმა ამ მყულროებაში საშინელი შემაძრწუნებელი ლრიალი ისეთი მძლავრი და შემზარვი, თითქო ყარამანს დაეჩინებინოს თავხედი მოპირდაპირე, თითქო გაცოცხლებულიყოს ის ზღაპრული კერპი, რომლის ლრიალიც აღმოსავლეთიდან დასავლეთის ხმელთაკიდურს ეხეთქებოდა.

— ვაპ! ვუაპ! ვუა-ვუაპ!.. — გაისმა ყველა მხრიდან ვიწრო ხეობათა ბუდეში, როგორც რაიმე აკსულთა ძანილი და შორს-შორად, თვალთ უჩინარ სივრცეში, მთების ხევ-ხუცებში, თანდათან მისწყდა.

ეს იყო ორთქლმავალი.

საღათას ძილით გაბრუებულ ადამიანსაც არსებაში მოიყვანდა ეს უხამსი, ყარამანისეული ლრიალი, მაგრამ თედოს გულისყური მხოლოდ ნეტარ მოგონებას გაჰყურებდა, მისი არსება მხოლოდ მისთვის უჩვეულო ბულბულის ჰანგებს გაეტაცნა, რადგანაც თავის სიცოცხლეში არ ჰქონია შემთხვევა ასეთ გარემოებაში, ამდენი ბულბულის მოსმენისა.

ვარსკვლავებით მოჭედილ ლამეში, ჭიათურის საღვურიდან ელექტრონის სინათლე თვალებში უჭყიტინებს ამ მგოსნებს, ორთქლმავალი შემზარვად გაპკიის, მის კივილს ბანს აძლევს მთა და ხეობა, ეს სიცვარულის უკვდავი მგოსნები კი უსტვენენ და უყეფენ ერთმანეთს, თითქოს თავის გარშემო თავის მეტს ვერას ამჩნევენ.

თედოს უბირი გულიც თინასთან გააფრინეს, მის შეურვალე მქერლში ჩახლუეს, მისი შარბათივით ტკბილი ტუჩები მოანატრეს.

ამ ტკბილ ბურანში წასულ თედოს დერეფანში ჩასძინებოდა. განთიადის სუსხიანი სიო კი ძვალრბილში უვლიდა და თედოც მოუსვენრად იშმუშნებოდა.

\* \*

თედოს ჩვეულებრივზე აღრე გამოეღვიძა. მთელი სხეული დამტვრეული ჰქონდა. თავი ისე დამძიმებოდა, თითქო ტყვია ჩაუსხავთო. რაღაც ჩუმი სევდა და გაურკვევალი უმიზეზო ნაღველი შემოსწოლოდა გულზე.

წუხანდელი გიუმავი ოცნება დღის სინამდვილეს დაფრინა და გალს მწვავედ სწორეტავდა.

რა ბეჩავია ოცნების სამყაროდან სინამდვილეში ჩამონარცხებული ადამიანის გული!

თედომ უხალისოდ წამოიზმორა, ზარმაცად მოიფშვნიტა თვალები და უგემურად, ზლაშვინით გაემართა მაღაროებისაკენ. გული უჩქროლავდა, მოუსვენრად ტრიალებდა, თვალი უშტერდებოდა, გაურკვეველ ბურაბში გრძნობდა თავს, თითქოს რაღაცის მოლოდინში იყო.

მაღაროს წინ მუშები ჭიანჭველებივით ირეოდნენ. იწყებოდა ჩვეულებრივი სამუშაო დღე, თედო კი გაშტერებული იდგა და მიწას ჩასცეროდა.

— რას გაშტერებულხარ, ბიჭო? — გაელაპარაკა ლექსო და ხუმრობით წაუქიმიანგა.

— დაიცა ერთი, შენი გული არა მაქვს! — უხალისოთ უპასუხა თედომ და მოიშორა.

— რა იყო, ბიჭო, რას იღრინები? მარცხენა ფეხზე ხო არ ამდგარხარ? — ჩაერთა გიგაც.

— რა ვიცი, რა! — უგუნებოდ უთხრა თედომ და ზურგი აქცია.

— სახლიდან ხო არაფერი ამბავი გაგიგია, ჰა, თედო? — თანაგრძნობით დაეკითხა ლექსო.

— ამბავი კი არა! რა ვიცი! ჩემმა მზემ ისეთ გუნებაზე ვარ, რო ლამის ეტირო.

— ბიჭო, ფერხედაც ეერა ხარ კარგა, ხომ არა გტეივა რა?, წადი, თედო, დღეს დაისვენე, ნუ იმუშავებ.

— ეეჲ, სულ ერთია, ამის რჯულიც გაქრა!..

თედოც შეძერა მაღაროს ხერელში.

ყველა თავის საქმეს შეუდგა.

კვლავინდებურად ეხეთქებოდა ადამიანის ძალ-ლონე ბუნების სალძლოვანობას, კვლავინდებურად გაისმოდა წერაქვების ბრაგუნი, ოფლში სცურავდა ძარღვებ-დაძაგრული მაღლიანი მარჯვენა, კვლავინდებურად იდგა ხვნეშა და ქაქანი.

შუალედისას, როდესაც მზე საშუბისტაროზე წამოვიდა, კვლავ გასმა ზარის ქლრიალი და სასადილო შესვენება აუწყა მაღაროს მუშებს.



გამობობლდნენ შავად შემურული ყარაჩები, ხელ-პირი დამატებულებული იქვე, მაღაროსპირად წამომდგარ ჩეროში მისხდნენ და გათითხნილ ფურნის პურს მადიანად შეექცეოდნენ. ზოგს ძროხის ჭიგარი შეეხანხლა შამფურზე, ზოგს გადაზელილიც ეშოვნა, ზოგს მოხარშული ხაშლამა, უმრავლესობა კი ცარიელ პურს შეექცეოდა და ლუკმის ჩასაგორებლად გვერდით მოედგათ დიდი დოქებით ცივ-ცივი წყარო.

სულ ეს იყო მათი ნადიმიც და სირისკუდიც.

ნასადილევს ზოგი იქვე გაიშეხლართა თვალის მოსატყუებლად და დასასვენებლად, ზოგი კი დაქშო ყვირილის ნაპირებისაკენ, საჭყუმპალოდ და გასაგრილებლად.

იქვე ჩმოერექათ დასიცხეული საქონელი და აბანებდნენ. რიგი ბანაობდა, რიგი ირეტებოდა, რიგიც რიყეზე დაფუნილ საცვლებს იშრობდა და შიშლიყანა მიპუიცხებოდა ცხრათვალა მზეს.

სხვა დროს თელოც ხალისინად ჩაირჩნდა ხოლმე დაღმართს და სხვებთან ერთად ყურყუმელაობდა ყვირილის ზვირთებში. დღეს კი ვერ იქნა, ვერ მოუთავხელა თავის გუნებას, გული საგულეს ვეღარ ჩაისაბუღრა. მიმჯდარიყო მაღაროს პირად და უაზროდ გარინდებულიყო.

რას ფიქრობდა თედო ასე გულჩათხრობით? რას, ან ვის დასტრიალებდა მისი ფიქრი და გონება?

არაფერს და არც არავის!

გარევეული რამ ფიქრი, გარკვეული რამ სურვილი ან გრძნობა არ მოიპოვებოდა მის არსებაში. რაღაც იდუმალი, შეუგნებელი განურჩევლობა, რაღაც სევდა, უმიზეზო გულმკვდარი სევდა, შემოსწოლოდა გულზე, ნაღველს უსიებდა და სიცოცხლის ნიშანწყალი მიეყურსებინა ამ სიცოცხლით სავსე ჭაბუკისათვის.

თელოსთვის ამჟამად სულ ერთი იყო — იწვა თუ იდგა, მუშაობდა თუ ეძინა, სპამდა თუ შიმშილობდა. არც მუშაობა ეხალისებოდა, არც საუბარი, არც სიფხიზლე, არც დგომა, არც ჭდომა... ვინ იცის, თინას აღერსი კი გაიტაცებდა იმ წუთას?

თელი იმ დღეს თედოს აღარა ჰგავდა. მას საკუთარი სურვილი და ნება, საკუთარი მოწადინება და თაოსნობა აღარ შერჩენოდა, გრძნობდა, ვითომც მთელი ეს ქვეყანა, მთელი სამყარო, მთელი ეს ხალხი, მთა და ველი მოძრაობს, სცოცხლობს, ფერქავს ცალკე, თავისთვის, შორს, მისგან მოშორებით, განცალკევებით... თვითონ თედო კი ცალკე განმარტოვებულია სამყაროდან, მოწყვეტილია მთელს ქვეყანას, მთელს ხალხს და მარტო, მარტოდმარტო სხვა სამყაროშია, სადაც დუმილი და წყვდიალი გამეფებული, სადაც სიცოცხლე შეჩერებულა, მიმწყდარა აღამიანისა და ყოველი სულდგმულის ფეხი, ბუნებაც მიმკვდარებულა, გაყინულა...



თელოს ურუანტელი უვლის, ზარდაცემულივით გატვრენილა...

იქ კი, იმ გამეფებულ წყვდიაღში, იმ სიკვდილის სამეფოში, ურუანტელი უსმის გამოძახილის ხმა. ასეთი ხმა ჯერ არ ჰსმენია მას ყურებს, ასეთი ყინულივით ცივი ჯერ არსაღ გაუგონია თელოს. ურუანტელი უვლის, თმები ყალყზე უდგება და ბუმბულივით მიექანება ამ საშინელ უკუნეთ წყვდიაღში, საიდგანაც, დრო და დრო ესმის ცივი შემატრჩენი ძახილი.

— თელო! თელო!

გული ეწურება, სუნთქვა ეკერის, შიში და ძრწოლა სიკვდილის აჩრდილისა, სისხლის გმრთოშავი, თავშარდამცემი გრძნობა არარაობისა, სიცოცხლის აღსასრულისა დასტრიალებს მას და გორგალივით მოკრუნებული თელო გულსაკლავად გმინავს.

— ე, რა მცვდარივითა სძინავს, ეეე?!.. რაღა აკვნესებს, სიზმარი თუ ნახა რამე, ბიჭო, ცუდი?! გააღვიძე როგორმე, ლექსო, ცოდოა, — ჩაერია გიგა.

— თელოო! ბიჭოოო!.. არ გესმის, ბიჭოო! — ჩასძახის ლექსო და ჭუნჯლუხის მერე ძლიერ გამოაღვიძია.

— რა იყო, თელო, რა გაქნესებდა! ივი სიზმარი თუ ნახე, ჰა? — თანაგრძნობით ეკითხება გიგა, — ამა, იი წყალი შეისხი პირზე, გამოფხიზლდები!

— რა ვიცი, რა, არაფერი კი არ მახსოვს და! გული კი ისე მაქ, ჩემმა მზემ, ასე მგონია ყორით იმოუქოლიაო. ეჭ, ძმაო, ალარ შემიძლიან აქ დარჩიმა... ხვალ ანგარიშს ავიღებ და წავალ კიდეცა სახლში... ვინ იცის, რა უბედურება დატრიალდა!..

მუშაობა ორ საათზე განახლდა და ისევ მაღაროში შეიკრიბა მუშახალები.

თელოც მათ მიძყვა.

საღამო უამზე, როდესაც მაღაროს ზარმა აშაბაშების დრო აუწყა მღვიმეებში შემწყვდლულ კატორდელებს და მიხევულ-მოხვეულ, აკლდამებივით დაქსაჭსულ ხერელებში გაძახილ-გამოძახილი გახდა, ნელ-ნელა გამოიშალა გარეთ ურქო ეშმაქებივით გამურული მუშახალები.

თელომაც უკანასკნელიდ სთუთქა წერაქვი გამონგრეულ ტინის მკერდს, უკანასკნელად შეუნგრია გულის ფიცარი, მოიგმინა, ოფლი ჩამოიწურა შებლილან და მხარზე წერაქვადადებულმა ნელ-ნელა გამოსწია მაღაროს კარისაკენ.

— ბუჟჲ! — იჭექა უცებ დაბზარულმა თაღმა, — ბუჟჲ! — ხმა მისცა მაღაროს ხერელებმაც და ერთ არშინის მანძილზე ჩამოწეა.

— ვაი! — შეპყვირა ვილაცამ და ნანგრევებქვეშ მოპყვა. მუშები



შეკრონენ. ფეხი შეაყენეს. ყველამ იქით მხარეს მიიბრუნა პარასკევის დღის იდანაც მოესმა ხმაურობა, მაგრამ მალე ყველაფერი მიყუჩიდა.

გადაფიტრებული მუშები ელდანაცრავივით გამობობლდნენ მაღაროს ძირამდე და ყვირილი მორთეს. შეიქმნა ერთი ალიაქოთი, მითქმა-მოთქმა, კითხეა-ძიება, გაძხილ-გამოძახილი.

ყაყანისა და გამოკითხების შემდეგ გამოირკვა, რომ თედო არსად სჩანდა.

მაღაროს პატრონი ზემდეგს განკარგულებას აძლევდა:

— ხომ არაეინ დაყოლია, ბოშო? მაგი ნანგრევი დღესვე გააწმედი, რო ხეალიზა ხელი არ შეუშალოს მუშაობას! — და არხეინად გასწია სახლისაკენ.

ზემდეგი დაფაცურდა. რამდენიმე მუშა წაიმძღვარა მაღაროში შესასვლელად, მაგრამ მალევე უკან გამობრუნდა: არც ისე ადვილი გასაბედი იყო ამ ამბის შემდეგ პირდალრენილ და თაღებდამსკდარ მაღაროში შესვლა... მაგრამ თედო რომ არსად სჩანდა, ბოლოს ისევ თედოს ამხანაგებმა შებედეს შესვლა.

გავიდა ხანი და დასისხლიანებული, გაჭირებული თედოს გვამი ძლივს გამოიტანეს გარეთ.

მწუხარება და სევდა მოედვა მუშების გულს.

ყველას გულის სილრმეში ჩამოჰქმდა გლოვის ზარმა, ყველა აცრემლდა.

— ეჭ, გაჭერა ერთი სიცოცხლით სავსე გული, დღეს თედო, ხეალი ივანიკა, ზეგ კოწია, მას ზეგ ლექსო, — უსიტყვოდ ფიქრობდა ყველა თავის გულში და მწუხარე მდუმარებით დასცეუროდა თედოს დაჩქლეთილ გვამს.

თათბირის შემდეგ, გადაწყვიტეს, რომ მშობლიურ კერიაზე მაინც გაესტუმრებინათ თედოს გვამი. ჭირისუფლად გააყოლეს გიგა და ლექსო.

\* \*

მეორე დღეს, დილით, ჭიათურის საღვურზე ჩამოასვენეს და მატარებლის ვაგონში მოათავსეს უბრალო განირკნილი ფიცრის კუბი: შიგ თედო ესვენა.

მატარებელმა დაიბლავლა, შავი კორიანტელი ბლუჭა-ბლუჭად ამოუშო განიერ ყანყრატოდან, თითქო სურს ჭიათურის ღვარძლიანი მაღაროს ჭვარტლი აქვე დასტოონს და დაიძრა.

მაღაროებში კი მალე დაივიწყეს ეს ამბავი. კვლავინდებური მუშაობა და ჩევეულებრივი ჭაბანწყვეტა იყო დღე მუდამ.

— საწყალი თედო, უბედური შემთხვევით მოკვდა, — ამბობდა მაღაროს პატრონი.



— საწყალი თედო, რა უბედურათ მოკვდა! — ამბობდნენ მუშებუროვნები  
— არა, თედო არ მომკვდარა თავისი წერით, არა, თედო მოპელეს სტატიონის  
მოპელეს რომ თითონ ფუფუნებით იცხოვრონ. მოპელეს ოქროს სიხარ-  
ბით დაბრმავებულმა იუდებმა.

— თედო მოპელეს და კიდევ ბევრს მოპელავენ „უბედური შემ-  
თხვევით“, ვიღრე მუშის გრძნობას გონება არ დაეპატრონება, ვიღრე  
არ მიაგნებს სათავეს ასეთი უბედურებისას... ვიღრე არ შეიგნებს სი-  
ცოცხლის აზრს, ვიღრე არ ისწავლის თავისი თავის ყადრს... თავის  
აღამიანურ უფლებას, — ამბობდა მესამე.

## მოთხოვები

ერთ-ერთ წერილში ლადო ბალიაშვილი წერდა: „ჩვენი საქართველო ხელოვანთა კუთხეა, მრავალთა შორის ზედაპირზე რომ ამოტივობრივლე, არ არის ადვილი საქმე: ამას უნდა დიდი ნიჭი, დიდი ცოდნა და წრე, თუმცი ჩვენ დროს ყოველგვარი საშუალებაა ამისთვის, რომ გასაქინო შისცე ნიჭი... მარტო ნიჭიც არ კმარა — ცოდნაა საჭირო, ბევრის კითხვა, ბევრის მოსმენა და სისტემატური მეშვიობა“. სწორედ თავდაღებულმა მცხაობამ და დიდმა სიყვარულმა, დაყირებულმა თვალმა და ოსტატურმა კალაბრა დამორჩილებინა ქართული სირტკა და გამადა ერთ-ერთ საინტერესო მწერლად ახილაში (არხოორის ფერი) თათია ბალიაშვის ოჯახში დაბადებული (1907 წ.) ლადო. განსწველის წლებში მოიარა ლენინგრადი, სადაც იძმოსაველომულნობის ფაქტურაზე სწავლობდა, შემდეგ თბილისი — სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაქტურეტი... და დაუსრულებული კითხვა, ძიება, მოწიფებით თაყვანისტემა ქართული სიტყვისაღმი, ქართული ენისაღმი, დიდი სიყვარული მისი. 47 წლის მწერალი კითხვაში: „როგორ ცხოვრობოთ?“ ასე პასუხობდა: „გამხდარი ვარ, მაგრამ ემუშაობ დღე და ღამე“. მომავალ თაობას მისი შრომისმოყვარეობა, გასამოცარი იპტიმიზმი მუდამ გამოცარად დარჩება. ამ გამოცარას კი ალბათ მხოლოდ და მხოლოდ დიდი სიყვარული თუ ახსნის.

ბესარიონ ქლენტი ქართული მწერლობის პრობლემებზე საუბრისას ახალი თაობის შესახებ აცხადებდა: „უკანასკნელ წლებში მხატვრული პრობების დარგში წარმატებით იწყეს მუშაობა ახლგაზრდა მწერლებშია ლადო ბალიაშვილი, ვლად. ავალიანშა, კორე ხიშმიაშეილმა“. მართლაც, ეს საინტერესო 1938 წელს მიიღეს საქართველოს მწერალთა კავშირის წევრად. ლადო ბალიაშვილის მოთხოვობათა მიღმა ჩანს დიდ საქმეთა აღსრულების მონაცემული, ბევრი კეთილშობილური დაფალის მოსურნე კაცი. თავისი ნაწარმოებებში ის ცდილობდა დაუხატა მთის წეს-წევეულებანი, დათვები, რომელიც ასე იყო ხალხში ფეხურებაღმგებული, სტუმართმოყვარეობა და შურისძიება, „საწოლას დაწვა“ და ვარკაცის გოდება, წაწლობის წესი და ქალის მოტაცება, დიდი ტივიოლი და თავშეუკებელი მხიარულება — ასე რომ გადამშია და გადაჭავება ურთიერთს, იყოთხება არა როგორც მშრალი ეთნოგრაფიული მონაცემები, არამედ როგორც ლაშაზად დაწერილი მოთხოვობი.

ლადო ბალიაშვილის მოთხოვობა „კაციშვილი“ დაბეჭედა „მნათობის“ ფურცლებზე 1957 წელს. მეორე ნაწარმოებზე მწერალი წერდა: „თეორია

კოშკები“ მე სიცოცხლეს მისამართოდ გადასცემის და კიდევ რამდენიმე საცხოვრესო მოთხოვნის გაცნობის საშუალება ყრდნობა დღეს მეოთხეულს.

### რუსულან ნიშნიანძე

## გატეხილი მიაწური

საღამოს ბინდის საბურველში იძირებოლნენ გუროს ლაშაზი სანახები. ცის ტატნობზე მოჩანდნენ მედიდურად მდგომი ძეველი კოშკები, რომლებსაც თავისი სახე შეენარჩუნებინათ ნანგრევთა შორის და ახლა იდგნენ, როგორც ომის ქარცეცხლში გამოვლილი ჭარმაგი ვაჟკაცები.

ერთი კოშკი თავმეტობდა ყველას. იგი ტანტვრილი იყო, ოთხსარ-თულიანი, ჯერ კიდევ ტანდაუძრებული, მას გარს უხვივნენ პატარ-პატარა ქვიტკირმამიაგრები — უმცროსი ძმები უფროს ძმის.

ეს კოშკი ეკუთვნოდა იმ მიდამოში სახელგანთქმულ ვაჟკაცს: უშიშა მინდივაურს.

მრისხანე იყო კოშკი და უფრო მრისხანე მისი მპყრობელი უშიშა მინდივაური, აუგს ვერავინ გაუბედავდა მათ, ხოლო სტუმართავის მუდამ ღია იყო კოშკის კარები, ხოლო უშიშა სიცოცხლეს დასთმობდა სტუმრის გულისთვის.

ეხლა, ბინდი რომ დააწვა გუროს სანახების კალთაზე, უშიშა კოშკში აციმციმდა პირველი სინათლე და იგი შავ ღმეში ისე მოჩანდა, როგორც შორეული შუქურა უფსკრულის პირზე. მას ისიც აძლიერებდა, რომ უძირო ღმეში ღრიალებდა უფსკრულების სტუმარი არღუნი — მისი თეთრი ტალღები ტეხდნენ ღმეს და ჭალებითან ესროლნენ ეხოს ცად ასულ მწვერვალებს.

ვაბშმობის ქამი იქნებოდა, რომ არღუნის ნაპირზე მგზავრი გამოჩნდა, მან თვალი მოჰკრა კოშკში აციმციმებულ სინათლეს, თითქოს რაღაცამ შეაერთო, ცხენი შეაყენა, დაკვირდა ბნელში ანთებულ ერთადერთ სინათლეს, რაღაცის მაუწყებლად ჩასთვალა იგი, შებლი შეიკრა და მწყრალად განაგრძო გზა. თუმცა იგი ცხენს უწყერებოდა, მაგრამ ჩქარად სიარულის ნებას მაინც არ აძლევდა.

ეს მგზავრი გახლდათ უშიშა მინდივაური. მართალია, მას კარგახანი არ ენახა არც კოშკი, არც ახალგაზრდა მეუღლე — ხორმიზე შატილიონი, იმ მიდამოში სახელგანთქმული სილამაზით, სითამამითა და ტებილხმიანობით, მაგრამ... უშიშა ცივად უახლოვდებოდა კოშკებს. რამდენადაც უშიშას ცენტრი იგრძნო სოფლის სიახლოვე, ხალისით გაიწია შინისკენ, იმდენადაც უშიშა უამურად გრძნობდა თავს, იყოვნებ-



და ცხენს და წარბების ქვეშილან მწყრალად უმხერდა კოშკისას გამოსაზღვრული  
გმელში მოციავე სინათლეს.

სინათლე წამით გაიელვებდა, აენთებოდა და მინელდებოდა, თით-  
ქოს ვიღაცას ამცნობსო ბრძლში კოშკის არსებობას.

მწარე ეპეში თუ ფიქრში გართული უშიშა მყეფრების ხმაურმა  
გამოაფხიზლა. მათ მწარედ შემოუტიეს ცეკვნისანს, მაგრამ გმოეხმა-  
ურა თუ არა უშიშა, მაშინათვე მიჩურდნენ. სამაგიეროდ, ამ ხმაურზე  
კოშკი ჯერ გაიტრუნა, შემდეგ ახმაურდა. სარკმელში მოკიალე სინათ-  
ლე მიქრა, მის ნაცვლად ყველა სარკმელში სინათლე გაჩნდა. სარკმ-  
ლის სინათლეზე მოჩანდა, თუ როგორ ფიცხლად მოძრაობდნენ ადა-  
მიანგები კოშკის სიღრმეში, რომლებმაც, ცხადია, უშიშას მოახლოება  
ივრნენს.

კოშკის კარებთან უშიშას ახალგაზრდა ვაჟი შემოეგება, თავმდაბ-  
ლიდ მიესალმა. უშიშას ხმა არ გაუცია, ოდნავ თავი დახარა, ცხენის  
ალვირის ტარი გადაუგდო ახალგაზრდას, თოფი გადასცა და მედილუ-  
რად ტანის რჩევით წავიდა კოშკის სიღრმისკენ; ახალგაზრდამ მას  
ნამდურავი მზერა გაყოლა, თავი გააჭნია.

— ისევ ისეთია! — ჩაისაუბრა თავისითვის.

უშიშამ უხალისოდ იარა ქვის კიბე, რომელიც კოშკის სიღრმეს  
მისდევდა, მეორე სართულზე რომ შედგა ფეხი, მან თვალი მოპერა  
წითელ ქათიბიან ახალგაზრდა ქალს. ქალი ჩუმად უმზერდა უშიშას,  
თითქოს რაღაც საიდუმლოს ამოცნობა სურსო მის სახეზე, მაგრამ შე-  
ნიშნა თუ არა, რომ უშიშამ იხილა იგი, უმაღ ოთახის კარებში მი-  
ეფარა.

უშიშა შეკრთა, იგი იდგა და უმზერდა იმ ოთახის კარებს, საღაც ახალ-  
გაზრდა ქალი მიეფარა. მის მოეჩენა, რომ ქალმა გაულიმა. ამ მოჩ-  
ენებამ უშიშას გონება დაუბნია: ღიმილში ამოცნობ მან ის, რამაც უფ-  
რო ძლიერ შეაშეოთა, მაგრამ წუთით. იგი სწრაფად გამოუსხილდა,  
ოთახის კარებთან მიიჭრა — მიაყურა, ჯერ გაფითრდა, შემდეგ რკინის  
ფერი დაედო სახეზე: ოთახის სიღრმიდან ისმოდა მსუბუქი ნაბიჯის  
ხმა და ჩუმი სიმღერა. ქალის ხმა წერიალა იყო, კაპსნარევი, თითქოს  
ვიღაცას უწყრებათ სიმღერით და ამ წყრომის იგი აქირებდა მწარე  
ღიმილით წარმოთქმულ სიმღერაში. უშიშას წარმოუდგა ქალის სახე,  
ცრემლით სახეს დიღრონი თვალები.

— კვლავ! — გაიფიქრა მან მწარედ. მკაცრად ჩაავლო ხელი კარის  
სახელურს. ქალმა თითქოს იგრძნო უშიშას შეშფოთება, უფრო ძლი-  
ერად გაიშალა ბეკრათ სიამე. ღამეში.

გახელდა უშიშაც, მან ფიცხლად გააღო კარები, შეიქრა ოთახში,  
მაგრამ შისდა უნებლიერ შეჩერდა შუა იატაქზე: მისთვის ყურადღე-  
ბა არ მიუქცევია ახალგაზრდა ქალს. იგი ღია სარკმლის წინ იდგა,

თითქოს მთრთოლვარე ხმით ესიტყვებათ სარკმლის იქით, ბნელაშვილი გადაიღონდა:

— მე გიცდი შენ, ქერა ჭაბუქო!.. გაცდი, როცა ვარსკვლავი აციმ-  
ციმდება ცის უბეზე, როცა სანთელი პირველად იქნობა ამ ნანგრევ-  
თა შორის, მაგრამ შენ.. ჰო!.. შენ, ჩემო ნუგეშო, იგვიანებ.. ძალიან  
იგვიანებ!.. ახ!.. რომ იცოდე, როგორ გელი შენ, მაშინ არც შენ და-  
იღლებოდი, არც შენი ცხენი დაიღლებოდა. შენ მოხვიდოდი ვარსკვ-  
ლავზე უმაღლ, მოხვიდოდი მზეზე აღრე! მე გიხილავდი შენ და ბედ-  
ნიერი ვიქნებოდა: მოვისმენდი შენი ჭიანურის ხმას, შენ სიმღერას,  
როცა პირველი სიბნელე დაუშეებოდა მთების კალათზე! მაშინ მხო-  
ლოდ ბნელი ღამე და ვარსკვლავები იქნებოდა ჩვენი მოწამე!

უშიშა უსმენდა ქალის სიმღერას, იგი ხან ფითრდებოდა, ხან მრის-  
ხან იქრს მიიღებდა. ბოლოს ეღლარ მოითმინა:

— ხორამზე! — წარმოსთქვა მწყრალიდ, ნაბიჯი წინ გადადგა, მავ-  
რამ მიახლოება მაინც ვერ გაბედა.

ხორამზე დინჯად მოტრიალდა, დიდრონი თვალები შეანათა უში-  
შაბულ გაფითრებულ სახეს. ქალის მქაცრ თვალებში წამიერი ხალისი გა-  
მოკრთა, თითქოს გამოა ვაკეკაცის ასეთი გაფითრება. ქერ წყრიალა ხმა  
არ მიმტრალიყო მის თეთრ ყელში, რომ კელავ წამოიწყო სიმღერით  
მოთქმა:

— არწივს არასოდეს არ ყერთობს ჭრელი კაჯაბი, როცა იგი შევა-  
რეზე ლავოვავს, ფურ-ირემს არ ეშინია მქაცრი მონადირისა, როცა  
იგი შევანე ტყეში უხმობს ხარ-ირემს.. არც მე მეშინია შენი მქაცრი  
მხერისა მქაცრო უშიშის! მე ეცემობ სიყვარულს! ჰო!.. უშიშა!.. მე სიყ-  
ვარულს ცუხმობ, სიყვარულს!..

— ჩემზე მეტად ვერავინ შეგიყვარებს ხორამზე! მე უშიშარი ვი-  
ყავი მარიად, უშიშარი ვიყავი მაშინაც, როცა შენი თავი მოვტაც  
შატრილიონთ. მე არ მეშინოდა არც მათი ხმლისა, არ მეშინოდა არც  
მათი თოფისა, არც წვერმახვილი შეუბისა, მაგრამ.. ახ!.. ხორამზე, ხო-  
რამზე!.. მე ყველაფერს ვვარგვა, როცა შენ გიმზერი... შენი თვალები,  
ხორამზე!..

უშიშა როცა ამას ამბობდა, ხორამზის თვალებში ჩრდილი ქრე-  
ბოდა, მისი პატარა ფეხი კატის სიფრთხილით ეხებოდა იატაქს, თეთ-  
რი ხელები და ხმაც უთროთლა ეხლა... .

— ჩემ წინაშე ფითრდები, შენ, ამაყო ვაკეკაცო! მე მითხრეს, რომ  
შენ არ იცოდი რა არის შიში, შენ სახეს არასოდეს არ სტუმრებია  
სიფითრე..; როცა პირველად შემეხო შენი ხელები, მე ვერანდი შენ  
რკინის სიძლიერეს, მე მესონდა რკინის სუნი, მე მეხებოდა შენი ღო-  
ნიერი ხელები და მაკრთობდა... ახ!.. მე არ დამენახვები შენ, მრის-

ხანე ვაჟკაცო! მე მძულს შენი უანგიანი აბჭარი, რომელსაც სისტემული გამოიყენება

სუნი სდის!.. შენ მარად მრისხანე იყავი!..

— მხოლოდ მტრების მიმართ, ხორამზე!..

— ჴი! უშიშოარო ვაჟკაცო!.. მე არ დამენახვები შენ, მძულს შენი მდუმარე კოშკიც! თავისუფლებას ვნატრობდი მარად, ვეტროდი არ-ლუნის ნაპირზე გაშლილ მწვანე სანახებს, ფრინველთ სიმღერას, ქერა ჭაბუქს...  
— ხორამზე! — მწყრალად წარმოთქვა უშიშამ.

ხორამზეს წუთით ხმა ჩაუწყდა, შემდეგ მის თვალებში ცბიერება გაციაგდა.

— ეხლა არა... არა, უშიშავ, მე თანდათან ევრძნობ შენს ნდომას, ავო ვაჟკაცო!.. მინდოდა შენე შური მეძია: შენივე ფაქტით დაშედნო შენი გული, მაგრამ სიმარტოვემ, შენი კოშკის ღუმილმა შენი თავი დამანატრა მე, შატილიონის სულს... — აქ ხმა ჩაუწყდა ხორამზეს, თითქოს წამოსცდათ ეს სიტყვები, თავი დახარა. უშიშა უხშოდ მიუახლოვდა, დიდრონი თითებით აკრიფა ქალის მაღალ მკერდზე გაღმოშლილი ნაწნავების ტევრი, თავი გადაუხარა — თვალებში ჩახედა... დიდხანს სდუმდნენ, უმზერდნენ ურთიერთს, ბოლოს უშიშას მძლავრი ტანი მოიხარა: დაეწაფა ხორამზის ბაგეთ... ქალს წინააღმდევობა არ გაუწევია, მაგრამ წუთით, მხოლოდ წუთით დანებდა ვაჟკაცის სურვილს, წუთის შემდევ ხორამზის თვალებში შურის ნაპერწყალი გაციაგდა.

— ძლიერად თუ გიყვარვარ, უშიშავ?

— ჴი!.. ხორამზე, ხორამზე!..

— ბედნიერი თუ ხარ, ვაჟკაცო?

— უფრო ბედნიერი არავინ მგონია ქვეყნად!..

ქალის თვალები შერჩით აენთო: „იგი ამ წუთში ბედნიერად გრძნობს თავს, როცა მე ყველაზე უბედურად მიმაჩნია ჩემი თავი...“ — გაიფიქრა ხორამზემ, ჯერ უშიშას მკლავებიდან არ განთავისუფლებულიყო, რომ ჭიანურის ხმა გაისმა ლამეში... უკუნ ლამეში...  
ხორამზეს სახე გაებარტა, კალმახიერით გაუსხლტა ხელიდან უშიშას, ხარქმელს მიუახლოვდა. უშიშა გაშტერდა, მკედრისფერი დაედო სახეზე. ხორამზე უშიშას დაკვირდა და ტკბილი ხმით თქვა:

— იგია, იგი!..

კოშეში ღუმილი ჩამოვარდა. ჭიანურის ხმა ძლიერდებოდა ლამეში... უკუნ ლამეში... ჭიანურის ხმა ეუფლებოდა ყველაფერს.

ხორამზეს ეჩვენებოდა, რომ მის გარშემო ეხლა ყველაფერი ლურჯად შეიღება, რომ ყველაფერი მჩატე და სამო იყო. იგი გაღიმებული სახით მიიწევდა სარქმლისკენ, თანაც უშიშას უმზერდა. მას ეამე-



ბოლა, რომ ძლიერი ვაჟკაცი ასე ძლიერად ფითრდებოლა, რომ უშიშრებელი სიმწარეში თრთოლა.

ჭიანურის ხმა ძლიერდებოლა ღამეში... უკუნ ღამეში...

ტკბილი, საამო ხმა ჭიანურისა, ხან ახლოვდებოლა, ხან შორდებოლა კოშქს, ჩანდა, უცხო ერთ ადგილზე მდგომი ვერ უძლებდა ოხებულ გრძნობას.

ხორამზე ერთხანს უსმენდა, იღიმებოდა, შემდეგ მისი ბაღრი სახე დაიჩრდილა, თეორი ყელი მოიღერა, ვარდის ბავენი გახსნა და ჭიანურის ხმას შეაგება წკრიალა სიმღერა.

იგი ამბობდა:

— მე მესმის შენი ჭიანურის ხმა, ქერა ჭაბუკო! თუმცა ბნელსა უკვრეტ ამ სარქმლიდან, მაგრამ მე ვხედავ მზის მხურვალე სხივებს. ჩემ თვალშინ იშლება არღუნის მწვანე ჭალები, მესმის ფრინველთა სიმღერა, უჩინარ არსებათ ჩურჩული, ჩურჩული ყვავილებისა და... ძახილი შენი გულისა! ჰო!. შენ მიაუი ხარ, მამაცი, ქერა ყმაწვილო! შენ არ შეეგუშინდება ამაყი უშიშასი, არც მისი ხმლისა, არც პირქუში კოშქისა, შენ მოხვალ, როცა ჩემი გული მოგიხმობს!

— ჰო! შენ ვაჟითორდი უშიშა! შენ სახეს სიკვდილის ფერი დასდებია, მაგრამ არა!.. მე არ მეშინა! შენ არ დამენახვები!..

— ხორამზე!

— ყური დაუგდე უშიშა! უსმინე! უსმინე, ვაჟკაცი! მაგ ჭიანურს ჭერა ჭაბუკი ამღერებს: იგი მე დამეძებს, მიხმობს ბნელ ღამეში, მას ჩემი სიყვარული უნათებს გზას! ჩემი სიყვარული ახელებს და ხმა ზტებილესი ჭიანურისა. ჰეი, მკაცრო უშიშა, შენ ვინდოდა ჩაგექრო ეგ ჭიანური: ერთი კვირა დატოვე კოშქი ქერა ჭაბუკის შურით გახელებულმა, დამტოვე მეც, მაგრამ... ყური დაუგდე: ეგ ჭიანურის ხმა კი არა, ჩემი სიყვარულის ხმაა! იგი ახლოვდება. ჩვენ შენ წინაშე ვიტყვით სიმღერას! შენ თუ ვაჟკაცი ხარ, თუ შენში მამაცი სულია, უპრანე, კოშქის კარები გაულონ მას!

უშიშას სახეზე რკინა გატყდა, ჩაფიქრდა. ჭიანურის ხმა ძლიერდებოლა ღამეში... უკუნ ღამეში...

— აგისრულებ მაგ სურვილს, ხორამზე! — წარმოსოქვა მოგვიანებით უშიშამ.

— ჰო! რა ბელნიერი ვიქნები, უშიშა! თუ შენ ქერა ჭაბუკს არ დაინდობ, თუ შენი ხმალი მის ქერა თმას სისხლით შელებავს, მე მის გაცი-ებულ ტუჩებს უფრო სიამით ვეამბორები, ვიღრე შენ, უშიშა!..

— აგისრულებ მაგ სურვილსაც, ხორამზე!..

და უშიშამ მოიხმო ახალგაზრდა, რომელმაც სასწრაფოდ მოირბინა.

— მიღი, ყმაწვილო, — უთხრა უშიშამ ცივად, — იმ მეჭიანურეს კოშქის კარები გაულე!



ყმაწვილი გაოცებული დააკვირდა უშიშას.

— იჩქარე, რათა ჩემი ლამაზი მეუღლის სურვილი შევასრულო! — გაუწყრა უშიშა.

ყმაწვილი სწრაფად გაბრუნდა უკან, ხოლო უშიშას კვლავ სიკედი-ლის ფერი დაედო სახეზე.

ხორამზეს სახე გაებაღრა, მიუახლოვდა სარკმელს და ტკბილი ხმით უმღერა ლამეში მოლუდუნე ჭიათურის ხმას:

— მე გელოდები შენ, ქრა ჭამუკო! გელოდები მას შემდეგ, რაც პირველი ვარსკვლავი აციაგდა ცის მკერდზე! მე ლამეში მესმის შენი ჭიათურის ხმა, ხმა ჩემი სიყვარულისა. მომიახლოედი, რათა ჩემნა ხმის, ჩემნა ალერისა ააფერადის პირქუში დამე! მე მწამს შენი სი-ძამაცე, შენ არ გეშინია არც ამ ლამისა, არც მრისხანე უშიშასი, რომე-ლიც ეხლა ჩემ წინაშე დგას და შენ მოლოდინში მისი დიდებითი თი-თები თრთიან ხმლის ვადაზე!..

— ჰო! ხორამზე, ხორამზე! — პატრიობდა სიბნელიდან ქრა ჭამუკი.

— მე არ მეშინია არც მრისხანე უშიშასი, არც პირქუში კოშესა. შენი სიყვარული ფარავს ყველაფერს!.. ჰო, ხორამზე! ჩემ წინ კარები იღება!..

უშიშა შექრთა, ხორამზე უცებ მოტრიალდა, დააკვირდა უშიშას. უშიშა ჩემულებრივ გაფითრებული იდგა, იდგა, როგორც ჩრდილ-დაყრული ქანდაკი ბრინჯაოსი. მას მაღალ შებელშე ჭიათის ოფლი ცი-ავიბდა, იგი გაეტერებინა მოსალოდნელ სიმწარეს, სახეგაბრწყინე-ბულ ხორამზის ტებილ ხმას, მისიერ თორთოლებულ მდგარი ტანს და საყვარელ თვალთა ბრწყინვალებას.

ჭიათურის ხმა ძლიერდებოდა ღამეში... უკუნ ლამეში... თანდათან ახლოვდებოდა იგი, ყოველ მის მოკლერებაზე ხორამზე მხიარულად გალავამდა ნაბიჯს კარებისაცენ, უშიშერდა უშიშას და ტკბილი ხმით ეუბნებოდა:

— შენ ეხლა ბედნიერი თუ ხარ, უშიშა?

— ჰო! ხორამზე, ხორამზე! მე უბედური ვარ, ხორამზე!

— მე კი... ბედნიერი ვარ, უშიშა!.. უშიშა, გესმის ჭიათუ-რის ხმა? — ახლოვდები.. იგი ჩემი სიყვარულის ხმაა, უშიშა, მე მინდა იხილო შენ, რა არის სიყვარული! მართალია, შენ გულში ბრაზი ელავს, მაგრამ მამაცო ვაკეაცო, შენ ნახავ, როგორ თართოლ-დება შენი ხელი, თუ შენს ხმას მიმირთავ შენი სურეილის შესასრუ-ლებლად... სიყვარული, უშიშავ, სიყვარული!.. გესმისი ეგ ხმა სიყვა-რულისა, ასე ძლიერად რომ უდერს შენ ყრუ კოშკის! უსმინე, უს-მინე — რა სამოდ უდერს იგი!.. მაგრამ შენ... ჰო!.. ძლიერო ვაკეაცო, ტანი გითრთის, სახეზე ფერი-ფური გეცლება!.. ჰო!.. რა ბედნიერი ვარ ეხლა მე უშიშა, ბედნიერი, სამძიმას გაფიცები! შენი ხელი



ხმლისკენ მიიწევს?.. არა! გთხოვ ყური დაუგდო სიყვარულის ენასკროვნული  
მიაყურე ჭიანურს, მიაყურე, ვაჟკაცო! სახე ნუ გიფითზება, ტანაშვილის  
ნუ ვითრთის!..

უშიშას ბრაზი ათროლებს, აქეთ-იქით აშკლება. ისმის ქერა ჭა-  
ბუკის ხმა:

— ჰო, ხორამზე! ხორამზე! ბნელია ეს კოშკი და პირქუში, ბნელია  
კიდეც და მაღალი, მაგრამ ჩემი ჭიანურის ხმა სიყვარულისა მინაობეს  
ეზას! მე ვხედავ შენს სახეს ამ ღმერში, ხორამზე, ვხედავ მოლიმარ  
თვალებს!..

— ისწრაფე ქერა ჭაბუკო, ისწრაფე! ისწრაფე ჩემსკენ: ჩემი გუ-  
ლი შენ გელოდება! ჩემ წინ დგას უშიშას საშიში და უშიშარი, შენ იგი  
სიყვარულით არ გელოდება, სიყვარულის დართ! სიკედილის ნირდავ-  
რული დგას მომარჯვებული ხმლით, მაგრამ... სიყვარული უფრო  
ძლიერია, ვიდრე ხმალი ფრანგული. შენი სიყვარულით ათროლებუ-  
ლი გლეთ გალის! გელის, ისწრაფე!

კარები იღება, ჭიანურისა და სიმღერის ხმით იქსება ოთახი.

— ქერა ჭაბუკო! — წერიალებს ხმა სახეგაბაღრული ხორამზისა.

— ხორამზე! — ჭექს ჭაბუკის ხმა ჭიანურის ხმისთან ერთად.

უშიშა უსმენს ჭაბუკს და ასულსა შატილიონისას. მისი შებლი იხ-  
სნება, ათროლებებული ხელი უნებლიერ შორდება ხმლის გადას.

ქერა ჭაბუკი იქროსუერ კულოლებინ თაქს ხელს ხორამზის წინ... .

ხორამზე ცას სწედება სიხარულით, იკინის, ტაშს უკრავს, ტრი-  
ალებს და მღერის, მღერის უტებოლები ხმით. იგი ჩაუვლის უშიშას,  
თვალებს გაუელვებს, გაულიებს და ქერა ჭაბუკ დაუბრუნდება  
ტებილმომღიმარი.

უშიშას წინ სიყვარულის ცეცხლი იშლება, სიყვარულის ძალა აუ-  
როლებს თვით უშიშას.

ჭიანურის ხმა ცად იდის, იშლება და გულს ეპნევა მსმენელთ. ჭი-  
ანურის ხმა ამღერებს ყველაფერს, თითოეული ბეგრა ათასფერად იშ-  
ლება. ათას ოქროსსუერ ზღაპრებს ჰყება, აფერადებს უკუნ ღამეს.

უშიშა მალიმალ დააკვირდება ნაზად ზრდილ ქერა ჭაბუკს.

— ნეტამც ერთი სიტყვა ეთქვა ამ ყმაწვილს, მხოლოდ ერთი სი-  
ტყვა! — ნატრობს რკინაში და უანგში დაჭარმაგებული ვაჟკაცი, მაღ-  
რამ... არა... .

უცხო ჭაბუკის ხორბლისფერ სახეზე ერთი ძარღვიც არ შეტოვე-  
ბულა უწესოდ, ერთი ცბიერი ღმისილი არ გაციაგებულა მის მშეიდ  
და სიყვარულის ცეცხლში დაბინდებულ თვალებში.

ხორამზემ იღუმალი მზერა ესროლა უშიშას, თითქოს შეკრთაო,  
შენელდა, ცბიერი ღმისილი მიქრა მის ბაგეზე.



— ვაჟკაცო უშიშა, ხარ თუ არა ბელნიერი? — შეეკითხა უნდამართველი  
ულოდნელად.

— ჰო!.. სულის უდიდეს სიმშევიდეს ვგრძნობ, ჩემო მეუღლევ!  
როცა ეს ამოხმიანი ჭაბუკი ვიხილე, როცა შენი სიმღერა მოვისმინე,  
სიყვარულის ძალა ვიგრძენი... ჰო!.. შენი და... მაგ ჭაბუკის სიმღე-  
რა!.. განაგრძეთ, განაგრძეთ ხვთის გულისათვის!

ამ თქმამ ხორამზე შეაკრთო, იგი დააკვირდა ქერა ჭაბუკს: ქერა ჭა-  
ბუკს სახე გაფითრებოდა, ხელები უთროთოდა. მან წუთით შეხედა  
უშიშას, ნაბიჯი თავის უნებლივთ წარსდგა მისკენ, რაღაცის თქმა  
სურდა, მაგრამ მისწყდა თუ არა მის ხელში ჭრანურის ხმა და სიმღე-  
რა, ჭაბუკმა საშინელი შიში ივრძნო — ჭანური ხელიდან დაუვარდა  
და სანთლისფერ იატაქზე დაიმსხერა ჭრელი ყელი ჭანურისა...

შემკრთალ ხორამზეს კივილი აღმოხდა — უშიშა გაშტერებული  
უშესერდა გატენილ ჭანურს. ხორამზემ თავი დახარა. სდუმდა ერთ-  
ხნის, შემდეგ ნელი ნაბიჯით მიუახლოვდა უშიშას. იდუმალად შეეხო  
პატარა ათროთლებული თეთრი ხელით.

— ხორამზე! — წარმოსთქვა უშიშამ.

— მაპატიე, უშიშა! მე მდენი დაგტანჯე შენ!

— ჩემი ჭანური გატყდა! — წარმოსთქვა ჭაბუკმა.

— როგორც ჩვენი სიყვარული! — ნაღვლიანი ხმით მიუგო ხორა-  
მზემ.

## ხათუთას მოტაცება

(ნამდვილი ამბავი)

ეს ამბავი დიდი ხნის წინათ მოხდა. მაშინ მე ახალგაზრდა ვიყავი,  
ცა ქუდად მიმაჩნდა, დედამიწა — ქალამნად. სწორედ ამ გრძნობამ ჩამა-  
დენინა ის საქმე, რის შესახებაც მოგიყვებით ქვემოთ:

ერთხელ, სახამორო არდადეგების დროს, დედიძმებს ვესტუმრე  
სოფელ ინგეთში. დედიძმის შეილი, ჩემი ტოლი პეტრე, სიხარულით  
შემხვდა. მას წინაშარ გაშხალებული ჰქონდა ყელატერი. რაც საჭი-  
რო იყო ჩვენთვის დროს გასატარებლად. ვლხინობდით, ვჭამდით, ვნა-  
დირობდით...

ერთ საღამოს ჩვენთან მოვიდა ახალგაზრდა ვაჟი, რომელსაც ზედ-  
მეტ სახელად კაციშვილს ვეძიხდით; იგი გულჩათხობილი იყო, მაგ-  
რამ ეხლა უფრო ნაღვლიანად იმზირებოდა.

— რა მოხდა? — ვკითხეთ ჩვენ.

— ვერ ვიტყვი. — ვკიბასუხა მან მოგვიანებით.

ჩემი ბიცოლა გამოექმადა:

— გაანებეთ თავი, თქვენი გული არა აქვს: დანიშნულისგან დღეს

უარი მოუვიდა. საწყენია, — თვითონვე დაუმატა ბიცოლიძე, — შაგრშეს დამოუკიდებელი არის, უკეთესს მოვნახავთ.

— იქნება ხათუთას მოტაცება გსურს? — პეტრემ კაცი-შვილს.

— მოტაცება? ვისი? — წამოიძახე გახარებულმა, ვიღრე კაცი-შვილი რამეს იტყოდა.

კაცი-შვილი მე დამაკვირდა.

— დიახ, დიახ, მოვიტაცოთ! — თქვა მან.

— ხათუთა კაცი-შვილის დანიშნულია, — მითხრა პეტრემ. — კაცი-შვილს ძალიან უნდა დანიშნულის მოტაცება. დამხმარე სჭირდება, ჩვენთვის თქმა ვერ გაუბედია, თუ შენ თანახმა იქნები, გავჰყვეთ, და-ვეხმაროთ; ეს ერთგვარი გართობაც იქნება და... კაცი-შვილსაც გავახა-რებთ.

ჩვენ საშადისს შევუდექით.

ცივა. ქარი ქრის, სახეში გვეშლება თოვლის კორიანტელი. გამხდა-რი ცხენის ზურგივით ჩხელ ბილიქს მიგვდევთ, წალები წარამარა სხლტება თოვლ-ყინულზე, გრძელი ფარავის კალთები ფეხებში მებ-ლანდება, ძლიერს ვიმაგრებ თავს. ვუმშერ ბილიქზე წინ მიმავალ კა-ცი-შვილს, დინჯალ მიაბორებს სქელი ფეხებით. შავ კუნძივით მოძ-რაობს მისი ჩატვენილი ტანი.

— ცივა! — ამბობს პეტრე.

— დიახ, ცივა! — პასუხობს კაცი-შვილი, სხლტება, დალლილ ჭო-რივით ბორგავს, ფრუტუნებს.

— კიდევ შორს არის შენი ხათუთას სოფელი? — ვეკითხები კა-ცი-შვილს.

— დიახ, შორს!

— ხათუთა?

— ხათუთა კი...

— ახლოს არის, ახლოს! — აგრძელებს პეტრე პასუხს. კაცი-შვილი თავისთვის რაღაცას ჯიმჯიმებს, იწყევლება.

— გაგეხარდება ხათუთას ნახვა, კაცი-შვილი?

— დიახ, გამეხარდება.

— თუ არ წამოგყვა?

პასუხი არ არის, სამაგიეროდ თოვლი გვეშლება სახეში. შორიდან ისმის მოვრალი ხევსურების ილიაქოთი, ნაგაზების ყეფა.

ფეხაქტეფით შევდივართ სოფელში.

— ვინ იქნება ჩვენი მასპინძელი? — ვეკითხები პეტრეს.

— ხახონა ჭინჭარაული.

— შენ იცნობ ხახონას, კაცი-შვილო?

— დიახ, ვიცნობ.

— არ გაგვცემს?

კაციშვილი პასუხს არ მაძლევს: მოახლოვებული ნაგაზი თურთხობს, პეტრეს ეფარება.

„ვაი შენ, ვაი ხათუთას!“ — ეფიქტობ ჩემთვის.

— წინ გაგვიძელი, კაციშვილო! — ეუბნება პეტრე კაციშვილს.

— ნაგაზი, პეტრე, ნაგაზი!

— ას, კაციშვილო, კაციშვილო! — ვუწყრები მე.

პეტრე ჩუმად მეუბნება.

— ნუ ბრაზობ. — და ხმამაღლა უმატებს, — ნახე, კაციშვილი როგორ დატრიალდება, როცა ხათუთას იხილავს!

— მართლა, კაციშვილო?

— დიახ, დავტრიალდები!

— მასპინძელო! — ჩუმად ეძახის პეტრე თოვლში ამოგანგლულ ქოხის კარებილიან. ქაზი ქრის. ქოხი შავ გოლორივით მოჩანს თოვლში და ნამერჩი.

— მასპინძელო! — უფრო აუწია პეტრემ ხმას. კარები ძლიერად შეანძრია.

— ჰეი, ვინა ხარ? რა ვინდა? — ისმის ქოხის შიგნილიან.

— სტუმრები ვართ, ხახონა ჭირვარაულო, კარები გააღე!

\* \* \*

წიგა ზარმაცად იწვება ბუხარში. ქოხი მწარე ბოლით ივსება. ხახონა ნაცარში აწრინტებს.

— ვი ძალები ჰყავს ხათუთას მამას, მამაც სახლშია, ბიძაც, ძმებიც, ბიძაშეებულებიც, კარები დაკეტილია, ხელი არ მოგემართებისთ, — ამშობს ხახონა.

კაციშვილი დამნაშავეს მზერით მიმზერს.

— ცივა, თოვს, ქარი ქრის, გზა ძნელია, ხათუთას მამა ავი კაცია, ძმები სახლში არიან... — ვანაგრძობს ხახონა.

— შენ რას იტყვი, კაციშვილო? — ვეკითხები ჩემ თანამეგზავრს.

— კაციშვილი რას იტყვის. რა უნდა თქვას კაციშვილმა! — იცინის ხახონა. ნაცარში აწრინტებს. — ქალს არ გაგატანენ.

კაციშვილი მე არ მაშორებს მზერას.

— არა, ხათუთა უნდა მოვიტაცოთ, — ვამბობ მე.

— დიახ, მოვიტაცოთ! — მიდასტურებს კაციშვილი.

ხახონა იცინის. წიგა ბოლავს, შავი ღიაცი ბუზლუნებს. გაცრეცილი, სახედაუბანელი ბაქშევები გაკეირვებით მიცექერიან — ქალაქელის ტანისამოსი უკეირთ. კუთხეში ატუზული თვალჭრელი გოგონა წარბების ქვეშილან მიმზერს — ჩანს, არ მოვწონვარ.

— წავიდეთ! — ვეუბნები პეტრეს.  
 — დაგვეხმარე, ხახონა, სამაგიეროს გადაგიხდით. — არ ეშვება  
 პეტრე გვლიც მასპინძელს.

ხახონა მდუმღელ მჯდომ კაციშვილს უშისესს.

— ქარი ქრის, თოვლის კორიანტელი იშლება, ღამე ციცია. ხათუ-  
 თას აეთ მამა ჰყავს, უფრო აეთ — ძალები. მამაც სახლშია. ძმებიც.  
 კარები ჩაკეტილია. რა ქნას ხახონამ?!

\* \* \*

ქურდულად გამოვდივართ ბოლით სავსე ქოხიდან. შავი ნაგაზები  
 დაქრიან ღამეში, წინ და უკან გვივლიან. კაციშვილი მე შეფარება,  
 მე — პეტრეს. ძლიერ ვიგერიებთ გააფთრებულ მყეფარებს.

როგორც იყო, მივაღწიეთ ხათუთას სახლამდე. გრძელ დერეფანში  
 შეკეთიშნეთ და გაფჩუმდით — ჩვენ გარშემო სიწყნარე ჩამოვარდა.  
 ქარ-თოვა აბნელებს ყველაფერს.

— კარები ჩაკეტილია! — ამბობს პეტრე.

— არც სინათლე ჩანს ხათუთას სახლში, არც ადამიანის ხმა-ის-  
 მის. სინავთ, — ვეუბნები ჩუმად, დაზვერვიდან დაბრუნებული. მო-  
 შორებით მდვომ კაციშვილს ეუახლოვდებით. — აი, კაციშვილო, იქ  
 იმ კედლის იქით სინავს ხათუთას!

— დიახ, სძინავს.

— შენ ხომ გინდა, მოვიტაცოთ იგი.

— დიახ, მინდა.

— მაშ, ეს კარები გააღე!

— კარები?..

კარები არ ეღება.

— გაეტეხოთ?

— გაიგებენ. — მესმის კაციშვილის ხმა.

— შეგვივდა, კაციშვილო?

— დიახ, მცირა!

— მეც ძალიან მცირა, კაციშვილო. ღირს კი ამდენ ტანჯეად ხა-  
 თუთა?

— ღირს კი ხათუთა?

— მე აუცილებლად მოვიტაცებ მას, კაციშვილო, შემდეგ... შენ  
 იცი...

— მე ვიცი, მე...

— სარქმელი ვაპოვნე, საიდანაც შეიძლება შიგნით შესვლა. —  
 მეუბნება პეტრე. — მე შეეგალ შიგნით, ცოტა დახმარებაა საჭირო.

— მერე, მერე? — ეკითხება ხალისლაკარგული კაციშვილი.

— მერე და შიგ გადაედერები!

— გაიგებენ...

— გაიგონ, კაციშვილო, გაიგონ! — უბრაზდება პეტრე, ჩემ  
მხრებზე ეყრდნობა, თავით მიძერება სარტყელში. ყავარი ტყდება, ნა-  
გაზები კელავ გვიტავენ, მაღლა ჭერისქვეშ ქათმები კრიახობდენ, პეტ-  
რე ფეხებს აქნევს, სარკმელში მიძერება. ქრება. საცაა კარები გა-  
იღება.

— კაციშვილო! — დაბალი ხმით ვეუბნები ხათუთას მოტრფი-  
ალეს. — კარები რომ გაიღება, მე შიგნით შევალ. შენ კი, აი, ეს კეტი  
დაიკავე! ხედავ?

— კეტი?.. ვხედავ.

— მაგრად დაიკავე, თუ საჭირო გახდა, ხომ იცი რა უნდა გააკეთო?

— რა?

მეც არ ვიცი რა უნდა გააკეთოს კაციშვილმა, მაგრამ გონიერას ძა-  
ლას ვატან:

— თუ ვინიცობა, ხათუთამ აურზაური ატეხა, შემოდი შიგნით.  
დატრიალდი, ხმას აუწიე: ჩემია ხათუთა-თქო, ხარჯი გამიწევია-თქო,  
ფიქრით დავლლოლვარ-თქო.

— დიახ, თქო!

— დამაცალე, კაციშვილო, ცოცხალი წავიყვანო-თქო. მოვკედები,  
ალალი იყოს ჩემი სიცოცხლე ხათუთასთვის-თქო!

— დიახ, თქო!

— ჰო, ეგრე, ეგრე კაციშვილო, გესმის?

— დიახ!

— დაიყვირებ?

— ძალიან!

— აბა, შენ იცი, შენ იცი, კაციშვილო. თუ საჭიროა იყვირე, გეს-  
მის, რაც ძალი და ღონე გაქცეს, იყვირე!

— შენ შიგნით შედიხარ?

— გააღებს თუ არა კარებს პეტრე, მაშინათვე!

— მე?..

ნაგაზი სულ ახლოს მოდის. კაციშვილი კეტს იმარჯვებს. გაბეღუ-  
ლად ეგებება.

— ჰო, ეგრე, ეგრე, კაციშვილო, ჩვენებურად, ჩვენებურად, კაცი-  
შვილო.

— დიახ, ჩვენებურად.

— აი, საცაა კარები გაიღება, სულ ცოტანის შემდეგ ხათუთას  
ძხილავ.

— დიახ, ვიზილავ.

— ჰოდა, შენ იცი!

— დიახ, მე ვიცი...

გრძელ სოროში მიეცვები პეტრეს, ჩემი ხელი უჭერია ხელში, ფარულად მიეიწევთ წინ, გარშემო მძალე სუნი ტრიალებს, თბილი ორთქლით გაყდენთილი მეჩვენება ყველაფერი. სამარისებურ სიჩუმეში სუნთქვა მესმის ვიღაცისა თუ რაღაცისა. პეტრე ჩერდება, მიახლოვდება.

— მე სინათლეს ავანთებ, მზად იყავი! — მეჩურჩულება იგი. იარაღს ვიმარჯვებ, ტანისამოსს ვისწორებ, ხათუთას ნახვას ველოდები. პეტრე ჩალიჩობს.

— დავიგვანეთ! — ცეჩურჩულები პეტრეს.

— ლამპარს ვამზადებ. ახლავე.

ასანთის ნაპერშელები იშლება ჰაერში. ბნელი ირხევა და ჩალას წაყიდებული ცეცხლი ანათებს ოთახს.

საერთო გაშლილ ლოგინზე ჩალაგებულ ადამიანებს ვაკეირდები.

— რომელია ხათუთა?

— უთუოდ ეს იქნება!

— არა!

— მაშ ესა?

— არ ვიცი.

— ეს?

— ერთი მათგანი ხომ იქნება!

მუნჯურად ვლაპარაკობთ მე და პეტრე.

პეტრე ერთ მათგანს აკვირდება.

— ეგ არის?

— მგონია!

— მაშ, მაცალე!

— რას აპირებ?

— მე ახლავე გიჩვენებ, რასაც ვაპირებ!

მგონი ხათუთას ვალვიძებ ფრთხილად. ძილით დამძიმებული თვალები შეტერთალად მიმზერენ. ხათუთა შეკრეპილ თმებს ისწორებს, თვალიან ფეხებამდენ მათვალიერებს.

— ადექი! — განიშნებ ხელით.

ქალი ფრთხილად დგება. ფეხსაცმელებზე ვუთითებ. იღებს. იკაზმება.

პეტრე გაკვირვებით გვიმზერს. ჩუმად ეცინება. ჩენ გარშემო სრული სიმშევება, ჩამიჩუმი არ ისმის. ერთი წუთიც და მშვიდობით გავალთ ხათუთასთან ერთად, მაგრამ... სიჩუმის უამს კარებში შემოდის ხელკეტიანი ალელვებული კაციშვილი და ყვირის, ღრიალებს, სიტყვა-სიტყვით იმეორებს ჩემ დავალებას:



— ჩემია ხათუთა-თქო! სახლნახარჯია-თქო! ვერ წამართმევთ მოკედები-თქო ჩემია-თქო, ჩემი! ამოგხოცავთ-თქო.. — აღზურობებული კეტს ატრიალებს. ხათუთა კივის, ხიზანი ფეხზე დგება, მამაკა-ცები ჭერს ანგრევენ მეორე სართულში.

— ას, კაციშვილო, კაციშვილო!

— დიახ, დიახ, ჩემია ხათუთა-თქო! დაგხოცავთ-თქო! — განაგრ-ძობს კაციშვილო.

მე და პეტრე ქალს ვაკავებთ, კარებისკენ მიგვყავს. კაციშვილი წინ გარბის ბრაზიანი ყვირილით და ჩენ უკან გნიასია ატეხილი: ქალე-ბი, ყმაწვილები, მამაკაცები და შემდეგ ნაგაზები...

თოვლი გვეშლება სახეში, ნაგაზები გვეტანებიან, კაციშვილი წინ გარბის... მე და ხათუთა ერთიმეორეს ვეკიდებით, ვსხლტებით დაქა-ნებულ ფერდობზე და თავუირამალა გადავდივართ ნამქერში. პეტრე ძლიეს იგერიებს წამოწეულ ნაგაზებს, კაციშვილი უწინდებურად გარ-ბის წინ და ღამეს გაპერის:

— ჩემია ხათუთა-თქო! ვერ წამართმევთ-თქო, ვერა..

— კაციშვილო, კაციშვილო! შეჩერდი, მხოლოდ ერთი წუთით! იგი ჩერდება.

— გვყოფა, კაციშვილო.

— დიახ, მეყოფა!

— საქმე ცუდად არის. უკან მოგვდევთ, კაციშვილო!

— დიახ, ჩემია-თქო ხათუთა! — კვლავ ომახიანობს კაციშვილი და კეტს ჰაერში ატრიალებს.

— ო კმარა კაციშვილო, აი, ეს ხათუთაა, ხედავ, იგი მე მომყავს, მომყავს შენთვეს, კაციშვილო, მაგრამ შენ ას შერები!

— დაგხოცავთ, ყველას-თქო!

— მოიცა, გვყოფა, ხმა ჩაიქმინდე! იგერ პეტრეც მოვიდა, მდევარს გზაყვალი დაებნა. საჭიროა სიცრობილე, მიმალვა.

— დიახ, მიეიმალოთ...

ხეების შუაღამშუა მივიპარებით. პეტრე გზას მიიკვლევს, მე და ხა-თუთას კვლავ გვიპირს სიარული, ფეხსაცმელი გვისხლტება, ხან მე ვარ ქვეშ, ხან ხათუთა. კაციშვილი მოშორებით მოჩანჩალებს. და მე იღუ-მალად მესმის მისი ხმა:

— დაგხოცავთ-თქო, ჩემია ხათუთა-თქო!

\* \*

— საღ მისვლა გირჩევნია, კაციშვილო, შენ სახლში თუ მეზობ-ლისას?

— ჩემ სახლში.

- არაყი გაქვს?
- მაქვს.
- ხედავ, მდევარი ჩამორჩა, გადავრჩით.
- ჩამორჩა, დიახ.
- ხათუთას ხედავ?
- ეხედავ.
- მას მე პოლიციული ვეგონე!
- ვეგონე, ჰო.
- მაგრამ საქმე მაინც ცუდად არის: მდევარი თუ დაგვეწია, შე-  
ტაკება მოგვიხდება.
- შეტაკება, დიახ.
- ამიტომაც საჭიროა სიჩუმე. ხომ ხედავ, პეტრე როგორ ჩუმად  
მიპყვება ხათუთას.
- ჩუმად, ჩუმად. მაშ...
- მაშ, ჩენ გაეჩუმდეთ.
- გაეჩუმდეთ.
- ვხედავ, ბილიგზე სინათლეები დაჭრის. ხევსურები გვიტებენ  
წყევლა, მუქარა მოაქვს ქარ-თოვლს. ხმაური თანდათან გვიახლოვდე-  
ბა. კიდევ დარგი, რომ სოფელი ინგეთი აგრე, სულ ახლოს მოჩანს,  
მაგრამ...: თვალი და თოვლიან ღამეში ანთებული სინათლე ხომ არ  
გვარჩეუბს?
- რად გაგრძელდა გზა, კაციშვილო?
- დიახ, გაგრძელდა.
- გეჩქარება?
- ჰა?
- გეჩქარება-თქო?
- დიახ, მეჩქარება-თქო!
- ჰო, კაციშვილო, კაციშვილო! ამოწყდი შენ, ამოწყდი აგრე!

\* \*

სოფელ ინგეთში შევდივართ, მდევარი ფეხდაფეხ მოგვდევს, კა-  
ციშვილი თვალშინ მიქრება. მარტოდ დარჩენილს ხათუთა მრჩება  
ხელში. კაციშვილის დედა მეგებება, იგი ფქვილს აშლის კარებში შე-  
სულს ხათუთას, ულოცავს მათ ოჯახში თეთრიად აყვავებას და მო-  
ახლოვებულ ხმაურით შემკრთალი პეტრესთან ერთად გადის ოჯახი-  
დან.

ვუმჩერთ ერთიმეორეს მე და ხათუთა: მას ჩემი ბარელობა აქვირ-  
ვებს — მე... მისი შავი, შემკრთალი მზირალი თვალები, უსწორმას-

წორო სახე, თოვლში და ფქვილში ამოგანგლული ტანისამოსი. ეჭირიშვილი  
საჩქოროდ წაეიდე აქედან. უკახი მასპინძლებს:



— კაციშვილო!

ჩამიჩქმი არ ისმის.

— ბალილო! შენი შვილის საცოლო მოვიყვანე, გამოჩნდი, სადა  
ხარ, სად!

ჩამიჩქმი არ ისმის.

— ნინო! ქალო, დედამთილობა გაუწიე ხათუთა!

ჩამიჩქმი არ ისმის.

— ხათუთა!

— სიკვდილი, შენ!

— არა, ხათუთა. მე, ბარელი ნუ გვონივარ, არხოტელი ვარ, ქალო,  
არხოტელი. მე რომ არა, შენ ეს ბედნიერება არ გელიჩებოდა, მაგ-  
რამ... რა იქნა დედამთილი, ან მამამთილი, ან კაციშვილი? პეტრე მა-  
ინც სად წავიდა!

— ყველა წყალსამც წაუღია!

— ნუ, ნუ იწყევლები, ხათუთა, შენ ამ ოჯახში უნდა გაბედნიერ-  
დე, აქ უნდა აყვავდე, ო, მაგ ფქვილივით თეთრად!

ხათუთა ზიზლით მიცერის. მდევრის ხმაურით იქსება სოფელი  
ინგეთი.

— ბადიავ, კაცო! მოხედე მტერს და მოყვარეს, სად მიიშალე, სად?  
ხმა გამეცი!

ჩამიჩქმი არ ისმის.

— ნინო, კაციშვილო! მოლით, თორემ მეც ჩავალ, მივატოვებ ხა-  
თუთას და შემდეგ ეძებეთ!

ჩამიჩქმი არ ისმის. სამაგიეროდ მდევრის ხმაური გვიახლოვდება.

— გესმის, ხათუთა?

— ჩემი მამისახლი მოვიდა!

— კაციშვილო! ბადილო! პეტრე! ინგეთელებო! ჰეი, სადა ხართ,  
სად? — ვუხმობ, ვუბრაზდები და შესახვედრად ვემზადები.

ახოვანი ტანის ხევსური ქარიშხალივით შემოდის სახლში, მის ხმა-  
ზე სახლი ზანზარებს. მას მოსდევს: ერთი, მეორე, მესამე, მეოთხე, აი,  
მეხუთეც და... ვინ იცის რამდენი, რამდენი, თავის დედაწულიანად  
გამოგვიდება ხათუთას მამულეთი. შემკრთალი ხათუთა მათში ირე-  
გა და ქრება.

ხევსურები ბორგავენ, აქა-იქ აწყდებიან, ქალის მომტაცეს და  
მასპინძელს ეძებენ. ჩემ გარშემო სიცივე და აბჯრის სუნი ტრიალებს.  
გაჩქმებული ვადევნებ თვალყურს: რა საქმე მაქვს ბარელს ქალის მო-  
ტაცებასთან. რა ხათუთა, რისი ხათუთა, ვინ კაციშვილი, ვინ პეტრე,  
ვინ ბადილო!



— ქალი ჩაგვაბარეთ! — ყვირიან ხევსურები.  
 — ქალი? ხათუთა? ახლავე, ამ წუთში! — ვათვალიერებ აქ მყოფი მისამართის  
 ვაწყდები ოთახის კუნცულებს, მაგრამ... სად არის ხათუთა!..  
 — ხათუთავ! სად წახვედი, სად? — ვტრიალებ, ვეძებ მაგრამ...  
 გაქრა ხათუთა.  
 გაქრა კაციშვილი.  
 გაქრა მამამთილი ბაღილო...  
 გაქრა ნინო დედამთილი... და მეღა დაერჩი.

— ქალი, ქალი ჩაგვაბარეთ! — ინგრევა სახლი დევაცების ხმა-  
 ურში.

— მოიცადეთ, მოიცადეთ! ნუ გინდათ ცუდი საქმე, ახლავე მოვ-  
 ქებინ ხათუთას, ახლივე! — სასწრაფოდ გავედი ოთახიდან, კარებთან  
 ბიცოლას წავაწყდი.

— მაღლობა ღმერთს, რომ გადაურჩი! რისთვის დაანგრიეთ ქვე-  
 ყანა, შიშმა გამათავა, პეტრეს კარები ჩაუკერე შინ, შენთან გამოვი-  
 ქეც.

— მიშველე, ნანა, მომეხმარე: ხათუთა მოვძებნოთ, მივცეთ, წა-  
 იყვანონ!

— სად არის ხათუთა?

— არ ვიცი, არა!

— ხათუთა!

გაქრა ხათუთა.

— ბაღილო! არ გესმის ბაღილო!

გაქრა ბაღილო.

— ნინო, ქალო, ნინო!

გაქრა ნინოც.

კაციშვილი ხომ არა ჩანს და არა ჩაჩს.

ეზო-კარი მოვიარეთ მე და ჩემმა ბიცოლამ, ბოლოს საჩალეში შე-  
 ვედი და რას ეტედავთ:

თოვლში ამოგანგლული კაციშვილი კუთხეში მიწოლილა, ბაღი-  
 ლოს მხოლოდ თავზე დაუფარებია ჩალა, ბზეზე გაშხლართულა, მის  
 შახლობლად ნინო კანკალებს და... კარების შახლობლად თვალი მოვ-  
 კარი ხათუთას: მას ერ მოუსწვრია ჩალაში გაძრომა.

— ეს ვინ არის? — მეკითხება ბიცოლა.

— ხათუთაა, ჩეენი პატარებალი, ხათუთა! ხედავ მის ტანისამოს-  
 ზე ფქვილს, ეგ ფქვილი წელან მისმა დედამთილმა გადააშალა. — ვებ-  
 ნები ბიცოლას და ხათუთას ვუახლოვდები: — ადექი ხათუთა, ადექი!  
 ბედი არ გჭონია — მამისახლი გეძებს!

ხათუთა უხმოდ დეგბა, ჩემ ბიძის ცოლს გაჰყავს საჩალედან, მე  
 არ მინდა ვეჩვენო ხევსურებს.

- კაციშვილო!
- კაციშვილი ხმას არ იღებს.
- ბიჭო, კაციშვილო!
- თავი გამანებე! — ბუზლუნებს იგი.
- გესმის, ხათუთა, წაიყვანეს!
- დიახ, წაიყვანეს!
- რა ვქნათ, კაციშვილო, ეგეთი ყოფილა შენი ბედი!
- დიახ... ესეთი ყოფილა ჩემი ბედი...

### გატეხილი ლაპა

„და მე ავტირდი ვით მეფე ლირი,  
ლირი ყველასგან მიტოვებული“.

გალაკტიონი

თოვს. ნელი შრიალი ისმის თეთრი ფარტენებისა. თოვლის შრიალი იდუმალად დაწოლილ ღამის შრიალს უერთდება. შრიალებს, შრიალებს მთელი მიდამო, შრიალებს განუწყვეტილად.

უშმერი თოვლში და ღამეში ატუზულ ერთადერთ ხეს, ჩემებრ მარტოდ დარჩენილ ხეს... ხე იძარცვება თოვლში და ღამეში, ხე ქრება და ჩემს სულს სიძარტოვე ეუფლება. მარტოდ მარტო ვრჩები ადამიანებს შორის... მინდა ვიძახო, ვიძახო მთელი ხმით, ბჟვშობისას რომ გავსძახოდი მთებს, მაგრამ ჩემი ხმა ჩემშივე რჩება, თვით მე არ მესმის ჩემი ძახილი და ვქვითინებ უცრემლოდ, ვქვითინებ გულის სიღრმეში...

აწერილი ფიქრი დაბორიალობს ისე, როგორც წეროს მართვენი, ჩენი სოფლის თავშე რომ გადაიფრენდნენ გაზაფხულზე უნივერსიტეტი გზადაბნეულნი. მე უშმერდი და დავსცინოდი მაშინ, დაესცინოდი ბავშვი, უმეცარი და რა ვიცოდი თუ ისე საბრალონი იყვნენ, როგორც ეხლა მე, რომ მათი ხმა დედას არ სწვდებოდა, არ სწვდებოდა მათ თანამოგზაურთ და ამაღაც დაბორიალებდნენ საბრალოდ, როგორც ჩემი ფიქრები თოვლიან უკუნეთში...

ღამე წევს და სიჩუმე სიჩუმეს ემატება.

ღამეში ისმის შრიალი თოვლისა და მე, ღამეში დარჩენილს, ხის გაძარცული ტანი მიღვას თვალშინი.

ვზივარ ფიქრით დამთვრალი და ველოდები ვიღაცას თუ რაღაც...

იგი იგვიანებს, იგვიანებს და მე შიში მიბყრობს, შიში სიმარტოვისა.

გადის წუთები.

გადის წუთები შავად აშლილ ღამეში და ჩემ თვალშინ ჩინდება ლაჟმისამართის  
დი ადამიანისა... მინდა შევხედო, მაგრამ ვკრთი, მზერას ვერ ვუს-  
წორებ ჩემ სტუმარს, ლანდის... ლანდის...

იგი სულ ახლოს მოდის, ნელა იხრება:

— გაგა!.. — ჩურჩულებს ლანდი.

ჰო!.. ლანდო კეთილო, ლანდო — მალამოვ ჩემი სულისა! მინდა  
დავიჩიქო: ღონიერი მყლავები შემოვხვიო მის მუხლებს და ავჭი-  
თინდე, ავჭითინდე — ბავშვი მშობლის კალთაში.

მინდა მოვეხვიო მუხლებს — დავუკოცნ კალთები სამოსისა, ხე-  
ლებს ვშლი და... ლამე მეგებება შავი სიცილით, შავი ლამე მრჩება  
ხელებში, ციც ოფლს მასხამს სახეზე, გაცრეცილი გარშემო ვიხე-  
დები.

— ლანდო კეთილო! — ვუხმობ, ვეძახი, მაგრამ... ძახილი ჩემში  
რჩება, თვით მე არ მესმის იგი, ქუხს გულის სიღრმეში და მათრთო-  
ლებს.

ლანდო კეთილო! ლანდო განუყრელო ჩემი გულისა! რისთვის მი-  
მატოვე, რისთვის დამიშერი გული, გული დაჭრილი ათასჯერ! რა  
გსურდა ჩემგან?.. რა გსურდა, რა!

— ბედკრულო გაგა!

მესმის ჩურჩული, ჩურჩული ხავერდისფერი.

ახ, ლანდო! ლანდო კეთილო! განა შენ არ მომასმენინე პირველად  
ხმაი ციური! განა შენ არ მპირდებოდი ცისფერ მგზავრობას: განა შენ  
არ მიჩვენე გზა სარბიელი ლურჯი!

ეხლა სადა ხარ, სად!

რად მიმატოვე ცხოვრების კარიბჭესთან!

რად მიმატოვე ცისა და დედამიწის შუა!

ცოდვა ვარ, ცოდვა! — დადეგ და მითხარი ერთი ქართული!

ჰო!.. ვემუდარები! ვემუდარები, ლანდო!.. ლანდო!..

ვდგვარ — ველოდები...

ვდგვარ დამეში. ნელი შრიალი ისმის თეთრი ფარტენებისა, შრი-  
ალებს მთელი მიდამო, შრიალებს განუშვარილად...

ვუსმენ ბუნების ჩემს და ვკრთები:

მე — მეტყველი, ეხლა ბრმა ვარ და უენო.

ლანდო კეთილო, ხელთ შემრჩა ფუნჯი გამშრალი, შენ რომ მო-  
მაწოდე და მითხარ:

— აპა, გაგა, ეს ფუნჯი და იფიქრე, იფიქრე, საბრალო გაგა!..

შენ გამიშალე მკერდი ქვეყნისა, შენ გაშალე სურათები ცისფერი,  
შენ გაშალე ტილოები და ხელფუნჯიანს მეუბნებოდი:

— გაგა, იფიქრე და აირჩიე!



მე გიმზერდი და ვთროდი, ვთროდი ირემი მხატვრის წერილებული  
და ნელა იხრებოდა მუხლები ჩემი...

მაშინ გზააბნეული ირემი ვიყავი — მთიდან ბარად ჩამოვარდნი-  
ლი, მაგრამ ლალი, თავისუფალი... ეხლა კი... მარტოდ მარტო ვიცრი-  
ცები ბნელ ღამეში, ვდგვარ და გალოდები, გალოდები უკუნეთში.  
ნელი შრიალი ისმის თეთრი ფარტენებისა, — თოვს და ეს თოვლი დე-  
დამიწაზე გართხმულ ჩემ სულს ეშლება, ეშლება თეთრი შრიალით.

— საბრალო გაგა! — ჩურჩულებს ლანდი, ჩურჩულებს ლანდი და  
ეს ჩურჩული ლურჯად იშლება ღამეში.

იგი დგას და მიმზერს შუბლშექრული, დიდრონ თვალთა ბიბინით.

სულოქმას ვიპარავ: მინდა ვუმზირო თვალებს, რომელთაც ნალები  
მოხადეს დედამიწას და ჩემ თვალწინ გაშალეს ფერთა მსუბუქ სხი-  
ვებში გაფუფქვილი. მე სხივების წინ ვიჩიქებდი, ვკოცნიდი, მაგრამ,  
ვაი, ქარიშხალმა მომიტაცა და ბნელ ღამეში გამისროლა...

თოვს... თოვს... თოვს...

თოვს და ჩემი სული კანკალებს სიცივეში, კანკალებს როგორც  
ქარიშხალის დამტვრეული ცისარტყელა...

ვდგვარ ღამეში — აცრუცილი ბავშვი, მშობლის მიერ მიტოვე-  
ბული. არავის ესმის ჩემი ხმა, ჩემი ძახილი, იგი გულში რჩება და იშ-  
ლება თოვლზე უცივესად.

ჰო!.. არა ყოვილა სიმარტოვეზე ძნელი ამქვეყნად!

ვდგვარ ღამეში და მეშინია: ჩემი ჩრდილი მგონია ჩემი „მე“.  
ვონების თვალით ვუმზერ სახეს და მეშინია... მეშინია შენი — „მოკვე-  
თილო“ თავი საბრალო!

ასე იკვეთდნენ ჩემი წინაპრები ვაჟკაცებს... მე დავსცინოდი მათ.  
დავსცინოდი ბავშვი უმეცარი და რა ვიცოდი, თუ ესოდენ მწარედ ტი-  
როდა მათი გული უცრემლოდ.

ჩემებრ რჩებოდნენ ისინი ცივ სამშობლოში მარტოდ მარტო და  
დასცინოდა თემი!

ჰო, ვაჟკაცებო! მოკვეთილი ვარ და ლანდებიც კი გამირბიან!

ჩემ გარშემო ღამე წევს... წევს ღამე, ირწევა და შრიალებს, შრი-  
ალებს უკუნეთი, შრიალებს განუწყვეტლად.

— გაგა! საბრალო გაგა! — მესმის ხავერდისფერი ჩურჩული:  
ლანდი მიახლოუდება ღამეში.

ვუმზერ და მეშინია: მის თვალებში კიაფობს ქილიცი უწყალო.

— მე შენ გელოდი! — ვამბობ და მუხლები იხრება. მუხლები იხ-  
რება, რათა მიწას შეეხოს მაღალი შუბლი და ვაკოცო ფეხსა ლანდი-  
სას.

— გაგა! — მეაცრდება ხმაი ლანდისა.

იგი იცინის... იცინის. იცინის ლანდი შავ ღამეში.

უნებლივდ უუსწორებ მზერას და ვეუბნები:

— თვევნ დასცინით კაცს, რომლისთვისაც არ არსებობს არც სიცილი, არც სიხარული, არც მეგობარი, მაგრამ იცოდე... იცოდე, მე იქ, იქ, შეგხვდები, სადაც ბოლოს თავს იყრიან დიდნი და მცირენი, იქ შეგხვდები შენი ტილოდან ჩამოსული ფხოველი და იცოდე... იცოდე, სულ მოგთხოვ, დიდო ისტატო!

თოვლზე უცივესად აცვდება ტუჩებზე ქილიკ-სიცილი.

— გაგა, საბრალო გაგა!

— დიახამც ლანდო, მაგრამ... შენ მპირდებოდი ცისფერ მგზავრობას და აი, სად მომიყვანე, სად! სად მომიყვანე მე უბედური და... დამცინი, ლანდო, შავ ლამეში...

შენ გთაყვანობდი მარად, შენ ქართულს ვჩურჩულებდი, შენი ქართულით ვიკლავდი წყურვილსა გულისას და აძა, კვლავ შენ მელანდები შავ ლამეში... მე ვთრთი, შენ დგახარ უფრო ცივი ამ ლამეზე და იცინი, იცინი, ლანდო უკუნეთში.

იცინე, ლანდო, ატირდი ლამევ, შუბლს დამაშალე ცივი ცრემლი ცისა და მიწისა...

— საბრალო გაგა! — მესმის ჩურჩული. ეს ჩურჩული ჭრის გულს.

— საბრალო! საბრალო! საბრალო! — შრიალებს ლამე, ლამე შავი, შავი ჭაღარით!

და შიში... შიში... შიში — და გრძნობა განწირვისა:

ეს რა დაგემართა გულო ვაჟავაცისავ!

ან შენ — ოქროსფერ სიტყვების ხვავო ლანდისავ!

ჰოი, ისტატო! შესდევ და გაიხსენე ფხოველი!

— ფხოველი! — ქილიკობს ლანდი.

და მე მინდა დავწყეველო იგი, დავწყეველო, ვისაც ვთაყვანობდი, დავწყეველო თავი საკუთარი...

ენა არ მენორჩილება, გული თრთის, მუხლები იქცევა.

— გემუდარებით! — ვამბობ ჩემთვის. ხელებს ვშლი, მინდა მოვეხვიო ლანდს... შავი ლამე მრჩება ხელებში, შავი ლამე და მეშინია, მეშინია და მებრალება თავი დაობლებული...

ქარაშორი მეშლება გაბურებულ შუბლზე, ქარაშორი ეჯახება ლამეში გაძარცულ ხეს და უკუნეთში წივიან გამხმარი ტოტები ხისა.

მე მინდა მიეკიდე მავ ხესთან და ავტირდე მასთან ერთად. ავტირდე გაძარცულ ხესთან და უუამბო დარდი გულისა.

შავი ლამე წევს და შრიალებს და შრიალებს ჩენ შორის. ქარაშორი გვეშლება მე და ხეს, გამხმარ ხეს, ხის ტოტები წივიან ლამეში და ეს წივილი ტირილი მგნია, ტირილი ხისა და ჩემი გულისა.

ხისკენ მივდივარ, მაგრამ... ხეს ლამე ფარავს და ინთქმება უკუნეთში.



ქარაშოტი ტრიალებს და თავზე მაშლის სუსხსა და წივილი მისამართისას.

დავეძებ ხეს, გამხმარ ხეს დავეძებ ლამეში, რათა მოვეხვიო და აეტირდე მასთან ერთად, აეტირდე და ვუამბო ლარდი გულისა, მაგრამ... ხეც გამორბის: გამხმარი ხის ტოტები წივიან მარჯვნივ, ან მარცნივ. აატირა იგი ქარმა და მრისხანედ დააფშვნიტა მიწას წივილი ტოტებისა.

წუთით გაჩუმდა ყველაფერი, გაჩუმდნენ ტოტები ხისა, თარეში ქარისა და შრიალი, შრიალი თეთრი ფარტენებისა, ამ შრიალში ექსოვება ხავერდისფერი ჩურჩული... ჩურჩული ლანდისა.

ლანდი წინ მიღება და მიმხერს ქილიყად...

— აა გზა ცისფერი, დიდო ოსტატო! დამაკვირდი ფხოველს და იცინე, იცინე. ეგრე დავსცინოდი უენო წეროებს ბავშვი უმეცარი, უმეცარი დავსცინოდი მოკვეთილ პატკაცებს და იცინე ლანდო, ჩრდილად მოსული ადამიანი ხარ და უფლება გაქცეს, მაგრამ იცოდე... იცოდე: მე იქ, იქ შეგხვდები, სადაც ბოლოს თავს იყრიან დიდი და მცირენი, იქ შეგხვდები შენი ტილოდან ჩამოსული ფხოველი და იცოდე, სულს მოგთხოვ, დიდო ოსტატო.

— საბრალო, გაგა! — ჩურჩულებს ლანდი, მისი თვალთა ბიბინი სწვდება გულს და აცრემლებს, აცრემლებს იმ ლამესავით ციცა და უამურ გულს.

— ლანდო, გზა მიჩვენე! გზა მიჩვენე და მითხარი ქართული ერთ-ზე მეტი, რომ კვლავ გაიღოს კარი გულესა. გაგა საბრალოა და უენო, მაგრამ გზა! რა იქნა ცისფერი გზა და ფერები გაშლილი მზის ცამამში!

ეს ღამე შავია და უამური. შენ გაურბოდი შავ ჩრდილებს, ეხლა შავეთის პირზე მხედავ და იცინი...

დამაკვირდი და მიხედი: იღუპება კაცი მეტყველი!

— საბრალო გაგა! — იცინის ლანდი. შავ ღამეში და შავი ქარი სილასავით მარტყამს სახეში შავ სიცილს და წივილსა ხის ტოტებისას.

ქარი სისინებს, ტაშს უკრავს და ტრიალებს ღამეში.

ლანდი დასცინის კაცს და ჩემი გული წივის, როგორც ტოტები გამხმარი ხისა.

— შორს! შორს! — იძახის გული თავის სიღრმეში.

ქარისა და ღამეს მიესდევ... ქარს მოაქეს თან წივილი ხმელი ხის ტოტებისა და შრიალებს, შრიალებს შავი ფრთები უკუნეთისა.

ერწევა შავი უკუნეთი, ერწევა ღამის ქვეშ გაყინული მიწა და მე ღამეში მესმის საშინელი ხარხარი ლანდისა...

იცინე ლანდო, იქროლე ღამევ, მაგრამ... შორს, შორს!

— გაგა! — ხარხარებს ლანდი ღამეში.

მე არ მსურს მესმოდეს ხარხარში არეული სახელი ჩემი.

— შორს! შორს, ხმაო ლანდისაც! მე სულს დავეძებ, სულს მხატვა-  
რის ტილოდან წამომდგარი ფხოველი.

— შენი სული მე მექუთვნის! — იცინდს ლანდი, შრიალებს ლამე  
და წივიან გამხმარი ტოტები ხისა; ცივი ქარაშოტები მეშლება მაღალ  
შუბლზე და ცრემლიან თვალებით დავეძებ ლანდს, პატრონსა ჩემი  
სულისა...

მე მინდა ვიძახო ღამეში, ვიძახო ძლიერი ხმით, მაგრამ ჩემი ხმა  
ჩემში ქრება: მე ალარ ვეკუთვნი ჩემ „მეს“ — ჩემი სული ლანდს უკა-  
ვია ლეგა ხელებში და დასცინის, დასცინის, დასცინის...

ირწევა ღამე, ირხევა შავი ფრთები უკუნეოსა, ქარაშოტი ითო-  
შება და ტორტმანობს გამხმარი ხე, დამტვრეული ანა შავი ზღვის  
მკერდზე ქარიშხლის ჟამს.

მე მინდა მივიღდე მაგ ხესთან, მოვჭვიო ათროთლებული ხელები და  
ავჭერითინდე ხმელ ხესთან ერთად. მე მინდა მივუახლოვდე შავ ლამეში  
დამტვრეულ ანძასაცით შეტორტმანებულ ხეს და მასთან ერთად გავ-  
ჰყევი ღამისა და ქარაშოტის ტალღით. იქნებ ქარაშოტმა და ღამემ გა-  
გვიყვანოს ნაპირთა ქვეყნისათ, ქვეყნის მიერ დაგმობილი ხე და აღა-  
მიანი.

ადამიანი, რომელმაც დაჲკარგა ყველაფერი და გამხმარ ხეს განუ-  
ცხადა მეგობრობა...

ქარი ქრის, ქარაშოტი მეშლება მაღალ შუბლზე, ქარაშოტში ის-  
მის გამხმარი ხის ტოტების წივილი და უკუნეო ნოქავს ყველაფერს.

ხე ინთქმება უკუნეოში და ყრუდ წივინ გამხმარი ტოტები, ტოტე-  
ბის წივილი ტრიალებს და თავზე მეხვევა ღამის შავ ტალღათა თარეშ-  
ში.

— დავიღუნე, დავიღუნე! — ვესნი ხის ქვითინში და ღამეში.

იქნება ჩემი გულის ძახილია ეს!

ან იქნება ხეც ჩემებრ განდევნა ბუნებამ!

ან იქნება ტყდებიან ხმელი ხის ტოტები და ტირის გაძარცული  
ტანი ღამეში დანარჩენი ხისა!

მაგრამ... მე კაცი ვარ და ძლიერი.

შესდექი, ღამევ და ღამეში მოთარეშე ქარაშოტო ცივო!

ქარაშოტო, გატყდი, მიჩვენე ხე, ხე დათქმული ღამეში!.. მე მინდა  
მივიღდე ხესთან, მოვეჭვიო და კოცნით დავფარო ტიტველი ტანი ხისა...  
მე კაცი ვარ და ძლიერი!

ქარო, დადევ და ღამიოხე წადილი უსახლვრო!

— შენ განწირული ხარ! — იმის ყრუ ქვითინი ღამეში.

იქნება ხეს დასტირის ღამე, — ლანდი სინათლისა!

ან იქნება ხეს სურს მამცნოს წუთები განწირვისა.

ან იქნება ლანდი მაწვდის ხმას — ქილიკ ხმას ქარში და ღამეში...

მე მინდა მივიღე მაგ ხესთან, მოვეხვიო და ავტირდე ხესთან ერთად.

გახურებულ შუბლს კუშვერ ქარაშოტს და მიესცურავ ღამეში.

ცივად მეჯახება ცივი ტალლები უკუნეთისა, მაგრამ მე კაცი ვარ და მუხლმაგარი.

— ხესთან! — იძახის წადილი გულისა.

მე მიეცურავ ღამეში. ასე ებრძვიან ტალლებს ზღვაზე განწირული.

ასე მიიწევენ ტალლების ბობოქარში განწირულნი დამტვრეულ ანძისკენ.

ხე ჩნდება და ტორტმანობს ღამეში.

ხე ჩნდება და ძლიერდება ქვითინი ხსს ტოტებისა.

ხის ლანდი ჩემშე უფრო საცოდავად დგას და დაჭრილი ხმით კიკის ღამეში.

ქვითინებს ატორტმანებული ხე — აჩრდილი ჩემი ცხოვრებისა და დაჭრილ გულისკენ მიშვერს ხმელ ტოტებს.

ხე მიხმობს, მოდარობს, ლანდი გამირბის და დამტინის უკუნეთში.

— შორს! შორს! — კივის ღამე, ღამე კაპას ქალივით თმაგაშლილი და ცივი.

აღამიანს მიბაძა ბუნებამ და იცინის, იცინის შავი სიცილით.

სასოწარკუვეთილი მიწას ეემხობი და ქვეითინებ უცრემლოდ, ქვეითინებ გულის სილრმეში, მიწა ცივია და მიუკარები, როგორც გული კაცისა.

მიწა სუსხს მაშლის სახეში და მიწყრება დედინაცვალივით.

— შორს! შორს! — კაპასობს და ბრაზიანად აჯახუნებს შავ საბურ-ველს.

ღამე ცივ ქარაშოტს მაშლის სახეში და გამარჯვებული დამჭყიფის უკუნი ხმით.

— შორს! შორს! შორს! — მესმის ერთობლივი ხმაური და სულ-დაკარგული, სულის მაძებარი ვტრიალებ ჯანყში.

— სიკვდილი! სიკვდილი! — კივის ღამე, ღამე შავი და აწეწილი სიკვდილის წვერებივით.

ჰეი, მიწა ჩემი სამშობლოსა!

მიწავ, მიღებ შენი ყამირიდან ამოსული ნერგი, ეხლა ქცეული ხმელ ტოტად, როგორც ის ხე, შენ მკერდზე რომ წივის ხმელი ობოლი.

მიწავ, გახსენი ცივი ფარაგი, — უტკბილესი ჩემთვის, გახსენი და მიღებ შეიღი მოკვეთილი!

მიწა ტორტმანობს და ცივი სუსტი მეშლება სახეში. — მეშლეჲშორანული  
სუსტი ჩემი სამშობლოს მკერდისა!..

და... სასოწარკვეთილი ვწევარ გაყინულ მიწაზე, როგორც მწირი  
უდაბნოში.

თოვს... თოვს... თოვს...

კრიახობს შავი მიდამო და წივიან შავი ტალღები ქარისა.

ქარი გრიგალობს და შორიდან მოაქვს საზარი ქვითინი გამხმარი  
ხის ტოტებისა.

— გაგა! — ვილაც მიხმობს, მიხმობს ცივი ხმით და ეს ძახილი  
ყრუდ სწვდება სმენას.

ლანდი მიახლოვდება, მიახლოვდება და მდუმარედ მიმხერს დიდ-  
რონი თვალებით.

— დიდო ოსტატო!

— შენ დაგეძებდი, გაგ!

— დიდო ოსტატო! დამიბრუნე სული, თორემ იქ, იქ შეგხვდები,  
საღაც ბოლოს თავს იყრიან დიდნი და მცირენი და შენს ფეხთით დამ-  
ხობილი მოგთხოვ სულს!

შემყრთალი ლანდი ხელებს მიშვერს.

მივდიგარ, მივდივარ, მივსდევ!

იგი მიდის. მიდის ქარაშოტში და იღიმება.

— სული! სული! დამიბრუნე სული, დიდო ოსტატო!

ოსტატი ულიმის ბუნებას. ღამე იფერფლება და მუხლმოდრეკილი  
ვკოცნი ცივ მიწაზე დამტვრეულ მზის სხივებს. ვკოცნი მკერდის ჩემი  
სამშობლოსას და ვემუდარები დიდ ოსტატს.

სული, სული დამიბრუნა დიდმა ოსტატმა!

## ცოდლიანი ციცილი

ეს ამბავი მოხდა რამდენიმე წლის წინათ. მაშინ მე ახალგაზრდა  
ვიყავი. მთაბარს ვაწყდებოდი, ვმხიარულობდი, ფლისით დოლში  
მივდიოდი, ხვალ ჭიხვებს ავედევნებოდი, ან ლამაზ ქალებთან ვაში-  
კობდი, ვცავავდი ეშით გახელებული და საღამოზე, როცა სოფელი  
მიჩუმდებოდა, როცა ვარსკვლავნი ააჭრელებდნენ ლაჯვარდ ცის  
მკერდს, როცა ჩანჩქერების სიმღერა უფრო მკვეთრად გაისმოდა, მე  
მოუსვენრობა მიპყრობდა, გავიმარტოვებდი თავს, ეუსმენდი ბუნების  
საიდუმლო ჩურჩულს და ამ სიჩუმეში შემომეშმოდა თუ არა მსუბუ-  
ჭი ნაბიჯის ხმა, ყველაფერი, ყველაფერი ქრებოდა ჩემთვის: იგი მოვი-  
დოდა ფრთხილად, ფრთხილად, ციურ მოჩვენებასავით, შედგებოდა  
მოშორებით და მე ჩუმად, უნებურად ვამბობდი:

— მთვარისა!

მაშინ ნაღვლიანი ხმა შეაქრთობდა სიბნელეს:

— სულხან!

ჰო, ეს ხმა!.. ეხლაც ტკბილად, ტკბილად რეგავს ჩემი გულის სილრ-მეში, ეხლაც ტკბილად აულერებს მას და რძნენადაც ტკბილია იგი, იმდენადაც მწარეა ჩემთვის: მე ვეღარ მოვისმენ მთვარისას ნაზ ხმას. იგი ოლარ უღიმის გაზაფხულის ყვავილებს, ვერასოდეს ვეღარ მოის-მენს ჩიტების სიმღერას, ესდენ ძლიერად რომ უყვარდა და ხშირად, ხშირად მეხვეწებოდა საღამოობით, ერთად გაგვესეირნა მახლობელი ტყისქენ, საღაც ათასნაირი ყვავილი ყვაოდა. ყვავილთა შორის წყარო იმღეროდა ტკბილად და ჩიტათა ხმაური ფარავდა ფოთოლთა ნელ შრიალს. იგი დაჯდებოდა ჩემ მახლობლად, ჩაფიქრებული მიაყურებდა ბუნებას; მისი შავი, დიდრონი თვალები ფიქრთა ზღვად იქცეოდნენ და ტკბილი ხმით მეტყოდა:

— რა ტკბილია ბუნება, სულხან!

— უშენოდ რომ მეხილა ესდენ ლამაზი ბუნება, იგი პატარა ყვავი-ლად არ ელირებოდა ჩემთვის, მთვარის!

იგი დიღხან, დიღხან დამაკვირდებოდა ტკბილი თვალებით, ნელად ასწევდა პატარა თეთრ ხელს, დამეყრდნობოდა მხარზე, მიმზერდა უხმოდ და მის სახეს ნელა გადაჰქრავდა მქრალი ფერი. მზერა მზერას რომ შეხედებოდა, ორივენი ვორთოლით ისე, ვით წყაროს პირზე მდგო-მი ლურჯი ყვავილი, რომელსაც ბინდის ნიავი ეალერსებოდა მსუბუ-ქი ფრთებით. ჩემი ტრფიალი მისდამი უფრო სუფთა იყო, ვიღრე ყოილთა ნელი სურნელი, ვიღრე ნიავის ჩურჩული ჩუმი, ვიღრე ვარ-სკვლავთა ციმტიმი, სულ ახლოს რომ ბრწყინვადნენ მთვარისას თვა-ლებივით. ტკბილად მიღიოდა დღეები სიჭაბუქისა. მე ბეღნიერად ვთვ-ლიდი ჩემ თავს, რადგან მთვარისა ჩემად მეგულებოდა და მწამდა, რომ ჩენ მხოლოდ სიკედილი, ულმობელი სიკედილი თუ დაგვაშორშორებ-და ურთიერთს. მაგრამ ვაი, ბედმა მიღალატა და ეხლა მწარე მოსავო-ნებლად მრჩება სიჭაბუქის ოქროსფერი დღეები. მე ეხლა მარტო ვარ ამ ქვეყანაზე; ვეძახი, უსტმობ დღეთა სიჭაბუქისას, ვეძახი მთვარისას, მაგრამ იგი ისევე გაქრა ჩემთვის, როგორც სიჭაბუქე, როგორც მა-შინდელი ყვავილი. მე ვეღარ ვიხილავ მთვარისას, ვეღარ მოვისმენ მის ნაზ ხმას, ვეღარ დავტკბები მისი ტკბილი ალერსით. იგი გაქრა მეფური სიზმარივით და დავრჩი საბრალო მონა ცხოვრებისა. ტკბილ დღეთა მოგონებაზე სისხლიან წარწერასავით დარჩა ჩემთვის მისი უკანასკნელი სიტყვა:

— მოღალატევ!

პატარა ხანჭლის გაელვება მის ხელში და ფოლადის ფხაზე გაგო-



რებული ცვარი ქალწულის სისხლისა. ეს ხანგალი მე ვაჩუქე მის დაკონცეული სიკედილი...

ნუთუ ღმერთო, მე გარ დამნაშავე!..

მე მისი სიკედილი სულაც არ მინდოდა და ქვემოთ მოთხრობილი ამბავი, დე აღსარება იყოს თქვენ წინაშე, იქნება ოდნავდ მაინც შემსუბუქდეს ვარამი ჩემი გულისა.

დედმიწა ღრუბელთ ცრემლებით ტიროდა. უკუნი ღამე იყო. სანალიროდ დაბრუნებული შინისკენ მოვისწრაფოდი. ჩვენ სოფელს რომ მიეუახლოვდი, მე წავიწყდი გზადაბნეულ მგზავრებს. ისინი პირველად შეკრთნენ, მაგრამ როდესაც გაიგეს, რომ მახლობელ სოფელში ვცხოვრობდი, გაეხარდათ და მასპინძლობა მთხოვეს. მათი ვინაობა რომ ვიყითხე, წინ მდგომი მომიახლოვდა და ჩუმად მითხრა:

— მე მეგზური გახლავართ. ჩემი თანამგზავრი თქვენ სოფლამდე უნდა მოვაცილო და შემდეგ... იმედია თქვენ გვიმასპინძლებთ.

მე უკან მდგომს დავაკეირდი. იგი მთლიანად ნაბაღში გახვეული იყო. ღამესავით შავ ცხენზე იჯდა უხმოდ, თითქოს შავი ქანდაკი მისცურავდა ღამეში.

— ვინ არის იგი? — შევეკითხე მეგზურს.

— თქვენ კმაყოფილი დარჩებით, როცა მის ვინაობას გაიგებთ. — ცბიერი ღიმილით მითხრა მან. ერთხელ კვლავ შევხედე შავ ცხენოსანს: მედიდურად იჯდა იგი, უხმოდ, უმოძრაოდ. რაღაც იდუმალი შიში თუ მოკრძალება ვიგრძენი, წინ გავუძელი და რა ვიცოდი, რა ვიცოდი, რომ მე შავი ბედისწერა წამომეწია შავ ღამეში, რომ აქედან დაიწყებოდა მწარე დღეები ჩემი ცხოვრებისა.

სოფელში რომ შევდიოდით, ბრაზიანი ნაგაზები შემოგვეგბნენ, ცხენები შეაფრთხევეს, შავი ცხენი შეტორტმანდა, მხედარს უცნაური კივილი აღმოხდა, ეს კივილი მწვავე ისარივით მომხედა გულში, შემიერთო, ამათრითოლა, გონება დამიბნია, მაგრამ მასპინძლობის მოვალეობამ დასძლია, მყეფარებს გავუჭავრდი. გული კი... გული თავისას არ იშლიდა, თრთოდა, კანქალებდა. ფოლადის ნამტვრევის ხმის მსგავსი ხმა კვლავ ჩემ გულში ურიალებდა, იმტვრებდა და ტკივილის მაგირ ამოუცნობის ძალით აამებდა მას. მაშინაც კი, როცა მთვარისას სახლის მახლობლად ჩავიარეთ, როცა მთვარისას სიმღერის ხმა შემომესმა, რომლის მსგავსიც არაფერი მეგონა სამზეოზე, მაშინაც კი უცნობის ხმა ურიალებდა უკუნეთში და ჩემი მთვარისას ხმაზე ძლიერად ათრთოლებდა გულს. მე მაკრთობდა მისი სიახლოვე, ნაბიჯს მირევდა, მაგრამ მაინც წინ მიუუძლოდი ჩემი სახლისაენ.

ერთხელ კიდევ გაეგმაურა იგი ცხენს, როცა ჭიშქარში შევეღით. ცხენი შედგა, შავი ქანდაკი შეირხა. აიწია, შავი ნაბაღი გადაიხადა. მეგზური მიეხმარა, ნაბაღი ჩამოართვა და მე ვარსკვლავთ სინათლეზე



ენის ბუნების მიერ დახატულ ქანდაკზე ულამაზესი ტანცმაშემართვა  
ანისა, რომელიც ერთ ავენიდზე იდგა და ორხეოდა.

ხმაურზე ჩემი ოჯახის წევრები შემოგვევებნენ, ცხენები და იარალი  
ჩამოგვართვეს ჩვენი ჩვეულების თანახმად. კოშკისკენ გაეუძეხი სტუმ-  
რებს. სასტუმროს კარებს რომ ვაღებდი, მე ვიკრძენი უცნობის  
სიახლოევ, მისი ტანის სურნელი, ათრთოლებული ხელით გავჰკარი  
ასანთი და, როცა ლაპის სინათლე გაიძნა ოთახში, გაშტერებული  
დავრჩი. ჩემ წინ იდგა ცისფერ სამოსელში გამოწყობილი ულამაზესი  
ქართველი ქალი. მან ყურადღება არ მიაქცია ჩემ გაოცებას, თითქოს  
ეს აუცილებელი ყოფილიყო, ტკბილად გაიღიმა და ხელი გამომიშ-  
ვირა.

— ეკთილი იყოს ჩვენი სტუმარ-მასპინძლობა! — თქვა მან.

მექანიკურად შევაგებე ხელი და მისი ხელი ჩემ ლონიერ ხელს  
რომ შეეხო, ურეოლიმ დამიარა მთელ სხეულში და როცა ივი სკამზე  
იჯდა ცივად და მედიდურად, მაშინაც კი ურეოლა თავისას არ იშლი-  
და. შარბათის სიტქბოთ იწყებოდა თოთხებიდან, უცნობის ხელის სით-  
ბო რომ შერჩა, უვლიდა მთელ ტანს და გულის სილრმეში იპნეოდა.  
მისი მეგზური, ხმელის სახის კაცი იდგა ჩვენ შორის, ხან ერთს ვეიკუ-  
რებდა, ხან მეორეს და მაცდურად ილიმებოდა. არ ვიცი, როდემდის  
გაგრძელდებოდა ჩვენი ამგვარი მდგომარეობა, რომ დედაჩემი არ შე-  
ისალიყო სასტუმრო ოთახში. სტუმარი ქალი რომ ნახა, გაეხარდა.  
ძიესალმა სტუმრებს. მეგზურს ჩემი ბიძაშეილი მიუჩინა მომელელად,  
მე დამითხვევა, ხოლო ქალის მასპინძლობა თვით ქალებმა მიიღეს მო-  
გალეობად.

მე მძიმედ ჩავკეტე ჩემი საწოლი ოთახის კარები და დიდხან, დიდ-  
ხან ვიდექი კარებს მიყრდნობილი.

— ნუთუ სინამდვილეა! — ვფიქრობდი ჩემთვის და იმ უცნობი  
ქალის სახე მედგა თვალშინ. იმ წუთებში ერთხელაც არ გამხსენებია  
მთვარისა.

ლამე ფიქრებში დაილია, გაქრა. როგორც იყო გათენდა. გათენდა,  
მაგრამ ისეთი მშვიდი დილი არ მენახა ჩემი სიჭაბუკის დღეთა მან-  
ძილზე. საოცრად მოწმენდილი ცა სულ ახლოს ჩანდა, მის ლაჟვარდს  
უერთდებოდა მუდამ თოვლ-ყინულიანი მაღალი მწვერვალები—ერთი  
მხრით, „კიდევანა“, ხოლო მეორე მხრით, „არწივის მაღალი“. მათ  
კალთებზე გაშლილი ალბიური მცენარეებით დაფარული ველები  
აბილ ხავერდივით მოჩანდა, ჩანჩქერები ძლიერი ხმაურით ტყდებოდ-  
ნენ ბროლის კლდებზე და შორს, შორს თეთრად გაფენილ ცხერის  
ფარებს ამაყად დაჰკიოდნენ მწყემსები. მე ჩაფიქრებული ვიზექი კოშ-

ქის კარებთან და უუმხერდი ბუნების ლამაზ სანახებს. ფიქრებში გარე თულს ტანისამოსის უცნაური შრიალი შემომესმა, დინგად მივხეჭდება სტუმარი ქალი ჩემ პატარა დასთან ერთად ბრუნდებოდა მახლობელ წყაროდან. უნებლიერ წამოვდევი ფეხზე, თვით მე ვიგრძენი ჩემი სახის სიწითლე. არასოდეს არ მენახა მსგავსი სილამაზის ქალი. მისი სახის კანი უცნაურად თერთი იყო. შემდეგ, როცა იმ ქალზე ვფიქრობდი, ვერც ერთ ჩემ მიერ ნახულ ყვაველს ვერ შევადარე მისი სახის კანი. უფრო გამოცა თხელ ბაგეთ სიწითლემ. ჩემ გარშემო მუდამ ლამაზი გოგონები ტრიალებდნენ, მაგრამ ისეთი წითელი ტუჩები არასოდეს არ მენახა. უფრო საოცარი სანახავი იყო ნახევრად მოლელილი მეტადი, თუმცა მინდოდა მემზირა თუნდაც მთელი სიცოცხლის მანძილზე, მაგრამ მრცხვენოდა საკუთარი თავისა... იმ მხარეში, სადაც მე დავიბადე, სირცხვილად ითვლებოდა ქალისთვის ყელის ქვემოთ შიშველის გამოჩენა და ეხლა... ჩემ წინ იდგა ნახევრად შიშველი ქალი, რომლის სილამაზეც ანგელოზს შეაშფოთებდა. მე ნათლად ვხედავდი მის ყოველ ნაკადს თხელ, შრიალა კაბით დაფარულს. მან, რა თქმა უნდა, იგრძნო ჩემი მზერა, უფრო გამოაშეარავა თავისი ნაკეთები, მომიახლოვდა.

— აა! დიღა მშვიდობისა! — მითხრა ღიმილით.

— დიღა მშვიდობისა! — ძლიერ მოვახერხე პასუხი.

მან მედიდურად ჩამიარა. იდუმალ მზერას მოხვდა მდიდარი ტანის ვნებინი ჩხევა. ჯიშიანი გავა, მოკლე წელი, პატარა მხრებზე დაშლილი ხშირი თმის შავი კულულები, ჩამოსხმულივით ნახარდი მაღალი ფეხები, დახატულივით მომეჩენა და უნებური მაიქებრებია: „რა იქნებოდა მთვარისაც ასეთი ლამაზი რომ ყოფილიყო“... ჰო, ღმერთო! ეს იყო პირველი გაორება ჭაბუქის გულისა, რომელიც აქამდე ერთადერთ მთვარისას ეკუთვნოდა.

უპირველეს ყოვლისა, მე შეუდექი მისი ვინაობის გაგებას, მაშინათვე მეგზურის სანახავად წავედი. ჩემმა ბიძაშვილმა რომ დამინახა, ეჭვის თვალით დამაკვირდა. მისვლის სურვილი რომ გაიგო, ღიმილით მითხრა.

— იმ ქალის მეგზური მზის ამოსელის უმალ გავისტუმრე.

— საიო წავიდა, თუ იცი?

— რა თქმა უნდა, თავის ოჯახში: მაინც რად გინდოდა მისი ნახვა?

— ისე, მაინტერესებდა.

— როგორც ჩანს, გუშინ ვერ მოვისწვრია მასთან საუბარი, — დამცინავი ღიმილით მითხრა მან. მე უპასუხოდ გავშორდი. ეხლა ჩემი პატარა დის საშუალებით შემეძლო, ზოგიერთი რამ შემეტყო სტუმრის შესახებ. შან მხიარული სიცილით შემოირბინა ჩემ ოთახში.



— მე ვიცი რაც გაწუხებს! — მომაძიხა შემოსვლის უმაღლესობისადან რა ლამაზია! მისი ტუჩები! კბილები, როგორც ბროლი, მას პერსონალის სუნი უდის, როგორც იებს, ქვიშების ნაპირზე რომ იზრდებათ, აი, სწორეთ ასეთი სუნი! — მან ხელი გამომიშვირა, რომელზედაც ნელსაცხებელის სუნი უდიოდა. — მისი კაბები ისეთი მსუბუქია, ისეთი, მაგრამ ისეთი ძვირფასი და კიდევ ბევრი, ბევრი ნივთები... სახელი იცი? — შემეკითხა და თვითონვე დაუმატა: — ცაცა! მოგწონს? მე ვიცი, მოგეწონება!

— შენი სახელი უკეთესია, — მაია!

— ჩემი სახელი არა, მაგრამ მთვარისა კი! — თქვა, წასასვლელად მოემზადა, კარების მახლობლად შედგა. ქვეშიქვეშ გაიღიმა. — წელან მთვარისა შეგვეხდა წყაროსთან, — მითხრა მან, — ცაცას ძალიან მოეწონა, მასთან საუბარი სურდა, მაგრამ მთვარისამ ყურადღება არ მიაქცია, გვერდზე ჩაუარა. შენ რომ ყოფილიყავი, იგი თუნდა ერთი წელიწადი გაჩერდებოდა წყაროსთან, ცაცასაც ვუთხარი, თუ მთვარისასთან საუბარი გინდა, ჩემ ძმასთან გაიარე, მთვარისა სულ აღარ მოგშორდება-მეტენ.

— უყვარს? — მკითხა ცაცამ.

— დიახ! — ვუპასუხე. შევამჩნიე, რომ არ ესიამოვნა. ამის შემდეგ დიღხანს ხმა აღარ ამოუღია.

— ენატიკტიკა ხარ, მაიკო!

— მერე რა? გწყინს, რომ გაგამზილე? ახალი დარღი მაიას.

— როდის აპირებს წასვლას შენი სტუმარი?

— ცაცა?

— დიახ!

— ვითომ არც იცი?

— მე საიდან მეცოდინება!

— მე კი ვიცი! წელან დედასთან საუბრობდა: მას აინტერესებს თურმე სხვადასხვა წესები, ადგილების ნახვა, გამყოლი უნდა. დედა დაპირდა, სულხანს გაგაყოლებო.

— სულხანსო!..

— ვითომ გწყინა კიდეც! — მან ხელი გაშკრა ცხვირზე. ეშმაკურად გაიღიმა და გავარდა ოთახიდან.

— მაშ ასე!.. — ვთქვი ჩემთვის. — ეხლა მე უნდა გავხდე მისი შეგზური... ცაცა... ცაცუნა... — ეიმეორებდი მის სახელს.

---

ერთი საათის შემდეგ დედამ დამიბარა თავის ოთახში, ნადირობის ამბავი მკითხა, გამაფრთხილა, არაფერი შეგვეთხვესო და ბოლოს დაუმატა: — ჩვენი სტუმარი ქალი უნდა გააცილო ორბეულთამდის —



მას აინტერესებს ძველი ნანგრევების ნახევა. იმედია, თავაზიანად მოგვიანებული შეცვერი.

მე სრული იმედი მივეცი, გამოვემშვიდობე და მაშინათვე სამზადისს შეეცვექი: შევი ჩოხა ავარჩიე ჩემი ჩოხებიდან, შევი ფაჭანი, დასირშული უძიროები, ოქროთ მოვარაყებული ქამარ-ხანჯალი, ვერცხლით მორთული უნაგირი, შევიდი წლის ულაყი შევეაზმე, რომელსაც საკმაოდ დიდი სახელი ჰქონდა მოხვეჭილი ღოლში და შუალის უძს სტუმარ ქალთან ერთად მიექროდი სოფელ რაბეულთისაკენ. იგი შავ ჭაპხე იჯდა, თეთრი სამოსი ემოსა, ცისფერი ყველსახეევი გადაევდო მხერებზე და მედიდურად უმშერდა მიდამოს. ღროდადრო წამომეწოდა, მაგრამ იჯრძნობდა თუ არა ქარისა მის ცხენის სიახლოვეს, თავს წამართმევდა, თითქოს ისიც ისევე უფრთხოდა უცხო ცხენოსანს, როგორც მე. ფრუტუნებდა, ნალ-ლურსმანს ამტვრევდა, ძლიერ ვიყავებდი, ვიყავებდი, მაგრამ გული უცნაურს რასმეს გრძნობდა თანამგზავრის მოახლოებისას. მეშინობდა მისი სიახლოვისა. შიშმა უფრო იმატა, როცა ძველი ციხე-კოშკების ნანგრევები გამოჩნდა მაღალ კლდის თავზე. მე მარტოდ-მარტო უნდა შევსულიყავი ამ ნანგრევთა შორის იმ არსებასთან ერთად, რომელიც ესდენ ძლიერად მაყრობდა. ქალი კი ყურადღებას არ აქცევდა ჩემ მორცხობას, იღუმალ შიშმს. იგი თითქოს არ გრძნობდა, რომ მის გახლობლად ვაკი იყო ამ უცხო მხარეში, ადამიანთა მეტ დიდი ხნის წინ მიტოვებულ ნანგრევთა შორის. ვიწრო ბილიქს რომ მივადექით, რომელიც ნანგრევებში შევიყვანდა, ცხენები საბალაზოზე მიეუშვით და ფეხით განვაგრძეთ გზა. რამდენადაც ფიქვანარების სიღრმეში შევდიოდით, სიჩრდე ძლიერდებოდა. ამ დუმილში მაღალ ფიქვებს შორის, ჩიტა და ყვავილთ სავანეში, ცაცა ერთიორად ლამაზი და მიმზიდველი ჩანდა; იგი წინ მიმიძღვდა და ყოველი მისი მოძრაობა ერეოლვას მგვრიდა, ანდამატურის ძალით მიწიდავდა თავისკენ, თავბრუს მახვევდა, ენა მებმებოდა. ჩეენ ისე შევეტით ნანგრევებს შორის. რომ თრი სიტყვაც არ გვითქვამს ურთიერთისთვის. მეჩვენებოდა, რომ მთელი მიდამო, მთელი მოძრაობა.

— ნაბადი გაშალეთ! — ბრძანების კილოთი მითხრა ცაცამ ისე, რომ ჩემთვის არ შემოუხედია. დაუყოვნებლივ შევასრულე მისი სურვილი.

— რა შშენიერება! — თავისთვის თქვა მან, როცა თვალი გადაავლო მიდამოს. ირიბულად შემოწვა გაშლილ ნაბალზე. მისი თაფლა



თვალები შორს, შორს იმზირებოდნენ. მე, ჯერ კიდევ მისი სიცურამსაც გაელენის ქვეშ მყოფი, ურ მიმხვდარიყავი, სინამდევილე იყო ჟაჟურნალის ვენება ყველაფერი ის, რაც ჩემ გარშემო ხდებოდა.

— ნუთუ ბედმა მარგუნა ამ ლამაზ ქალთან უცნაურ მიდამოში მუნჯად ხეტიალი! — ვფიქრობდი ჩემთვის და მოშორებით მდგომი იდუმალად ვუმზერდი ამ მხარესათვის უჩვეულო არსებას. ჩვენს ირგვლივ სამარისებური სიჩუმე სუფევდა. ადამიანის ხილვით შემფრთხალი ჩიტები თუ დაარღვევდნენ ბუნების დუმილის ერთფეროვნებას. მდინარე ეხლა ჩვენ დაბლად ჩანდა, თეთრქათა ეამთა დენის გამოთ დაფერფლილ გზა-შარასავით. ამ დამუნჯებულ ნასოფლარში ოდესლაც ამაყი ორბელიანები ცხოვრობდნენ და ეხლა, მტრის მუქარაზე ნაშენები ბროლის კოშკების ნანგრევები, ჩოხჩებივით იღვნენ ფიჭვებსა და ჩამონგრეულ კლდეებს შორის. ვინ იცის, რამდენი ფრთათეთრი ისარი ან შუბი გატეხილა ამ ხავსმოკიდებულ კედლებზე, რამდენი ვაკეაცის მარჯვენა დამდნარა მათ ჩარდახებზე, რამდენი ტებილი სიმღერა მოუსმენია ამ მიდამოს, რამდენ ლამაზ ქალს გაულია პატარა, თეთრი ფეხებით, კოშკთა შორის დაგრეხილ, ეხლა დაძველებულ ბილიკებზე. ვინ იცის, იქნება ჩემი სტუმარიც მათი შთამომავალია; მაშ რამ მოიყვანა იგი აქ, რა აინტერესებს ამ ნანგრევთა შორის... — ვფიქრობდი ჩემთვის კოშკის კედელს მიყრდნობილი.

— დაიღლებით ფეხზე დგომით! — გამომაფხიხლა ცაცას ტებილ-ძა ხშაბ.

— დაბრანდით! — მიმიწვია მან და ნაბადის იქით მხარეს გაიწია.

— ნუ შეწუხდებით! — ძლიერ მოვახერხე თქმა და ჩემდა უნებლას მის გახლობლად აღმოვჩინდი, ღუმილი ჩამოვარდა. ორიეს გვიყირდა ლაპარაკის დაწყება, აზრი გონების სრლრმეში ისურებოდა. აირზე მოსული სიტყვა ქრებოდა. ისევ მან დაარღვია სიჩუმე:

— ნამეტნავად ჩემი კაცი ყოფილხართ! — მითხრა დამცინავი ლიმილით.

— მე... ისე... სრულებითაც არა...

— ნუთუ, ასე გასჩუმდებოდით, მთევარისას მახლობლად რომ ყოფილიყავით?

— რა თქმა უნდა...

— რა თქმა უნდა, არა! — წამიართვა სიტყვა და ისე ტებილად გაიღია, ისე ტებილად, თითქოს ის კი არა, მთელი მიდამო იღიმებოდა. მე გავექეცი მის შექრას — თავი დავხარე. არასოდეს არ მეგრძნო თაც ასეთ ძღვომარეობაში ქალის სიახლოვის უამს. რამდენადაც ძლიერი იყო ჩემი სიწითლე, იმდენადაც ქალი თამამდებოდა, უფრო ახლოს მოიწევდა.

— მე ბევრი რამე წამიკითხია თქვენი ხალხის შესახებ. იქ დახა-

ტული ვაჟაპები თამამები არიან, ქალები ხომ აქარბებენ კიდეც. ჭიშკარი მარტო ნა საოცარი არ არის თქვენი წაწლობა? ჯერ კიდევ ბავშვი ვიყავი, როცა მის შესახებ ვეითხულობდი, ათასნაირი ფერებით მეხატებოდა მათი აშენი... მიტაცებდა მთიელი ვაჟაცების სიახლოვე. შენ კი... მთლიად ბავშვი ყოფილხარ. ყველანი ეგეთი თამამები არიან? ვერაფერია! წაწლები არა გყავს? — შემეცითხა ბოლოს და სულ ახლოს მოვიდა. სუნთქვეს სითბო ვიგრძენი, მისი თბები შემეხს კიდეც.

— არა გყავს წაწალი? — შემეცითხა ამო ხმით.

— წაწალი...

— მთვარისა განა შენი წაწალი არ არის?

— რა თქმა უნდა, არა...

— შენმა დამ კველაფერი მითხრა, ყველაფერი. ჩემთან ეშმაკობა არ გავივა. — ამ სიტყვებთან ერთად თბილი თითები შემეხს თმებზე. შემდეგ სს სითბო ცუცხლის ზოლებივთ გადავიდა კისერზე. და როდესაც მისი მეტადის ლბილი შეხებაც ვიგრძენი მხარზე, დედამიწა შემოტრიალდა, წითელი ფერით განათლა მიღამო და მერე არ ვიცი, რა მოხდა. როცა გამოვფიხულდი, იგი ჩემ მახლობლად იწვა ნაბადზე, ხშირი კულულები დაშლოდა, დაპირისტოდა თეთრ მკერდზე: თვით იგი ისე ნაზად, ისე ფერმკრთალად ჩანდა, თითქოს ყვავილს ეს-ეს არის მზის სხივები შემეხს და დილის ცვარ-ნამი დააღნო მის ფოთოლთაზე. გამომწვევად გამიღიმა ცაცამ. ოდნავ გადავიხარე, ზემოდან დაეხედე მის თეთრ მკერდს, რომელიც ესდენ ძლიერად მაკრთობდა რამდენიმე წუთის წინათ. მან თვალები დახუჭი, მკერდი შემართა, თეთრი სითბო შემომაბნია, მათრობელა სურნელებით მიმიზიდა თავისკენ. მხურვალედ დაეწალე ვნებათა სავანეს და ჩემდა უნებლიერ ვუძინე სწორედ იმ ადგილს, სადაც მისი პატარა გული არხევდა ნაზ კანს. მას სიმწარის კივილი ამოხდა, ორივე ხელები შემოხავვა კისერზე და მხურვალე მზის უკანასკნელ სხივთა ანარეკლში ავრთოლდით ვნებათა ცეცხლში. მხოლოდ წუთით, ერთი წუთით გაგრძელდა სიტქბოს თამაში.

— უზრდელო! — გამიწურა იგი. ხელისკერით მომიშორა. თავზარი დამეცა, ფეხზე წამოვიჭრი და იმ წუთში მზად ვიყავი უფსკრულის-თვის მიმეცა თავი, გავერილიყავი შორს, შორს ლამაზ ქალიდან — მოჩენებასავით რომ ამედევნა, გამახელა, დამათერა, დამინელა. მაგრამ, აი, კვლავ წავიწყდი მის მზერას. იმ მხერაში სამღურავის მაგიერ მორჩილი ლიმილი შეენიშნე, უცაბედი წადილი გაქრა და მე ისევე წინანდელი მონა გავხდი მისი მზერას. იგი ეხლა მორჩილად იმზირებოდა. დაღლილობა მშვენებდა, მის თხელ ბაგეთ გაპერიბოდა სიწითლე ფერისა, მოთეთორ ლოყებს მეტალი იერი მიელო, მაღალი მკერდი მოსირენთოდა. მომეჩვენა, რომ მას რაღაც აკლდა — გაქრა ის 5. ლიტერატურის მატიანე



ფერები, რაც ულამაზესად მიხატავდა... დაუჭერებული შეერა ჭარბიშვილი  
ნიშნა, ადგა, გულგრილად ჩაუარა ციხე-კოშკებს, აქა-იქ შედგებოდა,  
ჩაიწერდა რაღაცას. ამ ხნის განმავლობაში ერთხელაც არ შემოუხე-  
დია ჩემთვის. თავი იყ ეჭირა, თითქოს მე მის მახლობლად არ ვარ-  
სებობდი. როცა ცხენებთან დავბრუნდით, ოდნავ გამზიარულდა. მომი-  
ახლოედა, ერთხელ კიდევ მაგრძნობინა ძირფას ნელსაცხებელთა სი-  
ამე და მისმა ტუჩებმა რაღაც მწარე კვალი დამიტოვეს ჩემ ბაგეთაზე.

— ისეთივე მოულოდნელი და უცნაურია ეს დღე ჩემთვის,  
როგორც თვით ცაცა! — ვფიქრობდი და სისმარში მყოფივით მივაქ-  
როლებდი ჩემ ქარისას სახლისკენ. ჩემი იაბო, შავი ჭავის ჩამოშორე-  
ბასთან ერთად, ტორტმანობდა, სიფიცხე უქრებოდა მის სიახლოების  
უამს. სოფელში შესვლის უმაღ მთვარისას სიმღერა შემომესმა — იგი  
მუდამ ასე მღეროდა, როცა მე მომელოდა. თუ უწინ მთვარისას სიმ-  
ღერა გულს ამოდ ხელებოდა, ეხლა ნალვიანი და თანაც მოუხეში  
მომეჩვენა იგი, სიამის მავიერ უფრო გულის ტკივილს მაგრძნობინებ-  
და. თავდახრილი შევედი ჭიშკარში ცაცასთან ერთად. დაღლილობა  
მოვიმიზებჲ და ჩემ საწოლ თთახში ჩაეყერე.

გაუხდელი დიდხანს ვიწევი საწოლზე. თვალებდახუჭვილს იმ-  
დღევანდელი ამბავი მესურათხატებოდა. ფიქრებში მყოფი საუბარ-  
მა გამომაფხიზლა. მთვარისას ხმას მივამსგავს. იმავე წუთს კარებთან  
მივიქერი, რათა მაგრად ჩამეკეტა იგი. კარები რომ დავტეილი აღმოჩ-  
ნდა, გული დამიშვილდა. მივაყურე: საუბარი მინელდა, სამაგიეროდ  
აჩქარებული ფეხის ხმა გაისმა, მომიახლოედა და მიქრა. სასტუმრო  
ოთახის კარები გაიღო, რომელსაც თხელი კედელი აშორებდა ჩემ სა-  
წოლ თთახს. ცხადია, სტუმარი ქალი დაბრუნდა დასაცვენებლად.  
ყრუდ მესმოდა მისი ფეხის ხმა — მოუსვენრად აბაყნებდა თავის პა-  
ტარა ფეხებს. ხანდისხან ფეხის ხმა შეწყდებოდა, სამაგიეროდ ცხარე  
საუბარი შემომესმოდა, მაგრამ ეერც ხმას და ვერც სიტყვებს ვერ  
ვარჩვედი. „ვაი თუ მთვარისა მინედა დღევანდელ ამბებს, იგი არ აპა-  
ტიებს სტუმარს და მით უმეტეს არც მე. რითო გავიმართლო თავი,  
როგორ უუმზირო მის ამო თვალებს, როგორ შევეხო ღმესავით შავ  
თმებს. იგი არასოდეს, არასოდეს აღარ მოისურვებს ჩემთან წაწლო-  
ბას და მე მარტოდ დავრჩები... მარტოდ...“ — ვფიქრობდი შემკრთალი.

ვახშმობის უამს მაიმ მოირბინა ჩემთან: დედა მოითხოვდა ჩემ  
ვახშმობზე დასწრებას. მე თავის ტკივილი მოვიმიზებჲ, დაღლილობა  
დაუმატე და უარი უტხხარი.

— ჩენი სტუმარი ეხლა უფრო ლამაზი ჩანს! — ღიმილით მითხრა  
მან. — ამ საღამოს ძალიან მხიარულ გუნებაზეა. დადგანს გსაუბრობ-



დით. დაწვრილებით გამომკითხა წაწლობის ამბები. როგორ აინტერესულია რესეპტს, იცინის, სახე უწითლდება, მოუსვენარი ხდება. შეკითხვებით მავსებს, სწერს. გავკირვებით მკითხა:

— ქალი ვალდებულია, რომ წაწალ ვაჟთან თვითონ მივიდეს სა-წაწლოთ?

მე არ ვიცოდი, რა მეპასუხა.

— ხომ ეგრეა? — მკითხა ფიქრიანი ღიმილის შემდეგ. ისეთნა-ირად, თითქოს რაღაც ახალი მოივონა, რაღაც დაკარგული იპოვნა.

— რა თქმა უნდა, ვაჟები არასოდეს არ მიღიან ქალებთან საწაწ-ლოდ.

— რომ ვაჟმა არ მიიღოს?

— დიდი სირცხვილია ქალისათვის.

ცაცა ჩაფიქრდა. გამიღიმა და ნელი ხმით მკითხა:

— მთვარისა წაწლობს სულხანთან?

— დასამალი რა არის, ყველანი წაწლობენ!

იგი ჭერ ჩაფიქრდა, თითქოს შეკრთა, მაგრამ ისევე გაელიმა, სულ ახლოს მოვიდა.

— მაია! — მითხრა მან. — ჩვენ დობილები უნდა გაეხდეთ. — პა-ტარა ბოთლი ამოიღო ჩანთიდან. მშვანე ფერის სითხე იყო შიგ და ისე-თივე სუნი უდიოდა, როგორც თვით ცაცას. მომიახლოედა, — ი, ეს მინდა გაჩუქო. — მე უარის მავიერ დუშილი ვარჩიე. — გამომართვი, — მითხრა მან, თანაც დაუმატა... მაგრამ, რა დაუმატა, არ გეტვი... — გა-იცინა მაიამ, კარებისქენ წავიდა: — გირჩევნია წამოხვიდე ვახშამზე: ცაცამაც მთხოვა ნუ დატოვებო. შენთან მოსცელა სურდა, კარებიმდე მომაცილა, მაგრამ გადაითვიქრა შემოსცელა და უკან გაბრუნდა.

მე დუშილით გუსმენდი მაიას და როცა იგი ოთახიდან გავიდა, შიშმა შემიძყრო, მაგრამ რისთვის? რა მაკრთობდა, მე თვითონაც არ ვიცოდი.

მოუსვენრობა ვიგრძენი, როცა დუშილი გამეფდა მთელ შენობაში. მე საერთოდ სიჩუმე მოუსვენარ მდგომარეობაში მაყენებდა, მაკრ-თობდა. იმ ღამეს, ჩემდა საუბედუროდ, ბუნება ისევე სდუმდა, რო-გორც გრძელი დერეფანი ჩვენი კოშკისა. ასაც კი, რომელიც ესდენ ძლიერად ხმაურობს სალ კლდეთა შორის, მიჩუმებულიყო, მიმჩრა-ლიყო მისი შფოთი. ცაზე შავი, დიდრონი ღრუბლები მისცურავდნენ, მათი ბადე აქრობდა ვარსკვლავთა სინათლეს, აძლიერებდა ზაფხულის ღამის უკუნეოს. ბნელ სიჩუმეში ვიჯექი ფარგარასთან, რომლიდანაც შავად მოჩანდა ფიქვებით დაფარული ასის ხეობა და ათასი მოუს-ვენარი ფიქრი ირეოდა ჩემ გონების სიღრმეში. მეჩვენებოდა, რომ ვი-



ლაცა მიწვევდა, მიმიხმობდა თავისკენ. ფიქრებში გაიელვებდა ჭიშკარისა  
სას მწყრალი სახე ნაღვლიანი მზერით, ხან ცაცას სახე, რომელიც იქვე  
თხელი კედლის ქით დადიოდა მოუსვენრად. ყოველი პატარა ხმაური,  
მისი ნაბიჯით გამოწვეული, გამომაფხისლებდა, შემაქრუოლებდა. რო-  
ცა მისი ნაბიჯიც მიწყდა, მე ვეღარ ავიტანე სიჩუმე. წამოვდექი, მი-  
ვედი იმ კედლთან, რომელიც ჩემ საწოლ ოთახს ყოფდა სასტუმრო  
ოთახიდან, მივეყრდენი, მივაყურე, მაგრამ რისთვის? რისთვის ვუს-  
მენდი? რა შეურდა, მე თვითონ არ ვიცოდი. მე ხომ არ მიყვარდა ცა-  
ცა მთვარსაზე ძლიერად. მაში, რისთვის ვუსმენდი მას? ნუთუ იმის-  
თვის, რომ ბოლოს იგი გამხდარიყო ჩემი დალუპერის მიხეზი?

ფიქრით დალლილმა, ჩავაჭრი სინათლე და შევეცდე დამევიწყე-  
ბინა ყველაფერი, თავიდან მომეშორებინა აშლილი ფიქრები და ძილს  
დავნებებოდი. როგორც იყო მიმედინა და პატარა ჩქარმა სიზმარმა გა-  
იყლვა შერალ ფიქრივით: მე ჩაფიქრებული ვზივარ ფანგარასთან,  
ნელად იღება ოთახის კარები. ახალგაზრდა გოგონები აქრეფილი ნა-  
ბიჯით შემოდიან სიბნელეში. ეს-ეს არის უნდა შემეხოს წინ გამო-  
შეერილი ხელი ვიღაც უცნობისა, რომ ამ დროს იმ ხელიდან სინათლე  
გაიბნა, მომხედა თვალებში, შეხების უმალ გამომელვიძა. არ ვიცი,  
კვლავ სიზმარში ვიყავი, თუ ცხადად ვიხილე ჩემთვის უცნობი სინათ-  
ლე, რომელიც სწრაფად მიქრა და გაქრობის უმალ თან გაჰყვა პატარა  
ხმაური თხელ ლითონზე დაცემულ ქვის ენჭის ხმასავით. თუმცა  
ოთახში ბნელოდა, მაგრამ მე ვიგრძენი, რომ ბნელში ვიღაცა თუ რა-  
ღაცა იღვა ჩემ მოშორებით. ოდნავ ავიწიე, რათა სიჩუმე დამერლვად.  
ჩემ შერხევასთან ერთად ნელი შრიალი გაისმა, მსუბუქად ვიღაცად და-  
აბიჯა იატაზე. ერთი ნაბიჯი გადმოდგა და გაჩუმდა. მზერა გავამახ-  
ვილე და უცბად ისარივით ნასროლი სინათლე მომხედა სახეში, გა-  
ითმაშა, საწოლს გადაუარა და მიქრა. ეს სინათლე არ ჰგავდა არც-  
ერთ ჩემ მიერ ნახული მნათის სინათლეს.

— მოჩენებაა! — გავიფიქრე. ასადგომად მოვემზადე და ამ დროს  
სინათლე სახეზე შემომებნია. უფრო წინ გამოიწია ვიღაცამ თუ რა-  
ღაცამ, ტანისამოსი აშრიალდა, სინათლე ჩაქრა და მე ბნელში შეს-  
მოდა მსუბუქი ნაბიჯის ხმა. იგი თანდათან მიახლოვდებოდა, ჯერ კი-  
დევ სიზრისა და მოჩენების გავლენის ქვეშ მყოფს, სინათლესთან  
ერთად ნელი სურნელი მომებნია. ქალის მფრთხალი სიცილი გაისმა.

— შენ დაგეძე! — მითხრა ტკბილხმოვანმა. ამ ხმამ თავბრუ და-  
მახევია, ენა დამიბა, ამაქრუოლა. როცა იგი სულ ახლოს მოვიდა, სი-  
ნათლე კვლავ გაიშალა ჩემ ლოგიზე. თვალი მოვჰყარი ჩემსკნ გამო-  
შეერილ პატარა, თეთრ ხელს, მთრთოლვარედ შემეხო იგი. ვეღარ მო-  
გითმინე, ღონიერი მკლავები შემოვხვევი ჩემ წინ მდგომს და იგი  
შერალ კივილთან ერთად მომყავა, მომენდო თბილი მექრდით, დაღნა  
და დამადნო.



— ლმერთო! ლმერთო! — ამბობდა იგი და ხელიდან დასხლეული ყავული ცდილობდა, მაგრამ არ! ძნელია განელებული ვაჟკაცის ხელიდან ჭრილობის ხლეტა, როცა მას უცხო ყოილი უვარდება ხელში მათობელა სურნელებით. მე იმ წუთს დავიწყებული მქონდა ყველაფერი, ყველაფერი. დავიწყებული მქონდა ჩემი თავი, მოვალეობა ზნე-ჩემულებათა წინაშე. მთელ სიცოცხლეს უდრიდა მაშინ ყოველი წუთი, ყოველი შეხება. თავდავიწყებით მივენდევი მოულოდნელად აფორიაქებულ ვნებათ და როცა მე ვთვრებოდი უტკბილესი სიტკბოთი, სწორედ იმ ღრას მაის სიცილი გაისმა იქვე, სულ ახლოს. ღრად დარჩენილი კარები დაიხურა მაგრად და ფეხის ხმა დერეფნის სიღრმეში მიქრა. ამ სიცილში გამომაფხილა და მივხედი, რომ ჩემ გარშემო რაც ხდებოდა, მოჩერება არ იყო — არც სიზმარი ცისფერი. მახლობლად მყოფი შექრთა, თითქოს ეხლა მინებდა თავის მოქმედებას, დაუყოვნებლივ გამშორდა. მე იმავე წუთს სანთელი ავანთე და გაშტრერებული დავრჩი: ჩემი ბედისა თუ უბედობის მოჩერება, თავიდან ფეხებამდენ თეთრი ცაცა იჯდა ჩემ საწოლზე.

— ცაცა! — შევძახე გაოცებულმა. იგი დამაკვირდა, დამაკვირდა ნაზად და მომეჩვენა, რომ მთელი მისი ტანი თრთოდა, როგორც ყოილი ქარიშხლის მოლოდინის წინ.

— მაპატი! — მითხრა მან და პატარა თავი დახარა. დუმილი ჩამოვარდა, ფრთხილად, ფრთხილად მიეუახლოვდი, მოკრძალებით შემოვხევი ხელები მის ფუნჩულა მხრებს, თვალებში ჩავხედე. მისი თვალები ეხლა ნაღულიანი მომეჩვენა. სახეზედაც ნაღველი გადაპრავდა, რაც ერთიორად აშვენებდა მღუმარეს. თავი ოდნავ გადასწია — მხერას გაექცა და როცა მისმა თეთრმა მკერდმა შემომანათა, ვეღარ შევძელი მხერა და ისევე ტკბილად დავეწიავე ცაცას მკერდს, როგორც პირველად ვეწაფებოდი ნანგრევთა შორის.

— შენ ნამეტანს შვრები! — ნაზად მითხრა მან და დუმილის შემდეგ დაუმატა, — ვის დავაბრალო, თვით მე ვარ დამნაშავე.

ყურადღებას არ ვაქცევდი მის სამდურავს. ყოველი მისი სიტყვა, ისი იდნავი წინააღმდეგობა ცეცხლის აღში მხვევდა, მავიწყებდა ყველაფერს და ვნებად ქცეული ვდნებოდი სურნელოვან სიტკბოში. იგი თანდათან მნებდებოდა და როცა წინააღმდეგობის გაწევა ვეღარ შესძლო, ჩუმად მითხრა:

— მთიელებს ნამეტნავი გახელება გცოლნიათ, ჩემი ტანისამოსი ვერ გაუძლებს ეგვეოლნიერ მკლავებს.

ამ სიტყვებმა ცოტა არ იყოს დამაფიქრა. ჩვენი ქალები წაწლობის ღრას ტანისამოს არ იხდიდნენ, მაგრამ ცაცას არ ვაგრძნობინე; პირიქით, მოვეხმარე, ათრთოლებული თითებით ეუხსნიდი სხვადასხვა ღილებს, და უნებურად, ყოველ შეხებაზე თითებს ცეცხლი უჩნდებო-



და, ყოველი მისი თეთრი კანის გამოჩენა თაეპრუს მახვევდა დაშალაფურავდა  
კაბა შრიალით დაეცა სასთუმალის იქით, როცა მისი პატარა თეთრი  
ფეხები მოსწყდა იატაკს, მე მთელი ქვეყნის გრძნობათა თაიგული  
ვიგრძენი ჩემ ღონიერ მკლავებში. ორივენი თავდაციწყებით მივჰყე-  
ვით გრძნობას და როცა მქვეყნიურ ფიქრებს დაუბრუნდით, ცაცაშ  
დალლილი ხმით მითხრა:

— ნუთუ ეს არის თქვენი წაწლობა!

— სწორედ ასეთივე იქნებოდა ჩვენი წაწლობაც, ცაცა, რომ ჩვენი  
ქალებიც ისეთივე მწველები ყოფილიყვნენ, როგორც შენ, ისინიც  
რომ ისევე თავს მისცემდნენ ვნებათა ლელვას, იმათაც რომ ასეთი მათ-  
რობელა სურნელი ასდიოდეთ, როგორც შენ.

იგი დიდხანს, დიდხანს მაკვირდებოდა მდუმარედ.

— მე არ ვიცი რისთვის ვშევრები ყოველივე ამას. — თქვა მან თა-  
ვისთვის. თავი გვერდზე გადახარა, მარცხენა ხელი ასწია, მაღალი მკერ-  
დი შემართა, ნელა, ნელა მომეყრდნო, დამათრო და დათვრა უტჩბილე- ი  
სი ამბორით, რომელიც დაუშრეტელად სწყუროდა მას.

ჰო, ღმერთო! მის მახლობლად მყოფს ყველაფერი, ყველაფერი  
მავიწყდებოდა — მთვარისაც კი, ჩემი სიყმაწვილის მევობარი მთვა-  
რისა.

როგორ დაილია ლამე! როგორ დაუმლად გაქრა იგი.. რა ტკბილი  
იყო ყოველი წამი იმ ღამისა, მაგრამ როცა მტრედისურად დანიდა ცა  
ფანჯრების იქით, როცა ფრინველთა ხმაურმა გამოაზინდა მიძინე-  
ბული არემარე, მე შიშმა შემიპყრო — თუ მთვარისა შეიტყობს ამ ამ-  
ბაეს-მეტეი.. რამდენიმე საათის შემდეგ ყველა წაწლებს ცოდნინება,  
რომ მე ვიწაწლე ქალაქელ ქალთან. ყველანი გაიგებენ, რაც ენატიტინა  
მაიამ იცის! ჰო! საშიშია მთვარისა! საშინლად ელიას მის თვა-  
ლებში ილი შურისძიებისა. ერთ მრუდე სიტყვას არ მაპატებდა იგი  
და ეხლა.. რა ვქენი მე უბედურმა.. — ამ ფიქრებით შევხვდი დი-  
ლას. უმაღ ფეხზე წამოვდექი. მაგრამ როცა მიძინებული ცაცა ვიხილე  
ჩემ საწოლში, როცა მძინარემ დაიკვენესა და პატარა ხელი დაიფარა მო-  
შიშულებულ გულზე, საღაც გრძნობა იწყება და ეფინება მთელ ტანს,  
მე გადამივიწყდა ყველაფერი და მზად ვიყავი ჩემი სიცოცხლე შემ-  
წირა მისთვის, თუ იგი მოისურვებდა. ფრთხილად დავკეკი მძინარე  
ცაცას მახლობლად. საბანგადახდით მძინარე უმანკო ბავშვს ჰეგვდა,  
რძისფრად მოჩანდა მისი ტანის კანი დილის მერალ სინათლეზე. ნაზად  
ზრდილს ეტყობოდა, რომ იგი სულ სხვა პირობებში იყო აღზრდილი  
და რამდენადაც ფიქრში შევდიოდი, მე ვგრძნობდი, რომ ჩემსა და ცა-



ცას შორის დიდი მანძილი იყო. თუ შემთხვევითმა გრძნობამ დაგვააჭიროვნულია ურთიერთს, შეიძლებოდა ეს გრძნობა ისევე უცბად გაფრინდილიყო, როგორც მოფრინდა. მე ჯერ კიდევ კარგად არ ვიცოდი, ვინ იყო იგი, რისთვის მოვიდა ამ მიღამოში. მართალია, მან მითხრა, რომ ბავშვობიდანევე გატაცებული იყო ჩვენი შერის ზენ-ჩვეულებით, ბუნების სილამაზით, გატაცებული იყო წაწლობით, რომელიც წმინდასა წმინდათ მიაჩნდა, მაგრამ ეს არ კმაროდა იმისთვის, რომ მე ამ ქალის გულში შეპოვა სამუდამო ტრფიალის ბინა. რომანების კითხვით მოლლილ ქალაქის ასულს რომანტიულად პქონდა წარმოდგენილი ჩვენი მხარე თავისი წვრილმანებით. ეს წარმოდგენა გვათამაშებდა ჩვენ ორიენტს. მას სოფლელის ლონე იზიდავდა, მე კი ქალაქელის სინაზე მათრობდა, რომელიც ეხლა ჩემ წინ იწვა მთელი ღამე უძილობით დაღლილი, დაქანცული გრძნობათა თამაშით.

— არა, მათრობელა ცაცა, შენ ჩემთვის არა ხაჩ დაბალებული!.. — ვთქვი ჩემთვის. მან თითქოს იგრძნო ჩემი გულის თქმა, შეიშმუშნა, შეტრიალდა, თავისუფლად გაშალა მდიდარი ტანი. შიშველი მხრები მომიშეირა ზედ დაბნეული, დაშლილი კულულებით, თითქოს მეუბნებოდა: „შემხედე, დატბი ჩემთვის მხერით“!.. მე ისევე სულმა წამდლია მისკენ, ის-ის იყო უნდა დავწაფებოდი, რომ კარის კაკუნი გაისმა. შემკრთალი კარებს მივაჩერდი. დუმილი ჩამოვარდა. მხოლოდ წუთით და ისევე კაკუნი...

— ცაცა!.. — ცაცა.. — ვეჩურჩულებოდი შემთხვევით წაწალს, ჩათა გამელელიძებინა — მიმემალა. იგი ლრმა ძილში იყო. კარების კაკუნი კი თანდათან ძლიერდებოდა. საურთხეში მყოფი ხან კარებისკენ მიყდიოდი აკრეფილი ნაბიჯით, ხან ცაცას უუბრუნდებოდი. როგორც იყო, გაიღვიძა, გაიღვიძა და თავისთვის თქვა:

— რა ტემილად დამძინებია!

— გეძებენ, ცაცა! — ვუთხარი ჩუმი ხმით.

— მე დიდი ხანი მეძებენ! — მიპასუხა და პატარა ტუჩები მომიშვირა საკოცნელად. მეც დავიხარე და სწორედ ამ დროს ძლიერად მოხვდა ვიღაცის ხელი კარებს. ცაცამ თავისი არ დაიშალა. ერთხელ კიდევ მეაბირა ტემილად და ეს იყო უკანასკნელი კოცნა ჩემ სიცოცხლეში.

— გაულე კარები! — მითხრა ბრძანების კილოთი. თავად დინჯად წამოდგა, გაისმა კარები, კულულები შეისწორა, მეერდზე ხელი გადაისო და ფაქიზ პერანგში დამალა ორი თეთრი, საოცრად თეთრი გრძნობის ჭურჭელი.

— სულხან! — გაისმა კარების იქიდან ხმა.

— გაია! — წამოვიძახე სიხარულით.



— გაალე! გაალე ჩქარა! — ფიცხად მელაპარაკებოდა მაუზაურიშვილის  
ხვდი, რომ რაღაც უსიამოვნო მმავი მეწვეოდა.

— ცაცა! წყეულო ცაცა! — ვფიქრობდი ჩემთვის, მაგრამ ქალაქის  
ასული დინჯად იმთხებოდა.

— შეგიძლია გაალო! — უბრალოდ მითხრა მან ბოლოს.

— დაიმალეთ! დაიმალეთ ხვთის გულისთვის! — შევემუდარე და  
ერთ ადგილზე დატრიალდი ცარიელ ოთახში, სადაც ნოხებისა და ჩე-  
მი იარაღის მეტი არა იყო რა.

დამცინავი ღიმილით დამაკეირდა ცაცა. თვითონ მიუახლოვდა კა-  
რებს, გაალო და ისე მოტრიალდა უკან, რომ შემოსულისთვის არ მო-  
უხედავა. ცხადია, ივი მაისს მოელოდა, მაგრამ, აი, ჩემი შეხრა მოხედა  
კარებში გაოცებით მდგომ მთვარისას შეხრას. მის უკან მდგომმა მა-  
იმ ერთხელ გადაავლო თვალი ოთახს და დერეფანში მიეფარა. მთვა-  
რისა ჯერ გაშტრერებული იდგა ერთ ადგილზე, შემდევ სულ იხლოს მო-  
ვიდა, მორიცებით დაკვირდა მელილურად მჯდომ ცაცას, შემდევ მე.

— რა გააკეთო, სულხან! — მითხრა და გაიცინა.

პო... ეს სიცილი!.. ჩემი მთვარისას თვალები კი არ იცინოდნენ.  
არამედ იწოდნენ ბრაზის ცუცქელში. ცრემლის კურცხალი სცეიოდა  
შავ წამწამთა ხშირ ტევრს.

— მე არ ვფიქრობდი, რომ შენ ეგრე ადვილად გამცვლიდი, —  
ამბობდა ივი და ძლიერ იკავებდა სიცილში არეულ ცრემლებს.

— მოვტყუვდი... მე ვაკეაცი მეგონე, შენი სიტყვის პატრონი, მაგ-  
რამ აი, ვისზე გამცვალე!.. — ზიზილით მიმიშვირა ხელი ცაცაზე.

ცაცას ფერი დაჰკარგოდა, არარად ჩანდა ივი მწყრალად მდგომ  
მთვარისასთან შედარებით.

— მე მოვტყუვდი, მოვტყუვდი, სულხან, რომ შენ აგირჩიე წაწ-  
ლებს შორის, მაგრამ იცოდე, თუ სიყვარული შემეძლო, შერისძიებაც  
შემიძლია... მე თვითონ გამოვიყიდი დანაშაულს. მშეოდნებით!.. —  
თქვა მან, ოდნავ შეტრიალდა და ამ დროს მე თვალი მოვპერარი მის  
ხელში გაელვებულ ჩემ ნაჩუქარ პატარა ხანგალს, რომელსაც მცდამ  
თან ატარებდა.

— მთვარისა!.. — შევსძახე, მაგრამ გვიან იყო... ფოლადის ფხამ  
ელვის სისწრაფით გაუარა მის თხელ სამოსს და უნდობლად დაიკრი-  
ფა სწორედ იმ ადგილას, სადაც ერთ დროს ჩემი საყვარელი გული  
სცემდა. მთვარისას ტანი ნელად შეირხა, სახე გაფითრებულმა ერთ-  
ხელ კიდევ შემომხედა, როცა ჩემი ხელები შეეხო მას.

— მოღალატევ! — თქვა და ცაცას ფეხებთან დაეცა. ქალაქის  
ასულს კივილი აღმოხდა და ერთხელ კიდევ მოვპერარი თვალი მის  
თეთრ ტანს კარებთან... მე დავრჩი მარტოდ მარტო...

პო! ღმერთო!.. ნუთუ მე ვარ დამნაშავე!..

(ლეკური ლეგენდა)

ლეკეთის მთებში დაძრწის ნისლი — ნაბდიანი ყაჩაღი.

ფრთამალი ნიავი მინდვრის სურნელებას აშლის თეთრ კოშკებიან აულს.

ჭიანურის ხმა არხევს ნიავი დილისა. ლეკის ასული ზის და უტ-კბილესი ხმით ამლერებს ჭიანურს.

ლეკის ასულის ხშირ წამწამებში მზის სხივები ტყდება, თვალები უფრო მწველია და ბრწყინვალე, ვიღრე მზე გაშლილ ცაზე გასული სამგზავროდ.

ჭიანურის ხმა ირხევა აულში...

კოშკის კარებთან იღიმება დიაცი უამგადასული:

— ვის უმლერებს ეს ასული, ასე ლამაზი!

უამგადასული დიაცი იღიმება და მზეს რცხვენია აულის თავზე გასულსა სამგზავროდ.

— ჰეი, ვის უნდა უმლერო, შენ, ზიალო, ასულო იბრაიმისა?

ზიალო იღიმება, მის ხშირ წამწამებში მზის სხივები ტყდება და თვალები უფრო მწველია, ვიღრე მზე გაშლილ ცაზე გასული სამგზავროდ.

— ვირეს თუ უმლერებ, ასულო იბრაიმის! — იღიმება დიაცი უამგადასული.

ჭიანურის ხმა ამაოდ ელოლიავება აულის თეთრ კოშკებს: კოშკის კარებთან ატუშული ლეკი ასთმირა, იგი გაძარცვულ პირს აღებს და ხითხითებს დაკარგული სიჭაბუკის აჩრდილის ქვეშ.

— ვის უმლერებ მზის დარო, ზიალო!

ჭიანური მლერის, დუღუნებს. ჭიანურის ხმა მზის სხივებში გაბნეულ ოქროს მსგავსად ეშლება აულს.

ასეთი ტკბილი ხმა ვის მოუსმენია ლეკეთში!

მოლით და ყური დაუგდეთ დაღისტნელებო!

მოლით ასულნო რხეულნო ტანით, მოლით და მოუსმინეთ ზიალოს!

თქვენც მოდით ვაჟკაცებო დალისტნისანო, თქვენც ვაჟკაცებო...  
და... მოუსმინეთ ზიალოს!

ჯგუფ-ჯგუფად მოდიან ცისფერ შალვარიანი ასულები. რა საოცარია მათ თვალთა ციმციმი!

შედიდურად მოსდევენ ჭაბუკნი ლერწამ ნაზარდნი. ჰო! რა ცივია  
მათ თვალთა ჭირეტა!



და მთელი აული ისე კანკალებს, ისე ირჩევა, როგორც უნდა მიერ შერხეული უდაბნო ვერხვთა.

აქ მოღიან: ზენუბნელნი და ქვენუბნელნი.

აქ მოღიან: ჭაბუქნი და ჟამგადასულნი. ამო ხმიანში ზიალომ უნდა იმღეროს, მაგრამ...

— ვის უმღერებ შენ, აულის ლურჯ კალთაზე დაბრძანებულო მზეო მაისისავ! ეგ თვალები რომ გილიმის და ტუჩები გითრთის!

ჭიანურის ყელზე კანკალებენ თითები, უთეთრესი ბროლზე ბროლი და ჭიანური ღუდუნებს, კვნესის...

ჰაერში ფრიალებს თეთრი სახელოები ჩოხისა, მზის სხივებზე ციმციმებს აბგარი ხევარსნული და კივიან ჭაბუქნი ლეკთანი:

ეგ, ზიალო, ისეთი კარგი...

ეგ, ზიალო, ჯერ კოკორია ვარდის...

ეგ, ზიალო, ვის გულიმებს ნეტამც...

იათ სურნელებას აფრქვევენ ცისფერ შალვარიანი ასულები ზიალის გარშემო, ზიალო ვარდია იათ შორის.

— ვის მიაკუთნებ შენ სიმღერას, ზიალო, ასულო იბრაიმისა!

ზიალო იცინის! აული ლხინობს და იმღერიან ილალს.

როკვა საფეხნოში იბუდებს.

აული წუთით იყუჩებს.

სმენა და მოლოდინი ბზარავს, გულსა როკვის მოყვარულთას და ფრთათეთრი ისრებიყით იბნევა სიტყვები მზის სხივთა ხვავში. სიტყვების თარეშს მიტყვება გაცეცხლებული გულისთქმა მსმენელთა. მალიმალ შეირხევიან ასულნი, ვით ყველილ სურნელებით მთვრალი პეპელნი ლურჯერნი; ხანაც დაიხრება თავები ვაჟკალთა და მალიმალ იქრიფება მკერდზე მკლავები, ელვის მიერ დატუქსვილი ტოტები მუხისა.

— ჰეი, ზიალო, ასულო იბრაიმისა!

ეს სიმღერაა, ლამაზო ქალო, თუ გრიგალი გაშლილი ლურჯ ტყეში?

ზიალოს წამწამთა ხშირ ტევრში მზის სხივები ტყდება, ციმციმებს ცრემლის ცვარ-ნამი და თვალები უფრო მწველია, კიდრე მზე ივლისისა.

და მღერის ასული აულისა:

— ეგ ბროლის კოშკები საოცრად ამკობდნენ კალთასა ჩვენი აულისას, მაგრამ ეგ კოშკები თითქოს მოიძულაო ცამა და დედამიწამ: აღარ ამკობენ არც მთების გამოგზავნილი ნისლები, მზეს რომ უჩრდილებდნენ შუაღლისას. არც თეთრი მტრედები ბუდობენ კოშკის ჩარდახებში, არ უმღერიან დარბაზთა ოქროსათ, ჩარდახებს თავს დასტრიალებს დარაჯი მრისხანე. მრისხანე და სევდიანია თვით კოშკი გირეისა, ეგეთი თეთრი რომ დგას აულის კალთაზე.

— ნეტამც, ეგ კოშკიმც კი დაანგრია!  
 ნეტამც, გატყდებოდეს კარები კოშკისა!  
 ნეტამც, ატირდებოდეს გული გირეისა!  
 ახ, გირეი, ბოროტო გირეი!  
 ეგ კოშკი გირეიმ ააშენა ოქროზე,  
 გირეიმ ააშენა ვაჟკაცების მქლავებზე,  
 ოქრო და ვერტხლია შიგ გაშლილი, —  
 გირეის ლამაზი ცოლები ხარობენ!  
 ახ, გირეი, ბოროტო გირეი!

ელვარებს თვალები ცეცხლში და ვარამში. ჭიანურის ღუდუნში  
 კანკალებს გული ნაღვლიანი, ამაყად მიღვ-მოდგებიან ვაჟკაცი ლეპ-  
 თანი და თითები თრთის თეთრტარა ხანჭლის ვადაზე.

— ახ, გირეი, წყეულო გირეი!  
 ვისა სურს ალერსი, მწველი ტრფიალი, —  
 ლამაზი ასულის — შავთვალა ზიალოს!  
 ზიალოს ალერსი უფრო მწველია, ვიდრე მზის სხივები!  
 ზიალოს თვალები უფრო შავია მაისის უკუნ ღამეზე!  
 ზიალოს მეერდო უფრო თეთრია, ეიდრე რძე ლექური წალისა და  
 სურნელება კოკორი ვარდისა!

— ვისა სურს ალერსი — ამბორი ღამწველი!  
 ვის გინდათ სიმღერა მზის სხივში გაშლილი!  
 ვის გინდათ ჩურჩული ლამის საბურველში!  
 ცის ტატნობს უჩირდილებს ჯარი ვაჟკაცებისა:  
 — ეგ, ზიალო, ისეთი ტქბილია!  
 — ეგ, ზიალო, ისეთი მომხიბელელია!  
 — თქვეი და მზადა ვართ, ლამაზო ზიალო!  
 ჭიანური ღუდუნებს, ზიალო ილიმება და მღერის:

— ეგ თეთრი კოშკი გირეიმ ააშენა ოქროზე. შიგ ოქრო და ვერ-  
 ცხლია გაშლილი.  
 — ხალხის ქონება, ხალხის სიმდიდრე...  
 გირეის ლამაზი ცოლები ხარობენ...  
 ახ, გირეი, წყეული გირეი!  
 ნეტამც ეგ კოშკი დაანგრია!  
 ნეტამც გატყდებოდეს კარები კოშკისა!  
 ნეტამც ატირდებოდეს გული გირეისა!  
 — ახ, ლამაზო ზიალო!  
 — შენი მწველი თვალები, ზიალო!  
 — შენი სიმღერა ფოლადსაც დააღნობს!  
 წინ წამოდგება ახმაზი ვაჟკაცი, მას რკინისფერი ატყდება მაღალ  
 შუბლზე, უცნაურად უთრთიან ტუჩები სქელი.

ამ ვაჟკაცს თორთოლებს სიმღერა ასულის.  
 ამ ვაჟკაცს გული აქვს ჭაუხის ბასრისა.  
 ამ ვაჟკაცს ხმალი აქვს დამასკოს ფოლადისა.  
 — აპა, მიმსახურე, ლამაზო ზიალო!  
 ამაყ ვაჟკაცებმა თავი დახარეს ტკბილმინ ასულის — ზიალოს  
 წინაშე.

— დააკვირდი ასულო იბრაიმისა და აირჩიე ერთი მათგანი!  
 ზიალო მღერის, მღერის და იცინის.  
 — გირეის კოშკი ასულია ცამდენ...  
 იმ კოშკში ჭაბუკია ტყვექმნილი!  
 ჰო! მაგ ჭაბუკის ტანი ალვისა!  
 ჰო! მაგ ჭაბუკის თვალები!  
 ნეტამც, შენ დაგანგრია კოშკო გირეისა!  
 — ახ, ლამაზო ზიალო!  
 — შენი ღიმილი ტკბილია, ზიალო!  
 — შენი თვალები ქვასაც კი დააღნიბს!  
 წინ წამოდგება ვაჟკაცი ტრწერილი, მის მაღალ შებლს ხუჭუჭა  
 თმის კულულები ებნევა, მისი ტუჩები ბუდეა ეშხისა.  
 ამ ვაჟკაცს არ სძინავს ზიალოს ტრფიალით.  
 ამ ვაჟკაცს სისწრაფე თან ახლავს ვეფხვისა,  
 ამ ვაჟკაცს მშვილდი აქვს შორს მტყორცი ისრისა.  
 — აპა, მიმსახურე, ლამაზო ზიალო!  
 იცინის ზიალო. სიმღერა იშლება — შაღრევანი ლურჯფერი!  
 სიმღერა იშლება — სურნელი ვარდისა!  
 სიმღერა კანკალებს — ცეკარნამი დილისა!  
 წინ წამოდგება ვაჟკაცი ჩაფსვენილი.  
 ამ ვაჟკაცს გულს უკლავს ზიალოს ღიმილი,  
 ამ ვაჟკაცს ცხენი ჰყავს — მიმინ ფრთამალი.  
 ამ ვაჟკაცს აბჯარი — ნაქარგი ოქროთი.  
 — აპა, თავი შენ წინ დამიხრია, ლამაზო ზიალო, აულის ჩინარო!  
 და, ახე წამოდგებოდნენ ჩინეული ვაჟკაცები ზიალოს წინაშე.  
 ზიალო უმშერდა გორიზ ვაჟკაცებს, სახე უბრწყინდებოდა, მის  
 ხმას ერთიორად ემატებოდა სიამე, თვით ჭიანური ამოხმით დუღუ-  
 ნებდა, კვნესოდა...  
 როცა ჭიანურისა და სიმღერის ხმაზედ მთელი აული მოგროდა,  
 როცა ფეხზედ წამოდგნენ ვაჟკაცნი მრისხანელ, მაშინ ზიალომ ცას  
 გაუღიმა, ჭიანური უფრო ტკბილად აამღერა, თუმცა მას ნალვლიანი  
 სახე ჰქონდა იმ ჟამს, მაგრამ მაინც იმღერა:

— მე სიმღერითა და ცრემლებით გაიხლოვდებით, თეთრო კოშკე-  
 ბო, მინდა ეიხილო მეწამული ალი თქვენ თავზე. მე მინდა გიხილო გა-  
 ტეხილი მშვილდი გირეისა! მინდა ვიხილო დამსხვრეული ისრები გი-



რეისა! მე მინდა ვიხილო გირეის ცოლების გაშლილი თმები, მინჭერი მიუსმინო მათი მუდარა! მე მინდა ვიხილო ფატიმას ცისფერი თვალები ცრემლის ცვარნამში, იმ თვალებმა მოხიბლეს გულცვი გირუი, იმ თვალებმა ტყვედ ჰყვეს ვაჟკაცი ამაყი, რომელსაც ვუჟვარდი, რომელიც მიყვარდა! ფატიმამ დაასმინა იგი გირეისთან, რათა ფატიმას ყოველ ღამე მოესმინა ნალვლიანი სიმღერა ტყვედქმნილი მუხმედისა, რომელსაც ვუჟვარდი, რომელიც მიყვარდა.

— ახ, მუხმედის ჭიანურის ხმა!

ახ, მუხმედის ღიმილი და ხმა უტკბილესი!

მე მინდა ეგ ფატიმა ვნახო და მის წინ ვთქვა — საწყევარი მისი და გირესა!

მე მინდა ვნახო დარბაზი გირეისა და მის დარბაზში ჭიანურის ხმაზე ვაცეკვო სახნაერიდან დაბრუნებული ქალამნიანი მოხუცები, რათა კვლავ იგრძნოს მიწის სუნი ცამდე ასულმა კოშკმა გირეისამ.

მე მინდა ვიხილო გირეის საგანძურო, ჩემი ხელით ვეხალო სარქელი და ოქრო-ვერცხლი გავშალო გლეხების წინ, რათა აულის ვაჟკაცებმა იყიდონ ჩერქეზული ცხენები!

და მე მინდა ვუმზირო ვაჟკაცებს, როცა ფრთათეთრი ისრები აწიგდებიან ჰაერში, მე მინდა ვუმზირო მოელვარე ხმლებს.

წყეული იყოს გირეი ავგული, გირეი მკვეხარა, ღუშმანი, პრანჭია! გირები აატირა უდელო ბაჟშები! გირეიმ ტყვე ქმნა ჩენი ქალწულები! გირეიმ წარმტაცა ტანსარო მუხმედი... წარმტაცა, რათა პრანჭია ფატიმას სურვილი დაეოხა! ეხლა მე მოვტაცებ გირეის თეთრ კოშკებს, ფეხშიშეელა მოხუცებს ვაჟკაცებ შიგ, როცა სახნაერიდან დაბრუნდებიან მიწისა და ოფლის სუნით გაეღლენთილები!

მე მოვტაცებ ეხლა გირეის ყველაფერს, მოვტაცებ გულით და სიმღერით, რათა აულმა თავისი უფლად თქვას ილალა! რათა ჩვენმა ვაჟკაცებმა გატეხონ ხმალი გირეისა! რათა გირეის ფატიმამ გაუღიმოს ჩვენ ვაჟკაცებს! რათა გირეის ასულებმა ჩემ ღობილებივით თავდაბლა გაიარონ აულის შუებში!..

ჰეი, კოშკებო, თეთრო კოშკებო!

ჰეი, გირეი! ბოროტო გირეი!

იყავ წყეული... იყავ წყეული...

\* \* \*

სიმღერითა და გირეის შურით გახელებული ვაჟკაცები მისდევნენ ზიალის, მწყრალად უმზერდნენ თეთრ კოშკს გირეისას და თეთრი კოშკი კანკალებდა სალამოს მზის სხივებში. მზის სხივები ტყდებოდა ვაჟკაცით მუზარადებზე და ტრთათეთრ ისრებზე.



თეთრ კოშქს ატყდებოდა უკანასკნელი სხივები მზისა და ციხეგინი გირეის ცხენებისა.

გირეი იაპვრებოდა. ბრაზნარევი ლიმილით უმშერდა ფატიმას და ათრთოლებდა არწივი კაკაბს.

ფატიმას თეთრი ვარდის ფერი ედო სახეზე და უთრთოდნენ ბაგნი მწველნი.

ფატიმას ცისფერი თვალები ხან ბრაზში იფერფლებოდნენ, ხანაც ცბიერად ცინიცინებოდნენ, ხანაც სეფლაში დნებოდნენ.

ცისფერთვალება ფატიმას იმ წუთშიც სურდა მოესმინა ტყვე მუხ-მედის ამო ხმა, მაგრამ ირყეოდა კოშქები თეთრი: აულის მრისხანება და ზიალოს სიმღერა იანვრის სუსტით ეშლებოდა თავს.

კოშქის სიღრმიძან ისმოდა ტკბილი სიმღერა: მღეროდა საღამოს უმით ფიქრებმნილი მუხმედ.

ფატიმას სურდა, მისულიყო მუხმედთან — ერთხელ კიდევ ენახა ტკბილად მომღერალი ახალგაზრდა, ეჩვენებინა თავისი თეთრი სახე და თვალები — რძეში გაღმიებული ცისფერი ყვავილები, მაგრამ... გულგური იყო ხმატებილი მუხმედ. ციფი იყო მაშინაც, როცა მას იდუ-მალად ეხებოდა ჩადრის ქვეშ გაშლილი თეთრი ხელი ფატიმასი და ეს სიცივე სწვავდა გულსა ფატიმასას.

\* \* \*

...და როცა მზე დაბრძანდა ლურჯი ცის კიდურზე, როცა ნისლების მქრალმა ბალდალმა გაუქროლა თეთრ კოშქებს, როცა ნისლების ქვეშ რაზმებად გამოჩნდნენ ვაჟაცანი თავჩაჩქინიანი, როცა ფრთათეთრი ისრები ზიალოს ხმასთან ერთად შეეშალა თეთრ კოშქს, მაშინ შეტორტმანდა კოშკი გირეისა...

\* \* \*

ლამის უბეში ხმაურობდა აული. ცისა და დედამიწის საწყვევარი ატყდებოდა თავს თეთრ კოშქებს.

თეთრ კოშქებს თავს ეგვირგვინებოდა ალი მეწამული, ფრთათეთრი ისრები დაქრონენ ღამეში და ისმოდა კაპასი ჭინვინი ცხენებისა. კოშქის კედლებს ატყდებოდა მწყრალი კივილი გირეისა და ისარი ურიცხვი. წიოდნენ ფრთათეთრი ისრები და ოქროს ძაფივით დასდევდა თან ტკბილი ხმა ზიალოსი:

— კოშკო, შენ დაგანგრევ გულით და სიმღერით! ჩემი სიმღერის ხმაზედ ავალერებ აბჯარსა ვაჟაცებისა! ვაჟაცების მშვილდის გოზათ ხმას მივსცემ ბანს, რათა ფრთათეთრმა ისრებმა გაიყოლონ ჩემი

ხმა, ჩემი სიმღერის ხმა მისწვდეს ტკბილხმოვან მუხმედს და ჩემი ერთად ეთქვათ სიმღერა:

როცა თეთრი კოშკები ცეცხლის ალში დაინთქმებიან,  
 როცა მხე დაპყოცნის დამტვრეულ აბგარს ვაჟკაცებისას,  
 როცა აული თავისუფლად იმღერებს ილალის,  
 როცა კუბოს ფიცარს დაუწყევლიან გირეის,  
 როცა ჩენი სიმღერის მომსმენი ფატიმა ხელით დაიჭირს გულს,  
 როცა გირეის ცოლები შურით დაუწყებენ მზერას ჩენ ვაჟკაცებს,  
 მაშინ... მაშინ ჩუმად ვეტყუ მუხმედს...

ვეტყვი ჩუმად, რომ იგი...

ჰა.. იგი ძევთი კარგია!

ჰეი, მუხმედ!

ჰეი, სევდიანო ვაჟკაცო!

შენი მომმენი მოსულან მუხმედ, მოსულან, რათა დაანგრიონ თეთრი კოშკები! მოსულან, რათა შენ წინ აცეკვონ თვალცრემლიანი ფატიმა!

იმღერე მუხმედ, იმღერე, რათა შეტორტმანდეს გირეის თეთრი დარბაზის მოთქროვილი კედლები! იმ დარბაზში ფეხშიშეელები ცეკვენ ტყვედრებისას ასულები!

იმღერე მუხმედ, იმღერე, რათა ჩენ ორმა დავწვაო სიმღერით გული გირეისა!

ჰეი, ფატიმა, წყეულო ფატიმა!

თეთრო კოშკო, შენ დაინგერი!

ამაყო გირეი, შენ ატირდი!

შენ გაიცინებ, ცბიერო ფატიმა, მაგრამ ეს სიცილი ტირილზე მწარე იქნება: შენ დღეიდან ოლარ ვეცმევა ოქროს ქსოვილით ნაქარგი ლურჯი შალვარი. შენი პატარა, თეთრი ფეხი აღარ დამშვენდება ოქროს ქოშებით, შენ მკერდს ოლარ დაამშვენებს ძვირფასი თვალის ციმციმი: გლეხის ქალებთან ერთად ივლი ოქროს ფერი ყანების სამყალად. დილაადრე კარებს გაუღებ თეთრ თხებს, შენი თეთრი ხელებით შეკაზავ თეთრ ჯორებს და წინ გაუძლვები ბილიქზე, სადაც მიწის სულიერინი ნაგარდობენ და მაჩვები ციცქინიან ძირტყბილა ბალახებს... შენი ხელებით შეკაზმული ჯორების ზარისხმას რომ მოვიმებს, მაშინ მე ტკბილი ხმით ვუმღერებ მთიბელ ვაჟკაცებს, ვუმღერებ მწყემსებს და დალლალ მონადირეებს, ვუმღერებ ვაჟკაცებს, ტკბილად რომ დაიძინებენ თიბისა და მეს შემდეგ!

მაშინ შენი სიცილი ტირილზე მწარე იქნება, წყეულო ფატიმა!

მაშინ შენი გული ქვაზე უფრო გაციებული იქნება, ბოროტო გირეი!

ჰეი, კოშკებო, ნეტამც დაგანგრიათ!



ნეტამც გირეი, წყეული გირეი, ატირდებოდეს!

სიმღერის ხმა და ფრათეთრი ისრები იბნეოდა ჰაერში, ფარიშას  
ხმა კოშკის სილრმეში მყოფ მუხმედს სწვდებოდა. ფერმერთალი მუხ-  
მედი სარქმელს აწყდებოდა და სიმღერას ესროდა ბნელეთის უბეს:

— ეს ღამე ისეთი მწარეა, როგორც დამცინავი ღიმილი გირეისა,  
როცა იგი ფატიმასთან ზის და მიმზერს სევდაში დაღლილ ყმას.

ეს ღამე ისეთი ტყბილია, როგორც თვალები ზიალოსი.

ეს ღამე ისე ხმაურობს, როგორც შავი ღრუბლები, როცა სინი  
ერთიმეორეს დაეჭახებიან კექა-ქუხილის წინ. მაგ კექა-ქუხილში მეს-  
მის შენი ხმა, ზიალო, როგორც ბულბულის ხმა წვიმის შემდეგ!

ეს ხმა მე მაგონებს მზიან დღეს!

ეს ხმა მე მაგონებს მზის სხივთ ქვეშ გაღიმებულ ყვავილების  
ჩქამს!

ეს ხმა მე მაგონებს მოლუდუნე წყაროს, სადაც ჩვენ ეთამაშობდით  
ყვავილების გვირგვინით!

მაგრამ... ეს ცად ასული ალი ცეცხლისა?

ეს წივილი ფრთათეთრი ისრებისა!

ეს კივილი კოშკის მცველებისა!

და... გირეის ბრაზიანი კივილი!

და... შენი ხმა... შენი ხმა, უტკბილესო ზიალო! შენი ხმა საიდან  
მესმის?

მე დავკარგე ზიალო: ცბიერმა ფატიმაშ წარმტაცა მის!

მე დავკარგე ზიალო: გულცივმა გირეიმ თეთრი კოშკების ტუვიდ  
მაქცია.

— მე მოვედი მუხმედ! — ამბობს ზიალო სიმღერით.

— მე შენმა სიყვარულმა ტყვედ მაქცია, ზიალო! — ამბობს მუხ-  
მედი და ხმა ტქბილი ძლიერი სიმღერით არხევს შრიალა ზღვასა უკუ-  
ნეთისასა.

და უკუნეთში წივიან ფრთათეთრი ისრები. ერთიმეორეს პაექრო-  
ბენ ხმა ასულისა და ჭაბუკისა.

კოშკის სილრმიდან ხანდიხან მრისხანება გამოიკრებოდა: მრისხა-  
ნებდა გულცივი გირეი. კოშკის შიგნით ტოტზე დგებოდნენ შეკაზ-  
მული ცხენები და მწყრალად ამტკრევდნენ ნალ-ლურსმანს.

თეთრი კოშკის კედლებს ეშლებოდა ცეცხლის ალი და სიმღერა  
ზიალოსი. გატეხილ ისრებს ცეცხლი ეკიდებოდათ და ცერად ვარდე-  
ბოდნენ დაჭრილ ჩიტებივით. კედლებზე ტყდებოდნენ წვერმახვილი  
შუბები და ციბურები...

ცეცხლის ალი ეშლებოდა თეთრ კოშკს და დნებოდა ცივი გული  
გირეისა.



გირეის გარშემო ირეოდნენ მსახურნი მისნი და იღუმალად ზერდან გირეის ფერმერთალი ფატიმა.

ფატიმა იმ წუთში თრთოდა მუხმედის სიმღერის მომსმენი, არა ფრად აგდებდა გირეის გამწარებას, მაგრამ ეს იყო საფიქროლი: ზოალოს სიმღერის ხმა გაისმოდა ამ ატირებულ ღამეში.

და ფატიმა დამცინავი ლიმილით ეკითხებოდა გირეის:

— მამაცო გირეი, გესმის სიმღერა ასულისა?

— ფატიმა, მე ვაბუკის სიმღერაც მესმის!

— რას უმღერიან ისინი, მამაცო გირეი?

— სიკვდილის მოახლოვებას, ფატიმა!

— მაშ ისროლე ისრები, გირეი, ისროლე!

და გამწარებული გირეი მაღალი მქერდით ეჭახებოდა კიდელს, ისარს ისარზე ისროდა და კიოდა თანაც.

ფატიმა მაინც არ ეშვებოდა.

— მე ეხედავ ზიალოს ანთებულ თეალებს, კირეი, ამ ღამეში!

— დიახ, ფატიმა, მე მესმის მისი ტკბილი სიმღერაც!

— მაშ ესროლე ისრები, გირეი, რომ ეგ სიმღერა მწარე ტირილად შეეცვალოს.

— თეთრი კოშკი ირყევა, ფატიმა!

— ცეცხლის ალი ერვევა, გირეი, თავს!

— როგორც ჩემ გულს — შენი სიყვარული, ფატიმა!

— მაშ ისროლე ისრები, ისროლე, მამაცო გირეი!

ცეცხლის ალმა შეტრუსა თეთრი კედლები კოშკისა და იმავე ალმა შეაკრთო ალიყით მწველი ფატიმა, ნიავება სახეში შეაშალა მას მუხმედის სიმღერა და ლეკური წალის რძესავით თეთრ სახეზე სანთლისფერმა გადაჰქრა, სწრაფად აფართხალდა ფატიმას გული — ჩიტი თეთრ გალიაში.

მუხმედი ამბობდა სიმღერით.

— ეს ღამე ისე ირხევა, როგორც ჩადრი ზიალოსი, რომელიც მიმავდა თვალებსა უტკბილესს.

• ნეტამც მაჩვენა ეს ჩადრი და ეგ თვალები!

ნეტამც მაჩვენა ფატიმა, როცა იგი თითის წვერებით გაივლიდა ზიალოს წინ და ეტყოდა:

— დილა მშვიდობისა, ზიალო! .

ნეტამც მაჩვენა ატირებული კოშკი გირეისა!

მაგრამ... ეს ცეცხლის ალი რად გაშლილა თეთრი კოშკების თავზე!

ან ეგ ცხენები რად ჭიხვინებენ!

პო! გალავ, გალაში!.. მე მესმის ჭიანურის დუდუნი და ხმა ზიალოსი! ზიალო, ზიალო!

ეს არც სიზმარია ოქროსფერი!

ეს არც მოჩვენებაა ფიქრით დაღლილ ღამეში!

— ჰეი, ზიალო! ცისფერო ზიალო!

— მუხმედ!

— ზიალო!

და ისმოდა სიმღერა:

ხმა მოყმისა, ხმა ასულისა.

და იფერფლებოდა ღამე...

თეთრ კოშკს ტუქშიავდა ალი მეწამული.

\* \* \*

როცა დილის რიერაჟში აჩქამდა დედამიწა, როცა ლექეთის მოებმა მოიხადეს ბალდადი დილისა, როცა დილის ნიავმა შებერტყა ცვარ-ნამი ყვავილთა, მაშინ შეტორტმანდა თეთრი კოშკი და გატყდა გული გირეისა.

გირეიმ ცეცხლს მისცა ფრთათეთრი ისრები, ერთხელ კიდევ გაუ-ლიმა თეთრ კოშკს და ფატიმას. გაულიმა ფატიმას და ეს იყო უკანას-კნელი ღიმილი მისი.

მშის სხივები გატყდა თეთრი კოშკის კარებთან:

ორი ხმა სიმღერით შეეგება ურთიერთს, კარებთან ორი ხმა აენთო ლურჯი ერქოლით, ერთი — მეორეს პაექრობდა ხმა მოყმისა და ხმა ასულისა. ამ ხმამ დაწვა თეთრი კოშკები და ამოდ აათრობოდა გული მსმენელთა.

დილის ნიავმა ჩაღრი ახადა ზიალოს თეთრ სახეს.

ეხლა ზიალოს თეთრი სახე ვარდს პაექრობდა, ხმა — ბულბულს, მაგრამ მუხმედი... იგი დნებოდა სიმღერაში და ტრფიალის ცე-ცხლში...

ფატიმამ თავდახრილმა ჩაუარა გვერდზე მუხმედს და ზიალოს. შა-ვი ჩაღრის ქვეშ თრთოდა, იწვებოდა თეთრი ტანი ფატიმასი, მას სურ-და ეთქეა:

— დილა მშვიდობისა, ზიალო!

მაგრამ უნებური კივილი იმოხდა ფატიმას:

ზიალოს ჩაღრი ნიავს შეერხია პაერში, ხელებგაშლილი მუხმედი ხელქმნილი იდგა ზიალოს წინ:

სამი ფრთაშავი ისარი დასობოდა ლექურ წალის რძესავით თეთრ მკერდს ზიალოსას.

გაფითრებული იდგა ზიალო...

ზიალოს თეთრ ყელში ჭერ კიდევ ლულუნებდა ხმა ღამწველი...

თეთრი კოშკის ოქროვან დარბაზში ქალამნიანი გლეხები ირეოდ-ნენ.



მუხმედ ხელქმნილი იდგა ერთ ადგილზე, ზიალოს თეთრ მკერდი შემოგვიაბრინდა დასობოდა სამი ფრთაშვილი ისარი.

სამი ვაჟკაცი ცივად იდგა თეთრი კოშკის წინ, სამივე შერჩით ან-  
თებულ თვალებით მისჩერებოდა ზიალოს, ჰაერში შეხრილი შერჩე-  
ნოდათ მშვილდები და გაქვავებულიყვნენ...

მზე წითლდებოდა აულის თავზე...

სისხლი ნამავდა ლეპური წალის რძესავით თეთრ მკერდს ზიალო-  
სას.

და შორს, შორს, ბულბული უმღეროდა დილის რიცრავს.

## წასცლა ეპროპაზი

(კომიტეტი თრ მოქმედებაზე)

XIX საუკუნის ქართული კულტურის ისტორიაში დაცით ერისთავი ცონბილია, როგორც მრავალმხრივი და საინტერესო მოღვაწე. „თეატრიალი, ბელეტრისტი, მოლექსი, მისურებული სიტყვისა და ეპიგრამების პატრონი, უძაბრი მყითხველი ქართულ-რუსული ლექსებისა სალიტერატურო საღმობზე“, — ასე ახასიათებს მას ქართველ მწერალთა ცნობილი ბიოგრაფი იონა მეუნარგია. მას შეიძლება დავმატოს, რომ დაცით ერისთავი იყო ქართული ხალხური სიმღერების წორებულების პირული ჩატერი, დახელოვნებული ეურნალისტი (იგი რედაქტორობდა გაზეთ „კავკაზის“, 1882—85 წწ.), მთარგმნელი...

უსაბურდებულია დაცით ერისთავის ლეიტლი ქართული თეატრის აღირებინებასა და განკითარებაში, მისი გამოიყენებული პიესების წყალბით გამდიდრა და საინტერესო გახდა მაშინდელი ქართული თეატრის რეპერტუარი. დ. ერისთავი უცხოელ ღრამატურგთა პიესების სიუკეტებს შესანიშნავად უსაღვებდა საქართველოს ისტორიის ამათუ იმ პერიოდს და ქართულ ყოფით სინამდვილეს.

დაცით ერისთავია ქართულად გადმოიაყოთ ფრანგი და რუსი ეტორების პიესები: „სამშობლო“, „ამეორედ გაყმარილება“, „კეთილი და უმანკო ანგელოზი“, „დროებითი სიყვარული“, „დავიღძებაა, ანუ არა ღანი და ლეკვა“, „რა არის ბენეფიცია“ და სხვ.

ლიტერატურის მზუნეული დაცულია ეტორების დაცით ერისთავის გამოქვეყნებული პიესისა „წასელა ეკრინაში“.

პიესა დაუსრულებელია და მთავრდება პირველი მოქმედების ფინალით.

მეორე მოქმედება მიუკვლეველია. ჯერჯერობით მიუკვლეველია, იგრეთვე, ამ პიესის პირველწყარო, საიდანაც გადმოაქართულა იგი დარისთავმა არ არის გამორიცხული; რომ ხელთ გვქონდეს მწერლის ორიგინალური ითარებება.

უფრეობო, პიესა დააინტერესებს დაცით ერისთავის შემოქმედების მკვლევართ.

გიზო კორძაძე

1. ଗମିଳୁକୁ ଦେ, ଗାନ୍ଧିମିଳଙ୍ଗାରୀ ସାମିଶାଶ୍ଵରପିଲାଙ୍କ ତେଲ୍ଲାଜୁଣ୍ଟିଙ୍କ.
  2. ଯ ଯୁଗ ମିଳା, ମିଳିଲା ପ୍ରେଲୋ.
  3. ନାର୍ତ୍ତାଶା, ମିଳିଲା ଫାଲୋ.
  4. ବିଜନ୍ମନ ନେ, ମିଳିଲା ମିଳିଶିର୍ଲୁଳା.
  5. ନାକୁଠା, ଗମିଳାଶିଲୀ ନାତଲ୍ଲୁଳା ଲା ନାର୍ତ୍ତାଶାଶ କ୍ରେଲିଂକ ମନ୍ଦିରାଶିଶ୍ଵରଙ୍କ.
  6. ଦୁର୍ଲ୍ଲାଭ, ମିଳିଲା ମନ୍ଦିରାଶିଶ୍ଵରଙ୍କ.
  7. ମାଗନନ୍ଦାତ୍ମି, କେଳାଙ୍ଗିଶି ମର୍ଯ୍ୟାଦିର୍କ, କ୍ରେତିଲାଶେନଦିଲିଲି ନିଆମିରାଗଲାହିଲା, ନାର୍ତ୍ତାଶା ନାତଲ୍ଲାକା.
  8. ନାନାନ, ମିଳିଲା ଫାଲୋ.
  9. ଏହି କୁଶ ନାନାନ କ୍ରେତିର ନାନାନିକିନ, ଶ୍ଵିଲିଲା ଗମିଳାଶିଲୀ ଗୁଲିଲି ଅଶାନ୍ଦଗିଲା ଲା ମେଘାଶିଖିଲା.

33334333 $\nu$  = 1

გმირა დე — (მარტო) მერვე საათია და ჩემს ქალს მცონია კიდევა  
სძინავს; რა უბედურებაა მე ღროს ძილი; მცონია ინსტიტუტში  
აღრე იძინებდნენ და აღრე აღვიძებდნენ; აქ კი, შინ შუალამებდინ  
უნდა ისხდნენ და შუაღდემდინ ეძინოთ. იმიტომაც ბრძანდებიან  
ისე ფერმერთალნი და მისუსტებულნი, ამასთანაც თავის ნათევამინი,  
ვერას ჩააგონებთ, ვერაფერს; აი, მაგალითად, როგორც ჩემს ქალს  
ვეუბნები, შვილო, საუცხოო ჩინებული ყმავილი გთხოულობს მეთ-  
ქი; ამ მოხუცებულობაში ქმრით და შვილებით გამახარე, ღრო არას  
შენი გათხოვება! რა ბრძანებაა? ვის გააგონებ! ახ, რა ვწნა, რომ  
მაგის მეტი არა მყავს რა! ერთი ვაჟი მყოლოდა, მე ვაჩვენებდი  
თავის თამაშას, ეხლა რა ვწნა! როცა მომიალერსებს ხოლმე, რაც  
მწუხარება მინახავს, სულ დამავიწყდება ხოლმე, როცა იტირებს,  
მეც ცრემლები მცვივა. ახ! რა ვწნა, რა მოვახერხო (დადის ჩქა-  
რის სიარულით და ფიქრობს). არა! არ შეიძლება, უნდა ჩემი ნე-  
ბა აღასრულოს, უთუოთ, უთუოთ. ის აზრები თავიღვან უნდა იმო-  
ვალებინო და ჩემის ძეელის მეგობრის შვილი, ალექსანდრე, ეხლავ,  
ეხლა შეირთოს; მცონი კი ალექსანდრე მოსწონს. ვისგან შევიტყო?  
(ფიქრობს) მოდი, ვეითხამ იმ მაშენის, იმის გორნიჩნას, რის  
გორნიჩნა! ჩოჩორეთიღვან მოყვანილს ვოგოს, რომელსაც დავარ-  
ქვი იმედისახარ, ეხლა უძახიან გორნიჩნას — ნადიას. მოდი ამას  
კარგათ გამოვყითხავ, ამან კარგად უნდა იცოდეს, მაგრამ საშინე-  
ლი ქალია, ძნელათ თუ სწორეთ მითხრას არავ. მაინც ვეცდები.  
(მივა შუა კარგებთან) ნადია! ნადია! ნადია! აი, გავიწყრეს ღმერთი!  
კარგათ კი ესმის იმ წყეულს და ყურსაც არ იბერტყამს. ნადია! არ  
ეყურება! იქნება იმასაც ეძინოს, იმ გომბიოს!

ଗମିରାଙ୍ଗ ଦା ନାଦିଆ (ଶ୍ରେମିଜ୍ଞା ତ୍ୱାଲ୍ଯୁଦିଶ ଫ୍ରେଣ୍ଟରିଂ)

ଗମିରାଙ୍ଗ — ରା ରାଗମାରତା, କଥା କଥିଷ୍ଯିଦା ଶେନିଲେ ଦାବିଲାପିତ! ଗାତରମ  
ଅଳ ଗ୍ରେସମନଦା?

ନାଦିବିନ୍ଦୁ — ତକ୍ଷେଣି ସାଶିନ୍ଦ୍ରାଲ୍ଲ ଦାବିଲ୍ଲ ଗିନ ଅଳ ଗାଇଗ୍ରେବଦା; ମଧ୍ୟନିବ ବ୍ୟାଲ୍ଲା-  
ଦାରିଶିବ କି ଗାଇଗ୍ରେସ. ଦୋଲଶିବ, ରାଗମର୍କପ ପ୍ରେକ୍ଷା କିମ୍ବ ଶ୍ରେମିଶିବା.

ଗମିରାଙ୍ଗ — ରାଗମର୍କ ତ୍ୱ ଦୋଲଶିବ? ଗାନ୍ଧା ଅଞ୍ଚନଦାମନ୍ଦିନ ଗ୍ରେଦିନା?

ନାଦିବିନ୍ଦୁ — ଦୋଲଶିବ, ଅଞ୍ଚନଦାମନ୍ଦିନ ମେଦିନା.

ଗମିରାଙ୍ଗ — ଅଞ୍ଚନଦାମନ୍ଦିନ ଗ୍ରେଦିନା! ଓତ୍, ଫରନେବାଗ୍ର! ଗନ୍ଧାରୀ ଅଞ୍ଚନଦାମନ୍ଦିନ  
ଗ୍ରେଦିନା! ଆହ, ନାଦିଆ ବାର କିମିତ ପ୍ରେଲାତ୍ତ୍ୟେବେଲା ଦୁରାଗିନି, ରାମ ତାଙ୍କିଲ  
ଫୁଲକୁଳେବିଦିତ...

ନାଦିବିନ୍ଦୁ — ଶ୍ରେଷ୍ଠାରତ, କିମିତ ଦାତରନି ନାତଲାବାଗ! ମେ ଗନ୍ଧାରୀ ଅଳ ଗାଇଲାଗାର.

ଗମିରାଙ୍ଗ — ରାଗମର୍କ ତ୍ୱ ଗନ୍ଧାରୀ ଅଳ ବାର! ମାତ୍ର ରା ଦରମାନଦିବିଦିତ?

ନାଦିବିନ୍ଦୁ — ମେ ଗାଇଲାଗିତ ଗନ୍ଧାରୀ, ରାଗମର୍କ ଶ୍ରେମିଶିବ ଫୁଲିଦାମ ମନ-  
ମୁଖ୍ୟାନ୍ତର ଦା ମାନାମ ଦାତରନ୍ୟମନଦା ଗାଇଲାଗାରିଦେବନଦା. ଆଲ୍ଲା କି ମେ ଗାଇ-  
ଲାଗାରିତ...

ଗମିରାଙ୍ଗ — କିମ! ରା ଦରମାନଦିବିଦିତ?

ନାଦିବିନ୍ଦୁ — (ପାଲକ୍ଷ୍ମୀ) ଏଲ୍ଲା ରା ପ୍ରୁତ୍ତକରାତି? (ଗମିରାଙ୍ଗେ) ମେ ଗାଇଲାଗାରିତ...  
ମେ ଗାଇଲାଗାରିତ... ନାଦିଆ, ତକ୍ଷେଣି ଫାଲିତାନ, କିମିତ ଦାରିଶିବିନାନ...

ଗମିରାଙ୍ଗ — ଦୋଲଶିବ! ଦୋଲଶିବ! ନାଦିଆ କି ଅଳା, ଶ୍ରେନା ବାର ମିଦେଖିଲାବାର.  
କିମିତକରେତିଲେ କିମିତ...

ନାଦିବିନ୍ଦୁ — (ଏତ୍ତ୍ୟେବୁନ୍ଦେଶ ସିର୍ପ୍ୟାବେଳ). ନୁଲାରା ଦରମାନଦିତ, ନୁଲାରା ଦରମା-  
ନ୍ଦିତ, ତନ୍ତ୍ରେମ...

ଗମିରାଙ୍ଗ — ତନ୍ତ୍ରେମ, ତନ୍ତ୍ରେମ, ଦରମାନନ୍ଦିତ, ତନ୍ତ୍ରେମ!

ନାଦିବିନ୍ଦୁ — ତନ୍ତ୍ରେମ... (ତ୍ରିକରିତି).

ଗମିରାଙ୍ଗ — ଅଳା! ଏକ୍ଷେତ୍ର ତୀରିବିଲାତ ଲମ୍ବରିତିମା, ଏକ୍ଷେତ୍ର କିମିତ  
ଫାଲିତ ତିବାଦାଗ୍ରେ; ଶାକ୍ରିନ୍ଦ୍ରିଯ୍ୟଲାଇ, ରା ଅଳାର ଅଳାଗ୍ରେତ ଦ୍ୱେଦାଯାଗ୍ରେବ୍ଦି, ଭେ-  
ର୍ତ୍ତାଦର୍ଶ ଗାଇଲାଗାର ଫାଲେବ୍ଦି, ପ୍ରେମଲ୍ଲେବ୍ଦି! ଲ୍ଲିଟରେତ ଅଳିଆ ନାତକ୍ଷେମିତ:  
ଦ୍ୱେଦାଯାଗ୍ରେ ପର୍ମାତିମାନ ପ୍ରେମଲ୍ଲୀର, ରାଗମର୍କପ ରାମ ପ୍ରେମିତିଲେ ପ୍ରୁଣାଲୀର. ମାଗରାମ ଶାକ-  
ଶିକ୍ଷିକ୍ଷେଲ୍ଲ ଏବ ଅଳିଆ, ରାମ ମେ, ଗମିରାଙ୍ଗେ, ରାମମର୍କପ ପ୍ରେଲାତ୍ତ୍ୟେବ୍ଦି ଫୁଲନ-  
ଦିଶି ମିମ୍ବାକୁରିନାଇ, ରାମଦେଖିନ୍ଦି ସାଲଦାତି କ୍ଷେତ୍ରିକ କ୍ଷେତ୍ରିକି ଗାଗାରିତାର୍ଯ୍ୟ-  
ଦିଶା, ରାମଦେଖିନ୍ଦି ମର୍ମେଶି କିମିତ ଗ୍ରେବଦିତ ଦ୍ୱାବନ୍ଦୁପିଲାନ, ରା ଶାଶିନ୍ଦ୍ରାଲ୍ଲ  
କ୍ଷର୍ଣ୍ଣେଶା ଗମିଗନ୍ଦିଆ ଦାକ୍ଷରିଲ୍ଲେବିଦିଶା ଦା କିମିତ ତଙ୍କାଲ ଅଳା ତ୍ୱ ପ୍ରେମଲ୍ଲୀ  
ଅଳ ମିମ୍ବାକୁରିନାଇ, ପ୍ରାରମ୍ଭିତ ଅଳ ଶ୍ରେମିକରିବିଲାଇ ଆଲ୍ଲା କି, ଏମ ଗନ୍ଧାରୀ ତୀରିଲାନ୍ତ୍ରେଦ,  
ତାତକ୍ଷେମିତ ମେତ୍ର ପ୍ରାରମ୍ଭିତ, ଦ୍ୱାଵଦ୍ଵାରିଦି, ଦ୍ୱାଵଦ୍ଵାରିଦି. କାରିଗାର, କିମିତ ପ୍ରୁଣା-  
ଗିନି. ପ୍ରୁଣାକୁଳି ଅଳ ଅଳିଆ ଦା ଅଳା ମନ୍ଦେଦ୍ବାଗ୍ରେ. ଓତ୍, ରା ଗ୍ରେଷମଦା କାରିଗାର,  
କିମିତ ଦ୍ୱାଵଦ୍ଵାରି, କିମିତ ନାତଲାଲ୍ଲା, କାରିଗାର, ନ୍ତ୍ରେ ଶ୍ରିକରିତ, ନାଦିଆ ଦରମାନଦିବିଦିତ  
ଦା ନାଦିଆ ଦରମାନଦିବିଦିତ.

ნ. დ ი ა — (იწმენდს ცრემლებს) როგორ არ ვიტირო! ისე დამიყვიდ  
რეთ, როცა ტქბილს ძილში და სიზმარში ვიყავი, რომ გული ჭრიან უკუკი  
მიხეთქეთ, იმისთანა სიზმარიც მომიშალეთ და ახლა მიძახით ჩო-  
ჩორეთის ჩოჩ...

გ მ ი რ ა ძ ე — (სიტყვას იწყებინებს) კარგი, ეგ დავივიწყოთ; აյი  
გულბნები, ნადია ბრძანდები მეთქი. მაგრამ სიზმარში ვიყავიო; ძა-  
ლიან მიყვარს სიზმრების გაგონება; ერთი, მიამბე, რა სიზმარი ნა-  
ხე, ჩემო ნადიავ.

ნ. დ ი ა — რა სიზმარი ვნახე? (ცალკე) ახლა რა ექნა! (გმირაძეს) და-  
მაცადეთ, ერთი კარგათ მომავინდეს. (ფიქრობს) დიახ, ჰო, ჩემო  
ბატონო, აი, რა სიზმარი ვნახე, მაგრამ, იქნება არ დამიჯეროთ.  
(ცალკე) ეფება ამიხილინს.

გ მ ი რ ა ძ ე — რატომ, რატომ, დიახ, დაგიჯერებ.

ნ. დ ი ა — აი შენი ჭირიმე! ვნახე, ვითომიც გახლავართ ჩოჩორეთში,  
იმ ბალში, რომელიც თქვენ უნდა მიბოძოთ... დიახ, თავის ღრო-  
ზედ, მოგეხსენებათ... (მორცხობით) როცა ვამათხოვებთ.

გ მ ი რ ა ძ ე — გათხოვება! ჯერ ეგ შორს არის, მაგას ჯერ თავი და-  
ვანებოთ.

ნ. დ ი ა — არა, მე სიზმარს მოგახსენებთ: აი, ჩემო ბატონო, ვითომიც  
იმ ბალში ვართ და ვითომიც ისე მშევნიერათ არის გაკითხებული  
ის ბალი, რომ ვერ წარმოიდგენ; მშევნიერი ხეივნები, მშევნიერი  
ყვავილები, მშევნიერი წყარო შადრევნებით.

გ მ ი რ ა ძ ე — ოჲ, ოჲ, მართლა მშევნიერათ ყოფილა მორთული ის  
ბალი.

ნ. დ ი ა — სწორეთ ისე ვნახე! ბალისნაპირსაც ის ძეელი სახლი, რომე-  
ლიც იმ ბალთან უნდა მიბოძოთ — კიდევ თავის ღროზედ და ბა-  
ლის გვერდით, ჩემთვის დაპირებული, თხუთმეტის, ღლის ნაფუ-  
ძარი. ამაგბს სულიერათ ვერდავდი. სახლი იყო საუცხოოთ გაახლი-  
ბული და მორთული, ნაფუძარზედ მშევნიერი ყანა ირჩეოდა. აი,  
რა ვნახე, ჩემო ბატონო.

გ მ ი რ ა ძ ე — ჰო, ძალიან კარგი სიზმარია; მერე, დაასრულე.

ნ. დ ი ა — დიახ, დასრულება; საუცხოო დასრულება აქვს, თუ არ  
გამიწყრებით, და თუ დამიჯერებთ, მოგახსენებთ.

გ მ ი რ ა ძ ე — არა, არა, არც გაგიწყრებით და კიდეც დაგიჯერებ.

ნ. დ ი ა — აი, ჩემო ბატონო! მე წყაროსთან ვიჯექი და ძალიან სი-  
ამოენებაში ვიყავი. უეცრად, ვითომიც ვიღაცის ხმა შემომესმა,  
მივიხედვე, ვნახე, რომ ჩემქენ ხეივანზედ მოდის... ვერ მოგახსე-  
ნებთ, მრცხვენიან და მეშინიან, არ გამიწყრეთ.

გ მ ი რ ა ძ ე — ნუ გრცხვენიან და არც გაგიწყრებით. (ცალკე) ძალიან  
კი ეშინიან ჩემი გაწყრომისა, ამის თავის მზემა.

- ნადია — მაშ მოგახსენებთ; მოდის ჩემქენ (თავს დაბლა დაჭიდებს  
და მორცხობით) მოდის...
- გმირაძე (სიტყვას გააწყვეტინებს) ნანია, ნანიაშვილი! გამოვიცან,  
თუ ვერა?
- ნადია — (კიდევ თავ ჩაკიდვით და მორცხობით) დიახ, ნანია, ნანი-  
ევიჩი, ნანიევი.
- გმირაძე — ნანია, ნანიევიჩი, ნანიევი! ჰო! მერე?
- ნადია — მერე მოვიდა ჩემთან... არ ვიცი, როგორ გაებედო... მო-  
ფიდა და... მომეხვია.
- გმირაძე — (წამოხტება ქრესლოდგან) როგორ თუ მოგეხვია, ის სა-  
ძაგელი, ის ურჯულო, ის შეჩვენებული, და შენ?
- ნადია — ბატონი, სიზმარს მოგახსენებთ, მართალი ხომ არ არის...  
რომ მომეხვია, ვერ დაგიმალავთ, მეც დიდათ მიამა. მერე ნანიამ  
ხელი დამიჭირა, წამიყვანა და იქავ ახლო საყდარი იყო და იმ  
საყდარში შემიყვანა. ვნახე, რომ საყდარი ხალხით გაჭედილი იყო,  
ღვდელიც მზათ იყო და თქვენც იქ ბრძანდებოდით.
- გმირაძე — მაგას კი სცრუობ, მე იქ არ ვიქნებოდი, ეგ შეუძლებე-  
ლია! მერე?
- ნადია — მერე! ჯვარი დაგწერეს, გამოგვიყვანეს, ისევ იმ ბალში  
მიგვიყვანეს, საუცხოო ვახშამი გავვიმართეს, სტუმრები ძალიან  
კარგათ შეექცნენ და თქვენც ცოტათ ჩაყლაპეთ.
- გმირაძე — როგორ თუ ჩავყლაპე, სტყუი, შე უსირცხოვ! მე ჩამი-  
ყლაპამს მხოლოდ პოლკის ზეიშვე, სხვაგან არსად.
- ნადია — სიზმარს მოგახსენებთ, შენი ჭირიმე, სიზმარს.
- გმირაძე — ჰო! კარგი, სიზმარს, მერე?
- ნადია — მერე, როგორ ვერ მიხვდებით! მერე... მერე... იმ მორ-  
თულს, სახლში შეგვიყვანეს, წმინდა ქვეშაგები, იყო გაშლილი.
- გმირაძე — ჰო! ახლა კი მივხვდი! მაინც! მერე?
- ნადია — აი, თავდება: მერე, ვითომც ხუთმა შელიწადმა გაიარა და  
ხუთი ლამაზი ბიჭები მეხვეოდნენ; ასე ვნახე, სწორეთ ასე. ერთს  
პეტრე ერქო, მეორეს გიორგი, მესამეს ქახოსრო, მეოთხეს ლე-  
ვან, მეხუთეს ნანია, თავის მამის სახელი; ასე ვნახე, ბატონი,  
თქვენმა მზემ.
- გმირაძე — (ცალკე) აი, შენმა მზემ და შენის თავის მზემ, რაც შენ  
მართალს ამბობდე. (ნადიას) კარგია, ძალიან კარგი სიზმარია, მაგ-  
რამ მაგისთანა სიზმრებს ყმაწევილი ქალები ბევრსა ნახავენ ხოლმე.  
ახლა, მაგ სიზმარს თავი დავანებოთ, მე დაგიძახე ერთს საქმე-  
ზედ, რომელშიაც უნდა დამეხმარო და რაც გვითხო, უკელაფერი  
სწორეთ მითხრა.



- ნ ა დ ი ა — დიახ, თქვენმა მზემ, სწორეთ მოგახსენებ და კიდევაც დაუკორონებული გებმარებით, თუ ჩემიგან შეიძლება რამე.
- გ მ ი რ ა ძ ე — აი, ჩემო ნადიავ, კარგათ იცი, რაც პატრონი ვყოფილ-ვარ თქვენთვის; პატრონს ვამბობ და არა ბატონს, მეტადრე შენ-თვის, რადგანაც ჩემს ხელში დაიბადე და მე მოგნათლე.
- ნ ა დ ი ა — სწორეთ, სწორეთ, თქვენმა მზემ, სწორეთ, ჩემი პატრონი და მამა ყოფილხართ.
- გ მ ი რ ა ძ ე — კარგათ იცი, ხუთის წლისა იყავ, რომ მოგიკვდა მამა; რომ დაობლდი, მოვიყანე ჩემთან, რომ გაზრდილიყავ ჩემის ქალი-თვის. შეს მოყვანის ორის წლის შემდეგ, ბატონყმობა გადასწყდა. მაშინვე ჩამოიჭრა დედაშენი, შენი თავი ჩვენთვის უნდა წაერთმევინა, ვერ გაგიძეტე შეილო; ჩემს ქალწედ თითქმის ნაკ-ლებ აღარ მიყეარდი: უარი უთხარი. შადგა დედაშენი ყალხზედა, ჩემი ქალი ჩოჩორეთში უნდა წავიყვანოთ. რა უნდა მექნა! დე-დაშენს მოურიგდი, დაწერეთ პირობის წერილი, რომლითაც ჩვენ-თან უნდა იყო, მანამ ოცის წლისა შესრულდები. ოცი წლისა რომ შესრულდები, უნდა გაგათხოოთ, კარგს კაცს მიგცეთ და მზითევშიც გაგატანოთ სიზმარში რომ განახამს, მშვენიერი ბალი, კარგ ნაფუძა-რი და მორთული სახლი, რომელშიც ხუთი ვაჟიშვილი გყოლოდა.
- ნ ა დ ი ა — (თაქს ჩაძირდეს) დიახ, თქვენმა მზემ, სწორეთ აგრე ენა-ხე და რაც მიამბეთ, კარგათ ვიცი და დედის ჩემის სიკვდილის შემ-დეგ, მე მიბოძეთ ის პირობის წერილი, რომელიც თითონ მე მაქვე შენახული, მაგრამ სამი წელიწადი კიდევ ვადა აქვს და მე კი ეხლავ ძალიან მინდა...
- გ მ ი რ ა ძ ე — (აწყვეტინებს) ჰო, ვიცი, გინდა, ძალიან გინდა, მაგა-ზედ მერე მოვილაპარაკოთ: ახლა კი, აი, რა უნდა გითხრა, ჩემო ნადიავ; ჯერ ჩემი ქალი უნდა გათხოვდეს, შეწედ ორის წლით არის უფროისი და მეც მოხუცებული ვარ; მინდა მისი ბედნიერება და შეიღები ვნახო.
- ნ ა დ ი ა — რა საკვირველია, რა საკვირველია, გენდომებათ. (ცალკე) აა! მივხვდი, რაც საქმე აქვს ჩემთან. ახლა კი, მე ვიცი. (მაღლა) დიახ, დიახ, გენდომებათ.
- გ მ ი რ ა ძ ე — სწორეთ, სწორეთ, ჩემო ნადიავ! მაგრამ რა გაეწყობა, ვერც მე და ვერც ეფემიამ ვერა ჩავაგონეთ რა. ბევრი ვეჩიჩინეთ, ბევრი ვსოხვეთ, ის ისევ თავისის მმბობს: ჯერ ას შეიძლებაო, ჯერ უნდა ქვეყნები ვნახოოთ, გონება გავინათლოოთ, უნდა წავიდე იმ ქალაქში, რა ჰქვიან იმ წყეულს ქალაქს, სულ მავიწყდება იმის სახელი.
- ნ ა დ ი ა — ცურიხი.
- გ მ ი რ ა ძ ე — დიახ! ცურიხი, ჯერ უნდა წავიდეო, კურსი დავასრუ-



ლოო, ქვეყანაში თვალი გავახილოო, მერე გავთხოვდეო, ქმარებულება  
დამელევაო.

ნ ა დ ი ა — დიაბ, აგრე მოგახსენებს და არა გზითაც არ დაიშლის თა-  
ვისს აზრსა.

გ მ ი რა ა ძ ე — აი, მაგაზედ უნდა მომელაპარაკნა შენთან, მაგრამ ჩვენ-  
ში კი უნდა დარჩეს, ნატაშას არაგზით არ უნდა უთხრა, თორემ  
ხომ იცი, იმ პირობის წერილს არაფერი ძალა არა აქვს.

ნ ა დ ი ა — რა ბრძანებაა, შენი ჭირიმე! რაკი თქვენ მიბრძანებთ, რო-  
გორ უნდა შევატყობინო ბარიშნას.

გ მ ი რა ა ძ ე — (ცალკე) სტყუის, სცრუობს საძაგლი, ეხლავ ჩაახარებს,  
მაინც კი ვეტყვი, ვინ იცის იქნება ამან დააჯერებინოს. (მაღლა)  
აი, ჩემონ ნადიავ, დამავით უყვარსარ ჩემს ქალს; იქნება შენ დავი-  
ჯეროს, ეცადე, რომ მავ აზრებს თავი დაანებოს და ეხლავ კვარი  
დაიწეროს ალექსანდრეზედ. ხომ იცი, რა გაზდილი ყმაშვილი  
ძაცია ალექსანდრე, რა ნასწავლი, რა მამულის პატრონი.

ნ ა დ ი ა — შეუძლებელია, შეუძლებელია, მაგის პირობას ვერ მოგ-  
ცემთ და ამასაც მოგახსენებთ, რომ თუ ეხლავ თითონ თქვენ არ  
გაისტუმრებთ, იქნება თქვენს უნებურათ წავიდეს.

გ მ ი რა ა ძ ე — როგორ თუ ჩემს უნებურათ, ჩემი ქალი, გმირაძის ქა-  
ლი! სად! ვისთან! როგორ, შეუძლებელია, სცრუობ, სტყუი!

ნ ა დ ი ა — რა მოგახსენოთ, მე კი მომისხსენებია და თქვენი ნებაა!

გ მ ი რა ა ძ ე — მაშ, უარს მეუბნები? ვერ აღმარულებ ჩემს თხოვნას?  
ნ ა დ ი ა — გადაშევეტილს მოგახსენებ, არ შემიძლიან.

გ მ ი რა ა ძ ე — კარგი, არ შეგიძლიან, ესეც არის, სწორეთ მითხარი,  
მოსწონს ჩემს ქალს ალექსანდრე, თუ არა?

ნ ა დ ი ა — (ცალკე) ჰო! შეხედეთ, ვითომიც უნდა მომატყუოს, ასე  
ფიქრობს, თუ ჩემს ქალს ალექსანდრე უყვარსო, მაშინ ჩემი ქალი  
ადვილათ დამყვებაო.

გ მ ი რა ა ძ ე — მითხარი, უყვარს თუ არა?

ნ ა დ ი ა — რა მოგახსენოთ! არ ვიცი. (ცალკე) როგორ ას ვიცი! სა-  
შინლათ უყვარს, ღმერთს გულიცებით.

გ მ ი რა ა ძ ე — როგორ არ იცი! ჩემს ქალს შენთან დამალული არა  
აქვს რა.

ნ ა დ ი ა — არ ვიცი.

გ მ ი რა ა ძ ე — მაშ, ვერას ატყობ?

ნ ა დ ი ა — ვერაფერს.

გ მ ი რა ა ძ ე — სტყუი!

ნ ა დ ი ა — არა ვტყუი, მართალს მოგახსენებ.

გ მ ი რა ა ძ ე — გუბნები, სტყუი, სტყუი, სტყუი.

ნ ა დ ი ა — მართალს მოგახსენებ.

- გ მ ი რ ა ძ ე — მართალს არ მიშობ!  
 ნ ა დ ი ა — მართალს მოგახსენებ, მართალს.  
 გ მ ი რ ა ძ ე — მაშ, უარს შეტყვი?  
 ნ ა დ ი ა — ვერაფერს.  
 გ მ ი რ ა ძ ე — რატომ ვირ შეტყვი?  
 ნ ა დ ი ა — რათ გავაგდეთ ნანიერი? ისიც თქვენი ნაყმევი იყო და  
     თქვენს სახლში გაზრდილი! ისიც ჩოჩორეთელი იყო და ძალიან  
     თქვენი ერთგული.  
 გ მ ი რ ა ძ ე — რათ გავაგდე? ხედავთ, ამ უსირცხოს! აღარ გახსომს?  
     აღარ გახსომს? აქ რომ მოგასწარით...  
 ნ ა დ ი ა — (აწყვეტინებს) რას მომასწარით, რას მომასწარით?  
 გ მ ი რ ა ძ ე — რას მოგასწარით? მყითხავ კიდეცი! აი, ამ ოთახში,  
     შენ ამ კუთხეში იდექი და ის ფანჯრიდამ ასე გიშვებოდა. (თავს  
     მაღლა აიღებს და ყელს ორი თითით დაიჭერს) ეს რასა ნიშნავს?  
 ნ ა დ ი ა — ოპ, დიდი საქმე, თუ აგრე შევრებოდა შორიდგან! ეგა ნიშ-  
     ნამს, შენი სულისა, შენი გულისაო! რა არის!  
 გ მ ი რ ა ძ ე — შეხე, ამ ურცხვისა, ამ ჭიუტასა, ამ საძაგელსა.  
 ნ ა დ ი ა — არც ურცხვი ვაჩ, არც ჭიუტი, არც საძაგელი. თუ გნებავთ,  
     ნანიერსა ჰყითხეთ.  
 გ მ ი რ ა ძ ე — შეგარცხვინოს, შენი ნანიერიცა, ჩოჩორეთის ჩო-  
     ჩორი.  
 ნ ა დ ი ა — როგორ თუ ჩოჩორი? სრულებითაც არა, თქვენმა მზემ, ბა-  
     რონო. (ცალკე) ახლა კი, მე ვიცი.  
 გ მ ი რ ა ძ ე — შეხე, ამ ურცხვისა! ეხლა მე შენ გაჩვენებ შენს თამა-  
     შას; როგორ თუ აგრე მებაასები! აბა მომიცადე. (წამლავლებს თა-  
     ვის საზაფხულო პალტოს, რომელიც არის მიგდებული სკამზედ და  
     გამოუდგება საცემრაო; ნაღია გაიჭირევა და ოთახში დარჩის. გმირა-  
     ძე მისდევს და ცდილობს პალტოთი დაპქრას. ნაღია სკამებს და  
     მაგიდებს გარს ურბის, ზოგ სკამებს წააქცევს).  
 ნ ა დ ი ა — ბარიშნა, ბარიშნა, მამათქვენი მდევს საცემრაო!  
 გ მ ი რ ა ძ ე — ჴი, შე ურცხო, შე საძაგელო, შე ჭიუტო, ღამაცადე  
     დაგიჭირო, მე შენ გაჩვენებ!  
 ნ ა დ ი ა — მიშველეთ! მამკლამს.  
 გ მ ი რ ა ძ ე — სწორეთ მოგქლამ, შე საძაგელო, როგორ თუ შენ მე  
     აგრე მექლავი. (უქნევს პალტოს, რომ დაპქრას).  
 ნ ა დ ი ა — მამკლა, მიშველეთ.  
 გ მ ი რ ა ძ ე — ვნახოთ, ვინ გიშველის, ვნახოთ. (უქნევს პალტოს)  
 ნ ა დ ი ა — რა დავაშავე, მამკლა, ბარიშნავ, მიშველეთ!  
 გ მ ი რ ა ძ ე — ვერავინ გიშველის, ვერავინ! შე საძაგელო!

- ნატაშა — (თავის ოთახითგან) მამაჩემო, რა ამბავია, ძილში გულ  
გამიხეთქეთ! ნადია! რა ღმერთი გაგიწყრა! რასა ჰკივი! აგრძელებული  
მოხდა? (გმირაძე და ნადია ამ ხმაზედ ორნივ ერთად შესტერისა).  
უცკრათ გმირაძე ხელს სტაცებს ხელში ნადიას).
- გმირაძე — რა მოხდა, იი, ნატაშაგან. რა მოხდა! შენმა გორნიჩნამ,  
ამ საძაგელმა, დიდი აბიდა მომცა! კაცი რომ იყოს, ეხლავ დუელში  
გამოვითხოვდი.
- ნადია — არა, არა! მამათქვენი მართალს არა ბრძანებს! თითონვე  
მომცა აბიდა, გამლანდა, საცემრათ მომდევდა.
- გმირაძე — სცრუობს, სტყუის, ენა წაიგრძელა, აღარას მეპუება,  
პირში ბაასი დამიწყო, როგორც ამხანავს.
- ნადია — გამლანდა, მათრია, ცუდათ მომისენია.
- გმირაძე — სტყუის, დანაშაული თითონა აქვს.
- ნადია — ჩემი საქმრო გალანდა, შენც შეგარცხვინოს, შენი ნანი-  
ევიცაო.
- გმირაძე — სტყუის, სტყუის.
- ნადია — ჩოჩორეთის ჩოჩორათ მოიხსენია.
- გმირაძე — კარგათ ვქენი! უფრო ცუდათ მოვიხსენიებ! რატომ ჩე-  
მი პატივისცემა არა გაქვს!
- ნადია — რათ გამლანდეთ! რათ მომდევდით საცემრათ?
- გმირაძე — აა! სადა ხარ ჩემო კურაგინო, მაშინ მე ვიცოდი. მაგ-  
რამ მეც კიდევ კი მაქვს იმდენი ღონე, რომ... (ხელს მოუჭერს  
მკლავზედ, რომ ატკინოს).
- ნადია — ბარიშნა, ბარიშნა, მიშველეთ, მამათქვენმა მკლავი მომ-  
ტეხა.
- ნატაშა — (თავის ოთახითგან) მამაჩემო! რა არის, ღვთის გულისათ-  
ვის, ძილიდგან დაფეთებული წამომახტუნეთ და ახლა მაგ სა-  
ცოდავსა ჰქლამთ. მამაჩემო, გოხოვთ გამოუშოთ. ნადიაგ! შენ რო-  
გორ ჰქედავ მამის ჩემის აგრე შეწუხებას, ეხლავ აქ შემოდი.
- ნადია — ეხლავ გიახლებით, ჯერ პირიც არ დამიბანია, ეხლავ გი-  
ახლებით (ჩუმათ გმირაძეს) ყველაფერს უამბობ.
- გმირაძე — თუ უამბე, პირობის წერილს ძალა აღირა აქვს.
- ნადია — ეგ ვნახოთ.

გამოსავა — 3

გმირაძე — (მარტო) იქნება თქვენს უნებურათაც წავიდესო! იქნე-  
ბა წავიდესო! ეს რას უნდა ნიშნავდეს! ეს რას უნდა ნიშნავდეს!  
ეშმაკობით ამბობს. ან თუ მართლა იცის რამე და ერთგულებით



წინდაწინვე მაურთხილებს. (დაიღუბს შუბლზე თითს და ღრმპეტებულებს) ორო! ამას დიდი ფიქრი და გამოცნობა უნდა. არა, ცრუობს, არა, დასაჭერი არ არის ჩემმა ქალმა დაციწყოს, რომ გმირაძეთ ჩამომაცლობა არის, ქალი იმ გმირაძისა, რომელსაც (დაიხედამს გულზედ) თვით ნეტარხებულმა კნიაშ კორონცოვმა თავისის ხელით დარგოს ექსპელიციაში დაპკიდა წმინდა გიორგის ჯვარი და ომდენი ჯილდოები. (წაისომს გულზედ ხელს) სულ იმდენი სისხლის დალვრით უშოვნას, ისე კი არა, როგორც ეხლა უფროსი ერთი; იმ გმირაძის ქალი, რომელსაც თვით განსვენებულმა იმპერატორმა უბრძანა: **Молодец, говорит, Гмирадзе!** Молодец! და სამსახურში პენცა დაუნიშნა. (დადის აჩქარებულის ფეხით) არა, შეუძლებელია, ამ გმირაძის ქალი იმისთანა საქმეს მოახდენს, რომ ჩემ უნებურათ წავიდეს ეკრძაში, თუ რაღაც ჯანდაბაა. არა, შეუძლებელია, სწორეთ შეუძლებელია. მაშ რათ მითხრა იმ ქალმა, იქნება წავიდესო. (ფიქრობს ღრმათ). ვერ გამოვიცან, ვერ გამოვიცან. მაგრამ ერთი რამ კი უნდა მოვახერხო: რა მოვახერხო? (ფიქრობს) პო, სწორეთ, სწორეთ, მაე. დაუძახებ ჩემს ქალს და ეხლავ ბრძანებას მიცვემ, რომ დაუყოვნებლივ ალექსანდრე უნდა შეირთოს, სწორეთ უკამანდებ: ვნახოთ უარს როგორ გამიბედავს. აბა როგორ! ვუბრძანებ ასე: ნატაშა, არ შეიძლება შენი ეკრძაში წასვლა, არა, არ იქნება, არ იქნება, ნებას არ გაძლევ; ეხლავ ქმარი უნდა შეირთო, ჯვარი დაიწერო, დასახლდე, როგორც ეკადრება შენის ოჯახის შეიღობას და ამ გვარს. ბევრს რასმე ვეტვი და ვნახოთ, უარს როგორ გამიბედავს, აბა პო, გათვდა, უნდა დაუძახო. (მიაბლოვდება ნატაშას ოთახის კარებს) პო, დაუძახო... ნუ... ნატაშა, ნატაშა!

**ნატაშა —** (თავის ოთახიდგან) რა გნებავთ, მამაჯან!

**გმირაძე —** რა მნებავს? ნატაშა ერთი აქ გამოდი, ეხლავ გამოდი.

**ნატაშა —** (თავის ოთახითგან) რა არის, მამაჩემო, ეგრე გაფივრებული მიბენებთ.

**გმირაძე —** გაფივრებული მიბრძანებთო! არა, არა, ჩემო ნატაშაჯან, რათ ვიქნები გაფივრებული; ცოტა საჭირო საქმე მაქვს შენთან, თუ შეიძლებოდეს, პატარა ხანს გამოდი.

**ნატაშა —** (თავის ოთახიდგან) ეხლავ გიახლებით, დამაცადეთ ერთი კაბა გადავიცვა და ეხლავ გიახლებით.

**გმირაძე —** ეხლავ გიახლებით, აბა ყოჩაღათ გმირაძე, შენებურათ უკამანდე; აცა, დამავიწყდა ის სიტყვები, რომელიც უნდა მეთქო. პო! არ შეიძლება, ვერ წახვალ; ქმარი ეხლავ უნდა შეირთო, მე გიბრძანებ, ასეა ჩემი ნება, მე...

გმირიძე და ნატაშა, შერე ნადია

**ხ ა ტ ა შ ა** — (გამოვა დილის შლაფრაკით და თავზედ ღამის ჩეფჩიკით; მივა მამასთან და მოეხვევა) რას მიბრძანებთ მამაჯან, ეს არის ეხ-  
ლა წამოვდექი ქვეშა გებილგან, ფერ პირიც არ დამიბანია.

**გ მ ი რ ა ძ ე** — არაფერი, არაფერი, ჩემო ნატაშავ. პირდაუბანელიც  
ისე შშენიერი ხარ ჩემთვის და საყვარელი, როგორც მორთული  
და მოკაზმული. (ცალკე) თავი უნდა მოუქონო.

**ნ ა ტ ა შ ა** — მადლობელი გახლავარ, მამავ, კომპლემენტისათვის. ვი-  
ცი, რომ გიყვარვართ და სარწმუნო იყავით, მეც თუ არ მეტათ,  
ნაკლებად არ მიყვარხართ, ჩემო ძეირფასო მამაჯან. (კიდევ მოეხ-  
ვევა, ამ ღროს შემოვა ნადია).

**ნ ა დ ი ი ა** — (ცალკე) ამათში რაღაც მძავია უთუოთ.

**გ მ ი რ ა ძ ე** — (ნადიას ვერა ხედავს) ვიცი, ჩემო ნატაშაჯან, მაგრამ  
უნდა გითხრა, რისთვის დაგიძახე, აი! ჰო! დიახ! დიახ!

**ნ ა ტ ა შ ა** — მიბრძანეთ, რისთვისაც დამიძახეთ.

**ნ ა დ ი ი ა** — (ცალკე) ვიცი, რაც უნდა უთხრას; ვერა მგონია, გააშუოს  
რამე.

**გ მ ი რ ა ძ ე** — დიახ! დიახ! გატუვი, ჩემო ნატაშაჯან. (ცალკე) დას-  
წყველა ღმერთმა, კიდევ დამაგიშუდა. (იგონებს) ჰო, ნატაშაჯან,  
ჩემო ძეირფასო, ჩემო კარგო, ჩემო სიცოცხლე! ჰო, უნდა გითხრა.  
(ცალკე) ცმელე. (მაღლა) ჰო, ნატაშაჯან, ნუ... ნუ... ნულარა გეტან-  
ჯამ, შვილო, შენის მეტი არაეინა გვყავს, შენი სულისა, ჩემო ნა-  
ტაშაჯან, ეხლავ უნდა ალასრულო შენი მოვალეობა, უნდა ამ  
დღეებში გვარი დაიწერო.

**ნ ა ტ ა შ ა** — მამაჯან, მამაჩემო, არა, შენ გენაცვალოს შენი ქალი, არა!  
არა! ფერ არა!

**ნ ა დ ი ი ა** — დიახ, დიახ! ეხლავ დაიყოლებ, მერე უჩემოთ.

**გ მ ი რ ა ძ ე** — რატომ, შენი სულისა, ცხრამეტისა წლისა სრულდე-  
ბი, მე და დედაშენი მოვხუცით, შენი ქმარი და შვილები გვინ-  
და ვნახოთ, ჩემო ნატაშაჯან, გვინდა ჩევენს მოხუცებაში თქვენთან  
გავიხაროთ, მინდა შენი შვილები, ხელში ვათამაშო, როგორც ჩემს  
იუნკრობაში თოფს ვათამაშებდი, შენი სულისა, ჩემო ნატაშაჯან.  
(ცალკე) ფუ! ის მომზადებული სიტყვები სულ დამაგიშუდა, არ ვი-  
ცი რას ემზობ, სულ ვადაეირევ.

**ნ ა ტ ა შ ა** — არა, მამაჯან! აღრეა. აღრეა.

- ნ ა დ ი ა — (წინ წამოდგება) სწორეთ ადრეა; ბარიშნას ჯერ თვალშეც  
არ გაუხელია ქვეყანაში, ამ ქვეყნისა ჯერ არა იცის რა.
- გ მ ი რ ა ძ ე — ოშ! შენც აქა ბრძანებულხარ, მამზელავ! შენ რას წა-  
მოეჩარე?
- ნ ა დ ი ა — როგორ, რას წამოვეჩარე! ძველი დრო ხომ არ გახლავსთ,  
რომ ქალებს ათხოვებდნენ იმათ უკითხავად და უნებურათ.
- გ მ ი რ ა ძ ე — შენ რა იცი ძველი დროები? შენ ვინა გყითხავს; შენ  
რა მოხელე ხარ?
- ნ ა დ ი ა — როგორ, მოხელე ვარ! ჩემს ბარიშნას რომ ძალას ატანთ,  
ძალათ გინდათ გაათხოვოთ! როგორ თუ, რა მოხელე ვარ!
- გ მ ი რ ა ძ ე — სტყუი, სტყუი, არც ძალა დამიტანებია, არც ძალათ  
ვათხოვებ, არც ვაუბეფურებ, მხოლოდ ვთხოვ. (ჩუმათ ნადიას).  
შე შეჩვენებულო, საქმე სულ წამიხდინე.
- ნ ა დ ი ა — სულაც არა! ვიცი ვერ დაითანხმებთ.
- გ მ ი რ ა ძ ე — (ჩუმათ) ოშ! ეს წყეული ესა! მაინც ვეცდები. (მაღლა)  
ჰო! გთხოვ, ჩემო ნატაშავან, ხომ არ გიბრძანებ, ხომ ძალას არ გა-  
ტან. ჩემო სიცოცხლევ. გთხოვ...
- ნ ა ტ ა შ ა — ნუ მთხოვ მამაჭან! შენი კირიმე, ნუ მთხოვთ, ნურც  
მიბძანებთ, ჯერ დრო არ არის, მოითმინეთ. (მიეკა მამასთან, მოეხ-  
ვევა და ტირის).
- გ მ ი რ ა ძ ე — ოშ! ოშ! ტირილი! ცრემლები, გინდა მეც მატირო! ძვე-  
ლი სალდათი! ნუ ტირი, ნატაშავან. (თითონაც ტირის) ნუ ტირი,  
შენი სულისა ქარგი! ქარგი! (ტირის).
- ნ ა დ ი ა — მეცა ვტირი (ტირის, სამნივ ტირიან).
- გ მ ი რ ა ძ ე — ქარგი, ქარგი, შვილო, თვალები მოიწმინდე; სატირელი  
ღვთით არა გვაქვს რა. (სამნივ თვალებს იწმენდენ).
- ნ ა ტ ა შ ა — მაშ, მამაჭან, იღარას მიბძანებთ?
- ნ ა დ ი ა — როგორ არა! როგორ არა! მამათქვენი გიბძანებსთ: თქვე-  
ნი ევროპაში წასვლა არ შეიძლებაო, ქალისაგან რიგი არ არისო,  
მეტადრე გაუთხოვარის ქალისაგან, უცხო ქვეყნებში შარტო იტან-  
ტოლოსო. ეს მართალია, მეც თანახმა ვარ ამაზედ.
- გ მ ი რ ა ძ ე — დიახ! დიახ! სწორეთ ამბობს ნადია. (ცალკე) ყოჩალ,  
ნადიავ! მე სრულებით მავიწყდებოდა.
- ნ ა ტ ა შ ა — თუ თქვენგან ნება არ მექნება, მაგაზედ რა სიტყვა მაქვს,  
მაგრამ, მამავ, თუ შეიძლება...
- ნ ა დ ი ა — ბარიშნავ, რას ბრძანებთ, როგორ შეიძლება, მამათქვენს  
ნუ შეაწუხებთ. (ცალკე) მე ქარგი ბლანი მომივიდა თავში, ჯვარის  
წერა ბარიშნასი ჩემით უნდა მოხდეს, მაგრამ მუქთათ კი არ მოვახ-  
დენ.

- გ მირაძე — დიახ! დიახ! ნალია მართალს ამბობს.
- ნატაშა — მეც მეყურება, მართალს ამბობს და აღარ შეგაწუხებთ; მომიტევეთ, მამაჯან, ხომ აღარას მიბრძანებთ?
- გ მირაძე — აღარას შეილო, აღარას!
- ნადია — როგორ არა! ტირილში დაავიწყდა, დიახ, გიბძანებს.
- გ მირაძე — რას ვუბრძანები?
- ნადია — როგორ, დაგვიწყდათ! მაშ, წელან საცემრათ რისთვის მომდევდით? თქვენ არა მითხაუდით, ჩემს ქალს ალექსანდრე მოსწონს თუ არაო. (ჩუმათ ნატაშას) ცალკე გიამბობთ, ასე უნდა.
- გ მირაძე — მართალია, მართალია! (ცალკე) ყოჩალ ნადია! (მაღლა) დიახ! ნატაშავან, მითხარი, ესეც არის მითხარი, ეს ხუმრობა ხომ არ არის, შეილო, მითხარ... ჰო... მოგწონს ალექსანდრე თუ არა. (ნადია ანიშნებს ნატაშას, რომ უთხრას არ მომწონსო).
- ნატაშა — რა მოგახსენოთ, მამაჯან, ერთი არაფერი არა არის რა ალექსანდრეში, არაფერი მოსაწონი არა აქეს რა; მაგრამ მომეწონებოდა და ეხლავ შევიტოამდი, თუ ეკლესიიდგან პირდაპირ უცხო შევყებში წამიყვანდა.
- გ მირაძე — (ცალკე) შეჩენებული მოდა! ქმრის შერთვაც კი მოლით უნდა იყოს; როგორც ორადლიანს კუდებს უკან ათრევენ, ისე თავიანთი ქმრებიც უკან უნდა ათრიონ. (მაღლა) ეგ როგორ შეიძლება ჩემო ნატაშავ; პირველათ, რომ ეგ რიგი არ არის, მეორეთ იმიტომ, რომ ალექსანდრეს მოხუცებული და ავათმყოფი მამა ჰყავს; ამას გარდა, მრავალი საქმეები აქვს შესასრულებელი; ალექსანდრე მარტოხელი კაცია; ჭერ ვერც თავის მამას დაანებებს თავს და ვერც თავისს საქმეებს. არა, ეგ შეუძლებელია.
- ნატაშა — რა ვქნა, მამაჯან, თუ მაშინვე ეკლესიიდგან არ წამომყვება უცხო ქვეყანაში, სწორეთ უნდა მოგახსენოთ, ვერ მოგატყუებთ, არ მომწონს.
- გ მირაძე — რა გაეწყობა! კარგი შეილო! (ცალკე) დაემარცხდი, სრულათ დაემარცხდი.
- ნატაშა — გიახლებით, მამაჯან, ტანთ ჩაეიცო, მომიტევეთ, რომ შეგაწუხეთ.
- გ მირაძე — არა, არა, შეილო.
- ნატაშა — წამოდი ნადიავ, ტანთ ჩამაცვი. (შევა თავის ოთახში, ნადიაც უკან მიჰყვება).

გმირაძე შარტო, შერე იშიხა ცოლი ეფეშია

(გმირაძე დადის ოთხშით გაჩერებული ფეხით, თავს და ხელებს ხან აქეთ აქეცეს, ხან იქით, უცირათ უფეშია, რომელიც თვეს თახილაში გამოიდის და გმირაძე ერთმანეთს დაეჭახებიან).

ე ფ ე მ ი ა — (დაბარბაცდება) რა არის დალოცუილო! რა არის! კინა-  
ლმ წამაქციე, კინალმ თავპირი ჩამამტვრიე! რა არის! რა მოხდა!

გ მ ი რ ა ძ ე — ღმერთმა ნუ იცის შენი თავი, შენ რომ თვალებით ვე-  
ღარას ხედამდე, ჩემი რა ბრალია! რა მოხდა, რა არ მოხდა!

ე ფ ე მ ი ა — გოხოვთ, ჩემს თავს აგრე ნუ ახსენებთ. შეგიძლიათ გმი-  
რაძეებში იპოვნოთ ვინმე, აგრე დასაწყევეარი..

გ მ ი რ ა ძ ე — როგორ? გმირაძეებშია? როგორ თუ გმირაძეებში.  
გმირაძეები შენი სახსენებელნი არ არიან.

ე ფ ე მ ი ა — არც მე გახლავარ, თქვენმა მზებ, თქვენგან აგრე სახსე-  
ნებელი; მეც კეთილშობილის ქალი გახლავარ. ჩემი გვარი თქვენს  
გვარზე ნაკლები არ გახლავსთ.

გ მ ი რ ა ძ ე — ოპო ჰომ! დიდის გვარის ბრძანდებით, დიდის გვარი-  
სა! კინკილაძე არა ბრძანდებით, სოფელ კინკილაანთ კარიდგან;  
დიახ, დიახ, დიდის გვარის ბრძანდებით;

ე ფ ე მ ი ა — ვითომ რითი სჯობია თქვენი გვარი ჩემს გვარსა?

გ მ ი რ ა ძ ე — ...რითი სჯობია? ჭერ ერთი, თქვენ მიბრძანეთ თქვენი  
გვარის ისტორია და მერე მე მოგახსენებ ჩემი გვარის ისტორიას  
და იმითი შევიტყობთ, თქვენი გვარი რა ყოფილა, ან ჩენი გვარი  
რა ყოფილა.

ე ფ ე მ ი ა — რა მოგახსენოთ! მე ისტორიები არა ეციო რა! ეს კი ვი-  
ცი. რომ კინკილაძეები გმირაძეებზედ ნაკლები არ ყოფილან.

გ მ ი რ ა ძ ე — (ცალკე) არა, ამას კი არ დაუვარდები, თუნდ ცრემლე-  
ბითაც სულ დაიღვაროს. (მაღლა) არა, გეცოდინებათ რამე თქვე-  
ნის პაპისა, პაპის პაპისა, იმათ წინაპართა, რა ხელობა პქნიათ  
ვისმე იმათვანს, რა სამსახური უჩენებიათ სჯულისა და მამუ-  
ლისათვეს, იმათვანი ვინმე როგორ ყოფილა მიჩნეული ან მეფე-  
ეფთან, ან ხალხში.

ე ფ ე მ ი ა — რა მოგახსენოთ, ეს კი გამიგონია. რომ ჩემი პაპის პაპა  
ყოფილა მეფის ჭორების თავი; არა, არა, შემცდა, მეფის მეჭორე-  
ების თავი; ესე იგი, უფროსი.

გ მ ი რ ა ძ ე — ძალიან კარგი, ძალიან უცხო! მეფის ჭორების თავი, მე-  
7. ლიტერატურის მატიანე



- ფის მეჯორეების უფროსი. დიდი, დიდი თანამდებობა ჰქონის უმაღლესობა  
რე იქნება იმის მამისაც და პაპისაც იცოდეთ რამე.
- ე ფ ე მ ი ა — იმის მამისა და პაპისა რა მოგახსენოთ, მაგრამ იმის შეი-  
ლისა, რომელიც ყოფილა პაპისჩემის ძმა, დიახ, ვიცი.
- გ მ ი რ ა ძ ე — რა ბრძანებულა თქვენი პაპის ძმა.
- ე ფ ე მ ი ა — რა ბრძანებულა? აი, რა ბრძანებულა! ისიც მეტის კარ-  
ზედ ყოფილა. მეცე გაცალებებულს ოთაში რომ შებრძანდებოდა,  
თურმე ის კარებთან ადგა, თურმე ყარაულათ.
- გ მ ი რ ა ძ ე — ჰო! იმასაც დიდი თანამდებობა ჰქონია, ძალიან დი-  
დი. სხვები, პაპაშენი, იმისი ძმები, ბიძაშვილები, ისინი?
- ე ფ ე მ ი ა — (ცოტა სიფიცხით) ისინი რაღა? კარგი აზნაურშვილები  
ყოფილიან, კინკილაანთ კარში მდგარან. უხნამთ, უთესიათ, უმკიათ,  
ულეშვით, უფეხიათ, უჭამიათ, უსემთ, სძინებიათ, უნადირნიათ.  
ცდილან შვილები ბლომათ ჰყოლოდათ. ვითომ, სხვა რაღა?
- გ მ ი რ ა ძ ე — ოო! ჩემო უფეხიავ, ნუ ჭაერობ, დამშვიდდი, ჩემო ეფე-  
მიავ, ჰო, ცდილან, რომ ბევრი შვილები ჰყოლოდათ. ეგ დიდი და-  
ვალება არის სამშობლო ქვეყნისა, მაგრამ გამიგონე, ჩვენი გმირა-  
ძეების გვარი რა ყოფილა! მაგრამ, ჭერ ამას თავი დავანებოთ, მე  
სხვა სათქმელი მქონდა შენთან.
- ე ფ ე მ ი ა — რა, გვანცალოს ჩემი თავი.
- გ მ ი რ ა ძ ე — არა! წელან რომ გაშეფოთებული დავდიოდი და უებ-  
რათ დაგვეჯახე, ის გაშეფოთება უმიზეზო არ იყო.
- ე ფ ე მ ი ა — მართლა გაშეფოთებული ყოფილა, მხარი ჭერაცა მტკიცა.  
(მალლა) ვინ გაგაშფოთა, ბატონო, ვინ მოგცა გაშეფოთების მი-  
ზეზი?
- გ მ ი რ ა ძ ე — ვინ გამაშფოთა! ჭერ გამაშფოთა იმ (ამ დროს ნაღია  
ნატაშას ოთაბილგან კარებს ცოტათ გამოალებს, სიფრთხილით  
იყურება და ყურს დაუგდებს) მაშენიერა, იმ გომბიომ, იმ მაჩქა-  
თელამ, იმ ქავმა, იმ შეკვენებულმა, იმ ასპიტმა, იმ ურჩმა, იმ...  
იმ... საბაგელმა ნაღიობ.
- ნ ა ღ ი ა — (ცალკე) გმხდლობთ, აგრე შემკობისათვის, დამაცალე,  
ჩემს ნებას კი აღვასრულებ და რაც გნებავთ, ბრძანეთ.
- ე ფ ე მ ი ა — ნადიამ? აი, ის ურჩის აი, ის საძაგელი როგორ გაბედა  
შენი გაშეფოთება! დამაცადოს! ეხლავ ვაჩვენებ თავის თამაშის.  
(წამოხტება სკამიდან. ნადია საჩქაროთ თავს უკან წილებს და კა-  
რებს მიხურავს) დამაცადოს...
- გ მ ი რ ა ძ ე — დაჯექ, დაჯექ, თავი დაანებე, მერე გადავახდევინოთ.  
(დასეამს სკამშედ) მაგრამ რა საჭიროა, მე კიდევაც გადავახდევი-  
ნე. (ამ დროს ნაღია კიდევ გამოხედას კარებიდგან) ძალიან გა-  
დავახდევინე! აი, ამ ჩემს პალტოს, ხელი წამოვავლე და ამდენი



უურტყი, რაც ჭანი და ლონე ჰქონდა ბეჭებზედ, რომ სულ ვათოთ უნდოებენ  
ვაი ვაძახე, იმას ის ეყოფა.

**ნ ა დ ი ა — (ცალკე) დიახ, დიახ, ბეჭები ეხლაც მეწვის.**

**ე ფ ე მ ი ა — მე შენ რომ გიცნობ, არა მგონია ან ერთხელ დაგერ-  
ტყას.**

**გ მ ი რ ა ძ ე — სწორეთ! სწორეთ, ძალიან გავლახე. კი ნურას ეტყვი,  
ვითომ არა იცი რა.**

**ნ ა დ ი ა — (ცალკე) არცა რას მე ვეტყვი, თქვენმა მზემ, ვითომც მეც  
არაფერი არა ვიცი რა. (კარებს მოხურავს).**

**ე ფ ე მ ი ა — ჴო, კარგი, მაგრამ რაზედ გაგაშფოთა იმ საძაგლმა?**

**გ მ ი რ ა ძ ე — ეგ დიღი ისტორიაა, ეხლავ გიმბობ. ახლა უნდა გი-  
აბბო სხეა ამბავი, ზედვე უფრო მომიმატა გაშფოთება; უნდა გა-  
გატყდე, მე უარესის გაშფოთებისა, უნდა გითხრა, — ჩვენი ქალია  
მიშეზი...**

**ე ფ ე მ ი ა — (შეშინებული) როგორ ჩვენი ქალი! შენ გენაცვალე! რა  
დაშავა მაგისთანა?**

**გ მ ი რ ა ძ ე — არაფერი! არაფერი იმისთანა, რომ შესაწუხარი იყოს  
რამე! რას დააშავებდა გმირაქების ქალი! განა არ იცი ჩვენი ქა-  
ლები პატიოსნებით სახეს ყოფილიან. არაფერი! უბრალო მცირედი  
ჩემი ბრძანება არ აღასრულა.**

**ე ფ ე მ ი ა — შენ გენაცვალე, ტყუილათ გული რაზედ გამიხეთქე! რა  
ბრძანება არ აღასრულა?**

**გ მ ი რ ა ძ ე — ი, რა ბრძანება! ჩემს ქალს დაუუძახე და მივეცი ბრძა-  
ნება: შენი იმ ქვეყანაში, რა ჰქეიიან იმ წყეულ ქვეყანას, სულ დამა-  
ვიწყდება ხოლმე, იმ ქვეყანას, სადაც ჩვენს ქალს წასელა უნდა...**

**ე ფ ე მ ი ა — ამბობენ, მეც მავიწყდება... ჴო, შეეიცარია.**

**გ მ ი რ ა ძ ე — ჴო, შეეიცარია, ან რას იყვლევენ, დასწყევლა ღმერთის  
ის შვეიცარია, იქ წასელისათვის. სამაგელი ქვეყანა თურმე არს.  
ზედ ოვეანეზედ თურმე დგას! არის საშინელი ვაკე ქვეყანა, ერთს  
პატარა გორაქსაც თურმე თვალი ვერ დაინახამს: ამასთანაც საშინე-  
ლი ცხელი და ციებიანი და ხალხიც ბრიყვი და უზრდელი. არ ვი-  
ცი, რა მიაჩენენებთ ჩვენ ქალებს. იმისთანა ქვეყანაში, ჴო, იმას  
ვამბობდი, შენი იმ ქვეყანაში წასელა არ შეიძლება მეთქი, ეხლავ  
მე დღეებში უნდა ჯვარი დაიწყერო ალექსანდრეზედ, რომელიც  
არის ჩემის გულითადის მეკობრის და სამსახურით ამხანაგის შეი-  
ლი, იმ კაცის შვილი, რომელმაც ერთხელ საშინელის ომიდგან,  
საშინლათ დაჭრილი, თითქმის მომაკედავი, თითონაც დაჭრილმა,  
მხარზედ შემიღო და გამომიყვანა სამშვილობოში. კარგათ იცი,  
ალექსანდრე არის მარტო ერთი შვილი მამისა, კარგი მამულის  
მექონე და შემძლებელი, ჩვენი მეზობელი, ჩინებულათ გაზრდი-**



ლი და უნიკერსიტეტში კურსდამთავრებული, სამსახურში მოწირდული ული და შისთანა კარგი თვალ-ტანალი და პატიოსანი ყმაწევილი კაცი? კაცი. რატომ არ შეირთოს ჩემმა ქალმა ამისთან ყმაწევილი კაცი? ჸა! რატომ? გამოვუცხადე ჩემი ნება ნატაშას, მივეც ბრძანება, ასე უნდა აღასრულო მეთქი, ეს არის ჩემი ნება მეთქი! ეე! ვის გაგონებ! მამაჯან, არ შეიძლებაო, ჯერ ევროპა უნდა ვნახოო, ეჭ, რალა გაგიგძელო, უარი მითხრა.

ე ფ ე მ ი ა — მერე, შენ რალა უბძანე ნატაშას?

გ მ ი რ ა ძ ე — ოო! რა უბრძანე! საშინლად ავათ მოვეპყარ.

ნ ა ღ ი ა — (კარებიდგან ცალკე) დიახ! გვერდები ცემით დაამტკრივა.

გ მ ი რ ა ძ ე — მხოლოდ მარტო არა ვცემე, თორემ სხვა აღარი დავაკელი. დიდათ გაუწყერ! დიდათ! შენ როგორ ბედავ ჩემს ურჩიბასა მეთქი, როგორ თუ ჩემს ნებას არ აღასრულებ მეთქი და ამგვარი ბევრი რამ.

ნ ა ღ ი ა — (კარებიდგან ცალკე) დიახ, დიახ, ასეც უთხრა, ეხლავ მოლოზნათ შეგგზავნიო.

ე ფ ე მ ი ა — მერე, როგორ გაათავეთ, მიბრძანე ჩქარა.

გ მ ი რ ა ძ ე — ასე გაათავდა ეს საქმე; იქნება დამეყოლებინა, მაგრამ ის მუსკუტელა, ის ქაჯი წამოეჩარა!

ე ფ ე მ ი ა — ვინ მუსკუტელა? ვინ ქაჯი?

გ მ ი რ ა ძ ე — სხვა ვინ იქნებოდა, თუ არ ის საძაგელი ნადია, თუ რალაც კვიცა!

ნ ა ღ ი ა — (კარებიდგან ცალკე) როგორ თუ, რალაც კვიცი! ეს რალა აბიდა არის! დამაცალეთ, დამაცალეთ. (კარებს მოსურამს).

ე ფ ე მ ი ა — ვნახოთ, ვნახოთ; ჯერ ლმერთს და ლრის მივანდოთ, ძალიან ძალის ნუ დავატანთ, თორემ, ხომ მოგეხსენებათ ალექსანდრე ჭავჭავაძის ლექსი: ახლანდელი ქალები, ყოვლის ჭირის დედები.

გ მ ი რ ა ძ ე — ლმერთს მივანდოთ, ჰეშმარიტათ ლმერთსა... მაგრამ, ერთი ეს მითხარ, მე არა მესმის რა, რა, რა! რისთვის! სად! ვისთან! რა აზრით! როგორ! გმირაძის ქალი უმამოთ, უდედოთ უნდა ჭავჭავეს ფუ... კიდევ დამავიწყდა...

ე ფ ე მ ი ა — შვეიცარიაში.

გ მ ი რ ა ძ ე — ჰო! შვეიცარიაში! არა, შეუძლებელია, რომ გმირაძეების ჩამომავალმა ქალმა! გმირაძეები... ჰო! წელან უნდა მეთქვა ვინა ყოფილიან გმირაძეები და ახლა გეტყვი.

ე ფ ე მ ი ა — ვიცი, შენ გენაცვალე, ვიცი, ნუ გაფიცხდები, მთელი დაჭრილობები არ აგეშალოს.

გ მ ი რ ა ძ ე — (ყურს არ უგდებს სიფიცხით) აი, რა გვარი ყოფილა ჩვენი გვარი. რვა ასს წლის წინათ, არაბებს რომ სჭერიათ ჩვენი

ქეყანა, დავით აღმაშენებელი მხოლოთ ერთიდა ყოფილა დარჩოს როგორც უსუსურს მაგრამ მილი მეცეთ ჩიმოშავალთაგან და კერ ყმაშვილი და უსუსურს მაგრამ ჩერებს სოფელში და ჩვენის გვარის სახლში თურმე ჰყენდათ და-მალული, რომ არაბებს არ მიეგნოთ და ჩვენმა გვარმა თურმე გა-მოზარდა თავისებურათ, გმირათ, მამაცათ, ქრისტეს მცნებაში და თავის მამულის სიყვარულში. რაკი თურმე წამოიზარდა, წაყუ-ვანიათ მთებში, ჩერქეზებში, აბხაზებში, ოსებში და სხვადასხვა თემებში. შემოუკრეციათ მთელი კავკასიის მთების ჭარები, დავით დაბრუნებულა იმ ჭარებით საქართველოში, მოხდომიან არაბებს და დაუწყვარათ საშინელი ბრძოლა და ომები, სადაც გაჭირვება ყო-ფილა, იქ დავითს გმირაძეები თურმე გარშემო შემოერტყმოდნენ; რამდენსამე თვეში, საშინელი ბრძოლების შემდეგ, არაბები სრუ-ლათ გაულალამთ და საქართველოში ქრისტეს ეკლესია აღუდე-ნიათ, აი, რა ყოფილან გმირაძეები! მარტო ამითი არ დასრულდება სახელოვანი საქვეები ჩვენის გვარის შეიღებისა. ყველა რომ გიამ-ბო, რაც მარტო მე ვიცი, ძალიან გაგრძელდება. მაგრამ, შორს რაღათ წავიდე. რიგი კი აი არებს თავის ქება და არც საქებურათ ვიტყვი: სხვათან, რა საკვირველია, აი ვიტყვი. შენთან ვამბობ, ძალიან გულდამწვარი რომ ვარ! აბა შემომხედე, შემომხედე! (გულზედ ხელს გადაისომს) ეს ჯილდოები ისე აი მიშონა, რო-გორც ეხლა შოულობენ! გაშინჯე ჩემი იარები: ხუთი ტყვია, საში გავარდა, ორი ჭერაც ძალში ბრძანდებან; ეს არის თმალოს სალ-დათის ხიშტი. (დაიდებს გვერდზედ ხელს) ორი თვე სიკვდილზედ ვი-ყავი! ეს არის (დაიდებს ლოყაზედ ხელს) ჩაჩნის ხმალი, დარგოში რომ შევდიოდით, ღვთის წყალობა მოეცეს, ჩემმა კურაგინმა ის ჩაჩნი, შედ სანგარში, ხიშტზე ააგო! რას მელაპარაყები, დედაკაცო! (თანდათან უფრო ფიცხდება) ხედამ, ამ თეთრს ჭვარს. (გულზედ ხელს დაიდებს) ეს არის წმინდა ვიორ-გის ჭვარი. დარგოში საშინელი დაჭრილი რომ მიმიტანეს, თითონ განსვენებული კნიაზ ეორონცოვი მობრძანდა ჩემთან და თავის ხელით გულზედ დამყიდა. თვით ხელმწიფე იმპერატორმა პეტერბურგში დამიბარა და პირდაპირ მიბრძანა — Молодец, го-ворит, Гмирадзе! ჩემი პარტერეთი აალებინა და ეხლაც თურმე აქვს თავის კაბინეტში. აი, დედაკაცო! გაიგე! შეიტყე რა ყოფილან გმირაძეები. ახლა, მისითანა გვარის ჩამომავლობა, ყმაწ-ვილი, გაუთხოვარი ქალი იძახის... (თანდათან უფრო ფიცხდება) არა! არა! არა გზით, ნებას არ ვაძლევ, ოპოპო. მარჯვენა ფეხმა ტეხა დამიწყო.

ე ფე მ ი ა — კარგი, ბატონო, ღვთის გულისაოვის, ნუ შფოთავ, იარე-ბი არ აგეშალოს.



გმირაძე — ჯანი გამვარდეს, თუ მეშვება, ამაზედ მეტი რაოდომისადაც  
მიერ.

ეფემია — როგორ თუ, რა მოვივა? რომ დაგემართოს რამე, ჩენე  
რაღას გვეუბნები; დამშვიდდი, ლვთის გულისათვის, თუ არ დამ-  
შვიდდები, მეც გაეშფოთდები და ან ვიტირებ.

გმირაძე — ოშ! მაგას ნუ მეტყვე, ეფემიავ, თუ ღმერთი გწამს; არ  
შემიძლიან ცრემლების დანახვა. კარგი, კარგი, აი, დავმშვიდდი. ან  
კი მართლა, ამ შფოთით რა გაეწყობა. (ნელნელად დამშვიდდება)  
მაგრამ, იცი რა გითხრა, ეფემიავ! სწორეთ უნდა გითხრა და ნუ  
გაწყინება: ერთში კი ახლანდელი ქალები თქვენა გჯობიან.

ეფემია — ვითომ, რაში გვჯობიან?

გმირაძე — აი, რაში! თქვენსავით ფერუმარილით არ ითხუნებიან,  
მაგალითათ, ეხლა როგორც შენა ხარ შეთუთხნული.

ეფემია — უკაცრავათ, უკაცრავათ, ეს ფერი ჩემი საკუთარი ელფე-  
რია.

გმირაძე — კარგი, კარგი, ჩემო ეფემიავ, თითქოს მე შენი ელ-  
ფერი არ ვიცოდე.

ეფემია — მითომ რა ელფერი იცი, სრულებითაც არ მისვია ფერ-  
უმარილი.

გმირაძე — (ცალკე) ჰა, დაუკინო, ვაი თუ გაშფოთდეს და ან იტი-  
როს. მერე, ეჭ, რაც უნდა ქნას, ვეტყვი. წასმული გაქვს სწორედ.  
სწორედ.

ეფემია — ჰა, ვთქვათ, რომ წასმული მაქვს, რა არის, რომ ვისომ  
ფერსა და უმარილს, შენ ხომ ცოცხალი მყევხარ, ღმერთმა ნუ  
მომასწროს შენს სიკეთილს, რატომ არ წავისომ.

გმირაძე — არ ვიცი კი ვისთვის, შენ ხანში იქნება გინდა მოეწო-  
ნო ვისმეს?

ეფემია — ვის უნდა მოვეწონო თუ არა შენა, შენ მინდა მოგეწონო,  
შენ გენაცვალე. (ამ დროს ნატია კიდევ გამოიხდავს).

გმირაძე — ჰა, ჰა, კარგი, ეფემიავ, მე უფერუმარილოდაც მომ-  
წონხარ, ჩემო ეფემიავ.

ეფემია — მართლა, შენ გენაცვალე. (მიერა ახლო გმირაძესთან და  
უნდა მოეხეოს).

გმირაძე — კარგი, კარგი, ჩემო ეფემიავ, მომწონხარ, დიდათ მომ-  
წონხარ. წავიდეთ, ჩაი დაგვიგვიანდა.

ეფემია — არა, შენ გენაცვალე, თუ მართლა კიდევ მოგწონეარ,  
უნდა დამიმტკიცო და...

გმირაძე — (შეშინებულის სახით) რა? რა? როგორ უნდა დაგიმტ-  
კიცო?

ე ფ ე მ ი ა — არა, არა, შენ გენაცვალე, ერთიც არის მოგეხვიო და  
შენც მომეხვიო და სხვა რა? ერთობლივ  
ცისლიკონის

გ მ ი რ ა ძ ე — ჰო, მაგაზედ კი თანახმა ვარ, კარგი, მოდი მოგეხვიო.

ე ფ ე მ ი ა — ჰო, შენ გენაცვალოს ჩემი თავი. (ერთმანეთს მოეხვევ-  
ებიან და აკოცებენ).

ნ ა დ ი ა — (ცალკე) შეხედეთ, შეხედეთ ბებრუხანებს, რა რიგათ  
სტლოშნიან ერთმანეთს, მე კი სულ იმას მეუბნებიან, არამც და  
არამც.

გ მ ი რ ა ძ ე — კარგი, კმრა, კმარა, ახლა კი წავიღეთ.

ე ფ ე მ ი ა — დიახ, დიახ. (ეფემია წავა თავის ოთახისაკენ, გმირაძე  
უკან მისდევს, ამ დროს ნადია საჩქაროთ გამოვა).

### გ ა მ ი ს ვ ლ ა — 6

გმირაძე და ნადია

ნ ა დ ი ა — (დაბალის ხმით) ბატონო, ბატონო ნათლიავ!

გ მ ი რ ა ძ ე — (დაღვება) რაო, რაო, რას მეტყვი, თუ არ მაშენიყობას  
რასმეს.

ნ ა დ ი ა — არა, არა, მერწმუნეთ, ბატონო, არა, კარგს რასმეს გურ-  
ულით, სასიამოვნოს.

გ მ ი რ ა ძ ე — კარგს რასმე! როგორლაც არა მფერა, აბა რასა, ჩქარა  
მითხარ.

ნ ა დ ი ა — აი, რასა, მე დიდი იმედი მაქვს, დღესვე ეგ საქმე მოვა-  
ხერხოდე.

გ მ ი რ ა ძ ე — რა საქმე.

ნ ა დ ი ა — როგორ, რა საქმე. წელიან არ მიბრძანებდით, მოახერხე რო-  
გორმე, რომ თქვენმა ქალმა...

გ მ ი რ ა ძ ე — ჰო, გითხარ, მერე?

ნ ა დ ი ა — მე დიდი იმედი მაქვს, რომ მაგ თქვენს ნებაზედ დათან-  
ხმდეს.

გ მ ი რ ა ძ ე — (სიხარულით) როგორ! როგორ! შენ ეგ შეგიძლიან და  
გინდა კიდეც ალასრულო! ნადიავ, ნადიავ, თუ შენ მაგას ალასრუ-  
ლებ, არ ვიცი, რა მაღლობელი ვიქნები.

ნ ა დ ი ა — ალვასრულებ, ალვასრულებ, მაგრამ... (მიულაქუცება და  
მორცხობით) ნათლიავ, შენი ჭირიმე, ნუ გამიწყრებით, ერთის პი-  
რობით.

გ მ ი რ ა ძ ე — აბა, აბა, ჩქარა, თქვი, რა პირობით.

ნ ა დ ი ა — აი, ბატონო ნათლიავ, რა პირობით! ის დაუმტკიცებელი  
პირობის წერილი, ის ბალი, ნაფუძარი, სრულწლოვანი გახლავარ...



გმირაძე — პო, კარგი მეყურება. (ცალკე) აი, ამ ქაშმა როდესაც მომასწრა! რა გაწყობა. (ნაღიას) პო, კარგი. თუ ჩემს ქაღალდებაზედ სახლს, ხმობას დღესვე გამოართმევ, ჩემის ნების აღსრულებაზედ სახლს, ბაღს, ნაფუძარს და იმათთანაც ნანია ნანიეს სულ შენზედ კანონიერათ დავმტკიცებ და ჩემი ქალი ჯვარს რომ დაიწერს, შენც იმავ დღესვე ნანიეგზედ ჯვარს გადაგწერ.

ნადია — (გახარებული) მართლა? მართლა, შენი ჭირიმე, ნათლიავ?

გმირაძე — სწორეთ, მერწენუნეთ, სწორეთ.

ნადია — არა, შენი ჭირიმე, თუ თქვენებურათ პატიოსან სიტყვა არ მომცემთ, არ შეიძლება, უერ აღვასრულება.

გმირაძე — პი, შე ჯოჯოხეთის მუგუზალო! ნახეთ როგორ მომასწრო! რა გაწყობა! პო, პო, გაძლევ... გაძლევ... რა გაწყობა, გაძლევ გმირაძის პატიოსანს სიტყვას. Честное слово Гмирадзе!

გმირაძე — (დიღათ გახარებული) მეყურება, მეყურება; ახლა კი უშებრძანდით თქვენს ოთახში, თორემ იქნება ქალბატონი ისევ დაბრუნდეს და აქ გოსტინაში კიდევ კოცნა დაგიწყოთ.

გმირაძე — პოი, შე საძაგელო, ეგეც დაინახე? (ცალკე) მართალს ამბობს ეს ქაში, რა ხუმრობაა!

### გამოსავალა — 7

ნადია — (სიხარულით ხტომის დაიწყებს) ენაცვალეთ, ეს რა კარგი ფიქრი მომივიდა! დღესვე ამ საქმეს მოვახერხებ და მეც და ჩემი ნანიევიც გაბედნერდებით. Честное слово Гмирадзе! გათავდა, რაფი თქვა Честное слово Гмирадзе, გათავდა. მაგრამ წიგნი ვის დაგიწერინო? ჩემს ხელს იცნობენ, სხვას ვისეუ უნდა დავაწერინო; ვიპოვნი ვისმე.

### გამოსავალა — 8

#### ნატაშა და ნაღია

ნატაშა — დედა ჭერ არ მინახაეს; საღა ბრძანდება დედა?

ნადია — თავის ოთახში. (ნატაშა შეერთ თავის დედის ოთახში)

### გამოსავალა — 9

ნადია — (მარტო) გათავდა, გათავდა! აბა, ასე უნდოდათ! რა გოგრა მაქვს! ამას კინ მოიგონებდა, თუ არა მე? ახლა ვნახოთ, ჩემთ ბარიშნავ, როგორ იტყვით კიდევ უარს. ვიცი, რასაც იტყვი, რასაც

ბრძანებთ, კარგათ ვიცი: ასეო და ასეო, ცრემლებს გადმოჰყრით სრული ფარგლებას, და ბოლოს კი იტყვით: თანახმა ვარ, მამაჩემო, თქვენის ნებშემატებასა, დიახ!

### გ ა მ ო ს 3 ლ ა — 10

ნატაშა და ნაღია

ნ ა ტ ა შ ა — ნადიავ, ჩემი ოთახი წმინდათ დაალაგე, ჩემი ზამთრის შლიაპა და ზამთრის დიდი მანტილეა კარში გაიტანე და კარგათ გა- ანიავე, რომ ჩრჩილმა არ წაასლინოს. დიდი ხანია არ დამიხურამს. (ნადია შევა ნატაშას ოთახში).

ნ ა ტ ა შ ა — (მარტო) თუ კოტაოდენიც ძალა დაეტანებინა მამაჩემს, მგონია, უთუოდ დავვეთანხმებოლი. მიმტიმს საშინლათ იმის ნების წინააღმდეგობა და მასთანაც ალექსანდრე, ვინ იცის, როგორ მი- იღებს ჩემს წასვლას ევროპაში, მამაჩემმაც რომ ნება დამრთოს, იქნება არ მომიცალოს, იქნება ჩემს მოსკოვიამდის სხვა შეირთოს, (დაფიქრდება) არა, შეუძლებელია: ალექსანდრე ცუდათ არ მი- იღებს ჩემს წასვლას, მომიცდის, მანამ დავბრუნდები, სხვას არ შე- ირთამს, შეუძლებელია: არა, უნდა წავიდე, უთუოდ წავიდე, უნდა ვნახო უცხო ქვეყნები; ჩემი გონება სწავლით განვანათლო. ვნახო და ვისწავლო, როგორ სცხოვრობენ ქალნი იმ განათლებულს ქვეყნებ- ში; როგორ თვით მოქმედებენ, რომ მეც საჭიროებაში შემეძლოს თვითმოქმედება და გაზრდა ჩემის.. თუ ერთხელ ღმერთი მაღინ- სებს შეიღებას, ეს საჭიროა, უთუოთ საჭიროა და ამასთანაც ნახვა ბოსტორისა, მშევნიერის რტალისა. (ამ დროს ნინო შემოვა და სიტყვას გააწყვეტინებს).

### გ ა მ ო ს 3 ლ ა — 11

ნატაშა და ნინო (ნინო შემოვა ჩემიათ)

ნ ი ნ ო — ნატაშა, ნატაშა, დრო არის! ცხრა საათი სრულდება. ჩენ- ნი ამხანაგნი ქალები კიდეც წასულნი იქნებიან.

ნ ა ტ ა შ ა — მართლა, მართლა, პორჩდმა არ ვაგვასწროს. (საჩაროდ შლიაპა დაიხურამს და მანტილეას წამოისხამს). წავიდეთ, წავი- დეთ ნინუცი, ფაეტონები აქავ ახლო დგანან ხოლმე. (ორნივ საჩ- ქაროთ გავლენ).

## მოგონებები

კონსტანტინე ნიკოლაძემ, ი. გრიშაშვილის დახმასითოებით „უჩინარმა და გამოწენილმა მოღვაწემ“, დიდი ლენინგრადის ქართულ კულტურულ ეკლესიას. იგი ერთ-ერთი პირველი ქართველთა განითლება მიიღო ეკროპაში, სადაც მისმა ძმამ, ნიკო ნიკოლაძემ წაიყვანა 70-იან წლებში.

90-იან წლებში კონსტანტინე ნიკოლაძე მოღვაწეობდა ქართულ და რუსულ უურნალ-განახუთებში: „ივერია“, „მოამბე“, „ნიშალური“, „საქართველო“, „Закавказье“, „Обзор“, „Новое обозрение“, „Тифлисский листок“ და სხვ. იგი იყო მეტად ფართო დიაკონის პუბლიცისტი. გამოკვლეულ წერილებსა და ლექსებში ეხებოდა საქართველოს ურთისაშორისობრივ საკითხს.

კ. ნიკოლაძე, ამავე დროს, ცნობილი პედაგოგიც იყო. ის ქუთაისის რეალურ სასწავლებელში ასწავლიდა ფრანგულ და გერმანულ ენებს. ერთ-დროულად ეწეოდა მთარგმნელობითს მუშაობასაც. მის კალამს ეკატენის პუშკინის, ნეკრისოვის და სხვა რუსი მწერლების თარგმანები. კონსტ. ნიკოლაძე ინგლისელი კლასიკოსის დიკნისის ერთი პირველი მთარგმნელია (დიკნისის მოთხოვნა „რაშია ბეჭდინერება“ დაიბეჭდა ფრანგულ „მოამბეზი“, 1895 წ.).

სიცოცხლის უკანასკნელ წლებში კონსტანტინე ნიკოლაძემ დაწერა მეტად საყურადღებო მოგონებები, რომელშიც ასახულია მე-19 საუკუნის საქართველოს ინტელიგენციის, ცნობილი ქართველი მწერლების აკადემიურთლის, ნიკო ნიკოლაძის, გორგაგ წერეთლის და სხვათა ცხოვრებისა და მოღვაწეობის სიცოცხლის მომენტები.

მარა ბარაშიძე

## ჩიმი მიმუარები

## 1.

ჩემი დაბადება და ბავშვობა. მშობლები. პატრიკეთი. ივანე ტაიგელის ოქანი, სადაც მე მივიდე პირველი სწავლა. გერმანია გრიგოლის ასულის კენიგი — ჩემი შასწავლებელი ქალი და მისი გავლენა ჩემზე. ხაზღვარგარეთ გამგზავრება.

მე დაიბადე 1860 წელს, პირველ მაისს, ქუთაისში. ჩემი მამა, იაკობ მათეს (მამუკას) ძე ნიკოლაძე, სკანდელი იყო, დედა ელისაბედ, ფირან ლორთქიფანიძის ასული — დიდი ჯიხაიშელი. ჩემი მშობლების

ბავშვობისას, მაშინდელი ჩვეულების მიხედვით, მე გამაძიძევეს სოფ. პატრიკეთში, ქუთაისის ახლოს. ორი წლის ვიყავი, როცა სახლში მომიყვანეს ქუთაისში. ჩვენი სახლი მშვენიერს აღვილშე იდგა: რიონის პირად, ღოშიბიტლის ქუჩაზედ. ორი მხრით ღოშიბიტლის ქუჩა უხვევდა, მესამე მხრით ეკვროდა ნიკოლაძის ქუჩა (რიონის ქუჩა) და მეოთხე მხრით კი რიონი ჩამოუდიოდა. ჩვენი ეზო, ხეებით დაჩრდილული, ყველას იზიდავდა. ეზოში იყო, ბალით და ბოსტნით, სახლი — ღილი და კარვი საცხოვრებელი. აქ გავატარე ჩემი ბავშვობა. ეხლაც თვალწინ მიღვა ჩვენი ოჯახის წევრები, ჩემი დები: ანიშკა<sup>1</sup>, ოლიმპიადა<sup>2</sup>, კატო<sup>3</sup> და ფრისიკო<sup>4</sup> (მეხუთე ჩემი და ნატალია<sup>5</sup> გათხოვილი იყო ლუკა ქორქაშვილზე). და ცხოვრობდა სოფ. ხონში) და ჩემი ძმები ნიკო და ლადიკო<sup>6</sup>. თუმცა ნიკო ამ ხანებში იშვიათად იყო სახლში, საზღვარგარეთ იმყოფებოდა.

ჩემს დაძმებში ყველაზე პატარები ვიყავით მე და ჩემი და ფრთხის უფროსი დები და ძმა ლადიკო, როცა დრო ჰქონდათ, ყოველთვის გვართობდნენ და არ სწყინდებოდათ ჩვენთან თამაში.

მახსოვს აგრეთვე, გაღია, მოხუცებული ქალი, რომელიც ყველას გვავლიდა და მოსამსახურე გოგო მატრონა ჩხიკვაძე. ეს უკანასკნელი ჩვენ გადიასაც. გვირჩევნოდა, რადგან ბევრი ზღლივები იცოდა და ძალიან მხიარული ხასიათის იყო. ჩემი სწავლის დრო რომ მოვიდა, მამამ მიმაბარა ივანე ივანეს ძე ტაიგელის ოჯახში იმ მოსაზრებით, რომ მე, სხვა საგნების სწავლისთან ერთად, შემესწავლა გერმანული და ფრანგული ენები. ივანე ივანეს ძე ტაიგელი იყო მოხუცებული კაცი, უაღრესად წყნარი, დამგდარი ხასიათისა. ის ხელობით იყო მესაათე. მაგრამ უფრო საინტერესო პიროვნებას წარმოადგენდა მისი დისტული გერმინა გრიგოლის ასული კენიგი, რომელსაც ჰქონდა პანსიონი და ასწავლიდა ბავშვებს. ივანე ტაიგელი შეძლებული იყო. ჰქონდა დიდებული მამული უოფილ ბალახენის ქუჩის შესახვევში: პატარა ორსართულიანი ლამაზი სახლი და ღილი ხეხილით, ყვავილებით მორთული ბალი. ამ ტაიგელის ოჯახში ვიზრდებოდი მე და რაც კარგი ჩვეულება შემრჩა, სწორეთ, ამ ოჯახის წყალობით არის.

ჩემს მასწავლებელს, გერმინა კენიგს, ჩვეულება ჰქონდა: სწავლის წინ ბავშვებს აუცილებლად დარჩევებას მოგვცემდა. ის ხშირად გვიმეორებდა, რომ ადამიანმა სამი უმთავრესი რამე უნდა შეითვისოს მტკიცებო: ყოველთვის მართალი თქვას, სისუფთავე და წესრიგი უყვარდეს და თეოთონ უნდა იყოს თავისი ბატონიც და მოსამსახურებო.

ტაიგელის ოჯახს დავშორდი მხოლოდ მაშინ, როცა ჩემმა ძმამ, ნიკომ, გადაწყვეტა ჩემი წაყვანა საზღვარგარეთ.

სახლვარგარეთ წასკლა. მგზავრობა. სტამბოლი (კონსტანტინოპოლი), ნეაპოლი და სხვა ქალაქები, ცირურიხი და უნენევა. — ჩემი სწავლა და ცხოვრება უნენევაში. — ქართველი სტუდენტები რუსთაველს სწავლობდნ. — ჩემი თარგმანი გრიმანული ლექსისა „მამულისთვის სიკვდილი“. ლიტერატორი ბესარიონ ჯაფარიძე. ჩემი დაბრუნება საქართველოში და ამის მიზეზი.

1873 წ. იანვარში ჩემმა ძმამ, ნიკო ნიკოლაძემ, დაპირა სახლვარგარეთ დაბრუნება. მან გადაწყვიტა ევროპაში თან წაეყვანა ჩენი ორი და: ღლიმპიადა (შემდეგში გიორგი წერეთლის ცოლი) და კატო. მაშინ დიდი გატაცება იყო ევროპაში წასკლით. გამოჩენილი ქართველი მოღვაწეები: ნიკო ნიკოლაძე, გიორგი წერეთლი, <sup>7</sup> სერგი მესხი <sup>8</sup> და სხვები აქტებდნენ ახალგაზლობას ევროპაში წასასვლელად, ოცნებად უსახავდნენ ევროპის განათლებას. ეს გატაცება მათ ქალებსაც ჩაუნერგეს. სწორედ 70-იან წლებში წავიდა სახლვარგარეთ განათლებულ ახალგაზრდა ქალთა პირველი გუნდი ევროპაში. მმ დროს დაისვა პირველად ჩენს უურნალ-გაზეთებში ემანსიპაციის საკითხი. ქალი ყურადღების საგნად გახდა.

ერთხელ, როდესაც, ჩეეულებრივ დღესასწაულის წინ ტაიგელის ოჯახიდან მომიყვანეს — სახლში დიდი ფუს-ფუსი და მზადება დამხვდა. ჩემი დები ბარგუ ალაგებდნენ, ემზადებოდნენ ევროპაში წასასვლელად. ეს რომ დავინახე, მაშინვე მივარდი ნიკოსთან და დაუწყე მუდარა, რომ მეც წაეყვანე დებთან ერთად. ნიკომ უარი ვერ მიახრა და დამპირდა წაყვანას. დედაჩემმა, რომელიც მმ დროს ავად იყო, ტირილი დაიწყო, უარი უთხრა ჩემს წაყვანაზე. ჩემს მწუხარებას საზღვარი არ ჰქონდა. უცებ დედას კისერზე მოვეხვივ და იქმდე ვეხვეწე, სანამ ჩემი გავიტანე: დედამ ნება დამრთო. გახარებული იმ დღესვე გავიქეცი ტაიგელთან, ჩავალავე ჩემი ბარგი და შინ დაბრუნდი. მეორე თუ მესამე დღეს ჩვენ: ნიკო, ოლიმპიადა, კატო და მე საზღვარგარეთ გავემგზავრეთ. იმ დროს რიონ-ქუთაისის რეინისგზის შტო არ იყო გაყვანილი და ჩვენ წავედით ეტლებით რიონის საღურუზე. აქ გადავჭრეთ თბილისიდან ფოთში მიმავალ მატარებელში (რომელიც ახალი ხილი იყო მაშინ) და ჩავედით ფოთში. თბილისის მატარებლის გაგონში დაგვხდა ახალგაზრდა ქალიშვილი თლდა ალექსანდრეს ასული გურამიშვილი, ცოცხალი გამომეტყველი სახით და ძალიან ჭვევიანი თვალებით. იგი თავის დედ-მამის ნებადაურთველად ჩვენთან ერთად მოდიოდა საზღვარგარეთ. ჩემი დის, ეფროსინეს (ფროსიქოს) პასპორტით. ფოთიდან ჩვენ გავემგზავრეთ ფრანგული გემით. გავიარეთ ბათუმი, ტრაპეზუნდი და სხვა შავი ზღვის პირას სათაორეში მდებარე ქალაქები და ჩავედით სტამბოლში (კონსტანტინოპოლში). მე პატარა ვი-

ყავი, მაგრამ მაინც შევნიშნე, რომ აქ ვიწრო და უშნო ქუჩები იყო. სამაგიეროთ სახლები მაღალი და მდიდრული მარმარილოს კიბეებით და ჩამოვარით სასტუმროში და აქ ორი დღე დავრჩით. ნიკომ წაგიცვანა ქალაქის დასათვალიერებლად. მახსოვეს დავათვალიერეთ სასწავლებელი, სადაც დავესწარით გაკვეთილს. სწავლა სწარმოებდა ფრანგულ ენაზე და როგორც ნიკომ გვითხრა, მოწაფეებმა ყველამ კარგათ იცოდნენ გაკვეთილი. თვითონ ნიკო კამაფილი დარჩა. არ შემიძლია აქ არ აღვნიშნო ერთი ეპიზოდი, რომელსაც ადგილი ქონდა გვმიოთ ფოთილან სტაბბოლში მგზავრობისას. ჩვენ მარტონი კი არ ვიყავით გეში. ამ გეში, რა თქმა უნდა, იყო პირველი, მეორე და მესამე კლასის ბევრი მგზავრი. ჩვენ ვიმგზავრეთ პირველი კლასით, სადაც მშვენიერი სასტუმრო და გასართობი ოთახი იყო და სადაც მსურველს შეეძლო დრო გაეტარებია, როგორც კი სურდა: წიგნის კითხვით, ბანქოს თამაშით, რიიალზე დაკვრით, ციპვით და სხვა. ჩვენი ძმა და დები, ოლიკო გურამიშვილი და მე, დღის უმცროს ღროს ვატარებდით ოთახში სჭვა მგზავრებთან ერთად.

ერთხელ ერთმა შეზავრმა დაიწყო სტამბოლშე ლაპარაკი და სხვა-  
თა შორის, თქვა, რომ ამ ქალაქში მცხოვრებლები სჭამენ შემწვარ  
ბაყაფებს. ჩემს დაზე, ოლიმპიადაზე, ამან ძალიან ცუდად იმოქმედა  
და სთვა — დაუკერებელია ადამიანი ბაყაფს სჭამდესო. შეიქმნა ამ  
საგანზე დავა: ნიკომ ნიძლავი დასდო ოლიმპიადასთან: სტამბოლში  
უსათუოდ შეგამევ ბაყაფსო. მართლაც სტამბოლის სასტუმროში, სა-  
დილობის დროს, ნიკომ მოიხმო მოსამსახურე და შეუკვეთა სადილა.  
სადილობის დროს ამ მოსამსახურემ შემოიტანა შშვენიერათ შემწვარი  
წიწილები თავისი წევნით. ჩეკნ ყველა სიამოვნებით შევეძეცით ამ  
საჭმელს. ნასალილებს ნიკომ მოითხოვა ოლიმპიადას ნიძლავის გა-  
დახდა. გაოცებულ ოლიმპიადას ნიკომ აუხსნა, რომ ის გემრიელი  
შემწვარი წიწილები, რომელიც ჩეკნ სიამოვნებით შევქამეთ, ბაყაფე-  
ბი იყოვო. ოლიმპიადას შეწუხებას საზღვარი არ ქონდა, თან სანი-  
ლავოც წაგო, ნიკოს წინდაწინ გაეფრთხილებია ოფიციანტი — წიწი-  
ლების მაგიერათ შემწვარი ბაყაფი მოეტანა.

სტამბოლიდან ჩევნ გავემგზავრეთ ამავე გემით ნეაპოლისაკენ. მშენენიერი თვალუწვდენელი ლურჯად მოელვარე წყნარი ზღვა, ლამაზი მთვარიანი ლამეები ხიბლავდა ცველა მგზავრს. ნეაპოლი ზღვიდან შვენიერი სანახავი ქალაქია. აქ ჩევნ ჩამოვხტიოთ და სასტუმროში დაებინავდით ერთი დღით. ნეაპოლში ჩავედით დილით. სასტუმროში ვისადილეთ და მაშინვე წავედით ქალაქის დასათვალიერებლად. უნდა ვთქვა, რომ ამ ქალაქის სიმშენიერებმ ძალიან გამაჟვირება და ოლტაცებაში მომიყვანა. მე შევამჩნიე, რომ ჩემი დებიც და ოლიკო გურა-მიშვილიც ძალიან ნასიამოვნები დარჩნენ. ნიკოს ბევრჯერ უნიხაეს



ეს ქალაქი და საკუთრველი არ არის, რომ ჩვენსავით აღტაცებული მოვიდა. ამ ქალაქის ახლოს იყო ქალაქი პომპეია, ვეზუვიის შთის ძირას. ვეზუვიიდან ამოხეთქილმა ნიაღვარმა დაფარა მთელი პომპეია და რაც ამ ქალაქში იყო დანგრია და გადაწყვა. როდესაც ეს საუბე-დურო ქალაქი გათხარეს, უცნაური სანახაობა აღმოჩნდა. ქუჩებში ნახეს გაქვავებული მცხოვრებლები, პირუტყვები და ფრინველები; დედა ძუძუმწოვარის ბავშვით; შიშით ჩიხუტებული და-ძმა; მოხუცი კაცი დასასენებლათ დაჭვარი და სხვა კიდევ მრავალი გულსაკლავი გაქვავებული სურათები. ადამიანებისა და ცხოველების ეს გაქვავებუ-ლი ფორმები შეკრიბეს და „კატაკომბებში“ მოათავსეს. ეს კატაკომბე-ბი ისრდავენ ჩამოსულ მგზავრებს და ჩვენც, რა თქმა უნდა, ნიკომ პირ-ველად პომპეიში „კატაკომბების“ სანახავად წაგიცვანა. დავათვალი-ერთ ყველაფერი დაწვრილებით, ნიკომ იყიდა სურათების ალბომები და ჩვენ დავძრუნდით ნეაპოლში. კარგი დარი იყო. ქუჩებში პატარა ყმაწვილები ყიდიდენ ყვავილებს და სიმღერით ეგებებოლნენ მყიდ-ველებს. ამ ყმაწვილების მხიარულებამ და სიმღერამ ძალიან გვასიამოვ-ნა ყველა. ჩვენ გახარებული დაგძრუნდით სასტუმროში. ნიკომ ბევრი რამ საინტერესო გვიამბო პომპეის ისტორიიდან და იგინისნა ნეაპოლის მნიშვნელოვანი ადგილები და ძეგლები. ნეაპოლიდან წასვლა აღარ გვინდოდა. ჩემს ნორჩ ფანტაზიისათვის გამართლებული იყო ცნობილი გამოთქმა: „ნახე ნეაპოლი და მერე მოკვდი“.

ქედან ჩვენ გავემგზავრეთ რკინის გზით შეეიცარიისაკენ. გავიარეთ რომი, ვენეცია და სხვა ქალაქები. სიმღლონის უღელტეხილით გადა-ვედით შეეიცარიაში და ჩაედით ციურისში. იქ დაგვხდენ ბოგუმილა (ბოკია) გელიოდორის ასული ზემიანსკაია<sup>10</sup> და ნაცვლიშვილის ოჯახი: დედა თავისი ქალ-ვაჟით. იქ ნიკომ ჩვენ დაგვტოვა დაბინავებული და თვითონ გაემგზავრა პარიზს. ჩვენ ე. ი. ჩემი დები, ოლიკო და ბოკია, დიდხანს ციურისში არ დავრჩენილვართ, მალე გადავედით უენევაში. იმ მიზნით, რომ მე კარგად შემესწავლა ფრანგული ენა, უენევაში მი-მაბარეს საბავშვო ბაღში, სადაც უცხო ბავშვებთან ერთად დაგიწყე ფრანგულ ენაზე სწავლა. ექვსი თვე ვიყავი საბავშვო ბაღში, შემდეგ გადავედი საშვალო სასწავლებელში — collége de généve. სწავლა არ გამიქირდა, რადგან საგნების ცოდნა მქონდა ტაიგელთან და მერე ოლიკოსთან მეცადინობის გამო. იქ მივებარე მეოთხე კლასში, სწავ-ლა ამ სასწავლებელში იწყებოდა მერვე კლასიდან და თავდებოდა პირველი კლასით. როცა გადავედი მეორე კლასში და მალე უნდა გა-მეთავებინა სწავლა, ჩემი ძმა, ნიკო, ჩამოვიდა ჩვენ სანახავად პარი-ზიდან უენევაში. ამ დროს ჩვენთან იყო ჩვენი სიძე, ჩემი დას ოლიმ-პიადას ქმარი, ცნობილი მწერალი და პუბლიცისტი გოორგი წერეთე-



ლი. ერთ დღეს, როცა ოთახში ვიყავით ნიკო, გიორგი და მე, ნიკოსი უარის გითხრია: „კორია, შენ აწი მალე ათავებ სწავლას, რაზედ ფიქრობ, ჰქონდა გამოხვილე?“ მე იმაზე ვუპასუხე ფრანგულ ენაზე (რადგან ქართულად და რუსულად ვერ მოვახერხე): „რასაკვირველია, მე ვფიქრობ ჩემი სამშობლოს თავისუფლებაზე“. ნიკომ მაშინ იგივე კითხვა მომცა რუსულად, მე ხელახლა ვუპასუხე ფრანგულად. ნიკომ დამადგა მხარზე ხელი და მითხრა „tu es soit“ (შენ სულელი ხარ). მე ძალიან გამიტევირდა: არასოდეს ნიკოს ჩემთვის ცული რამ არ ეთქვა. ჩემს გადავიტებაზე ნიკომ ფრანგულად მიპასუხა: „მე მისთვის გითხარი ეგ სიტყვა, რომ თუ შენ გწადია იზრუნო შენი სამშობლოს თავისუფლებაზე, უპირველესად უნდა იცოდე სამშობლო ენა და ივრეთვე რუსული. ამ ენების შესასწავლად უნდა დაბრუნდე სამშობლოში, შეისწავლო შენი დედა-ენა და რუსული ენა, უმაგისოდ არ შეგიძლია რაიმე დახმარება გაუწიო შენ სამშობლოსო“. მერე ნიკო მიუბრუნდა გიორგი წერეთელს, მისცა მას ჩემი სამგზავრო ფული და უთხრა, რომ წავეყვანე საქართველოში და ჩემი დებისთვის ჩაეგებარებიე. გიორგი წერეთელმა ასრულა ნიკოს თხოვნა და წამომიყვანა შენევილან ქუთაისში.

### 8.

ქუთაისში რომ ჩამოვედი უკვე თხუთმეტი წლის ვიყავი, დედა-ჩემმა და ჩემმა დებმა ჩემ მასწავლებლად მოიწინეს ცნობილი პედაგოგი ალექსი ბესარიონის ძე ჭიჭინაძე და დაავალეს მოვემზადებინე თბილისის რეალურ სასწავლებელში მეხუთე კლასში მისაბარებლიდ. მართლაცდა ალექსი ჭიჭინაძემ<sup>11</sup> მომამზადა. მე შევედი თბილისის რეალურ სასწავლებლის მეხუთე კლასში. ვერ ვიტყვი, რომ ძალიან კარგად ვსწავლობდი, მაგრამ, სამაგიეროდ, ბევრს ვკითხულობდი, თან ორ გაზეთს ვსცემდი: ერთს რუსულად: „Юношеские ведомости“ და მეორეს ქართულად — „ერთობა“. ორივე გაზეთი, რასაკვირველია, ხელნაწერი იყო და ნებადაურთველი. რუსულ გაზეთში მონაწილეობას იღებდა, სხვათა შორის, ოსკარ შმერლინგი<sup>12</sup>, რომელიც ათავსებდა ჩვენ გაზეთში თავის კარიკატურებს. ერთი ასეთი კარიკატურა შეიქმნა მიზეზი რუსული გაზეთის დახურვისა. ამ კარიკატურაში ასახული იყო თბილისის რეალური სასწავლებლის შენობა. ჭიშკარში იყო დახატული ამ სასწავლებლის დირექტორი პენჩინსკი, ფეხებგაშხლართული იდგა და ხელში ეკავა ქაღალდი წარწერით: „На все стороны“. ამ სიტყვებით ისტუმრებდა ეს დირექტორი თავის კურსდამთავრებულ მოწაფეებს, რომლებიც გამოდიოდნენ დირექტორის ლაფებ შუა. ეს კარი-



კატერია აღნიშნავდა მოწაფეების უქმაყოფილებას იმით, რომ რეალურობაზე გამოცდები უნდა ჩაეხარებინათ უმაღლეს სასწავლებელში ჟესტის სასვლელად. მე და ზოგიერთი ამხანაგები და აგრეთვე კლასიკური გიმნაზიის მოწაფეები ხშირად დავდიოდით ქართულ თეატრში წარმოდგენაშე. ჩვენი საყვარელი არტისტები იყვნენ: ნატო გაბუნია, მარიამ საფაროვის ქალი, ჩერქეზიშვილის ქალი, ვასო აბაშიძე, კოტე მესხი და კოტე ჭიფიანი<sup>12</sup>, ლადო მესხიშვილი<sup>13</sup>. ქართულ თეატრში სიარულს გვიშლიდნენ, აგრეთვე ძალიან გვიშლიდნენ სკოლაში ქართული წიგნების მოტანას და ქართულად ერთმანეთში ლაპარაკს.

რეალურ სასწავლებელში ყოფნის დროს ჩემი ყველაზე ახლო და გულითადი მხანაგები იყვნენ: ოსქარ შემერლინგი, ივანე ანდრიონიკა-შვილი (შემდეგში აგრონომი და ბათუმის ქალაქის თავი), ვანიჩკა ალიხანოვი, ვასილ სულხანიშვილი და ვალერიან გუნია<sup>14</sup>. ამათთან მე მიყვარდა დროს გატარება, საუბარი, კითხვა. ჩემი სწავლის დროს მე და ზოგიერთი ჩემი მხანაგები შაბათობით დავდიოდით სტუმრათ ლადო მესხიშვილთან და მის ოჯახში ვატარებდით დროს სხვა და სხვა კითხვების გარჩევაში, საუბარში, წიგნებისა და უუჩნალ-გაზეთების კითხვაში. ჩვენი ხელმძღვანელი ყოველთვის იყო თვითონ ლადო.

მასწოვს ერთი ეპიზოდი, რომელიც მოხდა ჩემი მეხუთე კლასიდან მერქებეში გადასვლის დროს, გამოცდების შემდეგ. ვალერიან გუნია (შემდეგში ცნობილი ლიტერატორი და მსახობი), უნდა ვადასულიყო მეოთხე კლასიდან მეხუთე კლასში, მაგრამ სუსტად სწავლის გამო, დარჩა იმისე კლასში. როცა გამოგვიცხადეს ჩვენი ბეჭ-ილბლის საქმე, ჩვენი სასწავლებლის ინსპექტორმა პოლონ ათანასის ძე ივანენკომ გუნიას „ახარა“, რომ ის დარჩა იმავე მეოთხე კლასში და ურჩია: „წალი შენ სოფელში, დაიღვი თავზე თაბაზი და ხილი გაყიდო“. ამ ცინიკურ რჩევაზე ვ. გუნიამ მტკიცედ და საპატიოდ უპასუხა: „მე ავირჩევ ჩემს გზას — ხალხის სამსახურს, უნხოთ, აქაური „ზუბრიაკების“ სახელი დარჩება თუ ჩემით“. როგორც კარგად ვიცით, მან თავისი სიტყვა გამართლა.

სასწავლებელში ყოფნისას მე და ჩემი და ფრონსიკო (შემდეგში ალექსი ბესარიონის ძე ჭიჭინაძის ცოლი), ვიდექით ჩემი ძმის ნიკოლაძის ოჯახში. ნიკოს ამ დრო ყავდა პირველი ცოლი, ბოგუმილა (ბოკია) შემიანსკის ქალი და ორი პატარა ქალიშვილი<sup>15</sup>. ნიკო სცემდა რუსულ გაზეთს „Обзор“-ს<sup>16</sup>, რომელსაც დიდი გავლენა ქონდა საზოგადოებაზე. ამ გაზეთში, სხვათა შორის, იბეჭდებოდა პოეტ სიმბორსკის<sup>17</sup> ლექსები. ეს პოეტი ერთხელ თავის ლექსში შეეხო აქაცი წერეთელს. აკეკიმ თავისებური სარეასტული პასუხი დაუპერედა. ამ პასუხმა გამოიწვია სიმბორსკის ლექსი, რომელშიც სწერდა:

Ошибся я: не в феврале  
Рождён Акакий Церетели,  
Рождён он первого апреля,  
Апреля первого умрёт!



გაზეთის გამოცემა უშინ ძალიან ძნელი იყო. ნიკოს ბრძოლა ქონდა ცენზურასთან. მის გაბედულებაზე ამ მხრით ცველა ლაპარაკობდა. ცენზორს რამდენჯერმე სახლში შეუვარდა და დაემუქრა. 1880 წელს<sup>20</sup> გაიმართა ცნობილი პროცესი ცენზურასა და ნიკოს შორის, ამ პროცესს საზღვარგარეთის გაზეთებიც ეხმაურებოდნენ. გარდა ცენზურის სასტიკი ზომებისა, ბევრჯელ გაზეთის გამომცემელი უფლობის გამოც მძიმე მდგომარეობაში ვარდებოდა. ნიკო ბევრჯერ მინახავს გაჭირვებაში ჩავარდნილი უფლობის გამო, საგაზეთო ქალალის და ტიბოგრაფიის ფული რომ არ ქონია, მაგრამ მას სეთ გასაჭირში შეველოდენ ხან ამხანაგები და ხან მისი მოსამსახურე. ნიკოს მოსამსახურე რაჭველი იყო, სახელად ლავრენტი (გვარი ათარ მახსოვეს). როცა ნიკოს ფული შემოაკლდებოდა, ეს ლავრენტი წავიდოდა, დააგირავებდა თავის ოქრო-ვერცხლის სარტყელს და ნიკოს მოუტანდა ფულს გაზეთის გამოსაცემათ. სამაგიეროთ, ნიკოც დიდ პატივს სცემდა ლავრენტის. როცა ფულს იშოვნიდა, საჩქერებით აავსებდა ხოლმე. ნიკო ძალიან ხელვაშლილი იყო ფულზე.

ნიკოს ძალიან უყვარდა დროს გატარება, მხიარული და მოძრავი კაცი იყო. ნადიმში ძალიან ილხენდა, ღვინოსაც სვამდა, მაგრამ ზომიერად. დამთვრალი ჩემს სიცოცხლეში არ მინახავს. ცხოვრების წესი ევროპული ქონდა. აღრე წვებოდა, აღრე დგებოდა. მთელი დღე წიგნი ეკავა ხელში ან სწერდა. აღფრთვანებული ლაპარაკი იცოდა.

#### 4.

მე 1883 წლის ივნისში დაგასრულე სწავლა რეალურ სასწავლებელში. ოჯახური მდგომარეობის გამო, პეტერბურგში წასვლა სწავლის გასაგრძელებლად შევძლი მხოლოდ 1883 წლის დამლევს. ჩემი და, ფროსიეთ, პეტერბურგში იყო ბესტურევის კურსებზე მათემატიკური ფაკულტეტის სტუდენტად და ბინა ქონდა ჩემ რძალთან, ბოციასთან. მე პეტერბურგის სადგურზე დამხვდენ: ფროსიკო და ბოცია, რომელთაც წავიანთ ბინაზე. ამ ბინაზე დავრჩი მე თრი თვე, მერე ვიქირავე თთახი და დავიწყე დალკე ცხოვრება.

პეტერბურგში ამ დროს ცხოვრობდენ ჩემი დეიდაშვილები — ფეფიკო, ლიზიკო, პლატონი და დათიკო ხელუფლიშვილები. ფეფიკო და ლიზიკო სწავლობდნენ ბესტურევის კურსებზე, პლატონი მათემატიკურ ფაკულტეტზე იყო უნივერსიტეტში და დათიკო იურიდიულ-8. ლიტერატურის მატიანე



ზე. მათი უმცროსი ძმა<sup>21</sup>, რომელიც ამ დროს ქუთაისის გიურეანის მუზეუმის სწავლობდა, უდიდესი ტალანტის აღამიანი იყო. მან სულ ახალგაზრდამ დასწერა საინტერესო წიგნი „საქართველოს შეერთება რუსეთთან“<sup>22</sup>. იგი იყო შეუძრეკელი მებრძოლი თვითმპყრობელობის წინააღმდეგ. ხელთუფლიშვილებთან პეტერბურგში ახლო ურთიერთობა მქონდა. ლიზა ხელთუფლიშვილი დიდი მეგობარი იყო აკაკი წერეთლის. ნიკო ნიკოლაძის „ობზორშიიც“ თანამშრომლობდა ხოლმე.

### 5.

1884 წელს, იელისის დამლევს ჩემთან მოვიდა ხუთი აშხანაგი, ოთხი ვაჟი და ერთი ქალი და მთხოვეს მათთან ერთად წავსულიყავი დროს გასატარებლად პეტერბურგის მახლობლად ზღვის პირად ე. წ. „თავისუფალ კუნძულზე“. ეს სახელი ამ ადგილს შეარქვა პეტერბურგელმა იხალგაზრდობამ, რომელიც თავისუფლებას მოწყურებული თავის კეთილშობილ სურვილებს კუნძულების სახელწოდებაშიაც კი ხატავდა. „თავისუფალ კუნძულზე“ შესანიშნავი დრო გავატარეთ: ვინაზირეთ; ვიკითხეთ ლექსები, ვილაპარაკეთ ხალხის განთავისუფლებაზე და მაშინდელ მღელვარე საკითხებზე. ბოლოს დავბრუნდით პეტერბურგში. ჩვენ აღფრთვივანებული ვიყავით მეგობრული სიყვარულით, პეტერბურგის ბშევნიერი „ოთხრი ღამეებით“. მე ბევრ ძვეყანაში მიცხოვრია, მაგრამ ისეთი კაცის ხასიათზე უძლიერესი გავლენის მქონე ღამეები, როგორიც იცის პეტერბურგში, არ მინახავს. კაცზე რაღაც ზებუნებრივი გავლენა აქვს ამ ღამეებს. მე ამ დროს ლექსებს ვწერდი ქართულად და რუსულად. მეგობრებმა მთხოვეს „თავისუფალ კუნძულზე“ გატარებული ღამის სახსოვრად ღმერქერა რამე. მეც იმ ღამესვე დავწერე შემდეგი ლექსი:

### ВОЛЬНЫЙ ОСТРОВ

Невольный край, где всё напрасно  
Свободы ищут, не найдут,  
Скажи, откуда всеблаженный  
Явился «вольный» остров тут?  
Скажи, зачем тут слово «вольный».  
Среди «невольных» царских слуг,  
Смущает так жестоко — больно  
Свободы друга чуткий слух?  
Я спрашивал и мне ответом  
Холодный ветер с моря бил...  
Раз посетил я этот остров,  
Его, покинув не забыл!  
О! Вольный остров! Обращаюсь  
К тебе с приветом каждый раз,  
Как только снова возвращаюсь,

К тебе я мыслю, вспомню час,  
 Когда свободный, средь свободных,  
 Свободно жизнью ликовал!  
 Себя когда я, сын неволи,  
 Счастливцем мира приживал!  
 Увы! Неично тут ничто:  
 Свободным был я лишь тогда!  
 Невольным был, невольным стал,  
 Невольным буду я всегда!..

ამ ლექსის სევდიანი კილო დღევანდელი ახალგაზრდობისთვის ძნელი გასაგები იქნება. ჩვენ კი, მაშნდელი თაობა, მწუხარების ტყვევიყავით. წამიერ მხიარულებასაც კი მწუხარების ჩრდილი ახლდა. ჩვენ მუდამ სავსე ვიყავით იმის გრძნობით, რომ თვითმმარობელობის მონები ვართ. ქართველი ახალგაზრდობისთვის თავისი ქვეყანა ჰვალა გალიას, იგი აქეთ-იქით აწყდებოდა რეინის კედლებს, მაგრამ გამოსავალი ვერ ენახა. ქართული კენა იდევნებოდა, ქართული კულტურა მეფის კლანებში იყო მომწყვდეული. ქართველი მოღვაწეები უდიდეს დამცირებას ვანიცდიდნენ ყოველ ფეხის ნაბიჯზე. ხალხს მწუხარების ძაბა ეცვა. აი, ამით იყო გამოწყვდეული ჩემი ლექსის სევდიანი კილო. მარტო სახელიც — კი „თავისუფლების კუნძული“ ჩვენში მაშინდელი ახალგაზრდობის ოცნების გაღიზიანებას იწვევდა და ცრემლიან განწყობილებაზე გვაყენებდა.

## 6.

პეტერბურგში მე ჩავედი 1883 წლის ბოლოს და დავიწყე მზადება გზათი ინეინრების ინსტიტუტის მესამე კურსზე შესასვლელად, რაღან პირველი და მეორე კურსი დახურული იყო. მე პეტერბურგში ჩასვლისთანავე მოვეწყვე მაზინგის უმაღლეს კურსებზე. ამ კურსებზე სულ სხვა და სხვა მიმართულების და ხასიათის ახალგაზრდობა სწავლობდა. ეს კურსები მე არ დამიმთავრებია. ამ პერიოდში მე გამიტაცია პოლონეთიდან გადმოსახლებული იან პიტევიჩის ქალიშვილმა ალიოსამ <sup>23</sup>. ეს გატაცება ჩეგნი თვალის შექმნით დამთავრდა. ჩეგნ დავიქირავეთ ბინა პეტერბურგში, პუშკინის ქუჩაზე. მე შევუდექი თვითგანვითარებას და 1886 წელს მაისამდის განუწყვეტლივ ვკითხულობდი პეტერბურგის ბიბლიოთეკაში. მაისში გადმოვედი ქუთაისში საცხოვრებლად.

პირველი სამსახური მიშოვნა ჩემმა ძმამ ნიკომ ბაქოში, როტშილდის ნათის სამრეწველო დაწესებულებაში. მაგრამ ეს იღვილი არ მომეწონა, მაცე დაეტოვე და ჩამოვედი ქუთაისში. აქ დამხვდა ჩემი სიძე გიორგი წერეთელი, ჩემი დის ოლმპიადას მეუღლე. მან მიშოვნა ადგილი ქუთაისში, მიწათმოქმედებისა და სახელმწიფო ქონების სამართველოში, რომლის უფროსი იყო ანდრია სიმონის ძე გამრეკლოვი.



აქ დავრჩი მე 1887 წლის 8 დეკემბრიდან 1910 წლის 15 სექტემბერი დანართობის დროის შემთხვევაში მუშაობიდან ყველაზე ნათლად მახსოვეს 1905 წლის რევოლუციის პერიოდი. 1905 წლის ისე, როგორც ყველგან, ქუთაის-შიაც იმართებოდა დემონსტრაციები და აჯანყებები. ჩვენი დაწესებულების მოსამსახურეებიც ხშირად ვაწყობდით მიტინგებს ე. წ. საღლორისის ტყეში. ჩვენ დაწესებულებაში მეტყველდ მსახურობდა სახელგანთქმული პოეტის ვლადიმერ მაიკოვსკის მამა, რომელსაც აგრეთვე ვლადიმერი ერქვა. ვლადიმერ მაიკოვსკი ძალიან კეთილშობილური ხასიათის კაცი იყო და თავისი ხასიათის გამო ყველას უყვარდა. თავისი საქმე ბალდადის უბანში ძალიან კარგად დააყვენა, გლეხობის სიყვარული დაიმსახურა. მაიკოვსკი მხურევალე მონაწილეობას იღებდა 1905 წლის ჩვენს დემონსტრაციებში. მახსოვეს ორჯერ დაგვესხენ თავზე უადარებები. ერთხელ საღლორის ტყეში და ერთხელ რეალურ სასწავლებლის შენობაში.

სხვათაშორის, მაიკოვსკის მოყვებოდა ხოლმე ჩვენთან თავის ვაჟი — ვალოდია, შემდევში ცნობილი პოეტი. ეს ყმაწვილი დიდი ტანის იყო და გარეგნულად მამას ვაყდა. მან მიიქცია ჩვენი ყურადღება შევენიერი ქართულის საუბარით, მამამისი დამტერეულად ლაპარაკობდა ქართულს. ის გვიამბობდა თუ როგორ გატაცებული იყო მისი ვაჟი, რომელიც ქუთაისის გიმნაზიაში სწავლობდა, რევოლუციების დემონსტრაციებით. მამას ეშინოდა რაიმე ხიფათში არ გამჭულიყო მისი ვაჟი.

1905 წლის რევოლუცია დაამარცხა თვეოთმშერობელობის ბნელმა ძალამ და ხალხი დათრგუნა.

საშინელი რეაქცია გამეფედა. ამ რეაქციამ გამოხატულება პოვა ინტელიგენციის სულიერ განწყობილებაში და მწერლობაშიაც კი. ისეთი რევოლუციური მგლისანიც კი, როგორიც იყო იროდიონ ევდოშეილი, რომლის ლექსებს 1905 წ. პერიოდში მღეროდენ, რეაქციის დამთავრების შემდეგ თითქოს დადუმდაო. მისი ჩანგი აღარ უდერდა ძველებურად, იმედიანად. რეაქცია განსაკუთრებით მძინავარებდა დასავლეთ საქართველოში, სადაც განაწილდა თავისი ყაჩალური რაზმით. გენერალი ალიხანოვი. ეს სისხლისმსმელი გენერალი მთელს სოფლებსა და ქალაქებს წვავდა. დასავლეთ საქართველოს ქალაქები და სოფლები სულ აიკლო. ოღონდ გადარჩა ქალაქი ფოთი ჩემის ძმის ნიკო ნიკოლაძის წყალობით. ნიკო მტკიცედ შეხვდა ალიხანოვს და უთხრა, რომ ქალაქის მთელი ქონება დაგირავებულია საზღვარგარეთ და თუ რაიმე ზიანი მოუვიდა, რუსეთის მთავრობა აგებს პასუხს. ამ ფანდით გადარჩინა ნიკო ნიკოლაძემ ფოთი სისხლისმსმელი ალიხანოვის რაზმისგან განადგურებას.

80—90-იანი წლების ქუთაისი მრავალშერივ საინტერესო ქალაქი იყო. ტფილისის შემდეგ ქუთაისი პირველი ქალაქი იყო, სადაც ქართული კულტურის და საზოგადო ცხოვრება სდულდა. ზოგ შემთხვევაში, ამ მხრით, ის ტფილისაც ეჭიბრებოდა. განსაკუთრებით აღსანიშნავია ქუთაისის ინტელიგენციის სიმრავლე და ყოველ საზოგადო საქმეში მოწინავეობა. თეატრი, მწერლობა, უურნალ-გაზეთობა, ბანკი — აი ქუთაისის ინტელიგენციის სარჩეველი. 90-იანი წლებიდან ამას მოემატა მარქსისტ-რევოლუციონერების მუშაობა.

ქუთაისს კულტურის და მწერლობის ქალაქად ქმნიდა განსაკუთრებით სა მდგრმარეობა, რომ აქედან იყვნენ გამოსულნი და ცალი ფეხი ქუთაისში ედგათ ისეთ გამოჩენილ მოღვაწეებს 60-იანი წლებისას, როგორიც იყვნენ აკაკი წერეთელი, გიორგი წერეთელი, ნიკო ნიკოლაძე, სერგი მესხი, კირილე ლორთქიფანიძე<sup>24</sup> და სხვები. ეს მოღვაწეები ნახევრად ქუთაისში იყვნენ და აცოცხლებდნენ ამ ქალაქის საზოგადო ცხოვრებას, მწერლობას. განსაკუთრებით აკაკი წერეთელი ხშირი სტუმარი იყო ქუთაისის. ვისაც კი აკაკი უნახავს ქუთაისს ლამაზ ქუჩებში — არასოდეს დაავიწყდება. აკაკის გარეგნობა ადამიანის გუნებაზე უდიდეს შთაბეჭდილებას სტოვებდა — ბრე შეხედულების, თეთრი ლამაზი თმებით და გამომეტყველი სახით. მკონი მაგნიტურის ძალით იზიდავდა თავისკენ ყველა გამვლელს და უნებურად მისახდავდა მისკენ. აკაკი ჩვენი ოჯახის უახლოესი ადამიანი იყო. მას ძალიან ხშირად და ხანგრძლივი დროის განმავლობაში ვხვდებოდი.

მეორე მოღვაწე, რომელმაც დიდი კვალი დატოვა ჩემს ცხოვრებაზე — იყო დიდებული ადამიანი ჩემი სიძე გიორგი წერეთელი. ასეთი მომენტი, შრომის მოყვარე და იდეალისათვის თავგამოდებული ადამიანი მე იშვიათად მინახავს. აკაკიზე და გიორგი წერეთელზე მე ცალკე შევჩერდები. ეხლა მინდა დაუბრუნდე შესანიშნავ პიროვნებას, კირილე ლორთქიფანიძეს. კირილე ლორთქიფანიძე დღეს ისე აღარ იჩენიდა მწერლობაში. გასულ საუკუნეში კი მას 60—70-იანი წლების მოღვაწეებში დიდი პატივი ჰქონდა დამსახურებული. მას უდიდესი პატივისცემით ეპყრობოდნენ გამოჩენილი მოღვაწეები: ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ნიკო ნიკოლაძე, გიორგი წერეთელი, სერგი მესხი და სხვები. მასში ყველას იზიდავდა დიდი ზნეობრივი სისპერაკე, მისი გარეგნობაც თითქოს სულიერ შინაარსს შეეფერებოდა. მშვიდი გამომეტყველება, ნელი სიარული, ბოლოს თოვლივით თეთრი თმა და წვერები, რომელსაც ყოველ დღე თბილი წყლით და საპნით იბანდა. მის სისუფთავეზე მრავალი ანეკტოდი, უმთავრესად აკაკიდან

მოღიოდა. აყავი უვრცელებდა ხმას, კითომც კირილე შუალამეზე მირაცხვანული  
ბოდა პირის დასაბანად, რომ დილისთვის გათავება მოესწრო, კითომც  
სამსახურში, საღილათ და ვახშმათ სხვადასხვა შარგალს იცვამდა და  
სხვა. ერთხელ აყავიმ ჩვენთან საღილათ სთქვა, ჩემი პენსიის საქმე  
ის გავიანურდა კირილეს პირის დაბანას ავით, რომ აღბათ არაფერი  
გამოვაო. კირილეც იქ იჯდა და მშვიდად იღიმებოდა. აყავის და კი-  
რილეს მაინც ძალიან უყვარდათ ერთმანეთი. ჩემის ფიქრით, აყავის  
ყველაზე უახლოესი გულწრფელი მეგობრები იყვნენ კაცებიდან —  
კირილე და სერგია ბახტაძე, ქალებიდან კი ჩემი და ანიჩქა ნიკოლაძე  
და ნელი წერეთელი. მათთან გრძნობდა აყავი ყველაზე თავისუფლად  
თავს და სხვებთან — განსაკუთრებით თავადაზნაურობასთან, ის არ  
იშურებდა შხამიან ისრებს, ხშირად აბუჩად ივდებდა და არაგულ-  
წრფელი იყო, სამაგიეროთ თავის გულითად მეგობრებთან აყავი იყო  
ბავშვივით გულწრფელი, მოსიყვარულე და მეტისმეტად ნაზი სულის  
ადამიანი.

ამ ბრწყინვალე ვარსკვლავების გარდა, ქუთაისში იყო მთელი პლე-  
ადა მოღვაწეებისა, მწერლების, მოწინავე ინტელიგენციის. იყო ინტე-  
რესების დიდი შეჯახება და ბრძოლა.

თბილისის „ბანკობიადამ“ თავისი გამოხატულება პოვა ქუთაისში.  
ქუთაისში „ბანკობიადის“ ყველაზე გამამარტებული მოღვაწე იყო კა-  
ლისტრატე ჩიკვაიძე, ნიჭიერი, ენამისვილი, მოხერხებული ვექილი.  
აყავი ძალიან დასცინოდა ხოლმე კალისტრატეს, მაგრამ არც ის რჩე-  
ბოდა უკან, სამაგიერო ვონებამახვილობა იმასაც მზად ჰქონდა. კა-  
ლისტრატე ჩიკვაიძემ რამდენჯერმე ზედინედ გაიმარჯვა საბანკო  
ბრძოლაში. მას მხარს უჭერდნენ ახლად ფეხადგმული ვაჭრები და ქუ-  
თაისელი მდიდარი ებრაელები.

მე საგანს გადაუშვევ და ღლვნიშნავ რომ, ამ ღროს ქუთაისისათვის  
დამახასიათებელი იყო ერთი გარემოებაც: იქ თავმოყრილი იყო უთ-  
ვალავე უქნარა თავადაზნაურობა. ისინი უსაქმოდ მთელი დღეები და-  
სეირნობდნენ ქუთაისის ქუჩებში და განსაკუთრებით უყვარდათ ქუთა-  
ისის შვერნიერ ბაღში განცხრომა. საღამოს იწყებოდა ბანქოს თამაში  
ოჯახებში ო კლუბებში.

ქუთაისი განთქმული იყო არა მარტო ლიტერატურულ-საზოგადო-  
ებრივი ინტერესებით, არამედ თეატრალური ცხოვრებითაც. მე აქ  
დაისახელებ ჩემი დის, კატო ნიკოლაძის მეთაურობით წამოწყებულ  
კულტურულ საქმიანობას. ეს იყო ე. წ. „შაურიანი წარმოლგენები“. ამ წარმოლგენებმა დიდი პოპულიარობა მოიპოვეს. კატო ნიკოლაძის  
მესვეურობით წამოწყებულ თეატრალურ და ლიტერატურულ მუშა-  
ობაში მონაწილეობას იღებდნენ ელენე ყიფიანი — ლორთქიფანიძისა  
(ანტონ ლორთქიფანიძის მეუღლე), ელენე ხელთუფლიშვილი, ანას-

ტასია ნიკოლაძე, მელანია გველესიანი და სხვა. მათი უმეტესობა აგვისტოვებულ და განსაკუთრებით ევროპიული ენებიდან თარგმნის უსაშორმეო დენი მხატვრულ ნაწერებს. მათ გამოსცეს თავიანთი თარგმანები შემდეგში სერიებიდან: „ქართველ ქალთა თარგმანები“<sup>25</sup>. ჩვენი ცნობილი მწერლები აკაკი, გ. წერეთელი, ნიკო ნიკოლაძე, სერგი მესხი მათ თანაგრძნობას უწევლენს. ქალთა ონიშნულ წრეს თავის მხრით გავლენა ჰქონდა ჩვენს მწერლებზე და მათ მოღვაწეობაზე. ეს წრე უმთავრესად ყურადღებას აქცევდა ქალაქის ღარიბ ფენებს, მუშებს, გლეხებს და მათ შაურიან ბილეთებს მათ ხშირად უფასოდაც ურიგებდნენ. გათ მუშაობას. დემოკრატიული ხასიათი ჰქონდა და მიშვნელოვანი კვალიც დატოვა მაშინდელ მშრომელ ახალგაზრდობის გათვითონობიერების საშემწი.

ასეთი იყო ქუთაისის საზოგადოებრივი სახე წარსული საუკუნის დასასრულს.

1. ანასტრაია (ანიქა) ნიკოლაძე (1847—1931), პედაგოგი, მთარგმნელი, თანამშრომლობა უკრნალ „გვერდში“. მისი თარგმანები იძებელებოდა წიგნები: „მოთხრობანი ქართველ ქალებისავან ნათარგმი“.
2. ოლიმპია ნიკოლაძე (1852—1884), გოორგი წერეთლის პირველი ცოლი, საზოგადო მოღვაწე.
3. ეკატერინე (კატო) ნიკოლაძე (1856—1931), პედაგოგი, მთარგმნელი (ანიქას და კატოს ქალთა პანიონის ჰქონდათ ქუთაისში).
4. ეფროსინე (ფროსინე) ნიკოლაძე, საზოგადო მოღვაწე (ცოლად ჰყავდა ცნობილ პედაგოგს ალექსი ჭიჭინიძეს).
5. ნატალია ნიკოლაძე, საზოგადო მოღვაწის ლუქა ქორქაშვილის მეუღლე.
6. ელად მეტრო (ლაფრო) ნიკოლაძე (1849—1872), სრულიად ახალგაზრდა გარდაცვალა ციურისში.
7. გოორგი წერეთელი (1842—1900), პედეტრისტი, კრიტიკი, გაზეთ „დოკობის“ (1866—69), „სასოფლო გაზეთის“ (1868—73 წ.) რედაქტორი.
8. სერგი მესხი (1844—1883), 60—70-იანი წლების ცნობილი პუბლიცისტი და მოღვაწე, „დროობის“ რედაქტორი (1869—83) წლებში.
9. ოლეა გურაშვილი (1855—1940), საზოგადო მოღვაწე, ნიკო ნიკოლაძის მეორე ცოლი.
10. ბოგუმილი (ბოკი) ზემიანსკაია (1854—1931), ნიკო ნიკოლაძის პირველი ცოლი (1875 წ. ჭავარისწერა მოხდა კენაში).
11. ალექსი ჭიჭინაძე (1851—1917), ცნობილი პედაგოგი, შექრალი.
12. ოსკარ შემერლინგი (1863—1938), მხატვარ-კარიკატურისტი, თანამშრომლობდა უკრნალებში „ნაკადული“, „ჩეჭილი“, „ეშმაკის მათრახი“, „ტარტაროზი“, „ნიანგა“.
13. კოტე შემხი (1857—1914), მსახიობი, საზოგადო მოღვაწე.
14. კოტე ყიფანი (1889—1921), გამოჩენილი მსახიობი, ღრამატურგი, საზოგადო მოღვაწე.
15. ლადო მესხიშვილი (1857—1920). ცნობილი მსახიობი, რეჟისორი, საზოგადო მოღვაწე.
16. ვალერიან გუნია (1862—1938), საქართველოს სახალხო არტისტი, საზოგადო მოღვაწე.

17. იულისმება ნიკო ნიკოლაძის ქალიშვილები — ნინო (თალიკო) და ელენე გრიგორიაშვილი (ღოღო) ნიკოლაძები.
  18. „Обзор“ — პროგრესულ-დემოკრატიული მიმართულების ყოველდღიური პოლიტიკურ-ლიტერატურული განერა, რომელიც გამოიინდა თბილისში ნ. ნიკოლაძის რედაქტორობით (1878—1883 წლებში).
  19. ნ. ს ი გ ბ თ რ ს კ ი — 80—70-იანი წლების რუსი პოეტი, პებლიცესტი, მთარგმნელი. ნ. ნიკოლაძის მიწვევით თანამშრომლობდა ვაჲ. „Обзор“-ში. იყო მხატვრული-იურიდიკორისტულ კურნალ „Фаланга“-ს რედაქტორი (ცურნალი გამოიდიოდა თბილისში 1880—1881 წლებში).
  20. აკტორს წელს შეცდომით აქვს მითითებული, იგულისხმება 1878 წ. 4 დეკემბრის პროცესი, რომელმაც გაარჩია „ობზორის“ რედაქტორის ნ. ნიკოლაძის საქმე ცენტრულისაგან აქტალული სტატიისა და ამორებული ადვოკატების თვითხუბრად გაშვების გამო. ნ. ნიკოლაძე ეს პროცესი მოიგო.
  21. იგულისმება მიხეილ ხელოუ ფლოშვილი (1866—1895 წ.), ისტორიკოსი, საზოგადო მოღვაწე.
  22. იგულისმება მიხ. ხელოულიშვილის წიგნი. „Вступление Грузии в Российской империи“ („Вступление Грузии в Российской империи“, 1901 წ.). მი წიგნის ხელაშეწირი ინახება ლიტერატურის მუზეუმში.
  23. ალ თისა პიტერ ვაჩი — პირველი ცოლი კონსტ. ნიკოლაძისა (გარდაიცვალა იხალგაზრდა).
  24. კორილე ლორთქი ფანია (1839—1918), ცნობილი პებლიცესტი, საზოგადო მოღვაწე.
  25. 1872 წ. ქართველმა მოღვაწე ქალებმა ე. მელიქიშვილმა, ელენე ულიკინა, ე. გაბაშვილმა გამოსცეს წიგნი „თარგმანი საამო საკითხავთა თხზულებათა“, ხოლო 1882 წელს გამოიცა წიგნი „მოთხრობანი ქართველ ქალებისაგან ნათარგმნი“.

## მოგონება იოსებ გრიშაზვილზე

ვასილ ვასილის ძე გორგაძე დაიბადა 1895 წელს ზესტაფიონის რაიონის სოფ. ზედა ღლეში (ყოფილი შორაპნის მაზრა), მღვდლის ოჯახში.

1914 წელს ქურნალ „გეგილში“ დაბეჭდილი ლექსით დაწყო ვასილ გორგაძის ლიტერატურული მოღვაწეობის გზა. პირველი ლექსის წიგნი „ჩექეპრესი“ გამოვიდა 1929 წ.

20-იანი წლების ქართულ ლიტერატურულ ცხოვრებაში მნიშვნელოვანი და მრავალმხრივი ძიებებით აღინიშნა. ვ. გორგაძე აქტიური მონაწილე იყო ამ შეტად საინტერესო პროცესისა. იგი თანამშრომლობდა მიხეილ ჯავახიშვილის მიერ 1927 წელს დაარსებულ ალმანაქ „არიტონში“. ამ დროს საქართველოში გამოიდიდა მხატვრული ლიტერატურის ხელთისე თრაგიკო: „მნათობი“, „კავკასიონი“, „ქართული მწერლობა“, „პროლეტარული მწერლობა“ და „დროშა“. ახალმა ცხოვრებამ ახალი ამოცანები დააყენა მწერლობასა და სერთოდ, ლიტერატურის წინაშე... „არიტონი“, ზემოჩამოთვლილ ქურნალებთან ერთად, წარმატებით იძროდა ქართული მწერლობის ახალი აღმაღლობისათვის.

ვასილ გორგაძეს ახლო ურითერთობა ჰქონდა ცონბილ ქართველ პოეტებთან, პროზაიკოსებთან, კრიტიკოსებთან, რაც ნათლად ასახა მის „მოგონებებში“.

ლეილა ქიშოშვილი

ცნობილი კეშმარიტებაა: მწერლის ნაწარმოებს ამოწმებს დრო და ხალხი.

გრიშაშვილი ეკუთვნის პოეტების იმ მცირე რიცხვს, რომელიც დროის გამოცდას ადვილად უძლებს და კვლავაც მომავალი თაობების წინაშე წარსდგება, როგორც ხალხის გულის მესაიდუმლე, მისი სულის ნამდვილი მომღერალი.

მან, ჩვენმა თანამედროვემ, როგორც პოეტმა და მოქალაქემ, დიდი როლი შეასრულა ჩვენს სულიერ აღზრდასა და დავაუკაცებაში.

პეტიონი, როცა იგი გამოვიდა და დამტკიცირდა მწერლობაში, ე. ი. ოქტომბრის რევოლუციის წინა ათეული წელი (1917 წლამდე) — იყო დრო ბნელი ძალების შემოტევისა, — მწერლობისათვის ყველაზე მძიმე და სასტიკი (ასე ახასიათებდა მას საბჭოთა მწერლობის ერთ-ერთი ფუძემდებელი მაქსიმ გორგი).

ამ დროს, უკეთ, ცხრაასიან წლებიდან, ჩემს ქართველ ამხანაგებ-



თან ერთად, ვსწავლობდი თბილისის სასულიერო სემინარიაში განსაკუთრებული სიმეკირით იგრძნობოდა ჩვენი ხალხის ეროვნული და სოციალური ჩავერა.

ვსწავლობდით არამშობლიურ ენაზე. ჩვენი დედა-ენა — ფიგურა-ლურად რომ ვთქვათ — „ლეჩქ-ახდილი“ და შეგინებული იყო. შავ-რაზმელი ბერები მას აბრაძე იგდებდნენ.

განსაკუთრებით მძიმე იყო პანსიონში მყოფი მოწაფეების ხელში. ქალაქის ცენტრიდან სამი-ოთხი კილომეტრით მოშორებულ, გარეუბანში მდებარე შენობის, ოთხკედელშია ჩაეტილი — ვისხედით სიბნელეში მოწყვეტილი ყოველგვარ კულტურულ და აღამიანურ ცხოვრებას.

ამ დროს ჩვენს ერთადერთ იმედის სხივს წარმოადგენდა ქართული პოეზია: შოთა; გურამიშვილი, ბარათაშვილი, ილია, აკაკი, ვაჟა, იროდიონ ევდოშვილი და ბოლოს, — სამწერლო ასპარეზზე ახლად გამოსული ახალგაზრდა პოეტი, — ი. გრიშაშვილი.

ცინცხალი და თავისებური ნიშის მგოსანი, ი. გრიშაშვილი, აფრა-გაშლილი გემივით ლალად შემოცურდა ქართული პოეზიის ზღვაში. მან თავიდანვე მიიძყრო მოწინავე საზოგადოების, კერძოდ, ახალგაზრდობის ყურადღება.

პოეზიის მოყვარული სემინარიის მოწაფეები, მოუთმენლად მოველლოდით გაზეთის „სახალხო საქმის“<sup>1</sup> საეკირაო დამატებას, სადაც სისტემატურად იბეჭდებოდა ახალგაზრდა პოეტის საინტერესო ლექსები.

მათი მოწინავე იდეების მოსახაზავად, საკმარისია დავასახელოთ ლექსების სათაურები: „ბრძოლა“, „ამხანავებს“, „დაპირებებს“, „გარო“, „ვაშა“, ახალ სხივს“, „პაუ, მოგველი“ და სხვა.

მისმა ლექსებმა თავიდანვე მიიქცია პირადად ჩემი დიდი ყურადღება და ბევრი მათგანი დღემდის მახსოვეს ზეპირად.

დაღვრემილა  
ზამთრის დილა —  
თოვლის ფიფქებთ  
შემოსილა,  
მაგრამ ჩემთვის ასე კარგი  
არასოდეს არ ყოფილა!

ამ სტრიქონებს სიამაყით ვიმეორებ დღესაც — ორმოცდაათი წლის შემდეგ. ამტრომ გასაგებია, თუ გრიშაშვილის გაცნობა ერთგვარ ნატურად მქონდა ვადაცელული.

ეს ბეღდნიერი მომენტიც დაღგა. 1912 წლის ზაფხულზე სტუმრად ჩავედი ბორჯომში ბიძახემთან, რომელიც იმ დროს აგარაკზე ისვენებდა. იქ მე რამდენიმე დღე დაკრის.



ამ ხანებში უკვე ათიოდე ლექსი მქონდა დაბეჭდილი ქართულ პრე-უროკოცული საში. გრიშაშვილი კი, როგორც ერთგული მეცნიერების, ფხიშლად აღვიპისა და ნებდა თეალყურს ყოველი ახალი კვირტის გამოჩენის და, რაც შეეძლო, ხელს უწყობდა მის ზრდა-განვითარებას. ამაში მალე დაერწმუნდი, როდესაც პირადად გავეცნი.

ნაშეადლეს, ბორჯომ-ბალში სეირნობის დროს, მას მინერალურ წყაროებთან შეეხვდი. მარტო იდგა, მიცუაბლოვდი. მოქრძალებით გამოვეცნაურე. მან ღიმილით მითხრა: „გიცნობთ, როგორ არ გიცნობთ. თქვენ ლექსებს მე ვკითხულობ. ერთი — „ელეგია“ მე უკვე გაზეთიდან ამოვჭრი და „ჩანგში“ მინდა მოვათავსო“, თან დასტინა: ორი-სამი ღლის შემდეგ, აქ, პარკში, პოეზიის სალამო მინდა გაემართო და თქვენ ლექსი უნდა წაიკითხოთ.

გამაცნო პროგრამაც. პირველი იქნება ლექცია, თემაზე — ვაჟა-ფშაველას პოეზია. ლექციის წაიკითხავს გამოჩენილი ქართველი ლექტორი, წალევრიდან ჩამოვა ალექსანდრე აბაშელი. მსახიობები წარმოადგენენ პატარა პიესას. ასეთი იქნება ჩვენი სალამოს პროგრამა.

გრიშაშვილის წინადადებამ უსაზღვროდ გამახარა. უნდა ვაღიარო: ცნობილ პოეტების გვერდით ესტრადაზე გამოსვლა დიდ პატივად მიმინდა, და, ამას გარდა, ჩემი უმნიშვნელო შრომის თვით ეს ფაქტი ერთგვარ ცნობას წარმოადგენდა. ეს მაფრთოვანებდა და მომავალი შემოქმედებითს სტიმულსაც აღძრავდა ჩემში.

საზაფხულო თეატრი მაშინ ბორჯომ-ბალის შესავალთან, მინერალური წყაროების ახლოს, იმყოფებოდა, გულმა აღარ მომითმინა. საღამოზე ერთი სათათ ადრე მივედი, თეატრის წინ, ცოტა მოშორებით, ბაღის მერხზე ჩამოვჭერი. მაინტერესებდა აგრეთვე აბაშელის ნახვა. მაგრამ, სამწუხაოოდ, როგორც შემდეგ გავავ, იგი ივად გამხდარიყო და სალამოზე ვერ ჩამოვიდა.

რეის ნახვარზე თეატრის მაყურებლებმა უკვე იწყეს შეგროვება. მალე დარბაზი ხალხით აიღსო. მოვიდნენ მონაწილენიც.

ლექცია დამთავრდა. სხვათა შორის, ღლეს, 57 წლის შემდეგ სიამოვნებით უნდა აღნიშნო, რომ ლექციაში გამოთქმული შეხედულება ვაჟას ლექსებსა და პოემებზე (თუ შეიძლება ასე ითქვას) პირველი დვალიფიციური აზრი იყო დიდი პოეტის გენიალურ შემოქმედებაზე.

შემდეგ ეს აზრი, რამდენადაც მახსოვს, სხვების მიერ, უფრო განვითარდა და გაფართოვდა.

ბოლოს, როცა სალამოს ყველა მონაწილემ თქვა თავის სათქმელი — ჯერ პოეტზე მიდგა. ქართველი მეითხველი ბევრჯერ დამტკარა ი. გრიშაშვილის ოსტატური კითხვით. მეც პირადად. მაგრამ — მართალი უნდა ვთქვა: მიჭირს ამ შესანიშნავი კითხვის დეტალების



გადმოცემა. ეს იყო მეტად თავისებური, არტისტული, მხატვრული კითხვა. მას ვერავის შეადარებდი, იმდენად ორიგინალური იყო მისი ხმის ინტონაცია, დიქტია და მიმიკა. როგორც ყოველთვის, ცხადია, იმ საღამოსაც მსმენელები დიდად მოიხიბლნენ გრიშაშვილის კითხვით და რამდენჯერმე გამოიძახეს აზალ და აზალ ლექსების წასაკითხად.

დასასრულ, გრიშაშვილთან ახლოს ყოფნა მომიხდა კიდევ იმავე ბორგოში 1961 წელს. ვცხოვრობდით ერთ სასტუმროში. მასთან იყვნენ პოეტის მეუღლე<sup>2</sup>, განუყრელი დის შვილი ანი<sup>3</sup> და ანის მეუღლე ბ-ნი ციციშვილი<sup>4</sup>.

სამწუხაროდ, პოეტი იმ დროს უკვე დაავადებული იყო მძიმე სენით — ათეროსკლეროზით. ხშირად მივდიოდი მასთან სასაუბროდ, ბალშიაც ვსეირნობდით ხოლმე ერთად.

მისი წინადადებით, ბოლოს გადავიღეთ რამდენიმე ადგილას ფოტოსურათები, რომელთაც დღემდის სათუთად ვინახავ.

მინდა მოგახსენოთ, რომ არიან აღამიანები, რომლებიც თავის არა მარტო შემოქმედებით, არამედ აღამიანობითაც, გვზრდიან, გვამაღლებენ, გვაყვარებენ აღამიანს, ხალხს, ბუნებას, სამშობლოს.

პირადად ჩემთვის ასეთები იყვნენ: ვასილ ბარნოვი, ნიკო ლორთქიფანიძე, ლეო ქიაჩელი, ალექსანდრე (საშა) აბაშელი და ჩვენი მუდამ ძვირფასი და საყვარელი ოსებ გრიშაშვილი!

1. „სახალხო საქმე“ — 1917—1921 წ., ყოველდღიური გაზეთი, თბილისი. რედ. გამოშ. — სამსონ ფირცხალავა, გაბ. „სახალხო ფურცლის“ გაგრძელება.
2. ი. გრიშაშვილის მეუღლე — ცნობილი ქართველი მომლერალი ქეთევან კომისტანტინეს ასული ჭაფარიძე (1900—1968).
3. დიმიშვილი ა ნ ი — ანი კიბრიანის ასული ლაზარიძი-ციციშვილისა (დაბ. 1912 წ.), ექიმი, მეცნიერ პენსიონერი, მისი თაოქანობით ვასხსნა გრიშაშვილის სახლ-მუზეუმი.
4. ნიკოლოზ დავითის ძე ციციშვილი (დაბ. 1906 წ.), ეკონომისტი, მმართველ პენსიონერი.

## ზორილები განო გორდებიანისადმი

ზერო გორდებიანი დაბადა 1894 წლის 13 მარტს, ონის რაიონის ცოკილიში. თბილისის სასულიერო სემინარიის დამთავრების შემდეგ სწავლობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. დამთავრა ლენინგრადის პარტიულ გამომცემლობასთან არსებული წიგნის გაფორმების უძრავლესი კურსები.

ბ. გორდებიანი იყო ხელოვნებათმცოდნე, მხატვარი, ქართველი, მთარგმნელი, ქართული სასტამბო შრიიუტის მეცნიერი.

იგი იყრიც მონოგრაფიების „ნიკო ფაროსმანაშეილი“, „გრიგოლ ტარიშვილი“, „ა. ა. შარლემანი“, „დავით ქუთათელავე“, „მიხაი ზორა“ და სხვა.

უცნდამენტური გამოკვლევა უძლენა ბ. გორდებიანის ქართულ გრაფიას.

იგი იყო პირველი ქართველი ხელოვნებათმცოდნე, ეინც დაინტერესდა ქართული სასტამბო შრიიუტით. ბ. გორდებიანი აუტორია წიგნების: „ქართული სასტამბო შრიიუტები“, „ქართული მხედრული შრიიუტი“, „ქართული სასტამბო შრიიუტების ცნობაზი“. შან პირველმა ქართულ საშრიიტო მეცნიერობაში შეიტანა კურსიების განვიტრი, რომელსაც „გორდებიანის კრისიე“ ეწოდა.

ბ. გორდებიანი თარგმნა გ. გროსის წიგნი „ხელოვნება განსაცდელ-შია“, დ. პოეროვსკის „რატომ არ არის ერთფერი ყველა ნივთი“. ბ. გორდებიანმა შექმნა მრავალი ფერწერული და გრაფიკული ტალი, რომელთა უმრავლესობა, სამწუხაოოდ, დაკარგვულია.

20-იანი წლების დასაწყისში საქართველოში დააჩნდა ფუტურისტული ჯგუფი, რომელშიც გაერთიანებული იყვნენ ახალგაზრდა წერტლები და მხატვები. ამ ჯგუფს ეწოდა „მემარტენეობა“. ბ. გორდებიანი ამ ჯგუფის ერთიური წევრი იყო. საფურალდებოა ბ. გორდებიანის წერტილები „მემარტენეობაში“ ქართულ ხელოვნებაში.

ბ. გორდებიანმა ფუტურისტულ კურნალში  $H_2SO_4$ , რომლის მხოლოდ ერთი ნომერი გამოვიდა 1924 წელს (ილუსტრირებული დამტებით), გამოქვეყნა ფუტურისტული ნამუშევრები. მათ შორის „ცოლიანი პოეტი“, „ქალების სიძმეები“ და „არშიყობა საქართველოში“. შევმოთ გავეცნებთ ნ. ჩახავას, შ. დაღიანის და ს. ჩიქოვანის წერილებს ბეჭო გორდებიანისაღმი.

ლია ხატისკაცი

### ბ ე ნ ი

გ ა ფ რ თ ხ ი ლ ე ბ ა. წერილი, რომელსაც მიიღებ, დაწერილია სტამბის შთაბეჭდილების შემდეგ.

უცნდალი იწყობა. ოც დეკემბრისათვის არიან შეპირებული.



საჭიროა შენი მასალები, რომელსაც გადმოგზავნი იმურანი უნდა იქმნოს.

სამართით (შრომის კომისარიატზე). ნუ დაავვითხებ.

ჯგუფის გარშემო უნდა ითქვას, ჯგუფის წევრები საქმეს ძალიან აღმაცერად უყურებენ. თითქოს საქმარისია სახელის მოხვეჭა, ანუ კმაროდეს  $H_2SO_4$  ტიტლის ტარება.

ქართველური სიზარმაცის და საქმიანობისა მე მაკორვებს, რატომ არ უნდა ვიცოდეთ ჩენი ენერგიის გამოყენება.

ყოველშემთხვევაში სიმონი<sup>1</sup> ყველაზე უფრო ენერგიული არის. თუმცა სენის ბაცილები მასაც არ შორდება.

შენი დამოკიდებულება ჯგუფთან. მე არ მეგონა, თუ შენ ინტიმურ ხაზს ატარებდი ჯგუფში.

დღეს შენი როლი ჩემთვის აშეარა არის. პალიკომ თქვა ერთხელ: „ბენო, თუ შეიძლება უბრალოდ ითქვას, ჯგუფის სინდისი იყო“—ო.

შენიშვნა: შალვას<sup>2</sup> და ირაკლის<sup>3</sup> ხაზი მე არ მომწონს; ეს რაღაც თავდაჭერის პოლიტიკა პარტიებისა და საზოგადო მოღვაწეების საქმეა. მე ყოველთვის უკიდურესობამდე მიყვარდა სცლა. ჯგუფისათვის ყველაფერი მისაღებია — განსაკუთრებით მოწინააღმდეგეთა ლიტერატურის კალიციის გადასაგვარებლად.

სხვა რამ, „ожидание опасностей“, „risk“ — ეს არ არის მარტო თეორეტიული მანძილი. ყველგან გადაჭრილი მიღვომაა საჭირო.

მე პირადათ არავის ანგარიშს არ ეუწევ ბრძოლის დროს. ლიტერატურული კალიმახიში მხედველობაში არ არის მისაღებად.

შეიძლება ამით „სახელის მოხვეჭის“ თვალისზრისით ბევრს ვაგებდე, მაგრამ ჩემთვის ამას წონადი მნიშვნელობა არა აქვს. ტფილისი. ყოველ შემთხვევაში ტფილისი ჩენი აუდიტორია.

შენიშვნა:  $H_2SO_4$  ყველაზე უფრო ანგარიშს გასაშევა ირგანიზაციად ითვლება. ანგარიშის გაწევა, საზოგადოებრივი გემოვნების ბუჰალტერია, ჩენც გვაძლევს ცოტადენ პროცენტებს.

გეგმა. საჭიროა მეტი მუშაობა, რომ ჩენი ორგანიზაცია უფრო გამკვრივდეს. მართლაც, სამი წლის განმავლობაში ერთი უურნალის მეტი ვერ გამოვეცით. საუკეთესო დრო ვერ მოვიხმარეთ.

მატერიალური ამბები დანაკლისს არ ამართლებს.

საჭიროა აწინდელი მუშაობა. მე გამოვცემ უურნალ „ლიტერატურა და სხვა“-ს<sup>4</sup> ორ თვეში ერთხელ იმ შემთხვევაში, თუ



ამხანაგები დამეხმარებიან მასალებით. შეუდექი საერთო გა-  
მომცემლობის წარმოებას. ძალიან სერიოზულად ვეკიდები საქ-  
შიგლისართულის მეს.

გაზიეთი გამოვა ორ კვირაში ერთხელ 5.

უფრო საჭირო. მე მინდოდა ამხანაგების მატერიალური უზრუნ-  
ველყოფა, რისთვისაც განვიზრახე წიგნის მაღაზიის გახსნა. აღ-  
გილი ავირჩიო. სათანადო მოლაპარაკება ჟავე მქონდა.

საქმე ასე უნდა მოეწყოს. საზღვარგარეთული და რუსული  
მემარცხენე ლიტერატურა ჩემთან უნდა იყრიდეს თავს.

ვფიქრობ, რომ მაღაზია იყოს მატრო მემარცხენე ფრონტი.  
შენი მოვალეობა. შენ უნდა დამეხმარო ამ საქმეში. მანდაურ  
გამომცემლობებთან უნდა დამაკავშირო. მაირკოვსკის მოელაპა-  
რაკე, რომელიც დამარებას ამ საქმეში უთუოდ გაგიშვევს.

საქმე კრედიტის გახსნაა. ერთი თვის შემდეგ ნელნელა გად-  
მოვაგზავნი დავალიანებას.

ეს მოსახერხებელი საქმეა. მით უმეტესს ჯგუფისათვეს  
მოსაგები საქმეა.

შეორეც, ჩვენი ჯგუფის ხალხმა ამ საქმის არაფერი იცა,  
რადგან საქითხის განმიანება მიზანს ვეროდეს ვერ მიგაბშევი-  
ნებს.

მე მგონი ამ საქმეს შენ უთუოდ ასრულებ, რადგან ჯგუფის  
გამკერივებაზე ყველაზე უფრო დაინტერესებული შენა ხარ.  
კიდევ 1. გამოგიგზავნი ჩვენ ლიტერატურასაც, რომელიც მანდაურ  
ქართველებში უნდა გაავრცელებოთ.

საჭირო იქნება მოსკოვშიაც გამოვცეთ რამე, რომელზედაც  
ხელს შევგიშვინდს ზემო ნათქვამი.

სხვათაშორის. ამ ნომერში შემოვეტოთდა ბესარიონ ულუატი<sup>6</sup>,  
დემინა შენგელაია<sup>7</sup> და ლეო ესაკია<sup>8</sup>.

დასკვნა. ერთი მასალებს, წერილს, რომელშიაც საქმის ვითარე-  
ბას მაცნობებს.

შენი შვნა: უთუოდ ჩვენდა სასარგებლოდ მოაწყობ საქ-  
მეს.

6. ჩაჩავა<sup>9</sup>

1. სიმონ ივანეს ძე ჩიქოვანი (1903—1966), ქართველი პოეტი, ქარ-  
თული ფუტურიზმის ერთ-ერთი მოთავე.
2. შალვა ილიას ძე ალხაზიშვილი (1899—1980 წ.), ქართველი კრი-

ტიკოსი, ხელოვნებათმცოდნე. „ფრანგულისტ-ლეფელების“ ჯგუფის წევრი 20-იან  
წლებში.

3. ორაცელი ილიას ძე გამრეკვლი (1894—1943), ქართველი მაცხოვი,  
ქართული სათეატრო მხატვრობის ერთ-ერთი ფუძემდებელი.
4. „ლიტერატურა და სხვა“ — ქართულ ლიტერატურულთა ერრნალი, გამოდი-  
ოდა 1924—25 წ.
5. „დროული“, ქართული ორკვირეული ლიტერატურული გაზეთი. გმოდიოდა თბი-  
ლისში 1925—26 წლებში. გამოვდა 3 ნომერი. შეორე ნომრიდან „მემარცხე-  
ნე ჭრონტის“ ყოველყორეული ლიტერატურული ორგანო.
6. ბერარიონ დავითის ძე ელენტი, ქართველი მწერალი (1903—  
1976), ყოველურისტ-ლეფელი ჯგუფის აქტივისტი წევრი.
7. დემია კონსტანტინეს ძე შენგელია (1896—1980), ქართველი  
მწერალი, 20-იან წლებში ქართველ ლიტერატურისტთა გერთიანების აქტივისტი წევრი.
8. ლეო (ლეონარდ) დიმიტრის ძე ესაკია (1899—1969), ქართველი  
რევისორი. 20-იან წლებში „ფუტურისტთა“ ჯგუფის აქტივისტი წევრი.
9. ნიკოლოზ (ნიკოლ) ვლადიმერის ძე ჩაჩიავა (1901—1974), ქარ-  
თველი პოეტი, 1922 წელს თბილიში დაარსებულ ფუტურისტთა ლიტერატუ-  
რული გაერთიანების ერთ-ერთი მეცნიერებადანი, ერრნალ „ლიტერატურა და  
სხვას“ და დაწერ „დროების“ თანარედაქტორი.

### ძმაო ბენო!

სწორედ დღეს მიეიღეთ თქვენი „დროული“-ს №№-ბი და ჯერ ვერ  
მომისწვრია გაეცნობოდი.

გილოცავთ, რომ უკვე მძლავრ შემოქმედების ფაზაში გადახვედით.  
ჩვენი ამბები შენს შემდეგ მეტად გართულდა და დაიხლართა:  
კულტ-სახლს ცალკე ჰაცი დაუნიშნეს, როგორც გწერდი, მაგრამ ამი-  
თი გაკეთების მაგივრად საქმე სულ შეჩერდა — სახლი ჯერაც გაღმო-  
უცემელია და ის დაწყებულებანი, რომელიც ჩვენა გვქონდა განზრა-  
ხული, სრულიად ხელ-უხლებელია. სტუდიაში დიდი აურზაური გა-  
მოიწვია ამავე კულტ-სახლის გამგემ, რადგანაც არ ვიცი რა მოსახრე-  
ბის გამო, გამორიცხულების მხარე დაიჭირა და შეიქნა გაუთავებელი  
სხდომა სხეადასხვა კომისიების. ისე, რომ თავი მეტად მომაბეზრეს,  
მაგრამ სანუგეშო ის იყო, რომ გაეცნობოდნენ თუ არა საქმეს, ყველა  
გრძნობდა და რწმუნდებოდა ჩემი ხაზის უტყუარობაში და ვერაფერი  
ვერ გამოუვიდათ. ო, ბენო, რა ჭუპყი და ცილისწამება არ იყადრეს —  
მართალი გითხრა, გაეოცდი — ე გრამ, თამამად ვამბობ, ამ საქმეს და  
ამ შემთხვევაში მე უფრო ძლიერი და გაძედული უფროსი მყოლო-  
და, ამდენ შეწუხებას არ მაგრძნობინებდნენ.

— მაინც და მაინც, თანახმად ჩემი განზრახვისა, დათხოვნის ქაღალდი  
შევიტანე, მხოლოდ ნებას არ მაძლევენ დღეს აქამომდე და დღესსვა-  
ლიობით მატყუებენ. ერთ ნუგეშათ კი ის დამრჩენია, რომ თვით სტუ-



დია ეხლა მართლა წარმოადგენს ბევრათ უკეთესს კრებულს, ვიდრე უსამართებელი აქტების მიშვებულია და ინტენსიური. შევი თავს იჩინეს ზოგიერთებმა საიმედო, ჩემი თვალით ვხედავ, როგორ თანდათან იზრდებიან და მაგრდებიან.

ეხლა უფრო მომეცა ამათი იმდი. აღარც ესენი მიშვებენ ეხლა და თუ მართლა ხელი შეუწყვეს, უსათუოდ სერიოზული საქმე გამოვა.

სხვა? შენ მეტად ძუნწი ყოფილხარ წერილში. მაინც გამომეხმარე ჩამოსახლამდის.

თუმცა, არ ვიცი როდის ჩამოვალ და ჩამოვალ კი ამ წელს საქართველოში. თუმცა, თუნდა ამ სამსახურიდან გავიდე, კიდეც მაინც არ ვეპირები მანდეთ ასე მალე დაბრუნებას, თუმცა ვნახოთ. უბედურებაა, როდესაც შენი თავით არ განაგებ შენს ბედს.

მართლა, ელო გაიწვიეს პარიზში და საერთოდ ევროპის დიდ ქალაქებში, ეთნოგრაფიულ კონფერენციებში მონაწილეობისათვის. მეც მეზიდება და ესეც არ ვიცი, შევუსრულებ თუ არა თხოვნას.

საერთოდ, შეატყობ წერილს, რომ მაინც მაინც კარგ გუნებაზე არა ვარ, თუმცა, ისე სხეულით და საერთოდ ფიზიკურად, ჭერ კიდევ ვყოჩალობ.

საშა ჯაფარიძე, რომელიც ამ ბარათს გადმოგცემს, გეტიჟის უფრო დაწვრილებით ყოველივე აქაურს.

იყავ კარგით.

მართლა! შენი „ვაჟა“ და მეორე სურათი დიდი ხანია გამოსაგზავნათ შექრული და დამზადებული აქვს კოლა კომიტეტის და თუ აქამდე არ გამოგიგზავნა, იმისთვის, რომ ფერაძის<sup>1</sup> მეუღლეს, მეორეთ რომ ჩამოვიდა, უთქვაშს, ბენომ თქვა, სურათებს ჭერ ნუ გამომიგზავნიანო.

ეხლა, როგორ გნებავს? გვაცნობე და ისე შესრულება ყოველივე.  
16/II შენი შალვა დადიანი

1. ილია ივანეს ძე ფერაძე (1866—1928), პოეტი, პროზაიკოსი, საზოგადო მოღვაწე, პედაგოგი. ივტორია წიგნების: „საქართველოს მოქადაგისათვის“, „გორგი ერისთავი და ქართული თეატრი“, „სამაგალითო ექიმი“, „პატარა ამბავი“.

### საყვარელო შენო!

დიდი მადლობა და თან დიდი ბოდიში იმ უნებლიერ შეწუხებისათვის, რაც თურმე მე შეგახვედრე თბილისში.

წარმოდგენილი მაქეს, როგორი შეწუხებული იქნებოდი, მაგრამ მადლობას, სრულიად გულწრფელს, იმიტომ გიძლენი, რომ სწორედ



ისე მოიქეცი, როგორც იმედი მქონდა და როგორსაც ჩემი მჰამათა მუსახლესად ამა და უმთავრესად საქმის, მოითხოვდა.

მე დიდი ხანია, წახელით თუ არა, უკვე გავიგე ჭველაფერი და განსაკუთრებით ის, რომ ჩვენი სახელის საქმე კარდინალურად და რადიკალურათ აქ, მოსკოვში უნდა გადაჭრილიყო, რადგან აქ უნდა ჩამოსულიყვნენ უმთავრესი ჩვენები — ორჯონიშვილე, ელიაზ, ორახელაშვილი და თელო ლლონტი<sup>1</sup>, რომლის ხელშიც არის მთელი საბიუჭეტო საყითხი საქართველოსი. ასე, რომ განსახეობი მანდ რამდენიც არ უნდა ედავიდარაბნა, უმოსკოვოთ ისე ვერას გადაწყვეტდა.

სწორედ ეგრეც მოხტა. მე მაშინვე კავშირი დავიჭირე ღლონტთან და ელიავასთან<sup>2</sup>. ვესაუბრე სხვებსაც და ბოლოს საქმე ესე გადაწყდა: შენახულ იქნეს კულტ-სახლი და მისი საქმიანობა, მასთან ერთად სტუდიაც, რასაკვირველია, ამისათვის ამ წელიწადს მიეცეს კულტ-სახლს სახკომშაბჭოს სათადარიგო თანხიდან 25 000 მანეთი. ე. ი. ის, რასაც მე ვთხოულობდი, ჩემს წარდგენილ „სმეტის“ თანახმად. „სმეტია“ უკვე ელიავას მიერ ხელმოწერილია და ლლონტს აქვს მინდობილი ამ ფულის გადმოცემა. ორი ათასი უკვე მომცა კიდეც ამ დღეებში, ხუთშაბათომდე მომცემს 7-ს და ასე ამ გვარით შეიძლება საქმე უფრო მარჯვეთ წარიდეს. ერთის სიტყვით, უკვე დასაბუთებულად არის ეს მხარე საქმისა მოგვარებული და არ არის მარტო განსახეობის ზეპირ სიტყვაზე დამყარებული: კაჭარავამ აქ 5 ათასი ჩამოიტანა, ისიც მარტო სტუდიისათვის და დანარჩენზე განაცხადა, რომ განსახეობი დავგაირდაო... განა, შეიძლება ესე!.. ისიც ნარკომის ფული ერთ იყო თურმე, არამედ სახკომშაბჭოს მიერ გადაცემული. პო, ამ ფულზე დავითს კაჭარავასათვის მიუცია ქაღალდი, რომ ფული მხოლოდ მისი განკარგულებით უნდა დაიხარჯოს... მესმის, მესმის... მაგრამ, რასაკვირველია, ამას მე თავი დაუარე. როდესაც კაჭარავამ დაინახა, რომ აქ ელიავა, ორჯონიშვილე, ლლონტი და სხვები მხოლოდ ჩემთან საუბრობდნენ და პერნიათ კავშირი, ცოტა მოლბა.

მე მაინც ჩემი გადაწყვეტილება არ შემიცვლია, თუმცა ჭერჯერობით ვუცდი იაკობაშვილის ჩამოსვლას, რომელიც დღეს უნდა ჩამოვიდეს, თუმცა ეგრძნობ, რომ ეს ჩემს გამოცვლის არ უდრის, რადგან ამ გვარი გამგე შარშანაც იყო დანიშნული, ეინმე დარახველიძე. პირდაპირ გამგეთ იყო დანიშნული, მხოლოდ ეს დანიშნენა საქმეში არავის უგრძენია და, როგორც ჩვენი მეგობრები მარწმუნებენ, იაკობაშვილი სწორედ იმიტომ წამოვიდა თბილისში, რომ პრაქტიკულად დაგვხმარებოდა ჩვენი გეგმების განხორციელებაში. არ ვიცი ეს რამდენით მართალი აღმოჩნდება, თუმცა პირადათ მას აქებენ, კარგი ყმაწვილია და ჩემი მუშაობაც სწამს თურმე. მაინც და მაინც დავუცდი და ისე მოვიქცევი როგორც აჯობებს.



სტუდიაში უკვე მივალაგე „недоразумение“-ბი. მეცადინეობა უკვე დაიწყო და თუ დავრჩი, მაქვს იმდი, ამ ზაფხულს ურცხვენელ სახეს გამოიჩინა ეს ორგანიზმი. ჯერჯერობით, ყველაფერში მომდევენ. სულ გაიფანტა ის, რაც თბილისში მოფიქრებული ჰქონდათ.

სახლის გადმოცემა ელიავამ უკვე მიანდო კომისიას, რომელშიაც მეც შევდივარ და იქითა კვირაში საბოლოოთ გადაწყდება.

თუ დავრჩი და სახლიც გადმოვვეცა, მაშინ დარწმუნებული ვარ პირობას არ დაივიწყებ და როგორც კი გაცნობებ და ფულს გადმოგიგზავნი, წამოხვალ განზრახულ გეგმათა განსახორციელებლად.

დიდი სალამი მეგობრებს. რასა იქმს ლიტერატურა? მომწერე კი-დევ წერილი მანდაურობისა. კურდლელაშევილი ნახე და აუხსენი, რათ იყო აქმდე ჩემგან უპასუხოთ. კარგი იქნებოდა, კანდელაკთან ვინმე ავტორიტეტული მოელაპარაკებოდეს ჩემს შესახებ. გაახსენოს ვინც ვარ და რაცა ვარ, რაკი ეს დავიწყებია. სულ ერთია, მე დავრჩები თუ არა, რომ ჭორების აყოლა არ შეფერის.

P. S. ეს წერილი არ მქონდა გამოგზავნილი, რომ იაკობაშვილი ჩამოვიდა.

კარგი ყმაშვილი ყოფილა და მგონი, რომ შევეწყობით.

ასე, რომ განზრახულ გეგმათა განხორციელებას მგონი ეხლა უფრო დაცუახლოვდი და თუ ესე იქნება, მაშინ აზრი ეკარგება ჩემს აქედან წასელას, თუმცა, ჯერ რასაკეირველია, ფონი გასავალს არის და მიხერადია, რომ უარის უფლება ისევ ჩემს ხელთ არის.

დავითზე გწერ ცოტა უხერხულ რასმე: ვინმე მოელაპარაკოს ჩემ-ზე-მეტე. რასაკვირველია, ეს სავალდებულო არ არის და მე მინდა კარგათ გაეცემული იყო: შესახვეწრიათ და საველრებლათ კი არა, არა-მედ ყალბ ინფორმაციათ გისაფარტად მინდოდა ასეთი რამ მომხდარი-ყო ისე, საღმე, უბრილო საუბარში. თუმცა, როგორც ელიავეს შეხ-ელრიდან შთაბეჭდილება გამოიტანე და აგრეთვე იაკობაშვილიც მიამბობს, არავითარი ჩემი სახელის ჩირქის მომცები ჭორი არ არსებობს. ისე, უფრო საყველაშურო თითქო. მის ავტორებს შეიძლება უფრო დიდი რამ უნდოდათ აქედგან გამოსულიყო, მაგრამ ამხანა-გებში ეს ქარწყლდებათ.

ერთის სიტყვით, ამას იმდენი ყურადღების მიქცევა თურმე არ ესაჭიროება.

მომიტევე, რომ ამდენს გაწუხებ ჩემის პიროვნებით. ეს მე სულაც არა მგავს, მაგრამ იყო წუთი, როდესაც ვიგრძენ ერთგვარი უმაღუ-რობა. ამას ვერ დავმალავ და იმიტომ მის გამოსარკვევათ მიემართე შენს მეგობრობას.

მაშ ასე!

იყავ შენებურად მხნე და წინ შეტევით მრბოლი. განსაღი და ბედ-

ნიერი. პო, თუნდა ქალებშიაც, თუ საერთოდ ქალებთან შეუძლებელი  
მეღნიერი იყოს კაცი.

ველი შენი წერილს.

ელოდე ჩემს ცნობას შენი მოწვევისას, თუ ასე წავიდა საჭმე, რო-  
გორც გვინდოდა.

შენი შალვა დადიანი

1. თევდორე (თელო) ზურაბის ძე ლლონტი (1883—1937), ქართველი პოლიტიკური მოღვაწე, 1912—1923 წლებში სოციალ-ფედერალისტთა, ხოლო 1924 წლიდან სკუპ წევრი. ავტორი ნაშრომებისა „მენშევიკური“ და საბჭოთა საქართველო“ (1923 წ.), „ეროვნული საკონტა და საქართველოს ფინანსები“ (1926 წ.), „ავტონომია და ფედერაცია“ (1917 წ.).
2. შალვა ზურაბის ძე ელიავა (1883—1937), სახელმწიფო და პარ-  
ტიული მოღვაწე.

### სალაში მეგობარო ბენო!

შენი წერილი ჩამომიტანა მედებ და დამპირდა, კიდევ მოგიყვები მოსკოვის ამბებსო, მაგრამ არ ვნახულობ შემდეგ. მდგომარეობა ეხლა შემდეგ ნაირად არის. შენ უბრალოთ ფიქრობ, თითქოს ჩვენი ფრონტი მოკვდა. ეხლა მხოლოდ ჩვენს ფრონტზე არის თბილისში ლაბარაკი. გაიგებდი საქართველოში გაჩნდა „პროლემაფი“<sup>1</sup>, ახალ პროლეტა-რულ მწერალთა კავშირი. გამოსცეს გაზეთი, ერთი სქელტანიანი კრე-ბული. ჩვენს შესახებ პირდაპირ ქეიფია შიგნით. ერთ ფორმა ნახევა-რი წერილია დაბეჭდილი. შემდეგ ყველა ჩვენი გაელენით სწერს და ყველა წერილებში ჩვენ გვიტევენ. მათ მეთაურობს ამ ბოლოს ვარ-დინ-მგელაძე.

მან გამართა თბილისში უკანასკნელ დროს რამდენიმე დისპუტი. პირველი დისპუტის მთლიანი ონგარიში იყო „Заря Востока“-ში. იქ გამოვიდა ჩეენგან კოლია შენგელაია<sup>2</sup>... მეორე დისპუტზე მე და ბესარიონ ქლენტი ვიყავით ოფიციალური ოპონენტები. პირველად ილაპარაკა კ. გამსახურდიამ, მეორე სიტყვა მომცეს მე. შეუცილებელი სასტუკათ. მოხდა ერთი სკანდალი... შემდეგ მთელი დისპუტი ჩვენზე გადმოეცილა... „ყანწები“<sup>3</sup>. ამის გამო გაბოროტებული წავიდნენ. კამათ-ში მონაწილეობა არ მიიღეს. მესამე დისპუტი მოაწყო სეით დვედა-რანშა<sup>4</sup>. მომხსენებლები იყვნენ ვარდინი და სეითი. სეითმა შემოგვი-ტია ჩვენ. შემოგვიტია ნახევრად. მომხსენებლებმა სიტყვები გაათვეს გვიან და ამის გამო იმ სალაში დისპუტი გადაიდო მესამე დღისათვეს. მესამე დღეს შეიქმნა კამათი კიდევ ჩვენზე. გედევანიშვილმა<sup>5</sup> (გლავ-ხულკომის თავმჯდომარე) ნაწილობრივ დაგვიცვა. შურა დუდუჩავაძე<sup>6</sup>



სრულებით და მის შემდეგ ილაპარაკა ბესომ — შემდეგ ყველა ოპტიკური მეცნიერების ჩვენზე კამათობდნენ, რუსებიც და ქართველებიც. უკანასკნელ სეითი ცოტა მოლბა, მაგრამ მაინც ბევრი გვაგინა. ვარდინ-მგელაძემ კიდევ რევერანსები გაგვიკეთა.

ორშაბათს ექვს ივლისს ჩვენ მოვაწყვეთ დისპუტი პროფესიონალურ კავშირებში. შესავალი სიტყვა—მე... მომხსენებელი იყო ბესარიონი, თავმჯდომარეობდა პავლე?. კამათში მიღებს მონაწილეობა ვარდინ-მგელაძემ, კ. გამსახურდიამ, მოსე თოიძემ?, ზომლეთელმა?, ს. როდოვმა<sup>10</sup>. („ნაპოსტუს“ რედაქტორი, ეხლა აქაა—რუსულათ ილაპარაკა, გადაუთარებენს) და შურა დულუჩიამ, გელევანიშვილმა და სხვებმა. „სიმბოლიზმი“ უკვე გავიდა ყოველგვარ ხმაურიდან.

ეხლა პრაქტიკული. ამ ზაფხულში საქმეები შემცირდება, მხოლოთ საშემოდგომოთ უსათუოდ საცირო ცქნება შენი ჩამოსვლა. შენ ამას უსათუოდ შეასრულებ, მხოლოდ თბილისში დარჩენას სამუდამოდ არ გირჩევ. მე მგონი ჩამოსვლას მოახერხებ. შენ თვითონ როგორ მოგეწონოს, ნახე. გალაჭრით ვერაფერს ვერ გეტყვი.

მეგობრული სალმით სიმონ ჩიქოვანი.

წერილი მომწერე, საჩქაროთ. დეტალები შემდეგ, თბილისში უფლობის გამო არ შემიძლია გაჩერება, მაგრამ რას იზამ. საჭიროა ცოტა გავლა სადმე და ვერ ვახერხებ.

1. „პროლეტაფიი“ — პროლეტარულ მწერალთა ახალი ფრონტი. პროლეტარულ მწერალთა უურნალი, გამოიდითა 1925 წელს.
2. ნიკოლოზ მიხეილის ძე შენგალია (1901—1943), კინორეჟისორი, კინოდრამატურგი. 20-იან წლებში აქვეყნებს ლექსებს გურნალებში „H<sub>2</sub>SO<sub>4</sub>“, უქართული მწერლობა, „მემარტხენეობა“. ფუტურისტთა გაუფის წერი.
3. „ცისფერყანწელი“ — ქართველი სიბმოლისტი. 1916 წელს, კ. ქუთაისის გამოვიდა უურნალი „ცისფერი ყანწელი“, რომლის გარშემო შემოიკინება ქართველი მოდერნისტი პოეტები და პროზაიკები. გაერთიანდამ იარსება 1932 წლამდე.
4. ცეით დედაბრიანი (1876—1937), კრიტიკი, ისტორიკოსი, საზოგადო და პოლიტიკური მოღვაწე.
5. იასეგაშვილი კონსტანტინეს ძე გელევანიშვილი (1873—1939), ქართველი სამხედრო და პოლიტიკური მოღვაწე, მწერალი, დრამატურგი, პუბლიცისტი, 1923—1926 წლებში სამხატვრო-საგამომცემლო კოლეგიის თავმჯდომარე.
6. ალექსანდრე ივანეს ძე დუდუჩ ჩავა (1901—1937), ქართველი კრიტიკი, ხელოვნებათმცოდნე, საზოგადო მოღვაწე.
7. ვაკლე მიხეილის ძე საუკარელიძე (1885—1944), ქართველი მწერალი, საზოგადო მოღვაწე.

8. მოსე ივანეს ძე თომიძე (1871—1953), ქართველი ფერმწერი, გრაფიკული.
9. ნოე ალმასხანის ძე ზომლეთელი (ცურიძე, 1880—1938), ერთ-ერთი პირობის პირობის, პროლეტარულ მწერალთა სოციალისტურული საქართველოს განმაჭუდებული ბის ერთ-ერთი ხელმძღვანელი. იყო შურნალ „ტატაროსის“ მთავარი რედაქტორი.
10. სემიონ აბრამის ძე როდოვი (1893—1968), პოეტი და კრიტიკისი, МАППИ-ის (Московская ассоциация пролетарских писателей) და РАППИ-ის ის ერთ-ერთი ხელმძღვანელი, ეურნალ „На посту“-ს (1923—1925) რედაქტორი.

### სალაში ბენი!

საკვირველია სწორედ, რომ ამდენ ხანს წერილს არ იწერები. მე გუშინ გავიგე შენი მისამართი და ესეც არის ვგზავნი წერილს. თბილისში მდგომარეობა ისეთივეა, მხოლოდ უურნალის ბეჭდვის ორშაბათს, ე. ი. 17 ამ თვეს დაეიწყებთ. საჭიროა შენი მხრივ რაიმე მასალა.

ძლიერ კარგს იზამ, საჩქაროთ რომ გამომიგზავნიდე ამ წერილის მიღებისთანავე. შემდეგ მოიწერე რა ქენი, შენ რომ ალბომი გინდოდა გამოგეცა, იმის შესახებ. მე „მნათობი“-ს რედაქციიდან დამითხოვეს, ან უკეთ თავი დავანებე განკარგულებამდე — გავიგე წინდაწინ განკარგულება, ვიფიქრე, სჭობია მიტოვება. ვინ მოაწყო, ამას შენ თითონ მიხვდები. ეს მოეწყო ჩაჩანიძის საშუალებით, თუ გნახე სეზონში, მაშინ გეტყვი დაწვრილებით. ყოველ შემთხვევაში, ეს არ არის საინტერესო. საინტერესოა ეხლა გვუფისთვის უურნალი და მასალები შენი მხრივ, როგორც გინდა — რამე ახალ-ახალ ცნობებსაც რომ გამოგზავნიდე, კარგი იქნება.

სხვა ბენო, შენ შეიძლება გეწყინა საჭვრზე რომ არ მოვედი, მაგრამ უანგოს! ბრალი იყო, მითხრა გამოგივლი სახლშიო, მე, ხომ იცი, ნაღვინევი ვიყავი და დამეძინა. უანგო არ მოსულა და როდესაც გავიღვიძე, შაალამე იყო. მე ბევრი სალაპარაგო მქონდა შენთან, მაგრამ ასე მომიხდა და შემდეგ ბევრი ვიწუხე. სხვა, აქ ყოველივე ჩვეულებრივათ მიმდინარეობს. ბენო, მასალები, თუ სინდისი გაქვს, საჩქაროთ გამომიგზავნე, რომ ჩამოვეისწროს.

მოწერე წერილი შემდეგი მისამართით: შრომის კომისარიატი, საგამომცემლო განყოფილება, კოლია ჩაჩავას, ჩემთვის.

კოლა ამ დაწესებულების გამგეა. არჩილმა დანიშნა. მე ძლიერ მინდა ეხლა სადმე წასვლა, მაგრამ ფული არა მაქვს. თუ გავაკეთე, მოსკოვშიც უნდა ჩამოვიდე. ამ წერილს რომ გწერ, არავინ არ იცის,

თორემ, ალბათ, მოგიყითხავდნენ. განსაკუთრებით უანგო, იმას შენ  
ძლიერ უყვარხარ, ხომ იცი.

სხვა, ბენო, წერილი საჩქაროთ მომწერე. მე ძლიერ მოწყენილი  
ვარ — უფლობით. იმიტომ, რომ თბილისში გაჩერებით დავიხტევი.

შენი მეგობარი ყოველთვის  
სიმონ ჩიქოვანი  
15 ნოემბერი

1. უანგო (ივანე) დოლოშერიძე (1897—1937), ფუტურისტი პოეტი. იყო  
სრულიად საქართველოს მწერალთა კაფირის მდივანი (1926—27).

### სალაში მეგობარო ბენო!

შენი წერილი გუშინ მივიღე. შენ უკვე მიღებული გექნება წერილი,  
სადაც გისაყვედურებდი, წერილი რად არ მოიწერე მეთქი. ეხლა წე-  
რილი მივიღე და იმ ჩემ წერილის პასუხს არ ველი, ისე გწერ შენი  
წერილის პასუხს.

ბენო, საქმე რაშია, თუ იცი? მასალები ჩვენი უურნალისათვის  
სწრაფად გამოგზავნენ. ჯერ არ დაგვიწყია ბეჭდა კურნალის — შალვას  
ბრალია — არ მინახავს ასეთი ზღაზნია კაცი. ჯერ — სულ დღეს ხვალ  
და ასე. უურნალის აწყობას ამ ორ დღეში დავიწყებთ. შენ, მასალები  
სასწრაფოთ გამოგზავნე — ეგებ ვინმე წამოვიდეს და გამოატანე ის.  
მე მგონი, ფოსტაზე ადრე მოიტანს.

სხვა მისამართს მე იმ წერილში სახლს გწერდი, მაგრამ სჯობს  
„მნათობის“ მისამართით გამოგზავნო. მე ჯერ კიდევ ვარ იქ და მგონი  
დავტრიხები, თუ საღმე არ წავედი — თუ წავედი, ამასაც შეგატყობი-  
ნებ. ჯერ მაინც ქაური განწყობილება უნდა გამოიჩვეს ლიტერატუ-  
რული და შემდეგ საღმე წავალ. მგონი ლენინგრადში, მაგრამ ეს მო-  
მავლის საქმეა. შენ, წერილი მომწერე დაწერილებით მაიაკოვსკისთან  
მოლაპარაკების შესახებაც. შენი ბინის ბიოგრაფიაც და ყოველივე რაც  
იქნება ლიტერატურული და საერთოდ ხელოვნების ცხოვრებასთან.  
აბა, შენ იყი, ბენო, თუ წერილს როგორ ვრცელს მოიწერ. შენმა წე-  
რილმა როგორ მასიამოვნა, ვერ წარმოიღვენ. თუმცა ვრცელი არ  
არის, მაგრამ მაინც ახალი ამბები და საერთოდ შენი იქაური განწყო-  
ბილებაა. რაც შეეხება უანგოს, შენ შემდეგ წერილში მომწერე, მე  
და ვაჩვენებ ამხანაგებს და დამეთანხმებიან, მგონი. შენ მოიწერე —  
„უურნალში მონაწილება მიაღებინეთ და ჯგუფში ნუ შემოიყვანოთ,  
თუ არ გინდა თქო“. ამას თუ მოიწერ, მე მათ ამ ადგილს ვაჩვენებ  
წერილისას და დამეთანხმებიან, მგონი.

სხვა ბენო, წიგნებს, იწერები, გამოგიგზავნიო. თუ გამოგზავნი და მოგვალეობა არ არის გამოგზავნი „ლეფტ“<sup>1</sup> ჩამოსულა. რატომ არ გზავნიან. ერთი ეგზებმდლარი მაინც გამოგზავნე და შენ რომ წიგნებს მპირდები, ისიც გამოგზავნე. არ იცი, რა დიდ დახმარებას გამიშევ, რამდენი ხანია არაფერი არ წამიკითხავს. არაფერი წიგნი არ არის და რა წავიკითხო, არ ვიცი.

სხვა, განწყობილება შინაური უბრალოა. მე თითქმის სრულიად არ გამოვდივარ სახლიდან...

ბენო, მოიშერე ვარცელი წერილი. ველი საჩქაროთ. „მნათობის“ მისამართით.

გამოგზავნე კაკაბაძის თარგმანი. მოგვცემა თრიგინალის ჰონორარს. მე უთხარი, ხელთნაწერ დედანიდან არის გაღმოთარვებილი მეთქი. აბა, ნახვამდის, მეგობრული სალმით

### სიმონ ჩიქოვანი

უურნალის მასალები გამომიგზავნე საჩქაროთ.

1. ლეფტ — Левый фронт искусства — ლიტერატურული დაფგუფება, რომელიც შეიქმნა 1923 წელს, ყოფილი ფუტურისტების მიერ. ამ დაფგუფებას, რომლის წევრები გაერთიანებულები იყვნენ გაზეთ კომუნის ხელოვნების“ (1918—1919 წ.) გარშემო, სათავეში ჩატარდე ცნობილი რუსი პოეტი კლადიმირ მარავესავი ((1893—1930 წ.). გამოიცემი შედიოდნენ პოეტები: ნ. ასევე, ბ. ბასტრინაუ, ა. კრუნიონიხი და სხვ. ლეფტებმა გამოსცეს უურნალები „ЛЕФ“ (1923—1925 წ.) და „Новый леф“ (1927—1928 წ.), 1929 წელს დაფგუფება დაიშალა.

სალამი, მეგობარო ბენო! როდესაც ამ წერილს ვწერ, ფოთში ვარ. მინდა ამ დღეებში გაებრუნდე თბილისში. ამდენ ხანს არ მოგვშერე, წერილი მხოლოდ იმისათვის, რომ ველოდი შენგან მოსკოვის ახალ, შთაბეჭდილებებს. უურნალი გამოვიდა და ალბათ, უკვე მიიღე. თბილისში ორი აზრი არ არსებობს ეხლა ჩენენ ფრონტის შესახებ — ეს, არის ერთად ერთი ფრონტი (ეს საერთო აუდიტორიის დებულებაა). მხოლოდ, რას ნიშნავს ეს, არ იციან.

ჩემი დაბრუნების შემდეგ უსათუოდ გაზეთს გამოვცემთ. შენი დაპირებული მასალები გამოგზავნე, რაც შეიძლება საჩქაროთ. ბენო, იცოდე ველი შენს მასალებს დაჩქარებით.

შემდეგ საერთო განწყობილებებს უფრო დაწვრილებით მოგწერ. „ყანწელები“ გამოდიან ამ ბოლო დროს პროსპექტზე და იგინებიან — ესეც საქმეა თუ არა?

პალომ! სთქვა, მე დაწერ წერილს თქვენზე, ვნახავ შემდეგ თუ რამის დაწერას გაბედავთო.

ხომ იცი, ეს ყოველივე ამაოა — საქართველოში „ყანწელების“

გარდა, არსებობს თვითონ ქართული განწყობილება — დავარქვათ თუ გინდ ამას „ქართული სული“ — ჩეენ ამ ავტორიტეტთან გვექნეს დაუკრიცხულა მოკიდებულება, სჯობს ეს, სხვათა შორის.

წერილი მომწერე საჩქაროთ კოლა ჩაჩინების მისამართით, ხომ გახსოვს: შორმის კომისარიატი, ნიკოლოზ ჩაჩინები, სიმონისათვის.

სხვა, არ ვიცი, რა დავწერო; ფოთში ვარ. ფოთში კაცი არატრის მოფიქრება არ შეუძლიან, გარდა მოწყენილობისა. მოწყენილი კი ძლიერ ვარ — თბილისშიდაც მოწყენილი ვიყავი და ამისთვის წამოვედი. უკვე დასვენებულათ ვგრძნობ თავს და ვფიქრობ, საჭიროა დაბრუნება. სამ დღეში უთუოდ თბილისში ვიქნები. ბენო, გამომიგზავნე რამე საინტერესო წიგნები. აյი, ექსპრესიონისტულ წიგნებს მპირდებოდი. სხვა რამე გამომიგზავნე, თუ ის არ არის. ცხოვრება მოწყენილია. რას იზამ კაცი, წიგნის კითხვის გარდა. მაიაკოვსკი ჩამოსულია, თუ ნახე, მომიკითხე.

ბენო, მომწერე წერილი, უფრო ვრცელი, ვიდრე მე ვიწერები. აბა, მე რა მოგწერო. სად არის თემა, ან ცვალებადი შთაბეჭდილებები.

მეგობრული სალმით  
სიმონ ჩიქოვანი

მართალია, ერთი ცნობა მაქვს შენთვის მოსაწერი, მაგრამ ის ვრცელ ამბავს მოინდომებს, წერილში თავს ვაწებებ. კიდევ, გოხოვ, წერილი საჩქაროდ მომწერე და თბილისადან დიდ წერილს მოგწერ. მასალები გამოგზავნე საჩქაროთ — გაზეთს უსათუოდ გამოვცემთ —  $H_2SO_4$ -ს.

ნახვამდის

ფოთი

24 თებერვალი

1. ვათლო (ზავლე) ჯიბრაელის ძე იოზელი (1893—1937), ცნობილი ქართველი პოეტი, „ცისფერყანწერის“.

### ბენო!

ეს წერილი სამი დღის წინ დავწერე. მეგონა, შაბათს წავიდოდა. ეხლა, დასამატებელი ის მაქვს, რომ მასალები საჩქაროთ უნდა გამოგზავნო. ჩეენ გაზეთს ვცემთ — მგონი შემდეგ უურნალიც გამოვცეთ. 5 აპრილს ხდება მწერლობის კონფერენცია და ვნახოთ, რა მოხდება.

ამ წერილს დემნა შენგელაიას ოთახში ვწერ. იმანაც მოგიკითხა დიდათ ვრცლათ.

სხვა, წერილი საჩქაროთ მომწერე. შემდეგ დეტალებსაც მოვწერ,  
თუ რამე იქნა.

ეხლა, თბილისში ორაფერი არ არი მეტი საინტერესო.

მომიკითხე ყველა — ე. ი. არაევინ.

უურნალი მე გამოგზავნილი მეგონა, ეხლა გიგზავნი. კომპოზიცია  
არა აქეს, მაგრამ შენთვის ზდანევიჩის<sup>1</sup> კომპოზიცია რა საინტერესოა.  
მითუმეტეს, ისეთი ეგზემპლარი ეხლა ჩემს განკარგულებაში არ არის.

მე ისე კარგათ ვარ, მხოლოდ უსულო კაცის ცხოვრება შენ თვი-  
თონ წარმოიდგინე.

ნახვამდის.

მევობრული სალმით სიმონ ჩიქოვანი.

1. ზ დ ა ნ ე ვ ი ჩ ი კ ი რ ი ლ ე მ ი ხ ე ი ლ ი ს ბ ე (1892—1967), წარმოშობით  
პოლონელი, ცხოვრობდა და მოღვაწეობდა თბილისში. ცნობილი ფერმწერალი  
და ხელოვნების მკერვეარი.

### სალაში მევობარო ბ ე ნ ი!

შენი წერილი მივიღე გუშინ წინ — როდესაც შალვა ჩამოსულა,  
მე თბილისში არ ვიყავი — ეს უთუოდ იცი იმ წერილიდან, რომელიც  
ფოთიდან მოვწერე. ალბათ მოვიყიდა.

შენი წერილის შინაარსი ძლიერ საინტერესოა. არც სასაცილო არა-  
ფერი არ არის, როგორც შენ იწერები — ვაჟა-ფშაველას შესახებ მე  
სრულიად გეთანხმები და კიდეც მეც, ამ დასკვნიმდე დიდი ხანია  
მივედი დამოუკიდებლად — ამას შენც მიხვდები, როდესაც ჩემ დაბეჭ-  
დილ წერილში ნახავ „ვაჟა-ფშაველა და ქართული კონსტრუქტივიზ-  
მის შესახებ“. ამას მე კიდეც ვწერ და შენი წერილიდან ამონაწერსაც  
მოვიყვან იქ.

სხვა საინტერესო ორაფერი არ არის. გამოვიდა „პროლემაფი“ —  
ახახთი. შენ წერილს აგინებენ შიგნით, „მნათობში“ რომ იყო დაბეჭ-  
დილი. ეხლა იმათი უურნალი გამოდის და იქც ვეებერთელა წერილი  
ყოფილა, ჩენი საგინებელი. ეგეც არაფერი. ჩენ ამ დღეებში გამოვ-  
ცემთ გახეთს და მასალები, შენ რომ დამპირდი წასვლის წინა დღე-  
ებში, გამომიგზავნე — თეატრის პროექტები თუ მზათ ვაქეს, არ დაგა-  
ვიწყდეს გამოგზავნა. წერილს მე დაწერ, როგორც შენ გითხარი და  
დუტალებიც მომწერე. ამ დღეებში ირაკლის სახარგებლო წარმოდგენა  
იდგმება თეატრში და იმ საღამოსთვის თავის სურათების ალბომს  
ბეჭდავს. ტექსტი შალვას ეკუთვნის.

ეხლა, ჩემს შესახებ. მე ძლიერ ცუდად ვარ — მთავარი არის უფუ-



ლობა. ეს საშინლად მაწუხებს. თბილისში თითქმის გაზაფხული და სამართლებრივი ტერიტორია იწყო....

მე ვიყავი ფოთში 15 დღე და ხუთი დღე სოხუმში. დაბრუნებისას მომცეს შენი წერილი (გუშინ წინ დავბრუნდი)...

ეს წერილი უთუოდ არეულია, მაგრამ შენ თვითონ წარმოიდგინე, ალექსანდროვის ბალში ვზივარ და იქ ვწერ. დილა, 10 საათი — ებლა, მინდა შალვასთან წავიდე და მიუტან ამ წერილს და უურნალს. შენ წერილები მომწერე. მე, ებლა, შენს გარდა თითქმის არავისთან არა ვარ, არც ლიტერატურულად და არც მეგობრულ განწყობილებაში.

ნახვამდის, ველი შენს წერილს, მასალებს საჩქაროთ.

სიმონ ჩიქოვანი

## ზორი ლება

კონსტანტინე გამსახურდიას, თბილისში, მის ბინაზე, გაცუნი მხალე-განძღვა რეინიგშელი გრიგოლ ვაშავაძე (1908—1978), რომელიც წემდგომ შეიქმნა მისი აზლომელი და განუყრელი შეგობარი. იგი ლიტერატურის უსახლერო მოყვარული და თავდაცემული მექონელი იყო. მათი მეგობრობის ერთ-ერთი მტკიცე საძირკველი აღმართ ესეც გახდა. ერთ-ერთ წერილში კ. გამსახურდია წერდა: „უკალაზე დიდი სისახლული ის არის, რომ შენი სახით შემძინია ნამდვილი შეგობარი, ამ სიტყვის უსრამესი მნიშვნელობით. ცხოვრება წინაა და კიდევ შევხელებით მრავალ უფრო დიდ საქმეებში“.

1929 წელს გ. ვაშავაძე მიულინებული იქნა ქ. ხარჯოში სასწავლებლად. ამ ამბით გახარებული კ. გამსახურდია ატყობინებდა: „მე შენზე დიდ იმედებს ვამყარებ, რომ ცხოვრებაში უკრისი ძალა თანამოლაშექმრე შეყოლებით“. გრ. ვაშავაძე, გარდა თავისი ნაქმიანობისა, უცნობოდა უკრაინულ ერთობრას, პირადად გაეცნო იქაუჩ შეწრლებს. 3. ტიბინს, 3. ლებედს, იქ მომტავე ქართველებს. ხარჯოში მისი ხანგრძლივად ყოფილ კარგ საშუალებას იძლეოდა თვალური ედევნებინა ქართული მწერლობის — კრისტიან კ. კ. გამსახურდიას ნაწარმოებთა თარგმნისათვის. ამ მიზნით მას სისტემატური კონტაქტი შეწონდა მწერლობინ.

გრ. ვაშავაძემ გარკვეული სამსახური გაუწია უკრაინელი და ქართველი მწერლების ძმური ურთიერთობის განვიტკიცების საქმეს.

ქვემოთ დადგენილი წერილები უთუოდ მნიშვნელოვანია კონსტანტინე გამსახურდიას. ცხოვრებისა და შემოქმედების ზოგიერთი საკითხის გასაპავილობა.

გურამ ვაწიძე

\* \* \*

ტფილისი, 1930, 20.X

მითო გრიშა,

გუშინ შენი საქმის გამო რეინიგზის სამმართველოში ვიყავი, ველაპარაკე ივ. ბი-იას, მითხრა, ყოველ მიზეზ გარეშე მოვაწყობ, ოლონდ დაამთავროსო. შენი გადასკვლის საქმე არც მე მომწონს, აქ აღარ ვიცი თუ რაიმე შეიძლება. თუ ამან არ დაგაბრკოლა, მაგ საქმე ძლიერ იოლად გაკეთდება.

ტიბინს სამი ლექსი ვთარგმნე, თუ გადაბეჭდეა მოესწრო, ამ წერილთანვე გამოგიგზავნი. „ვეფხის ტყაოსანი“ შევუკვეთე, მაგრამ ჯერ დაკანული არ არის, მალე გავუგზავნი, ლებედს ფრესკების გამოცემა დაკირდი, მაგრამ ის წიგნი სტამბილი არ გამოუტანიათ.

1. გიგზავნი ტიჩინის ლექსებს ჩემს მიერ თარგმნილს, რომელიც არის უკანასკნელი ალბად ჩემი მოგზაურობის რეპორტაჟთან ერთად დაიბეჭდება „სამარგარითა ლიტერატურო გაზეთში“. ამ მოქლე ხანში ალბად საბოლოოდ გამოვარევე მისი ლექსების გამოცემის ამბებს. (მიწიშევილი შეებულება—შია და ესაა ერთად ერთი დაბრკოლება. ბარონმა უკვე მითხრა, შეუდექიო).

2. შენი მისია კიდევ არ დამთავრებულა. საჩქაროდ სთხოვე ლებედს შემომითვალოს „დიონისის“ ხელშეკრულება, რომელზედაც მე მომაწერინეს ხელი, სადაც? „მარცხენა თვალის“ ხელშეკრულება კი მომიერდა, გარდა ამისა ბაჟანისაგან (კიევიდან) სამასი მანეთი არ მიმიღია, არც ის 1200 მანეთი, რომლის გადმოგზავნას ლებედი დამპირდა.

3. სთხოვე გაჩერნოს დიონისეს რუსული თარგმანი — ნახე წინასიტყვაობა თუ ახლავს (რუსული გამოცემისათვის). მე მინდა დავწერო უკრაინულის წინასიტყვაობა, სულ ნახვარი გვერდი, თანაც ჰქოთხე: მე ერთ თვეში ვაპირებ ხარჯოვში გამოვლის და მოსკოვში წასვლას, თუ შეეძლებათ ხელნაწერი გამატანონ მოსკოვში, იქ გადავაწერინებ და ისევ ჩამოვუტან.

4. გადაწყვეტილი მაქვს აბელთან წასკლა, ეს იქნება ნოემბრის 15-ისთვის.

5. არ მიმიღია არც სურათი (ჩვენი საერთო), არც ლიტერატურა, რომელიც ძლიერ მჭირია, როგორმე დაჩქარებით გამომიგზავნონ, რაც ძლიერ მჭირია ჩემი უახლოესი წიგნისთვის „12 დღე უკრაინაში“. დაწერილი მაქვს შემდეგი თავები: 1. ალის ბაიათები და ცივილიზაცია, 2. ცეცხლის ქალაქი, 3. უკრაინის ნახშირი, 4. უკრაინის სატახტო, 5. ბლაკიტნის სახელობის ლიტერატურის სახლში გათეული ღამეები, 6. კიევი და სხვა. დასამთავრებლად უთუოდ მჭირია ეს წიგნები. წიგნი ალბად სურათებიანი იქნება, და ის სურათი საგანგებოდ მჭირია, გთხოვ დაჩქარებით გამომირკვით ესენი. 7. მოსინჯე ნიადაგი (სტეფან მელნიკოთან შეთანხმებით) ორი სამი ღამის გასათევი ბინა მიშვინოთ ეგები. გამეცინა კალიშებზე, შენ მშვიდობით ჩამოდი და ჩიტის რეკ რომ მომთხოვო, გავიკეთებ. შენმა ლიტერატურულმა დებიუტმა გამახარა, რატომაც არა, ბევრ მწერალს შენ, ახლაც არ ჩამოუვარდები გონიერებისამახვილობით. კაცს მუდამ პრინციპად უნდა გქონდეს: „მე არავის არ ჩამოუვარდები“.

კიდევ ერთი დამავალე, ჰქოთხე ტიჩინის და ლებედს „12 დღე უკრაინაში“ სად დაგეპდო, ჰერ უურნალში, თუ პირდაპირ სახელგამს გადაუუგზავნო. ქართულად ალბად გაზეთში დაიბეჭდება.

ჩემო ძამიკო, ეს ამბები საჩქაროდ გამომირკვიე. აქ ამბები დამხვდა, მოსკოვის სახელგამში ვიღაცის ნიადაგი შეუმზადებია ჩემთვის,



ასე რომ მოსკოვში წასასვლელი ფული არა მაქვს და მაქსს ჟანგულად თუ შეიძლება ფულის ამბავი დამიჩქაროს, ერთი სიტყვით შენ იცი ამ ამბებსაც შენებურად ყოჩაღად და პუნქტუალურად თუ გამომირკვევ. ნამორაძის მისამართი მომწერე (ვიცი ამას ყველაზე დიდი ხალისით გამომირკვევ). სალამი ყველას, არც ერთი უკრაინელი მეგობრისაგან ჯერ ჩემი წერილის პასუხი არ მიმიღია.

ველი პასუხს საჩქაროდ.

შენი კონსტანტინე გ.

შენ მწერ, იქ ბევრს ზრუნავენ ჩემს სულიერ ვითარებაზედო, იქ თუ დაგასახლე, პირდაპირ ცენტრში მოხვდები, ნამდვილი ქართული კულტურის ორბიტში. მე შენზე დიდ იმედებს ვამყარებ, რომ ცხოვრებაში უმცროსი ძმა და თანამოლაშერე მეყოლება, ნდობის თვალით შევხედოთ მომავალს და სარბიელი ძლიერ დიდი გვაქვს წინ.

\* \* \*

20.VI

მმაო გრიშა, გილოცავ რევაზის<sup>1</sup> მოსელის. სალაპარაკო ბევრი მაქვს. იქ ჩამოვიდა ბ. ლომ-ძე<sup>2</sup>, ვინახულე, დამპირდა უკეთესს პირობებს. სხვაფრივ ცუდათ ვარ, იალავოის<sup>3</sup> წერილი არ მიმიღია. მომწერა თითქმის იგივე ლებედმა. პასუხიც მივეცი. მხოლოდ ყველა რეცენზიების აქედან გაგზავნა ამ მოკლე ხანში არ შეიძლებოდა, რომ ჩამოვა ვაჩვენებ. თუ იალავოიც მოდის, გთხოვ ჩემს მაგივრად სთხოვო ჩამოსელა ან დეპეშით მაცნობოს, ან იმავე დღეს დამირეკოს სადაც ჩამოხტება და წამოვიყენ. ტელეფ. 14—45. ტიჩინის<sup>4</sup> გადაეცით: ორ მოთხრობას ვამზადებ მისთვის. ერთი დღეს-ხვალ იქნება მზად და გამოვეზავნი, უკრაინის მისამართი მომწერე, ან ტიჩინისი. ჯერ გადაწყვეტილი პასუხი არ მიმიღია. ბევრს გაწუხებ და შენ იცი როგორ წაიყვან საქმეს.

თუ ჩამოხვეიდე, არ ჩამიარო, პირდაპირ ჩეენსას მოდი. იქ მოგასვენებ, რამდენ ხანსაც გინდა.

შენი კონსტანტინე გ.

1. რევაზ ი—გრ. ვაშაკიძის უქროსი ვაჟი (1920—1971 წწ.).
2. ბ. ლომ-ძე — ბესო ლომინაძე, მუშაობდა კომუნისტური პარტიის ამიერკავკასიის სამსახური კომიტეტის პარკეტ მდინარე.
3. იალავო — უკრაინის გამომცემლობის დირექტორი.
4. ტიჩინი — ცნობილი უკრაინელი პოეტი და მთარგმნელი.



ტფილისი, 1930, 31.XII

ძეირფასო ძმაო გრიშა,

მოგილოცავ ახალ წელს. გისურვებ სხვა სიკეთესთან ერთად მე-  
გობრობაში ისე იჭვნეული არ ყოფილიყავი როგორიც აქამდის — შენ  
როგორც სწანს ძლიერ ცუდად მიცნობ, ასეთი რამეებით შენ რამდენ-  
ჯერმე მაწყენინე, მაგრამ ბევრ შემთხვევაში გავჩუმდი, რადგან სხვაფ-  
რივ შენ ოქროს გული გაქვს, მე არა ვარ ისე წვრიმალი. მე ორი მო-  
სახამი მქონდა, შენ არც ერთი, მაშ სიცივით უნდა მომკვდარიყავი?  
ნეტავი შემეძლოს ამებად უფრო მეტი მსხვერპლი გავსწირო შენთ-  
ვის, დაანებე მაგისთანა წვრიმალებს თავი. ძლიერ მახარებს, რომ  
კარგად მოწყვე. გისურვებ ყოველივე კარგს და მზეგრძელ ცხოვ-  
რებას.

ძმური სალაშით შენი

კონსტანტინე გამსახურდია.

\* \* \*

ტფილისი 1931. 3.X

ძმაო გრიშა,

შენი წერილი კარგა ხანია შივიღე, მაგრამ მოუცლელობის გამო ურ  
გიბასუხე და ამიტომაც უნდა მაპატივო, მე სრულიად არ მესმის რა  
გაწუხებს, ხაშურში მე შენმა ნახეამ გამახარა და სხვა მიზანი არც  
მქონია. შენ ყოველნაირად კარგი ვაკეაცი ხარ, მაგრამ რატომდაც სა-  
ოცრად იჭვნეული ხარ. მე პირადად უნდა მოგახსენო, რომ არავითარ  
ყურადღებას არ ვაქცევ, რომელი მეგობარი რამდენ ბოთლ ღვინოს  
დამალევინებს და სხვა ამგვარი. თუ შენ ასე მსჯელობ, მე რაღა მეოქ-  
მის, რამდენჯერ იყავი ჩემთან და არც ერთხელ არამც თუ დეკეული,  
ან ჰედილა არ დამიკლავს, უბრალო სადილიც ვერ შეგთავაზე. მაშ  
მე არ ყოფილებარ შენი მეგობარი, დაანებე ამ ამბებს თავი და რო-  
გორმე ხელმარჯვე დრო მოიხელო და გამომიარე ისე, რომ ერთი  
ღამე მაინც ჩეენსას გაათენო. გადაეცი ღიღი სალაში შენს მეუღლეს  
და შენს პატარა ბიჭუნას იყოცე ჩემს მაგივრად. (ძლიერ შეეწუხდი,  
რომ იმ ორიოდე მანეთისთვის, რომელიც თქვენსას დამვიწყებია,  
სურამში ამოხვედი და შინაც ვერ დაგიხვდი). მიიღე ჩემგან ძმური  
სალაში.

შენი კონსტანტინე ვ.



საქართველოს  
მინისტრი

თფილისი, 1934 წლის 14-ით

ჯულაშვილის № 13. ტელეფ. 14—45

ძმაო გრიგოლ,

არ გეგონოს დაუდევრობის ჩემის გამო არ მომეწეროს აქამდის პასუხი; არამედ დაუდევარ და უწესო ადამიანებთან გვაქს საქმე და ეგ იმიტომ. ყოველ მეორე დღეს ვახსენებდი მ. ა-ძეს შენს საქმეს, მაგრამ აქამდის ხვალე, ხვალე და ახლა გამოირკვა ის კაცი, ვისაც რეცენზია უნდა დაეწერა, რფილისში არ არისო. მე როგორც ვატყობ საერთოდ ეს გამომცემლობა ვერ მუშაობს წესიერად, მერმე ათას-გვარი წვრილმანებისა ეშინიათ და ესაა. ჩენც ასე გვაქვს ამ ხალხი-საგან სიცოცხლე გამწარებული. ძალიან ვწუხვარ, სანუგეშოს რომ ველარას გწერ.

შენი კონსტანტინე გ.

\*\*\*

ტფილისი, 1931, 8.VI

ძმაო გრიშა, მაპატიე ამდენი დუმილი, მაგრამ ამ ხნის განმავლობაში ძლიერ ბევრი დავიდარიბა გადამხდა და მოცლას რომ თავი და-ვანებო, ვერ მოვიკრიფე განწყობილება. გარდა ამისა, წერილობით მე არ მემარჯვება ჩემი პირადი განწყობილებათა უწყება. თუ ჩამოხვალ, კარგს იზამ, უკრაინელმა მეგობრებმა და ნ-ს ცოლმა მოგიკითხეს (უკანასკნელი რატომღაც ოდნავ გემდურის). კ-ხია გზაში შევეხვდა მე და გიორგის, მაგრამ არ მივესალმე. აქაურ ამბებს, რომ ჩამოხვალ მა-შინ გაიგებ.

იყავი კარგად და ეცალე ჩამოხვიდე  
შენი კ. გ.

\*\*\*

ტფილისი, 1930, 3.VIII

ძმაო გრიშა, ცოტა დავბრკოლდი, ზოგი უფლობით, ზოგი უდრო-ობით, გამოვალ ტფილისიდან 9 ან 10 ამ თვეებს. შესაძლოა მანამდისაც-მატარებლის ნომერს და ჩისკლის დღეს გაცნობებ დეპეშით.

ძმური სალმით  
შენი კ. გ.

\*\*\*

3.IX

ძმაო გრიშა!

ტფილისში ყოველივეს გაგიკეთებ რაც შესაძლებელია, ახლა სას-წრაფო ფოსტით მომწერე:



1. იალაეონი და ლებედი მანდ არიან?

2. ტიჩინა ჩამოვიდა თუ არა, მიიღო თუ არა „დიდი იოსებიშვილი რუსული თარგმანი, თანაც ფრთხილად უთხარი, უკრაინაში აპირებს ჩამოსკლას და თუ დაბეჭდვას აპირებენ, ეგებ ჰონორარის ნახევარი გადმომიგზავნოს, მე ფული მიჭირს წამოსკლელი.

ამ კითხვებზე დაუყოვნებლივ მომეცი პასუხი. ნახე ლებედი, ჰეი-თხე რამდენ ხანს დარჩება. საუბარში უთხარი კ. გ. ჩამოსკლას აპირებს თქვა.

მაშ ველი პასუხს.

შენი კ. გ.

\* \* \*

6.10

ძმაო გრიშა, გადაეცი გიორგი ნამორაძეს დიდი სალაში და უთხარი მომწერლოს ასახსნელი სიტყვების ნუსხა და თავისი მისამართი. მალე გადაუგზავნი ჩემს ახალ წიგნს „12 დღეს უკრაინაში“. მერმე ჰეი-თხე კარტოზიას („გოსპრომში“ მეტალტრესტის უფროსია), მისას „ქოსა გახუს“ ხელნაწერი ხომ არ დამრჩენია.

შენი კ. გ.

\* \* \*

1929. 18.VIII

ძმაო გრიშა, დიდი ბოდიში მომიხადე თქვენს სიმამრთან, ჩემი ჩამოსკლა აქამდე გადაიღო, რაღვან 1 ოქტომბრამდე კურდღლებზე ნადირობა აკრძალულია. თუ აქეთკენ გამოიაროთ, გთხოვთ მეწვიოთ.

თქვენი კონსტანტინე გამსახურდია.

## წერილები გიორგი გუალაძისადგი

გიორგი (გოლა) ესტატეს ძე მუშლაძე პუბლიცისტი, მთარგმნელი, პროსაბეჭიმი, ერთ-ერთი თვალსაჩინო ფიგურა იყო 900-იანი წლების საქართველოს კულტურულ ცხოვრებაში.

გიორგი მუშლაძე დაიბადა 1884 წ. სოფ. დილენაგვეთში (ჯავახეთი), ღურელის ფაქტში. სოფლის სკოლის დამთავრების შემდეგ იგი სწავლობდა თბილისის რეალურ სამწავლებელში, ხოლო შემდეგ კი კომერციულ კურსებზე. იგი მუშაობდა სხვადასხვა დროს თბილისში, ქუთაისში, ოზურგეთში, ბაქოში.

1905 წელს პირველად, ხოლო 1908 წელს მეორედ გ. მუშლაძე დაპარიმოებს გაფიცევაში მონაწილეობისათვის.

გ. მუშლაძის მოთხოვნები და თარგმანები გამოქვეყნდა აღმანაშემ „შექი“ (1910 წ.), გაზეთებში: „იმერეთი“, „ერი“, „შრომა“, „სახალხო ფურცელი“, „არვოლუცური ნობათი“, „სხივი“ და უცრინალში „თეატრი და ცოდნებაზა“.

გ. მუშლაძე წერდა ფსევდონიმებით: „შელყვითელი“, „შემელი“, „არწივი“, „ლელო“, „გ. ჯავახი“, „მუშლი“.

ლალი შარტაშვილი

\* \* \*

ქმაო გიორგი! შენი მოლოცვა მივიღე, ძალიან გამიკვირდა, როგორ გაგახსენდი. მე ქუთაისში მეგონე. ჩეენს გაზეთში იბეჭდება პატარა ფელტონები „უჩარდიას“ ფსევდონიმით, მე შენი მეგონა, ასეა განა?

დროს, ვიცი, არ გააფიცებ, ერთადერთი კაცი ხაჩ ჩენში, უკომპლიმენტოდ გელაპარაკები, რომელსაც შეუძლიან საღად მუშაობა... სხვა რა ამბებია, როგორ გრძნობ თავს. იქნებ შალვა დადიანის ადრესი გამიგო, მინდა ერთი წერილი მივწერო, შენ შემაყვარე ის კაცი.

მეგობრული სალამი და იმედის აყვავება. მოგიკითხა ქ. აბაშისპირელმა!

\* \* \*

მივიღე თქვენი წერილი. საქმის ვითარება ასეთია. თბილისში დაარსდა ლიტერატორთა ჯგუფი, რომელმაც განიზრახა თვეში ერთხელ ან ორ კვირაში გამოსცეს ფრიად მხატვრული ქრებული<sup>3</sup>, საქმის ინიციატორობა ჩემია, მე ჯგუფში მე ჩაგრძერეთ თქვენ, როგორც შეერალი, და რასაკვირველია, კარგად შეპხვდებით ამ საქმეს. ეს პირველი

ქ. მოსკოვი. შენი ტიტე ტაბიდე<sup>2</sup> 1914



ცდა კრებულისა ჩემია; საკუთარი ფულით გაწეული „რისკი“. თუ განვიხილოთ ვიზარდულეთ, მაშინ სისტემატურად ეიწყებთ გამოცემას, რათა ოდნავ მაინც ხელი შევუწყოთ ჩენი ხელოვნების პლორინებას. პირადად მე გთხოვთ უპირველესად თანამშრომლობას და კვლავ კრებულის გავრცელებას, როგორც კი შეგეძლებათ. კრებული მიჯდება 40—50 თუმანი და თვითო № იქნება 30 ან 40 კ. მეტი არა.

ეს ექვსშაურიანი კრებული, მე გვინია, მალე გასაღდება ჩენში. დიდად დამავალებთ, თუ ამნაირ დახმარებას გამიშევთ თანამშრომლობით და კრებულის გავრცელებით, მასალები საუკეთესოა, ავტორებს გაზითით გაიგებდით. უკაცრავად შეწუხებისათვის. დავშეტები თქვენი პატივისმცემელი გ. ლეონი ძ. [საკუთარი ჩემი მისამართი ასეთია: ტფილისი, ჩერქეზოვის ქ. № 54. შეგიძლიათ სანდროს მისამართითაც: ნიკოლაევსკაია 7, სანდრო შანშიაშვილს].

\* \* \*

ძმაო გიორგი

მინდოდა შაშინევ გამეცა პასუხი შენთვის, მაგრამ სიზარმაცე ხომ იცი!

ბენეფისი იქნება, 15 ამ თვეს, ედგამ „გაზაფხულის ნიაღვარს“, შენს ძალიან ნაცნობ პიესას.

სევდა... იუმორი... სმა. ყველაფერი ეს ჩემი შესაფერია და ამიტომ დავადექ ამ პიესას. დიდი ხანი არის აქ არ წარმოუდგენიათ.

მეჩქარება.

სალაში კნიაჟნას, იმედი მაქეს მალე ვნახავ.

შენი შალვა დადიანი

1914 წ. II.2 ბათუმი

\* \* \*

ძმაო გიორგი!

უკაცრავად, უკაცრავად, უკაცრავად!

ამასწინათ აისედორა დუნკანს შეიღები რომ ასე უბედურად და-ეღუპა, ელეონორა დუნკემ ესეთი დეპეშა გამოუგზავნა თურმე:

„ძვირფასო, ძვირფასო, ძვირფასო დუნკან!“ მეტი არაფერი, მაგრამ ხომ ბევრია თქმული. მეც ეგეთი სიძლიერე მინდა მივცე ზემოთმოყვანილ სიტყვებს.

გიგზავნი შენს პიესებს და ნუ დაგვიწყებ, ჩამოსელა კი არ შეიძლება?! ეგრე ახლოს ხარ უქმე დღით. სალაში შენიანებს. ელომაც<sup>4</sup> დიდად მოგიკითხათ ყველანი. შენი შალვა დადიანი.

1913 წ. 10.2 ბათუმი



ლრმად პატივცემულო ბატონო გიორგი!

გმადლობთ თანაგრძნობისა და მასალებისათვის. დაიბეჭდება: „შენ გვიწყენ, თუ ზოგჯერ თქვენგან დამოუკიდებელი მიზეზთა გამო ვაგვიანებთ ბეჭდვას. სათეატრო ცნობები მოგვაწოდეთ ხოლმე. ტაგორის „გიტანჯალის“ თარგმანიც ნაწილნაწილ დაიბეჭდება.

თქვენი პატივ. იოსებ იმედაშვილი

1917. 28. ნოემბერი.

\* \* \*

ამხ. გიორგი!

პირველი იენისიღან ჩვენი გაზეთი „შრომა“ გამოვა ყოველდღე, შენ ახლობელ თანამშრომელთა რიცხვში ხარ, დაამზადე მასალები ამთვის განმავლობაში. იმედია არ დაიზარებ. საქმე კარგად მიღის, შენ-გან გამოვზავნილი მასალები მივიღეთ.

იმედია ზუგდიდის ყოველდღიურ ამბებსაც მოგვაწვდი მაქედან. შენ იცი. მოგვწერე წერილი.

შენი ილია

\* \* \*

საქმე კარგად მიღის, რომ პროვინციიღან თავის დროზე გვაწვდი-დენ ანგარიშს. თქვენმა მოთხოვობმა განსაკუთრებული მკითხველები შეგვძინა მოზარდი თაობიღან. იყო შემთხვევები, როდესაც მოთხოვ-ბის თავი დაიბეჭდა, მეორე ორშაბათამდე გაგრძელებას ვერ უდღიდნენ. და თხოვლობდნენ რომ მიგვეცა საშუალება დედანში წაეკითხათ. ჩვენ, რასაცვირეველია, უარით ვისტუმრებდით სხვადასხვა მოსაზრებით. გისურვებო გამარჯვებას და ნაყოფიერ მუშაობას, მაღლიერი ვართ ჩვენც და საზოგადოებაც, ნახვამდის, თქვენი პატივისმცე-მელი ილია.

\* \* \*

10 მაისი, 1915 წელი. როსტოკი

გიორგი!

წავიკითხე შენი „სულამიტ“<sup>7</sup> და სწორე გითხრა ძალიან მომეწონა... მხოლოდ გეტიუბა აჩქარებულად გითარებინია. შეიძლებოდა უფრო დინგად თარგმნა რომ უფრო სიტყვათა მუსიკობა გამოსულიყო. არა, მე არ გისაყვედურებ, პირიქით, კარგი თარგმანია, მრავალი უცხო სიტყვებია, რომლებიც არ მსმენია აქნობამდე. გეტიუბა, გიმუშავნია, მაგრამ ჩვენი, ქართველების, უბედურება ის არის, რომ ჩვენს ნაწერს მეორედ იღარ ვკითხულობთ: მაინც დიდად, დიდად გმადლობთ, რომ შეძლება მომეცით, წუთით მაინც დაემტებარიყავი. მეც ცოტათი წარმოდ-

გენა მქონდა კუპრინზე. შენი „ნაკვთები“ კარგია, მომეწონა წრფელად არ არის ნაწერი, გრძნობიერია, ხომ იცი, გოლა, კარგს იზამ, რომ „სულტანი მიტ“ როგორმე ცალკე წიგნად დაბეჭდვინ. მხოლოდ ცოტათი გაქლიბება. მართლა, რაბინდრანატ თაგორეს რვეული გამოგიგზავნა იმედაშვილმა? მე „მიზეზისა გამო სხვისა და სხვისა“ ვარ როსტოვ — დონში. აქ დავასრულე „სულამიტი“ და აქედანვე გიგზავნი კიდეც... პატარ-პატარა დღიურები სწერე. ძალიან კარგია, იცოდე. აბა გამარჯვებით! არ დაივიწყო შენი სოსო გრიშაშვილი.

8 მაისი, 1914 წელი.

\* \* \*

### პატარცემულო გიორგი!

ი. გრიშაშვილმა, მართალია, მითხრა თქვენი თარგმანის შესახებ, მიქო კიდეც, მაგრამ ჯერ არ გადმოუცი, შემპირდა კი მოტანას. მივიღებთ თუ არა, გავსინჯავთ და თუ გამოდგა, დიდის სიამოვნებით დავბეჭდავთ, მოგვაწოდეთ შესაფერი მასალები.

მარად თქვენი პატარივისმცემელი იოსებ იმედაშვილი.

მინაწერი:

შენი თარგმანი უკვე გადავიცი ი. გრიშაშვილს

1. კ. აბაშის პატრელი — გამოჩენილი ქართველი მწერალი კონსტანტინე გამსახურდი (1893—1976).
2. ტიმე ტაბაძე — პოეტი ტაბაძე (1893—1937).
3. წერილში ლაპარაკია უურნალ „სატირონშე“, რომლის რედაქტორ-გამომცემელი იყო გიორგი ლეონიძე. 1916 წელს გამოვიდა ამ უურნალის მხოლოდ ერთი ნომერი, „სატირონშე“ დაიბეჭდა ს. შანშიაშვილის, შიო მღვამელის, სიქო ფაშალიშვილის, კიკო-ფუშაველის (სიმონ ბალურაშვილის), ნარეკის (ნიკო კურდელაშვილის), თ. იანელის (თეოფილე კიკელიძის), განდუკილის (დომინიკა ერისთავის), ნიქო ლორთიშვილის, ალექსანდრე ყაჩბეგის, ინბანის (ილა იესეს ძე ბატრაძის) ლექსები და მოთხრობები, გერონტი ქიქოძისა და ავაკი, პაპავას წერილები.
4. ე ღო — ელო ანდრონიკაშვილი, შალვა დადანის მეუღლე.
5. იოსებ იმედაშვილი — ქართველი მწერალი, თეატრალური და საზოგადო მოღვაწე (1883—1953).
6. ი ლი — ილია ნეცებიძე. გაზითი „შრომის“ ჯერ კოლეგის წევრი, შემდეგში რედაქტორი. გაზითი „შრომა“ 1918—1922 წლებში გამოიცოდა.
7. „სულაში მითი“ — ა. ი. კუპრინის „სულამითა“ თარგმნა გ. მუმლაძემ. თარგმანი გამოქვეყნდა გან. „შრომაში“ 1915 წ. № 11—22. რ. თაგორის „გიტანჯალის“ თარგმანი გამოქვეყნდა გან. „საშობლოში“, 1918 წ., მისიერ „ნამგალა მთვარე“ — გაზითი „საქართველოში“ 1916 წ., „ნაკვთები“ (მინიატურები) გამოქვეყნდა ალმანახ „შუქში“ 1910 წ.

## - წერილები -

მუშაქმში დაცული ნ. ლომიშვილის წერილებიდან ჩევენ ვაქევანების ისეთებს, რომლებსაც მნიშვნელობა აქვთ როგორც მწერლის ბიოგრაფიული მონაცემების დადგენისათვის, ისე ქართველ მოღვაწეთა შესახებ ზოგიერთი ცნობის ნითელსაყოფად. ამ წერილებიდან ვეტნობით ნ. ლომიშვილის არა მარტო მსოფლიმსებულობასა და პრაქტიკულ საქმიანობას, არამედ იმ საზოგადოებრივ ატმოსფეროსაც, რომელშიაც ცნოვრობდა და მოღვაწონდა მწერალი.

ნ. ლომიშვილის წერილები მიწერილია უმთავრესად ქართველი საზოგადო მოღვაწეებისადმი, როგორებიც იყვნენ: ი. მაჩაბელი, იაკობ გოგებაშვილი, დავით კარიჭაშვილი, ანასტასია თუმანიშვილი — წერეთელი და სხვ.

აღნიშნული პირები მეცნიერულ ურთიერთობაში იყვნენ ნ. ლომიშვილთან და მასთან ერთად ეწეოდნენ კულტურულ-საზოგადოებრივ საქმიანობას.

ნ. ლომიშვილი თავიდანვე იცავდა ქართული ენის სიშინდეს, — იგი შესანიშნავი მცირდნე იყო ქართული ენისა და ვერ იტანდა, როდესაც სახელმძღვანელოდ განკუთხილ წიგნში შენიშნედა ენობრივ დამახაინებასა და პროექციალიშმ, რომლებიც აჩინებულსა და ცოცხალს ქართულ ენსა უხეიროდ აუშენობდნენ.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ იაკობ გოგებაშვილმა თავისი „ბუნების კარის“ უკანასკნელი გამოცემა ნ. ლომიშვილის შენიშვნების მიხედვით შეიასწორა (იხ. „ბუნების კარის“ მეცნიერებულ გამოცემა, 1910 წლისა).

ნ. ლომიშვილის სწორი პედაგოგური ალით და მართებული შენიშვნები მისაღები ხდებოდა პედაგოგური სახელმძღვანელოების ეტორებისათვის და ამიტომაც ხშირად მიმართავდნენ ნ. ლომიშვილს, რათა თავისი ავტორიტეტული სიტყვა ეთქვა ყოველ ახალ გამოცემულ სახელმძღვანელოს შესახებ, როგორც ქართული ენის საუკუთხესო მცნობელისა და ნიკიერ პედაგოგს.

ნ. ლომიშვილის წერილები იძებელება აეტორის სტატისა და ორთოგრაფიის დაცვით, მხოლოდ გასწორებულია უნებლიერ შეცდომები და შემოკლებულია ზოგიერთი წერილის (№№ 1, 2) უმნიშვნელო აღილები.

დავით შულლიაშვილი



მე მინდოდა ეს ორი პედაგოგიური გამოცემანი — „ნობათი“<sup>2</sup> ჰუნტ ლიტერატურა „ქუნწულა“<sup>3</sup> ერთმანეთისათვის შემცირებინა და ამითი მეჩვენებინა ლირსეულებანი და ნაკლულევანებანი მათი... როგორც იცი, შედარებით გარჩევა ადვილიც არის და ნაყოფიერიცა, მაგრამ, რაკი „ნობათზედ“ დაწერილია სტატია, ამიტომ ამ სამუალებას უნდა თავი ვანებო და მხოლოდ „ქუნწულას“ ცალკე გარჩევას შევუდგე... უსათუოდ გამოგიზავნი ამ ორ კვირაში.

ასე ვგიან იმიტომა გწერ, რომ ამ კვირეს ძლიერ ბევრი და რთული საქმეები მაწევს კისერზედ: წარსული წლის ანგარიში სემინარიისა უნდა განიხილოს კომისიამ, რომლის წევრი მეცა ვარ. ამ ანგარიშს დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან მასში არის ლაპარაკი სომხურისა და ქართული ენების არსებობის (სემინარიაში) უფლებაზედ...

კომისიამ ამის შესახებ უნდა გადაწყვეტილი სიტყვა წარმოსთვეს, ჩაურთოს წარსული წლის ანგარიშში და შემდეგ ეს უკანასკერდი იანოვსკისთან<sup>4</sup> გაიგზავნოს...

უკანასკნელად, ისევ „ნობათზე“ მინდა გითხრა ორიოდე სიტყვა. თქვენი კრიტიკოსი<sup>5</sup> გადავარბებულის აღტაცებით ლაპარაკობს წიგნზედ, მაშინ, როდესაც ეს წიგნი „ნობათისა“ სრულებითაც არ არის ღირსი ამისა.

გარეგნობას მოუტყუებია თქვენი ავტორი, ვგონებ. ერთი არა არის რა წიგნში, რომელშიაც კი რამე გონივრული აზრი, იდეა იყენეს გამოხატული, გარდა იმ მართლაც და მშენებირი ლექსისა, რომელიც „დროებაშიაც“ იყო გადაბეჭდილი...

ავილოთ თუნდა კაյანათის<sup>6</sup> დაგების სურათი, რომელსაც აღტაცებაში მოჰყავს კრიტიკოსი... რა დედა აზრია ეს გამოთქმული? აზაფერი... ესთქვათ წაიკითხა პატარა მოსწავლემ ეს სურათი — მერე, რაო? რაზე უნდა ელაპარაკოს წამკითხველს მასწავლებელი და, თუ მასწავლებელთან არ ხდება ეს კითხვა, თვით მან რა უნდა გამოიტანოს აქედამ? რა აზრმა უნდა გაიღვიძოს მყითხველში? რა გრძნობა უნდა აღძრას ამ სურათის წაეკითხამ მასში? მე ვგონებ, რომ არათერი... ზოგიერთ პედაგოგებს ასე პერნიათ, რომ დიდად საინტერესო იყენეს პატარა ბავშვებისათვის უაზროთ აღწერა ბავშვის რომელისამე საქციელისა.

ჩვენს ნიჭიერს ყაზბეგსაც<sup>7</sup> ამ წიგნში წაუბორძინია, მაგრამ მას ცოდვათ არ ჩაეთვლება ეს, რადგანაც მას ბავშვებთან დიდხნობით ყოფნა ვეონებ არსად არ ჰქონია... მაგრამ ყველაზე უმშენებელესი ამ „ნობათის“ წიგნში გ. წერეთლის გატიანურებული „ლომ-კაცა“... ამ ვითომდა, ლექსის დაწერს, მის წერის დროს, თავში მუზის ნაცვ-



ლად, სწორედ ბუზები სხდომია! საკვირველია, ღმერთმანი! რაზეც უა  
იხდებს ეგ კაცი თავის ლიტერატურულ რეპუტაციას?... მე უშორეს, მაგ  
საჭიროა, ძლიერ საჭიროა გ. წერეთლის კარგა—ლაზათიანად შემქობა.  
დარწმუნებული ვარ ლექსების წერას თავს დაანებებს მაშინ!...

სხვაფრივ მშვიდობით, ვანო!

სოფრონამ<sup>8</sup> გადმომცა შენი ავათ-მყოფობა... როგორა ხარ?..

თქვენი პატივისმცემელი მოძმე ნ. ლომოს რი  
1884 წ. იანვრის 14-ს.

- ვანო მაჩაბელი (1854—1898) — ცნობილი მწერალი და საზოგადო მოღვაწე, ნ. ლომოსურის ახლო მეგობარი. ნ. ლომოსური პირდება კ. მაჩაბელს, რომ „დროებაში“ დასაბეჭდად ბიბლიოგრაფიულ სტატიას გამოგაიზანიო.
- „ნობათი“ — პირველი ქართული საბავშვო უურნალი, გამოიციდა 1883—1885 წლებში ანდრია ლულაძის რედაქტორობით.
- „კუნძული“ — ანუ მოთხრობანი მოზრდილ ყრმათათვის, წიგნი პირველი, დაკომ გოგებაშევილის რედაქტორი, დაიბეჭდა 1883 წ.
- იანოვსკი კირილე პეტრეს ძე — კავასის სამოსწავლო ოლქის მშრუნველი, რეაქციონერი, რუსიფიკატორი, რომელიც სდევნიდა ქართულ ენას ჩვენი სკოლებიდან.
- იგულისხმება სტეფან ვრელაშვილი, რომელიც კრიტიკულად გაარჩია 1883 წლის დეკემბრის უურნალი „ნობათი“, სადაც დაბეჭდილი იყო პ. ცახელის, ი. რევოშელის, ალ. შონიშვილის და გ. წერეთლის თხზულებანი (იხ. „ივერია“, 1884 წ., № 11, გვ. 101—110).
- „კაფანათი“ — მოთხრობა ი. რევოშელისა (იხ. „ნობათი“, 1884 წ., № 12, გვ. 44—46).
- ალ. კაზაბეგი 1884 წელს „ნობათის“ მე-12 ნომერში მოათავსა საბავშვო მოთხრობა „მტრედია“ (გვ. 36—43).
- სოფრონი — სოფრონ მიგალობლიშვილი (1851—1925), ცნობილი ხალხოსანი მწერალი, ლომოსურის სკოლის ამხანაგი და ახლო მეგობარი.

\* \* \*

### ვანო!

იმავე დღეს, როდესაც გაეიგე შენი გამოსვლა ბანკიდამ, მინდოდა ამ ბარათის მოწერა, მაგრამ ვერ ავსრულე იმის გამო, რომ აქა სთქვეს: ვანო თამარაშენში! მიდის და გორჩედ ამოივლისო... მინდოდა აქ დაგხვედროდი და მეტქვა ის, რასაც ამ წერილში ამოიკითხამ.

როდესაც ახალ თაობაზედ ჩამოვარდებოდა ლაპარაკი, ყოველთვის შენზედ ბევრი რამ ითქმიდა ხოლმე... ჩვენი თაობა, სხვათაშორის, შენა გრაცხავდა თავის ერთ საუკეთესო წარმომადგენლათა... ამიტომ ყოველი შენი ნაბიჯი, ცხოვრების დახსართულ გზაზედ წინ წადგმული, გულწრფელ სიამოვნებას ჰმადავდა ჩვენ გულში... დღეს, როდესაც ამ გზამ გიმტყუნა და რამდენიმე ფეხი უკან გადაგადგმევინა, გულით ვწუხვერ, გულით და სულით თანაუგრძნობ იმ პატიოსან და-

მარცხებას, რომელიც შენ გარეუნა ჩვენმა საზოგადოებამ. მაგრამ, რას გამბობა?... დამარცხებული მხოლოდ ის კაცია, რომელსაც ბრძენებულის ველზედ თავპირი ჩირქით გაუსვრია და სახელი თავისი ლაფში ამოუთრევია. ის კაცი კი, რომელსაც, მართალია ბრძოლის ველისათვის თავი დაუნებებია, მაგრამ დროშა თავის მიმართულებისა პატიოსნად შეუნახავს, თავის სახელი და ზნეობრივი პიროვნება ულაქოდ გატანია ნაპირას, ის კაცი დამარცხებული არ არის!

ვინატრი სულით და გულით, რომ კეთილმა გარემოებამ შენ გულწრფელობას, კაცომოვარულ ხასიათს და განათებულ ნიჭიერებას მომავალში ხელი შეუწყოს!..

რაღა თქმა უნდა, ყოველ მანდაურ ჭარსულ ამბებს განუწყვეტლივ თვალყურს ვადევნებდი და ბოლოს ის აზრი გამოვიყვანე, რომ შენ შენმა მეგობრებმა გონივრული სამსახური ვერ გაგიწიეს. მიშოს<sup>2</sup> ვიცნობ. იმავე თაობითვე მე ეგ მიმაჩნდა პატიოსან სულის კაცად, რომელიც მადლიან ბუნებას სხვადასხვა ნაირი ნიჭითაც დაესახუჭრებინა. მე მტკიცედა ვარ დარწმუნებული, რომ ეგ შეიძლებს სახელოვან თრატორათ გარდაქცევას, თუ რომ თავის ბუნებით ნიჭიერებას აღზრდის და გაწვრთნის დიდებული მსოფლიო თრატორების შესწავლითა... დემოსთენი, ციცერონი, მირაბო, ვერნიო, გამბეტა და სხვანი მაგის ნიჭიერებას ბევრ რამეს ძვირფას შესძენენ და ამგვარად, დაცუმულ სამშობლოს ერთ საუკეთესო მამულისაშვილს მოუმზადებენ. ამას ისიც უნდა დაუმატოთ, რომ მიშომ როგორათაც ქართველი ხალხი, ისე მისი ენა საფუძვლიანად არ იცის, საზოგადო თრატორისათვის კი, რაღა თქმა უნდა, ერთიცა და მეორეც დიდად საჭიროა. თუ კაცმა არ იცის, რა ხალხთან აქვს მას საქმე, როგორ უნდა ატრიალოს სიტყვა, აზრი, ქცევა, სხვადასხვა გარემოებათა შორის, როგორ უნდა ექცევლეს მომხრეს, მოწინააღმდეგეს და ამათ შუა ჩამდგარ ხროვას, ის ვერაფერს, ვერ გააქეთებს, რაც უნდა განვითარებული და ნიჭიერი იდამიანი იყენეს!... ჩემის აზრით მიშოს, სამწუხაორი, ესენი ცოტათ თუ ბევრათ აკლია. ამის გამო, სარგებლობის ნაცელად, ბევრჯერ ვნებას აძლევდა საერთო მიზანსა... თუ მიშოს ამ ხანებში როდესმე შევხვდი ყველა აქ ნათქვამს პირადათაც ვეტყვი და იმედი მაქვს ფაქტებითაც დაუმტკიცებ.

მეორე მომხრე შენი ნ. დიასამიძე<sup>3</sup> იყო. დიასამიძე ბევრში სასაჩვენებლო კაცად მიმაჩნია, მაგრამ იქ, სადაც გონების და აზრის მუშაობა უნდა, ეს უმნიშვნელო ადამიანია. „ილია ჭავჭავაძე უნდა გავწეიპოვო“... „ვანო მაჩაბელი ჩემშედ ლოცულობსო“... ამბობდა ეს კაცი არა ერთხელ საზოგადოებაში. შენ თითონ მიხვდები ვანო, რა გავლენასაც მოახდენდა მსმენელებზე ეს სიტყვები... „როგორ, ი. ჭავჭავაძე, დიდება აშინდელი საქართველოსი, მშვენება ჩვენი ლიტერატურისა, უნდა

ერთაც დისამიძემ გასწევიპოს? ან ნუთუ ვანო მაჩაბელი იქამდის  ეცა, რომ დისამიძე სათაყვანოთ გაუხდია?“ აი, ის აზრები, რომელიც უკურნებელი ისმოდა საზოგადოებრში ზემოთ მოყვანილი სიტყვების შემდეგ... ლო თუთაევიც შენს მომხრეთ რაცხავდა თავსა...

ჩვენს კორიკანა გორშიაც მოგვიხდა უთანხმოება, რომელიც ეჭვი არ არის, გაგებული გექნება... მაგრამ იმდია ამ განხეთქილებას მალე მოვსპობთ. მე მინდა დ. მუსხელოვს<sup>4</sup> და ივ. სულხანოვს<sup>5</sup> ვთხოვო ამ საქმეში ჩარევა იმ პირობით, რომ რასაც ეს ორი კაცი იტყვის, მიღებული იქნას ორთავ მხრისაგან. იმდია, ჩემი ამხანაგები დამეთანხმებიან და თუ არ დამთანხმდნენ, მაშინ მე ოფიციალურად თავს დავანებებ ამ უმსგავს საქმეს, რომელიც უსიამოვნებას კი ბევრს იძლევა და სარგებლობას კი თოთქმის არაფერსა.

ბოლოს, ვთხოვთ ვანო, რომ თუ ვინიცობაა, გორზე იმოიარო, ჩემთან დაისცენო და თუ დარჩები რასმე ხანსა, ეს ხომ დიდათ სასიამოვნო იქნება ჩემთვის.

შენი ერთგული მოძმე ნ. ლომოური

1891 წ. თიბათვის 3-ს

1. თაშარაშე ენი — ი. მაჩაბელის სოფელი (ქსონვალის რაიონი).
2. მიშო — მიხეილ ვახტანგის ძე მაჩაბელი (ს. ლილოდან), სათვადაზნაურო ბანკის 1891 წლის აზრევებში მონაწილეობდა, როგორც ი. მაჩაბლის მომხრე.
3. ნიკო დიასამიძე (1845—1897), სახოგადო მოღვაწე, ქართული თეატრის მოამაგე. იყიდა და ივ. მაჩაბლის მეგობარი.
4. დ. მუსხელოვი — დიმიტრი ივანეს ძე მუსხელიშვილი, ქ. გორის ქალაქის თავი 1891—1893 წლებში.
5. ივ. სულხანოვი — ივანე დავითის ძე სულხანიშვილი, გორის მაზრის თავადაზნაურობის წინამდლოლი 1891 წელს.

\* \* \*

### ძმობილო შიომ!

ეს არის ეხლა წავიკითხე შენი წერილი და იმავ წამს ავიღე კალაბი პასუხის მოსაწერად. ჩემი აზრი ანტონისაც<sup>2</sup> გარდავეცი და ეხლა შენც მოგწერ.

სულითა და გულით თანავუგრძნობ თქვენს გაზეოს და საზოგადოდ იმ მიმართულების ლიტერატურულ შრომას, რომლის გზასა და კვალს თქვენ უპირობთ დადგომას... რა საშუალებითაც კი შემეძლება — ვიშრომებ „თეატრისათვის“<sup>3</sup> ვეცდები ამცოტისანშივე გამოგიგზავნოთ რამე...

პატარ-პატარა მოთხრობების წერის განზრანვა მეც მომივიდა და

იმედი მაქვს მის აღსრულებისა... სამწუხაროდ, სამსახური დიდ დროს მართმევს... თვიური წიგნისათვის ვამზადებ რომანს, რომლის პირველი გამოცემისას აღმართებული მაქვს... როცა მეორე ნაწილსაც ვათავავებ, მაშინათვე მე თითონ ჩამოგიტან. ჩემს რომანს ჰქვიან სახელად „სამძიმარი“<sup>4</sup> (გთხოვ — საიდუმლოთ დარჩეს ამ თხზულების ამბავი, ნ. ლ.). ასე, ჩემო შიუკელა!.. შენ ეცადე და ჩვენც დაგვიხმარე.

ვინ არის „ხომლელი“?<sup>5</sup> კარგი სტატიაა...

თქვენი თანამოაზრე ნ. ლომოური

1889 წ. იანვრის 13-ს

1. შიო დავით შვილი — ნ. ლომოურის მეგობარი, ხალხლისანი, რომელიც 1889 წელს უურნ. „თეატრის“ რედაქციაში მუშაობდა.
2. ანტონი — ა. ფურცელაძე (1839—1913), მწერალი და პუბლიცისტი, ნ. ლომოურის მეგობარი და ნათესავი (ლომოურების სიძე).
3. უურნ. „თეატრის“ გამოდიოდა 1885—90 წლებში. მისი დამარსებელი და პირველი ორდენისტორ-გამომცემელი იყო ცნობილი არტისტი ვასე აბაშიძე.
4. „სამძიმარის“ — ნ. ლომოურის რომანი, რომელიც ორი ნაწილისაგან შედგება. „სამძიმარის“ ავტოგრაფი დაცულია ლიტერატურულ მუზეუმში.  
„სამძიმარიდან“ ნ. ლომოურმა გამოაქვეყნა შოთხრობები: „ყოველი მხრიდან“ (1900 წ. უურნ. „მოამბეში“ № 4), „ბერუჟ ქრისტესიაშვილი“ (1904 წ. უურნ. „მოამბეში“ № 9) და „დეიდა სიდონია“ (1912 წ. უურნ. „განათლებაში“ № 3, პ-ლის ხელმოწერით).
5. ხომლელი — რომანზე ფანციავა (1861—1923), კრიტიკის, თანამშრომლობდა უურნ. „თეატრში“, „ავერტიში“, „კვალში“ და სხვ. წერილში ლაპარაკია ხომლელის სტატიაზე — „სამეცნიერო საფუძველი პროგრესის ისტორიისა“, დაიბეჭდა უურ. „თეატრში“ 1889 წ. № 34—36.

\* \* \*

### დიდათ პატივცემულო ან ასტასია მიხეილის ასულო!

ამ თვის პირველ რიცხვებში შესრულდა ოცი წელიწადი<sup>2</sup>, რაც გამოდის საბავშვო უურნალი „გეგილი“<sup>3</sup> — ამ ხნის განმავლობაში მრავალი ჩინებული თხზულებანი დაიბეჭდა გეგილის ლამაზ წიგნებში. მრავალმა პატია მკითხველებმა გაიცნეს იგინი.

წაიკითხეს და მათი შინაარსი, დედააზრი შეითვისეს.

უველმ კარგად იცის, რაოდენ გავლენას ახდენს მოზარდ თაობაზე გონივრული კითხვა იმისთვის თხზულებათა, რომელნიც შეეფერებიან ამ მოზარდ თაობის გონებასა, გრძნობასა, მის სულსა და გულსა. აგ-



რეთვე ყველამ უწყის, რა დიდს უბედურებას შეაღენს უქონლებული ამგარი წიგნებისა. შემრგო საზრდოს მოკლებული ბავშვის ცოცხალი გონება ვერა სძლებს უმოქმედოთა. იგი გაფაციცებით ეწაფება ზღაპრებსა და ქუჩა-მოედნებზე გაგონილ შაირებსა, ლექსებსა და სიმღერებსა. ამათში კი დიდი მოშეტებული ნაწილი ისეთია, რომელიც ბავშვის ნორჩისა და უმანქო არსებას სრულიად არ უნდა მიეკაროს.

სამწუხაროდ არც ჩვენი თანამედროვე ოჯახია ისე ამაღლებული, რომ მას შეეძლოს ბავშვის დაფარვა მავნე გავლენათავან, პირიქით, ხშირად სწორეთ ამ ოჯახებში იწყობა ხოლმე ბავშვის ბუნების დამახილება.

შეუანებელ ოჯახში ბავშვი ღვთისანაბარას არის მიგდებული, ხოლო განათლებულ დედ-მამას ხშირად მისთვის არ სცალიანთ: თითონ აქეთ-იქით ერთობიან და ბავშვებთან კი უცხო ქვეყნიდან გამოწერილ უცნობ ენაზე მოლაპარაკე აღმზრდელსა და მასწავლებელს სტროვებენ. ამათის მეოხებით უბედური ბავშვის გონება პირველსავე განვითარების ნაბიჯზე უძლურდება, ბუნება და ხასიათი უმახიფლება. ამ გვარ ოჯახებისათვის სამშობლო ენაზედ გონივრულად შედგენილი წიგნი სწორედ ისეთივე მაღალ-მნიშვნელოვანია, როგორც ცხოველი მზის ნათელი სხივის შეშუქება ბნელსა და ცივ ჭურლმულშია და თქვენ, დიდათ პატიცეცემულო ანასტასია, მთელი ოცი წლის განმავლობაში სწორეთ ასეთ ნათელს მზის სხივებს ჰქონდით თქვენს გარშემო... მრავალი პაწია გული აფანცქალებულა ამ სხივების მადლითა; მრავალს გამოუტნიშლებია გონება მათის გავლენით, სულის სიღრმიდან წამოსული გრძნობით, აღტაცებით წამოუქახნია: ღმერთო, შენ გვიცოცხლე დიდხანს ის ადამიანი, რომელიც დღე და ღმე ფიქრობს ჩვენზე, დაუღალავად ზრუნავს და შრომობს ჩვენთვის და ჩენც, მშობელნი, და-ძმანი და ნათესავები ამ ბავშვებისა, — მათთან ერთად ვისურვებთ თქვენს ხანგრძლივ სიცოცხლეს, აწინდელი მოღვაწეობის გაგრძელებას, ძვირფასო ანასტასია.

## 6. ლომოური

1910 წ. თებერვალი

1. ანასტასია თუმანიშვილი — წერეთელი (1849—1930), საბარეშო გურნალი „ჯეგილის“ დამარსებელი, შეირალი და საზოგადო მოღვაწე, გიორგი წერეთლის მეუღლე.
2. 1910 წელს, თებერვალში შესრულდა ოცი წელი საბავშვო გურნალ „ჯეგილის“ დამარსებიან, რის გამოც ნ. ლომოური მისალოც წერილს უგზავნის ანასტასია თუმანიშვილ-წერეთელს. წერილი უთარილო, იგი დაწერილი უნდა იყოს 1910 წლის თებერვალში (იხ. ლიტ. შუზეუმში დაცული წერილის ვარიანტი — № 19728-ბ).

3. „გ ე ჭ ი ლ ი — საბავშვო ქურნალი გამოდიოდა 1890—1920 წწ. ანასტასია თუ—ირკოვანული მანივენილი—წერეთლის რედაქტორობით. 1921 წელს „გეგილის“ გამოცემა ანასტასია მონაშილეობით განაახლა საქართველოს განსახომში და გამოდიოდა 1922 წლის დამლუკამდე.

\* \* \*

### დიღად პატივცემულო ბ. დავით!

წარსულ გაზაფხულზედ და შემდეგ ზაფხულშიაც მანდედან ხშირად მოდიოდა ერთი სასიამოვნო ანბავი: სათავადაზნაურო გიმნაზიის მასწავლებელი ქართულ ქრისტომატის გამოცემას აპირებენო... ის-მოდა აგრეთვე, რომ ამ მასწავლებელთა შორის თქვენც იმყოფებოდით.

მას აქეთა დიდის გულმოდგინებით საიმედო მოლოდინით შევცეროდი მომავალს... მეგონა რომ სწავლის დაწყებისას მოხსენებული ქრისტომატია დაიბეჭდებოდა; მოსწავლეთ ძვირფას მასალას მოაწოდებდა და მეც საქმეს გამიადვილებდა.

სამწუხაროდ, ეს მოლოდინი ღლევანდლამდე არა მართლდება. რა არის მიზეზი?

ვაი, თუ რაიმე მოსაზრებით მოხსენებული საქმის დასრულებაზე ხელი აიღეთ? თუ არა, მაშ როდის გამოვა თქვენი ქართული ქრისტომატია?

გომელაურის<sup>2</sup> წიგნი საშუალო კლასებში (მესამე, მეოთხე, მეხუთე) შეიძლება გამოიყენოს მასწავლებელმა, მაღალ კლასებში კი სრულიად არ გამოდგება. ამასთანავე, ეს წიგნი, როგორც ყალცალე თხზულებათა კრებული, სახელმძღვანელობას ვერ გასწევს.

იყობის<sup>3</sup> ქრისტომატიური განყოფილება მეტისმეტად მცირეა. ასეთი ქრისტომატით რასაკვირველია, კერც ერთი მასწავლებელი ვერ შეიძლებს დაანახოს მოსწავლეთ ისტორიული წინსვლა, განვითარება ქართული მწერლობისა.

ეს იდეა, ჩემის ფიქტით წინ უნდა უძლოდეს ნამდვილი ქრისტომატის შემდგენელს, უამისოთ ქრისტომატია ვერ მიაღწევს თავის მიზანს, იგი თხზულებათა კრებული იქნება და არა ქრისტომატია.

მე დარწმუნებული ვარ, რომ ქართულ გიმნაზიის პედაგოგები უკელაზედ უკეთესად შესძლებენ საჭირო და ნამდვილ ქრისტომატის შედგენას....

თუ ღმერთი გწამთ, დაეჩქარეთ... ავტორების მოქლე ბიოგრაფია მაინც დიდათ საჭიროა.

მოგეხსენებათ მწერლის ცხოვრებასა და მისგან წარმოთქმულ აზრთა შორის რაოდენი მტკიცე დამოკიდებულება, კავშირი არსებობს...



რაღა თქმა უნდა, ვრცელი ბიოგრაფია, კარტი რამ არის, მაგრა მიუწვდომელი იდეალია... მოკლე, დასხვა მიზეზების გამო ეს ამ უამაღ მიუწვდომელი იდეალია... მოკლე, მცირე ბიოგრაფია კი დღესაც ადვილი მოსახერხებელია. მაში, ახსენეთ ლერთი და ააჩქარეთ დაწყებული საქმის დაბოლოვება.

თქვენი პატივისმცემელი ნ. ლომოური 1906 წ. ლინიონისთვის 21-ს

1. დავით კარიჭაშვილი (1862—1927) — მცენარი და საზოგადო მოლექტი, ნ. ლომოურის ახლო მეგობარი.
2. ივანე გომელაური — პედაგოგი და საზოგადო მოლექტი. 1895 წ. მან გამოსცა წიგნი სათაურო: „საჩუქარი, ანუ რჩეულთა ლექსთა კრება მოზრდილ ყრმათათვის“. წერილში საუბარია ამ წიგნზე.
3. ნ. ლომოური ლაპარაკობს იყობ გოგებაშვილის „ბუნების კარის“ ქრესტომათოული განცყოლების შესახებ.

\* \* \*

### ჩემო საყვარელო დიდი დედოფლი!

შენი წერილი მივიღე, ჩემო ნია<sup>1</sup>, და შევწუხდი, რომ წელსაც არ მიუღიხართ კურსებზე, მაგრამ ნუ გეშინიან. ეპვი არ უნდა, განსვენებულ ილიას მაგივრად დ. მელიქიშვილს<sup>2</sup> აირჩევენ სახელმწიფო საბჭოში. იმას მივწერამ, ამ წერილს შენ თითონ წაიღებ ღვინობისთვის 20-სა. დარწმუნებული ვარ, იმის თხოვნას უყურადღებოდ არ დატოვებენ ბესტუშევის<sup>3</sup> კურსებზე. თუ საჭირო გახდა, მინისტრსაც მიმართავს მელიქიშვილი. ამნაირად, იმედი მაქვს, რომ წელს აღარ დარჩები კურსების გარეშე. მაში მხირულად გაატარე, ჩემო ნინია, შემოღვიმა არბოში, მხოლოდ გაფრთხილდი — არ გაცივდე... თორემი ციებას დაგაწყებინებს და ახლანდელი ციება ძნელია, ძნელად მოიშორებ თავიდან. იქნება როგორმე მოვახერხო და ერთი დღით მაინც ამოვიდე.

არბოელების საქმე გათავებულად უნდა ჩაირიცხოს. მაზრის უფრო როსთან ვიყავი, უანდებ მიშას<sup>4</sup> თავგადასავალი. „მიშას უნდოდა თქვენთან გამოცხადება, მაგრამ ვიღაცს შეეშინებინა და ამიტომ სადღაც წასულა მეტქი...“ ნაჩალნიქმა მითხრა: „სოფელს არაფერს დაუშევებ, რადგან მიშა სოფლიდან გაქცეულო... რათ გაიქცეოდა, თუ სოფლისა არ შეშინებოდაო. ჩემთვის საქმარისია, რომ ჩემს მაზრაში აღარ არის... ვიცი კარგად, რომ მიშა ქალაქშია, მაგრამ მე რა მენაღვლება... ოლონდ ჩვენი უეზდის სოფლებში ნუ იქნებაო“. გოგიჩანთ<sup>5</sup> ლება... ოლონდ ჩვენი უეზდის სოფლებში ნუ იქნებაო. გოგიჩანთ ნიკოსაც და სოფელსაც შეატყობინე ეს ამბავი. გულდამშვიდებით კვენენ და მომავალი მაჭრით მხიარულად მიეგებონ რთველსა. ყველანი შემიყითხე არბოელები: ნათესავები, ნათელმირონები, მეზობლები.



მომიკითხე გიორგი მღვდელი<sup>6</sup> და თექო<sup>7</sup>. აგრეთვე შეთევანი<sup>8</sup>, ნიშანულობები<sup>9</sup>, ილიკო<sup>10</sup>, ელენე<sup>11</sup>, გიორგი<sup>12</sup> და სხვანი. ჩვენი საშა<sup>13</sup> თავისი დედმამით. გიგზავნი, ჩემო დიდი-დედ, ცოტაოდენ კანფერებს, ცოტა-ოდენ ფულებს, მგრი მემართა შენი. როცა წირვა-ლოცვა იყვნეს, საყ-დარში შედი და შენი საწყალ პაპა — დიდი-დედას თითო შაურიანი სანთელი დაუნთე ხოლმე.

გიორგი მღვდლის საათი ჭერ არავისთვის მიჩენებია. ამ დღეებში მოვიცლი, თაპაპოს<sup>14</sup> წერილს გიგზავნი. ჩვენ კარგათა ვართ. 27 ღვი-ნობისთვეს ჩვენს გიმაზიაში ილიას დღესასწაული გვექნება<sup>15</sup>. გა-მოჩნდნენ მევლელები დიდი ილიასი. აზრისა და გრძნობის ნულებს, არარაობას მოყვლამთ წინამძღვარი ჩვენი მწერლობისა, ჩვენი წინსვ-ლისა, პროგრესისა. უბადრუკებს, ალბათ ჰონიათ, რომ რაკი ილიას სხეული მიწად აქციეს, მის აზრებს, იდეებს და წმინდა მისწრაფებათაც ამავ დღეს დააყრილნენ. წამებულს გვირგვინი დაადგეს თავზე და მით შესავით გამოაბრწყინეს მთელი მოღვაწეობა ილიასი. მაგრამ ილიას მოკელას ნიადაგი სხვებმა მოუმზადეს: იმათ, რომელიც ყველ-გან და ყოველ დღე (ზურგი უკან-რალა თქმა უნდა!) უშვერის პირით ლანდღვდნენ და ათრევდნენ დიდებულ ქართველს... შურდათ მისი დიდება და ლაშმონხეულ ჭორიქანა დედაკაცივით ყავყავებდნენ ამ ცის-მარია დღე... კაინის ბეჭედი არ მოშორდება მათ საზიზღარ სახეს ამი-ერიდგან... აურერელია ის დიდება, მწუხარება, რომლითაც დაიმირნა განსვენებული.

შინდოდა სიტყვის თქმა, მაგრამ საშინელმა გულისცემამ არ მომ-ცა ნება. მეხიცით დამეცა თავზე მისი მოკელის ამბავი.

შენი 6. ლომოური

1907 წ. ენკენ. 23-ს.

1. ლილი-დედ, ნია—ნ. ლომოურის უმცროსი ქალის ნინას მოფერებითი სა-ხელები.
2. ლავიო ზაქარიას ძე მელიქიშვილი—იმ ხანად მუშაობდა თბი-ლიშვი მომზრგებელ მოსამართლედ.
3. ბესტუ ევვის კურსები—ქალთა უმაღლესი სამწადებელი პეტერბურგ-ში, დაარსდა 1878 წ. და ეწოდა პეტერბურგის უნივერსიტეტის პროფესორ კონ-სტანტინე ნიკოლოზის ძე ბესტუევის სახელი.
4. შიშა—რევოლუციონერი, რომელიც ერთხანს ნ. ლომოურის ოჯახს აფარებდა თვეს სოფ. არბოში. (იხ. ნ. ლომოურის კორესპონდენცია „ჩმა ქართლიდან“ — გან. „შრომა“, 1908 წ., № 4: ვე. 6—10; მიშას გამო ს. არბოს დარბევის შესახებ. მიშას გვარი კორესპონდენციაში შეცვლილია მ. გ-ვილად).
5. გოგიჩიანთ ნიკო—სოფ. არბოში მცხოვრები გლეხი ნიკოლოზ გოგიჩა-იშვილი.
6. გიორგი მღვდელი—გიორგი გვიმრაძე, სოფ. არბოს მღვდელი, ნიკო ლო-მოურის ბიძაშვილი (დედის მხრიდან).



7. თ ი კ თ — გიორგი მლევდელის შეუძლება.

8. ქ ე თ ე ვა ნ ი — სოფ. ობიში მცხოვრებ დურმიშხან უურულის ცოლის მიზანში დატოვილი.

10. ი ლ ი კ თ — დურმიშხან უურულის სიცე, ნინას ქმარი.

11. ე ლ ე ნ ე — დურმიშხან უურულის რძალი, გიორგის ცოლი.

12. გ ი ო რ გ ი — დურმიშხან უურულის ვაცი.

13. ს ა შ ა — ალექსანდრა ლომოური, ნ. ლომოურის ნათესავი.

14. თ ა პ ა პ თ — ნ. ლომოურის უფროსი ქალის თამარის მოფერებითი სახელია.

15. ლაპარაკია ილია ჭავჭავაძის ხსოვნის აღსანიშნავ სამგლოვიარო სალაშობე.

\* \* \*

### ჩემო საყვარელო დ ე დ ნ ი კ თ!

შენი ორი წერილი მივიღე და აი ეხლა გწერ საერთო პასუხსა. მეც კი გულით მინდა თბილისში ჩამოსვლა, მაგრამ სხვა და სხვა მიწერების გამო ვერ ვახერხებ. ვგონებ, რომ ვერც ამ თვის ცამეტს მომიხდება. მორიგე<sup>2</sup> ვარ მოხსენებულ დღესა და ისიც კარგათ ვიცი, როგორ ეჯავრებათ ჩემს ამხანაგებს კვირა-უქმე დლეობით მორიგეობა. გარდა ამისა, დიდი ყინვებია აქეთ და მანდ წამოსვლისათვის კი ხუთ საათზე უნდა გამოვიდე სახლიდამ და თითქმის ერთი ვერსი გვიაროთ... ვაი თუ, გაცივდე, რადგან ამ დროს ყველაზედ უფრო მომეტებული სიცივეა ხოლმე. ცოტა ვერც ვარ კარგათ. ჩემ ოთახში მომეტებულად შევიდი-რვა გრადუსია. თბილით მაცვია, ღამეც თბილათ ვიხურამ, მაგრამ სიცივე მაინც თავის გავლენას ახდენს... არც სიცე მაქეს, არცა მტკიცა რამე, მაგრამ გამუდმებულად კი სიცივესა ვგრძნობ. ერთი ღონიერი გაცივება უსათუოდ ავათ გამხდის და ამის გამო ვბობილობ, ჩემო დედა... გატყობ, რომ შენ ძიელ გრძა ჩემი ჩამოსვლა, ვეცდები ვისმე გაუცვალო ცამეტსა, თუმცა კი იმედი არა მაქეს. საყველივროთ მოგელით, ჩემო დედნიკო. ყველიერის უქმები სამ. დღეს გრძელდება: 18, 19, და 20-სა. ცხრამეტს მორიგე ვარ. ან წინ, ან უკან რომ შემხვედროდა, კარგი იყო: ორი დღე მექნებოდა თავისუფალი. შეიძლება სხვა დროს მოვახერხო სწავლის დროს ჩამოსვლა და მაშინ დავიცლი თქვენი გიმნაზიის საუნივერსიტეტო სასახლესა. ზაქროს ძიელ მოწონებია ეს სასახლე. გუშინ ამათსა ვიყავი სადილათ: ანეტობა იყო, მიულოცე და ალარ გამომიშვეს. კოტე მესხს<sup>3</sup> ჩინებული დღესასწაული გაუმართეთ: ოცი თუმანი ფულიც ჩასჭიბა და, ამბობენ გულ ნაცლულად წავიდაო. საქმე იმაშია, რომ მიღოცის დროს კოტე ელიოზოვმა<sup>4</sup> ოცი თუმანი ფული მიართვა გორელ ქართველი სახოვალოების სახელით. მესხს ჰერიტენი, რომ ეს ფული წარმოდგენის გარეშე შეუკრებიათო და მეორე დღეს მოითხოვა თურ-



მე წარმოდგენის შემოსავალიცა. როდესაც გაეგო საქმის ვითარებულობის  
სწყენოდა და ეს წყვენა ვგონებ სიტყვებითაც გამოიტევა. არავითობის  
უფლება კი არა პქონდა ამისა. დიდის პატივისცემით დახვდა საზოგა-  
დოება. ჩინებული ვახშამი გაუმართა, რომელსაც 70 კაცი დაესწრო.  
კაი ხანია ოლარ მინახევს ესეთი მხიარულება, მშვენიერი სიძლერები და  
დაუსრულებელი ქება-დიდება იუბილიარისა. რაღა უნდოდა?.. მე  
ვგონებ რომ ჩევნ გადავაჭარბეთ კიდეცა! ასეთი დახვედრა პირველ  
ხარისხოვან მოღვაწეს შეშვენოდა და არა მესხსა. კკვიანმა მოღვაწემ  
განა ფულების რაოდენობით უნდა ასწონოს საზოგადოების პატი-  
ვისცემა? ახლა ეკ. გაბაშვილის დღესასწაული წამოაყენეს<sup>5</sup>, რაღა  
თქმა უნდა, კარო ლირსია გულითადის პატივისცემისა, მაგრამ მეტის-  
მეტიან გაახშირეს ესეთი დღესასწაულები და ლამის თავი მოაბეჭროს  
ხალხსა. მე არ მახსოვეს, ჩემო დედა; რომ თდესმე მეტქვას: ეკ. გა-ლის  
დღესასწაულში მონაწილეობას მივიღებ-მეტქი და არ უიცი მესხის  
ცოლს რათ უთქვაშს შენთვის ეს სიტყვები? გუშინ მომიერდა კომი-  
ტეტის ქალადღი. გვთხოვენ შევატყობინოთ რა გვარად მივიღებთ მო-  
ნაწილეობას ეკატერინეს დღესასწაულში. მალე შევიკრიბებით და,  
ეპვი არ უნდა, გადავწყვეტო გამოვგზავნოთ წარმომადგენელი და  
მივართვათ აღრესი. მე, ვგონებ, ვერ წამოვალ. მთავრობის ჩუმათ  
ვერ მოვახერხებ: უსათუოდ მეორე დღეს გაზეთებში იქნება აღწერი-  
ლი. დირექტორს კი არ მინდა ვთხოვო სხვა და სხვა მოსახრების გამო.  
გამოვგზავნით თედოს<sup>6</sup> და მაშოს<sup>7</sup>, კეზელის ცოლსა. მე აღრესს დავ-  
წერ და გამოვატან.

ლ. ბოცვაძის სიტყვები ჩემთვის დიდათ სასიამოვნოა. მე, აბა სადა  
მაქეს შეძლება ჩემი მოთხრობის გამოცემისა. თუ გამოსცემს, მე არა-  
ფერი არ მინდა. მაგრამ უფრო სასიამოვნო იქნება ჩემთვისა, რომ გა-  
მოიცეს ერთ წიგნათ „ქაჯანა“, „პარია მეგობრები“, „ალი“, „ყუვე-  
ლის მხრიდან“ და „ბერუა ქრისტესიშვილი“. მე ვგონებ, რომ მოს-  
წავლეთათვის ყველა ამ მოთხრობათა წაკითხვა სასარგებლო იქნება  
როგორც კლასში, ისე კლას გარეთ. ბავშვები დიდის ხალისიანობით  
კითხულობენ მათ და იმედია რომ საზოგადოებაშიაც გზას გაიკვლე-  
ვენ. მაგრამ თუ ეს ვერ მოხერხდა, მარტო „ბერუა“ გამოსცეს, იყენე-  
ნება ლუარსაბისა<sup>8</sup>.

დღეს მივიღე ნიანის<sup>9</sup> წერილი. მწერს კურსების დახურვას. თუმ-  
ცა ეს ასეაო, მაგრამ ჩევნ მაინც თებერვლის გასულამდე აქ უნდა  
დავტეთო, რაღან შეიძლება რაიმე ცვლილება მოხდეს აწინდელ  
მდგომარეობაშიო. ძიელ არ მიამა საქმის ასე დატრიალება და თუ  
მთავრობამ თავის მუქარაც აღსრულებაში მოივენა, ცუდათ დატრი-  
ალდება ნია-იულის<sup>10</sup> მომავალი. და ან რა დაუშლის, რომ არ განახორ-  
ციელოს ეს მუქარა? ცუდი იქნება! იმ პეტერბურგში ცხოვრებას რაც

მალე გამოეცლებიან, ისა სჯობიან. საქმე კი ისე მიყიალებს, რომ ვაჭული თუ რამდენიმე წლობით გაუგერლდეთ კიდევ იქ ყოფნა. ნინჯას ტუშულები იღად ეშინიან მომავალი წლისა. დარწმუნებული ვარ მაგას თირჩევენ მერმისაც. ოხ, მართლა როგორ იქნება საწყალი ლიზა<sup>11</sup> შეწუხებული ზურაბის<sup>12</sup> გამო... ჯერ გიმნაზიის ისტორიით რანიარ დასტანგა და ახლა კიდევ უნივერსიტეტში გახლართულა საქმეში. ნე თუ ვერ ხედავს თავისი დედის და მთელი ოჯახის აწყო მდგომარეობას? ორ-მოცდაათი სტუდენტია ოდესაში გამორიცხულიო... სჩანს ამ მცირე (საერთო რიცხვთან შედარებით) რიცხვში ისიც მოპყოლია... სჩანს რომ ფრთხილად არ იქცევა..

ვინ არის, დედა, ეგ ბაქრაძე<sup>13</sup>, კომიტეტის წევრი? ამერელია, თუ იმერელი? ყმაშვილი კაცი, თუ ხნიერი? ერთ ჩემი ხნის იმერელ ბაქრაძეს მეც ვიცნობ. ის ხომ არ არის, ნეტა?

ჩვენ ყველანი კარგათა ვართ. დიდი-დედა, ჩვენები, ფურცელაანი<sup>14</sup> და სხვანი. აქ დიდი თოვლი მოვიდა, მაგრამ ყინვას კი მაინც არა ეშველა რა. გუშინა და დღეს შვენიერი თბილი, მზიანი დარია... თოველმა იწყო დნობა, ქუჩებში ნაკალულები მიწანწყარებენ და მღერიან: გაზაფხული დაღვაო, ხეში წყალი ჩადგაო და სხვ. თქვენსკენა, დედა?... იაკობი<sup>15</sup> როგორ არის?.. ლუარსაბს ეცოდინება.

მოკითხვა ბოცვაძეს, კარიქაშვილს და მირიანაშვილს<sup>16</sup>.

6. ლომოცხანი ყველანი მამიკითხე. როგორ არიან?  
1911 წ. თებერვლის 5-ს

- „დ ე ლ ნ ი კ თ“ — 6. ლომოცხანის უფროსი ქალის თამარ ლომოცხანის მოფერებითი სახელია.
- დედანიში წერია დუეტინი.
- კოტე მესხი (1859—1914) — ცნობილი შახათობი და დრამატურგი. 1911 წლის იანვარში ქ. გორის საზოგადოებამ გაუმართა დიდი საიუბილეო საღამო
6. ლომოცხანის მონაწილეობით.
- კოტე ე ლ ი ო ზ ე ვ ი — ექიმი კონსტანტინე ჰალხაზის ძე ელიოზიშვილი,
6. ლომოცხანის მეგობარი.
- ლაპარაკია ეკ. გაბაშვილის სამწერლო მოლვაშვილის გამო იუბილეს გადახდაზე.
6. თე დო რაზიკაშვილი (1869—1922) — პედაგოგი, მწერალი და საზოგადო მოღვაწე.
7. ვაშო — ცნობილი შოღავაშის დავით კეჭელის ცოლი.
8. ლუარსაბ ბოცვაძე (1867—1919) — ბედგოგი, საზოგადო მოღვაწე, ეურნ. „განათლების“ რედაქტორი. 6. ლომოცხანის ახლო მეგობარი. 1913 წელს ლ. ბოცვაძის წინასტყვაობით გამოვიდა 6. ლომოცხანის მოხარობა „ქაფანა“ და უფლება მხრიდან.
9. ნიანია — 6. ლომოცხანის უმცროსი ქალის ნინას მოფერებითი სახელია.
10. ნიაია ულა — იგულისხმება ნია და იულინი, 6. ლომოცხანის შეილები, რომლებიც სწავლობდნენ პეტერბურგის უმაღლეს სასწავლებელში.



11. ლიზა — სოსიეთ ინსების ძე ბაქრაძის მეუღლე.
12. ზურაბი — ექიმი ზურაბ ინსების ძე ბაქრაძე.
13. ლაპარაკია სპირიდონ ბაქრაძეშვილი — პროფ. კოტე ბაქრაძის მამაშვი, რომელიც იყო შიგრუნველი კომიტეტის წევრი სათავადაზნაურო გიმნაზიისა, საღაც მასწავლებლობდა ნ. ლომიოდის უფროსი ქალი თამარი.
14. ლაპარაკია დაეთ ფურცელაძის (დამსახურებულ პედაგოგ სოლომონ ფურცელაძის მამის) ოჯახშვი.
15. იგულისხმება იყომ გოგებაშვილი.
16. პეტრე მირიან შვილი (1860—1940) — ცნობილი პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე.

## ზორი და გამოცემა

ილია სამსონის ქე ფანცულადა ერთ-ერთი უკანასკნელი ქართველი პოლევაწე იყო ათონში. მას გარტვეული ღვაწლი მიუძღვის ათონის ქართული ხელნაწერების მოვლა-პატრიონბის, ალრიცხვის და ზოგიერთი მათვანის გადაწერის, საქართველოში გამოგზავნისა და ჩამოტანის საქმეში. ის ენერგიის არ ზოგადად მწიგნობრულ-ლიტერატურული საქმიანობისათვის საქართველოს საკუთალდღეოდ. მას არაერთი ქართული ხელნაწერი გადმოუწერილ პროფ. ალ. ხახანაშვილის დავალებით. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ქ. კეკილიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტრუმენტი დაცულია მისი პირადი არქივი და მის მიერ ჩამოტანილი რამდენიმე ქართული ხელნაწერი. ილია ფანცულადა ნისტემატურად უგზავნიდა წერილებს ცნობილ ქართველ მოლვაწეებს, აწვდიდა მათ ცნობებს ათონის მდგომარეობის შესახებ.

ილია ფანცულადა 1929 წელს თბილისშია, ათონის მონასტრიდან ჩამოსული. მისი უკანასკნელი წერილი თბილისშია დაწერილი 1929 წლის თარიღით, ხოლო ათონიდან გამოგზავნილი ყველაზე აღრინდელი წერილის თარიღია 1900 წლის თებერვალი. ვაკევეყნებთ მისი წერილების ტექსტებს; ერთი მათგანი მის მიერ საქართველოში ჩამოტანილ პერვანენტზე ნაწერ XI საუკუნის ხელნაწერს შეეხება. აქვე ვაკევეყნებთ პროფ. სარგის კაჯაბაძის წერილს გორგი ლეონიძისადმი, რომელიც წარმოგვიღებს ლიტერატურის მუზეუმში დაცული ათონური ხელნაწერის ისტორიის დასასრულს.

სირა ჭიჭინაძე

მის მაღალ კეთილშობილებას  
 ღრმად პატივცემულს უ. მოსე ჭანაშვილს! <sup>2</sup>

მოგზაურმა რუსის მღვდელმონაზონმა თეოდოსიმ მოგვიტანა თქვენგან გამოგზავნილი პირველი ნაწილი ისტორია საქართველოსა რუსულ ენაზე და ოწაც იმედი გვაქეს, რომ რამდენ ნაწილსაც გამოსცემთ ამ საგანზედ, ჩვენს აქაურს სავანეს გამოუგზავნით და რომელსაც ახლა გვპირდებით გამოგზავნას თქვენ მიერ გამოცემულის შესახებ საზღვარს გარეშე ქართველთ მონასტრებისას გვიბოძებთ, რომელზედაც დავშთებით დიდი მაღლობელი.

თქვენი მაღალ კეთილშობილების საღმოო ასპარეზის შრომის წარმატების მსურველნი — ი. ფანცული ა. 164

წ. ოთონის ქართველთ (სავანისა) წ. იოანე ღვთის მეტყველის სავანის კონფერენცია  
სა მართველი ღვდელმონაზონი იოან მ.



თებერვალს 1900 წ.

\* \* \*

ათონის ქართველთა მონასტერი  
12 ნოემბერი 1911 წ.

მის მალალ კეთილშობილებას ბატონ მოსე ჯანაშვილს!  
მოწყალე ხელმწიფეს!

უწინარეს ყოვლისა მოკითხვას მოგანსენებთ სიმღაბლით და ვთხოვ  
მამა ღმერთს თქვენს სულით და ხორცით წარმატებას სურეილისამებრ  
ქვეყნისა.

ამას გარდა, ბატონო მოსე, თქვენ რომ ბერძნული დაბადება მიბრ-  
ძანეთ გამომიგზავნეო, ვეღარ ვიშოვე ალექსანდრიის მთარგმნელების  
რეჟისტრებით. რაოდენი ვეცალე, მაგრამ მძიმედ იპოვება. ახლა ის მი-  
თხრეს, თუ საღმე ვიშოვე დაბეჭდილი პირი იგიც კარგი არისო,  
სხვებს სჯობიათ და თუ გნებავთ გამოგიგზავნით თუ იმნაირი არ არი  
თქვენ რომ გვინიათ 1892 წლის. თუ გნებავთ მომწერეთ და მოგართ-  
მევთ. ამდენ ხანს დამაგვიანდა პასუხი, მაგრამ მიზეზი იყო, რაღაცა  
დაბრკოლებები შემხვდა, რაღაცა პასპორტის პასროჩები არისო, 200  
მანეთამდე გადამახდევინეს და მისთვის დამაგვიანდა. სხვა ბატონო მო-  
სე, გულითადი მწუხარებით გაუწყებთ ჩვენ ამბავს: ასეთ ლელვაში  
გართ აქაური ქართველი ბერები, მეტი აზ შეიძლება ბერძნი ბერე-  
ბისაგან... ბატონმა ცაგარელმა<sup>3</sup> ბრძანა შინაურულად შეიძლება მა-  
გენთან მორიგებაო. რასა ბრძანებთ, მორიგება კი არა 20-მა მონასტერ-  
მა რაპორტი შეგვიდგინა და ხელი მოაწერეს, რომ ქართველი ბერები  
გაყარონ და როგორ იქნება ჩვენი საქმე, აღარ ვიცით. ეს მეორეჯერ  
არის ასე. ახლა გამოგვიცხადეს — ძველ მონასტერებს ვჩიოდით და  
ძელი კი არა, ამასაც გვართმევენ და ჩვენი საზოგადოება ერთ ხმას არ  
იღებს. იქ ჩვენში დამჯდარა ბერძენი ბერები და იმოდენა ფული  
მიაკვთ და ჩვენი ნაყიდი, ერთი მილიონი ფული ჩაყრილი, უნდა წაგ-  
ვართვან... ამისთანა უსინდისობას სჩადიან, რომ კალმით აღწერაც არ  
შეიძლება. ვარძიის ღვთისმშობელმა ნუ შეარგოთ ბერძნებს, რაც ქარ-  
თველების სისხლით არის დანთხეული.

ასე არი ჩვენი საქმე და როგორ დაბოლოვდება აღარ ვიცი. თხოვნა  
მიეცი რუსის ელჩს და თათრის ვეზირსაც.

გთხოვთ ბ. ვასილ კარბელოვი<sup>4</sup> მომიკითხოთ სიმღაბლით. იმას კი-

დე რაღაცა დავპირდი ბერძნული წიგნები, მაგრამ ახლა იმის დროის რეზუმეზე  
გვექვს და მერე ენახოთ.

მღაბალი ღვთისადმი მღოცველი მღვდელი მონაზონი ილია ფანცუ-  
ლაია.

\* \* \*

თონის ქართველთა შონასტერი  
1911 წლის 8 მარტი

### თქვენო აღმატებულებავ ბატონო მოხე!

უწინარეს ყოვლისა მოგიკითხავთ მე გლახავი ესე ბერი და ყოვლის  
შემძლებელს ღმერთს ესთხოვ თქვენს შემიღობით ცხოვრებას ყველა  
თქვენი ნათესავებით. ამასთანავე უმორჩილესად გთხოვთ ერთი თქვენი  
თავშე შრომა მიიღოთ და წერილით მაცნობოთ, მუზეუმში ტიბიკონი  
რომ არის, იმაში ნახოთ 2 თებერვლის მირქმის დამთხვევა, უკვე თუ  
მარხვის პირველ ორშაბათს დაემთხვევს ვითარცა ამ წელში სის უჩენს.  
ჩვენი სადღესასწაულო ტიბიკონში და სლავინურში ერთნაირად სწე-  
რია — გადმოაქვს აქეთ ყველიერის კვირაში, ხოლო ბერძნებმა იმ დღეს  
იდღესასწაულეს მათი ტიბიკონისახბარ წირვის იოვანე ოქროპირით  
და გახსნეს ზეთი ღვინით, და რუსებიც რამოდენიმე შეუერთდნენ  
მას და რამოდენიმე გაემიჯნენ ამისგან. ჩვენ ძალიან გვიკვირდა ასეთი  
შემთხვევა, ამიტომ გვამტყობინებენ კარგი არ ქნიოთ და ამისთვის  
გთხოვთ ესე საქმე გამიგოთ ჩვენ ხელნაწერ ტიბიკონში როგორ სწე-  
რია, და ანუ როგორ გადაიხადეს ეს დღესასწაული ჩვენში.

ამასთან ბატონო მოსე არ შემიძლია ჩემი უზომო გულისტკივილი  
არ გაგიშიაროთ: ამ დღეებში უზრნალ „ქლდისა“ ნომრებში წავიკითხე,  
კითომც ჩვენი საეკლესიო მუზეუმი გადააქვთო, რამაც უზო-  
მოდ შემაწუხა: ისე როგორ დაბეხავდა და ლმერთი გაუწყრა ჩვენ  
საზოგადოებას მისი შენახვა ჩვენში ვერ მოხთეს. არა კმარა რაც და-  
იყარგა და უცხოელებმა დაიტაცეს და ხელა ჩვენ სანახავად გვენატ-  
რება! და ეგაც გინდათ რაღაც ერთი ბეჭო დაგვრჩენია და სამუდა-  
მოდ ჩვენ სამშობლოს დაუკარგოთ? ამას მე როგორც უწაველელი  
კაცი ვიდრე სისხლის დათხევამდე არ დავთანხმდები. თუ რომელიმე  
ნასწავლი და ჰქუიანი კაცი ამისთანა საქმეს დაემორჩილება მკვდარ-  
თავან არად განირჩევა, ანუ და ჩვენი მეზობელი აგერ ბერძნები ხუ-  
თასი წელია ისმალეთის ხელში იმყოფება და იმათ თავიანთ ძეირფა-  
სი ნივთები რამოდენი აქვთ შენახული, რამდენი უბედურება დაიტა-  
ნეს. ნუ თუ მუზეუმს ჩვენში ადგილი არ მოეპოვება? შორს რომ არ  
წავიდეს, 1821 იანვება რომ იყო საბერძნეთში, მაშინ რაც უბედუ-  
რება დაატყდა ბერძნებს, ვინ გამოთქვამს. ივერიის მონასტერში



ახლაც არი ერთი ძირი კვიპაროსის ხე, სადაც ერთი ივერიის არხი უმარიანობაში  
მანდრიტი გრივორი მიაბეს და თითო თითოთ კბილები დააძერეს და  
ზურგშე ტყავი ააძრეს და ეგრე მოკლეს. კვიჩვენე საუნჯე სადა გაქტ-  
თო, მაგრამ არ გასცა მაინც და დღესაც ინახება საუნჯეში ძვირფასი,  
ჩვენი მეფეების გვირგვენები და სხვა მრავალი ნივთი და თორნიკე  
ერისთავის საჭირველი მოდენი წლის განმავლობაში და არ დაკარ-  
გულა. და ჩვენ რა ღმერთი გაგვიწყრა ეს ერთი ბეჭრ რაღაცა დარ-  
ჩენილი ვერ შევინახეთ, თუ ეს მართალია, ახლა აღსრულებით ჩვენი  
ეკლესის მტრებს რაც მრავალუამია რომ სურდათ მაგისი გადატანა,  
მადლობა ღმერთს ამ ომიანობამ ხელი შემიშალა, თორემ ჩემი ძვირ-  
ფასი წიგნები მანდ უნდა გამომეგზავნა და იმასაც უცხოეთში გაამგ-  
ზავრებდნენ.

თქვენი მარადის მლოცველი და მომხსენებელი მდაბალი მლევდელი  
მონაზონი ილია ათონელი.

\* \* \*

8 ივნისი 1915 წ.

### თქვენი აღმატებულებავ დიდათ პატივცემულო ბატონი მოხა!

უწინარეს ყოვლისა მოვიყითხავთ სიმდაბლით და გისურებთ გან-  
მრთელობით და მშვიდობით მრავალ უამ სიცოცხლეს... სხვა, ბატონი  
მოსე, ულრემს მადლობას გიხთით, რომ თქვენ თვაზე შრომა მიიღოთ  
ჩემი თხოვნისათვის და გაზეთის საშუალებით მაუწყეთ საქმაო ცნო-  
ბები მირჩმის დღესასწაულის შესახებ. სხვა, ბატონი მოსე, კიდევ  
კეთილი ინებეთ და დამავალეთ გაზეთი „სახალხო ფურცლის“ რე-  
დაქციასთან შუამდგრმლობა გამიწიეთ, რომ გაზეთები გამომიგზავნოს  
ერთი წლის ვადით. მე ორგერ მივწერე წერილი, მაგრამ ყურადღება  
არ მომაქციეს, როგორც უენო პირს. მარტო ხუთი თუ ექვსი ნომერი  
გამომიგზავნა, მეტი არა. და ახლა ამაზე წინათ უურნალ „კლდის“  
ერთ ნომერში ეწერა ყველას მოუსპო „სახალხო ფურცლის“ რედაქ-  
ციამ, უფასოთ გაზეთის გაზიავნათ და ახლა ამის გამო სულ იმედი  
დავკარგე გაზეთის გამოგზავნისა და ამისთვის უმორჩილესად გთხოვთ,  
ჩემ მაგირ პირადად მითხოვოთ რედაქტორთან, თუ შეგნვდეთ სადმე  
ერთი წლის ვადით გამომიგზავნოს და ფულს როგორც გზა გაიხსნება,  
მაშინვე გამოუგზავნი. თუ კიდე არ ქნას მაშინ თუ შეიძლება იმოდე-  
ნი კეთილი ინებეთ თქვენ მიეცით 10 მანეთი და როგორც გზა გაიხს-  
ნება, მაშინათვე მოგართმევთ. ახლა აქედან აღარ შეიძლება ფულის  
გამოგზავნა და აბა, რა ვქნა.

თქვენი დიდი პატიოსნების მქონე მდაბალი მხეთისათვის მლოცველი  
მლევდელ მონაზონი ილია ათონელი.

ამასთანავე გაახლებთ ტყავზე ნაწერი პატარა სახარებას, რომელიც  
მე მოტანილი მაქვს ძველ ათონიდან, რაღანაც ძალიან გაჭირვებაში  
ვარ, გთხოვთ მომიხერხოთ ამ სახარების განაღლება რომელიმე და-  
წესებულებაზე.

მღვდელმონაზონი ილია სიმონის ძე ფანცულ აია

4/I-29 წელი

\* \* \*

### ლიტერატურული მუზეუმის დირექტორს 8

გთხოვთ შეიძინოთ ტყავზე დაწერილი სახარება — ოთხთ. ფერადი-  
ანი მინიატურით ჩამოტანილი ათონიდან მღვდელმონაზონ ილია სი-  
მონის ძე ფანცულაიასაგან, რომლისაგან მე ეს სახარება შევიძინე  
1929 წელს. ხელნაწერს თან აქვს გაკეთებული იარლიკი № 1 (ათონის  
მონასტრის წიგნსაცავისა). სახარება მიეკუთვნება დაახლ. მე-13 ს-ნეს  
და წარმოადგენს ერთ-ერთ მეტად საინტერესო ხელნაწერს ქართული  
ოთხთავისას. თავისი ტექსტით ის უდგება ეგრეთ წოდებულ ჭრუჭი-  
სეულ მე-10 ს-ნის ხელნაწერს.

17/X-44 წ.

კაკაბაძე სარგის

მოსკოვის ქ. № 13

თბილისი

1. ალექსანდრე სოლომონის ძე ხახანაშვილი (1866—1912) —  
ცნობილი ქართველი ისტორიკოსი, ლიტერატურის ისტორიის მკვლევარი.
2. მოსე გიორგის ძე ჯანაშვილი (1855—1934) — ცნობილი ქართველი  
მეცნიერი, საქართველოს ისტორიის, ქართული ეკლესიის ისტორიისა და ლი-  
ტერატურის მკვლევარი.
3. ალექსანდრე ანტონის ძე ცაგარელი (1844—1929) — ცნობილი  
ქართველი ენათმეცნიერი, ისტორიკოსი და ფილოლოგი, პროფესორი.
4. ვასილ გრიგოლის ძე კარბელიშვილი (1858—1936) — ქართველი  
მუსიკოსი, მწერალი და საზოგადო მოღვაწე, სისულიერო პირი, ეპისკოპოსი.
5. რურნალი „კლდე“, ქართველი ნაც.-დემოკრატების ორგანო, გამოიცილა თბი-  
ლისში 1914—1917 წლებში, რედაქტორ-გამომცემელი დ. ჭორაძე.
6. სარგის ნესტორის ძე კაკაბაძე (1886—1967) — ცნობილი ქართ-  
ველი ისტორიკოსი, ლიტერატურის მკვლევარი, პროფესორი.
7. გიორგი ნიკოლოზის ძე ლეონიძე (1899—1966) — ცნობილი ქართ-  
ველი ისტორიკოსი, სახელმწიფო ლიტერატურის მუზეუმის დირექტორი 1931—  
1952 წლებში.

## დღიური 80\*

სრულიად ახალგაზრდა გარდაცემალა მწერალი ქალი ქეთევან ნიკოლაშვილის ასული ირემაძე. მის კალამს ეკუთვნის მონოგრაფიული შრომები, კრიტიკული წერილები და ნარკევები, დადია მისი დამსახურება თარგმანის დარგშიც.

როგორც მწერალი, იგი განსაკუთრებული სიმპათიით იყო განწყობილი და გამოჩენილთა და გამოჩენილთა მიმართ, ოცნებობდა ყოფილი მემატიანე ქართველი ქალის ღვაწლისა, მისი სულიერი სისტემისა.

მიუხედავად ხანმოქლე სიცოცხლისა, მან ამგი და სიყვარული მიუზღვის მანძილზე მიიღიშებულ მწერალ ქალებს. იგი წერდა მათზე-ეგებდა მათ პორტრეტებს არქივებსა და მუზეუმებში; ეძებდა მათზე ცნობებს და მასალებს იქ, სადაც მწერალს უცხოვდა და უმოღვაწნა, ვისთანაც მეგობრული ურთიერთობა ჰქონდა.

მიერწყებულ ქალთა შეირის ერთ-ერთი მთავარი ადგილი ქეთევან ირემაძემ ბარბარე ჭორეგაძეს მიიყუთვნა. დაწერილი აქვს მონოგრაფიები ნინო თრბელიანისა და ეკ. გაბაშვილიზე.

რომანტიკული გატაცებით არის დაწერილი შეის ისტორიულ-ლიტერატურული ნარკევები: „ჩერებეზის ქალი ასე”, „აქართველი ქალები”, „ვინ იყო ვერორი ლექსისა „ისევ შენ და ისევ შენ” და სხვ.

პრიფესორი მიხეილ ზანდუაელი, რომელიც ქ. ირემაძის შემოქმედებით მუშაობს თეატრუს ადგენებდა, წერდა: „ქეთევან ირემაძე, ჭერიადევ უნივერსიტეტში სწავლის დროს, ცხოველ ინტერესს იქნდა ლიტერატურული, კერძოდ, ქართული ლიტერატურული მოვლენების შესწავლისადმი... ქეთევან ირემაძეს, უდაოდ, ახასიათებს ლიტერატურული მოვლენის მრავალმხრივი გულდასმითი შესწავლა, უნარი, გამოქუს პირველხარისხოვანი მასალა მეორეხარისხოვანისაგან, მაგრამ თრივე კატეგორიის მასალის შესწავლა სიყვარულითა და გულმოდგინებით...”

ქ. ირემაძის არქივში ბევრია ისეთი მასალა, რომელიც ჭერ არ გამოქვეყნებულა.

მეოთხველს კთავაზობთ მის დღიურებს, რომელიც მოიცავს მხოლოდ 1940 წლის და 1941 ახალი წლის პირველი დღეების პერიოდს.

ლილა აფაქიძე

\* იმექსიდება მცირეოდენი შემოკლებით.

დავესწარი ი. გოგებაშვილის ხსოვნის აღსანიშნავად გამართულ სა-  
 ღამოს. ეს საღამოც, როგორც მრავალი სხვა, ჩვეულებრივად ჩატარ-  
 და... კარგი იყო მხატვრული განყოფილება, რომელიც „დედა ენაზე“  
 იქნა აგებული. აქა-იქ შევეჩერე მწერლებს, საერთო განწყობილება  
 არ არის სახარბიერო, უთუოდ საქალაქო კრების მოლოდინის გამო.

## 29 ოქტომბერი

საღამო ხანია... ვიღაცამ ტელეფონით დარეკა, ნაცნობმა ხმამ გა-  
 მომარტვია: მიხა, ჩვენი მიხა! სოხუმში ჩასულა და იქიდან თბილისში  
 ჩამოვიდა. მზრუნველობით მეკითხება დედაზე, ლალიკოზე<sup>2</sup>, შალვაზე.  
 პო, რა მტკიცნეულია ჩემთვის მასთან გამოსაუბრება... აღარ მიკი-  
 თხავს. ვიცი, რომ იგი მასთან არის მუდამ, მხოლოდ ჩემთან ყოველ-  
 თვის სდუშმს, ვიცი, მესმის ყოველივე, მაგრამ ჩემს ჭრილობას ხომ  
 ვეღარაფერი გაამოვლებს. დავპირდი ხვალ ვინახულო.

„შალვა<sup>4</sup> მწერალთა საქალაქო კრებაზე მიიჩიარის. არავითარი გან-  
 წყობილება არა მაქეს იქ წასვლის. განა წინასწარ არ ვიცი, რაც იქ-  
 ნება?..

## 30 ოქტომბერი

დღის ორ საათზე მე, შალვა და დედა<sup>5</sup> წავედით მიხასთან. ექვსი  
 თვეება არ მინახავს, კარგად გამოიყურება: გვესაუბრება ინგლის-გერმა-  
 ნის ლმზე, სახერძნეთისა და იტალიის შეტყვების შესახებ. სშირად  
 უნებლივედ დაიწყებს გამაზე საუბარს და კვლავ შესწყვეტს. იგონებს  
 მის უსამართლო განსხას, აწერს ამას ცალკეულ მახინჯ მავნებელთ.  
 ერთ რამეს ვატყობ, როდესაც მიხა მესაუბრება, თვალებში არ შე-  
 მომცეკვერის, ვგრძნობ, რომ ეს მას უმძიმს, ჩემი თვალები ხომ მამაჩე-  
 მის თვალებია, იგი მას უყვარდა, უყვარდა წრფელის მშობლიური  
 გრძნობით.

## 31 ოქტომბერი

კარგ განწყობილებაზე ვარ, დრეს მიხა ჩვენთან არის სადილათ.  
 ვცდილობ, რაც შეიძლება მეტად დავიცვა ქართული სუფრის თავისე-  
 ბურება (იგი ამას ხომ მოკლებულია მოსკოვში). სუთი საათისათვის  
 ყველანი შეიკიბნენ. მიხას თან ახლავს პირადი მდივანიც, მასხულია.  
 შალვამ მოიყვანა ი. აბაშიძე, ს. ეული. ყველანი მოწიწებით, კრძალვით  
 შეჰქონილებენ რევოლუციის ვეტერანს.



მიხა გამხიარულდა, შეავლო რა თვალი ჩემი ოთახის მორთულობაზე გას, ფუტურისტულად შეაფასა იგი.

მივუსხედით მაგიდას. მიხა ოხუნჯობს, რომ ყოველიერს გაანადგურებს, საქმიარისი იყო დაენახა წიწმატი, რომ აღადგინა, თუ რა დიდი აღვილი განკუთვნა გაზეოთმა „ივერიამ“ წიწმატის სარგებლობის შესახებ. იგი დასძენს, რომ ეს სტატია მსხვილი შრიფტით დაწერილი იყო ივერიის მეოთხე გვერდზე. გადადის წარსულში, მას ხომ ფენომენალური მახსოვრობა აქვს. რა არ აღდგება თქვენ თვალშინ. აი, პარტიის მესამე ყრილობა. ლენინის და მიხას საუბარი. მიხას მიერ ამ ყრილობაზე მოხსენების ჩარსიკის სახელით. აი, იგი გადადის ეკატერინოსლავში, შეეიცარიაში. აგრე თვით სემინარიაც, ლალიაშვილის მიერ ჩუდეცის მყვლელობა, ლალიაშვილს თურმე სწადდა ეგზარჩოსის მოკვლა, იგი არ დაუხვდა ოთახში და შემდეგ შევიდა ჩუდეცისთან და იგი მოჰკლა. მიხა იგვიშერს დაწერილებით მოვლენების სურათს. აქვე დასძენს ჯერ კიდევ მაშინ თვეის, შეხედულებას ტერორისტული აქტისაზმი. ლალიაშვილის გადასახლება, სახალინი, შემდეგ ამერიკა, თვიციანტის თანამდებობაზე მუშაობა ტომას კოკის სახელით, ამავე სახელით აგზავნიდა იგი თურმე სამშობლოში წერილებს.

ს. ეჭლი უკითხავს მიხას, ჯერ კიდევ 1921 დაწერილს მისაღმი მიძღვნილ ლექსის. შევატუე, ნასიამოვნები დარჩა. ეულმა წიგნიც გადასცა. მიხა იცინის და იგონებს, თუ როგორ სკეპტიკურად უყურებდა ეულს წარსულში, როგორც პოეტს. მოიგონა, არალეგალურ მდგომარეობაში, როგორ უზიდავდა იგი მიხას ძეხვებს, საუბარი გადადის მწერლობის შესახებ, მათს ლევოვში გამგზავრებაზე. მიხა ხანგრძლივად შეჩერდა მაშინი გორკის შემოქმედებასა და მიშვნელობაზე, მოუწოდა ქართველ შეწრალთ ღირსეულად ატარონ მისი სახელი.

აბაშიძემ მამიჩემს ხსოვნის აღსანიშნავი საღლეგრძელო შესვა, გული შემექუმშა, მიხა წამოდგა, მაღლობა გადაუხადა. კარგა ხანს გასტანდა ჩვენი საუბარი, თუ არა ის საქალაქო კრება მწერლებისა, რომლის გაგრძელება ამ ღლისათვის იყო დანიშნული. წასვლისას, ჩემი საწოლის წინ ჩამოკიდულ მამიჩემის დიდ სურათთან კარგა ხანს იღვა მიხა. „სულ ცოცხალია“, „ვინ გააკეთა ეს სურათი“, „რამდენ ხანში“, თვალებიც შეენამა. წავიდნენ. გადავწყვიტოთ გავაცილოთ მიხა საღგურზე.

იგი უკვე მოსკოვს მიემგზავრება.

## 1 ნოემბერი

სადგურზე ვართ. ჩვენს გარდა სხვებიც მოსულან. აქვეა დედაჩემიც, ზოგი რამ სამგზავროდ შეუმზადებია მიხასათვის. „მიხა ქმაყო-



ფილია გუშინ დელი საღამოსი<sup>6</sup>, — მეუბნება მდივანი, ვჩქარობთ ფულები ლანი, ვეშვი იღობებით. მიხა იპატიებს მწერლებს თავისთან მოსკოვში, მიმართავს ეულს, აბაშიძეს, ჩამოდით მოსკოვს, გამოიარეთ ჩემთან, ჩაის დაგალევინებთ.

მატარებელი დაიძრა...

## 2 ნოემბერი

შალვა მთხოვს გავავე ფეხბურთის თამაშზე. ხალხი მეტად გატაცებულია ფეხბურთის თამაშით. მაკვირვებს, ასეთი თავდავიწყება და ინტერესი. მან ხელოვნებაზეც მეტი უპირატესობა მოიპოვა.

## 3 ნოემბერი

საღამო ხანია, გავიარე იონა ტუსკიასთან. იონა ჭეშმარიტად ხელოვანია, კარგი და კეთილი ადამიანი. ალელვებულია თავისი მომავალი ოპერის<sup>7</sup> გამო. მიამბობს, თუ როგორ მოხსნეს ეს ოპერა ლიბრეტოს გამო, მაგრამ ზოგიერთ პირთა ჩატარებით, კვლავ განაახლეს. მოიგონა შოსტაკოვიჩის ამბები და ისიც, თუ თვითონ როგორც კომპოზიტორთა კავშირის ხელმძღვანელმა როგორ ჩატარა მოხსენება მის შემოქმედებაზე. მოხსენება ლმობიერი იყო, რაც თავის დროზე „პრავდამაც“ აღნიშნა.

შოსტაკოვიჩი<sup>7</sup> მოსკოვში შეხვედრისას მეტად ამრეზილი შეხვდა მას. შევატყე: შოსტაკოვიჩის და რამდენიმე მუსიკოსის ჩამოსვლა ამაწლის ნოემბრის დამლევს ქართული მუსიკის დეკადისათვის იონას აღელვებს...

## 4 ნოემბერი

შუალდისას დამირეკა ნუცა ჩხეიძემ. კმაყოფილებით მაცნობებს, რომ „ლალატის“<sup>8</sup> დადგმა უცვლელად არის განზრაზული.

## 6 ნოემბერი

ნაშუადღევს მე, დედა და ლალიკ გავემართეთ მამის საფლავზე, ჰო, შემოგველოს ჩემი თავი, მამავ ძვირფასო! არა მგონია, ცდუნებაში შემყავდეს ჩემი თავი, როდესაც შენს საფლავს დავყურებ, შენ გრძნობ ამას, შენ გიხარია იგი, უკ, ჩემო, უდროოდ, ძალად დალუპულო! რა რიგად გწადდა სიცოცხლე! მაგრამ... როგორ გიყვარდა ყოველივე სიკეთე და ადამიანური, შენ ხომ ჩჩეულთავანი, უმწიკვლო და უსპერტაკესი იყავი, უდანაშაულოდ განწირულს, შავია მღელვარე ფიქრები ხომ აღარ გდევს თან?



შენი წმინდა შარავანდელი უძღვის ჩემს ცხოვრებას წინ. ყოველი კონცერტი ჩემი აზრი, სიტყვა, მოქმედება, მასთან არის დაკავშირებული.

ლირსეულად და სასახლოდ მინდა ვატარო შენი სახელი.

ჰო, ღმერთო! ერთი დამანახა შენი სახე, ძერძფასო მამავ, წელიწადი და ცხრა თვეებ აღარ მინახისარ, ასეთ განშორებას განა წარმოვიდგენდი? ეხლაც არ მფერა;

უცნაური იმედით, შეთხზული, არ არსებული ამბებით მინდა ვავიბრიყვეთ თავი. ეს მმატებს ძალას, მაძლევს არსებობის საშუალებას!!! ეს არ არის ჩემი სულმოკლეობის ნაყოფი, იგი მყარი გადაწყვეტილებაა. ოჯ, რა ტკბილი ხარ მამახემო! ისეთი, როგორც არავინ, არავინ ამქვეყნად, იცოდე! მომავალშიაც ვერ წარმოვიდგენ შენ დანაცრებულ ძელებს! შენ ყოველ ჩემს სულიერ მღელვარებას, ჩემ უქმაყოფილებას, ჩემს „სიხარულს“ (თუ კი ასეთი რაიმე არსებობს ჩემს ცხოვრებაში) თვალყურს იდევნებ, ესიტყვები, შთამაგონებ, მამწნევებ, მიმითითებ. შენი წმინდა ხმა ხომ სულ მუდამ ჩემს სმენას თან ახლავს, ეხლაც მიღასტურებს ზემოთქმულს.

როგორ მინდა ხანგრძლივად აქ ყოფნა. დღეს განსაკუთრებით კმაყოფილი იქნები, სამივენი აქა ვართ, შენთან, შენთან უწმინდესო.

## 7 ნოემბერი

ზეიმია, ოცდასამი წლისთავია ოქტომბრის რევოლუციისა, მიპატიურებული ვართ სადილად სანდრო ეულთან. ეული და ლისაშვილი პაკეტობდნენ...

გასაკვირი არაფერია, ყველას თავისი ანგარიშები აქვს...

## 8 ნოემბერი

სადილად ჩენთან არიან, აკაკი ვაწერელია, მიქელ პატარიძე<sup>9</sup>, ვ. წითლანაძე. შემდეგში კ. გაშასხურდიაც გვეახლა. პატარიძე ოხუნჯობს, გაწერელია ეკამათება წითლანაძეს... იწყება ლექსობა. დიდი პათოსით კითხულობს პატარიძე მაიაკოსესის<sup>10</sup> „მზეს“, ესენინის<sup>11</sup> „დედასთან მიწერილ წერილს“, ემილ ვერპარინის<sup>12</sup> „რიერაჟს“, შემდეგ თავის თარგმანებს ხოზე მარი ჰერედიას<sup>13</sup>, ივორ სევერიანინის<sup>14</sup> ბოჭემურ ლექსს „ანანასი“... ვერლენის<sup>15</sup> „შემოღვიმას“ („L'automne“) ფრანგულად, რუსულად, ქართულ თარგმანს. ბოჭემურ განწყობილებას ზველა უარყოფს, თუმცა თითონვე დასძენენ: „ხანდისხან ამგვარი ლექსების მოსმენაც ურიგო არ არისო“.



კარგა ხანია ვფიქრობ, მინდა განვახორციელო, დავწერო ისტორია-ული რომანი ქეთევან დედოფალზე, ვიცი, დიდი სიძნელენი გადამე-ლობება. წინ, მასალების სიმწირე, ჩემი ფიზიკური სისუსტე, უნდა დაეძლო ყოველივე...

## 13 ნოემბერი

ორი დღეა ვკითხულობ საქართველოს ისტორიის ზოგ მასალას. პო, რა საშინელებაა, დარბევა, ოთხება, ერთურთის გაუტანლობა წარ-სულში...

შალვა გაღმომცემს, გერონტი ქიქოძეს დაუწყია ჩემი თარგმანის რედაქტირება.

## 14 ნოემბერი

ვინახულე გოგებაშვილის გამოფენა, არ მომეწონა, ვერ მიპატი-ებია ჩენი მხატვრებისათვის ესოდენ უპასუხისმგებლო დამოკიდე-ბულება. ყოველგვარ ნახატოვნებას, ყოველგვარ გემოვნებას მოქლე-ბული სურათები, უშნო ფერებით შეზელილი სოფლის პეიზაჟები, მანიჯი პორტრეტები;

აყავი წერეთელი და იაკობ გოგებაშვილი, აყავი ჩამოგავს ვიღაც უბადრუკ მოხუცს. ფუნჯის ასეთი უგირვილო ხმარება ამ ბოლო დროს ჩვენს მხატვრებში გახშირდა...

ნუცა ჩხეიძე<sup>16</sup> მესაუბრებოდა თავისი მუშაობის შესახებ. ჭერჭე-რობით დაღლას არა გრძნობს. შევახსენე, ზოგი რამ გადმოეცა ა. ყაზ-ბეგის პიესის „ქეთევან დედოფლის წამების“ შესახებ. მაუწყა: „დიდი ამბავი იყო ამ პიესის გათამაშების დროს ქუთაისში. ხალხი პირდაპირ სცენაზე მოვარდებოდა და ერთი ტირილი და შეძახილები გაისმოდა. მე ვასრულებდი ქეთევანის როლს. მესხიშვილი იტყოდა: ნუცას სცე-ნიდან გაიტაცებენო, საინტერესო იყო ამ სპექტაკლის გათამაშების ისტორიაც. პირველი წარმოდგენის შემდეგ, ვიღაცამ დაგვისმინა ეგ-ზარბერისთან „წმინდანი გამოყავთ სცენაზე და ათამაშებენო“. მესხი-შვილს ამისათვის მოუხდა თბილისში ჩამოსელა, ეგზარბერის ნახვა და ახსნა-განმარტება. ეგზარბერმა დართო ნება და მოუწოდა, პიესისათ-ვის სათაური შეეცვალათ. „ქეთევან დედოფლის“ მაგირ კონსტანტინე ბატონიშვილი უწოდეს“.

გეახელით როზნერის ჯაზზე. ჯაზის მოტრფიალე მე არ გახლავართ. მეტად დღი ხმურობა, ათასგვარი შეძახილები, უმეტეს შემთხვევაში ერთფეროვნება, აი, რა სდევს მათ. საერთოდ როზნერის ჯაზს არა-უშავს, განსაკუთრებით ოლსანიშნავია შოცეკვავე ქალი და კაცი, მეტად კი ქალი. იგი პირდაპირ ოცნებაა. რა კარგია, როდესაც აღამიანში უმაღვე შეიგრძნობ შემოქმედებით ცეცხლს, ინტუიციას, როდესაც მისთვის უხამისია ჩვენებითი მხარე, ხელოვნურობა და ლილატურისა და რამდენია ასეთი!!!

## 16 ნოემბერი

თიქმის მთელი დღე ვკითხულობდი ბერი ეგნატაშვილის „ახალი ქართლის ცხოვრებას“<sup>17</sup>. ეხლახან გამოვიდა ეს წიგნი, ჩვენი სასიქადულო მეცნიერის ივანე ჯავახიშვილის მეოთხებით.

ჩვენი წარსული ცხოვრების ზოგი ეპიზოდი საქმაოდ დეტალურად არის აღწერილი.

## 17 ნოემბერი

რაღაც ვერა ვერძნობ თავს კარგად. თავს ძალა დავატანე, ვთარგმნე არი თავი „La dame aux camelia“-დან<sup>18</sup>. უთუოდ უნდა ვთარგმნო ეს წიგნი. იგი ხელს არ შეუშლის ჩემს მიერ განზრახულ სამუშაოს. თუმცა ზემომყვანილი რომანის დაბეჭდვას ბევრი სკეპტიკურად უყურებს!!!

## 18 ნოემბერი

მთელი დღე ვმუშაობდი. საღამო ხანს მოვიდნენ ნუცა ჩერიძე და ირინე ტუსკია.

ირინემ მომიტანა შესანიშნავი თაიგული ვარდებისაგან. იცის ჩემი სუსტი მხარე — ყვავილები ხომ მუდმივი თანამგზავრები არიან ჩემი.

ჩემს წარმატებას დიასახლისობაში უკვე აღნიშნავენ. მოეწონათ ჩემი ნამცხვრები, ცხრა საათზე გავემართეთ თეატრალურ ინსტიტუტში, მეოთხე კურსის მოსწავლეები თამაშობდნენ ოსტროვსკის „ნიჭისა და თაყვანისმცემლებს“. მეოთხე მოქმედების შესვენებისას, მომიახლოვდა აკაკი ხორავა და მეუბნება: „ლექციის კითხვის დროს, ამ ხუმტი წუთის წინ ვანო ჯავახიშვილი გარდაიცვალა“.

რა თავზარდამცემი ამბავია!



დარბაზს მოედო ახალი ამბავი. საერთო გუგუნია. ეთხოვე შეაფეხოთ უკან  
შინ წასკლა. წამოვედით, თან გამოვყვა ნუცაცა.

#### 19 ნოემბერი

რა საშინელება! რა მძიმეა!

ქართველი ხალხის მემატიანე, ჩვენი ისტორიის დაბინდული ფურც-  
ლების ამხსნელი და დამდგრენელი. მთელი თავისი შთაგონება მშობ-  
ლიურ ქვეყნის სამსახურს შეალია და ქართველი ხალხის უწრფე-  
ლესი სიყვარული დაიმსახურა.

შეხედეთ, როგორი მწუხარების ბეჭედი აზის თვითეულს. ყველა  
გლოვობს ადამიანს, რომელშიაც თანასწორად შეზავებული იყო ბუ-  
ნება დიდი მეცნიერისა და დიდი ადამიანის.

განუწყვეტელი ნაკადით მოდიან ცხედართან ახალი და ახალი ტალ-  
ღები ხალხისა, გარს უვლიან კუბოს, მდუმარებით ეთხოვებიან.

#### 21 ნოემბერი

საღამოს 6 ს და 15 წუთზე, სამგლოვიარო მიტინგის შემდეგ, ცხე-  
ღარი სამარეში ჩასვენეს.

ხალხი დიდხანს არ დაშლილა, განუზომელი მწუხარებით ეთხოვე-  
ბოდა დიდებული მეცნიერის ნეშტს.

#### 23 ნოემბერი

შალვა მაუწყებს, დღეს იმართება ლიტერატურული საღამო, მი-  
ძღვნილი გალაკტიონ ტაბიდის შემოქმედებისადმი. მომხსენებლად გა-  
მოყოფილია შალვა. წავედით. მიუხედავად თანამედროვე პოეტთა ბა-  
ქიობისა, არც ერთი პოეტი არ სარგებლობს ესოდენ დიდი სიყვარუ-  
ლით და პატივისცემით, როგორც გალაკტიონ ტაბიდე.

ეს პატარა საღამოც ამის დამადასტურებელი გახლავთ. უნდა აღი-  
ნიშნოს ერთი რამ: გალაკტიონის ლიტერატურულ საღამოებს, რატომ-  
დაც, არ ესწრება ეგრედწოდებული მეოცე საუკუნის „მწვერ-  
ვალები“.

საღამოზე თითონ გალაკტიონმა წაიკითხა „დროშები მაღლა“ და  
„რევოლუციურ საქართველოდან“ ნაწევეტები.

მეტად კმაყოფილი დავბრუნდი შინ.

#### 28 ნოემბერი

მოსაღამოვდა, შუქი არ არის, ჩვენი ბინა სასაფლაოს მოგაგონებთ,  
აეანთეთ ნათურა, მიუსხედით მაგიდას. შალვა თავის ახალ წიგნზე მუ-  
შაობს:

„მე-20 საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორია“. მე ჩვენი კულტურული და ისტორიული მნიშვნელობის დაცვითი მიზანის მიხმარებ.

## 29 ნოემბერი

ვესაუბრე ლეონიძის ცოლს სახელმწიფო პრემიის შესახებ. მაცნობებს, მხოლოდ მთხოვეს ჩვენს შორის დარჩეს ყოველივე. ოვითონ გორგეს გადმოუცია მისთვის ტელეფონით. კენჭის ყრის შედეგად, გორგეს და ასევეს<sup>19</sup> ერთნაირი ხმის რაოდენობა მიუღიათ.

საინტერესოა, როგორ დასრულდება ყოველივე.

## 2 დეკემბერი

გ. ქიქოძემ დააბრუნა ჩემი თარგმანი — ბენჯამენ კონსტანტის „ადოლფი“. თავიდან ბოლომდე გადაუთვალიერებია, აქა-იქ ცვლილებებიც შეუტნია. წინასიტუაციაში ამოულია ის ადგილები, რომელიც განსაკუთრებით კარგად მეჩევნებოდა. უთუოდ აღვადგენ, რადგან ეს ჩემი ჰირკეულობის მიზეზი როდი გახლავთ, დევ ქართველი მეითხველი გმოვიდეს ხანდისან საშუალო ან უკეთ ჩვეულებრივი მეითხველის მოთხოვნილების ჩარჩოდან და შეიტყოს, ან გაარვევოს ის, რაც საერთოდ უცნობია მისთვის. ალბათ ამ მოსაზრებით გამოდის გ. ქიქოძე, როდესაც იღებს ისეთ ადგილებს, მაგ. როდესაც მადამ სტალისა „კორინას“ და „ადოლფის“ ერთგვარობაზე ვსაუბრობ, ანდა როდესაც მომყავს სტალის დახასიათება ბენჯამენ კონსტანტის „ინტიმური უურნალიდან“.

ზოგჯერ ამა თუ იმ აეტორის მითითებასაც გაუურბი, რადგან არ ვიცი ეინ არის!!!

## 3 დეკემბერი

გვევმართე გამომცემლობისაკენ. მიჩევნეს ჩემი რედაქტორის რეცენზია. იგი დამაქმაყოფილებლად სთულის თარგმანს და ამავე დროს მისაყვედურებს გაუბრედაობას თავისუფალ თარგმანის გამო. თავშესაქცევია! გაუბრედაობა, სად, როგორ, რომელ გარემოცვაში. როდესაც „მითხრას“ მაგიერ თუ „მომმართა“ ჩასწერეთ, ჯვარზე გაცმევენ. განა ცოტაა ასეთი შემთხვევით განსწავლული, რომელთაც შექმნეს და მომავალშიც შექმნიან სარბიელს მოქმედების და მოღვაწეობისა.

## 4 დეკემბერი

ზოგი ადგილები ქიქოძის მიერ რედაქტირებული დავტოვე, ზოგი, რომელიც სათუოდ მეჩევნა, ერთხელ კიდევ შევამოწმე დედანთან.



შიგა და შიგ მე თითონ მიკვირდა იმ დიდი სიძნელის შესახებ, უსამარტინებელიც დავძლიე: ფსიქოლოგიური სინატიფის დაცვა არც თუ ისტორიუმზე არ იყო· სერ დიდ ფსიქოლოგიურ რომანში. ამ დღეებში თარგმანს გადასცემენ სხვა რედაქტორს, რომელიც იდეოლოგიური ხედვით განიხილავს მას.

მინდოდა ამ თარგმანისათვის დამერთო გიორგი ლეონიძის ლექსი „ადოლფზე“, რომელიც მან ჩემს მიერ გადაცემულ სიუჟეტის შემდეგ დაახლოებით თხუთმეტიოდე წუთში დასწერა. საკმაოდ კარგი ლექსი იქნება, ცოტათი რომ გაშალაშინდეს. ვნახოთ, თუმცა რომ გამახსენდება გალაკტიონ ტაბიძის „მანონ ლესკოს“ დაბეჭდვის შესახებ, გული მემღვრევა, ის ლექსი ხომ მე და შალვამ მჯიდით გავიტანეთ და იცით როგორ დაგვირგვინდა ეს ბრძოლა... ერთეულთა გამოყლებით, დღეს იგი ყველას მოსწონს, ახალგაზრდობა მას „ციცი-ნათელას“ ხმაზე იმღერის.

## 5 დ ე კ ე მ ბ ე რ ი

დილით სასაფლაოზე ავედი, ჩემს მამასთან მყუდროებაა... ვერცხლისფერ ბადეს აქა-იქ შეცრეცილი ფოთლები მოვაშორე... ჩემს სანუკვარ მიმას ფათალოს ნოხი უფენია!.. იგი მუდამ მწვანეა, იგი მუდამ ცოცხალია!!!

დაბეთ აგერ კუთხეში თავი ამოუყვია ისამფერას, შემაურუოლა, შევტოკდი, იგი ხომ მამიჩემის საყვარელი ყვავილია, ბავშვობისას ნშირად მიხატავდა მას ფერებით. ვინ დათესა! ჩენ არავისითვის არა-ფერი გვითქვამს. იქნებ ეხლაც... აღარ შემიძლია, სული შემიგუბდა, მანდაც შემოგეელოს ჩემი თავი, მამავ, ძვირფასო!

## 9 დ ე კ ე მ ბ ე რ ი

რაღაც შეუძლოთა ვარ, თითქოს სიცხეც მაქვს. შალვა ალელვებულია, არ ვიცი რაშია საქმე. იგი ხომ ყოველივე უმნიშვნელო უსიამოვნებასაც მიმალავს და ამის მიზეზი ისევ მე გახლავართ, რადგან ჩემივე, უცნაური ათვისება ამა თუ იმ მოვლენისა აიძულებს მას ასე მოიქცეს. ხანდისხან მეხარბება გულგრილობა სხვათა, ვერ იქნა ვერ გამოვიმუშავე ჩემში ეს „მიუცილებელი“ თვისება. საღამო ხანს მაცნობეს, ლეონიძე ჩამოსულა. მთხოვენ ავიდე მათთან; ვეღარ წაველი, სიცხემ მომიმატა...

## 11 დ ე კ ე მ ბ ე რ ი

დღეს, შედარებით, არა მიშავს, შალვა ვაზეთს უშვებს, იგი მთელი დღე შინ არ იქნება. დღესაც ვთარგმნე ორიოდე თავი. გრძნობის სი-



ახლე და გულშრფელობა, იმ რა მიზიდაცს ამ წიგნში, ზოგი სენტენცია რომელიც  
ები პირდაპირ თაებრუ დამსვევია; ენის ლაკონიურობას ხომ აღტყმა და  
ცებაში მოყვებარ. საკვირველია, ზოგიერთთა თქმით იგი კლასიკური  
ნაწარმოები არ არისო... თავი დავანებოთ!.. დაუსრულებელი პაექ-  
რობა სულ მუდამ აბუნდოვანებს და ბურუსში ხვევს საკითხის ნამ-  
დვილ მხარეს.

საღამოს ათ საათზე ლეონიძე გვესტურმრა. რამდენიმე წუთის შემ-  
დეგ შალვაც მოვიდა... ლეონიძე გადმოგვცემს მოსკოვში გატარებულ  
დღეებზე: შვიდი ნოემბერი. წითელ მოედანზე მიმდინარეობს აღლუ-  
მი... ზღვა ჯარის წინაშე იძლევა ფიცს საბჭოთა კავშირის მარშალი  
ტიმოშენკო, რომელსაც ჯარი ერთხმად უპასუხებს: „გაძლევთ ფიცს,  
სამშობლოვ!“ ჯარიც ერთხმად აგუგუნდება, აგერ ერთი ტკვიამ-  
ფრქვევი, მეორე, მესამე ადასტურებს და აძლევს ფიცს ბერლადს და  
ხალბას... მოსკოვის ნაცრისცერ ცაზე არაერთბ კვამლის ბოლი გა-  
იტყორცნება, აგერ ვასილ ნეტარის მონასტერი, აგერ მინინი და პოფარ-  
სკი. და ამ გარემოცვაში გუგუნებს შეძახილები. ვდგევარ ამაყად,  
სიხარულის და აღტაცების ურუანტელი მივლის, შევყურებ სტალინს,  
რომელიც მარჯვნივ ტრიბუნაზე დგას და ლამის სიხარულის ცრემ-  
ლებმა დამხარჩის, დასძენს ლეონიძე, დაიწყო აღლუმი. ხალხის ახალი  
ტალღები ერთმანეთს სცვლის. ყურადღება მიიპყრო ჩემს გვერდით  
მდგომა ქალმა. შევხედე და გავიიფრე, ნეტავ ეს ჩვენებური, კონტა  
დარბაისელი ქალი აქ ვინ მოიყვანაო, დაუკვირდი და ვიცანი დოლორეს  
იბარური.

შემდეგ გადმოგვცემს თუ როგორი სადილები და შეხვედრები გა-  
უმართეს რუსმა მწერლებმა: პასტერნაკმა<sup>22</sup>, ლეონოვმა<sup>23</sup>, ერენბურგ-  
მა<sup>24</sup>, გოლცევმა<sup>25</sup>. ამ უკანასკნელთან სულ ქართული კამა-სმა იყოო  
და ბოლოს ალექსი ტოლსტიომ<sup>26</sup>, ლეონიძის სიტყვით, ფანტასტური  
სადილი გაუმართა. სხვადასხვა ლვინოებს და უცხო სასმელებს მაწიგ-  
დიდა, თან დასძნდა ერთმანეთი მეტა მოთხოვნით  
მე-8-ე ნომერი მომიტანეს და მეც მხოლოდ მაშინ შევხურდიო. დაბო-  
ლოს, წამოსვლისას, ცოლმა და ქმარმა ძველებური ერცხლის მანეთია-  
ნი მაჩუქესო...

## ‘5 დ დ კ ე მ ბ ჟ რ ო

გამომცემლობას გეგმა შეუდგენია და „La dame aux camellia“  
არ შეუტანია, მე მაინც ვაგრძელებ მუშაობას... კრეიოფილებით ეთარგ-  
მნე მე-13-ე და მე-14-ე თავი. საღამოთი შემატყობინეს დედა შეუძ-  
ლოთ არისო, ჩავედი, მორიგი შეტევა მოსვლია, დაუსტებული და  
ფერმიხდილია. რა გასაკვირია, რამდენი რამ აქვს გადატანილი... 30-



ალერსები, ვამხნევებ, თან გული მეწვის. პო, ღმერთო, მე შემდგროვები  
მიძღიან.

## 20 დ ე კ ე მ ბ ე რ ო

სტუმარი მეწვია, არჩილ კერესელიძე. ახალგაზრდა ნიჭიერი მუსი-  
კოსერ, მაგრამ წარჩატებამ უკვე თავბრუ დაუხვია... შედარებით პატი-  
კით ისხენიებს ფალიაშვილს.

აღშეფოთებაში მოვდივარ, მაგრამ წარმოვიდგენ რა საგნის არსებით  
მხარეს, უფრო წონასწორობას ვიცავ. სიმართლეს კი აფექტის გავ-  
ლენის ქვეშ როცა ვიმყოფები, მაშინ ვალიარებ, რადგან ჩვეულებრივ  
მეტად დაძაბული ვარ.

არჩილს უთუოდ სწადდა ესიამოვნებინა ჩემთვის, როდესაც გად-  
მომცა, რომ მე მრავალი თაყვანისმცემელი მყოლია. რა უბადრუკო-  
ბა! როდესაც წმინდა და ფაქიზ ურთიერთობას ბევრი გულლვარდ-  
ლიანი ადამიანი ამ სიწმინდეს შემოაცლის ხოლმე. რაც უნდა იყბე-  
დონ. ამ რამდენიმე წლის წინ რაიმე უსაფუძვლოდ წამოსროლილ სი-  
რცეებაც კი ძლიერი განცდებით ვითვისებდი, ეხლა კი მეტ გულგრი-  
ლობას ვიჩენ, უთუოდ წლების ბრალია.

## 22 დ ე კ ე მ ბ ე რ ო

დავილალე, დავასრულე მე-17-ე თავის თარგმნა. ვიორგი ლეონიძემ  
დამირეკა, და გამაფრთხილა, რომ 23 მისი დაბადების დღეა. საჭიროა  
ამ თარიღის აღნიშვნა.

## 23 დ ე კ ე მ ბ ე რ ო

საქმიოდ ორიგინალური საწუქრით ვეახელით. ეს გახლდათ ფაზუ-  
რის სამელნე, რომელიც გამოსახავს „treliage“-ს ჯამზე წამოწოლილ  
პუშკინს რეეულით და ფრთით ხელში. აქვე დევს მისი ტომიც, რომე-  
ლიც წარმოადგეს სამელნეს სახურავს. მაშინევ მიაშურა თავის საწერ  
მაგიდას გიორგიმ, ძველი სამელნე მოაშორა იქაურობას და ახალი  
დაიდგა. ვნახოთ რას დასწერს ამით.

## 24 დ ე კ ე მ ბ ე რ ო

საშინელი ხმები დალიოდა იონას ოპერაზე. დღეს დილით ირამ  
მაცნობა, ყოველივე კარგად არის, ამ დღეებში მოვისმენთ ახალ ქარ-  
თულ ოპერას. ირამ გადმომცა აგრეთვე „ღალატის“ შეცვლის შესახებ  
და რომ შემდეგში ასე შეცვლილი წავა. არ მესმის, რა საჭირო იყო



მაშინ შვიდი სპექტაკლის პირველი ვარიანტით გაშვება. წარმოდგენაში მომავალი მყავს ნუცა ჩხეიძე!

### 31 დ ე კ ე მ ბ ე რ ი

დღეს დიდი ქრისმულია, ფაცი-ფუცი. ხვალ ახალი წელი იწყება. ვნახოთ რა იქნება იგი პირადად ჩემთვის, დალლილი და დაქანცული, ხალისდაკარგული განცდილ უბედურებისაგან, არ ვიცი რას მომცუმს 41 წელი. სიმშეიდე, სიწყნარე ცოტა ხნით მაინც. იგი გარკვეულ ჩარჩოში მომათავსებს და ყოველ ჩემს მოქმედებას თანაბარზომიერს გახდის, დიდი სულიერი მღლვარება, დაუსრულებელი ჭიჭნა, თვის, დაურღვევლი ეჭვი უფსკრულამდე მიმიყვანს.

შალვამ გადმომცა, შეიძლება რამდენიმე თანამოკალმენი მოვიდნენ ჩენებობა ახალი წლის შესახვედრად. არასოდეს არ შევცვედრივარ ახალ წელს, იმიტომ კი არა, რომ არ მწადდა, არასოდეს არ მქონია ამისათვის შესაფერი მდგომარეობა. მუდამ რაღაც ჭავრი, თავშესაქცევია, ყოველივემ მოლოდინს გადააჭარბა, შეიკრიბნენ: გიორგი ლეონიძე თავის მეუღლით, დემა შენგელაია, ბესო ქლენტი, შალვა აფხაზები. თორმეტი საათის შემდეგ შეიქნა ტელეფონის ზარის რეკვა და დაიწყო მოლოდები, კეთილი სურვილები: გვილოცავენ სანდრო ეული, ნუცა ჩხეიძე, ირინა ტუსკია, რომელიც მაუწყებს, რომ ვერ მოვლენ, რადგან იონა მეტად უგუნებოდ არას, მარიჯანი და მრავალი სხვა...

მინდოდა დედისათვის მეც დამერქა, მაგრამ გადავწყვიტე არ გავალიზიანო. სულ ცოტა ხნის შემდეგ ყველანი გამოცოცხლდნენ, მხიარულებამ აიტაცა, თუმცა იყო მომენტი, როდესაც მიცვალებულთა ხსოვნისათვის დალეულმა ჭიქამ ცრემლიც დააღვრევინა. საკვირველი იყო ჩემი მდგომარეობა, იმ წუთებში მე სულ სხვა ადამიანი ვიყავი, დამიბრუნდა ბავშვური უზრუნველობა, სიმხიარულე, სილალე. უთუოდ ასეთმა მდგომარეობამ ერთგვარი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემს სტუმრებშე — ლეონიძე აღფრთოვანებული „გაქალებულ ვეფხს“ მამსგავსებდა, დემა შენგელაია ძეველ ტრადიციულ ქართველ ქალს, რომელიც თითონაც იღენდა და სხვასაც აღხენდა. სიტყვები, სიმღერები, ცეკვა, ლექსები. თითონ მე დიდი ექსტაზით წავიკითხე გ. ლეონიძის „ნინოშმინდა“, „ვეფხისტყაოსანი“, თვითონ ლეონიძემ თავის საყვარელი ლექსი „თუშის ქალი“. ერთსულოვნათ შევსეით სტალინის სადღეგრძელ და თან მოვისმინეთ იგი ფირფიტის შემწეობით, რომელსაც ხშირად სწყვეტს ლეონიძე და იძახდა — აი, სწორედ ასეთია, ასეთი, ხმაც ასეთი აქვს, მიგვარად, სულ ამაირად.

1941 წლის შუქი შემოიტრა ოთახებში, გათენდა. დილის თეატრის მუსიკული ციკლის ნახევარი იყო, როდესაც დავიშალენით.

### 3 იანვარი

სასაფლაოზე ივედი. მივულოც ჩემს მამიკოს ახალი წელი. მახსოვეს, როგორი გულისფანცქალით მოველოდი ჯერ კიდევ მოზრდილი ქალი ახალი წლის გათენებას, რადგან მამის მიერ ბალიშის ქვეშ დამზადებული საჩუქრის წილავს მოუთმენლად მოველოდი, არას ვამბობ ბავშვობის წლებზე, ნაძვის ხეებზე, რომელსაც თვითონ მამა მიწყობდა. მის უაღრეს ნათელ, მდიდარ და ფართე გონებას ხომ უაღრესი მგრძნობელობა და მშობლიური სინატიფე სდევს, თან ასეთები კი იშვიათად არსებობდნ. ეს მხოლოდ დიდი ბუნების ადამიანებს ახასიათებთ. კმარა!!!

### 6 იანვარი

გავიგე, პრემიისათვის დამატებით კანდიდატები წარუდგენიათ: ს. ჩიქვანი და ლ. ქიაჩელი.

დღეს ვათვალიერებდი ფრანგული პოეზიის კრებულს, რომელშიც მოთავსებულია უმთავრესად სიმბოლისტების და პარნასელების პოეზია.

უნდა გამოვტყდე, ძალზე მიყვარს სონერები, ანდა რა გასავირია, თვით Пушкин აღნიშნავდა, რომ „супровый“ Дант не презирал сонетა“.

ერთხელ კიდევ გადავიკითხე José Maria de Herédia — Le Mort de l'Aigle („არწივის სიკვდილი“).

მ ლექსებში ერთი სიტყვის შეცვლა არ შეიძლება, ისეთი დახვეწილი და ამავე დროს ნათელი აზრით და გრძნობით არის მოცუმული, ეს უკანასკნელი ხომ სიმბოლისტებს არ პქონდათ. ასეთი ნაწარმოებების კითხვა დიდ სიამოვნებას მანიქებს, მასვენებს, გინდა ესაუბრო, უკამათო ვისმე სილამაზეზე, სიმჟევნიერეზე, სიყვარულზე. ამ უკანასკნელმა ხომ მთელი რიგი შედევრებისა წარმოშვა. ტყუილად კი არ იძახდა ტოლსტოი:

«Живи той частю твоей души, которая сознает себя бессмертной, которая не боится смерти. Эта часть души есть любовь».

### 8 იანვარი

ნუცას შეცვლილი ტექსტიც კარგად უთამაშია, თითონაც რიგიან გუნებაზე წავიკითხე ფაგეს სტატია უორე ზანდზე<sup>27</sup>.



მხოლოდ ფრანგებს შეუძლიათ ამგვარი წერა, ორი სამი ძლიერს კონკრეტულად შტრიჩით მოცემა მთელი სახისა, დამაჯერებლის და მართებულის. პილატის

## 16 იანვარი

გამომიგზავნეს „მნათობი“. შიგ მოთავსებულია „აღოლფის“ ოთხი თავის თარგმანი. ბევრი კორექტორული შეცდომაა შიგ, როგორც ჩვეულებრივ ჭერ უთუოდ ბევრი დრო დაგვჭირდება, რათა კარგად მივაწოდოთ მკითხველს წიგნი, ეს ხომ დიდი საჭმეა....

## 17 იანვარი

გიორგი ლეონიძე დამპირდა, უკანასკნელ ხუთ ახალ ლექსს ამ დღე-ებში წაგვიკითხავს, ამასთანავე გაღმოგვცემს, ხომ პირველ იანვარს ჩვენგან წასული მარიჯანთან ასულიყო. იმ უკანასკნელთან გრიშაშვილიც ყოფილიყო, საღამომდე იქ დარჩენილიყვნენ, ხოლო შემდეგ გოგლას მანქანით წაეყვანა სოსო ხართუშში შინ, გულში ვფიქრობ, დასძენს გიორგი, სოსო სუტრას გამიშვის, გამიმასპინძლდება, დავლოცავ, დამლოცავს. ის გავიდა უკანა ოთახში და ცოტა ხნის შემდეგ ვხედავ, პატარა ბოთლით ყურძნის წვენი გამოიტანა. გოგლა, აი ეს პატარა რიუმებით დავლიოთ, ხომ იცი ღვინო არ დამელევა, ყოველ წელს თუ პიატიგორსკში არ წაევდი, სული ამომხდებაო. ბრაზმორეულმა რიუმეკა აუკვე, მან კი შემომძახა, — არ აავსო, ამდენი ხომ მომკლავსო. მეც შევსვი ეს ყურძნის წვენი და მაშინვე წამოვედი. თან ეფიქრობდი; ვაგლახ გრიშაშვილი, ავტორი ბოპემური ლექსებისა, მომღერალი ღვინის, უინიანი ვნებისა, უსაზღვრო ბოპემური განწყობილებისა და მწარედ ჩამეცინა-ო.

1. მიხა — მიხეილ გრიგოლის ძე ცხადია (1865—1950), ცნობილი პოლიტიკური და სახელმწიფო მოღვაწე.
2. ლალაკო — ქ. ირემაძის და, ლალი ნიკოლოზის ასული ირემაძე.
3. მამა — ნიკოლოზ ირემაძე, პედაგოგი.
4. შალვა — ქ. ირემაძის შეუძლე, ლიტერატურათმცოდნე და კრიტიკისი შალვა დიმიტრის ძე რადიანი (შეწირული, 1904—1977).
5. დედა — ქ. ირემაძის დედა, ფაციალური.
6. მომავალი ოპერის გმოთ — ქართველი კომპოზიტორის იონა ირაკლის ძე ტუსკიას (1901—1963) ოპერა „სამშობლო“ (დაწ. 1939 წ.).
7. შოთა აკოვინი — დიმიტრი დიმიტრის ძე შოთა აკოვინი (1906—1975), გამოჩენილი რუსი კომპოზიტორი.
8. „ღალატი“ — ცნობილი თეატრალური მოღვაწის, დრამატურგისა და მსახიობის აღვემანდრე ივანეს ძე სუმბათაშვილ-იუტინის (1857—1927) ისტორიული დრამა.
9. მიქე ლაპარაზი — მიქელ აბესალომის ძე პატარიძე (1895—1959), ქართველი პოეტი და მთარგმნელი. მან 1936 წელს გამოსცა ხოზე მარია დე პერედის სონეტების კრებული „ტროფეები“ (თარგმანი ფრანგულიდან).



10. მაიაკოვსკი — ელადიმერ ვლადიმერის ძე მაიაკოვსკი (1893—1930), რუსი პოეტი, 10-იან წლებში რუსულ ფრეტურიზმის თვალსაჩინო მომადგენელი, 1923—29 წ. „ЛЕФ“-ის ხელმძღვანელი.
11. ესენინი — სერგეი ალექსანდრეს ძე ესენინი (1895—1925), ცნობილი რუსი პოეტი.
12. კერძარნი — ემილ კერძარნი (1855—1916), ბელგიული პოეტი, დრამატურგი და კრიტიკოსი, წერდა ფრანგულ ენაზე.
13. ჰერედია — ხოშე მარია დე ჰერედია (1842—1906), ფრანგი პოეტი, ისტორიკოსი, პარნასელთა ჯგუფის ერთ-ერთი შესაბამშენებელი წარმომადგენელი. თავისი სონეტების „ტებული ტროფები“ მან უძლენა შარლ ლეონტ დე ლილს, ფრანგ პოეტი (1818—1894), პარნასელთა ჯგუფის მეთაურს.
14. იგორ სევერიანნი — იგორ ვასილის ძე ლოტარევი (1887—1941), რუსული ფუტურიზმის წარმომადგენელი.
15. კერლენი — პოლ კერლენი (1844—1896), ფრანგი სიმბოლისტი პოეტი.
16. ნეკა ჩეკიძე — ცნობილი ქართველი მსახიობი ქალი (1881—1963).
17. ბერი ეგნატე შვილი — ქართველი მემატიკე, XVIII საუკუნის 60-იანი წლების მოღვაწე.
18. უქალი კამელიობით — ფრანგი მწერლის ალექსანდრე დორების შეილი, 1824—1894) ცნობილი რომანი.
19. ასევე — ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე ასევე (1889—1963), რუსი პოეტი.
20. ბენებ კონსტანტი — ბენებენ კონსტანტ დე რებეკი (1767—1830), ცნობილი ფრანგი მწერალი. რომანი „ალოლფი“ დაწერილი აქვს 1816 წელს.
21. მადამ სტალი — ანნა ლუიზა კერძენ დე სტალი (ფრანგ ნეკრი, 1766—1817), ფრანგი მწერლალი ქალი, რომანი „კორინა, ანუ იტალია“ დაწერილი აქვს 1807 წელს.
22. პასტერნაკი — ბორის ლეონიდეს ძე პასტერნაკი (1890—1960), ცნობილი რუსი პოეტი.
23. ლეონოვა — ლეონიდ მაქსიმეს ძე ლეონოვი (დაბ. 1899 წ.), ცნობილი რუსი მწერალი.
24. ერენბურგი — ილია გრიგორის ძე ერენბურგი (1891—1967), რუსი მწერალი, პუბლიცისტი და საზოგადო მოღვაწე.
25. გოლცევი — ვაქტორ ვიქტორის ძე გოლცევი (1901—1955), კრიტიკის და ლიტერატურათმცოდნე.
26. ტოლსტოი — ალექსეი ნიკოლოზის ძე ტოლსტოი (1883—1945), ცნობილი რუსი მწერალი.
27. ფაგეს სტატია ეროდ ზანდზე — ემილ ფაგე, XIX საუკუნის ფრანგი ლიტერატურამცოდნე. ალიშენტლი სტატია ფრანგ მწერალ ქალს ეორე ზანდზე (ავრონა დიუდევინი, 1804—1876) დამკაიდია წიგნში, „Dix-neuvième siècles. Etudes littéraires. („მეცხრამეტე საუკუნე. ლიტერატურული ნარკევები“).

ანთონ ივანეს ძე ნატროშვილის  
 ცხოვრება და მოღვაწეობა

(ზონგრაფია)

„საქართველოს ვაჲს აღარებენ, რომელიც მძღვანელად შემოხვევია ჭიდოს, ქარიშხალი სცემდა ყოველი მხრიდან, ჭიდო ირჩეოდა, ვაჲი იღრიცებოდა ხან ერთ, ხან მეორე, მაგრამ არ იღესავოდა.

რამდენჯერ განრთხმია მიწას, რამდენი ფოთოლი და ლერწი მოპელეჭია, ფესვებს კი ორასოდეს მოსწყდომია“, — წერდა ანტონ ნატროშვილი თვის წიგნში „მცხeta և იგი ის სამოცხელი“.

ანტონ ნატროშვილი, ცნობილი პედაგოგი, სახალხო განათლების მოღვაწე, მეცნიერი არასოდეს არ მოსწყვერია მშობლიურ მიწას.

ლიდია ნატროშვილმა (შეილი ანტონ ნატროშვილის) დაგვიტოვა შესანიშნავი მონოგრაფია, სადაც ნოთლად არის წარმოქნილი ანტონ ნატროშვილის პიროვნება.

ლიდია ნატროშვილი დაიბადა 1878 წლის 24 სექტემბერს. დაამთავრა თბილისის I ქალთა გიმნაზია. გიმნაზიის დამთავრების შემდეგ მას მოენიჭა მასწავლებლის ხარისხი. 1898 წელს სწავლა განაგრძო პეტერბურგის ქალთა უმაღლეს სასწავლებლის საისტორია-ლიტერატურულ ფაკულტეტზე.

1903 წელს წარმატებით დაამთავრა სასწავლებელი და დაბრუნდა თბილიში.

1905—1906 წლებში ლიდია ნატროშვილი პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწეოდა ჭერ ჭ. განჭის ქალთა გიმნაზიაში, შემდეგ კი ჭ. ალექსანდროვნის მილიში.

1910 წელს ლიდია ბრუნდება თბილისში. 1924 წლიდან მოღვაწეობს ს. ბოლბეში, ახლად დაარსებულ პედაგოგიურ ტექნიკუმში.

გარდა პედაგოგიური მოღვაწეობისა, ლიდია ნატროშვილი მთარგმნელობით საქმიანობას ეწეოდა. მან რუსულ ენაზე თარგმნა ა. წერეთლის მოთხრობები „ბაში-აჩუკი“, „ჩემი თავგადასავალი“, ვარა-ფუნეტის, ვასილ ბარნევის, ე. გაბაშვილის მოთხრობები.

ლიდია ნატროშვილი გარდაიცვალა 1979 წელს.

დოდო ალიბეგაშვილი

ანტონ ივანეს ძე ნატროშვილი ექუთენის იმ ქართველ პედაგოგთა  
ჯგუფს, რომლებიც პედაგოგიური მოღვაწეობის სარბიელზე გამოვიდ-  
ნენ ოთხმოციან წლებში. ეს იყო დრო ალექსანდრე III და პობედო-  
ნოსცევის, დრო დიდი რევეციის. სიტყვა „საქართველო“ ამ დროს  
ხმარებაში იყო. ქართველი ენა განდევნილი იყო ყველა სა-  
ხელმწიფოებრივი დაწესებულებიდან, სკოლებიდან და სასამართლო-  
დან. რვა წლის ბავშვი გიმნაზიაში „შესვლის დროს უნდა ჩიებარები-  
ნა საკონკურსო გამოცდა რუსულ ენაზე. ცხალია, ამისთანა ბავშვების  
რიცხვი ბევრი არ იქნებოდა საქართველოში და ეს მდგომარეობა დი-  
დად შეავერხებდა სწავლა-განათლების საქმეს.

ქართველ ინტელიგენტს თბილისში და საზოგადოდ საქართველოში  
ადგილი არ ჰქონდა, მას უნდა ემსახურა შიდა-რუსეთში, აზერბაიჯან-  
ში ანდა სომხეთში.

ი. ამ დროს დაიწყეს შუშაობა ცნობილმა დიდმა პედაგოგებმა:  
იაკობ გოგებაშვილმა<sup>1</sup>, ნიკო ცხევდაძე<sup>2</sup>, ექ. თაყაიშვილმა<sup>3</sup>, თელო  
უორდანიამ<sup>4</sup>, ვ. ბარნოვმა<sup>5</sup>, მოსე ჭანაშვილმა, გორგი საძაგლიშვილ-  
მა, ანტონ ნატროშვილმა, ნ. მახათაძემ, ი. ფერაძემ<sup>6</sup> და სხვებმა. ისინი  
იყვნენ ამავე დროს გამოჩენილი მწერლები, მეცნიერები და ბელტ-  
რისტები. თავიანთი შემოქმედებით ცდილობდნენ გაეხსენებინათ ქართ-  
ველი საზოგადოებისათვის, რომ მას აქვს საკუთარი, საკმაოდ დიდი  
კულტურა, მშვენიერი ენა და ლიტერატურა, დიდებული წარსული.  
იმდროინდელი ხელისუფლება უყურებდა მათ ეჭვის თვალით და ი, ამით აისწნება ის გარემოება, რომ ამისთანა დიდ ხალხს მუდა პა-  
ტიარა თანამდებობა კვავა იმ დროს, როდესაც მათი უფროსები გაცი-  
ლებით უფრო პატარა მასშტაბის აღამინები იყვნენ.

ა. ი. ნატროშვილი დაიბადა ს. ზემო მაჩხანში (ქიზიუში) 1852 წ.  
ლექაშვილში. მამა მისი ივანე რომანოზის ძე ამავე სოფლის მღვდელი,  
შევიდი, ლმობიერი ადმინისტრატორი იყო, დედა თეონა—დიდი მეოქანე ქალი,  
სოფ. ჭუგანის მღვდლის ალადაშვილის შვილი.

რვა წლის რომ შეიქმნა ანტონი, მშობლებმა მიაბარეს თელავის  
სასულიერო სასწავლებელში, სადაც სწავლობდნენ მისი უფროსი  
ძმები, დავით და ილიკო<sup>7</sup> (იოველი).

ეს სასწავლებელი მან საკუთხესოდ დაამთავრა და განაგრძო სწავ-  
ლა თბილისის სასულიერო სემინარიაში.

მეტად ცუდს მატერიალურ პირობებში უბდება სწავლა მას ამ  
ხანებში. ის ცხოვრობდა ამ დროს თავის ძმა ილიკოსთან და სხვა



ახალგაზრდებთან (სანდრო შაიშმელაშვილი, დათა ნატროშვილი) ქრისტიანული ძო ბინაზე, ერთს პატარა ოთახში, რომელსაც იყიდება კოშეს „კოშეს“ ჰუცულობრივი ხშირად უჩვენებია ჩვენთვის. ეს ოთახი იყო ახლანდელ ბარათაშვილის ქუჩაზე, კარგს, მოხდენილს სახლში, მესამე სართულში (ეს სახლი დაანგრიეს ბარათაშვილის ქუჩის გაყვანის დროს). ხშირად გვიამბობდა მამა თავის ახალგაზრდობის თავგადასავალს და ჩვენ, შვილები ვტიროდით ხოლმე, იმდენად შემძრწუნებელი იყო მისი ცხოვრება ბავშვობის დროს. მიუხედავად იმისა, რომ მათი მშობლები არც ისე ღარიბები იყვნენ, ეს ბავშვები, მამა ჩემი და ძმა მისი ილიკო სასტრიკად შიშილობდნენ თბილისში. ეს ხდებოდა, რა თქმა უნდა, იმის გამო, რომ იმ დროს მიმოსვლის საქმე იყო მოწყობილი სრულიად პრიმიტიულად: უნდა ჩამოსულიყვნენ თბილისში (ქიზიყიდან) ან ურმით, ან ცხენით, რეინის გზა ხომ არ არსებობდა, ფოსტაც მაჩხანილან ძალიან დაშორებული იყო, ასე წარმოიდგინეთ, რომ ხშირად ფეხითაც უხდებოდათ მისულა, ამნაირად სანოვაგის მიწოდება თავთავის დროზე ძალწე უჭირდებოდათ: „ერთი ჭიბის დანა მეონდა, — იტყოდა ხოლმე მამაჩემი, — იმას მიუტანდი მეპურეს და ვთხოვდი, რომ პური მოეცა ნისიად — და ის დალოცებილი მუდამ მიძლევდა. საკუთარი სახელმძღვანელოები არ მქონდა, სხვის წიგნებით ესწავლობდი“. ამას რომ დაუმატოთ ის სულის შემხუთავი მორალური ატმოსფერო, რომელიც გამეფებული იყო სემინარიაში, ადვილად წარმოვიდგენთ მაშინდელი ახალგაზრდობის მდგომარეობას, აღმზრდელი ბერები სასტრიკად უკრძალავდნენ მოწაფეებს გარეშე წიგნების კითხვებს, თეატრში სიარულს და სხვა რამე გართობებს. ერთად ერთი მათი გასართობი იყო მუშტიკრივი, რომელიც იმართებოდა ქალაქს გარეთ კვირაობით და რომელშიაც სემინარიელები მხურვალე მონაწილეობას იღებდნენ\*. მამა ჩემი კი არა, მაგრამ მისი ძმა ილიკო, მშვენიერი აგებულების ჯანსაღი ახალგაზრდა, გამოიწინილი მეკრივე იყო \*\*.

მიუხედავად ასეთი პირობებისა, ა. ნატროშვილმა დაამთავრა სემინარია პირველ ხარისხოვანი სტუდენტის ატესტატით 1873 წელს და მიენიჭა უფლება განეგრძო სწავლა პეტერბურგის სასულიერო აკადემიიში სახელმწიფო ხარჯზე. მაგრამ მან სასულიერო აკადემიაში წასვლაზე უარი განაცხადა. საქმე იმაში იყო, რომ მას იმ დროს სულ სხვა მისწრაფება ჰქონდა. ის ხანა (1860—1880 წწ.) ხალხოსნური იდეების ხანა იყო და თბილისის სემინარიელები ამ იდეებით იყენენ გატაცებულნი: „მე მინდოდა წავსულიყავი სახალხო მასწავლებლად ჩემს სოფელ-

\* ვ. ბარნოვის მოთხრობა „ქოჩორა ხე“-ში ამისთანა კრივი ცოცხლად არის დასურათებული.

\*\* მოიგონეთ იონა მეუნარგიას და აგრეთვე ალექსანდრე ყიფშიძის დღიურები.

ში, — იტყოდა ხოლმე მამა ჩემი, — და შემდეგში, როდესაც მშენებელი  
ლებდი, შევსულიყავ უნივერსიტეტში”.

მაგრამ ეს ოცნება მას არ შეუსრულდა. თვით სემინარის რექტორი,  
მშობლები და ნათესავები ერთხმად ურჩევდნენ ესარეგებლა მინი-  
ჭებული უფლებით. რექტორმა რამდენჯერმე დაბარა იკი თავისთან  
და თითქმის ძალით ჩააბარა საბუთები და ფული რუსეთში გასამგზავ-  
რებლად.

ამნაირად მოხდა მისი სასულიერო აკადემიაში შესვლა. მხოლოდ  
ის შევიდა არა პეტერბურგის, არამედ ყაზანის აკადემიაში, რაღანაც  
აქ მას ეგულებოდა თავის და ნატალია, გათხოვილი პოლყოვნიკ მოს-  
კვინზე.

სასულიერო სემინარიაში ყოფნის დროს მისი ყველაზე უფრო საყ-  
ვარელი მასწავლებელი იყო ცნობილი პედაგოგი იაკობ გოგებაშვილი,  
რომელთანაც მეგობრული კავშირი მას არ შეუწყვეტია ბოლომდე,  
ე. ი. გოგებაშვილის გარდაცვალებამდე.

სასულიერო აკადემია მან აგრეთვე წარჩინებულად, მაგისტრანტის  
ხარისხით, დაამთავრა 1877 წ. და იქნა გამწერებული სამსახურში  
რუსეთშივე, ქ. სამარის სასულიერო სემინარის ფილოსოფიის, ფსი-  
ქოლოგიის და პედაგოგიკის მასწავლებლად \*. ყაზანის აკადემიაში მას-  
თან ერთად სწავლობდნენ სხვა ქართველებიც: ნიკო ტატიშვილი, მისი  
უახლოესი მხანაგი, და მიხეილ პასთიანი \*. გულწრფელი მეგობრული  
დამოკიდებულება მათთან მას შემდეგშიც არ შეუწყვეტია.

ამავე 1877 წ. ზაფხულში ახლადკურსდამთავრებული ანტონი ჩა-  
მოდის სამშობლოში და აქ ირთავს ცოლად დავით გურგენის ძე ნაც-  
ვლიშვილის ასულს ელისაბედს \*\*.

სამარის სემინარიაში მან იმსახურა 1884 წლამდე. ამ ხნის განმავ-  
ლობაში ის, გარდა სემინარიის, მუშაობს ქალთა საეპარქიო სასწავ-  
ლებელში, ასწავლის პედაგოგიკის, მსახურობს აგრეთვე სამარა-ორენ-  
ბურგის რეინის გზის სამართველოში, როგორც ერთ-ერთი განყო-  
ფილების (Контроль сбора) მდივანი \*\*\*. მაგრამ მიუხედავად იმისა,  
რომ რუსეთში ან. ნატროშვილი სამსახურის მხრივ მოწყობილია სა-  
უკეთესოდ, ის მაინც მოისწრაფვის საქართველოსკენ და 1884 წ. სექ-  
ტემბრიდან გადმოდის საკუთარი სურვილით გაცილებით უფრო ნაკ-

\* ა. ნატროშვილის სას. აკადემიის დიპლომი ინახება თბილისის მწერალთა  
მუზეუმში.

\*\* ეს ქალი იყო იშვიათი სილამაზის და ჰერონდა დამთავრებული საუკეთესოდ  
თბილისის წმ. ნინოს სასწავლებელი.

\*\*\* ის. მისი ფრამულიარი დოკ. № 2.



ლებ ადგილზე ქ. ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში ამავე საგნერალო ცის ბის მასწავლებლად, ემატება შხოლოდ ბუნებისმეტყველება.

ამ სასწავლებელში ა. ნატროშვილმა სრული 34 წელი დაჟყო და ეს პერიოდი იყო მისი ცხოვრების უკელაზე უფრო ნაყოფიერი და მნიშვნელოვანი \*.

ამ დროს, ამ სკოლის გარდა, იგი მუშაობს სხვა სკოლებშიაც: სათვადაზნაურო მე-2-ე კომერციული, მაჩანიძის კერძო გიმნაზია (დირექტორის თანამდებობაზე). 1897 წ. და 1898 წ. იგი ხელმძღვანელობს მასწავლებელთა საზაფხულო კურსებს და უკითხავს მათ ლექციებს მეთოდურ საკითხებზე \*\*. ეწევა მეცნიერულ და საზოგადოებრივ მოღვაწეობას.

ხანგრძლივი და უმწივევლო სამსახურისათვის იგი მრავალჯერ იყო დაჯილდოებული: სტატსკი სოვეტნიკის ჩინით, ორდენებით: წმ. ვლადიმირის, ანას და სტანისლავის, აგრეთვე დამსახურებული მასწავლებლის წოდებით.

1917 წ. რევოლუციის შემდეგ სასულიერო სასწავლებლის პედაგოგიური შემადგენლობა ირჩევს ა. ნატროშვილს ამ სკოლის დირექტორად და იგი მაშინათვე იწყებს ამ სკოლის რეორგანიზაციის საქმეს, ვინაიდან მიაჩნია იგი შეუფერებლად ახალი დროისათვის: შუამდგომლობს დროებითი მთავრობის წინაშე, რათა მან ნება დართოს გადაეცეონ სასულიერო სასწავლებელი გიმნაზიად და შემოიღონ სწავლება სამშობლო ენაზე. შუამდგომლობა დაქმაყოფილებული იქნა და სასულიერო სასწავლებელი გადაიქცა გიმნაზიად, რომელშიც სწავლა სწარმოებდა ქართულ ენაზე. ამ პერიოდში ეს იყო სკოლის ნაციონალიზაციის პირველი მაგალითი \*\*\* (ამის შესახებ წერს წერილებს „სკოლის ნაციონალიზაციი საქართველოში“).

1918 წ. ნოემბერში მთავრობამ გადაწყვეტა ამ გიმნაზიის შეერთება ყოფილ სემინარიასთან. ამ ორი სასწავლებლის შეერთებით დაარსდა მე-8 გიმნაზია. დირექტორად დაინიშნა ქუთაისიდან გადმოყვანილი ჭორჭიეთი <sup>9</sup>.

ა. ნატროშვილს შესთავაზეს ქ. ოჩამჩირის გიმნაზიის დირექტორის თანამდებობა \*\*\*\*, რჩედაც მან უარი განაცხადა და ირჩია წასულიყო თავის სოფელში სამუშაოდ (მაჩხაანში).

მისცვლისთანვე მაჩხაანში, 1919 წ. ზაფხულში, იგი არჩეული იქნა

\* ეს მისი დამსახურება შეტანილია მის ფორმულიარში.

\*\* სიტყვა, რომელიც მან სთქვა კურსების გახსნის წინ, დაპერდილია დოკ. № 3.

\*\*\* ამის შესახებ მიწერ-მოწერა მთავრობასთან შენახულია დოკ. № 4.

\*\*\*\* იხ. განყოფილების გამგე დანელია დეპეშა. დოკ. № 22.

სოფ. ქვემო მაჩინანის უბნის მოსამართლედ, ამ თანამდებობაზე მცხვდა  
იმუშავა 1923 წლის 27 სექტემბრამდის.

ამ საქმეშიც მან გამოიჩინა სათანადო ცოდნა და უნარი \*.

1923 წლიდან იგი უბრუნდება სკოლას, ამწაგლის მრავალ საგანს: არითმეტიკს, გეოგრაფიას, ბუნებისმეტყველებას, ქართულს და რუსულს და ბოლოს 1926—1927 წ. მუშაობს ყანდაურის შრომის სკოლის გვიგვე...

მნიარედ, პედაგოგიურ მოღვაწეობას ა. ნატროშვილმა შეაღია  
სრული 50 წელიწადი. 1878 წლიდან 1927 წლიმდე, ე. ი. ნახევარი  
საუკუნე! ახლა წარმოვიდგინოთ, რამდენმა ათასში მოსწავლემ შეიძინ-  
ნა მისგან ცოდნა-განათლება ამ ხნის განმავლობაში.

მის ნამოწაფართა შორის მრავალი სახელოვანი ადამიანია საქართველოში: პოეტი გიორგი ლუხონიძე, ინკ. ქურდიანი, პროფ. მუხაძე და სხვები. მაგრამ მარტოოდენ პედაგოგიური მოღვაწეობით ას ამონიშურება ა. ნატროშვილის დღიური. პარალელურად პედაგოგიურ მუშაობასთან იგი ეწევა მეცნიერულ და საზოგადოებრივ მუშაობას.

ମାସ ପରିଷକାରିଙ୍କିରୁ ଶୀମିତାଗେ ଶୁଳ୍କମିଳିବି: \*\*

1. Мцхет и его собор Свети-Цховели. Историко-археологическое описание с 27 рисунками и 55 орнаментами и плетениями. Издание 1901 года.

ეს ორის მისი ცეკვალაზე უფრო დიდი და პოპულარული თხზულება, შეიცავს 500 გვერდს, შემკიბილია სურათებით, მცხვეთის ტაძრის კედლებიდან გაღმოღებული წარწერებით და ჩუქურთმებით (පლეთენიამ) და, რაც უფრო მნიშვნელოვანია, მრავალი კომენტარიებით. ამ წიგნის წინასიტყვაობაში ავტორი აცხადებს, რომ მას დასკირდა დიდძალი საარქივო მასალების გამოეძებნა სხვადასხვა წყაროებიდან, მათი შესწავლა და გამოქვეყნება, რომ ის პირველი აქვეყნებს ამ დოკუმენტებს, გვჯრებს, სიგვლებს და მანუსკრიპტებს. შეაძვს რა ასეთები ციტატების და კომენტარიების სახით ამ შრომაში, მათსთანავე დასძენს, რომ მათს აკეთებს, რათა გაუადგილოს საქმე მომავალ მკერლებაზე.

ერთი გადახედვითაც ჩანს, რა ღილი შრომა და ცოდნა დასჭირდებოდა აეტორებს ამ ნაწარმოების შესასრულებლად. მცხეთის და მისი საკითხლიკოსო ტაძრის თავებად ასავალი — ეს ხომ მოჰლი საქართველოს ისტორიაა, დაწყებული უძვილესი დროითან.

და ამას ყოველივეს ავტორი აღწერს არა შშჩალი აკადემიური ტონით. არამედ აოთზოგანიბით, ერთვარი პათოსით. იტყობა, რომ

\* ამ დროს სწერს წერილებს სახ. სასამართლოებშე გან. „ხმა ქახეთისა“.  
იბ. 1922 წ. 17 და 28 ივნის. № 16 და 18. ოც. № 5.

\*\* ၁။ မြန်မာနိုင်ငြပ် ပြည်တော်လွှာ ဘဏ်တော်လ ပြည်တော်လ ရုံးချုပ်၏ ရုံးချုပ်၏



მას სულით და გულით ენატრება ამ დიდებული ქართული ხელოვნების მიმდევად ბის ძეგლის აღდგენა. და აი, აკი მთელ შემოსავალს ამ გამოცემისას სწირავს „სვეტი ცხოველის“ რესტავრაციის საქმეს. ამავე დროს უნდა ითქვას: მცხეთის ტაძრის, მისი დეტალების, საუცხოვო ორნამენტების და ჩუქურთმების, წარწერების და სხვადასხვა ფრაგმენტების ფოტო-აპარატით გადაღება, დაბეჭდვა და გამოქვეყნება პირველად თავს იდვა ა. ნატროშვილმა.

ამას უნდა დაეუმატო ისიც, რომ ამ უამრავ ისტორიულ ტექსტებს, დაწერილს ძეველი ქართული საეკლესიო ენით, იგი სთარგმნის რუსულად და როგორ კარგად!

2. მეორე მისი დიდი შრომა არის:

Иверский монастырь на Афоне в Турции. Историко-археологическая справка. Издание 1901 года.

ესეც კარგა მოზრდილი წიგნია, შეიცავს 455 გვერდს. მოვკითხობს ათონის მონასტრის დაარსების ისტორიას საბერძნეთში X საუკუნეში ქართველი ბერების მიერ.

ესენი არიან ძეველი ქართველი მწიგნობრები და მწერლები: დიდი სტრატეგი — თორნიქე ერისთავი, იოანე ივერი, ექეთიმე და გორგი მთაწმინდელები.

ათონის მონასტრი მრავალი საუკუნეების განმავლობაში წარმოადგენდა საქართველოს ერთ-ერთ განათლების ცენტ შორეულ საბერძნეთში, რომელიც ინახებოდა საქართველოს ხარჯით და რომელშიაც აღიზარდა მრავალი ლირსეული ქართველი ადამიანი: მწერლები, რიტორები, ფილოსოფისები და პოეტები. მაგალითად, სახელგანთქმული იოანე პეტრიში და საქართველოს სიამაყე — შოთა რუსთაველი. მაგრამ საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ ბერძნები უკანონოდ დაეპატრონენ მას. ეს თხზულება წარმოგვიდგენს ერთის მხრივ დაეს ქართველი ბერებისა ბერძნ ბერებთან და საზოგადოდ იცავს ისტორიულ სიმართლეს.

ივტორი ამბობს წინასიტყვაობაში, რომ ეს შრომა მან იყისრა მხოლოდ იმ განზრახვით, რომ მოუტანოს სარგებლობა შეძლებისდაგვარად თავის მრავალტანჯულ სამშობლოს.

ივტორს აქაც მოჰყავს დიდი ძალი ისტორიული საბუთები, ამოკრეფილი სხვადასხვა არქივებიდან.

3. Памятная записка об Иверском монастыре на Афоне. Историко-археологическая справка.

Издание 1913 года, შეიცავს 73 გვ.

ეს თხზულება ათონის მონასტრის ისტორიის განმარტებაა და დავა თურქეთთან ამ მონასტრის კუთვნილებაზე ქართველებისადმი.

#### 4. Обучение на родном языке и его культурно-народное значение.

გამოც. 1903 წ. შეიც. 31 გვ.

აქ ავტორი ლაპარაკობს ცოდნის მნიშვნელობაზე ხალხის ეკონო-მიკური და კულტურული განვითარების საქმეში: რომ სკოლა, მხოლოდ სკოლა აგებული საღ პედაგოგიურ პრინციპებზე, მთავარი ღერძია ამ საქმეში. საღი პედაგოგიკა კი მოითხოვს, რომ სწავლა სკოლებში სწარმოებდეს მოწაფეების ბუნებრივ ენაზე. ამ დებულების დასამტკიცებლად აეტორს მოჰყავს მრავალი დიდი პედაგოგების და მეცნიერების მოსაზრებანი: უშინესის<sup>10</sup>, ლ. ტოლსტოის<sup>11</sup>, პოტებნიას<sup>12</sup>, ავადემიკოს უსლარის<sup>13</sup>, იაკობ გოგებაშვილის, ბაბრონიკოვის და მრავალი სხვების: „რომელიმე ერის დენაციონალიზაცია შეუძლებელია“, — ამბობს პროფ. პოტებნია. „კავკასიის ხალხთა ენების მოსპობა ვერ შესძლო ვერც არაბების და ვერც მონგოლების მძიმე ბატონობაში“, — ლაპარაკობს ავადემიკოსი უსლარი.

ამრიგად, ავტორი მოითხოვს, რომ სწავლა ქართულ პირველ დაწყებით სკოლებში მაინც სწარმოებდეს ქართულ ენაზე.

დღევანდელ პირობებში ასეთი განცხადება სადაც საკითხს არ წარმოადგენს, მხოლოდ იმ დროისათვის დიდი განცხადებული ნაბიჯი იყო.

ის დრო იყო თვითმკურობელური პოლიტიკის დრო, ქართული ენა იდევნებოდა პირველ დაწყებითი სკოლებიდანაც. ამ სკოლების სათავეში იდგა ცნობილი მონარქისტი მღვდელი იოანე ეოსტორგვი, ამ პოლიტიკის მთავარი აგენტი და საქართველოს ყველაზე უფრო დიდი მტერი. ეოსტორგვი ცდილობდა გაედევნა ქართული ენა არა თუ პირველი დაწყებითი სკოლებიდან საზოგადოდ, არამედ პირველი დაწყებითი სკოლების პირველსავე კლასიდან, რისთვისაც მოითხოვდა იაკობ გოგებაშვილის რუსული ენის სახელმძღვანელო „Русское слово“ აქრძალვას და ურჩევდა ესწავლებინათ რუსული ენა ქართველი ბავშვებისათვის ე. წ. მუნჯური (ბერლინის) მეთოდით, ქართულია ენის დაუხმარებლად.

ამ საკითხს გამოეხმაურა იაკობ გოგებაშვილი და შემდეგში ნიკო მარიც \*.

ეს წერილი (обучение на родном языке) პირველად მოხსენებდა-სახით იქნა წაკითხული 24.X. 1902 წ. საზოგადოება „Кавказский сельский хозяйствство“-ს სხდომაზე, თვით მისი პრეზიდენტის სულაური მგრიგირების თანდასწრებით. აღვილი წარმოსაღვენია, რანაირი მთა-

\* К грузинскому вопросу. По поводу слова Востбргова о грузинском народе. История Грузии проф. Н. Марра.

შექლილება უნდა მოეხდინა იმისთვის მოხსენებას მაშინდელის მმარტივობის კილა წრებებზე. ეს იყო სწორედ გასროლილი ყუმბარა \*.

სპეციალისტი

### 5. К вопросу о родине щелковичного червя.

გამოც. 1913 წ. 12 გვ.

ეს წერილიც მოხსენების სახით იქნა წაკითხული სრულიად რუსეთის ექიმთა და ბუნებისმეტყველთა XIII ყრილობაზე, რომელიც ჩატარდა თბილისში, 1913 წ.-ივნისში.

ამ წერილში ავტორი ამტკიცებს, რომ აბრეშუმის ჭიის სამშობლო უნდა იყოს აღმოსავლეთი საქართველო და მასთან მოსაზღვრე ქვეყნები: სპარსეთი, თურქეთიანი და კასპის ზღვის სამხრეთ-მდებარე ქვეყნები, რაცვანაც ამ ქვეყნებში აბრეშუმის ჭია მოიპოვება ბუნებრივ პირობებში, ტყეებში. მომხსენებელი უამბობს ყრილობას, რომ იგი თვითონ შემთხვევით 1881 წ. ივნის ხელის დათვალიერების დროს წაწყდა ჰაკუნას ტყეში აბრეშუმის პარკებს საღსაღიაზის (ფისტაშკოვის) და ფურცლის ხეებზე ბუნებრივ პირობებში. ეს პარკები მან წარუდგინა საზოგადოება „Кавказское сельское хозяйство“-ს.

ავტორი იმოწმებს მეცნიერებს, რომლებიც გამოსიქვამენ ამავე აზრს, ამ წერილში განხილულია მებრეშუმეობის მთელი ისტორია და კერძოთ საქართველოს მებრეშუმეობა.

მოხსენებამ მიიქცია ყრილობის სერიოზული ყურადღება.

### 6. Ираклий II, царь Грузинский. По случаю 100 летней годовщины его погребения. 1798—1898 гг.

გამოც. 1898 წ. 15 გვერდი.

დაწერილია ერეკლე მეფის გარდაცვალების ასი წლის თავზე. ეხება საქართველოს, კერძოდ კახეთის მდგომარეობას ერეკლე მეფის დროს და ამ მეფის დაუცხრომელ ბრძოლის საქართველოს მტრებთან. ახასიათებს ერეკლე II, როგორც შესანიშნავ სტრატეგს.

„ამ წიგნის წმინდა შემოსავალი დანიშნულია განსაახლებლად მცხეთის საქრებულო ტაძრისა“, — წერია ყდაზე.

### 7. Чем и как покрыть древние храмы Грузии.

გამოც. 1914 წ. 19 გვერდი.

საკითხი ეხება საქართველოს ძეგლებს, რომლებსაც ესაჭიროება შეკეთება: რანაირად და რით შეკეთდეს ეს ძეგლები. ამ წიგნზედაც აღმეცნილია ავტორისავან ქართული ხუროთმოძღვრების ისტორიის საფუძვლიანი ცოდნა.

8. არითმეტიკის სახელმძღვანელო პირველ დაწყებით სკოლებისათვის ქართულ ენაზე.

\* შემონახულია ერთი ღიურენტი: ბარათი ცონბილ ეგნატე იოსელიანის<sup>14</sup>, საზ. კავკазское сельское хозяйство“-ს მდივნისა, რომლითაც იგი იწვევს მამანებს სხდომაზე ამ მოხსენების გასაკეთებლად. დოკ. № 7.



გამოც. 1893 წ.

ეს სახელმძღვანელო იყო დამტკიცებული საექლესიო პირველდაწყებითი სკოლებში სახმარებლად \*.

ა. ნატროშვილი იყო მთარგმნელიც. სთარგმნიდა ქართულიდან რუსულად და აგრეთვე რუსულიდან ქართულად. მას აქვს ნათარგმნი ი. ქავევაძის „გლიხის ნამბობი“ რუსულად. იბეჭდებოდა უცრნალ „Вестник Грузии“-ში 1907 წელს. აგრეთვე სთარგმნიდა რუსულიდან ქართულად.

9. სახელმძღვანელო საღმრთო სჯულის, I და II ნაწილები.

გამოც. 1900 წ.

ასეთი სახელმძღვანელო საექლესიო სკოლებისათვის აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენდა, ენიადან ამ სასწავლებელში მთავარ საგნათ ითვლებოდა საღმრთო სჯული და ამ საქმის ცოდნას სთხოვდნენ მოწაფეებს პირველ რიგში, სახელმძღვანელოები კი მხოლოდ რუსულ ენაზე მოიპოვებოდა.

ამით ვამთავრებ ა. ნატროშვილის ცალკე გამოცემების განხილვას, თუმცა მას აქვს კიდევ სხვებიც.

არა ნაკლები ღვაწლი დასდო მან საზოგადო მოღვაწეობის საქმეს.

ა. ნატროშვილი იყო მრავალი იმდროინდელი საზოგადოებრივი წამოწყებების წევრი და ბქტიური მონაწილე.

მუდმივი წევრია „ქართველთა შორის წერა-კითხების გამავრცელებელი საზოგადოების“ \*\*. ეს ფრიად მნიშვნელოვანი საზოგადოება დაარსდა 1879 წელს.

1890-იან წლებში ცნობილი ისტორიკოსის და ორქეოლოგის დიმიტრი ბერძენიშვილის<sup>15</sup> ინიციატივით დაარსდა თბილისში საექლესიო მუზეუმი, რომელმაც მოყვარა თავი იქანი გაფანტულს საქართველოს. ისტორიულ დოკუმენტებს, სიგელებს, გრაფებს, მანუსკრიპტებს და ორქეოლოგიურ ნივთებს. ორჩეულ იქნა კომიტეტი შემდეგი შემადგენლობით: თედო უორდანია, ვ. ბარნოვი, ექ. თაყაიშვილი, პოლ. კარბელაშვილი<sup>16</sup>, არქიმ. ლეონიძე<sup>17</sup>. შემდეგ დამატებით შევიღნენ: პეტრე კონსუერი, მარკოზ ტემალაძე<sup>18</sup>, კალ. ცინცაძე<sup>19</sup>, ვას. კარბელაშვილი, ანტ. ნატროშვილი, გიორგი საძაგლიშვილი, ნ. მახარაძე, მოსე ჯანაშვილი, ი. ფერაძე, ა. თოთიბაძე<sup>20</sup> და ა. გრძელიშვილი.

ამთ დაეგალათ ამ მუზეუმის საარქეოლოგიო დოკუმენტების და ნივთების სისტემაში მოყვანა (რეესტრების შედგენა) და შესწავლა\*\*\*.

\* ერთი ცალი ამ სახელმძღვანელოსი ინაქტა თბილისის მწერალთა მუზეუმში.

\*\* ამის შესახებ ცნობები მოიპოვება მის დაცემულდავ წერილში.

\*\*\* ამის შესახებ ცნობები მოიპოვება: თიფლისკი ძრესაგარენი მუზეუმი. გამოც. 1898 წ. დოკ. № 9.



საეკლესიო მუზეუმში მუშაობის დროს ა. ნატროშვილს მიეცა საქართველოს  
შუალება გასცნობოდა საქართველოს ისტორიულ წყაროებს, სიგელებში,  
გურებს, მანუსკრიპტებს და აგრეთვე მატერიალური კულტურის ძეგ-  
ლებს, რაც მან გამოიყენა შემდეგში თავის შრომებისათვის.

იგი მუდმივი წევრია და რწმუნებული საქართველოს საისტორიო  
საეთნოგრაფიო საზოგადოებისა დღიდან მისი დაარსებისა, 1907 წ. \*.

წევრია და მდივანი მცხეთის „სვეტი ცხოველის“ სარესტავრაციო  
კომიტეტის.

მუდმივი წევრია და კორესპონდენტი საჩ. „Кавказское сель-  
ское хозяйство“-ში.

წევრია და მდივანი დ. ზ. სარაჯიშვილის<sup>21</sup> მიერ დაარსებული საქ-  
ველმოქმედო წრის, ომელიც იძლევდა სტიპენდიებს ქართველ ნი-  
ჭირ ახალგაზრდობას უმაღლესი განათლების მისაღებად რუსეთში  
და სახლგარეთ (სხვათა შორის სტიპენდია მიიღეს: ვანო სარაჯი-  
შვილმა<sup>22</sup>, ექ. ს. ვირსალაძე<sup>23</sup> და მრავალმა სხვებმა). წევრია სხვადასხვა  
სკოლებთან არსებული მზრუნველთა საბჭოების: ხარფუხის ერეკლე  
მეფის სახ. სკოლის, მე-2-ე კომერციული სასწავლებლის, თავმჯდო-  
მარეა თბილის I ვაკეთა გიმნაზიის მშობელთა წრის \*\*, თავმჯდომარე  
სასულიერო სემინარიის სამშენებლო კომისიის, რომელმაც ააგო  
ახალი სემინარიის შენობა ვაკეში. მოგვიანებით იქ მოთავსებული იყო  
საოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი \*\*\*.

ა. ნატროშვილი ხშირად ხელმძღვანელობდა ექსკურსიებს ხელი-  
სუფლების დავალებით მცხეთაში, უფლისციხეში და სხვაგან, როგორც  
საქართველოს ძეგლების საუკეთესო მცოდნე, მაგალითად: როდესაც  
რუს მეცნიერთა და ხუროთმოძღვართა ჯგუფი ჩამოვიდა თბილისში,  
მათ მოინდომეს მცხეთის ტაძრის დათვალიერება. ასენა-განმირტების  
მიურმა დაევალა ა. ნატროშვილს, აგრეთვე დიდი ბრიტანეთის წარ-  
მომადგენლის თ. უორლდროპის დროს. უორლდროპმა სთხოვა ა. ნატ-  
როშვილს მისი თხზულება „სვეტი ცხოველი“ კემბრიჯის უნივერსი-  
ტეტის ბიბლიოთეკისათვის და მიიღო მისგან საუკეთესო სურათებიანი  
გამოცემა.

ამისთან დავალებების შესრულება მას ხშირად უხდებოდა.

რაც შეეხება კერძოდ ქიზიყს, ამაზე ა. ნატროშვილს უფრო მეტი  
შრომა აქვს. გაწეული, რაღანაც ქიზიყი განსაკუთრებით უყვარდა, რო-  
გორც სამშობლო მხარე, მას ამისათვის ერთმა მეგობარმა მწერალმა  
სახელად უწოდა: „ქიზიყის დიდი ჭირისუფალი“-ც \*\*\*\*.

\* იხ. მოშობის საქ. სასტორიო საეთნ. საჩ. 1921 წ. 9 პრ. № 92, დოკ. № 18.

\*\* ამ გიჩნ. სწავლობდენ მისი ვაკეშიველების: ილია და იოსები.

\*\*\* ეს მისი დამსახურება შეტანილა მის ფორმულიარში. დოკ. № 2.

\*\*\*\* ამნაირი წარწერით პოლ. კარბელაშვილმა მიართა თავის თხზულება: „იერა-  
ჟია საქართვ. ეკლესიის“, სახსოვრად ა. ნატროშვილს.



კერ ისევ 1887 წ. ზაფხულში მან ჩატარა მეცნიერული მოგზაურობა ქიზიყს, კახეთს და ვარ-ბელაქანში.

მ დროს მას ბევრი რამ საყურადღებო შეხვდა და, რაც უმთავრესია, ე. წ. „თამარის არხის“ (ალაზნის არხის) ნაშთები. ამ მოგზაურობის აღწერა მან გამოივეუყნა უსრიალ „ქავკასკო სოლის ხოზა-ისტვი“-ში ამავე 1887 წელს, ერთ-ერთ ნომერში \*. მ წერილში ავტორი ლაპარაკობს, რომ ეს არხი იყო სიგანით 5 საუკნი, სიგრძით 115 ვერსი, მისღებდა უინვალიდან იორის და ალაზნის შესართავიდის და გამოსთვევამს იმ აზრს, რომ „თამარის არხის“ აღდგენა აუცილებელია ქიზიყის მეურნეობისათვის.

1897 წ. ა. ნატროშვილის და დიმიტრი მაჩხანელის თაოსნობურ დაარსდა ს. ქვემო მაჩხანელი პირველი სამომხმარებლო კოოპერაცია, ე. წ. „დეპო“ — ამის დაარსების მიზანი იყო მიეწოდებინათ წევრებისათვის და მოსახლეობისათვის სავაჭრო შეღავათიან ფასებში და ჯა-ებსნათ გლეხობა ჩრჩ-ვაჭრების ხელიდან. „დეპო“ დაარსდა საწევრო და საპარო გადასახადების თანხებით. ქიზიყის ფართო საზოგადოებამ მიიღო მასში მონაწილეობა. „დეპოს“ განავებდა წევრებიდან ამორ-ჩეული გამგეობა, იმპორტობოდა საერთო კრებებიც \*\*.

ამ კრებების თავმჯდომარედ ირჩევლენ უფრო ხშირად ა. ნატროშვილს (ზაფხულობით, როდესაც ის იქ იყო).

ისევ დიმ. მაჩხანელის და ა. ნატროშვილის მეცადინეობით და მთავრობის წინაშე შუამდგომლობით მოეწყო ქვ. მაჩხანის პირველი საავადმყოფო და აფთიაქი (მოსახლეობის ხარჯით, ათი სოფელი იღებდა მონაწილეობას). ქსენონის ოფიციალური გახსნა ჩატარდა დი-დის ზეიმით 1899 წლის ზაფხულში. ამ ზეიმს დაესწრენ თბილისის გუბერნატორი სკეჩინი და გუბერნიის ექიმი ტირე ქიქოძე და მრავალი საზოგადოება. ა. ნატროშვილმა წარმოთქვა შესაფერი სიტყვა \*\*\*. თბილისიდან გამოწვეულმა ქართულმა თეატრალურმა დასმა ვასო აბა-შიძის, ნატო გაბუნიას, ვ. გუნიას და ურუშაძის შემადგენლობით ჩა-ტარა ქართული წარმოდგენები. ამასაც მაშინდელი ქიზიყისათვის დი-დი კულტურული მნიშვნელობა ჰქონდა.

სოფლები ზემო და ქვემო მაჩხანი იყო მეცხვარეობის ცენტრი, მხოლოდ მეცხვარების შრომის ნაყოფი უვარდებოდათ ხელში ვაჭ-რებს, რომლებიც ყვლელიავნენ მათ. ა. ნატროშვილის ინიციატივით დაარსდა მეცხვარეთა კავშირი. ამ კავშირს ჰქონდა მიზნად გაეწია დახმარება მეცხვარებისათვის, რათა მათ გაეყიდათ თავიანთი საქო-

\* ეს წერილი ინახება მწერალთა მუზეუმში.

\*\* ი. ა. უსტავ მაჩხაანის მოცემული მეცხვარეობის დოკ. № 10.

\*\*\* ეს სიტყვა, ქსენონის (საავადმყ.) წესდება, შესახულია დოკ. № 11, 12.



ნელი (ცხვარი, ყველი, მატყლი) უშუალო მომხმარებელზე ხელსაჭირო ფინანსურული ფასებში \*. ამ საკითხზე ბევრის სწერდა გაზეთებში.

კახეთში რკინისგზის გაყანის საქმეში ინიციატივა აიღო კახეთის თავადაზნაურობამ. მათ შეიმუშავეს საკუთარი ვარიანტი, ე. წ. „Дворянское направление“, თბილისიდან ჩალაუბნის ულელტეხილით თელავამდის. ამ მიმართულების მიხედვით ქიზიყის სოფლები რჩებოდნენ გარიყულნი. ამ საქმეს ა. ნატროშვილი დიდი გაფაციურებით ადეკვატურა თვალყურს. მან შეადგინა სხვა მიმართულება თბილისიდან კაჭრეთშე წნორამდე. ამაზე მან ბევრი სწერა გაზეთებში, მაგრამ ვერას გახდა.

ა. ნატროშვილს იმთავითვე ძალიან აწუხებდა ის გარემოება. რომ მის სოფელში წყალი ორი იური და ხალხი სხვა სოფლებიდან, ფანიანიდან და არბოშივიდან, ეზიდებოდა წყალს და აი 1921 წელს, როდესაც ის აქ მუშაობდა, მან მოიწვია ცნობილი ინჟინერი ქურდიანი, ამ საქმის სპეციალისტი და თავისი ნამოწაფარი, სთხოვა მას გამოეკვლია ეს საკითხი და შეედგინა ხარჯ-აღრიცხვა. ყველაფერი გაკეთდა, მხოლოდ სოფელმა ვერ გამოიღო საჭირო თანხა და ამაზე საქმე ჩაიშალა.

1926 წ. ს. ქვემო მაჩხაანში აშენდა სახალხო სახლი ა. ნატროშვილის უშუალო მონაწილეობით. იგი იყო საამშენებლო კომისიის თავმჯდომარე.

ქიზიყში მუშაობის დროს ა. ნატროშვილი ხშირად კითხულობდა პოპულიარულ ლექციებს ბუნების მეტყველების, გეოგრაფიის და კოსმოგრაფიის დარგებში. 1925 წ. აპრილში ს. ქვემო მაჩხაანში შრომის სკოლის მიერ მოწყობილ საღამოზე კითხულობს ლექციას: „რა მოელის დედამიწას მომავალში“.

ს. ყანდაურის 7-წლიანი შრომის სკოლა აცხადებს, რომ 1926 წლის 31 ოქტომბერს სკოლის დარბაზში ა. ნატროშვილი (სკოლის გამგე) წაიკითხავს საჭირო ლექციას თემაზე: „მიწას ძვრა საქართველოში და მისა მიზეზები“ \*\*\*.

ნატროშვილი ხელმძღვანელობდა ქიზიყშიაც ექსკურსიებს, ჩაატარა, მაგალითად, ექსკურსია მოწაფეებთან ერთად ფეხით ლაგოდეხში, მაისში, 1926 წელს.

ანტონ ნატროშვილი დამცველთა კოლეგიის წევრიც იყო და უწევდა მოსახლეობას იურიდიულ დახმარებას \*\*\*.

\* შენახულია იმ შეცხარეების სია, რომელიც შედიან ამ კაშირში. დოკ. № 13.

\*\* ფინშები და პროგრამები, რომელშიაც აცხადებენ ამის შესახებ, შენახულია დოკ. 14, 15 და 16.

\*\*\* ი. მამოწერა სილნალის მაზრის დამცველთა კოლეგიის რწმუნებულის გ. დაფენიაშვილისა, 1921 წ. 21/II. დოკ. № 17.

1927 წ. პენსიაზე გასცლის შემდეგ იგი შეუდგა ქახეთის მხარეზე უკუკი მცოდნეობის სახელმძღვანელოს შედგენს და ამაზე მუშაობისკიდან შეიქმნა ავად. მას აღმოაჩნდა გულის მანკი. სახელმძღვანელო დარჩა დაუბეჭდავად.

ა. ნატროშვილი გარდაიცვალა 1930 წლის 18 აპრილს, თბილისში. იგი დაკრძალულ იქნა დიდუბის პანთეონში.

1. იაკობ სიმონის ძე გოგებაშვილი (1840—1912), ქართველი პედაგოგი, მეცნიერული პედაგოგიის ფუძემდებული საქართველოში, პუბლიცისტი და საბავშვო მწერალი.
2. ნიკო ზეგებეგის ძე ცხვედაძე (1845—1911), პედაგოგი, საზოგადო მოღვაწე, თბილისის უნივერსიტეტის შენობის აგების თაოსანი.
3. თავაიშვილი ეკვთიმე სამსონის ძე (1863—1953), ქართველი მეცნიერი, ისტორიკოსი, არქეოლოგი, ქართული ეროვნული საგანძუროს საქართველოში დამტუნების მოთავე.
4. თედო დავითის ძე ქორდანია (1854—1916), ისტორიკოსი, საზოგადო მოღვაწე, აერორი მრავალი გამოკვლევისა საქართველოს ისტორიასა და ქართულ ლიტერატურაში.
5. გასოლ ზაქარიას ძე ბარნოვი (1856—1934), ქართველი მწერალი, ქართული ისტორიული რომანის ფუძემდებული.
6. ილია ივანეს ძე ფერაძე (1866—1928), ქართველი მწერალი.
7. ილია დავითის ძე ნატროშვილი, ცნობილი ვექილი, საზოგადო მოღვაწე.
8. მიხეილ ოსების ძე ასათიანი (1849—1879), ქართველი მწერალი, პუბლიცისტი, უურნ. „იმედის“ ერთ-ერთი დმიარსებელი.
9. კონსტანტინე (ჭავჭავაძე) ივანეს ძე გორგიანი (1885—1953), ქართველი მწერალი, საზოგადო მოღვაწე, პედაგოგი.
10. კონსტანტინე დიმიტრის ძე უშიმისი (1824—1971), ცნობილი რუსი პედაგოგი.
11. ლევ ნიკოლოზის ძე ტოლსტოი (1828—1910), გრინალური რუსი მწერალი.
12. ალექსანდრე ათანასევს ძე პოტებნია (1839—1891), გამოჩენილი რუსი ლინგვისტი.
13. კეტრე ბართლომეს ძე უსლარი (1819—1875), რუსი ლინგვისტი და ეთნოგრაფი, კავკასიის ხალხების (მათ შორის აფხაზების) პირველ დამწერლობათა შემქმნელი რუსულ გრაფიკზე დაყრდნობით.
14. ეგნატე ონისიმეს ძე იოსევლიანი (1843—1926), ქართველი რევოლუციონერ-ხალხოსანი; 1873—1874 წწ. აეტოლი მონაწილეობა მიიღო პეტერბურგელ აგვასიელთა წრის მუშაობაში.
15. დიმიტრი ზაქარიას ძე ბაქრაძე (1826—1890), სიქართველოს ისტორიის გამოჩენილი მკლევარი, ეთნოგრაფი და არქეოლოგი.
16. პალიცეკტოს გასილის ძე კარბელაშვილი (1855—1926), ქართველი მწერალი, პუბლიცისტი.
17. არქიმანდრი ლეონიდე თქროპირიძე (1861—1921), საეკლესიო მოღვაწე, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი 1918—1921 წწ.



18. მარკოშ პავლეს ძე ტრიმალაძე (1859—1937), საექლესიო მოღვაწე, პროტოპატესვატერი.
19. კალისტრატე ცინცაძე (1866—1952), საექლესიო მოღვაწე, ეკლესიური ისტორიის მეცნევარი, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი 1932—1952 წ.
20. ანტონ მაქსიმეს ძე თოთიძაძე (1865—1938), საექლესიო მოღვაწე, პროტოპატესვატერი.
21. დავით ზაქარიას ძე სარაჭიშვილი (1848—1911), ცნობილი საზოგადო მოღვაწე, ქველმოქმედი.
22. ვანო პეტრეს ძე სარაჭიშვილი (1879—1924), ცნობილი ქართველი მომღერალი.
23. სპირიდონ სიმონის ძე ვირსალაძე (1868—1930), ქართველი თეატრისტი, მეცნიერებლი თეატრის ერთ-ერთი ფუძემდებელი საქართველოში.

ଶ୍ରୀମଦ୍ଭଗବତ

## XIX საუკუნის პერიოდი —

ლიტერატურის მუზეუმის იქონოგრაფიულ ფონდში დაცულია მრავალი ფერწერული თუ გრაფიკული ნამუშევარი, რომელიც XIX საუკუნით თარიღდება. აქ არის საინტერესო პორტრეტები, პეიზაჟები, ჟანრული თუ ბატოლური სურათები. მათი რიცხვი დიდია, ამიტომ ჩვენ შევარჩიეთ განსახილველად ქართველ მოღვაწეთა და ისტორიულ პირთა აკვარელით შესრულებული 23 პორტრეტი.

ნახატთა ნაწილი მინიატურულია — 20 სანტიმეტრამდე ზომის. პორტრეტული მინიატურა, როგორც ყანჩი, ჩამოყალიბდა ოლქანინგბის ეპოქაში. სტილით და ტექნიკით იგი უძლოვდება როგორც წიგნის მინიატურას, ასევე რეალისტური ხელოვნების საერთო განვითარების ტენდენციას.

XIX საუკუნის შუა ხანებიდან პორტუგალიულ მინიატურას საშიში მეტოქე გაუჩნდა დაგვროტის სახით, ფოტოგრაფიამ კი თითქმის მთლიანად განდევნა პორტუგალის ეს უანრი.

ჩევნი მუზეუმი დიდადაა დავალებული ერმიტაჟის ყოფილი დირექტორის ივ. რატიშვილისაგან. მან მუზეუმს შესძინა ბევრი ძვირფასი სამუზეუმო ექსპონატი, მოგვაწოდა ცნობები ამა თუ იმ პიროვნების შესახებ, დავვიტოვა საინტერესო მოგონებები. 1939 წ. მან მუზეუმში მოიტანა მხატვარ მორგუნოვის მიერ შესრულებული ქართველ ბატონიშვილთა პორტრეტები.

პირველ პორტრეტზე გამოსახულია ერეკლე II ვაჟი ფარნაოს ბარონიშვილი (1777—1852 წ.წ.)\*. ერეკლეს ანდერძით იგი ერთხელ

\* „ფურნაზ ბატონიშვილი“, აკვარელი, ქაღალდი, დედანი, მინიატურა  $14 \times 11$  სმ.  
№ 8246-ი.

მაინც უნდა გამეფებულიყო. 1799 წ. ფარნაოზი მართლაც გამეფდა სურამში — თავის საუფლისწულო მამულში. 1805 წ. იგი გადასახლდა სათვის. გარდაიცვალა 1852 წ. პეტერბურგში, დასაფლავებულია ალექსანდრე ნეველის სასაფლაოზე<sup>1</sup>. პოეზიაში ფარნაოზ ბატონიშვილი აღინდელი რომანტიზმის წარმომადგენელია. თარგმნა კარამზინის „რაისა“<sup>2</sup>.

პორტრეტი ოვალურია, ჩასმული ლითონის ოქროსფერ ქვეჩარჩოში, რომელიც შემდეგ ჩამაგრებულია ბორდოსფერი ხავერდით გადაკრულ ხის ოთხეუთხა ჩარჩოში. ჩარჩოს აქვს ლითონის საკიდიც და მუყაოს სადგარიც.

ზუსტად ასევეა ჩასმული მეორე პორტრეტი, რომელზეც გამოსახულია ოქროპირ ბატონიშვილი (1792—1858 წ.წ.)<sup>3</sup>. ნახატი პირველზე მოხრდილია და ტექნიკურადაც უფრო მაღალ დონეზეა შესრულებული.

ოქროპირ ბატონიშვილი მეფე გიორგი XIII ვაჟი იყო მეორე ქორწინებიდან. 1804 წ. იგი მოსკოვში გაჰყვა დედას<sup>4</sup>, ხადაც ცხოვრობდა გარდაცვალებამდე. 1826 წ. საფუძველი ჩაუყარა მოსკოვის შეთქმულთა წრეს, 1832 წ. შეთქმულების ძირთეს. ოქროპირ ბატონიშვილი გახდა ამ შეთქმულების ერთ-ერთი ცენტრალური ფიგურა. ფარნაოზ ბატონიშვილის მსგავსად ეშვერა ლიტერატურულ მოღვაწეობას. 1853 წ. მოსკოვში დაიბეჭდა მისი „ვეფხისტყაოსანი ტრადიციად“<sup>4</sup>.

ნახატს მარჯვენა ქვემოთა კუთხეში მელნით აწერია „1841 MORGUHOB“.

1801 წ. ოქროპირ ბატონიშვილის უფროსი ძმა მიხეილი პეტერბურგს გაემგზავრა ითანე და ბაგრატ ბატონიშვილებთან ერთად. ეს იყო ბატონიშვილების პირველი გვუფური ჩასვლა რუსეთში. ამავე წელს ბატონიშვილები გაემგზავრნენ მოსკოვს ილექსანდრე I კორონაციაზე. აქ მათ გაიგეს, რომ საქართველოში მეფობა გაუქმდა და რომ მათ რუსეთში მოუწევდათ დარჩენა.

მიხეილ ბატონიშვილის პორტრეტი მუხეუმბა 1947 წ. შეიძინა მსახიობ ნინო თულაშვილისაგან \*\*. ნახატი უჩარჩოოა, მარჯვენა ქვემო კუთხეში ფინქტით ავტორის გვარია მიწერილი „P. A. Hütna“. ქვეში ქართული წარწერა აქვს გაეთხოვდა — „სურათი ქართველი თავა-

\* „ოქროპირ ბატონიშვილი“, აკვარელი, ქაღალდი, დედანი, მინიატურა, 18×14 სმ. № 8249-ი.

\*\* „მიხეილ ბატონიშვილი“, აკვარელი, ქაღალდი, დედანი, მინიატურა, 15×11 სმ № 2558-ი.

დისა გადაგზავნილი მოსკოვში". ნახატი შესრულებული უნივერსიტეტი 800-იან წლებში, ვინაიდან მიხეილი პორტრეტზე სრულიად პარ-გაზრდა გამოსახული (დაბ. 1783 წ.).

მიხეილ და ოქროპირ ბატონიშვილების ძმა უმცროსი ირაკლი დე-დასთან ერთად წავიდა რუსეთში 1804 წ., სადაც მალე დაწინაურდა სამხედრო სამსახურში.

ირაკლი ბატონიშვილის პორტრეტი ზომით ყველაზე პატარაა წარ-მოდგენილ ნახატებს შორის \*. შესრულებულია სპილოს ძელის ფირ-ფირზე. არ არის შემონახული ჩარჩო, შემორჩენილია მხოლოდ მინი-ატურისვე ზომის ოვალური მინა. გაურკვეველია მინიატურის მფლო-ბელი და შეძენის თარიღი. უცნობია ავტორის გვარი და ნახატის შეს-რულების დრო.

1944 წ. კიტა აბაშიძის 5 მეუღლემ, თეკლე ორბელიანშა მუზეუმში მოიტანა ცნობილი რუსი მხატვერის გრიგოლ კორადინის მიერ შესრუ-ლებული პორტრეტები, რომელზეც გამოსახულები არიან თეკლე ბა-ტონიშვილი \*\* და ვახტანგ ორბელიანი \*\*\*. თეკლე ორბელიანისგან-ვე შეძენილი მათი ვაჟების ვახტანგ და ალექსანდრე ორბელიანების მინიატურებიც \*\*\*\*.

ერეკლე II ასული, თეკლე ბატონიშვილი (1776—1846 წ.წ.) ძეგის მსგავსად ეწეოდა ლიტერატურულ მოღვაწეობას. მის ლექსისში გა-მოხატულია ძეველი დიდების დავარგვით გამოწვეული სევდა და ბე-ზის სამდურავი პატიმრის მძიმე ხევდრის გამო, რაღვან 1832 წ. შეთ-ქმულებაში მონაწილეობისითვის გადასახლებული იქნა კალუგაში.

თეკლე ბატონიშვილის და მისი მეუღლის ვახტანგ ორბელიანის პორტრეტები ერთი ზომისაა, ერთნაირ, ბორდოსფერი ხერხზათ გადაკ-რულ ხის ჩარჩოებში ჩასმული. ნახატები შესრულებული უნდა იყოს XIX ს. 30—40-იან წლებში. ორივე პორტრეტზე ფანქრით კარტული ხელითაა წარწერილი „G. Corradini“.

ალექსანდრე და ვახტანგ ორბელიანების მინიატურებისაგან გაკე-თებულია მონტაჟი, ჩასმული ხავერდაგადაკრულ ხის ვიწრო ჩარჩოში.

1832 წ. შეთქმულების ერთ-ერთი ხელმძღვანელი, ალექსანდრე ორბელიანი (1802—1869 წ.წ.), გამოსახულია 3/4 შებრუნებული მარგვ-ნივ, პოეტი ვახტანგ ორბელიანი (1812—1889 წ.წ.) კი — პროფილში.

\* „ირაკლი ბატონიშვილი“, ყვარელი, სპილოს ძეალი, დედანი, მინიატურა, 2X2 სმ. № 9193-ი.

\*\* „თეკლე ბატონიშვილი“, ყვარელი, ქალალდი, დედანი, მინიატურა, 20X16 სმ. № 8245-ი.

\*\*\* „ვახტანგ ორბელიანი“, ყვარელი, ქალალდი, დედანი, მინიატურა, 20X16 სმ. № 8248-ი.

\*\*\*\* „ვახტანგ და ალექსანდრე ორბელიანები“, ყვარელი, ქალალდი, დედანი, მინიატურა, 16X12, № 8236-ი.



ნახატებზე მითითებული არ არის ავტორი და შესრულების თარიღუროვანი დღი. მშების ძალით თუ ვიმსჯელებთ, ნახატები XIX ს. 40-იან წლებში მართვული უნდა იყოს შესრულებული.

თეკლე ორბელიანისგანვე შეძენილი თამარ იაკობის ასული ორბელიანის მინიატურული პორტრეტიც \*. იგი ცოლად ყავდა სამხედრო პირს ანდრია სტეფანეს ძე სანქოვსკის.

წარმოდგენილ ნახატებს შორის შესრულების მაღალი დონით და ტექნიკით გამოიჩინება გრიგოლ ორბელიანის (1804—1883 წ.წ.) ოვალური პორტრეტი \*\*. სამწუხაროდ, მუზეუმში მისი შემოტანის თარიღი ვერ დავიდგინეთ, უცნობია ავტორიც, რაც შევხება შესრულების დროს — ნახატი XIX ს. 60—70-იან წლებს უნდა განეკუთვნებოდეს, რადგან პოეტი გამოსახული უკვე ხანში შესული.

უავტორო და უთარილო გრიგოლ ორბელიანის ძმის, ილია ორბელიანის პორტრეტიც \*\*\*. ნიკოლოზ ბარათაშვილის ბიძებს შორის გამორჩევით უკვარდა ილია. სწორედ მას უძლვნა თავისი ლექსი „მე-ანი“, როდესაც 1842 წ. იგი ტკვედ ჩამილა. განსხვავებით ზემოთაღწერილი ფერადი აკვარელის ნახატებისაგან, ილია ორბელიანის პორტრეტი შავი აკვარელის გრადაციითაა შესრულებული.

XIX ს. შუა ხანების საქართველოს კულტურის ისტორიაში სიინტერესო როლი შეასრულა რუსმა მხატვარმა გრიგოლ გაგარინმა. იტი მსახურობდა ნიკეგოროვნის დრაგუნთა პოლკში და კავკასიაში 1843 წ. დარჩა. ამ დროს იგი თბილისის ხშირი სტუმარი იყო. მოხატა სიონის ტაძარი, შიომღვიმის ლავრა, თამამშევისეული თეატრი და მისი ფარდა. თბილისში დაუახლოედა ქართულ საზოგადოებასა და ალ. ჭავჭავაძის იჯახს. ამ ურთიერთობის შედეგად შეიქმნა მაკო ორბელიანისა და პოეტის ვაჟის, დავით ჭავჭავაძის პორტრეტები ც.

ნიკოლოზ ბარათაშვილის უახლოესი მეგობრის და ალ. ჭავჭავაძის სალონის მუდმივი სტუმრის მაკო ორბელიანის პორტრეტი \*\*\*\* მუზეუმშია ნინა მაღალაშვილისგან შეიძინა 1941 წ. ნახატი შესრულებულია შავი აკვარელით.

ფონდებში ინახება დ. ჭავჭავაძის უავტორო და უთარილო პორტრეტი\*\*\*\*\*, შესაძლოა ეს სწორედ გაგარინის მიერ შესრულებული ნახა-

\* „თამარ ორბელიანი“, აკვარელი, მუყაო, დედანი, მინიატურა, 11×9 სმ. № 4229-ი.

\*\* „გრიგოლ ორბელიანი“, აკვარელი, ქალალდი, დედანი, 29×23 სმ. № 8221-ი.

\*\*\* „ილია ორბელიანი“, აკვარელი, ქალალდი, დედანი, 23×13 სმ. № 4979-ი.

\*\*\*\* „მიკო ორბელიანი“, აკვარელი, ქალალდი, დედანი, 24×18 სმ. № 2180-ი.

\*\*\*\*\* „დავით ჭავჭავაძე“, აკვარელი, ქალალდი, დედანი, მინიატურა, 14×11 სმ. № 8246-ი.

ტია. პორტრეტი მინიატურულია, ოვალური, ჩასმული თქმულების გადასატყობის სახით ჩატარდა. მის გადასატყობის სახით ჩატარდა.

დავით ჭავჭავაძის მეორე პორტრეტიც გვაქვს, ფრანგი მხატვრის ელენ ფრანკენის მიერ დახატული \*.

ელენ და პაულ ფრანკენებმა საქართველოში იმოგზაურეს XIX ს. შუა ხანებში, მათ ჩაიხატეს ჩვენი ქვეყნის ხედები და ტიპები. პაულ ფრანკენის ნახატები ყალბი აღმოსავლური ეგზოტიკის იერს ატარებს, განსაკუთრებით პეიზაჟები, რომლებიც ინდოეთის ჭუნგლებს უფრო მოგვაგონებენ. გაცილებით რეალისტურია ელენ კუბერ-ფრანკენის ნახატები?.

მუზეუმში ინახება ელენ ფრანკენის ორი პორტრეტი.

დავით ჭავჭავაძის პორტრეტი ოვალურია, ჩასმული მწვანედშეღებილ ხის უბრალო ჩარჩოში, შესრულებულია მაღალ პროფესიულ დონეზე. ტექნიკურად უფრო დაბალ დონეზეა შესრულებული ნინო ჭავჭავაძის \*\* პორტრეტი. მათ ნახატში იგრძნობა ის ფსევდოაღმოსავლური ეგზოტიკა, რომელზეც ზემოთ იყო საუბარი. ნინო ევროპულ კაბაში გამოწყობილ ინდოელ ქალს უფრო წააგახს, ვიზაგ ქართველს. არაქართულ განწყობას აძლიერებს უკანა პლანზე გამოსახული პეიზაჟი, ძვირფასი მოოქროვილი პასპორტი და ასევე ოქტონფერად მოჩუქურთმებული ჩარჩო.

ორივე ნახატზე კალმით გაკეთებულია ფრანგული წარწერა: „Helene Franken. Tiflis le 6.III 1856“. ელენ ფრანკენს პორტრეტი ორ ცალად შეუსრულებია. მეორე დედანი მოსკოვის ლიტერატურულ მუზეუმში ინახება.

ნინო ჭავჭავაძის კიდევ ერთი პორტრეტი გვაქვს. ეს არის დაახლოებით XIX ს. 40-იან წლებში შესრულებული მინიატურა\*\*\*. ნახატი შესრულებულია ოვალურ მუყიოზე. ვერ მივაკვლიერ შემოსულობის თარიღს და ვეტორის ვინაობას. დაკარგულია ჩარჩოც.

ფონდში ინახება ილია ბატონიშვილის ორი ქალიშვილის ანა\*\*\*\* და ნადევდას \*\*\*\*\* პორტრეტები.

ანა ცოლად ყავდა დავით ალექსანდრეს ძე ჭავჭავაძეს. ოვალური ნახატი ჩასმულია თხელ ლითონის ოქროსფერ ჩარჩოში.

ნადევდა (1844—1914წ.წ.) გათხოვილი იყო პმერიკელ ნეფტელზე.

\* „დავით ჭავჭავაძე“, ავარელი, ქაღალდი, ჯედანი, 28×22 სმ. № 8234-ი.

\*\* „ნინო ჭავჭავაძე“, ავარელი, ქაღალდი, დედანი, 29×23 სმ. № 8218-ი.

\*\*\* „ნინო ჭავჭავაძე“, ავარელი, მუყაო, დედანი, მინიატურა, 3×2 სმ. № 9192-ი.

\*\*\*\* „ანა ჭავჭავაძე“, ავარელი, ქაღალდი, დედანი, 22×17 სმ. № 8235-ი.

\*\*\*\*\* „ნადევდა ნეფტელი“, ქაღალდი, დედანი.



ცხოვრობდა ნიუ-იორკში. ოდრევე გარდაცვლილი ერთი ვაჟის საფუძვლით მარჯვე აშენა რუსული ეკლესია, ნახატი დაკრული მუყაოზე, რომელშიც მარჯვენა ქვემო კუთხეში ჩაბეჭდილია გერმანული წარწერა: „Photographie der Weninger“.

უცნობია ორივე ამ ნახატის შემოტანის თარიღი და მფლობელის ვინაობა.

ბევრი საინტერესო მასალა შეიძინა მუზეუმში, ნიკოლოზ ბაგრა-ტიონ-მუხრანსკის<sup>8</sup> მეუღლის ანა მუხრანსკაისაგან. 1946 წ. მან მუ-ზეუმში მოიტანა გენერალ ზაქარია ჭავჭავაძის მეუღლის ანას პორტრეტი\*. მარიამი გამოსახულია (1849—1921 წ.წ.) თავის პატარა ვაჟ, ალექსანდრესთან ერთად (დაბ. 1872 წ.), ნახატი შესრულებული უნდა იყოს 1873—1874 წლებში, ვინაიდან ბავშვი გამოსახულია ერთი წლის ასაკში. ნახატის ავტორი უცნობია. ჩარჩო დაკარგულია, მეორე მხარეს ნახატს დაკრული აქვს კალმით შესრულებული XIX ს. საფ-რანგეთის რუკა ფრანგული წარწერებით.

სხვადასხვა დროს მუზეუმს შეუძენია ორი უავტორო, ოვალური მინიატურა.

პირველზე გამოსახულია ქართველი სახოვალო მოღვაწე, ახალ-გაზრდა დიმიტრი ყიფიანი \*\* (1812—1887 წ.წ.), მეორეზე კი — მწერალ ალექსანდრე ყაზბეგის დელა, ელისაბედ (კეკი) ესტატეს ასუ-ლი თარხნიშვილი \*\*\*. გოორგი XIII ასულის სოფიოს შეილიშვილი. ელისაბედი თავისი დროისათვის განათლებული ქალი ყოფილა. გა-მოწერილი ჰქონდა „ცისკარი“ და თვალყურს ადევნებდა ლიტერა-ტურულ ცხოვრებას.

არც ერთი ამ ნახატის ჩარჩო ჩვენამდე არაა მოღვაწეული, ვერ დავადგინეთ მუზეუმში მათი შემოტანის თარიღი და მფლობელის ვინაობა.

ასევე გაურკვეველია მუზეუმში შემოტანის თარიღი და აეტორის ვინაობა პორტრეტისა, რომელზეც გამოსახულია მანანა ორბელიანის სალონის მუდმივი სტუმარი და ერთ-ერთი ლამაზმანი, მართა სო-ლოლაშვილი \*\*\*\*. ნახატი უჩარჩოოა, უზის შესრულების თარიღი „840“.

\* „მარიამ ჭავჭავაძე“, აკვარელი, ქალალდი, დედანი, 23×19 სმ, № 6073-ი.

\*\* „დიმიტრი ყიფიანი“, აკვარელი, მუყაო, დედანი, მინიატურა, 17×13 სმ, № 8251-ი.

\*\*\* „ელისაბედ თარხნიშვილი“, აკვარელი, ქალალდი, დედანი, მინიატურა, 14×11 სმ, № 8240.

\*\*\*\* „მართა სოლოლაშვილი“, აკვარელი, ქალალდი, დედანი, 30×24 სმ, № 4102-ი.



XIX ს. ბოლოსა და XX ს. დასაწყისს განეკუთვნება ბოლტოვსკის მუზეუმის ტირი, რომელზეც გამოსახულია დავით ევგენის ძე ქობულაშვილის ფრენი. ტირი კაპიტან ქობულაშვილის, ალექსანდრე ორბელიანის სიძის შვილოშვილი იყო. მსახურობდა ლეიბგვარდიის პოლკში, იყო შესანიშნავი ცხენოსანი. მისმა ცენტმა „გუნტერმა“ არა ერთი პრიზი მოიპოვა. მხატვარ ბენ-დელს სწორედ უკეთის ტანსაცმელში გამოსახავს. დ. ქობულაშვილი — იპოლრომის ღობეზე ჩამომჯდარი. იგი 60—70-იან წლებში მიწვევული იქნა კინოსტუდიაში. გადაღებულია ქართულ ფილმებში „პზიანეთი“, „ჩარი-რამა“, „წუთისოფელი“ და სხვა.

ნახატი უჩარჩოო, დაკრული შავ მუყაოზე. მარცხენა კუთხეში აკვარელითაა წარჭერილი: „Бендеръ. Москва“.

ვფიქრობთ, მყითხველისათვის საინტერესო იქნება ქართველ მოლგაწეთა ეს პორტრეტები, მით უმეტეს, რომ ბევრი მათგანის სახე ფორმგრაფიამ ევრ შემოგვინახა, ამას გარდა, პორტრეტებში ღოკუმენტური სიზუსტითა გადმოცემული მათი არა მარტო გარეგნება და ფსიქოლოგიური პორტრეტი, არამედ ჩაცმულობა, ეპოქისთვის დამახასიათებელი ნივთები, აქსესუარები, სტილი, გარემო.

ცალკე აღნიშვნის ლირისა ნახატების გაფორმების მაღალი კულტურა, რომელიც ქმნის გარევეულ ატმოსფეროს და კიდევ უფრო გვა-აზლოებს თუ გვაგრძნობინებს გარდასულ ეპოქის სულ...

### ზ 0 6 0 7 3 6 0 8 0:

1. ტ. რუხაძე, ძველი ქართული ლირიკის ისტორიიდან, თბილისი, 1954 წ., გვ. 139.
2. კარავზინი ნიკოლოზ შიხე ილის ძე (1766—1826 წ.წ.) — ჩატარებული, პუბლიცისტი და ისტორიკისა.
3. ცაცაშვილი ჩარიამ — საქართველოს დედოფლი, გორგი XIII შეორების.
4. ტ. რუხაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 140—141.
5. აბაშიძე კორა (1870—1917 წ.წ.) — ქართველი ლიტერატურისტი, კრიტიკოსი, პუბლიცისტი და საზოგადო მოღვაწე.
6. თ. ფერაძე, რუსი და უცხოელი მხატვერები საქართველოში (XIX საუკუნე), თბილისი, 1964 წ. გვ. 30.
7. თ. ფერაძე, დასახ. ნაშრ. გვ. 46.
8. ბაგრატიონ ნ-შუხრან სკი ნიკოლოზ (1868—1933 წ.წ.), ნიკო ბურიათისძმიდა 1899 წ. ინგლის-ბურების ღმერი ინგლისელთა წინააღმდეგ. ტკუდ ჩავარდნილს მიესაფა სიევდოლი, მაგრამ, როგორც საქართველოს სამეცნი დინასტიის ჩამომავალს, სასჯელი შეუცვალეს წმ. ელენეს კუნძულზე გადასახლებით.

\* „დაუით ქობულაშვილი“, აკვარელი, ქაღალდი, ღელაზი, 24×16 სმ, № 5790-ი.

## იონა გელევანიშვილი

ფაქტურის 250 წლისთავის გამო

იონა გელევანიშვილი ქართული ლიტერატურის ისტორიაშიც იონა მიტროპოლიტის (ან იონა რუსის მიტროპოლიტის) სახელით არის მოხსენებული. მისი ცხოვრება და მოღვაწეობა სათანადოდ არ არის შესწავლილი. პლატონ იოსელიანის შემდევ მის შესახევ მხოლოდ ცალკეულ ცნობებს გვაწვდიან ავტორები<sup>1</sup>.

იონე (ანუ იონა) გაბრიელის ძე გელევანიშვილი დაიბადა 1737 წელს. გაიზარდა ანტონ პირველთან, რომელმაც 1753 წელს 16 წლის იონა არქიდიაკვნად დანიშნა, ხოლო 1756 წელს, როდესაც ანტონი განდევნეს საქართველოდან, მან თან წაიყვანა იონა რუსეთში და თავისთან ჰყავდა, ვიდრე იგი ვლადიმერისა და იეროპოლის ეპარქიებს განაცხადდა. ქართლში დაბრუნებულ ანტონს კვლავ თან ჭობყვა იგი. იონამ დროთა განმავლობაში კარგი სახელი მოიპოვა და მცხეთის ჯვრის მონასტრის არქიმანდრიტობაც მიიღო. 1776 წელს ონამ მიტროპოლიტის ხარისხი მიიღო და რუსის ეპარქია ჩაიბარა. 1780 წელს იგი დასაჯეს, აჟყარეს მღვდელმასახურების უფლებები და გარეჭის მონასტრებში გაამწერეს. აქედან ის იმერეთში გაიქცა და შეწყნარება ითხოვა, მაგრამ იმერეთის მეფემ და კათალიკოსმა არ შეუნდეს და კვლავ ქართლში გამოგზავნეს. თბილისში მყოფ იონას მიუჩინეს ბინა იმ დროს ქალაქგარეთ მდებარე ქაშვეთის ეკლესის ეზოში. აქედან იგი მალულად ახალციხის ფაშისთან წავიდა. ახალციხის ფაშიამ მიიღო ლტოლევილი და ხელი შეუწყო საზღვაოგარეთ გამგზავრებაში. მალე ის კონსტანტინეპოლის ჩაიდა და იქაური პატრიარქისგან შეწყნარება ითხოვა. კონსტანტინეპოლის პატრიარქმა პროკოპიოსმა და იერუსალიმის პატრიარქმა აბრამიოსმა მიიღეს მისი თხოვნა და საქართველოს

<sup>1</sup> პლატონ იოსელიანი, შიმოსცელა ინუ მოგზაურობა იონა რუსის მიტროპოლიტისა, 1852 წ. თბილისი. ალ. ხახანიშვილი — ლიტ. ისტორია, III. 1901 წ. გვ. 305, პ. კეთლიდე, ქართული ლიტერატურის ისტორია, II ტ. 1941 წ. გვ. 343. თ. ჭირინი, გორეის ოლქში აღმოჩენილი ქართული სიძველენ, „ლიტერატურული ძეგბაზი“, IV. თბ., 1947 წ. გვ. 225—287. ტ. რეხაძე, ძელი ქართული თეატრი და დრამატ. ტურგა, 1970 წ., გვ. 54, 56, 92, 220, 244, გ. შარაძე, არქეოგრაფიული ძეგბაზი, 1973 წ., გვ. 106—109.



მეცნიერთან და კათოლიკოს-პატრიარქთან უშუამდგომლეს. ანტონ კონტაქტის ლიკოსმა და მეცნე ერეკლები იონა თავის ძეველ უფლებებში მიიღეს და მესხეთ-ჯავახეთის ეპარქია ჩაბარეს. იონას აღდგენის შესახებ იზრუნა აგრეთვე ალექსანდრის პატრიარქმა. შემდგომ მან მოიარა მრავალი ქალაქი და წმიდა ადგილი, ჩავიდა მოლდავეთში, საზაც იგი დიდი პატივით მიიღო თავადმა პოტიომეკინმა, რომელსაც იმერად ბრძოლა ჰქონდა თურქებთან. პოტიომეკინის გარდაცვალების შემდეგ, დედოფალმა ეკატერინე II-მ 1792 წლის 23 აგვისტოს ხელა ვოსტრო განკარგულებას: რუსეთის ერთგულებისათვის ონა გედივანიშვილს წლიურად დაენიშნოს 600 მანეთი პენსია, უფლება მიეცეს იცხოვროს კიევში და იწოდოს არქიეპისკოპოსად-ო. მან სთხოვა სინოდს, იონასათვის დაეპრუნებით იგივე საეკლესიო ხარისხი და ტიტული, რაც პეტონდა საქართველოში. იმის დამამტკიცებელ მოწმებად სახელებდა მოზღოვის ეპისკოპოს გაიოზს და აფხაზეთის კათალიკოს მაქსიმეს. მოზღოვის ეპისკოპოსი გაიოზი სინოდს წერდა, რომ მან 1793 წლის 1 სექტემბერს საქართველოდან რუსეთს მიმავალმა ნახა იონა გილვანიშვილი, რომელიც იყო რუსისა და სურამის მწყემსად, მიტროპოლიტის ხარისხით; ხოლო აფხაზეთის კათალიკოსი მაქსიმე აღამტურებდა, რომ იგი 1793 წლის 23 დეკემბერს იმერეთიდან ქართლში გადასვლისას ესტუმრა იოანე გედევანიშვილს, რომელიც ნამდვილად იყო აღდგენილი თავის უფლებებით. იგი სინოდს განუმარტავდა, რომ იონას პეტონდა მინიჭებული მიტროპოლიტის ხარისხი. წმიდა აღგილებიდან რუსეთში დაბრუნებულმა იონამ მოსკოვში დროებით დასახლების უფლება ითხოვა, ვინაიდან იგი დაავადებული იყო და იქაური მკურნალობა ესაჭიროებოდა. მისი ეს თხოვნა დათარიღებულია 1795 წლით და არა 1799 წლით, როგორც ეს აღნიშნული აქვთ პლ. იოსელიანს წიგნში — „მიმოსელა ანუ მოგზაურობა იონა რუსის მიტროპოლიტისა“ და ალ. ხანანშვილს.

1795 წლის პარილს იონას თხოვნა დააკმაყოფილეს, იმავე წლის 22 ოქტომბერს მას კვლავ მიუმართავს მთავრობისათვის მოსკოვში მუდმივი დასახლების უფლების შესახებ, 31 ღეკემბერს მისი თხოვნა დაუქმაყოფილებიათ, 1814 წლამდე იონას პენსია წლიურად შეადგენდა 600 მანეთს, ხოლო 1814 წლიდან 1817 წლამდე — 1000 მანეთს, 1817 წლიდან 1819 წლამდე — 2000 მანეთს, ხოლო 1819 წლიდან გარდაცვალებამდე 4000 მანეთს. ასეთი შემოსავალი საშუალების ძლევდა მას ეცხოვრა მშვიდად, ემკურნალა და ეზრუნა თავისი შერყეული ჯანმრთელობისათვის, მაგრამ მძიმე და ხანგრძლივი ავადმყოფობის გამო 1821 წლის 4 აგვისტოს იგი გარდაიცვალა დამბლით. იონას ნეშტი დიდი პატივით დასათლავეს პოკრივის მონასტერში 17 აგვისტოს. გარდაცვალებამდე თვენახევრით აღრე მას დაუწერია ანდერძი ქარ-



յարո, Կոմիսարանը կա ռլումինադա նուռաժեցի,  
XIX սականուն 70-րանո հիւզի



Շահում ալյուքտանդրես մը կաթողիկոս,  
1856 թ., թէ. Շորանցւոն.




ଏହା ପିଲାଇବା ଅଶ୍ଵରୀ ଦୀକ୍ଷାରୀରୁଣନ୍ତି-ପ୍ରାଚ୍ୟାଙ୍ଗରୀରୁଣନ୍ତି,  
ଡ୍ରାଇଟ ପ୍ରୋଫେସ଼ନ୍଱େଶନ୍ସରୁ  
ଶ୍ରୀପାଲଙ୍କୁ, XIX ଶାଖା, 50-ରୁଣି ପ୍ଲଟ୍ସରେ। ପ୍ରକଳ୍ପରେ ମିଶର୍ମରୀରୁଣନ୍ତି



ଶିଳ୍ପି ପାତ୍ରମହିଲା କୁମାରପାତ୍ର  
XIX ଶତାବ୍ଦୀରେ 80-ଙାରୀ ଚିତ୍ରମହିଲା (ମୁଖ୍ୟମନ୍ୟାନ୍ତରେ ମହିଳାଙ୍କ ଆନନ୍ଦରେଣ୍ଟ)



ԱՌԱՆԿ ԸՆԱՆԿԵՍ մը ԽԱՐԴԱՇՎԻԼԾ, 900-օանն ՓԼԵԺԸ



Թյուրոպիկ Տադէոնը Շեցվալլո  
(Թյուրոպիկ Տագրաժողով, Շեցվալլո ԽIII մբ,  
1841 թ., թե. Յոհաննեսը)

ଶ୍ରୀମଦ୍ଭଗବତପ୍ରକାଶନ ପରିଚୟ  
ଶ୍ରୀମଦ୍ଭଗବତପ୍ରକାଶନ  
ପରିଚୟ

დავით მა ხილად ეცხოვდა. რომ  
ასეთ მიმდინარე მის მიზანში არ აქვთ გა-  
ტაცია. ამას ეძღვა  
არ არ ხილად არ არ აქვთ გა-  
ტაცია. ეს მიმდინარე მის მიზანში არ არ აქვთ გა-  
ტაცია. ეს მიმდინარე მის მიზანში არ არ აქვთ გა-  
ტაცია.

იონა გელევანიშვილის „მიმოსკლამ“, თავფურცელი



ԱԼ. ԿԱՆՑԵՐՈ, 1891 թ.  
ԱԼ. ՇՈԽՈԽՅԱՆԻ պոտր.

თულ ენაზე, რომელსაც ჩვენამდე არ მოუღწევია. მოსკოვის არქიეპისტობის  
დაცულია მისი რუსული თარგმანი, შესრულებული არქიმანდრიტ დამილებით  
სითეოზის მიერ:

### ЗАВЕЩАНИЕ

Ежели угодно будет провидению и случится мне нечаянная смерть, что не успею зделать полного завещания, тогда князь Дмитрий Багратион и Анастасий Юрьевич Горголи вместе нашими преосвященным распределить дело моего погребения и который Горголи знает шесть тысяч рублей. Из этой суммы употребить расход на погребение и заплатить мелкие мои долги, которые знают мои служители, а детям Бечия доставить сверх шеста две тысячи рублей за освобождение Кебадзе, как писано в данном его письме. Удовлетворить так же моих служителей жалованием, а все остальное мое имение доставить моим племянницам.

Июня 20-го дня 1821 года.

Митрополит Иона.

ანდერძში მოხსენიებული პირებიდან ქართულ წყაროებში იხსენიება პეტრე ივანეს ძე ქებაძე, რომელიც მოღვაწეობდა მე-18 საუკუნის ბოლოსა და მე-19 საუკუნის დასაწყისში. ის ახლო ნაცნობი იყო თეიმურაზ ბატონიშვილის და მარი ბროსესი. პეტრე ქებაძე ცნობილია, როგორც მწერალი, ბიბლიოგრაფი, კალიგრაფი და მთარგმნელი, 1815 წელს მისი რედაქტორობით დაიბეჭდა ონა გედევანიშვილის მიერ შედგენილი (თუ შეკრებილი) „ლოცვანი“. მანვე თარგმნა ქართულად სუმაროკოვის ტრაგედია „სინავ და ტრუვორი“.

რაც შეეხება ანდერძში დასახელებულ მეორე პირს — ანასტასიურის ძე გორგოლს, მისი ვინაობის გარკვევა ძნელდება. არ ვიცით, ვინ იყო და რა დამოკიდებულებაში იმყოფებოდა ონა გედევანიშვილთან. ვიცით, მხოლოდ, რომ ეროვნებით ბერძენი იყო და გარდაიცვალა 1831 წელს, დასაფლავებულია იმავე პოკროვის სასაფლაოზე. მისივე გვარის ვინმე გორგოლის გორგოლის — ეროვნებით „ელინის“, ე. ი. ბერძენის დაურდით.

იონა გედევანიშვილის ორიგინალური ნაშრომი „პუდეშესტვიე“, ესე იგი მიმოსვლა ანუ მგზავრობა, ქმნილი გედეონ სარდლის გაბრიელის ძის იონა მიტროპოლიტისაგან“, საქმოდ გავრცელებული ყოფილა. ჩვენამდე მოღწეულია რამდენიმე ხელნაწერით, ერთ-ერთი მათგანი დაცულია მოსკოვში, ლენინის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკის ხელნაწერთა ფონდში, მეორე — ლენინგრადის აღმოსავლეთ-  
14. ლიტერატურის მატიანე

მცოდნეობის ინსტიტუტის ქართული ხელნაწერების კოლექციაშე, რომელიც  
დენიმე—საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კორნელიშვილის  
ლიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში და ერთიც — საქართ-  
ველოს სახელმწიფო ქართული ლიტერატურის მუზეუმში. ამ თხზუ-  
ლების ვეტორის სული ვრცელი სათაური პირველად შეამოკლა და  
შეცვალა პლატონ იოსელიანმა 1857 წლის გამოცემაში და უწოდა  
მას — „მიმოსვლა, ანუ მგზავრობა ტფილისით კონსტანტინეპოლზედ“,  
რის შემდგომ დღემდე ამ რედაქციით მეორდება მისი სათაური შეცვლე-  
ვართა ნაშრომებში.

იონა გედევანიშვილს სხვა შრომებიც ჰქონია, რომლებსაც ჩვენამდე  
არ მოუღწევია. მისი, როგორც რედაქტორის ნამუშევრებია, 1805 წლის  
ნუსხური შრიფტით დაბჭედილი „სადღესასწაულო“, აგრეთვე „სამ-  
თო მსახურება“, რომლის პირველ ფურცელზე რუსულად აწერია  
„მიტროპოლიტი იონა“, შეიცავს ქართულ-რუსულ და ოსურ პარა-  
ლელურ ტექსტებს.

ცნობილია, რომ რუსეთში მცხოვრებ ბატონიშვილებს და გიორგი  
XIII მეუღლეს, მარიამს, ახლო ურთიერთობა ჰქონდათ ჩუდოვის მო-  
ნასტერში მოღვაწე ქართველ მწიგნობრებთან. ივარაუდება, რომ დე-  
დოფალი ანა და მეფისწულები იცნობდნენ იონა გედევანიშვილს. რო-  
გორც ჩუდოვის მონასტერში დაცული დოკუმენტებიდან ჩანს, იონას  
დამკრძალავ საგანგებო კომისიას აუწერია გარდაცვლილის ქონება და  
განსვენებულის ანდერძთან ერთად უპოვათ წიგნები და ხელნაწერე-  
ბი, ოდენობით 239 ცალი, ამ ფონდიდან ჩვენამდე რამდენიმე  
ცალია მოღწეული.

იონა გედევანიშვილის თხზულების ყველაზე უფრო სრული ტექს-  
ტის მქონე არის მოსკოვური ხელნაწერი, რომელიც შეიცავს 143  
ფურცელს, ჩასმულია ყავისფერ ტყავგადაქრულ მუყასს ყდაში. თა-  
ვისუფალ ფურცელზე რუსულად აწერია: „დედოფალი მარიამ გიორ-  
გის ასული“, ხოლო მომდევნო გვერდზე —ქართულად: „ეს წიგნიპეტ-  
რე ქებაძისა არის, იმასთან ხელი არავის აქუს“. ვინაიდან ამ მინაწე-  
რისა და თხზულების ხელი ერთი და იგივეა, შეიძლება დავასკვნათ,  
რომ ნუსხის გადამწერია პეტრე ქებაძე, ხოლო ხელნაწერის მფლო-  
ბელი შემდგომ მარიამ დედოფალი გამხდარა, თხზულების ტექსტს  
დასაწყისში 6 ფურცელი აკლია. ნაწერია ლურჯ ქაღალდზე, სათა-  
ურები სინგურით. მისი კვირნიშანია 1813 წელი, შედგება 18 ქვესა-  
თაურისაგან. რაც შეეხება ლენინგრადულ ნუსხას, რომლის გადამწე-  
რია ვინმე მაისურაძე, კიდევ უფრო გვიანდელია. ჩვენამდე მოღწე-  
რია ხელნაწერების უმრავლესობა ბოლონიაკლულია, უმეტესობას  
ერთვის ავტორის იამბიკოები, ხოლო ზოგიერთს გედევანიშვილია ავა-  
რეულობის ისტორიაც, სათაურით, „როდოსლოვა“

ბელთა და სახლისა თვისისა მოთხოვთა. ანუ სიტყუა“. პლატონ იოსეფანიშვილის ლიან ეს სათაურიც საკუთარი რედაქციით აქვს დაბეჭდილი „გვარშემზღვიულება, ესე იგი თვისთა მშობელთა და სახლისა თვისისა მოთხოვთა, ანუ სიტყუა“.

ამ თხზულების დედანი დაცულია ქართული ლიტერატურის მუზეუმის ფონდში. ეს ის ხელნაწერია, რომელსაც პლატონ იოსელიანმა ვაუკეთა რედაქცია და დაბეჭდა 1852 წელს.

ხელნაწერი ტყავგადაკრულ მუყაოს ყდაშია მოთავსებული, 83 მოცისფრო, სქელი ქაღალდის ფურცლებზე (ზომით  $19 \times 25$ ), კვირნიშანი — 1792 წელი, ნაწერია შავი მელნით. სათაურები და საწყისი ასოები სინგურით. პირველი გვერდი მომსხვევი და ლამაზი ასოებით არის ნაწერი, ხოლო მეორე გვერდიდან — ნაჩქარევი ხელით და მომცრო ასოებით. ტექსტი სრულია. ერთვის 80-სტრიქონიანი იამბიკ ავტორისა და გედევანიშვილთა გვარეულობის ისტორია. ხელნაწერზე არის პლატონ იოსელიანის მინაწერები. ავტორის შედარებით პარტივი და სადა ენა სრულიად დამორჩილებულია რედაქტორის იმდროინდელ ღრმა ქართულ (არქაულ) სტილს. ტექსტში პლატონ იოსელიანს შეუტანია ახალი სათაურები, ცალკეული სიტყვები და ტერმინები, შეუცვლია ზოგიერთი წინადაღების წყობა, აშიებზე მოთავსებულია მისივე შენიშვნები. სქოლითა ნუმერაცია მოთავსებულია ფრჩხილებში და უშუალოდ სიტყვების თავზეა დაწერილი. ყოველივე ამის შემდეგ ცხადია, რომ პლატონ იოსელიანს დასახეცდი ტექსტი მოუმზადებია ამ ხელნაწერშივე და ისე გადაუცია სტამბისათვის.

ტექსტის ერთი ნაწილის დასასრულს სახელდახელოდ მიწერილი ხელრთვაა მოთავსებული. ნაწერის მიხედვით აშკარაა, რომ იონა გედევანიშვილს კარგი კალიგრაფიული ხელი ჰქონდა.

მუზეუმში ეს ძეგლი შემოსულია 1944 წელს გიორგი ლეონიძის მეულლის ეფემია გედევანიშვილის ოჯახიდან. როგორც ცნობილია, ხელნაწერი გედევანიშვილების საგვარეულოს კუთხნილება ყოფილა. ამ ვარაუდს ამართლებს ის ცნობაც, რომ იონა გედევანიშვილმა დედანი რუსეთიდან საქართველოში გამოგზავნა, როგორც თავისი გვარეულობის კუთვნილება. აღსანიშნავია ისიც, რომ ჩვენი ხელნაწერის ტექსტი სულ 12 თავისაგან შედგება, ხოლო აქედან პლატონ იოსელიანის მიერ ნაბეჭდი, მხოლოდ 11 თავს შეიცავს, ვინაიდან რედაქტორს ორი თავი გაუერთიანებია ერთ თავად. ასე რომ, ამიერიდან თხზულების კრიტიკული ტექსტის დადგენა და თანამედროვე მეცნიერულ დონეზე მისი გამოცემა შესაძლებელია და აუცილებელიც.

წინამდებარე გამოკვლევის თან ერთვის იონა გედევანიშვილის დელნის ფოტოორეპროლექციები, რომლებიც შედარებულია იონას სხვა, ჩვენამდე მოლწეულ ავტოგრაფებთან.

## ათონის ჩართული კულტურის პერის ისტორიისათვის

(ათონური ოთხთავი)

საქართველოს სახელმწიფო ლიტერატურის მუზეუმის ხელნაწერთა ფონდში ინახება მცირე ზომის ტყავგადაკრულ ტვიფრულ ხის ყდაში აკინძული ქართული ოთხთავის სრული ტექსტი. ხელნაწერის აღწერილობა ასეთია:

244 ფ. 7X9 სმ; პერგამენტი; ტყავგადაკრული ტვიფრული ხის ყდა; კლასიკური ნუსხური; ორ სვეტად, თითოეულ სვეტში 23—26 სტრიქონი; ტექსტი სრულია, ოთხი მახარობლის ფერადი მინიატურით; ნახატი შესრულებულია სქელ ქაღალდზე; ხასიათის მიხედვით, სურათები გადმოღებულია უფრო ადრინდელი ძეგლიდან (IX ს.). ხელნაწერში დარჩენილია პერგამენტის ფურცლების ვიწრო ნაწილები, რაც საკუთარი მინიატურების არსებობას ადასტურებს. ე. ი. ძეგლი გაძარცული ყოფილა და შემდეგდროინდელ მხატვარს (XVI ს.) შეუესია ქაღალდზე შესრულებული მინიატურებით (7r, 77r, 115r, 180r). ზოგიერთი თავი ვარაყიანი თავკეშმულობითაა (3r, 74r, 78r, 111v), არის დაუწერელი ვერდები (1r, 6v, 75r—76v, 114r—v, 228v). ხელნაწერის მინაწერები მოთავსებულია: 8r, 63v, 92r, 161v, 239v, 244v; სათაურები და საწყისი ასოები ოქროს ვარაყიანი სინგურით, ზოგან ლამაზი ორნამენტით; თარიღი და გადამწერი არ იხსენიება.

228r-ზე მოთავსებულია გორგი მთაწმინდელის ანდერძის უცნობი ვარიანტი (ტექსტი იხ. ქვემოთ).

უკანასკნელ V-ზე რამდენიმე სტრიქონი საგანგებოდ ამოცხეკილია, რომელშიაც ივარაუცება გადამწერის ვარი. მეორე სტრიქონის ბოლოს ოდნავ ჩანს ქარაგმა — იე.

1v — 3r-მდე მოთავსებულია ტექსტი კირილე ალექსანდრიელის შესახებ: „ამონიოს ალექსანდრიელმან დიდი შრომა და გულისხმიერებაი ყველ...“

იწყება: „სახარება მათესი თავი ა. წიგნი შობისა იესუ ქრისტესი, ძისა დავითისა, ძისა აბრამისა“ 8r—73v.

თავები: „ზანდუკი სახარებისა საძიებლისა“ — 229r—224v.

8r-ზე მინაწერი სათაურშია ჩაწერილი: „ხახულის ღვთისმშობელო, შეიწყალე ბატონიშვილი თეკლა, ამენ. უფალო ღმერთო, მფარველე ექმენ ორსავე შინა ცხოვრებათა“.

ეს ხელნაწერი ძველი ოთონის მონასტრიდან ე. წ. უბის პატარიქოთოვანული ხელნაწერია და ვინ იცის საუკუნეების მანძილზე რამდენი ქართველები მოღვაწის უბეში დაუღამებია, რამდენ მთლიცელს უთქვამს მის ფურცლებზე დაღადისი. იგი თბილისში ჩამოუტანია მღვდელ-მონაზონს ილა ფანცულაიას და პროფ. სარგის კავაბაძისათვის გადაუცია. ს. კავაბაძისადმი მიწერილ ი. ფანცულაის წერილში აღნიშნულია: „ამასთანავე გაახლებთ ტყავზე ნაწერ პატარა სახარების, რომელიც მე მოტანილი მაქვს ძველი ოთონიდან“. შემდგომ ამისა ეს ხელნაწერი პროფ. ს. კავაბაძეს ლიტერატურული მუზეუმის იმუნიცელი დირექტორის გოორგი ლეონიძისათვის ჩაუბარებია. განცხადებაში, რომელიც თან დაურთავს ხელნაწერისათვის, ს. კავაბაძეს თავისი მოსაზრება გამოუთქვამს ამ ოთხთავის შესახებ: „სახარება მიეკუთვნება დაახლოებით XIII საუკუნეს და წარმოადგენს ერთ-ერთ მეტად საინტერესო ხელნაწერს ქართული ოთხთავის. თავისი ტექნიკით ის უდგება ეგრეთ წოდებულ ჯრუპისეულ X საუკუნის ხელნაწერს“.

მეცნიერებაში ცნობილია ქართული ოთხთავის ისტორიულ-ლიტერატურული მნიშვნელობა და ის ფაქტი, რომ იგი ითვლება სალიტერატურო ქართულის სათავედ. ამიტომ ცხადია, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა ენიჭება ქართული ოთხთავის მეცნიერული შესწავლისას წარმოშობილ პრობლემათა გადაჭრას.

კარგა ხანია ქართველი, რუსი და უცხო მკვლევარები დაინტერესებული არიან ქართული ოთხთავით, ბევრი ნაშრომიც არის გამოქვეყნებული სპეციალურ ლიტერატურაში და ბევრჯერაც დაიბეჭდა ოთხთავის ზოგიერთი რედაქციის ტექსტი (ვახტანგ მექევსიძან დაწყებული დღემდე) მთლიანად თუ ცალკეულ თავებად, მაგრამ დასკვნები თუ ტექსტები მეცნიერულ სიზუსტეს მოკლებულია და, რაც მთავარია, დღემდე მეტად იგრძნობა ქართული ოთხთავის კრიტიკული ტექსტის უქონლობით გამოწვეული ხარებზება.

ამიტომ იყო, რომ რამდენიმე წლის წინათ პროფ. ა. შანიძემ ამ საკითხისადმი მიძღვნილ თავის ფუნდამენტურ ნაშრომში („ქართული ოთხთავის ორი ძველი რედაქცია“, 1945 წ.) ჩამოაყალიბა მთელი რიგი პრობლემები, რომელთა გაღაუქრელობის გამო კვლევა-ძიების მიზანი დღემდე მიუღწეველია ამ საქმეში.

მაგალითად, დღემდე არ ვიცით ოთხთავის ისტორია, მისი თავდაპირველი წყარო, ქართული ოთხთავის ურთიერთობა ბერძნულ, სირიულ და სომხურ წყაროებთან, ჩეენამდე მოღწეულ IX, X, XI, XII ს.ს. გადაწერილ ნუსხათა შორის ურთიერთდამოკიდებულება, რომლებმაც მიუხედავად იმისა, რომ საუკუნეთა მანძილზე ბევრი სტილისტური და რედაქციული სწორება განიცადეს, მაინც IV, V საუკუნის ენა და კოლორიტი შეგვინახეს. არ ვიცით, აგრეთვე, თუ რომელი

წყაროს მიხედვით სწორდებოდა შატბერდში, ამ მთავარ სარელაქციანული პუნქტში ქართული ოთხთავის ხელნაწერები და სხვ. „ამისგან უკავები უპირველეს ყოვლისა, — დაასკვნის აკაკი შანიძე, — საჭიროა ყველა მოღწეულ უძველეს ხელნაწერთა ტექსტის კრიტიკული გამოცემა“ და სწორედ აკაკი შანიძემ პირველმა გამოსცა, სათანადო მეცნიერული ანალიზით, ჩვენამდე მოღწეული ძველი ქართული ოთხთავების სრული ტექსტები (897 წ. 936 წ. 973 წ.).

ცხადია, საქმის ასეთ ვითარებაში რაოდენ დიდ პასუხისმგებლობას გვაეცალებს ყოველი ახლად მოპოვებული ხელნაწერი და მასზე მსჯელობა, მაგრამ პროფესორების, ა. შანიძისა და შ. ამირანაშვილის, დამარებით გავტედეთ და შესწავლა დავიწყეთ ზემოთ დასახელებული ხელნაწერისა, რისთვისაც ჯერჯერობით გადმოვწერეთ მისგან ყველაზე უფრო ტიპიური და დიდი ნაწილი — სახარება ლუკასი, რომელიც ჩვენ ტექსტობრივად გვაინტერესებდა.

ხელნაწერის პალეოგრაფიულმა ანალიზმა დაგვარწმუნა, რომ იგი XI საუკუნეს განეკუთვნება და, მიუხედავად ნაწერის გარევნული სხვადასხვაობისა, უნდა ვივარიულოთ, რომ იგი ერთი და იმავე პირის ნაწერია, დაწყებულია მსხვილი ასოებით, ხოლო ეკონომიის თვალსაზრისით, ე. ი. საწერი მასალის დაზოგვისა და ხელნაწერის ნორმალური სისქის დაცვისათვის კალიგრაფს მეორე ნახევრის წერისას ასოების ზომა ძალიან შეუმცირებდა.

საყურადღებოა ხელნაწერი ენობრივი თვალსაზრისით. იგი წმინდა ძველი ქართული ენით არის დაწერილი. მასში დაცულია ის ნორმები, რომლებიც დამახასიათებელი იყო IX—XI საუკუნის ენისათვის, მაგალითად: მასდარული კონსტრუქცია—იყო სიტყუად...; „წმინდაშე თანა“ და „ზედა“ თანდებულები მოითხოვენ სახელებს ნათესაობითსა და მიცემითს ბრუნებაში იმის მიხედვით, ცოცხალი საგნის აღმნიშვნელია სახელი თუ არაცოცხლისა; საყუთარ სახელს არ ერთვის სახელმისათვის, მოთხრობითი და მიცემითი ბრუნების ნიშნები; მტკიცედ არის დაცული მასზღვერელ-საზღვრულის ურთიერთობაში ბრუნვასა და რიცხვში შეთანხმება; დაცულია ძველი ქართულის ნორმა სუბიექტის მეორე პირისა და ობიექტის მესამე პირის ნიშნების ხმარებისას; მცა ნაწილაკი ვერ იგუებს კავშირებითის ფორმებს; მდიდარია ლექსიკური ფორმებითაც.

პროფ. შ. ამირანაშვილის აზრით, ხელნაწერში არსებული ოქროვარაყით დამშვენებული კამარები, რომლებიც გადამშერ კალიგრაფს ეკუთვნის, უყოფისანოდ XI საუკუნეს მიეკუთვნება, როგორც ზემოთ ხელნაწერის აღწერილობაში ვთქვით, ხოლო შიგ ჩართული ოთხი მინიატურა ოთხი მახარობლისა გადმოხატულია ამ ხელნაწერზე უფრო ადრინდელი (X; XI ს. ს.) ძეგლიდან, ისინი ქალალდზეა შესრულებული, მაგრამ როგორც კარგი ასლები, საყურადღებოა ქართული მხატვრობის ისტორიისათვის.



ჩვენ პირველი კვლევის პერიოდში გადაცწყვიტეთ ამ ხელნაწერის ურთიერთებული ანდერძი დაწერილებით შეგვესწავლა, ვინაიდან სპეციალურ ლიტერატურაში დაბეჭდილია და შესწავლილი ჩვენამდე მოღწეული გიორგი-სეული რედაქციის 9 უძველესი, გიორგი მთაწმინდელის ნუსხიდან აღ-ბული ანდერძები.

ეს ხელნაწერი გიორგი მთაწმინდელისეული რედაქციის ნუსხაა და ანდერძის ავტორულების, მისი ლექსიკისა და მოცულობის თვალსაზრი-სით, მცირეოდენი სხვაობის გარდა, საკებით ემთხვევა ჩვენამდე მოღ-წეულ გიორგისეულ ოთხთავთა რედაქციების ანდერძების ტექსტებს.

გიორგი მთაწმინდელის რედაქციის ოთხთავში იმთავითვე ფართო გავრცელება პპოვა როგორც საქართველოში, ისე მის გარეთ. ჩვენამდე მოღწეულია ამ რედაქციის უძველესი 9 ნუსხა — XI—XII საუკუნე-ებისა გელათის, ვანის, ლეჩხუმური, ლაფსხალდის (სვანური), ბრეთის, ახალციხის, მოქვის, ეჩმიაძინის და უბისის. მაგრამ სამწუხაროა, რომ მათი ტექსტები დღემდე ურთიერთს არ არის შედარებული, ხოლო ამ ოთხთავებზე დართული ანდერძები უფრო მეტად არის შესწავლი-ლი და მკვლევართა მიერ მრავალჯერად გამოქვეყნებული: მ. ბროსე (გელათური ოთხთავიდან, 1851 წ.), დ. ბაქრაძე (სვანურიდან; 1864 წ.), გ. საბინინი (გელათურიდან, 1852 წ.), გ. წერეთელი (გელათურიდან, 1891 წ.), თ. უორდანია (ლეჩხუმური და ბრეთის, 1894 წ.), თ. უორ-დანია (ახალციხური და მოქვის, 1897 წ.), მ. ჯანაშვილი (საბინინის მიხედვით, 1900 წ.), ე. თაყაიშვილი (ვანის, 1900 წ.) და ნ. მარი (ეჩმიაძინის მიხედვით, 1912 წ.), ხოლო ზემოჩამოთვლილ გამოცემათა ორ ვარიანტად დაგუფიქდა (1922, 1923 წ.წ.) ა. შანიძეს ეკუთვნის, რომელმაც დასახელებული ანდერძები ორ ჯგუფად დაჰყო — (A) და (B) ვარიანტების ჯგუფი. პირველ ჯგუფში მოათვასა გელათის, ვანის, ლეჩხუმისა და სვანეთის, ხოლო მეორე ჯგუფში — ბრეთის, ახალციხის, მოქვის, ეჩმიაძინისა და უბისის.

ცნობილია, რომ გიორგი მთაწმინდელის მიერ გაწეული დიდი შრო-მა, რომელიც მან ოთხთავის ქართული ტექსტის საბოლოო დამუშა-ვებისათვის დახარჭა და რომლის შესახებ თვითონვე იუწყება ანდერძ-ში: „ესე წმიდაი ოთხთავი ახლად გვითარგმნია“, ორგვარად იყო გა-გებული — ა) რომ ან სრულიად ახალი თარგმანი მოგვცა, ბ) რომ მან ძელად ნათარგმნი ტექსტები შეადარა ბერძნულ წყაროებს, შეა-წორა და რედაქცია გაუკეთა.

ამ საკითხის გადაწყვეტაში, რა თქმა უნდა, უველაზე უფრო ანგა-რიშვასაწევი და სანდოა ა. შანიძის მოსაზრება: „უკეთ ლიტერატუ-რულ ფაქტებს გავითვალისწინებთ, უფრო დასაჭრებელია გიორგის რედაქტორობა, ვიდრე მთარგმნელობა“. მით უმეტეს, რომ გიორგი მთაწმინდელი მისივე რედაქციით დამუშავებულ დავითნის ანდერძ-



შიაც აღნიშნავს: „ფრიადითა იძულებითა ვთარგმნე ესე ჭარბით მოკლე ახლად ბერნძულისაგან“. ა. შანიძე იქვე აღნიშნავს: „რა თქმა უნდა, არც დავითნია გიორგის მიერ სრულებით ახლად ნათარგმნი, საფურველად მასაც ძველი თარგმანები უდევს“. მაშასადამე, ის როგორც აქ, სახარების ანდერშიც თრი უძველესი ოთხთავის — ხანმეტისა და საბაწმინდურის დასახელებაა, რაც გიორგი მთაწმინდელის რედაქტორობას ადასტურებს.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ აკაკი შანიძე გიორგი მთაწმინდელისეულ ოთხთავთა ანდერძების პირველ ჯგუფს (A), სიძველის მხრივ, უპირატესობას აძლევს მეორე (B) ჯგუფთან შედარებით.

ვინაიდან ჩვენი ოთხთავის გადაწერის ადგილი უცნობია, ხოლო მისი ასებობა ათონის მონასტერში დადასტურებულია საუკუნეების მანძილზე და მის ყუაზე ათონის მონასტრის წიგნთსაცავის იარღიყია მოთავსებული პირველი ნომრის აღნიშვნით, ჩვენ ვფიქრობთ, შეიძლება, რომ მას ათონური ოთხთავის სახელი მივაკუთხოოთ.

რაც შეეხება მის ანდერძს, იგი სხვებთან შედარებისა და შესწავლის საფურველზე მცირეოდენი სხვაობით ეთანხმება პირველი (A) ჯგუფის ოთხთავთა ანდერძებს. ამიტომ, შეიძლება ეს ნუსხა ა. შანიძისეული მწკრივის პირველი ოთხეულის მწყობრში მოვათავსოთ და ქართული ოთხთავის კრიტიკული ტექსტის დაღვენის საქმეში მისი საკუთარი სიტყვა ვივიარულოთ.

ამჯერად ჩვენ ვაქვეყნებთ ზემოთ დასახელებული ათონური ოთხთავიდან გიორგი მთაწმინდელის ანდერძის ტექსტის უცნობ ვარიანტს, ქარაგმების დაცვით და გახსნით:

„ესე საცნაური იყვნ ყთა ესე წი ოთხთავ ახლად გვარგმნია ფლითა გმოწულილვთა: და ვინცა ვინ დასწერდეთ: ვითა აქა პპოოთ, ეგრე დაწერეთ თუ ამისგან ჯერ გიჩნდს დაწერაი: ლთსათს სიტყთა ნუ სცვლებთ ვა აქა სწერია ეგრე დაწერეთ: და თუ არა რიმე გაშუნდეს ჩნინი ყნი სხრბნი. პლითენ წმდ. თარგმნილნი არიან და კეთილად ხანმეტნიცა და საბაწმინდურნიცა: მუნით დაწერეთ: და ლთსათს ერთმანერთსა ნუ გაპრევეთ და გლახაკისა გისთს ჩნ ესე დიდითა ლუაწლითა ვთარგმნე: ლოცვა ყვთ“.

„ესე საცნაური იყავნ ყოველთა, რამეთუ ესე წმიდა ოთხთავი ახლად გვითარგმნია ფრიადითა იძულებითა ძმათა ვითმე სულიერთაითა — და ბერძნულთა სახარებათადა შეგვწმებია ფრიადითა გამოწულილვთა და ვინცა ვინ დასწერდეთ ვითა აქა პპოოთ, ეგრე დაწერეთ თუ ამისგან ჯერ გიჩნდეს დაწერაი ლთისათვის სიტყუათა ნუ სცვალებთ, ვითა აქა სწერია, ეგრე დაწერეთ და თუ არა რიმე გაშუნდეს ჩუენნი ყოველნი სახარებანი პირველთაგან წმიდად თარგმნილნი არიან და კეთილად ხანმეტნიცა და საბაწმინდურნიცა მუნით დაწერეთ. და ლვთი-



სათვის ერთმანერთსა ნუ გაპრევო; და გლახაკისა გეორგისათვის, ერთონაცხადი რომელმან ესე დიდითა ღუაწლითა ვთარგმნე ლოცვა ყავით".

პირველყოვლისა უნდა აღინიშნოს, რომ ათონურ ხელნაწერში გადამწერის კვალიც კი არ მოიპოვება, თუ არ მიიღიებთ მხედველობაში ანდერძის ტექსტის ბოლოს მცირე მინაწერის ამონაფხეც ნაკვალევს. ტექსტის დასასრულს მოთავსებულია ზემოთმოყვანილი ანდერძი, დასმულია წერტილი, ჩვეულებრივად, გიორგი მთაწმინდელის მიერ მკითხველისადმი ლოცვის გამოსათხოვაზ სიტყვასთან. შემდეგ დატოვებულია საქმაო ოდენობის ცარიელი არე, სადაც გადამწერს თავისუფლად შეეძლო დაწერა რაიმე — გადამწერის ვინაობისა ან გადაწერის აღგილის შესახებ და იქვე იწყება ოთხთავის ზანდუკი. ანდერძის ტექსტის გამსწორებელი არსად ჩანს, მაშასადამე, ტექსტი ურედაქციონ არის მოცემული, მაშინ, როდესაც დანარჩენ ნუსხებში ეს ანდერძი ნანწილებად არის გადატანილი და შემდგომ გადამწერი, ან რედაქტორი დასახელს ხოლო ავტობიოგრაფიულ ან ხელნაწერის ისტორიის შესახებ მეტ-ნაკლები ოდენობის ცნობებს. ამრიგად, აღრიღდან ცნობილ დასახელებულ ცხრა ოთხთავიდან აღებული ანდერძების ტექსტები ასწორებენ მათ წინარსებულ გიორგი მთაწმინდელის ტექსტს; აგრეთვე, ასწორებენ ერთიმეორეს და ჰქმიან გარკვეულ სახესხვაობას.

ათონური ოთხთავის ეს ანდერძი შევაჯერეთ გიორგი მთაწმინდი-სეული რედაქციის ზემოღასახელებულ 9 ანდერძიდან ა. შაინიძისეულ დაჯგუფების (A) და (B) ვარიანტებს და გამოირკვა შემდეგი:

1. ჩვენი ტექსტი განსხვავებულია ქარაგმათა სიჭარბით. ანდერძის 78 სიტყვიდან 28 სიტყვა ქარაგმით არის დაწერილი, მაშინ, როდესაც ვარიანტების 71 სიტყვიდან მხოლოდ 7—19 სიტყვაა ქარაგმიანი. აღსანიშნავია ისიც, რომ ქარაგმათა-ფორმებიც საკუთარია. მაგ., ქაური ქარაგმებიდან განდევნილია ხმოვნების უმრავლესობა, ვარიანტებში კი თითო-ორთოლა ხმოვანია ქარაგმებიდან ამოღებული, მაგ., „გისათა“, ვარიანტში — „გეორგიისათ“ და ასე შემდეგ.

2. მოიპოვება წაკითხვათა სხვაობანი: მაგ., „რ ესე წი ოთხთავი ახლად ვთარგმნია“, ვარიანტში: „რ ესე წიმიდა ოთხთავი არა თუ ახლად ვთარგმნია“. „ნუსცვალებთ ვითა აქა სწერია ეგრე დასწერეთ“, ვარიანტებში: „ნუ სცვალებთ არამედ ვითა აქა სწერია ეგრე დასწერდეთ“. „თარგმნილი არიან“, ვარიანტებში: „თარგმნილია“. „დასწერდეთ“, ვარიანტში „სწერდეთ“ და სხვა.

3. გიორგი მთაწმინდელის სხვა ტექსტები გამსწორებელთაგან შემოკლებულია, მაგ., ბოლო სტრიქნიდან ვარიანტებში ხუთი სიტყვა „რომელმან ესე დიდითა ღუაწლითა ვთარგმნე“ ამოღებულია.

ამრიგად, ეს ანდერძი ქარაგმათა ხასიათისა და სიჭარბით, რაც დველი ტექსტების დამახასიათებელია, წაკითხვათა სხვაობით, სტილის-

ტური სიძველით, პალეოგრაფიულ-ორთოგრაფიული თავისებურებული ბით, ტექსტის მოცულობითა და, რაც მთავარია, იმით, რომ ორგანული დია რედაქციული სწორება, უპირატესია დანარჩენი ვარიანტების ტექსტებთან შედარებით. ზემოაღნიშნული საფუძველს გვაძლევს, ეს ანდერძი, როგორც დედნისმიერი ტექსტი, გორგი მთაწმინდისეული ნუსხებიდან ამოღებულ 9 ანდერძთა მწერივში პირველ ადგილზე მოვათავოთ და იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ამ ოთხთავის ტექსტიც ერთი პირველთაგანი ვარიანტის სახელს დაიმკვიდრებს მომავალში და ქართული ოთხთავის კრიტიკული ტექსტის დადგენის საქმეში მნიშვნელოვან წელის შეიტანს.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ხელნაწერში მოთავსებულია ქართული მხატვრობისათვის საუკრადლებო XVI საუკუნის უცნობი მხატვრის მიერ შესრულებული ოთხი მახარებლის (მათე, მარქოზ, ლუკა და იოანე) მინიატურა.

სახარების ხელნაწერი გაძარცულია. იქ, სადაც ტყავზე ნახატი მინიატურები უნდა იყოს, ამოჭრილია და ფურცლის ვიწრო ნაშთია დარჩენილი, ხოლო მინიატურები შესრულებულია ქალალზე და ხელნაწერში აუკინძავადაა ჩადებული.

## ორი უცნობი მოგონება

გამოჩენილი მწერლის ნიკო ლორთქიფანიძის ცხოვრებისა და მოღვაწეობაზე, მიუხედავად მასზე გამოქვეყნებული წერილებისა და ბროშურებისა, მისი პირადი ცხოვრებიდან მაინც ძუნწი ცნობები მოვალეობება. ამდენად ლიტერატურულ მუშეულში დაცულ დავით ერისთავის ქალიშვილის ელისაბედ ერისთავის „მოგონებანი ნიკო ლორთქიფანიძეზე“ და ეპატერინე ჩოლოყაშვილის „მცირე მოგონება“, საინტერესო ცნობებს გვაწვდის ნიკო ლორთქიფანიძის ცხოვრებიდან, როგორც შემოქმედისა და უანგარო მოღვაწის შესახებ.

ელისაბედ დავითის ასული ერისთავი მოგვითხრობს, რომ მას ნიკო მერაბის ძე ლორთქიფანიძე გაუცვნია ცნობილი საზოგადო მოღვაწის სოლომონ ჩოლოყაშვილის ოჯახში (1912—1913 წლებში), სოფელ ოძისში, სადაც ნიკო ორი კვირა დარჩენილა ოძისის საბაღოსნო სკოლის დირექტორთან — სოლომონ ჩოლოყაშვილთან, როგორც ახლობელ მეგობართან. შემდეგ ერთად ოძისიდან სტუმრად ჩისულან ცხენებით ახალგორში, ცნობილ დეკლამატორ კოლა ერისთავის სახლში.

ელისაბედ ერისთავი ნიკო ლორთქიფანიძის შესახებ გადმოგვცემს: „მე მომწონდა მისი მოთხოვნები, თბილისში დღესასწაულებზე მოდიოდა ჩვენთან და რამდენჯერმე მაჩუქა თავისი წიგნები: „უამთა სიავე“, „მრისხანე ბატონი“ და სხვა.

იმ დროს მე ბავშვებს ვასწავლიდი ფრანგულ ენას... ერთხელ გვილესიანების ოჯახში ვიყავი. ფრანგულ ენაში ბავშვებს ვამეცადინებდი, ნიკომ გამომიძახა და მითხრა: „მრისხანე ბატონი“ გადამითარგმნე რუსულადო. მე მესიამოვნა მისი ასეთი დავალება და დავეთანხმე. მითხრა, როცა დაასრულებ, მოდი და წამიკითხეო. მე გავაკეთე სიტყვა სიტყვით თარგმანი. მიუუტანე. მან მითხრა, რომ ხმამალლა წამიკითხეო. მე დავიწყე კითხვა. ვერ ვითმენდი და მგრძნობიარედ ვკითხულობდი. ის შემჩერებდა ხოლმე და მეტყოდა, არა, ეგრე არ შეიძლება, ასეთი კითხვა მიშლის, რომ კარგად მოვისმინო. ამიტომ წამიკითხე ისე, როგორც დიავანი, რომ რაიმე შეცდომა არ გამომეპაროსო.

მუშაობაში ძალიან მყაცრი და მომთხოვნი იყო. მერე ჩემი სურეილით გადავუთარგმნე „უამთა სიავე...“ როცა ვნახე, ბოდიში მოვუხადე, რომ ეს მუშაობა ჩემი სურეილით ჩავატარე-მეოქი. ის არასოდეს არ

ამჟღავნებდა არც სიამოვნებას და არც წყენას. მითხრა, მოგონებულები ერთად წავიკითხოთო... „ეამთა სიავეში“ ბევრი შეცდომები შექმნდა. ზოგიერთი სიტყვები სრულებით არ ვიცოდი. მაგალითად: მე სენაკი ვთარგმნე, როგორც ქალაქი — სენაკი. მან გაიცინა და მითხრა, ქართული ენა კარგად არ იციო, — ეს ოთახიაო...“ ელისაბედ ერისთავი ივონებს სხვა შეცვედრებასაც: „ზაქარია ერისთავის კაზინეტში იდგა ბიუსტი მისი დედისია (რომელიც დასაფლავებულია სოფე. ოძისის ეკლესიში); როგორც ნიკო (ლორთქითანიძე) ჩოლოყაშვილთან სტუმრად იყო, სულ დასცემროდა ამ ბიუსტს და სწორედ ეს ბიუსტი აქვს ნაგულისხმები თავის შვერიერ მინიატურაში „ბიუსტი“. ხოლო მინიატურა „სიონის მტრედი“ მიუძღვნა ჩერქეზიშვილის ქალს, რომელიც მოსწონდა (ნიკო ლორთქითანიძეს, დ. შ.) ჭაბუკობის პერიოდში...

ერთხელ ბებიაჩემის მიერ დაწერილი მოგონებები: „სიყრმიდან ბედის მომჩივარი“ წავუკითხე ნიკოს... ძალიან მოეწონა. ალფროვნებულმა მითხრა: „გიორგი ერისთავსაც არ დაუწერია ეგრე კარგადაო. ჩანს მოეწონა ბებიაჩემის მიერ მარტივად დაწერილი თავისი თავგადასავალი და შიგ ჩართული ოჯახის ამბები“. მოგონება დაწერილია 1954 წლის 8 მაისს. მოგონებას ხელს აწერს ელისაბედ დავითის ასული ერისთავი.

ეკატერინე სოლომონის ასულ ჩოლოყაშვილის „მცირე მოგონება ნიკო ლორთქითანიძეზე“ შეეხება ნიკო ლორთქითანიძის მეგობრობას სოლომონ ჩოლოყაშვილთან, ხოლო განსაკუთრებით მნიშვნელოვანია თვით ეკატერინე ჩოლოყაშვილთან ურთიერთობა ინსტიტუტში, კათედრაზე ერთად მუშაობის პერიოდში.

„მამაჩემი და ნიკო, — გადმოგცემს ეკატერინე ჩოლოყაშვილი, — ერთად სწავლობდნენ ვენაში... იქვე ვენაშივე დაუმეგობრდა მამა ნიკო ლორთქითანიძეს. ისინი ბოლომდე დარჩენენ მეგობრებად...“

ერთი წლის განმავლობაში ვმუშაობდი ნიკოსთან ინდუსტრიალურ ინსტიტუტში გერმანული ენის კათედრაზე. ნიკო რამდენჯერმე დამესწრო გაკვეთილებზე, მომცა შენიშვნები და მითითებები; მერე მითხრა: მე დამესწარი ხოლმე გაკვეთილებზეო, მე მართლაც დავესწარი. ვისაც მისი გაკვეთილები არ მოუსმენია, ის ვერასოდეს ვერ წარმოიდგენს, რამდენად კარგი იყო, როგორც პედაგოგი.

ისეთი მშრალი და არა საინტერესო მასალა, როგორც უცხო ენის გრამატიკა, მასთან საინტერესო იყო, რადგან მას ყოველთვის პარალელები გაჰყავდა გერმანულსა და ქართული გრამატიკის საკითხებს შორის... მისი გაკვეთილები იყო მეტად შინაარსიანი, ცოცხალი და საინტერესო.

ჩემი გოგონა ნუციკო პატარა რომ იყო, იცოდა რომ მისი პაპის

მეგობარი ძია ნიკო მწერალია და, ისეთი წარმოდგენა ჰქონდა, რომ გას უნდა სცოდნოდა ბევრი ზღაპარი, რამდენჯერმე სთხოვა, რომ ზღაპარი ეამბნა მისთვის... ნიკო დაპპირდა ზღაპრების წიგნს მოგიძლვნიოდა მართლაც ნეციკოსათვის გადათარგმნა (გრიმის ზღაპრების წიგნიდან) რამდენიმე რჩეული ზღაპარი... მაგრამ (ნ. ლორთქიფანიძის გადათარგმნილი) ზღაპრები გამოვიდა მაშინ, როცა ნიკო ცოცხალი აღარ იყო...

ნიკოს მიმზიდველი სახე ჰქონდა. მასში იყო რაღაც ისეთი, რაც ძალაუნებურად იყორობდა იდამიანს. მსუქანი არ იყო, მაგრამ თავის-თავად იყო მსხვილი (წარმოსადეგი გარეგნობისა)... სრულიად არა ჰქონდა იმერელს, იცოდა ძალიან დინჯი ლაპარაკი... ჰქონდა მსხვილი, მაგრამ ლამაზი მოყვანილობის ხელები. ეს მაშინ შევნიშნე, როდესაც ჩემს გოგონას უხმოთ ეალერსებოდა ხოლმე“.

ეს ორივე მოგონება ნიკო ლორთქიფანიძის შესახებ, როგორც დაწერის თარიღიდან ჩანს (1954 წ. 8 მაისი), ლიტერატურული მუ-ზეუმის დირექტორის გიორგი ლეონიძის დავალებით არის დაწერილი.

## სტრიქონები დავით კლდიაშვილის უბის ზიგნაკიდან

„ოჲ, ნეტარ, თქვენ, დიდებულნო, რომელთ სახელსაც ახსენებენ თქვენი სიკვდილის შემდეგაც, არ წაიშლებიან კაცთა ხსოვნაში, სანამ კაცი დედამიწაზე არ განქრება“, — ჩაუწერია დავით კლდიაშვილს თავის უბის წიგნაკში. 20—23 წლის ახალგაზრდას არ სურს დაემორჩილოს ცხოვრების „უსინათლო ხევდრს“, როგორც თვითონ უწოდებს, იცხოვროს უფერულად და მერე აღსრულდეს სამი ფიცრისა და სამი ადლი მიწისათვის, — ილია რომ იტყოდა.

„... ვერ დაუფარავ ჩემს გულს, კაცმა რომ არ შეიტყოს რა ცეცხლიც სწვავდა მას“... განაგრძობდა დ. კლდიაშვილი. ცხოვრებამ მოსწყვიტა ყმაშვილი ქართულ ნიადაგს. იქ, კიევში, ქართულ სიტყვას დანატრებული დაწიფა ქართულ წიგნს, საქართველოს დიდებულ ისტორიასა და ლიტერატურას. კიეველი ქართველი მეგობრები — ნიკოლოზმოსური, მიხეილ ილურიძე<sup>1</sup>, გიორგი საძაგლიშვილი<sup>2</sup>, პოლიკარპე ჩიხივიშვილი<sup>3</sup>, კოწია ლორთქითანიძე<sup>4</sup>, ივანე გაფრინდაშვილი<sup>5</sup> მხურვალე პატრიოტები იყვნენ და შესანიშნავ ლიტერატურულ წრეს წარმოადგენდნენ დავით კლდიაშვილისათვის.

1882 წ. დ. კლდიაშვილი დაბრუნდა საქართველოში და დაიწყო სამხედრო მოლვაშეობის გრძელი გზა. ფუჭი დროსტარების მოყვარული ოფიცირები, მქაცრი სამხედრო ბრძანებები, სულშემსუთავ ატმოსფეროს უქმნიდა სულ სხვა ცხოვრებისათვის მოწოდებულ კაცს.

დ. კლდიაშვილი მალე მოექცა ბათუმელ საზოვალო მოღვაწეთა წრეში (გრიგოლ ვოლსკი<sup>6</sup>, ივანე მესხი<sup>7</sup> და სხვანი). ეს წრე ღონივრად შეველოდა მოგზაურ დასს, რომელიც ბათუმში დგამდა წარმოდგენებს და რამაც საფუძველი ჩაიყარა ბათუმის მუდმივ თეატრს. დავით კლდიაშვილი დაუახლოვდა შალვა დადიანს<sup>8</sup>, მაკო საფაროვას<sup>9</sup>, ვასო აბაშიძეს<sup>10</sup>, ლადო მესხიშვილს<sup>11</sup>, ქეთო ანდრონიქაშვილს<sup>12</sup>, ალ. ყაზბეგს<sup>13</sup>, რომლებიც აცხოველებდნენ ბათუმის თეატრალურ ცხოვრებას.

თეატრს ჩენი სინამდვილის ამსახველი პიესა ჭირდებოდა. ამ პერიოდისა უნდა იყოს დავით კლდიაშვილის ჩანაწერები უბის წიგნაკში, რომელიც დაცულია სახელმწიფო ლიტერატურული მუზეუმის ხელნაწერთა ფონდში. გადაშლით ამ ფერწყვითელ წიგნაქს და თვალ-



წინ გეხატებათ დიდი გზის დასაწყისში მდგარი ახალგაზრდა. ეგებ თავის თავს ხატავდა მომავალი მწერალი ერთ ჩანაწერში, რომლის უკანასკნელი თვისაც მას „უიმედო“ დაურქმევია: „მართალია, სწამს უკეთესი მომავლისა და ამისათვის მაცადინობს, არ ლალატობს წმინდა კაცობრის მოვალეობას, მაგრამ თან სდევს ყოველ მოქმედებაზედ, ყოველ განწრახაზედ, ყოველ აზრზედ, გატაცებაზედ ეჭვი იმისა, რომ იგი არ იქნება მოსარგებლე, მონაწილე იმ უკეთესობისა, წლების შემდეგ რომ უნდა მოიპოვოს კაცობრიობამ“.

ხან ახლო წარსულს სწვდება დამწყები მწერლის თვალი, ერთი ჩანაწერი მოგვითხრობს ბატონის მუშა ცხოვრებაზე. ყმა ეხვეწება ბატონს: „დამეტსენ ბატონო, თუ ღმერთი გწამს, მაგრამ ბატონი ყრუა. ყმა ადამიანი არ არის მისთვის... აბა, თუ ავრეა საქმეო და მგელივით მივარდა მას და დაუწყო ცემა... შეგარცხვინოს ღმერთმა, შეწუწეს ნაგდებო... შე დალოცვილო, გეხვეწებოდი...“ აქ წყდება ჩანაწერი.

მეფის არმიის სამსახურში მყოფი კლდიაშვილი ხელავდა ოფიცერთა უსაგნო ცხოვრებას. ერთ ჩანაწერში დ. კლდიაშვილი ამხილებს გამროვის (გვარს არ ასახელებს) მლიქენელობას. მან წვეულება გაუმართა გენერალს და მოიწვია ამხანაგებიც. ამხანაგებს შორს დაუჭერიათ თავი:

„შენ დღეს გენერალი გეყოლება და ჩვენ რა უნდა გავაკეთოთ მასთან“.

„ბიჭო, თქვენ დროს გასატარებლად კი არ გპატიუობთ, ჩემთვის, პირადად ჩემთვის... აი, რაშია საქმე, როდესაც გენერალი რამეს იტყვის, თუ ძმიბა გწამთ, ყოველ სიტყვაზე იხარხარეთ, თავი შემაქცევინეთ მისთვის“.

მართლაცდა, ყოველი სიტყვა გენერლისა ხითხითით მიიღეს ყმაწვილებმა. გენერალი სიამოვნებდა ხელქვეითთან სტუმრობით. ყმაწვილები კი სიცილით იკლებდნენ იქაურობას. მასპინძელს შეშინებია და ქართულად უთქვამს ამხანაგებისათვის:

„ნელა, ნელა, ნუ იცინით მეტს, ნუ აჭარბებთ, ოხერმა არ შეგნიშნოს“.

სწავლობდა დ. კლდიაშვილი ცხოვრების სინამდვილეს, ტიპებისა თუ დიალოგების, ამბებისა თუ პორტრეტების ჩანახატებს აკეთებდა უბის წიგნაში.

ქართული კლასიკური მწერლობის ტრადიციებზე აღზრდილი დ. კლდიაშვილი პატრიოტულ თემას დაუინტერესებია. აი, ერთი მოთხრობის ფაბულა, ჩანათვიქრი. მოთხრობის ექსპოზიცია საქართველოს ძეველთურქელესი ყოფაა. საქართველოს გამგებლობა მტერს უჟყრია ხელთ. იგი აბუჩად იგდებს ხალხის ტრადიციებსა და რწმენას.

უკრძალავს ცეცხლთაყვანისმცემლობას და მზისა და ცის მნათობრი თაყვანისცემას მოითხოვს მისგან. ხალხი ლელავს. დამპყრობლების უკრძალავს სახლეში თვალსაჩინო ადგილი უკავია ქართველი ხალგაზრდა ვაჟაცას, ფარნაოზს. დამპყრობელს მოსწონს იგი, სურს დაისიძეოს. მისი მშვენიერი ასული უკავარს კიდეც ფარნაოზს, ქართველი დედა ცდილობს ფარნაოზში აღადგინოს მამულიშვილური გრძნობა. იგი მოაგონებს შეილს მამა-პაპათა ლვაწლს. დიდი შინაგანი ბრძოლით ფარნაოზი სათავეში ჩაუდგება შეთქმულთ და უპირისპირდება დამპყრობელს. „შენი ხალხი რა ღირსია, შენისთანა ყმაწვილმა მისთვის შეიწუხოს თავი“, — უზბენება ფარნაოზს დამპყრობელი. იგი ამცირებს ქართველ ხალხს, დასტინის მის თავმოყარეობას. ახლა კი ფარნაოზი შესძახებს: „ვაის დღე შორს არ არის“. ყმაწვილი მოერია გულს და შესძახა ხალხს: „ცეცხლი განმწენდელი ყოვლისა გასწმენდავს საქართველოსაც“. როგორც უბის წიგნაცი გვაცნობს, დ. კლდიაშვილს უმუშავია თანამედროვეობის ამსახველ ნაწარმოებზე, რომლისთვისაც „შთამომავალნი“ უწოდებია. იგი დათარიღებულია 1885 წლით. მცირე ჩანაწერის შემდეგ დაუწყია მეორე ვარიანტი იგივე ნაწარმოებისა, „ორი შთამომავლობა“. აი, ეს ჩანაფიქრიც.

„ორი ახლად აღმოცენებული ძალა ხელებიან გზაზედ ერთმანეთს. ორივეს წინ დევს ჭერეთ უცნობი გასავლელი ფართო ასპარეზი — ცხოვრების მოედანი. ილექსი გოორგაძე, კესარია სამანიე — ახალი ძალებია, ჭერეთ დაულალავი; ანდრია ჭყონია და ლუქა შემოქმედელი — დალლილები, მძებნელნი მათი ფუჭი ცხოვრების აღმოგსებელი საგნებისა“. ამ ჩანაწერს მოსდევს დიალოგები ლუქასი და ალექსისა, ილექსისა და კესარიასი. შემდეგ ცალკეული მოქმედი პირებია წარმოდგენილი.

კესარია სამანიე ახალი ადამიანია. იგი ეძებს აზრიან ქმედით ცხოვრებას, ხშირად იმეორებს ბარათაშვილის სიტყვებს ქვეყნისათვის სასარგებლო სიცოცხლეზე. კესარიას კურსი შეუსრულებია, სურს დაიწყოს სოფლის მასწავლებლობა, მაგრამ შავრაზმელი ინსპექტორი არ ღებულობს მას, კესარიას სურს აზრთა გაზიარება, მსჯელობა, მამის ოჯახში შემოკრებილი საზოგადოება კი „უპირონი და უსახონი“ არიან. მათი მოქმედება, ქცევა, ლაპარაკი, მსჯელობის საგანი „ერთი და იგივე იყო. ძველებური მყუდროდ იჯდა მათში“. კესარიას აწუხებს, რომ არ შეუძლიან თქვას კეშმარიტება, არ შესწევს საამისო ნებისყოფა — „ყოველივე კაცთა ამმაღლებელი აზრის მიმდევარი“. კესარია ეკრ შორდება მამის ოჯახს, ბედს ემორჩილება. სწორედ ასეთ უხერხემლო ახალგაზრდობას უნდა ეხებოდეს წიგნაცის სხვა ფურცელის ჩანაწერებიც: „ხელად დაბადებული აზრი გაიტაცებს, ათასნაირად დაიყოფა, დასრულდება, თითქოს მზადაა სისრულეში მოსაყვანად. თვითონ ისე რიგად გატაცებულია, რომ მის ოცნებას საზღვარი არ

აქვს. მძიმე საქმე ისე ადვილად სისრულეში მოსაყენად ეჩენება, რომელთაც უფლის გადაწყვეტილად სთვლის, სხვაც აღტაცებაში მოჰყავს. გადის ხანძისამომავალი აღსრულებას ჯერ თავი არ უჩანს, საქმე დაწყებულიც არ არის... მარტოდ ოცნება... უშედეგოდ ნელა ასუსტებს ტვინს, ცეცხლი შეუმჩნევლად იწყებს ქრობას... და იმ ზომამდი, რომ თვითონ არ სჭრა მისი, რამაც ამას წინათ გაიტაცა“.

1889 წლის სექტემბერში დ. კლდიაშვილს დაუწყია მუშაობა პიესაზე. ერთ გვერდზე ჩამოწერილია ამ პიესის მოქმედი პირნი: „ავქსენტი იმენაძე, ნაფუცი ვექილი; ნატალია — იმისი ცოლი, 25. წლის; თავადიშვილი ვალერიანი — ძმა ნატალიასი, არაფერ საქმეს არ ადგია, 28 წლის; პელაგია — დედა აქსენტისა და ბექან ერაძე — ჩინოვნიკი“.

იმ, მოკლე მონახაზიც: ღარიბი და ნიჭიერი ვექილი აქსენტი იმენაძე ოცნებობს ფეხი მოიკიდოს მაღალ წრეში, მან ყოველი ღონე იხმარა ცოლად შეერთო კნიანუნა ნატალია, გულკეთილი, მაგრამ უფიქრელი ქალი.

ნატალიას ძმა, ვალერიანი ნიადაგგამოცულილი თავადაზნაურობის ღვიძლი შეიძლა. იგი ფულებსა სთხოვს დას, ნატალიას. „საცხოვრებელ ღულმას მიკარგვით, მომეცით ფული, ფული... სხვაგან ვისესხებ, თქვენ კი ჩემთვის ვითომეც არ არსებოდდეთ“. აქ დიალოგი წყდება. სხვადასხვა ჩანაწერების შემდეგ ისევ გრძელდება პიესა. ვალერიანმა გაფლანგა ცოლის მზითვი და გაეყარა მას. იგი კვლავ ეძებს დიდ-შითვიან ქალს და პოულობს კიდეც. გაყრილ ცოლზე კი უტიტრად აცხადებს: „მე ხომ პირობა არ მიმიცრა, რომ გავაბეღნიერებდი... კიდევაც უნდა მიმადლონდეს (იცინის), ჩემით მან შეიძინა მიზანი ცხოვრებისა, მე რა შევიძინე მისგან, აბა მეითხე“. ვალერიანიცა და ანდრია შეკრინაც გვავინებენ აბესალომსა ან ბეგლარ ჭიშკარაძეს, რომელსაც თავისი თავი რეაას თუმნად შეუფასებია და სიღარიბის გამო უარს ეუბნება ქორწინებაზე თავისივე მოწონებულ ნინოს. ეს იგივე ოსიერ ხარებაძეა დიდ მზითვიან საცოლეს რომ ეძებს და თავიც ძალიან მაღლა უჭირავს.

„მაღალი გორა“ „ქამუშაძის გამირვების“ მონახაზი უნდა იყოს.

დ. კლდიაშვილის მეორე წიგნაკი ფორმით პატარაა. იგი უფრო გვიანდელია. ერთი ფუტურის ჩანაწერი დათარიღებულია 1893 წლით.

ცალკეული წინადადებები, სიტყვები: „სიღარიბე, ჩივილი, ღარიბი მეზობელი, ცოლ-ქმრის ხასიათი, სხვებს უკან არ რჩებიან, ძალმა ხორცი მოიპარა, სამი აბაზის გადახდევინება, უფეხსაცმელოდ დარჩენა“, — გვარშმუნებს, რომ დ. კლდიაშვილი აზნაურთა გაღატაკებული ცხოვრების აღწერითა დაინტერესებული.

ცნობილია, რომ დ. კლდიაშვილი ახლო იყო ბათუმის მუშებთან. ამ წიგნაკში ვეხდებით ჩანაწერებს მუშათა ცხოვრებაზე. „... ახალი 15. ლოტერატურის გატანე



ტიპი ეფურემ ბერიშვილი, მუშა დაუღალავი... ფართო წარმოებულებული გაქირვებაში ყველაფერი გაერთიანებული ხდება, ეროვნებას სადღა აქვს ადგილი, ძალმომრეობისკენ იწევა“.

ერთ გვერდზე უურნალ „კვალიდან“ გაღმოუშერია: „... ნუთუ მართლა პურსა და ღვინოზე უაღრესი საზრუნავი აღარ დაგვრჩენია ქვეყანაზე? გონებითი არსებობა არსებობის პურზედაც უფრო საჭიროა ჩვენთვის“. დ. კლდიაშვილი დასცინის იმ „პატრიოტებს“, ვისაც საქართველოზე ზრუნვა მარტო სადღეგრძელოთი შეუძლიან გამოხატოს. „კვალის“ ციტატაზე მიუწერია: „ისე ლურმას არას შეცემი და არც დაულევ სადღეგრძელოს, რომ არა ვთქვა — გაუმარჯოს, გაუმარჯოს საქართველოს, მაგრამ როცა არასა ვჭამ და არცა მაქვს მე კახური, მავიწყდება საქართველო და იმისი სამსახურია“. ავტორის გვარი ლექსისთვის არ მიუწერია.

გარდა ამ წიგნაებისა, ლიტერატურულ მუზეუმში დაცულია დ. კლდიაშვილის მოთხოვნებისა და პიესების აეტოგრაფები. ხელნაწერიდან ჩანს, რა პასუხისმგებლობით ეპყრობოდა იგი სტრიქონს, ასწორებდა და ხვეწდა მას.

1. მისე ი ღ ი ღ ა რ ი ძ ე — გორის სემინარის პედაგოგი, საზოგადო მოღვაწე.
2. გორგი ი ერონიშვილის ძე სამაგლიშვილი — კირიონ II (1855—1918), სრულიად საქართველოს პირებული კათოლიკოს-პატრიარქი (1917—1918) ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის თვათმშევლის აღდგნის შემდეგ.
3. პოლიკარძე ჩხილვაშვილი — ექიმი, საზოგადო მოღვაწე.
4. კონსტანტინე (კოშა) ლორთქიძე ანიძე — ექიმი-ფარმაცევტი (1866—1939).
5. ივანე გაფრინდაშვილი — პედაგოგი, საზოგადო მოღვაწე, პოეტ ვალერიან გაფრინდაშვილის ძმით.
6. გრიგოლ იოსების ძე ვოლესკი (უმშიფარიძე) — მწერალი, საზოგადო მოღვაწე (1860—1909).
7. ივანე სიმონის ძე მესხი — პებლიცისტი, საზოგადო მოღვაწე, სერგეი მესხის უმცროსი ძმა.
8. შალვა ნიკოლოზის ძე დადიანი — ცნობილი ქართველი მწერალი, დრამატურგი, თეატრალური მოღვაწე (1874—1959).
9. შავრო მიხეილის ასული საფართვა-აბაშიძისა — ცნობილი ქართველი მსახიობი ქალი (1860—1940).
10. ვასილ ალექსის ძე აბაშიძე — ცნობილი ქართველი მსახიობი, თეატრალური მოღვაწე (1854—1926).
11. ლადო (ვლადიმერ) სარლონის ძე მესხიშვილი — ცნობილი ქართველი მსახიობი, თეატრალური მოღვაწე (1857—1920).
12. ქეთო ელეფთერის ასული ანდრონიკიშვილი — სცენისმოყვარე, ქართული ცეკვის განთქმული შემსრულებელი, მწერალ ილია ზურაბიშვილის და.
13. ალექსანდრე მისეილის ძე ყაზბეგი — დიდი ქართველი მწერალი (1848—1893), ცნობილია მისი სასცენო მოღვაწეობა იმდროინდელ ქართულ თეატრში.

## დიმიტრი გარემონდი

ის, რაც ქართველ თერგდალეულებს აღელვებდა, ის, რამაც ქართველი ხალხოსნები აღძრა სამოქმედოდ, დიმიტრი მაჩხანელის საკუთარი ტკივილიც იყო, საფიქრალი და საზრუნავი.

„... საუცხოო მცოდნე ქართულის ენისა, ქართველი ხალხის ზნეჩეულებისა და ცხოვრებისა, დიდი მოამაგე და მოსარჩევე, დიდი გულშემატკივარი ჩაგრულთა და დევნილთა. ხალხს ძლიერ უყვარდა იგი, სკეროდა მისი, მხარს უჭერდა ყოველ საქმეში, რაც ქვეყნისათვის გამოსადევი იყო“, — ასე ახასიათებს დ. მაჩხანელს იაკობ მანსვეტაშვილი<sup>1</sup>.

დიმიტრი მაჩხანელი (დიმიტრი მიხეილის ძე ნალირაძე) დაიბადა ქიშიყში; სიღნაღის მაზრის სოფ. ქვემო მაჩხანში, 1861 წლის იანვარს.

1880 წელს გამოვიდა ყრმა პოეტის ლექსთა პირველი კრებული „ახალი სიზმარი“<sup>2</sup>, მალე მას მოჰყვა მეორე — „სიყვარულის კრნა“, ეს მცირე კრებულები სუსტი ნაბიჯები იყო პოეტურ ასპარეზზე. დ. მაჩხანელის გამოუცდელი კალამი მეცრად გააკრიტიკა გაზეთშა „ივერიაშ“.

ერთ თავის მოთხრობაში („მოგონება“) დ. მაჩხანელი წერდა: „ღმერთო, მომეცი ნიჭი და სწავლა, რომ ჩემი ქვეყნის ჭირითა და ლხინით აღვინთო გული, აღვიძრა პირი და მთელ ქვეყანას ვუამბო კალმით ხალხის ნაღველი და გასაჭირი... უნდა ვისწავლო, ვისწავლო...“ ცოდნის შეძენის წყურვილი გზავნის დ. მაჩხანელს რუსეთში. იგი ისმენდა ლექციებს მოსკოვის უნივერსიტეტის ბიოლოგიის ფაკულტეტზე, ხოლო თავის რჩენისათვის მუშაობდა ბაგრატიონ-მუხრანსკის ღვინის საწყობში. დაუდალავმა შრომამ, მატერიალურმა გაჭირვებამ თმა გაუჭადარავა ახალგაზრდა კაცს, მაგრამ რუსეთში გატარებული წლებით იგი დიდ კაცოფილებას განიცდიდა. თავის სიძესა (დის ქმარს) და მეგობარს იოსებ ტუკუშეშვილს დ. მაჩხანელი წერდა: „... და დღეს ქვეყნის მატერიალურ სიმდიდრეშიც არ გავცვლი ჩემგან შექმნილს გონიერობის სიძიდიდრეს.“

1880—1890-იანი წლების რუსეთის მდელვარე წლებმა დიდი ზეგავლენა მოახდინა დ. მაჩხანელის სულიერ ცხოვრებაზე. მან ხარბად შეითვისა ის მოწინავე იღებები, რომლებიც მაშინდელი რუსეთის ინტელიგენციას ამოქმედებდა. დ. მაჩხანელი დაახლოებული იყო მოსკოვის ქართველ სტუდენტობასთან. ახლო მეგობრობა ჰქონდა შემდეგში ცნობილ მეცნიერთან ალ. ხახანაშვილთან და სტუდენტ დავით ვაჩაძესთან.

1887 წელს გაზეოთმა „ივერიამ“ გამოიქვეყნა მაჩხანელის „მშენებელუდას სიტყვა“. ეს მოთხოვობა, მართლაც, ძმური დარიგება იყო გლეხსტრიუმების მაგანის ჩახედა თავის უმეცრებაში, ავტორი გლეხის უშეეო მდგომარეობის მთავარ მიზეზად მიიჩნევდა გაუნათლებლობას. „ცოდნა ქვეყნის კეთილი დედ-მამა, ჰკუა-გონების დამრიგებელია. შევი დღის გამოხეცელია, ცხოვრების სახერხო იარაღია, კაი-კაცობის გამჩენია, სამართლიანი მოსამართლეა, ბედის სათავეა, მადლის წყაროა, ამ ქვეყნის სამოთხეა, მეორე მოწყალე ღმერთია“. უსწავლელი კაცი დ. მაჩხანელმა შეადარა უტარო ცულს და „ერთი ტარდაგებული ცულის ოდენობას ხომ ვერც ასი უტარო ცული იზამს“.

„ძმური სიტყვა“ პოცულარული საკითხავი გახდა და იმავე წელს ცალკე წიგნადაც გამოვიდა, ხოლო 1891 წელს ეს ნაწარმოები გამოსცა ცნობილმა ქველმოქმედმა, ფოტოგრაფმა ალ. რიონიშვილმა.

ავტორმა „ძმურ სიტყვაში“ ხალხს დაანახა თავისი ყოფის სიმახიჯე. ის, ერთი მაგალითი ამ წიგნიდან: „ზოგი დედა ძუძუს რომ ჩაუდებს, ავვნის თავზე ტებილად ჩამოიძინებს ხოლმე და იქამდისა სძინავს, სანამ ამ თავის ფუნქულა, ძუძუთი სულჩაგუბებულ ყმაწვილს, სიკვდილს არ ჩააბარებს. საცოდავი ყმაწვილი რომ არტახებით არ ყოფილიყო ჩაერული, ხელებს მაინც გაათათურებდა, თუ პირით ვერ, დაიძახებდა: ვინა ხართ ქრისტიანები. ვინცა მზრდიდა, ისა მკლავსო... ბოლოს, როგორც არი შეიშმუშნება ჩვენი ძილისგუდა ქალბარინი. იფიქრებს, ყმაწვილს მისძინებიაო და გაეხვევა ლუმელიტი საბანში. მაგრამ ის ნურც თქვენი შვილების დამაწყევარს, რა სანახავსაც ნახავს თვალით... ალს ყმაწვილი დაუხრჩვიაო, დაიღრიალებს“.

„კარგი და თითქმის სამაგალითო პროზა უწოდა გაზეოთმა „ივერიამ“ მაჩხანელის „ძმურ სიტყვას“.

1892 წელს გამოქვეყნდა დ. მაჩხანელის მოთხოვობა „სოფლის კუნწულა“. უკიდურეს გაჭირვებაში ჩავარდნილ გლეხს, არავინა ჰყავს მოსარჩელე. არავინ ჩიხედა მის გატანჯულ სულში, არავინ შეიხედა მის გამოფეხვილ ქოხში. მოთხოვობაში წარმოდგენილია მთელი ხროვა ორფეხა ნადირებისა, რომლებიც ნადიმობენ დარბეული გლეხების სანოვაგით. უბედურ გლეხს აღმოხდება წყევლა: „გეკითხოს, გეკითხოს ჩემი დალონებული და ვაივაგლაზისაგან გულდაწყვეტილი ცოლ-შვილის ცოდვა, იქცეს იმათი მდუღარე ცრემლი დიდი მთის აშენოთებულ ღვართქაფად და წანაშოს შენი სახლკარი“. სოფელი უპირობო და ბრმაა. ათას ჭირს ისიც ემატება, რომ გლეხს სამართლის კარზე დედა-ენაზე ვერ უთქვამს თავისი გასაჭირი.

დ. მაჩხანელი ავტორია მრავალი პუბლიცისტური წერილისა.

„ივერიაში“ ხშირად იბეჭდებოდა დ. მაჩხანელის ლექსების ციკლი „ნაწყვეტები“, ხალხში ფართო პოცულარობა მოიპოვა მისმა ლექსების „ნუ იამაყებ, თუნდ იყო ცხრათავა ბაყბაყდევია“... და „ნუ მეტრ-



ფი ქალწულს, ჭაბუკო<sup>3</sup>. ხოლო მისი „ტურფავ, მოდი ნე ხარუონაცუად მტრულად“ კომპოზიტორმა ნიკო სულხანიშვილმა სიმღერად აქცია დაშინებაში შეიყვარა იგი.

1891 წელს დ. მაჩხანელმა დაარსა თავისი სოფლის თეატრი. მწერალი სიკე ფაშალიშვილი თავისი მოგონების წიგნში ამის შესახებ წერს: „უნდა აღვნიშნო, რომ ძველი დროის საქართველოში სასოფლო თეატრი, მონი, პირველად ქვემო მაჩხანელში დაარსდა“. თეატრის გარშემო დ. მაჩხანელმა შემოიკრიბა სოფლის კულტურული ძალა: სცენის მოყვარენი — ოლღა ყისასაშვილი, თაფლო მენთეშაშვილი, მასწავლებელი დ. ჯავაშვილი, ივანე გომელაური და ღია ცის ქვეშ, დიდი ხეების ჩრდილში ძველი რომაული ამფითეატრის მსგავსი თეატრი მოაწყო და ხალხს უჩევნა ა. ყაზბეგის „არსენა“. როგორც მაშინდელი პრესა აღნიშნავდა ამ წარმოდგენაზე ბილეთის ფული „დარბიბებს არ ერთმეოდათ, რის გამოც დიდი ძალის ხალხი დაესწრო წარმოდგენას“.

დ. მაჩხანელმა სოფელს გადასცა თავისი, იმ დროისათვის მდიდარი ბიბლიოთეკა. ამ დროს მთელ სიღნაღის მაზრაში სულ თერთმეტი სკოლა იყო, ხოლო ყოველ სოფელში ხუთი და ათი სამიკიტო. დ. მაჩხანელი ოცნებობდა სკოლის გახსნაზე. მან თავისი საეუთარი სახლი გადასცა სოფელს სკოლისათვის და სოფელმაც იზემა საქალებო სკოლის გახსნა. ამ დიდ საქმეში დ. მაჩხანელს მხარში ედგა მისი მახლობელი და მეგობარი იოსებ ტუკშაშვილი. მათ ერთად შეიძინეს საეუთარი ხარჯით სკოლისათვის საჭირო ნივთები. ამ სკოლაში მასწავლებლობდნენ: ალექსანდრა მენთეშაშვილი, ანეტა ნადირაძე, ლუსა ნადირაძე (დ. მაჩხანელის და), რომელიც უსასყიდლოდ ასწავლიდა ჭრა-კერვას.

ამ სკოლის კურთხევაზე დ. მაჩხანელმა თქვა: „პირველი საქმე კაი შვილის აღზრდისათვის მცოდინარე დედა ყოფილა. დედა, რომელმაც შვილები თავისა და ქვეყნის სასარგებლო ადამიანებად უნდა აღზარდოს... რადგან ჩენ — მდაბიო სოფლის ხალხს, ასეთი მცოდინარე ქალმანდილოსნები არ მოეპოვება.“ ი. ამისთვის შემოვსწირეთ სამუდამოდ ჩემი სახლკარი, შენობა, ადგილი, სადაც თქვენი პატარა ქალები ცოდნის ძუძუთი აღზრდებიან და უანგარიშო მადლსა და სიკეთეს, ღვთის სიყვარულსა და აღამიანის პატივისცემას, ნათელსა და ქეშმარიტებას შეიტანენ თავიანთ ოჯახში თავიანთივე ქმარ-შვილისა, ნათესავებისა და მეზობლების საკეთილდღეოდ“...

იმდროინდელმა პრესამ ფართო აღვილი დაუთმო დ. მაჩხანელის ღვაწლს ქვემო მაჩხანის დეპო-ბანკის დაარსების საქმეში.

დეპოს გახსნით დ. მაჩხანელს იმედი ჰქონდა, რომ ბოლო მოეღებოდა უწესრიგო აღებ-მიცემობას, რომელიც მხოლოდ ჩარჩ-ვაჭრებს

ამდიდრებდა და გლეხებს ღუპავდა, ამ სასარგებლო წამოწყებაში და მიტრი მაჩხანელს გვერდში ეღვნენ: დეკანოზი სიმონ ბეგაშვილი მოვდელი იოსებ მირიანაშვილი, ი. იაშვილი, ბლალოჩინი კირილე ლვთისავრიშვილი, მაჩრის ბოქაული კოლა ერისთავი<sup>4</sup>, ივანე გომელა-ური, ნიკოლოზ პოპიაშვილი.

დეპოს პროექტი, რომელიც დ. მაჩხანელს შეუდგენია, ითვალისწინებს, რომ მოგების ოცი პროცენტი უნდა მიმატებოდა ძირის თანხას, ხოლო დანარჩენით უნდა დაარსებულიყო სამკითხველო, აფთიაქი და სხვა. მას შემთხველი და გამსესხებელი სალაროს როლიც უნდა შეესრულებინა.

1895 წ. თებერვლის 23-ს გაიხსნა დეპო. მის გამგეობაში შედიოდნენ დ. მაჩხანელი (თავმჯდომარე), დ. ჭავაშვილი, ივ. გომელაური და ნიკოლოზ პოპიაშვილი.

დ. მაჩხანელი თვითონ მიღიოდა მოსკოვში, რათა პირველი ხელით შეეძინა საჭირო საქონელი. მალე დეპომ სახელი გაითქვა. მისი მოგებით სოფელმა ააშენა სავაჭრო სახლი, რომელიც ახლაც არსებობს. დეპოს გახსნამ ვაჭრთა საქონლის მაზანდა საგრძნობლად დასცა, რამაც ვაჭრები აღაშფოთა, ისინი დასცინოდნენ დეპოს მოამგეებს და ყოველი ღონით ცდილობდნენ ძირი გამოეთხარათ სახალხო საქმისათვის. იმისათვის, რომ დეპოს სახელი გაეტეხათ, ვაჭრები ზოგჯერ იმაზე ნაკლებ ფასად ჰყიდიდნენ საქონელს. ყოველივე ამან დეპოს დიდი ზარალი მიაყენა, მას დაერთო უმოსავლო წლები. გლეხებს გაუჭირდათ ნისიად წალებული საქონლის ფულის გადახდა. დიდი მონაცემებით წამოწყებული საქმე ნელ-ნელა დასუსტდა.

1898 წლიდან დ. მაჩხანელი გადადგა დეპოს გამგეობიდან, რომელსაც მთელი ოთხი წლის მანძილზე უსასყიდლოდ მეთაურობდა (მის ადგილზე დაინიშნა ფილიპე მახარაძე).

ქიზიყის სახალხო დეპო იყო პირველი ჩანასახი სამომხმარებლო კოოპერაციისა კახეთში. იმ კეთილი საქმის სახსკოვრად დარჩა შენობა, რომელშიც ახლა სოფლის მაღაზიაა და რომლის აშენებაშიც. როგორც განვითარ „ივერია“ აღნიშნავს, თვით მაჩხანელის პირადი დანახარჯი შეიღია ათას მანეთამდე აღწევდა.

1896 წლს 6 ივლისს, ქიზიყს ესტუმრა მარჯორი უორდროპი თავისი ძმითა და მშობლებით. მათ დიდი ინტერესით გაუცენიათ სახალხო დეპოს საქმიანობა. სტუმრებს ქიზიყის საზოგადოებაშ სიღრმალში დარბაზობა გაუმართა, შთამბეჭდავი სიტყვა წარმოუთქვამს დიმიტრი მაჩხანელს.

მძიმე მიტერიალური მდგომარეობა დ. მაჩხანელს საშუალებას არ ძლევდა მთელი არსებით მისცემოდა საზოგადო საქმეს. იგი ოცნებობდა რამე მცირევამაგირიანი ადგილის შოვნაზე. თავის მხარეს

იგი „თვლილა მწერლობისაგან ჯერაც ხელშეუხებელ ზღვად“, მაგრამ არ შეეძლო გატაცებით დასწავებოდა ამ ზღვას. თავის მეცნიერებული ანტონ ნატროშვილს, იგი წერდა: „მატერიალურად შევიწროებული ჩემს უმეტეს დროს ვენახის დამუშავებას ვანდომებ. ვენახი იმდენს არას მაძლევს და არა მაქვს იმდენი თავისუფალი დრო და ქონებრივი ღონისძიება, რომ მარტო ჩვენი შორითშორამდე გადაჭიმული მაზრის სოფლებსა და მთა-ველ-მინდვრებში მაინც ვიარო და მივაწოდო ჩვენს უზრნალ გაზეთებს ათასგვარი საყურადღებო ამბავინი და ცნობანი ხალხის ზნე-ყოფა-ცხოვრებისა, სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობისა, ზნეობრივი და სარწმუნოებრივი აულადიდებისა, საადმინისტრაციო წეს-წყობილებისა, მდიდარ-მეტყველი ზეპირსიტყვეირებისა და მრავალი... გულითა და სულით მწარიან, რომ ხალხის ავკარგი და ჭირვარამი ფოტოგრაფიულის სინამდვილით გადავიღო ქაღალდზედ ჩაგრულ ტანჯული ხალხისავე სიკეთისათვის“.

დ. მაჩხანელი წერილში ანტონ ნატროშვილს, როგორც მეცნიერს, მეზობელს და ძმას სოხოვდა ეშვამდგომლა დავით სარაჭიშვილთან 5, რამე მცირევამაგირიანი დღილი ეშვონა ღვინოების ალებ-მიცემობის საქმეში სიღნალისა და ოელავის მაზრებში.

დ. მაჩხანელმა ასეთი ადგილი ეყრ იშოვა. ერთ თავის ლექსში „პოეტის ლოცვა“ დ. მაჩხანელი წერს:

„... მაგრამ მე მაინც უამჩენო  
კლავ გეველრებმ სულითა,  
ნუ მომელავ უდროულემოლ,  
ფიქრის ზღვა დამაქვს გულითა,  
მინდა აღმოვსოქვა იგი ზღვა  
ზეგარდმო სასწაულითა“.

„უდროულემო“ სიკვდილმა არ დააცალა „ფიქრის ზღვა“ აღმოეთქვა. 1903 წელს, 16 ოქტომბერს, მოულოდნელად გარდაიცვალა იგი „წევთის დაცემით“ (როგორც „ივერია“ წერდა).

დ. მაჩხანელი დაკრძალულია ქვემო მაჩხანელი, სამების ეკლესიის ეზოში.

დამიტრი მაჩხანელმა საფლავში ჩაიყოლა დარტი და ქვენესა, ის რასაც მისი ერთი ლექსი კი არა, გულიდან აღმომხდარი კვნესა გვეუბნება:

„რით ეყრ გათენდი, ბელო ჩვენო, დალამებულო:  
რით ეყრ განელდი, გულო, მარად ცეცხლმოდებულო;  
რით ეყრ გვშევლა, დელავ მტრისგან დაწყვევაბულო;  
რით ეყრ გასგმირდი, ძმათ ჩემო გალიჩრებულო!  
რით ეყრ გაცოცხლდი, მაღლო ცველგან მიმედარებულო;  
რით ეყრ დაემხე, ბოროტებავ, გამხეცებულო!  
რით ეყრ იწამე ქრისტეს სწავლა, კაცთაკრებულო!  
რით ეყრ მორკულდი, სიმართლეზე ხელალებულო!“

- მოწარი  
უნივერსიტეტი  
ცისქონის მუზეუმი
1. იაკობ განსვერაშვილი — მწერალი, მემუარისტი, საზოგადო მოწარის უნივერსიტეტის ცისქონის მუზეუმის მუზეუმისტი (1855—1939).
  2. დ. ნაღირაძე წერტა ფსუვლობრივებით: ღ. მაჩხანელი, „მოაბბე“, „ლავალის“, „მთადიდელი“, „თერგდალეული“, „ქიზიული“, „ყველგან მყოფი“.
  3. ღ. მაჩხანელის ლექსი „ნუ იამაყებ, თუნდ იყო ცხრათვე ბაყბაყდევია“ დაბეჭდილი განეთ „ივერიაში“, 1895 წ. № 36. შემდგეში ხალხურად მიჩნეული შეტანილია ხალხური ზეპირსიტყვიერების კრებულში. ხოლო ლექსი „ნუ შეტრიუქალულს ჭაბუკო“ ერთხანს მიჩნეული იყო იყვაის ლექსად. იგი პირველად მაჩხანელმა გამოაქვეყნა განეთ „ივერიაში“, 1893 წ. № 257.
  - ამ შეცდომების შესახებ ურცელი წერტლები გამოაქვეყნა ნიკო მოსულიშვილმა: „ლიტერატურა და ხელოვნება“, 1949 წ. და „ლიტერატურული განეთი“, 1953 წ.
  4. კოლა ერთა თავი — ცნობილი თეატრალური მოღვაწე, დაკლამატორი. ერთხანს მუშაობდა ქიზიყის ბოქაულად. მისი ჩასვლა დამთხვევა ქიზიყის დეპოს გახსნას, იქ იგი აქტიურად ჩაეძი კულტურულ საქმიანობაში.
  5. ღ. ზ. სარაჯიშვილი — ცნობილი ქველმოქმედი და საზოგადო მოღვაწე (1848—1911).

ალექსანდრე ზაჟგაგის

No 17975—b.

1. „თავის მახეში“ — მოთხრობა; ხელნაწერი; 12 ფ.; 21×17; ნაკლული.

დასაწყისი — „საათის ექვსზედ, შუადღის შემდეგ, როის რკინის  
გზის ვაგონებმა გადმოსვა ერთს სტანციაში რამდენიმე მოგზა-  
ური“...

წყდება — „ქმარმა ჩაიქნია ხელი და გავიღა სხვა ოთახში“.

შენიშვნა: 1. ტექსტი ჩასწორებულია ავტორის მიერ.

2. ნაწერია საერთო ოკეულში შავი მელნით.

No 17979 — b.

2. „ვაი მზის ჩისკლამდინ“ — ვოდევილი; ავტოგრაფი, 18 ფ.;  
 21×17; სრული; ძეგლი ლაქები; ზოგიერთი ფურცლის გვერდი შეხე-  
 ულია.

დასაწყისი — ვილგელმ: (ოთახს აღავტებს) „მუხლები ჩემი აღარ  
არის“.

შენიშვნა 1. ნაწერია უყდო დაშლილ საერთო რეცულში შავი  
მელნით.

2. ნასწორებია ავტორის მიერ.

Nº 17978 — b.

3. „დილა ქორწილის შემდეგ“ (ვოდევილი ერთ მოქმედებად); აფ-  
ტოგრაფი; 20 ფ.;  $21 \times 17$ ; სრული, უყდო; ქვეს ლაქები; ზოგიერთი  
ფურცლის გვერდი შეხეულია.

\* კატელოგი შეაღებინა ლია ხატისკაცმა



დასაწყისი — ასეკო: (წყნარად გამოდის მარცხენა კარებიდან გამოსალის და ასალაფებს სკაშს) „სწორეთ განსაცვიფრებელია კაცის ცუკრულია რება“.

შენიშვნა: 1. ნაწერია ლურჯი მელნით საერთო რვეულში.  
2. ნასწორებია ავტორის მიერ.

#### № 17976 — ბ.

4. „ძალუა გადმოვიყვანოთ“ — პიესა; ავტოგრაფი; ნაკლული; 1 ფ.; 21×17;

დასაწყისი — მარი: „ვანო! გძინამს?... რისთვის ოხრამ აგრე?“  
წყდება — „მაგრამ რაც კი გულერეთილობას შეეხება, მაგაში კი ბო-  
დიშს მოვიხდი!..“

შენიშვნა: 1. ნაწერია რვეულის ფურცელზე შავი მელნით.

#### № 17983 — ხ

5. „დავითის სახლობა“ — ღრამა ოთხ მოქმედებად; ხელნაწერი;  
57 ფ.; 22×18; ნაკლული; უყდო; სარესტავრაციო; აქვს ლიქები.  
დასაწყისი — ნინო: „რა რიგათ დავიღალე, კიბეზედ ძლიერ-და  
ამოველ“.

წყდება — სეი.: (წყნარის ხმით) „სააქაოს არ მეღირსა ბელნიერება  
საიქიოს მაინც ეგებ მეღირსოს (მწარის ღიმილით და მწყნა-  
რათ) მშეიღობით“.

შენიშვნა: 1. ტექსტი ჩასწორებულია ავტორის მიერ შავი და  
წითელი მელნით.  
2. ნაწერია საერთო რვეულში შავი მელნით.

#### № 17980 — ხ.

6. „გრძნობა და მოვალეობა“ — კომედია ხუთ მოქმედებად, ავაერ  
მოჩხუბარიძისა; ხელნაწერი; 91 ფ.; (ოთხი რვეული); 21×17;  
ნაკლული; აქვს ლაქები; I რვეულის თავფურცელი დახეულია;  
ზოგიერთი ფურცლის გვერდი შეხეულია.

დასაწყისი — ნინო: (ფიქრის შემდეგ) ღმერთო, რა რიგათ დამ-  
ღალა გუშინდელმა შემთხვევამ!...“

წყდება — „მაშ გადაწყდეს ვის უნდა დარჩეს“ (ფარდა)

შენიშვნა: 1. ტექსტი ჩასწორებულია ავტორის მიერ.

2. ნაწერია საერთო რვეულებში შავი და ლურჯი  
მელნით.

- გა- ურთიერთობა  
ბის სამსახური
3. სამივე რვეულის თავფურცელის სათაური გა- ურთიერთობა  
ფორმებულია მხატვრულად.
  4. გვაქვს მესამე მოქმედების ორი ვარიანტი.

#### № 17982 — ხ.

7. „შველაფერი ბეღზედ არის დამოკიდებული“ — ვოდევილი;  
ხელნაწერი; 22 ფ.; 21×15; სრული; ძველი ლაქები. ზოგიერთი  
ფურცლის გვერდი შეხეულია.  
დასაწყისი — დიმიტრი: „ძლივს არ გავათავე!..“  
შენიშვნა: 1. ნაწერია საერთო რვეულში შავი მელნით.

#### № 17977 — ხ.

8. „მგზავრის წერილები“ — ჩანაწერი; ავტოგრაფი; 5 ფ.; 22×9;  
ნაკლული.  
დასაწყისი — „ივნისის 18 — გამოველ თბილისიდან“.  
წყდება — „შევატყობინე რომ გზა მხოლოდ დუშეთამდის მქონდა“.  
შენიშვნა: 1. ნაწერია დამღიან ფურცლებზე შავი მელნით.

#### № 17973—74 — ხ.

9. „ზღაპრები და ანდაზები“ შედგენილი და შეკრებილი ა. მ. მო-  
ჩეუბარიძისგან (ყაზბეგი); ავტოგრაფი; 18 ფ.; 22×17; სრული;  
უყდო; პირველი და ბოლო ფურცელი დახეულია.  
დასაწყისი — „ერთი ღარიბი და საწყალი კაცი იყო“.  
შენიშვნა: 1. ნაწერია დაშლილ საერთო რვეულში შავი მელ-  
ნით.  
2. ახლავს ნაბეჭდი ასლი.

ა ლ ბ თ მ ე ბ ი

#### № 17984 — ხ

10. ალ. ყაზბეგის და მისდამი მიძღვნილი ლექსების ალბომი;  
ხელნაწერი; 16 ფ.; 20×13; სრული; რესტავრირებული.  
შენიშვნა: 1. ნაწერია შავი მელნით.  
2. ზოგიერთ ფურცელზე დაკრულია მხატვრული  
სურათები.  
3. ახლავს წიგნიდან ამოჭრილი ალ. ყაზბეგის პორტ-  
რეტი.  
4. ძველი კოლენკორის ყდა ზედ დაკრული  
ფერადი სურათებით.



11. „სახსოვრად ალ. ყაზბეგის“ — ალბომი ალ. ყაზბეგისა და მარტაში მიძღვნილი ლექსებით; ხელნაწერი; 17 ფ.; 21×15; სრული; ლა-  
ქებიანი; დაზიანებული; სარესტავრაციო.  
შენიშვნა: 1. ნაწერია ფურცლებზე შავი და ლურჯი მელნით.  
2. ზოგიერთ ფურცელზე დაკრულია მხატვრული სურათები.  
3. წითელ ყდაში ჩასმულია ალ. ყაზბეგის ფოტო-  
სურათი.

## წერილები

№ 17987

12. ალ. ყაზბეგის წერილი ვასილ (მაჩაბლისადმი) — ავტოგრაფი;  
2 ფ.; 18×11. სრული.  
ალ. ყაზბეგი სთხოვს ადრესატს დაეხმაროს ბათუმელ მემამულეებს.  
ალ. ყაზბეგი ატყობინებს ვასილ (მაჩაბლს) ილია ჭავჭავაძის და  
ივანე პოლტორაციის დახმარებით თავისი კონფლიქტური საქ-  
მეების მოგვარების შესახებ.

## საბუთები

№ 18529

13. „მიხაილოვის“ საავადმყოფოს მოწმობა ალ. ყაზბეგის გარ-  
დაცვალების შესახებ — ხელნაწერი რუსულ ენაზე; 1 ფ.;  
35×22; რესტავრირებული.

№ 17987 — ბ.

14. ცნობა ალ. ყაზბეგის გარდაცვალების შესახებ — დიაგნოზი;  
ხელნაწერი რუსულ ენაზე; 2 ფ.; 22×17.

№ 17986 — ბ.

15. პარასკევა შატინინას 1869 წლის შემოსავალ-გასავლის წიგნი —  
ხელნაწერი რუსულ ენაზე; 12 ფ.; 22×18; სრული; უყდო;  
აქვს ლაქები.  
შენიშვნა: 1. ნაწერია უყდო საერთო რვეულში შავი მელნით.  
2. წიგნი შეძენილია 1948 წლის აპრილში თამარ  
მამუკას ასულ ჭავჭავაძისაგან.

16. ელისაბედ ყაზბეგის მოგონება ალ. ყაზბეგზე — ხელნაწერი; 79 ფ.;  $34 \times 22$ ; ნაკლული; აქვს შავი კოლენკორგადაკრული ყდა; ბოლო ორი ფურცელი ამოვარდნილია.

შენიშვნა: 1. ნაწერია შავი მელნით.

2. ხელნაწერი იწყება II ნაწილიდან.

3. მოგონებაში ჩატულია:

1. პავლე ლუდუშაურის წერილი ე. ყაზბეგისადმი; ხელნაწერი 2 ფ.;  $21 \times 13$ ; 1888 წ. 25 ოქტომბერი.

წერილი ეხება ალოშკა შადურის მკვლელობის ამბავს. აგრეთვე მამის მკვლელის განია შადურის დაგილსამყოფელს.

შენიშვნა: 1. ნაწერია რვეულის ფურცელებზე შავი მელნით.

2. ალ. ყაზბეგის წერილი ანტონ ფურცელაძისადმი; ხელნაწერი; 1 ფ.;  $21 \times 13$ .

წერილი გამოგზავნილია საავადმყოფოდან. ალ. ყაზბეგი მადლობას უხდის ა. ფურცელაძეს ყურადღებისათვის.

შენიშვნა: 1. ნაწერია რვეულის ფურცელზე შავი მელნით.

3. ალ. ყაზბეგის „მონოლოგი ა. მ. — ავტოგრაფი; 1 ფ.;  $12,5 \times 16,5$ ;

შენიშვნა: 1. ნაწერია შავი მელნით.

#### № 13 185 — ხ.

17. „ციქოს მოგონება ალექსანდრე ყაზბეგზე“ (ალექსი და დიმიტ-რი ყაზბეგის საბიოგრაფიო მასალებიდან) — ხელნაწერი; 12 ფ.;  $21 \times 17$ ; ჩამწერი გ. ნათაძე.

ახლავს ბარისახოს სკოლის მასწავლებლის ნ. რაზიკაშვილის წე-წერილი (1891 წ. 17 მაისი) ლეონიდისადმი; ხელნაწერი; 1 ფ.;  $21,5 \times 17$ ; გვერდი შეხეული; გადამწერი გ. ნათაძე. სოხოვს ჩადენილი ცოდვის მონანიებას.

შენიშვნა: 1. მოგონება ნაწერია იისფერი მელნით.

2. წერილი ნაწერია იისფერი მელნით.

#### № 13 497 — ხ

18. „სონა მაღალაშვილის ნამბობი ალ. ყაზბეგზე“ — ხელნაწერი; 3 ფ.;  $20 \times 17$ ; სრული; 19/V. 1948 წ.

შენიშვნა: 1. ნაწერია რვეულის ფურცელებზე იისფერი მელნით.

2. ჩამწერილია ელენე თარხან-მოურავი-აფაქიძის მიერ.

19. გ. პ. მოზდოკელის „მოგონება ალექსანდრე და სხვა ყაზბეგებზე“ — ხელნაწერი; 5 ფ.; 29×21; სრული, 1948 წ. 4/VI.

შენიშვნა: 1. ნაწერია თაბახის ფურცლებზე ისფერი მელნით.

## № 13 496 — ხ.

20. თ. მ. ჭავჭავაძის მოგონება — 1948 წ. 17.IV, ხელნაწერი რუსულ ენაზე; 2 ფ.; 20×17; სრული.

შენიშვნა: 1. ნაწერია რეესტრის ფურცლებზე ისფერი მელნით.

## № 13 495 — ხ.

21. ნ. ყაზბეგი-თარხნიშვილის „მოგონება ალექსანდრე მიხეილის ძე ყაზბეგზე“, 1948 წ., 26.IV — ნაბეჭდი; 2 ფ.; 30×21; სრული.

## მასალები სხვათა არაიმუშავი

## № 26 497 — ხ

1. ალ. ყაზბეგის ლექსი — უსათაურო; 1 ფ.; 15×10;  
დასაწყისი — „ჩემო იღბალო“

შენიშვნა: 1. ცნობილი ლექსის „ჩემო იღბალო“-ს ვარიანტია.  
2. ნაწერია შავი მელნით.  
3. ხელნაწერი ინახება ვ. კოტეტიშვილის ფონდში.

## № 25 167 — ხ

2. მასალები ალ. ყაზბეგის ავტორობის შესახებ — ხელნაწერი;  
38 ფ.

შენიშვნა: 1. ნაწერია სხვადასხვა ზომის ფურცლებზე ისფერი მელნით და ფანჯრით.  
2. მასალა ინახება ვ. კოტეტიშვილის არქივში.

1. № 699 — o

ალექსანდრე ყაზბეგი და ვაჟა-ფშაველა — ასლი ალ. როინიშვილის ფოტოდან,  $19 \times 14$ , შავ-თეთრი.

2. № 705 — o

ალექსანდრე ყაზბეგი და ვაჟა-ფშაველა, ნახევარი ტანით — ფოტო, ასლი,  $19 \times 14$ , შავ-თეთრი.

3. № 722 — o

ალექსანდრე ყაზბეგი და ვაჟა-ფშაველა, ნახევარი ტანით — ფოტო, დედანი, დამზადებული სამეფო ფოტოგრაფიული საზოგადოების მიერ ალ. როინიშვილის ნეგატივიდან,  $16 \times 13$ , ყავისფერი.

4. № 723 — o

ალექსანდრე ყაზბეგი და ვაჟა-ფშაველა, ნახევარი ტანით — ფოტო, დედანი, დამზადებული სამეფო ფოტოგრაფიული საზოგადოების მიერ ალ. როინიშვილის ნეგატივიდან,  $16 \times 13$ , ყავისფერი.

5. № 748 — o

მხ. ლ. გუდიაშვილი, „ალექსანდრე ყაზბეგისა და ვაჟა-ფშაველას შეხვედრა მთაში“ — ტუში, ქალალდი, დედანი, 1937 წ.,  $36 \times 25$ .

6. № 1547 — o

ალექსანდრე ყაზბეგის ძეგლი სტეფანწმინდაში — ფოტო, ასლი,  $17 \times 11$ , შავ-თეთრი.

7. № 1548 — o

ალექსანდრე ყაზბეგის სახლი სტეფანწმინდაში — ფოტო, დედანი,  $17,5 \times 12$ , შავ-თეთრი.

8. № 1550 — o

ალექსანდრე ყაზბეგის ღროინდელი მოხევეთა ტიპები, მთელი ტანით — ფოტო, ასლი,  $15 \times 12$ , შავ-თეთრი.

9. № 1551 — o

სოფელი სნო — ფოტო, ასლი,  $21 \times 16$ , შავ-თეთრი.

\* კატალოგი შეაღებინა რუსულან დაუშვილმა

10.

№ 1553 — o

სასტუმრო თბილისში, სადაც ცხოვრობდა ალექსანდრე ყაზბეგი —  
ფოტო, ასლი,  $21 \times 16$ , შავ-თეთრი.

11.

№ 1554 — o

ალექსანდრე ყაზბეგის აკვანი — ფოტო, ასლი,  $21 \times 15$ , შავ-თეთრი.

12.

№ 1557 — o

ალექსანდრე ყაზბეგის ძეგლი სტეფანწმინდაში — ფოტო, ასლი,  
 $22 \times 17$ , შავ-თეთრი.

13

№ 1558 — o

ნიკოლოზ ყაზბეგის სახლის შესასელელი — ფოტო, ასლი,  $22 \times 17$ ,  
შავ-თეთრი.

14.

№ 1559 — o

მხ. ეკ. აქიაშვილი, „ნიკოლოზ ყაზბეგის სახლის შესასელელი“ —  
ფანქარი, ქაღალდი, დედანი,  $27 \times 16$ .

15.

№ 1560-o

ახალგაზრდა ალექსანდრე ყაზბეგი თოფით, მთელი ტანით — ფო-  
ტო, ასლი რუდნევების ფოტოდან,  $23 \times 17$ , შავ-თეთრი.

16.

№ 1561 — o

ალექსანდრე ყაზბეგი მოწაფეობისას, მთელი ტანით — ფოტო,  
ასლი,  $28 \times 18$ , შავ-თეთრი.

17.

№ 1562 — o

ალექსანდრე ყაზბეგი მოწაფეობისას, მთელი ტანით — ფოტო,  
ასლი,  $28 \times 18$ , შავ-თეთრი.

18.

№ 1564 — o

გაბრიელ ყაზბეგის სახლი სტეფანწმინდაში — ფოტო, ასლი,  $17 \times$   
 $11$ , შავ-თეთრი.

19.

№ 1565 — o

სოფელი სტეფანწმინდა — ფოტო, დედანი,  $15,5 \times 9,5$ , შავ-თეთრი.

20.

№ 1566 — ♂

ალექსანდრე ყაზბეგის ბიძაშვილები, მთელი ტანით — ფოტო, დედანი ჯანაევ-ხეთაგუროვისა, ვლადიკავკაზი,  $16 \times 10$ , ყავისფერი.

21.

№ 1568 — ♂

ძეგლი ალექსანდრე ყაზბეგის საფლავზე — ფოტო, დედანი,  $16 \times 11$ , შავ-თეთრი.

22.

№ 1569 — ♂

შ. დ. გაბაშვილი, „სოფელი სტეფანწმინდა“ — აკვარელი, ქალალი, დედანი,  $29 \times 21$ .

23.

№ 1570 — ♂

შ. დ. გაბაშვილი, „სოფელი გერგეტი, საჭაც დაიარებოდა ბაქშე-კობაში ალ. ყაზბეგი“. — აკვარელი, ქალალი, დედანი,  $28 \times 22$ .

24.

№ 1607 — ♂

ყაზბეგიანთ ქარის ეკლესია — ფოტო, ასლი,  $28 \times 23$ , შავ-თეთრი.

25.

№ 1620 — ♂

ალექსანდრე ყაზბეგი — ლითოგრაფია ალ. როინიშვილის ფოტო-დან,  $40 \times 30$ , შავ-თეთრი.

26.

№ 1623 — ♂

ალექსანდრე ყაზბეგის სახლი სოფ. სტეფანწმინდაში — ფოტო, დედანი,  $11 \times 8,5$ , შავ-თეთრი.

27.

№ 1624 — ♂

ძეგლი ალ. ყაზბეგის საფლავზე — ფოტო, დედანი,  $22 \times 17$ , შავ-თეთრი.

28.

№ 1625 — ♂

ალექსანდრე ყაზბეგის დროინდელი მოხევეთა ტიპები, მთელი ტანით — ფოტო, ასლი, 2. ც.,  $21 \times 16$ , შავ-თეთრი.

29.

№ 1626 — ♂

სოფელი ფანშეთი, სადაც ცხოვრობდა ციკო — ფოტო, ასლი,  $28 \times 16$ , შავ-თეთრი.

16. ლიტერატურის მატიანე



30.

№ 1627 — о

სოფელ ყაზბეგის ხედი ალექსანდრე ყაზბეგის სახლიდან — ფოტო, ასლი,  $28 \times 16$ , შავ-თეთრი.

31.

№ 1628 — о

მოხევე მწყემსი ცხვრის ფარასთან — ფოტო, ასლი,  $28 \times 16$ , შავ-თეთრი.

32.

№ 1629 — о

ალექსანდრე ყაზბეგის აქვანი — ფოტო, ასლი, 2 ც.,  $28 \times 16$ , შავ-თეთრი.

33.

№ 1630 — о

ძეგლი ალექსანდრე ყაზბეგის საფლავზე — ფოტო, დედანი,  $16 \times 11$ , შავ-თეთრი.

34.

№ 1631 — о

საღვური ყაზბეგი — ფოტო, ასლი, 2 ც.,  $22 \times 16$ , შავ-თეთრი.

35.

№ 1632—1640 — о

ალექსანდრე ყაზბეგის იუბილე — ფოტო, დედნები,  $24 \times 18$ , შავ-თეთრი.

36.

№ 1641 — о

ალექსანდრე ყაზბეგის 100 წლისთავის იუბილესთან დაკავშირებით გამოშვებული ლია ბარათები —  $15 \times 11$ , ყავისფერი.

37.

№ 1642 — о

სახლი თელავში, სადაც ცხოვრობდა ალექსანდრე ყაზბეგი — ფოტო, ასლი,  $16 \times 11$ , შავ-თეთრი.

38.

№ 1643 — о

გიორგი ნიკოლოზის ძე ყაზბეგი, ნახევარი ტანით — ფოტო, დედანი რემბრანდტისა, ვარშავა,  $13 \times 9$ .

39.

№ 1644 — о

გიორგი ნიკოლოზის ძე ყაზბეგი — მთელი ტანით, ფოტო, ასლი,  $17 \times 11$ , შავ-თეთრი.



40.

№ 1645 — o

რაფიელ (ფრან) ნიკოლოზის ძე ყაზბეგი, მქერდამდე — ფოტო,  
დედანი „ამხანავობისა“, თბილისი, 14×10, ყავისფერი.

41.

№ 1646 — o

ელენე და ნიკოლოზ ყაზბეგები — გიორგი ყაზბეგის შვილები, მთე-  
ლი ტანით — ფოტო, დედანი რემბრანდტისა, ვარშავა, 19×13, ყავის-  
ფერი.

42.

№ 1647 — o

ნიკოლოზ დიმიტრის ძე ყაზბეგი, ნახევარი ტანით — ფოტო, დედა-  
ნი ზუბალოვისა, თბილისი, 15×10, ყავისფერი.

43.

№ 1648 — o

ელისაბედ ალექსანდრეს ასული ყაზბეგი, ნახევარი ტანით, ფოტო,  
დედანი, 1849 წ, ალექსანდროპოლი, 13×10, ყავისფერი.

44.

№ 1649 — o

გოგუა ყაზბეგი შეუღლით, მთელი ტანით — ფოტო, დედანი  
ა. იასვონისა, 13,5×10, ყავისფერი.

45.

№ 1650 — o

ალექსანდრე ივანეს ძე ყაზბეგი ცხენზე, მთელი ტანით — ფოტო,  
დედანი, 13×9,5, შავ-თეთრი.

46.

№ 1651 — o

ვასილ ივანეს ძე ყაზბეგი, ნახევარი ტანით — ფოტო, დედანი,  
13×9,5, ყავისფერი.

47.

№ 1652 — o

ტატიანა რაფიელის ასული ყაზბეგი, ნახევარი ტანით — ფოტო,  
დედანი ეზენბერგისა, სანკტ-პეტერბურგი, 14×10, ყავისფერი.

48.

№ 1653 — o

ალექსანდრე და რაფიელ ყაზბეგები, ნახევარი ტანით — ფოტო ღია  
ბარათზე, დედანი, 13×8, შავ-თეთრი.

49.

№ 1654 — o

ადამ (ბიბო) ყაზბეგი, ნახევარი ტანით — ფოტო, დედანი, 9×6,  
ყავისფერი.

ნიკოლოზ გიორგის ძე ყაზბეგი მეუღლესთან, ნატალია ვასილიშვილის  
ასულთან ერთად — ფოტო, დედანი რემბრანდტისა, ვარშავა,  $14 \times 10$ ,  
ყავისფერი.

ელისაბედ ნიკოლოზის ასული ყაზბეგი, ნახევარი ტანით — ფოტო,  
ასლი,  $23 \times 17$ , შავ-თეთრი.

ახალგაზრდა ელისაბედ ნიკოლოზის ძე ყაზბეგი, ნახევარი ტანით —  
ფოტო, ასლი, 2 ც.,  $23 \times 17$ , შავ-თეთრი.

დიმიტრი ნიკოლოზის ძე ყაზბეგის მეუღლე და ქალიშვილები,  
მთელი ტანით — ფოტო, ასლი,  $23 \times 17$ , ყავისფერი.

ნიკოლოზ გაბრიელის ძე ყაზბეგი — ფოტო, ასლი,  $23 \times 17$ , შავ-  
თეთრი.

ქოხერხან ყაზბეგი, ნიკოლოზ გაბრიელის ძე ყაზბეგის მეორე ცო-  
ლი, მთელი ტანით — ფოტო, ასლი, 2 ც.,  $17 \times 11$ , შავ-თეთრი.,

ბიბო ნიკოლოზის ძე ყაზბეგი და შისი მოურავი, მთელი ტანით —  
ფოტო, ასლი, 2 ც.,  $17 \times 11$ , შავ-თეთრი.

გიორგი გრიგოლის ძე ყარანგოზიშვილი, ალ. ყაზბეგის მამიდა-  
შვილი, ნახევარი ტანით — ფოტო, ასლი, 2 ც.,  $17 \times 14$ , შავ-თეთრი.

ბარბარე იოსების ასული ერისთავ-ლუპენკოსი, ალ. ყაზბეგის  
დასწული და ვახტანგ ყაზბეგის მეუღლე, მთელი ტანით — ფოტო, დე-  
დანი ჯანევ-ხეთაგუროვისა, კლადიკავკაზი,  $14,5 \times 10,5$ , ყავისფერი.

როსტომ დიმიტრის ძე ყაზბეგი, მკერდამდე — ფოტო, ასლი, 3 ფუტობრივი  
17×11, შავ-თეთრი.

ოლღა ნიკოლოზის ასული ყაზბეგი, ნახევარი ტანით — ფოტო, ას-  
ლი, 2 ც., 17×11, შავ-თეთრი.

ადამ ყაზბეგი მეუღლესთან, ანა ალექსანდრეს ასულ ამირავიბ-  
თან ერთად — ფოტო, დედანი, 9×6, ყავისფერი.

სონა ლოლგორუკოვ-ფურმანისა, ალ. ყაზბეგის დისტული, ნახევარი  
ტანით — ფოტო, დედანი ვიქტორ დიმოსი, 13×10, ყავისფერი.

ელენე გიორგის ასული ყაზბეგი, ნახევარი ტანით — ფოტო, დე-  
დანი, 15,5×10,5, ყავისფერი.

ელენე კოლბეკი — რაფიელ ყაზბეგის მეუღლე, მკერდამდე — ფო-  
ტო, დედანი სერლაისი, თბილისი, 13,5×10, ყავისფერი.

ანა და ოლგა დიმიტრი ყაზბეგის ასულები და ვახტანგ ყაზბეგის  
ქალი, ნახევარი ტანით — ფოტო, დედანი, 12,5×10, ყავისფერი.

ტატიანა რაფიელის ასული ყაზბეგი, მკერდამდე — ფოტო ღია ბა-  
რათზე, დედანი, 7×7, შავ-თეთრი.

დიმიტრი ნიკოლოზის ასული ყაზბეგი, ნახევარი ტანით — ფოტო,  
დედანი „ამხანაგობისა“, თბილისი, 14×10, ყავისფერი.

ვასილ ათევი, მისი მეუღლე, ნატო დიმიტრის ასული და ნიკოლოზ  
დიმიტრის ძე ყაზბეგები, სერგო ლევანის ძე ღოღობერიძე, ოლგა ვა-

სილის ასული ათევი და როსტომ დიმიტრის ძე ყაზბეგი, მთელი წელი — ფოტო, დედანი პოლიაპინისა, გროზნო,  $23 \times 17$ , ყავისფერი.

69. № 1819 — o

ალექსანდრე ყაზბეგის დასაფლავება — პროცესია ოპერის თეატრ-სა და ჯვრის მონასტერთან — ფოტო, დედნები, 2 ც.,  $26 \times 12$ , ყავისფერი.

70. № 1827 — o

ალექსანდრე ყაზბეგი, ნახევარი ტანით — ფოტო, დედანი ალ. როინიშვილისა,  $16 \times 11$ , ყავისფერი.

71. № 1828 — o

ელისაბედ (კეკე) ესტატეს ასული თარხნიშვილი — ყაზბეგისა, მთელი ტანით — ფოტო, დედანი,  $6,5 \times 4,5$ , ყავისფერი.

72. № 1829 — o

ელისაბედ (კეკე) ესტატეს ასულ თარხნიშვილი-ყაზბეგისა, მთელი ტანით — ფოტო, ასლი, 2 ც.,  $23 \times 17$ , შავ-თეთრი.

73. № 1830 — o

ალექსანდრე ყაზბეგი მოწაფეობისას, მთელი ტანით — ფოტო, ასლი, 2 ც.,  $29 \times 20$ , შავ-თეთრი.

74. № 1831 — o

ალექსანდრე ყაზბეგი მოწაფეობისას, მთელი ტანით — ფოტო, ასლი, 2 ც.,  $28 \times 18$ , შავ-თეთრი.

75. № 1832 — o

მიხეილ გაბრიელის ძე ყაზბეგი, მთელი ტანით — ნახატის ფოტო, ასლი,  $28 \times 22$ , შავ-თეთრი.

76. № 1833 — o

ალექსანდრე ყაზბეგი, ნახევარი ტანით — ლითოგრაფია ალ. როინიშვილის ფოტოდან ფაქსიმილეთი,  $24 \times 19$ , ყავისფერი.

77. № 1835 — o

ალექსანდრე ყაზბეგი მთხრობელთა ჯგუფში, მთელი ტანით — ფოტო, ასლი, 2 ც.,  $18 \times 11$ , შავ-თეთრი.

78.

№ 1836 — ०

ს. გიგაური, ალ. ყაზბეგის მეგობარი, ნახევარი ტანით — ფოტო,  
 ასლი,  $18 \times 11$ , შავ-თეთრი.

79.

№ 1837 — ०

დ. გიგაური, ალ. ყაზბეგის მეგობარი, ნახევარი ტანით — ფოტო,  
 ასლი,  $18 \times 11$ , შავ-თეთრი.

80.

№ 1838 — ०

გ. ხეთაგური, ალ. ყაზბეგის მეგობარი, ნახევარი ტანით — ფოტო,  
 ასლი,  $18 \times 11$ , შავ-თეთრი.

81.

№ 1839 — ०

ახალგაზრდა ს. გიგაური, მთელი ტანით — ფოტო, ასლი, 2 ც.,  
 $18 \times 11$ , შავ-თეთრი.

82.

№ 1840 — ०

გ. სუჯაშვილი, ალ. ყაზბეგის მეგობარი, ნახევარი ტანით — ფოტო,  
 ასლი,  $18 \times 11$ , შავ-თეთრი.

83.

№ 1844 — ०

შაქრო ყაზბეგი, ნახევარი ტანით — ფოტო, ასლი, 4 ც.,  $17 \times 14$ ,  
 შავ-თეთრი.

84.

№ 1845 — ०

ალექსანდრე ყაზბეგის მეგობარი — ფოტო, ასლი, 2 ც.,  $18 \times 11$ ,  
 შავ-თეთრი.

85.

№ 1874 — ०

მხ. თ. აბაკელია, „ალექსანდრე ყაზბეგი ჭილაძი“ — გუაში, ქა-  
 ლალდი, დედანი,  $37 \times 25$ .

86.

№ 1880 — ०

მხ. თ. აბაკელია, ილ. ალ. ყაზბეგის მოთხრობისა „ელგუჯა“ —  
 „ელგუჯა და მზალო“ — აქვარელი, ქალალდი, დედანი,  $24 \times 18$ .

87.

№ 1889 — ०

მხ. თ. აბაკელია, ილ. ალ. ყაზბეგის მოთხრობისა „მოძღვარი“ —  
 აქვარელი, ქალალდი, დედანი,  $25 \times 20$ .

88.

№ 1890 — ♂

მხ. თ. აბაკელია, ილ. ალ. ყაზბეგის მოთხრობისა „ხევისბერი გო-  
ჩა“ — აკვარელი, ქაღალდი, დედანი,  $25 \times 20$ .

89.

№ 1892 — ♂

ყაზბეგების სახლი სტეფანწმინდაში — ფოტო, დედანი,  $29 \times 23$ ,  
შავ-თეთრი.

90.

№ 1894 — ♂

მოსკოვის პეტროვო-რაზუმოვის სამეურნეო აკადემია — ფოტო,  
ასლი,  $22 \times 14$ , შავ-თეთრი.

91.

№ 1896 — ♂

გაბრიელ ყაზბეგი — ნახატის ფოტოასლი,  $30 \times 24$ , შავ-თეთრი.

92.

№ 1915 — ♂

ალექსანდრე ყაზბეგის შემოქმედება ქინოში — ფოტო, ასლები,  
 $25 \text{ ც.}$ ,  $17 \times 10$ , შავ-თეთრი.

93.

№ 1917 — ♂

ალექსანდრე ყაზბეგის შემოქმედება თეატრში — ფოტო, ასლები,  
 $9 \text{ ც.}$ ,  $17 \times 11$ , შავ-თეთრი.

94.

№ 1919 — ♂

ალექსანდრე ყაზბეგი, ნახევარი ტანით — ფოტო, დედანი,  $16 \times 10$ ,  
ყავისფერი.

95.

№ 1920 — ♂

ალექსანდრე ყაზბეგი, ნახევარი ტანით — ასლი ალ. როინიშვილის  
ფოტოდან,  $30 \times 28$ , შავ-თეთრი.

96.

№ 1937 — ♂

ალექსანდრე ყაზბეგი, ნახევარი ტანით — ფოტო, ასლი,  $37 \times 29$ ,  
შავ-თეთრი.

97.

№ 1988 — ♂

მხ. პატარაია, ილ. ალ. ყაზბეგის მოთხრობისა „მამის მკელელი“ —  
„ნუნუს მოტაცება“ — ტუში, ქაღალდი, დედანი,  $12 \times 8$ .



98.

№ 1939 — о

მს. პატარაია, ილ. ალ. ყაზბეგის მოთხრობისა „მამის მკელელი“ — „ნუნუს წამება“ — ტუში, ქაღალდი, დედანი, 13×10.

99.

№ 1940 — о

მს. პატარაია, ილ. ალ. ყაზბეგის მოთხრობისა „მამის მკელელი“ — „ნუნუ მოკლული მამის გვამთან“ — ტუში, ქაღალდი, დედანი, 9×9.

100.

№ 1941

მს. პატარაია, ილ. ალ. ყაზბეგის მოთხრობისა „მამის მკელელი“ — „ნუნუს დასჯა“ — ტუში, ქაღალდი, დედანი, 13×8.

101.

№ 1942 — о

მს. ეკ. აქიაშვილი, ილ. ალ. ყაზბეგის მოთხრობისა „ხევისბერი გოჩა“ — „მოხევური კოშკი“ — ტუში, ქაღალდი, დედანი, 8×6.

102.

№ 1943 — о

( მს. ეკ. აქიაშვილი, ილ. ალ. ყაზბეგის მოთხრობისა „ხევისბერი გოჩა“ — „მოხევური სოფელი“ — ტუში, ქაღალდი, დედანი, 11×7.

103.

№ 1944 — о

მს. ეკ. აქიაშვილი, ილ. ალ. ყაზბეგის მოთხრობისა „ხევისბერი გოჩა“ — „მაყრიონი“ — ტუში, ქაღალდი, დედანი, 14×8.

104.

№ 1945 — о

მს. ეკ. აქიაშვილი, ილ. ალ. ყაზბეგის მოთხრობისა „ხევისბერი გოჩა“ — „ყრილობა სამების ტაძართან“ — ტუში, ქაღალდი, დედანი, 13×9.

105.

№ 1946 — о

მს. ეკ. აქიაშვილი, ილ. ალ. ყაზბეგის მოთხრობისა „ხევისბერი გოჩა“ — „სამების ტაძარი“ — ტუში, ქაღალდი, დედანი, 9×6.

106.

№ 1947 — о

მს. ეკ. აქიაშვილი, ილ. ალ. ყაზბეგის მოთხრობისა „ხევისბერი გოჩა“ — „ონისე თუშ მწყემსებთან“ — ტუში, ქაღალდი, დედანი, 13×9.



107.

№ 1948 — o

შხ. ექ. აქილევილი, ილ. ალ. ყაზბეგის მოთხრობისა „ხევისტერი გოჩა“ — „შვილის გვამზე დამხობილი ხევისტერი“ — ტუში, ქალალდი, დედანი,  $12 \times 5$ .

108.

№ 1985 — o

ალექსანდრე ყაზბეგი და მისი მშობლები — ფოტო, ასლი,  $19 \times 15$ , შავ-თეთრი.

109.

№ 1986 — o

გაბრიელ ყაზბეგი, ნახევარი ტანით — ფოტო, დედანი,  $23 \times 8$ , ყავისფერი.

110.

№ 1990 — o

ალექსანდრე ყაზბეგი, ნახევარი ტანით — ფოტო, ასლი,  $18 \times 12$ , შავ-თეთრი.

111.

№ 1991 — o

ელისაბედ თარხნიშვილი-ყაზბეგისა, მთელი ტანით — ფოტო, ასლი,  $22 \times 17$ , შავ-თეთრი.

112.

№ 2447 — o

სონა არსენის ასული ყაზბეგი — ფოტო, დედანი ე. კლარისა,  $16 \times 11$ , ყავისფერი.

113.

№ 2448 — o

გიორგი ნიკოლოზის ძე ყაზბეგი, ნახევარი ტანით — ფოტო, დედანი რემბრანდტისა,  $17 \times 11$ , ყავისფერი.

114.

№ 2461 — o

ვანო, ანასტასია და სხვა ყაზბეგები — ფოტო, დედანი,  $15 \times 10$ , ყავისფერი.

115.

№ 2468 — o

ნიკოლოზ გიორგის ძე ყაზბეგი, ნახევარი ტანით — ფოტო, ასლი,  $23 \times 17$ , შავ-თეთრი.

116.

№ 3147 — o

ალექსანდრე ყაზბეგი, ნახევარი ტანით — ფოტო, დედანი, „ამხანაგობისა“,  $16 \times 11$ , ყავისფერი.



117.

№ 3302 — o

ფურმანი — ალექსანდრე ყაზბეგის სიძე, ნახევარი ტანით — ფოტო,  
დედანი კოჩუბოვისა, 10×6, ყავისფერი.

118.

№ 4733 — o

ნინო ადამის ასული ყაზბეგი და მისი მეუღლე იორამ ზაალის ძე  
თარხნიშვილი შეილებით, ნახევარი ტანით — ფოტო, დედანი, 12×9.

119.

№ 5825 — o

ალექსანდრე ყაზბეგის ნათესავები — ფოტო, დედანი, 25×17, ყა-  
ვისფერი.

120.

№ 6293 — o

მხ. დ. გაბაშვილი, ილ. ალ. ყაზბეგის მოთხრობისა „ხევისბერი  
გოჩა“ — ფანქარი, ქალალდა, დედანი, 30×28.

121.

№ 6295 — o

მხ. ვ. ჯაფარიძე, „სოფ. ჩერვლენოვო, სახლი, სადაც ცხოვრობდა  
ალ. ყაზბეგი“ — აკვარელი, ქალალდა, დედანი, 38×28.

122.

№ 6347 — o

მხ. ვ. ჯაფარიძე, „სოფ. ჩერვლენოვოში, სახლი... — აკვარელი, ქა-  
ლალდა, დედანი, 38×28.

123.

№ 7487 — o

ალექსანდრე ყაზბეგი, ნახევარი ტანით — ლითოგრაფია, 46×36,  
შავ-თეთრი.

124.

№ 7505 — o

ალექსანდრე ყაზბეგი მწყემსობისას, მთელი ტანით — ფოტო, ას-  
ლი, 60×40, შავ-თეთრი.

125.

№ 7605 — o

ალექსანდრე ყაზბეგი, მთელი ტანით — ფოტო, დედანი, 10×5,  
შავ-თეთრი.

126.

№ 7610 — o

ალექსანდრე ყაზბეგი და ვაჟა-ფშაველა, ნახევარი ტანით — ფოტო,  
დედანი ალ. როინიშვილისა, 15×10, ყავისფერი.



127.

№ 7703 — ०

კადრები ფილმიდან „მამის მკვლელი“ — ფოტო, ასლი, 17 გ.,  
სხვადასხვა ზომის.

128.

№ 7778 — ०

მხ. ზ. გოგოლაშვილი, „ალექსანდრე ყაზბეგი“, ნახევარი ტანით —  
ზეთი, ტილო, დედანი, 101×76.

129.

№ 7798 — ०

მხ. ზ. გოგოლაშვილი, „ალექსანდრე ყაზბეგი“, ნახევარი ტანით —  
ზეთი, ტილო, დედანი, 107×76.

130.

№ 7837 — ०

მხ. ვ. ჭაფარიძე, „ალექსანდრე ყაზბეგი გიმნაზიელი“ — აკვარელი,  
ქაღალდი, დედანი, 44×33.

131.

№ 7980 — ०

მხ. ვ. ჭაფარიძე, „ალექსანდრე ყაზბეგი ცხვარში“ — გუაში, ქა-  
ღალდი, დედანი, 49×34.

132.

№ 8007 — ०

მხ. დ. გაბაშვილი, „ალექსანდრე პუშკინი და გაბრიელ ყაზბეგი  
სტეფანწმინდაში“ — ფანქარი, ქაღალდი, დედანი 37×36.

133.

№ 8010

მხ. დ. გაბაშვილი, „ალექსანდრე ყაზბეგი და მისი სატრუთო ნინო  
ჩერნიშვილი-კრუგლოვა მოსკოვის ორისტოკრატიულ საზოგადოებაში“,  
1948 წ. — ფანქარი, ქაღალდი, დედანი, 40×30.

134.

№ 8013

მხ. ვ. ჭაფარიძე, „ალ. ყაზბეგი და მისი მშობლები“ — აკვარელი,  
ქაღალდი, დედანი, 42×33.

135.

№ 8023 — ०

მხ. ეკ. ექიაშვილი, „მიხეილ ყაზბეგის სახლი სტეფანწმინდაში, სა-  
დაც დაიბადა ალ. ყაზბეგი“ — აკვარელი, ქაღალდი, დედანი, 59×45.

136.

№ 8024 — ०

ელისაბედ თარხნიშვილი-ყაზბეგისა, მთელი ტანით — აკვარელი,  
ქაღალდი, დედანი, 53×34.

137.

№ 8026 — o

მიხეილ გაბრიელის ძე ყაზბეგი, მთელი ტანით — აკვარელი, ქალალდი, დედანი,  $41 \times 34$ .

138.

№ 8027 — o

მხ. თ. აბაკელია, „ალექსანდრე ყაზბეგი“, მთელი ტანით — გუაში, ქალალდი, დედანი,  $40 \times 30$ .

139.

№ 8028 — o

მხ. ი. გეპნერი, „ალექსანდრე ყაზბეგის შეხვედრა უცხოელებან“ — აკვარელი, ქალალდი, დედანი,  $42 \times 29$ .

140.

№ 8030 — o

მხ. ღ. გაბაშვილი, ილ. ალ. ყაზბეგის მოთხრობისა „ციკო“ — „დიამბეგ ღუდუშაურთან“ — ფანქარი, ქალალდი, დედანი,  $30 \times 28$ .

141.

№ 8050 — o

მხ. ღ. გაბაშვილი, ილ. ალ. ყაზბეგის მოთხრობისა „მამის მკვლელი“ — „ნუნუს დასჭა სამარცხვინო ბოძზე“ — აკვარელი, ქალალდი, დედანი,  $29 \times 28$ .

142.

№ 8051 — o

მხ. ღ. გაბაშვილი, ილ. ალ. ყაზბეგის მოთხრობისა „ხევისბერი იგოჩა“ — „ოსების გასამართლება“ — აკვარელი, ქალალდი, დედანი,  $30 \times 27$ .

143.

№ 8054 — o

○ მხ. ღ. გაბაშვილი, ილ. ალ. ყაზბეგის მოთხრობისა „ხევისებერი გოჩა“ — ფანქარი, ქალალდი, დედანი,  $30 \times 28$ .

144.

№ 8080 — o

მხ. ი. ოქროპირიძე, „ალექსანდრე ყაზბეგის შეხვედრა უცხოელებან“ — ზეთი, ტილო, დედანი,  $140 \times 102$ .

145.

№ 8083 — o

მხ. გ. ჯაში, „ალექსანდრე ყაზბეგი“, პორტრეტი, მკერდამდე — ზეთი, დედანი,  $148 \times 126$ .

146.

№ 8096 — o

მხ. თ. ყუბანეიშვილი, „ალექსანდრე ყაზბეგი, სერგეი მესხი და



ივანე მაჩაბელი გაზეთ „დროების“ რედაქციაში — ქალალდუ სახურავის 26 უკავია დანი, 74×54.

147. № 8538 — o

ალექსანდრე ყაზბეგი — პორტრეტი აბრეშუმის ბაფთაშე, 29×5,5, 7×5.

148. № 8794 — o

მხ. ვ. კოტეტიშვილი, „ალექსანდრე ყაზბეგი“ — ბიუსტი, მკერდამ-დე, თაბაშირი, 66×54×23.

149. № 9037 — o

მხ. გ. გულისაშვილი, მხ. ვ. ტოროტაძე, ილ. ალ. ყაზბეგის მოთხ-რობისა „ხევისბერი გოჩა“ — „ხევისბერი გოჩა ქოხის წინ“ — ქალამი, ქალალდი, დედანი, 18×12.

150. № 9175 — o

მხ. გ. გულისაშვილი, მხ. ვ. ტოროტაძე, ილ. ალ. ყაზბეგის მოთხ-რობისა „ხევისბერი გოჩა“ — „ხევისბერის გამოსვლა თემის ყრილობა-ზე“ — ნახშირი, ქალალდი, დედანი, 57×38.

151. № 9176 — o

მხ. გ. გულისაშვილი, მხ. ვ. ტოროტაძე, ილ. ალ. ყაზბეგის მოთხ-რობისა „ხევისბერი გოჩა“ — „ხევისბერი გოჩა კლავს შეილს“ — ნახ-შირი, ქალალდი, დედანი, 57×38.

152. № 9177 — o

— მხ. გ. გულისაშვილი, მხ. ვ. ტოროტაძე, ილ. ალ. ყაზბეგის მოთხ-რობისა „ხევისბერი გოჩა“ — „ონისე აცილებს ძიძიას ქორწილის დღეს“ — ნახშირი, ქალალდი, დედანი, 57×38.

153. № 9293 — o

ალექსანდრე ყაზბეგი — ლითოგრაფია, 14×9, შავ-თეთრი.

154. № 9671 — o

მხ. რ. სტურუა, „ალექსანდრე ყაზბეგი ღროების რედაქციაში წერს“ — აკვარელი, ქალალდი, დედანი, 44×35.

155. № 9730 — o

მხ. დ. ნაცვლიშვილი, ილ. ალ. ყაზბეგის მოთხობისა „ელისო“ — ნახშირი, ქალალდი, დედანი, 24×18.

156.

№ 9731 — \*

მხ. დ. ნაცვლიშვილი, ილ. ალ. ყაზბეგის მოთხრობისა „ელგუჯა“ — ნახშირი, ქაღალდი, დედანი, 24×18.

157.

№ 9732 — \*

მხ. დ. ნაცვლიშვილი, ილ. ალ. ყაზბეგის მოთხრობისა „ნამწყემსა-რის მოგონება“ — ნახშირი, ქაღალდი, დედანი, 24×18.

158.

№ 10270 — \*

ალექსანდრე ყაზბეგის ძეგლი და სოფლის ეკლესია — ლითოგრა-ფია, 16×10, შავ-თეთრი.

159.

№ 11539 — \*

ალექსანდრე ყაზბეგი, მთელი ტანით, თოფით ხელში — ფოტო, ასლი, 24×15, შავ-თეთრი.

160.

№ 12094 — \*

მხ. ვ. ჭავარიძე, „სახლი, სადაც ცხოვრობდა ალ. ყაზბეგი, პლეხა-ნოვის ქუჩა“ — აკვარელი, ქაღალდი, დედანი, 50×40.

161.

№ 12159 — \*

ქართველი მწერლები ალ. ყაზბეგის იუბილეზე გამგზავრებისას, 1961 წ. — ფოტო, დედანი, 13×7, შავ-თეთრი.

ალექსანდრე ყაზბეგის ფიანჯი ფოტო \*

F — 367

1. ყაზბეგი, ა.

თხზულებანი ალ. მოჩხუბარიძისა (ყაზბეგისა). ნაწ. I — თბ., ქართული მწერლობის მოყვარეთაგან გამოც., 1885 წ.  
ნაწ. I. 1885 წ., 118 გვ.

E — 725

2. ყაზბეგი, ა.

ა. ყაზბეგი (ა. მოჩხუბარიძე), თხზულებანი.  
ტფ., წიგნის გამომცემელ ქართველთა ამხანაგობის სტ., 1904 წ.

\* ატალოგი შეაღვინა მარინე ნიაურმა



124 გვ. 1 ჩართ. ფურც. პორტ. (25×17). („ცნობის ფურცელის მომზადება—ლის“ და „მოამბის“ პრემია) „ალექსანდრე ყაზბეგის ბიოგრაფია“: დ. კარიჭაშვილი, გვ. I—XXXV.

## F — 368

3. ყაზბეგი, ა.

თხზულებანი ა. ყაზბეგისა (მოჩხუბარიძის), ტფ., ქართველთა ამხ-ბის გამოც. № 6, 1891 წ., ტ. 2. 1891 წ., 530 გვ.

## F — 364

4. ყაზბეგი, ა.

მოძღვარი. მოთხრობა ა. მოჩხუბარიძისა (ყაზბეგისა). თბ., ქართულის მწერლობის მოყვარულთა გამოც., 1885 წ., 264 გვ. თავფურცელზე ა. ყაზბეგის ავტოგრაფი: „ვალ. გუნიას ავტორისაგან. 1886 წ. 27.IV“.

## F — 365

5. ყაზბეგი, ა.

განკიცხული. მოთხრობა ა. მოჩხუბარიძისა (ყაზბეგისა). თბ., ქართული მწერლობის მოყვარულთა გამოც., 1884 წ., 46 გვ.

## F — 366

6. ყაზბეგი, ა.

ელისო. მოთხრობა ჩეჩენთ ცხოვრებიდგან. თხზ. ა. მოჩხუბარიძისა (ყაზბეგისა). ტფ. 1882 წ., 44 გვ.

თავფურცელზე ა. ყაზბეგის ავტოგრაფი: „ბატ. ოლექსანდრე ნანეიშვილს ნიშნად გულითადი მეგობრობისა. ავტორისაგან 1882 წ. 10 ნოემბერი“.

014846 — 48

7. ყაზბეგი, ა.

თხზულებანი ალ. ყაზბეგისა (ა. მოჩხუბარიძე), თბ., ქართველთა ამხ-ბის გამოც. № 6, 1891.

ტ. 1 1891 წ., 389 გვ. 1 ჩართ. ფურც. პორტ. 8 (25×17).

ტ. 2 1891 წ., 530 გვ.

ტ. 3 1891 წ., 474 გვ.

ფორზაცის ზედა ნაწილზე წარწერა: „წიგნების გამომცემელ ქართველთა ამხანაგობის მმართველობისაგან ავტორს“.



ფორჩაცის ქვედა ნაწილზე ყაზბეგის ნათესავების მინაშერი: „დაპირისმავათ ალექსანდრეს ძე გელევანიშვილს სახსოვრად იმ ზრუნვისა, რომელიც მან აღმოუჩინა ალექსანდრე ყაზბეგს, არა როგორც მკურნალმან, არამედ როგორც ნამდვილ ძმაშ და მეგობარმან.“

შისგან დავალებული განსვენებული ავტორის ნათესავები.

1894 წ. იანვრის 1-დღესა“

#### 18314

8. ყაზბეგი, ა.

ელისო. მოთხრობა ჩეჩენთ ცხოვრებითგან. თხზ., ა. მოჩხუბარიძისა (ყაზბეგისა), თბ., 1884 წ., 46 გვ.

თავფურცელზე ყაზბეგის ავტოგრაფი: „ნიჭიერ პოეტს მიხაკო გორდაძეს ავტორისაგან“.

#### 19483

9. ყაზბეგი, ა.

მოძღვარი. მოთხრობა. ა. მოჩხუბარიძისა (ყაზბეგისა), თბ., 1885 წ., 264 გვ.

გარეკანზე ყაზბეგის ავტოგრაფი:  
„ა. ახნაზაროვს მოსაგონებლად წარსულისა და დასაფიქრებლად  
აწყობის ავტორისაგან.“

1886 წ. იან. 1-ს“.

ალ. ჩაჟავეგის შემორიცალურ ნივთთა ფონები \*

1. 114; 2/1; საწერი მოწყობილობა მაგიდისათვის; ნაცრისფერ მარარილოს დასაღვამზე, თითბრის შემკულობით და ფეხებით;  
ბროლის ორი მრგვალი სამელნე, თითბრის სახურავით; სამელნეებს შორის თითბრის ღეროზე მოთავსებულია თასი; რომელზეც დევს ცილინდრული ზარი; ალ. ყაზბეგის ნაქონი.

2. 655; 1/2

ჭიქა; სიმაღლით 8 სმ; შავი ფერის; მოხატული; თლილი;  
მისალა თაბაშირი; ალ. ყაზბეგის ნაქონი.

\* კატალოგი შეადგინა ლაშირა ხელაძემ.

## მ რ თ ნ ი პ ა

1980—1982 წლები შესრულებული მასალა \*

### 1980 წელი

1. „შუშანიკის წამების“ ილუსტრაციები, შესრულებული მხატვარ ბელა ბერძენიშვილის მიერ.
2. დიმიტრი მგელაძის ხელნაწერთა და ფოტოსურაფების სრული არქივი (საენათმეცნიერო ნარკვევები, ნოვოროსიის უნივერსიტეტის პროფესორების ლიაბუნოვისა და ტომსონის ლექციების კონსპექტები, ჩაწერილი დ. მგელაძის მიერ 1912—1913 წლებში, წერილები დ. მგელაძისადმი, დოკუმენტები დ. მგელაძის სახელზე, უბის წიგნაკები, საიუბილეო მასალები).
3. ხელნაწერები შ. სოსლანის არქივიდან: შალვა სოსლანის წერილები მეგობრებისადმი, დოკუმენტები შალვა სოსლანის სახელზე, წერილები (ი. გრიშაშვილის, ს. ქვარიანის, კ. გამსახურდიას, ტ. ტაბიძისა შ. სოსლანისადმი), შალვა დადგიანის წერილები პავლე ინგოროვაშვისადმი, ბაჭყარების ავტობიოგრაფია (რუსულ ენაზე), ლადო გულიაშვილის ავტობიოგრაფია, სეზმან ერთაშორისობის ლექსი.
4. იაკობ მანსვეტაშვილის ხელნაწერთა არქივი (ი. მანსვეტაშვილის ლექსები, პიესები, თარგმანები; დოკუმენტები ი. მანსვეტაშვილის სახელზე).
5. დოკუმენტები ვაჟა-ფშაველას გადმოსვენების შესახებ (დიდუბის პანთეონიდან მთაწმინდაზე). ივანე ენიკოლოფოვის ჩანაწერები ვაჟა-ფშაველას გადმოსვენების შესახებ. ვაჟა-ფშაველას „ხმელი წიფელი“ — თარგმნილი რუსულ ენაზე მარიამ მაჭავარიანის მიერ.

\* შეაღვინა ლალი შარტაშვილმა.



6. წინანდლის ხედები, შესრულებული მხატვარ მარია ციურინოვას გრაფიკული მიერ 1909—1921 წწ.
7. ქართული ლიტერატურული განეთების ანალიტიკური ბიბლიოგრაფია 1934—1940 წწ.
8. შალვა აფხაძის ხელნაწერთა არქივი (ლექსები, თარგმანები, ნარკვები, მოხსენებები), ალ. ბლოკის ლექსების წიგნი ვლადიმერ მაიაკოვსკის ავტოგრაფით, ს. შანშიაშვილის ლექსი მელიტა აფხაძისადმი (ავტოგრაფი), გ. ლეონიძის ლექსი (ავტოგრაფი), გ. ლეონიძის წერილი შ. აფხაძისადმი, ემ. აფხაძის ლექსი (ავტოგრაფი), სანდრო ცირკების ხელნაწერის ავტოგრაფი, შ. აფხაძის მოგონებები (ავტოგრაფი) — 12 ფ.
9. ფოტოსურათები დ. მგელაძის ორქივიდან. ბათუმის გიმნაზიის კურსდამთავრებულთა ჯგუფი 1915 წ., ნოვოროსიის უნივერსიტეტის სტუდენტთა ჯგუფი. დ. მგელაძე ჯგუფებში.
10. ფოტოსურათები შ. სოსლანის არქივიდან (ალ. იმედაშვილი, შ. დალიანი, ლადო მესხიშვილი, ვ. ჭყედლიშვილი).
11. გერონტი ჯიბლაძის „თბილისის სემინარიის ისტორია“, ხელნაწერი, ჭერილობები გერონტი ჯიბლაძისადმი. სხვადასხვა პირთა მოგონებები თბილისის სემინარიის ცხოვრებაზე.
12. ქართველ და მოძმე რესპუბლიკების მწერალთა მეგობრობის ამსახველი ფოტონეგატივები.
13. იოსებ ნონეშვილის საიუბილეო საღამო მოსკოვში (ფოტოსურათები).
14. მიხ. ჯავახიშვილის „არსენა მარაბდელის“ ილუსტრაციები, შესრულებული მხატვარ ვლადიმერ მესხის მიერ.
15. ლიტერატურული მუზეუმის ძეველ ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა — შედგენილი ივანე ლოლაშვილის მიერ.
16. საოჯახო საწმინდო ჭერილი, 1845 წ., საეკლესიო კანონები, 1853 წ., ლოცვანი, 1854 წ., სიკვდილისათვის მზადება, 1836 წ. და სხვა (სტამბურად ნაბეჭდი). იოანე ოქროპირის ლოცვანი, 1825 წ., ბიბლია, 1884 წ.
17. ურანალი „ИСКРЫ“, 1913 წ.
18. თელო ბეგიაშვილის ხელნაწერთა არქივი (ფოლკლორული მასალა), თელო ბეგიაშვილის მოსმენილი ლექციების კონსპექტები, 1911 წ., რეცენზიები, დოკუმენტები თ. ბეგიაშვილის სახელზე.
19. მოგონებები ტერენტი გრანელზე.
20. შალვა დალიანისა და როდიონ ქორქიას პიესა „საუნჯე“ (შ. დალიანის ავტოგრაფი).
21. შ. დალიანისა და როდიონ ქორქიას პიესა „ხალხი აღსდგა“ (რ. ქორქიას ავტოგრაფი).

- საქართველოს  
გენერალური  
მისამართი
22. შ. დადიანისა და რ. ქორქიას პიესა „საშა წულუკიძე“ (რ. ქორქიას პიესა ავტოგრაფი).
  23. ი. გრიშაშვილის ლექსი „საფრთხობელა“ (ავტოგრაფი).
  24. თამარ ჩხაიძის ხელნაწერთა არქივი (თ. ჩხაიძის მოთხოვნები, პიესები, წერილები თ. ჩხაიძისადმი, დოკუმენტები თ. ჩხაიძის სახელშე, მასალები სერგო ორგონიკიძეზე. თ. ჩხაიძის ლექსები და მოთხოვნები, მიღვნილი სერგო ორგონიკიძისადმი. დოკუმენტები ივანე ორგონიკიძის სახელშე).

### 1981 წელი

1. შალვა დადიანის „მე და კინო“, „ავტორის შენიშვნები“, გადა-  
ბეჭდილი, ხელმოწერილი.
2. ალ. სიგუას მოგონებები შალვა დადიანზე.
3. დავით გურამიშვილის საიუბილეო ზეიმის (საქართველოში, უკრა-  
ინაში, მოსკოვში) ამსახველი ფოტონეგატივები.
4. ფოტოსურათების აღმომი (მოსფლიო გამოჩენილი მწერლები და  
მეცნიერები) 133 ფოტოდედნით.
5. თამარ მეფე (ლითოგრაფია), 1895 წ.
6. „შუშანიკის წამების“ ილუსტრაციები — შესრულებული მხატვარ  
ლ. ცუცქირიძის მიერ.
7. ქართველი მწერლები — ფოტოკომპოზიცია, 1881 წ., კოტე მესხის  
ნაქონი.
8. კალისტრატე სალიას წერილები.
9. თვითნასწარები მხატვრის ვახტანგ კალაძის ქართული წიგნის გრა-  
ფიული გაფორმების ნიმუშები და დოკუმენტები ვ. კალაძის სა-  
ხელშე.
10. ირ. აბაშიძის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი ფოტონეგა-  
ტივები.
11. ნიკო ლორთქიფანიძის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი  
ფოტონეგატივები.
12. მასალები — მიღებული უურნალ „მნათობის“ რედაქციის არქივი-  
დან (სერგო კლდიაშვილის, დემნა შენგელაიძის, ვლ. მაჭაგარიანის,  
ე. ქარელიშვილის მოგონებები, კ. ნადირაძის, ფრ. ხალვაშის,  
გ. ჯაბუშანურის, სიკო ფაშალიშვილის, ე. ქურდიანის, დ. ხუროძის  
და სხვათა ლექსები; ისაკ ბაბელის ავტობიოგრაფია, ალ. მირ-  
ცხულავას პიესა „განაჩენი“, წერილები გ. ნატროშვილისადმი,  
ნ. კეცხოველის „კიდევაც დაიზრდებიან“ და სხვ).
13. ნიკიტა თალაკვაძის მემუარები, 1916—1932 წლები. წერილები  
ნ. თალაკვაძისადმი, დოკუმენტები ნ. თალაკვაძის სახელშე.



14. ფოტოსურათები ნიკიტა თალაქვაძის არქივიდან: აღექმანდრეს საქართველოს სამსახურის მისტრი ინსტიტუტის კორპორაციის პედაგოგთა ჯგუფი, ქალთა საოსტატო სემინარის I კლასი, 6. თალაქვაძის პორტრეტი, 6. თალაქვაძე ჯგუფებში.
15. ლადო გეგეჭიორის ხელნაწერთა არქივი (ლადო გეგეჭიორის ლექ्सები, პიესები, მოთხრობები, ნარკვევები, პირადი წერილები, დოკუმენტები და გეგეჭიორის სახელზე, სხვადასხვა ნაწერები).
16. დათუნა ქვარიანის „წმ. გორგის წიგნის“ აღწერილობა და შესავალი გადაწერილი ივ. წულუქიძის მიერ, 1912 წ.
17. უცხოელი ქართველოლოგების, ბერნარ უტიეს, რობერტ სტივენსონის წერილები სერგო თურნავაძისადმი.
18. საქართველოს მწერალთა ყრილობის (1981 წ.) ამსახველი ფოტონებატივები.
19. ნინო გორდევა-ვასილევას (საქართველოში მცხოვრები რუსი პოეტის) ალბომი ჩანაწერებით, მიხ. რაზმაძის ნარკვევი — საქართველოში მცხოვრებ რუს პოეტთა კავშირის შესახებ, 1917—1921 წწ.

### 1982 წელი

1. მ. შოლოხოვის საქართველოში სტუმრობის ამსახველი ფოტოსურათები.
2. კ. გამსახურდის „დიდოსტატის მარჯვენის“ ილუსტრაცია (ცედურობა მხატვარ კ. გურულისა).
3. უცხოელი ქართველოლოგების წერილები პედაგოგ დიომილე ცევორინიძისადმი.
4. ლადო გეგეჭიორის წერილები იოსებ ყიფშიძისადმი.
5. კონსტ. ვაისერმანის მონოგრაფიული ნაშრომი — ირაკლი არაყიშვილის ცხოვრება და შემოქმედება (რუსულ ენაზე).
6. სოფიო ჯავახის — პორტრეტი შესრულებული მხატვარ ო. ფირალიშვილის მიერ.
7. ილია კავკაზიანის მოგონება გალაქტიონ ტაბიძეზე, ტიციან ტაბიძეზე.
8. სამუელ მოძღვრიშვილი ხელნაწერთა არქივი (ლექსები).
9. ილუსტრაციები 6. ლორთქიფანიძის მოთხრობების მიხედვით, შესრულებული მხატვარ ვლ. მესხის მიერ.
10. შალვა დადიანის წერილები რ. ქორქიასადმი 1927—1953 წ.წ.
11. ხალხური ლექსი — მდინარე მტკვრის შესახებ.



12. ედიშერ ყიფიანი ხელნაწერ ლექსთა და მინიატურების კრებული „მუხლოსურელი მზე“, 1946 წ.
13. ჰაიდა აბაშიძის ხელნაწერთა ოქტოგი (პ. აბაშიძის პუბლიცისტური წერილები, მოხსენებები, პირადი წერილები, დოკუმენტები ჰაიდარ აბაშიძის სახელზე, პ. აბაშიძის საიუბილეო მასალა, იღია ბახტაძის მოგონებები, ზ. ახვლედიანის, ი. ვართაგავას, ირ. ლონტის ნაშრომები).
14. ბენო გორდეზიანის ხელნაწერთა ოქტოგი (მონოგრაფიული ნაშრომები ფიროსმანზე, ი. ვეფევაძეზე; ბ. გორდეზიანის ნარკვევები, ბ. გორდეზიანის სასკოლო რევული, 1914 წ. ჩანაწერებით, მოხსენებები ქართული შრიფტის შესახებ, დოკუმენტები ბ. გორდეზიანის სახელზე).
15. სერგო კლდიაშვილის ხელნაწერთა ოქტოგი (ს. კლდიაშვილის პიესები, თარგმანები, ნარკვევები, მოგონებები, პირადი წერილები, ს. კლდიაშვილისადმი მიძღვნილი ლექსები).
16. ბარბარე ჯორგაძის მემორიალური ნივთები (ბ. ჯორგაძის ნაქონი მარაო, ფინჯანი და საფერფლე).
17. მურმან ლებანიძის პორტრეტი (ფერწერა), შესრულებული მხატვარ სერგო ნიურის მიერ.
18. გალავტონ ტაბიძის პორტრეტი (ფერწერა), შესრულებული მხატვარ გიორგი მილორავის მიერ.
19. ფოტოსურათები ვარლამ რუხაძის არქივიდან (კ. რუხაძე ახალგაზრდობაში, ვ. რუხაძე ოჯახის წევრებთან ერთად).
20. გ. ლეონიძის „ნუშნარა“ (ავტოგრაფი).
21. მატევ „უკანასკნელი დედოფალი საქართველოსი“, გადმოთავა-მნილი ქართულად თ. ფირალიშვილის მიერ.
22. თ. ფირალიშვილის მოგონებები გ. ლეონიძეზე.
23. გ. ტაბიძის „ნიკორწმინდის“ ილუსტრაციები, შესრულებული მხატვარ ი. ჯიშკარიანის მიერ.
24. იღია კავკაზაკის მოგონებები გ. ლეონიძეზე.
25. ოთხთავი — გამოცემული 1739 წელს მოსკოვში.

4568030

3063150 გამოქვეყნის

გაბრიელ გაბუშანური. ლექსები (დასაბეჭდად მოაწიადა რუსულან ჰანტური-შეცლმა)	5
ვასე აფეთქიაური. ლექსები (დასაბეჭდად მოაწიადა გიორგი ნატროშევილმა)	11
ნიკო კურდლულუშვილია. მოთხრობა (დასაბეჭდად მოაწიადა ლევან ხელაძემ)	15
ლაურ ბაგრატიონი. მოთხრობები (დასაბეჭდად მოაწიადა რუსულან ჩაუჩინძემ)	32
დავით ერისთავი. კომედია (დასაბეჭდად მოაწიადა გიორგი კორიაძემ)	84
კონსტანტინე ნიკოლაძე. მოგონებები (დასაბეჭდად მოაწიადა მარა ბარაძიძემ)	106
ვასილ გორგაძე. მოგონება ინხებ გრიშაველუშე (დასაბეჭდად მოაწიადა ლეილ ქიშრავილმა)	121
ბერნ ვორდებიანი. შიმოწერა ქართველ წერილუბზან (დასაბეჭდად მოაწიადა ლიან ხატისაცავმა)	125
კონსტანტინე გამსახურდია. წერილები (დასაბეჭდად მოაწიადა გურიაშ ვარიძემ)	140
გიორგი შეუშლაძე. შიმოწერა ქართველ შეტრლებზან (დასაბეჭდად მოაწიადა ლალი მარტაშვილმა)	146
ნიკო ლომიური. წერილები (დასაბეჭდად მოაწიადა დავით შელულაშვილმა)	150
ილია ფანცულაძე (ათონევი). წერილები (დასაბეჭდად მოაწიადა სირა ვიტინაძემ)	164
ქეთევან ირემაძე. ღლოურები (დასაბეჭდად მოაწიადა ლიალ აფაქიძემ)	169
ლილია ნატროშვილი. მოწოდებაულია ანტონ ივანეს ძე ნატროშვილუშე (დასაბეჭდად მოაწიადა ლილ ალექსანდრევილმა)	185

ମୋହନ୍ତିରେ କାଳିପାତା ପାତା କାଳିମୋହନ୍ତିରେ

ରୁଷିଆର ଦ୍ୱାରା ଲାଗେଣାର କାନ୍ତପାତ୍ରଙ୍କାରିତା	200
କାନ୍ତପାତ୍ରଙ୍କାରିତା କିମ୍ବା କାନ୍ତପାତ୍ରଙ୍କାରିତା	207
କାନ୍ତପାତ୍ରଙ୍କାରିତା କିମ୍ବା କାନ୍ତପାତ୍ରଙ୍କାରିତା	212
କାନ୍ତପାତ୍ରଙ୍କାରିତା କିମ୍ବା କାନ୍ତପାତ୍ରଙ୍କାରିତା	219
କାନ୍ତପାତ୍ରଙ୍କାରିତା କିମ୍ବା କାନ୍ତପାତ୍ରଙ୍କାରିତା	222
କାନ୍ତପାତ୍ରଙ୍କାରିତା କିମ୍ବା କାନ୍ତପାତ୍ରଙ୍କାରିତା	227

ଶ୍ରୀମତୀ ଲୁହାନ୍ତିର

ალ. ჟაზბეგის ხელნაწერთა ფონდი (კატალოგი შეკადგინა ლითა ხატისკაცმა) .	228
ალ. ჟაზბეგის იყონოვრაული ფონდი (კატალოგი შეკადგინა რუსული დაუშ-ვილმა)	239
ალ. ჟაზბეგის წიგნადი ფონდი (კატალოგი შეკადგინა მარინე ნიაურმა)	255
ალ. ჟაზბეგის შემორჩენულ ნივთება ფონდი (კატალოგი შეკადგინა ლაშარა ხე-ლაძემა)	257
ქრონიკა. 1980—1982 წლებში შეძენილი შენალები (კატალოგი შეკადგინა ლალი შერგაშვილმა)	258

ЛИТЕРАТУРНАЯ ЛЕТОПИСЬ  
(На грузинском языке)

Издательство «Сабчота Сакартвело»  
Тбилиси, Марджанишвили, 5.  
1986

რედაქტორი გ. ნატანშვილი  
გამომცემლობის რედაქტორი გ. ტრიპოლეკი  
მხატვარი ხ. ცინცაძე  
მხატვრული რედაქტორი აკ. თევზაძე  
ტექნიკური რედაქტორი ნ. ქავთარაძე  
კორექტორი ლ. აჩიტაძე  
გამოშვების ნ. მანაგაძე

ვადაეცა წარმოებას 22.11.84. ხელმოწერილია დასაბეჭდად 24.06.86.  
სამეცნიერო ქდალი № 2. 60×90/16. გარნიტური ენა. ბეჭდეა მა-  
ლი. პირობითი ნაბეჭდი თაბაზი 16,5. პირ. სალ.-გარ. 16,88.  
სალრ.-სავამომც. თაბაზი 14,93.  
სუ 01638. ტირაჟი 5000 შეკვ. № 775.  
ფუსი 1 მან. 50 კაპ.

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“  
თბილისი, მარჯანიშვილის 5.

საქართველოს სსრ გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის  
ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის ბეჭდვითი სიტყვის  
კომიტეტი; თბილისი, მარჯანიშვილის ქ. № 5.  
Комбинат печати Государственного комитета Грузинской ССР  
по делам издательств, полиграфии и книжной торговли, Тби-  
лиси, ул. Марджанишвили 5.

